მორის შალიკაშვილი
გივი მიქანაძე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

Freiburg / Straßburg / Tbilisi

2016

„ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლებელია ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფიარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს“.

თერგდალეულები, „ივერია“
1881 წლის მაისი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016
ISBN 978-9941-25-026-2

დაბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“, ალ. ყაზბეგის გამზ. №45
ტ. 239-15-22, E-mail: meridiani777@gmail.com

„Die Jugendlichen haben sich mit inbrünstigem und sorgfältigem Wissen aufzurüsten, sie sollen sich möglichst gründlich dem Studium der europäischen Wissenschaften hingeben, sich die europäische Erfahrung aneignen und mit diesem Pfeil und Bogen sich in den Dienst unseres Landes stellen“.

Tergdaleulebi, „Iveria“

Mai, 1881

© Verlag "Meridiani", 2016
ISBN 978-9941-25-026-2

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

ბოლო წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. ამ ცვლილებების ნათელი დაგვირგვინება იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, რომელსაც ემსახურება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კომპლექსური საკითხია და საჭიროა როგორც საკანონმდებლო ნორმების შექმნა, ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმა და გატარება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ახლებური, უფრო ლიბერალური, ხედვა შემოგვთავაზა და სხვაგვარად დაარეგულირა ბევრი საკითხი. კერძოდ:

- ერთ საკანონმდებლო აქტში იქნა თავმოყრილი არასრუნლოვანთა მართლმსაჯულების ნორმები;
- განრიდების განხორციელება შესაძლებელი ხდება 21-წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში;
- ხაზი გაესვა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობას;
- ხაზი გაესვა აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობას;
- 15 წლიდან 12 წლამდე შემცირდა თავისუფლების აღკვეთის შეფარდების ვადა და სხვა.

წინამდებარე ნაშრომი საყურადღებოა, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმების განხივლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. ნაშრომში საკმაოდ სრულყოფილად არის განიხილული კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი, როგორც კრიმინოლოგიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ასევე კონსტიტუციურ სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი, სასჯელაღსრულებითი და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2015 წლის მარტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, სადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი იქნა განხილული და გაანალიზებული. კონფერენციის დროს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები წერილობით მიეწოდა საქართველოს პარლამენტს. სახელმძღვანელოში ზემოაღნიშნული ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა იქნა მეცნიერულად დამუშავებული და გაანალიზებული. მოცემული სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისათვის, არასრულწლოვნებთან მომუშავე სახელმწიფო ორგანოების (სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურეები, პოლიციელები, გამომძიებლები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე იურისტებისა და კრიმინალური მეცნიერებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

მოცემული სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა დაფინანსებულ იქნა ევროკავშირის მიერ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარების“ პროექტის ფარგლებში და გამოიცა 2011 წელს სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მაქს-პლანკის უცხოური და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის მიმართულებას ფრაიბურგში (გერმანია) გამოყოფილი სამეცნიერო სტიპენდიისაათვის, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა წიგნის მეორე გამოცემის მომზადებაში. გულითადი მადლობა პროფესორ ჰანს იურგენ ალბრეხტს, შალვა საღირაშვილს, გიორგი დგებუაძეს, გურამ გობეჩიას და გიორგი გეთიაშვილს საინტერესო დისკუსიებისა და შემოთავაზებული წინადადებებისათვის, ასევე მაია ხასიას, მარიო შუტცეს, ანი ნაჩხატაშვილს და ლაშა ხუციშვილს დახმარებისათვის.

დიდი მადლობა ციხის საერთაშორისო რეფორმას (PRI) და სამართლებრივი თანამშრომლობის საერთაშორისო გერმანულ ფონდს (IRZ) წლების მანძილზე ნაყოფიერი თანამშრომლობისა და ამ სახელმძღვანელოს დაფინანსებისათვის.

წარმოდგენილი წიგნის პირველი ხუთი თავი ეკუთვნის მორის შალიკაშვილს, ხოლო მეექვსე, მეშვიდე და მერვე თავები გივი მიქანაძეს.

მორის შალიკაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი (ჰამბურგი, გერმანია)

გივი მიქანაძე
სამართლის მაგისტრი
(ესექსის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო)
ამსტერდამის (ჰოლანდია) თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორანტი
ევროპის საბჭოში სისხლის სამართლის
თანამშრომლობის სამმართველოს პროექტის მენეჯერი

Vorwort zur 2. Auflage

Das vorliegende Lehrbuch zum Jugendstrafrecht gibt in kompakter und zugleich umfassender Form einen Überblick über das georgische Jugendstrafrecht.Das georgische Parlament hat am 12. Juni 2015 das Jugendstrafgesetzbuch verabschiedet. Das Gesetz ist im Januar 2016 in Kraft getreten. Das Ziel der Verabschiedung dieses Gesetzes war die Zusammenfassung der Vorschriften über das Strafverfahren gegen jugendliche Straftäter in einem einheitlichen Gesetz. Das neue Gesetz erhält unter anderem folgende Neuerungen:

- Jugendliche im Alter von 14 bis 18 Jahren sind strafrechtlich verantwortlich, bei Heranwachsenden von 18 bis 21 Jahren kann die jugendstrafrechtliche Maßnahme der Diversion angewendet werden.
- Als Höchststrafe für einen jugendlichen Täter sieht das neue Gesetz statt 15 Jahren 12 Jahre Freiheitsstrafe vor.
- Die Staatsanwaltschaft muss begründen, wenn sie von der Einstellungsmöglichkeit (Diversion) keinen Gebrauch macht.
- Im Jugendstrafrecht und Jugendstrafverfahren hat das Wohl des Kindes Vorrang.

Diese zweite Auflage des Jugendstrafrechtslehrbuches soll in die Praxis des neuen Gesetzes einführen. Zugleich werden die maßgeblichen Gesetzesnormen wissenschaftlich dargestellt und diskutiert. Dabei wurden insbesondere die Vorschläge in das Buch integriert, die im Rahmen einer internationalen Fachkonferenz im April 2015 an der Staatlichen Universität Tiflis thematisiert wurden.

Unser Dank für die engagierte Hilfe und fruchtbare Diskussion dieser 2. Auflage des Lehrbuchs gilt Prof. Dr. H-J. Albrecht, Prof. Helmut Kury, Giorgi Dgebuadze, Shalva Sagirashvili, Giorgi Getiashvili, Mario Schütze, Maia Khasia, Ani Nachkhatashvili und Lasha Khutzishvili.

Herzlicher Dank gilt der Deutschen Stiftung für Internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ), Penal Reform International (PRI) und dem Max-Planck-Institut für ausländisches und Internationales Strafrecht in Freiburg (MPI) für die finanzielle Unterstützung und langjährige effiziente Zusammenarbeit.

Das Buch richtet sich an Studierende und Wissenschaftler aus juristischen, pädagogischen, sozialen, psychologischen und polizeilichen Berufen, sowie an alle weiteren interessierten Leserinnen und Leser.

Von Moris Shalikashvili stammen die Kapitel 1, 2, 3, 4 und 5, während die Kapitel 6, 7 und 8 von Givi Mikanadze verfasst wurden.

Prof. Dr. Moris Shalikashvili
Doktor der Rechtswissenschaft (Dr. jur.) der Universität Hamburg (Deutschland)
Assoziierter Professor der Staatlichen Iv. Javachishvili Universität Tbilissi (Georgien)

Givi Mikanadze
Magister (UK, Essex Universität); Doktorand der Freie Universität von Amsterdam (Holland), Projektmanager im Europarat (Straßburg, Frankreich)

Vorwort

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für Internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

Die Erarbeitung und Einführung eines Jugendstrafgesetzbuchs in Georgien stellt einen Meilenstein für die nationale Rechtsentwicklung dar. Dieses Gesetzeswerk setzt die UN-Kinderrechtskonvention in nationales Recht um und rückt das Kindeswohl in das Zentrum des gesamten strafrechtlichen Verfahrens, in welchem Kinder oder Heranwachsende beteiligt sind. Es schafft hierfür Spezialzuständigkeiten in allen Bereichen von Justiz und Ermittlungsbehörden und beinhaltet viele weitere tiefgreifende Gesetzesänderungen strafprozessualer und materieller Art. Dieses Regelwerk in kompakter Form an Studierende zu vermitteln, ist Anliegen des vorliegenden Lehrbuchs. Die IRZ freut sich, diese wichtige Publikation unterstützen zu können. Sie liegt nun bereits zu einem Zeitpunkt, in dem das Gesetz frisch in Kraft ist, vor, und soll dabei helfen, die Materie des Jugendstrafrechts georgischen Studierenden und möglicherweise auch Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern verständlich zu machen und ihre künftige Umsetzung zu erleichtern.

Teresa Thalhammer
Projektbereichsleiterin Südkaukasus
IRZ

შესავალი

1999 წლამდე სისხლის სამართლის სრული პასუხისმგებლობის ასაკი საქართველოში იყო 16 წელი, ამასთან, 14-16 წლის მოზარდების პასუხისმგებლობის საკითხი დაისმოდა შედარებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. 1999 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ამჟამად საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი ყველა სახის დანაშაულისთვის 14 წელია. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაული იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. 14-17 წლის მოზარდებს უნდა ეპყრობოდნენ, როგორც არასრულწლოვნებს.

არასრულწლოვნობის ან მოზარდობის პერიოდი ადამიანის ცხოვრების უაღრესად საპასუხისმგებლო, ყველაზე „მხურვალე" და დინამიკური პერიოდია. ეს არის პიროვნების ჩამოყალიბების ასაკი, როდესაც უნდა დაიძლიოს ღირებულებითი ორიენტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა. მოზარდი თაობის მორალურ-ფსიქოლოგიური იერის დამახასიათებელი თვისებაა აქტიური ცხოვრებისული პოზიციის ფორმირება და მომავალი საქმიანობის გეგმების განსაზღვრა. თუმცა, ამ ასაკთან დაკავშირებით, აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ზოგჯერ ნაკლებად ითვალისწინებენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებსა და ობიექტურ სიძნელეებს. ბევრი მოზარდი თავისი მომავლის განჭვრეტისას მხედველობაში იღებს მხოლოდ სასურველი შედეგის მიღწევას და არა მისი მოპოვების გზებსა და საშუალებებს, იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საბოლოო შედეგის მიღწევისთვისაა აუცილებელი. აქედან გამომდინარე, ხდება იმ მატერიალური ნორმებიდან გადახრა, რაც დადგენილი და გაბატონებულია ამა თუ იმ საზოგადოებაში. ჩვენს რეალობაში კი ეს პრობლემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობა თითქმის ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელ ნაწილად იქცა. ყოველი მხრიდან გვესმის, რომ მოხდა საზარელი მკვლელობა, ძარცვა, ქურდობა, სხეულის დაზიანება და ამ ყველაფერს სჩადიან მოზარდები, რომლებიც პრაქტიკულად ქმედების ჩადენისთანავე იღუპავენ მომავალს. მათი დანაშაულის შედეგად ჩნდება ორმხრივი მსხვერპლი: ბავშვები, რომლებმაც კანონი დაარღვიეს, რადგან ისინი მსხვერპლად მოიაზრებიან და არა დამნაშავეებად და მათი დანაშაულებრივი ქმედების რეალური მსხვერპლი.

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულზე საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია ხშირად გამოიხატება მათ მიმართ რეპრესიების გაძლიერებით, სანქციების გაზრდითა და პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებით.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ საკითხის მიმართ უფრო ღრმა, მეცნიერულ მიდგომასა და კრიმინოლოგიური კვლევების საფუძველზე შექმნილ გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში. საჭიროა დადგინდეს პრობლემის არსი, მისი ბუნება, გამოვიკვლიოთ, თუ

რატომ სჩადის არასრულწლოვანი დანაშაულს, რა გარემოებები უბიძგებს მას ამისკენ, რა საფეხურებს გადის იგი მანამ, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამს. გამოკვლეულ უნდა იქნეს ყველა კონკრეტული პირობა, გარემოება, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს მოცემული პირის ქცევაში, დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა დახასიათდეს მთელი მისი ინდივიდუალური თავისებურებებისა და სოციალური გარემოს გათვალისწინებით, უნდა გაირკვეს დანაშაულის ჩადენის მოტივები, პიროვნების საშიშროების ხარისხი, მისი წარსული, საყოფაცხოვრებო ჩვევები და სხვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება განვახორციელოთ რაიმე კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები და დავსახოთ არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკის კონკრეტული თუ ზოგადი მიზნები და ამოცანები. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამის მცდელობაა. იგი პირველი გადადგმული ნაბიჯია იმისათვის, რომ მომავალში შეიქმნას კრიმინოლოგიურ კვლევასა და უფრო ღრმა თეორიულ ანალიზზე დაფუძნებული შრომები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფართო გაგებით, არის პროცესი მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენიდან მის რესოციალიზაციამდე. ეს პროცესი მოიცავს როგორც არასრულწლოვნის სამართალდამცავ სტრუქტურებსა (პოლიცია, პროკურატურა) და სასამართლო ორგანოსთან ურთიერთობას, ისე მისი აღზრდისა და რესოციალიზაციის ღონისძიებებს პენიტენციურ სისტემაში, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია მოზარდის პიროვნების, სოციალური გარემოს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივისა და ხელის შემწყობი პირობების კრიმინოლოგიური საფუძვლების ანალიზის გარეშე.

თავი პირველი
არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები

1. არასრულწლოვანთა დანაშაულის აღრიცხვა

კრიმინალური სტატისტიკა მოიაზრებს მათემატიკურ ციფრებს, რომლებიც კონტროლის ორგანოების მიერ სისტემატურად აღინიშნება დამნაშავის და/ან დანაშაულის შესახებ წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე,[1] ანუ კრიმინალური სტატისტიკის საგანს წარმოადგენს დამნაშავეობის რაოდენობრივი მხარე, მისი სტრუქტურა, მდგომარეობა და დინამიკა.[2]

კრიმინოლოგ შნაიდერის აზრით, კრიმინალურ სტატისტიკას ოთხი ძირითადი მნიშვნელობა აქვს:[3]

1. ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა არის სახელმწიფო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ანგარიში. პოლიციის, სასამართლოს, პრობაციისა და სასჯელაღსრულების ორგანოები აწარმოებენ სტატისტიკას საკუთარი საქმიანობის წარმოსადგენად;

2. კრიმინალური სტატისტიკა არის კვლევის ინსტრუმენტი. იგი იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორია ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობა და, სავარაუდოდ, რა მიზეზებით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული;

3. კრიმინალური სტატისტიკის მეშვეობით ხდება მოსახლეობის ინფორმირება ქვეყანაში არსებული კრიმინალური მდგომარეობის, დინამიკისა და სტრუქტურის შესახებ, რათა მოსახლეობამ შეძლოს, თავი აარიდოს მსხვერპლად გახდომას (მაგალითად, ავტომობილის ქურდობის შემთხვევების მომრავლებისას უმეთვალყურეოდ არ დატოვოს მესაკუთრემ თავისი ავტომობილი დღის ნებისმიერ მონაკვეთში). მოსახლეობისათვის კრიმინალური სტატისტიკის გაცნობის ერთ-ერთ მიზეზად კრიმინოლოგი კაიზერი ასახელებს დანაშაულის მიმართ შიშის მოხსნის ფაქტორს[4] (მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაყრდნობით პირს შეიძლება ეგონოს, რომ გახშირებულია განზრახ მკვლელობის ან სხეულის დაზიანების ფაქტები, კრიმინალური სტატისტიკის გაცნობით კი იგი დარწმუნდება, რომ ასეთი სახის დანაშაულები ძალიან ცოტაა და, შესაბამისად, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ იგი ამგვარი დანაშაულის მსხვერპლი გახდეს);

4. კრიმინალური სტატისტიკის ძირითად ფუნქციად მიჩნეულ უნდა იქნეს დანაშაულზე კონტროლი და მისი თავიდან აცილებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების ხელშეწყობა. კრიმინალური სტატისტიკის ანალიზი ნათლად აჩვენებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დადებით და უარყოფით მხარეებს და განხორციელებული ზოგადი თუ ინდივიდუალური

1 Kaiser, G., 1985. S. 197.
2 სურგულაძე ლ., 1997, გვ. 6.
3 Schneider, H. J., 1987. S. 162-163.
4 Kaiser, G., 1980. S. 211.

პრევენციული ღონისძიებების ზეგავლენას. კრიმინალური სტატისტიკა ხელს უწყობს ქვეყნის ახალი კრიმინალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცვლილებებს.

1.1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ბოლო წლების სტატისტიკა

არსებობს არასრულწლოვანთა დანაშაულის გამორკვევისა და მათი შეფასების სამი ძირითადი მეთოდი: დაპატიმრებულთა (ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა) რაოდენობის მაჩვენებელი, მსხვერპლთა მიერ მიცემული ჩვენების და დანაშაულის თვითაღიარების მაჩვენებლები. საქართველოში შეგროვებულ მონაცემებში უმთავრესად ფიგურირებს დაპატიმრების (ბრალდებულ არასრულწლოვანთა) რაოდენობის მაჩვენებელი. არ არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი დანაშაული იქნა ჩადენილი არასრულწლოვნების მიერ უახლოეს წარსულში. ამის მიზეზი შემდეგშია, როდესაც სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი ხდება დანაშაულის ჩადენის შესახებ, შეუძლებელია იმის დადგენა თუ რა ასაკის იყო დანაშაულის ჩადმენი პირი (შესაბამისად იყო თუ არა ის არასრულწოვანი), სანამ არ გაირკვევა მისი ვინაობა. ანუ დანაშაული არ იქნება გახსნილი. ამდენად უცნობი რჩება გაუხსნელ დანაშაულში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ოდენობა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემი ეხება განაჩენის გამოტანის რაოდენობას. ეს ინფორმაცია სასარგებლოა მსჯავრდებულთა რაოდენობის დასადგენად, თუმცა ცოტას მეტყველებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობაზე.

არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან შედარებით:[5]

წლები	მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა	მსჯავრდებული არასრულწლოვნების საერთო რაოდენობა	%
1990	7 481	499	6.7
1991		492	
1992	3 730	335	9.0
1993	X	X	
1994	8 283	X	
1995	7 094	455	6.4
1996	X	491	
1997	7 646	357	4.7
1998	6 998	357	5.1
1999	7 973	383	4.8
2000	8 284	388	4.7
2001	8 897	525	5.9
2002	8 579	497	5.8

5 წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლი. http://www.supremecourt.ge/statistics.

2003	8 110	459	5.7
2004	9 071	598	6.6
2005	9 168	475	5.2
2006	13 607	1 002	7.3
2007	21 170	1 060	5.0
2008	20 804	1 166	6.2
2009	18 354	803	4,4
2010	19 940	883	4,4
2011	18 153	669	3,7
2012	10 922	475	4,3
2013	15 166	456	3,0
2014	16 776	381	2,3

სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთა რაოდენობა სქესისა და ასაკის მიხედვით:[6]

ნლები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მსჯა-ერდებულ არასრულნ. საერთო -ბა.	1002	1060	1166	803	883	669	475	456	381
ბიჭები	979 98,1%	1026 96,8%	1119 95,9%	767 95,5%	853 96,6%	638 95,4%	450 94,7%	443 97,1%	365 95,8%
გოგონები	23 1,9%	34 3,2%	47 4,1%	36 4,5%	30 3,4%	31 4,6%	25 5,3%	13 2,9%	16 4,2%
14-15 ნლის	323 31,4%	298 28,1%	299 25,6%	206 25,6%	226 25,6%	201 30%	129 27,2%	126 27,6%	113 29,7%
16-17 ნლის	679 68,6%	762 71,9%	865 74,4%	587 74,3%	657 74,4%	468 70%	346 72,8%	330 72,4%	268 70,3%
არ მუშაობს, არ სნაელობს	602 60,1%	613 57,8%	652 55,9%	392 48,8%	398 44,8%	349 52,2%	275 57,9%	307 67,3%	288 75,6%
დანაშაული ჩადენილია ეგგუფურად	490 48,9%	547 51,6%	505 43,3%	336 41,8%	298 33,7%	158 23,6%	77 16,2%	69 15,1%	46 12,1%

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა:[7]

ნლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მკელელობა	5	5	21	40	31	28	40	28	17	7	6
მკელელობა (სსკ 108 მუხლი)	-	-	-	3	1						
ეკანმ. გან-ზრახ მძიმე დაზიანება	8	3	14	9	17	11	10	13	4	8	8

6 წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლი. http://www.supremecourt.ge/statistics.
7 წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლი. http://www.supremecourt.ge/statistics.

გაუპატიურება	-	1	4	1	5	1	3	1	0	2	0
ქურდობა	286	299	575	551	619	368	403	364	271	293	229
ყაჩაღობა	62	41	98	88	80	65	49	23	14	24	17
ძარცვა	23	23	74	68	108	49	32	27	26	35	36
თაღლითობა	2	1	3	35	27	12	5	12	11	4	4

1.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკის ანალიზი

ზემოთ მოცემული ციფრებიდან *(არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა სახეები წლების მიხედვით იხ. თავი მეოთხე, 2.2. ქვეთავი)* ნათლად ჩანს, რომ სასჯელის სახით არასრულწლოვანთა ციხეში მოთავსების ფაქტების რაოდენობა იზრდება. 2000 წელს სასამართლომ ბრალდებული არასრულწლოვნების 14.9%-ს მიუსაჯა ციხეში სასჯელის მოხდა, ხოლო 2006 წელს – 37.4%-ს. 2000 წელს 58 არასრულწლოვანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. ეს ციფრი 2000 წლის შემდეგ იზრდებოდა და თუ არ გავითვალისწინებთ 2005 წლის მონაცემს (104 არასრულწლოვანი პატიმარი), თავის უმაღლეს ზღვარს 2007 წელს მიაღწია 426 არასრულწლოვანი პატიმრით.

წამოიჭრება მრავალი საკითხი, მათგან ერთ-ერთი იმის თაობაზე, ამგვარი ზრდა გამოწვეულია სამოქმედო კურსის სისხლის სამართლის პოლიტიკის შეცვლით („ნულოვანი ტოლერანტობა"), თუ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის სიხშირითა და ხასიათით. ასევე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს 14-18 წლის იმ მოზარდთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც ციხეში იხდიდნენ სასჯელს, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების ფონზე, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს 14-დან 12 წლამდე ამცირებდა.

თუ ზემოთ მოყვანილი სტატისტიკურ მონაცემებს ერთმანეთს შევადარებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 4-6%-ს შორის მერყეობდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. 2006-2008 წლებში მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, რაც ქვეყნის მკაცრი კრიმინალური პოლიტიკით და ალტერნატიული ღონისძიებების (განრიდება და მედიაცია) გამოუყენებლობით უნდა იყოს გამოწვეული. ბოლო წლების (2011-2014) ლიბერალურმა მიდგომებმა კი შეამცირე არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობა.

1.2.1. მკვლელობების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დიდ შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენის მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, თუ 2004 და 2005 წლებში მოხდა განზრახ მკვლელობის 5 შემთხვევა, 2006 წელს მათი რიცხი გახდა 21, 2007 წელს – 40 და 2008 წელს – 31, ანუ ბოლო 3 წლის განმავლობაში, 2004 და 2005 წლებთან შედარებით, განზრახ მკვლელობის შემთხვევებმა 2006 წელს 400%-ით, 2007 წელს 800%-ით და 2008 წელს 600%-ით იმატა. 2014 წელთან შედარებით ასევე მაღალია 2010 და 2011 წლებში მკვლელობების მაჩვენებელი. კრიმინოლოგიური

თვალთახედვით, ბოლო ხუთი წლის მონაცემების ამგვარი სხვაობა შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო ქვეყნის კანონმდებლობის რეფორმიდან, მაგალითად, დაშვებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, რამაც გამოიწვია 2006-2008 წლებში განზრახ მკვლელობების შემთხვევების საშუალოდ 600%-იანი ზრდა. მაგრამ ქვეყანაში არ მომხდარა ცეცხლსასროლი იარაღის ტარებასთან დაკავშირებული რაიმე საკანონმდებლო ლიბერალიზაცია, შესაბამისად, მონაცემთა ამგვარი სხვაობა საფუძლიან ეჭვს იწვევს.

სტატისტიკურ მონაცემთა ასეთი სხვაობა შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო რამდენიმე ფაქტორით:

- სტატისტიკური მონაცემების არასწორი აღრიცხვით, კერძოდ, 2006-2007 წლებში პოლიტიკურ წრეებში მიმდინარეობდა საუბარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის 14-დან 12 წლამდე შემცირებაზე. აღნიშნულმა იდეამ სისხლის სამართლის ეროვნულ თუ საერთაშორისო სპეციალისტთა დიდი შეშფოთება გამოიწვია. ქვეყნის პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის 14-დან 12 წლამდე შემცირების მომხრე იყო, ესაჭიროებოდა მყარი არგუმენტი თავისი იდეის განსახორციელებლად. სწორედ სტატისტიკის მანიპულაციას უნდა მოეტანა ის დამაჯერებლობა, რომ ზოგიერთი დანაშაულისათვის (მათ შორის მკვლელობისათვის) ბოლო წლების სტატისტიკა ცალსახად მიუთითებს 12-დან 14 წლამდე ასაკში მძიმე დანაშაულების მკვეთრ ზრდას, რაც პასუხისმგებლობის საფუძველი უნდა გახდეს. სავარაუდოდ, 12-დან 14 წლამდე მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები იმ დროისათვის არ არსებობდა, ვინაიდან პასუხისმგებლობის ასაკიც და სტატისტიკური აღრიცხვაც 14 წლიდან იწყებოდა. ამიტომ 14-დან 18 წლამდე მოზარდების განზრახ მკვლელობების სტატისტიკური რიცხვი ხელოვნურად იქნა გაზრდილი, რადგან არგუმენტის გამყარებისთვის, რომ ზოგიერთ მძიმე დანაშაულზე შემოღებული უნდა იყოს 12-დან 14 წლამდე პასუხისმგებლობა, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა ხდებოდა თუ არა სნორედ 12-დან 14 წლამდე მოზარდების მიერ იმ რაოდენობის მძიმე დანაშაულების ჩადენა, რომელიც ამ რეფორმას საჭიროებდა. 12-დან 14 წლამდე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დაწევის მონინააღმდეგე მხარის დასაწმუნებლად საკმარისი იყო 14-დან 18 წლამდე მძიმე დანაშაულების (და მათ შორის განზრახ მკვლელობის) სტატისტიკური მონაცემების ზრდა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის 12-დან 14 წლამდე დაწევის მონინააღმდეგეთათვის ადვილი დასაჯერებელია სწორედ ის გარემოება, რომ თუ 14 წლის არასრულწლოვანი სჩადის ამ რაოდენობის მძიმე დანაშაულს (2007 წელს 40 განზრახ მკვლელობას), რატომ არ შეიძლება იგი 13 წლის არასრულწლოვანმა ჩაიდინოს;
- სტატისტიკური მონაცემების არასწორ წარმოებაში, კერძოდ განზრახ მკვლელობების რაოდენობაში, იგულისხმება არა მხოლოდ სს კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით ჩადენილი დანაშაულები, არამედ განზრახ მკვლელობის მცდელობაც. შესაძლებელია, 2007 წელს გან-

ზრახ მკვლელობის (სს კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლები) საერთოდ რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა, მაგრამ ბევრი იყო განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი,[8] ანუ იმ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც მიესაჯათ სასჯელი განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, თუმცა ეს ორივე დანაშაულის სახე (განზრახ მკვლელობა და განზრახ მკვლელობის მცდელობა) ერთად იქნა დათვლილი და ერთ სტატისტიკურ გრაფაში (განზრახ მკვლელობა) აღნიშნული, რამაც სტატისტიკური მონაცემების ასეთი მკვეთრი ზრდა გამოინვია;

- 2006 წლის ქართული ღვინის რუსულ ემბარგოს შესაძლებელია ასევე გამოეწვია, ალკოჰოლის ჭარბი მარაგის დაგროვება საქართველოში, მოზარდების მიერ ალკოჰოლის მიღება და ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა, მათ შორის მკვლელობების. კრიმინოლოგიურმა კვლევებმა დაადგინა, რომ ალკოჰოლზე და ნარკოტიკზე დამოკიდებულება პირდაპირ კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან.[9]
- მკვლელობების გახშირების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი შესაძლებელია ასევე იყოს საქართველოში მეტად მძიმე აგრესიული გარემო, რომელიც სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული[10] და ზრდის ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ალბათობას. ასევე ყურადღებას იმსახურებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი მკვლელობების ზრდის პერიოდი – 2005-07 წლები. ამ პერიოდის არასრულწლოვნები დაბადებულნი არიან 90-იან წლებში, როდესაც საქართველოში მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, საქართველო კარგავს თავისი ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს და შესაბამისად, იკარგება უამრავი სამუშაო ადგილი. 1992-94 წლებში ქვეყანა ჩართულია სამხედრო კონფლიქტში, ხოლო მომდევნო წლებში საქართველო კრიმინალურ სახელმწიფოდ ყალიბდება, სადაც მკვლელობა, ადამიანის გატაცება, ყაჩაღობა, ადამიანების წამება ყოველდღიურ რუტინად იქცა. აღარაფერს ვამბობთ ნარკომანიის შემაშფოთებელ მასშტაბებზე. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ქმნის უკიდურესად მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ ფონს. ფაქტიურად ამ პერიდოში საქართველოში სახეზეა სოციალური ანომია. ვფიქრობთ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში დაბადებული და გაზრდილი თაობა გარკვეულწილად მომეტებული აგრესიით ხასიათდება და უფრო მეტად იყო მიდრეკილი კონფლიქტური სიტუაციების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრისკენ. ამას დავუმატოთ არასრულწლოვნისთვის დამახასიათებელი დაუფიქრებელი და იმპულსური გადაწყვეტილებების მიღებისკენ მიდრეკილება და შედეგად მივიღებთ საკმაოდ საშიშ ნარევს, რომელმაც შესაძლოა ახსნას კიდეც არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილი მკვლელობების მატება 2007-2008 წლებში.

---

8 პრობლემურია პრაქტიკაში განზრახ მკვლელობის მცდელობის დადგენის კრიტერიუმების საკითხიც. დღეს მოქმედი პრაქტიკით განზრახ მკვლელობის მცდელობად კვალიფიცირდება დამნაშავის მიერ ადამიანისათვის სხეულის ზედა ნაწილში მიყენებული ნებისმიერი სახის დაზიანება.

9 Ostendorf, H., 2013. S. 32.

10 საქართველოში აგრესიული გარემოს შესახებ იხ.: შალიკაშვილი, მ., 2012. გვ. 34-45.

1.2.2. ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულების ანალიზი

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, არასრულწლოვნების მიერ ჯგუფურად ჩადენილმა დანაშაულმა 2014 წელს (12%) 2005-2007 წლებთან (50%) შედარებით იკლო თითქმის 40%-ით. რაც მოზარდთა დანაშაულობის ფენომენთან მიმართებაში ალოგიკურად ჩანს და განმარტებებს საჭიროებს. ცნობილია, რომ მოზარდები დანაშაულს ჯგუფურად სჩადიან, რაც რამოდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: 1) ჯგუფში მათი გამბედაობა მატულობს; 2) ვინმემ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის – „საქმენი საგმირონიას" შესახებ სხვებს უნდა უამბოს, მარტო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ეს შეუძლებელია; 3) ჯგუფურად დანაშაულის ჩადენა ჯგუფის წევრად მიღების/აღიარების ყველაზე ლოგიკური და მარტივი გზაა.

ინგლისური და ამერიკული კვლევების თანახმად, მოზარდთა დანაშაულობის 60% (ინგლისი), 75% (აშშ) სწორედ ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულზე მოდის.[11]

მოცემული ქართული სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების ზემოქმედებით აიხსნას: 1) ქვეყნის მასშტაბით პოლიციის პრეზენტაბელურობის ზრდა, რაც ზოგადად დანაშაულის (მათ შორის ჯგუფური) პრევენციის ერთ-ერთი საშუალებაა; 2) ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისათვის განრიდება-მედიაციის პროგრამაში მოხვედრის შესაძლებლობით. კერძოდ, „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე" იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216-ე ბრძანებაში 2011 წლის 23 ივნისს შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც განრიდებას და/ან მედიაციას დაექვემდებარა ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული;[12] 3) 2006-2012 წლებში გატარებული მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა და მძიმე პირობები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.[13] ციხის გაუსაძლის პირობებს შესაძლებელია მოზარდებში ციხის მიმართ შიში და დანაშაულის პრევენცია გამოეწვია; 4) ბოლო (2012-2014) წლებში კრიმინალური მენტალობის ზეგავლენის ზრდა, რაც აიძულებს მოზარდს ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული საკუთარ თავზე აიღოს; 5) ჯგუფური დანაშაულის გამოძიების შრომატევადობამ და დანაშაულის სწრაფად გახსნის სურვილმა შესაძლებელია გამომძიებელს მიაღებინოს გადაწყვეტილება არ დააფიქსიროს საქმეში მონაწილე, გამოძიებისთვის დაუდგენელი პირები და მხოლოდ ერთი პირის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა; 6) ქვეყანაში არსებული სიღარიბის გამო მოზარდები საკუთარი თავის გადასარჩენად უფრო ჩადიან დანაშაულს, ვიდრე საკუთარი „მეს" მოსაპოვებლად.[14]

---

11 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 24.

12 იხ.: შალიკაშვილი, მ. 2013. გვ. 51.

13 იხ.: სახალხო დამცველის 2011, 2012 ნლის საპარლამენტო მოხსენებები.

14 იუნისეფის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2011 ნელს საქართველოში ბავშვების (0-16 წელი) 9,4% უკიდურეს სიღარიბეში, ხოლო 25 % ფარდობით სიღარიბეში ცხოვრობდა. იხ.: http://unicef.ge/uploads/UNICEF-Child-PovertyGEO-web-with-names.pdf

1.2.3. სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა უმეტესობა მამაკაცები არიან. საინტერესოა, რომ მსჯავრდებული გოგონების რიცხვი ბოლო 2 წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა. მკვეთრად იმატა ასევე დანაშაულმა 14-15 წლის მოზარდებში, თუ 2000 წელს მათი პროცენტული რაოდენობა შეადგენდა მთლიანად არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 16.8%-ს, 2006-2008 წლებში ეს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა. ეს ცვლილება განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით, რომელთა შორისაცაა, სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებლების დახურვა, შსს ბაზაზე არსებული „მცირეწლოვანთა ინსპექტორების"[15] სტრუქტურის გაუქმება, აგრეთვე ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც უფლებას აძლევს მოსამართლეებს ციხეში მოეთვსებინა 14-18 წლის მოზარდები, თუ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს 3 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთას.[16]

მეტად მძიმეა იმ მსჯავრდებულთა სტატისტიკური მაჩვენებელი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს არ მუშაობენ და/ან არ სწავლობენ. 2014 წელს დაფიქსირდა ბოლო ათი წლის ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ამ მხრივ. კერძოდ, 2014 წლის მონაცემებით მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა 75,6% დანაშაულის ჩადენის დროს არ მუშაობდა და არ სწავლობდა. (არასრულწლოვანთა) დანაშაულის პრევენციის პირველი დონე სოციალურ სახელმწიფოს ავალდებულებს შეიმუშაოს პროგრამები დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის მასობრივი უმუშევრობის, უსახლკაროობის, დაბალი სამართლებრივი მართლშეგნების აღმოსაფხვრელად.[17]

თუ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა აღნიშნულ მონაცემებს შევადარებთ მსჯავრდებულთა მონაცემებს დავინახავთ, რომ იქაც არ არის სხვა მდგომარეობა. კერძოდ, 2014 წელს იმ მსჯავრდებულთა რაოდენობამ, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს უმუშევარი იყო 90,5% შეადგინა.

1.3. ლატენტური დანაშაული არასრულწლოვანთა შორის

ლატენტურად უნდა ჩაითვალოს ისეთი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება (დანაშაული), რომელიც სამართალ-

---

15 „მცირენლოვანთა ინსპექტირება" იყო შსს დაქვემდებარებაში მყოფი 287 ადამიანისაგან შემდგარი ორგანიზაცია, რომელსაც აღრიცხული ჰყავდა ის ბავშვები, რომლებსაც უკვე ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული ან შემჩნეული იყვნენ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, რაც გულისხმობს ასევე სკოლის რეგულარულად გაცდენას. ასეთ 14-18 წლის მოზარდებს აღრიცხავდნენ სკოლებიდან, მეზობლებისგან, პოლიციის განყოფილებიდან და ხანდახან მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ან სასჯელის მოხდის შემდეგ. ორგანიზაციის ნარმომადგენლები ბავშვებს უტარებდნენ სამუშაოებს სკოლებში. ასევე ეხმარებოდნენ ბავშვებს სკოლაში დაბრუნებაში, გართობაში, გაკვეთილების შემდგომ სხვადასხვა ღონისძიების მონყობაში, ხვდებოდნენ მშობლებს ბავშვთა ქცევის მართვაზე სასაუბროდ და ა. შ. ორგანიზაცია „მცირენლოვანთა ინსპექტირება" გაუქმდა 2006 წლის ნოემბერში და მისი საქმიანობა შეითავსა საპატრულო პოლიციამ, თანამშრომელთა 4 ან 5 პირის საშტატო შემადგენლობით, იხ. საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (პამილტონი, ქ.) 2007 წლის ანგარიში.

16 იხ. საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (პამილტონი, ქ.) 2007 წლის ანგარიში.

17 შალიკაშვილი, მ., 2011ა. გვ. 220.

დამცავი ორგანოებისათვის არ გახდა ცნობილი, ვერ იქნა გამოვლენილი და ამიტომ არ მოხდა პოლიციის სტატისტიკაში მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია, თუმცა იგი „სინამდვილეში საკმაოდ გავრცელებულია და დიდ გავლენას ახდენს კრიმინალურ სიტუაციაზე".[18]

ლატენტური დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც გამოიკითხებიან იმის თაობაზე: 1) ჩაუდენიათ თუ არა მათ დანაშაული (დამნაშავის გამოკითხვა); 2) გამხდარან თუ არა ისინი დანაშაულის მსხვერპლნი (მსხვერპლის გამოკითხვა); 3) გახდა თუ არა მათთვის ცნობილი დანაშაულის ჩადენა (ინფორმაციული გამოკითხვა).[19]

გერმანიაში ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის ანალიზის თანახმად, ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობისაგან.[20] ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თანაფარდობა რეგისტრირებულსა და ლატენტურ დანაშაულებს შორის 1:3-ზეა. არარეგისტრირებულ დანაშაულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქურდობას და სხვისი ნივთის დაზიანებას.[21] არასრულწლოვანთა გამოკითხვების თანახმად, მოცემულ ასაკში ლატენტური დანაშაულის ხვედრითი წილი, ოფიციალურ დანაშაულებთან შედარებით, ძალიან მაღალია.[22]

კრიმინოლოგი კაიზერი ლატენტური დანაშაულების კვლევების საფუძველზე დასკვნის სახით აცხადებს, რომ[23]

1. არასრულწლოვანთა დანაშაული უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ეს პოლიციის სტატისტიკით არის რეგისტრირებული. თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს ჩადენილი მსუბუქი დანაშაული. გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვნები ხშირად სჩადიან ქურდობას და აზიანებენ სხვის ნივთს.

2. ლატენტური დანაშაულის კვლევა ხელს უწყობს ისეთი სახის ქმედებების გამოვლენას, რომელიც სოციალურად მიუღებელია, მაგრამ დანაშაულს არ წარმოადგენს (მაგალითად, გაკვეთილების გაცდენა, სახლიდან გაქცევა).

3. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი, გამოძიებული და სანქციონირებული. შესაბამისად, არასრულწლოვნების მიერ კანონის დარღვევა ნორმალურად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ არანორმალურია, როდესაც ისინი მკაცრი სასჯელით არიან სანქციონირებული.

4. ლატენტური დანაშაულის საფუძვლიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ამა თუ იმ ჯგუფებს შორის დიდი განსხვავებაა დანაშაულის გავრცელების, სტრუქტურისა და ინტენსივობის მხრივ.

5. ლატენტური დანაშაულის კვლევების თანახმად, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული მსუბუქი ხასიათისაა. მძიმე (ან განსაკუთრებით

18 შუშანაშვილი, ა., 2000, გვ. 155.
19 Eisenberg, U., 2005. S. 132.
20 Kunz, K.-L., 1998. S. 302.
21 იქვე.
22 იქვე, გვ. 303.
23 Kaiser, G., 1985. S. 225-228.

მძიმე) ხასიათის დანაშაულების გამოვლენა ლატენტური დანაშაულის კვლევებით თითქმის შეუძლებელია.

6. როგორც ოფიციალური მონაცემების, ასევე ლატენტური დანაშაულის კვლევის თანახმად, მნიშვნელოვნად ცოტაა გოგონების მიერ ჩადენილი დანაშაული.

7. ლატენტური დანაშაულის კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალურად რეგისტრირებულია ძირითადად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები.

8. არასრულწლოვნები, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ცნობილი გახდა პოლიციისათვის და დაისაჯნენ სასამართლოს მიერ, არაფრით განსხვავდებიან სხვა იმ არასრულწლოვნებისაგან, რომლებიც დასჯილნი არ არიან.

9. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შემთხვევით დანაშაულის ჩამდენი და დამნაშავე არასრულწლოვნები. განსხვავებულ უნდა იქნეს მათი რესოციალიზაციის პროგრამებიც.

10. ლატენტური დანაშაულის კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ზოგიერთი დანაშაულის მიმართ საზოგადოება ტოლერანტულად (შემწყნარებლურად) არის განწყობილი და მას პოლიციის ორგანოებს არ ატყობინებენ.

ლატენტური დანაშაულის კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ სჩადის მძიმე და განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულს.[24]

2. არასრულწლოვნის გარდატეხის პერიოდი

დიმიტრი უზნაძის მიერ 1940 წელს დაწერილ „ზოგად ფსიქოლოგიაში" ვკითხულობთ: „საყურადღებოა, რომ სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდის ყურადღების კონცენტრაცია ქვეითდება".[25] აღნიშნული სიტყვებით დიმიტრი უზნაძე ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნის (მოზარდის) „სქესობრივი მომწიფების პერიოდზე", ე.წ. ***„გარდატეხის პერიოდზე"***. ცოტა მოგვიანებით ამ საკითხთან დაკავშირებით შ. ჩხარტიშვილი წერს „ბავშვობის დატოვებისა და დიდის მდგომარეობაში ყოფნის მოთხოვნილებები გარდამავალ ასაკში, იძენს რა სოციალურ შინაარსს, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის აქტივობის მიმართულების განსაზღვრის საქმეში. ეს მოთხოვნილება, პირველ რიგში, სოციალური პრესტიჟის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა ფორმებში დიფერენცირდება და მოზარდის ყოველ ქცევაში, რომელიც მას რაიმე მხრივ სხვა ადამიანებთან აკავშირებს, ეძებს დამოკიდებულებას".[26]

გარდატეხის პერიოდი და (ამ პერიოდის) სოციალიზაცია მკაცრად განსაზღვრავს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებას.[27] ადამიანი, მისი ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური „დამუშავება", ახლად ყალიბდება.[28]

---

24 Schöch, H., 1976. S. 224.

25 უზნაძე, დ., 2006. გვ. 560.

26 ჩხარტიშვილი, შ., 1954. გვ. 51.

27 Hurrelmann, K., 2010. S. 26.

28 იქვე.

პირველად „გარდატეხის პერიოდი“ მე-16 საუკუნის ბოლოს იქნა გამოყენებული. ლათინურად Pubertas, ანუ სექსუალური მომწიფება – „Mannbarkeit`, „половая зрелость“ ნიშნავდა ადამიანის სექსუალურ ჩამოყალიბებას.[29]

მე-19 საუკუნეში გარდატეხის პერიოდი მოზარდებში 17 წლის ასაკიდან დგებოდა. დღეის მდგომარეობით გოგონებს 10-18 და ვაჟებს 12-21 წლის ასაკში აქვთ სქესობრივი მომწიფების,[30] ანუ „კაცად გახდომის პერიოდი“. გარდატეხის პერიოდი ადამიანისთვის გამოირჩევა თავისი ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების მნიშვნელობით. რასაც ასევე ემატება ის სოციალური როლი რომელსაც მოზარდი ოჯახში და ნაცნობ ნრეებში იღებს (ბავშვი სკოლის მოსწავლიდან ხდება სტუდენტი ან იწყებს მუშაობას). ეს კი მისთვის ახალი ხასიათის მოთხოვნილებებს ქმნის, რომელთან გამკლავებაც მას ჯერ არ შეუძლია.[31] დღევანდელი კვლევებით გარდატეხის პერიოდი 21 წლამდე გრძელდება.[32]

როგორც უკვე აღინიშნა, გარდატეხის პერიოდი არის სექსუალური მომწიფების 5-8-წლიანი პროცესი, რომელიც მამაკაცს ბავშვის ჩასახვის, ხოლო ქალს ბავშვის დაბადების შესაძლებლობას აძლევს.[33] ამ ბიოლოგიური პროცესის განმავლობაში მოზარდს უვითარდება სასქესო ორგანო, ეცვლება ხმა, ამოსდის თმა სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე. მიზეზი იმისა, თუ რატომ იცვლება მოზარდის სხეული, განპირობებულია ჰორმონთა ცვალებადობით, რომელიც სხეულში ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე მიმდინარეობს. **ტესტოსტერონი** (Testosteron) **და ოსტროგენი** (Östrogen) ის ორი ძირითადი ჰორმონია, რომლებიც მოზარდში სხეულის ცვალებადობას განაპირობებს.

მოზარდის სხეულის ცვალებადობა დაკავშირებულია მის სულიერ (ფსიქიკურ) განვითარებასთან. გარდატეხის პერიოდში მოზარდში აღინიშნება ენერგიის დიდი მოზღვავება, რომელსაც სურს ყოველგვარი სულიერი და მორალური ნორმების გათვალისწინების გარეშე იჩინოს თავი (დაიხარჯოს).[34]

გარდატეხის პერიოდში მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა დიდ გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ბოლო დროს ჩატარებული კვლევებით ფსიქოლოგია მიდის დასკვნამდე, რომ ამ პერიოდში მოზარდებს უჭირთ სურვილების რაციონალური მართვა.[35] ამ პერიოდის განმავლობაში მოზარდს აღენიშნება ხშირი უხასიათობა, ხასიათის უცაბედი (უმიზეზო) გაუარესება ან პირიქით, სურვილთა მრავალფეროვნება, ზედმეტი ემოციურობა, საქმის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება, გულმავიწყობა, ფანტაზიურობა, წინდაუხედაობა, გადაწყვეტილების მიღების გართულება და, როგორც უკვე აღინიშნა, მოზღვავებული ენერგია. ამ პერიოდში მოზარდებს არ გააჩნიათ (ან ნაკლებად აქვთ) ემოციების მო-

---

29 Schäfers. B., 1994. S. 83.

30 მოზარდის სექსუალური განვითარების შესახებ იხილეთ ქურხული ლ., 2006, გვ. 41-42.

31 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 7.

32 იქვე.

33 Schäfers. B., 1994. S. 83.

34 იხ. Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S. 5; Kaiser, G., 1973. S. 38; ასევე ინნკირველი ზ., 2000, გვ. 88.

35 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 7.

თოკვის შესაძლებლობა და ზედმეტად იმპულსურები არიან,[36] ანუ არ შეუძლიათ საკუთარი მოქმედებისაგან გამოწვეული შედეგების გათვალისწინება. მოზარდები ცდილობენ საკუთარი „მეს" წარმოჩენას და ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ ზეწოლას.[37]

მეცნიერული კვლევის ტექნიკური მეთოდების უახლესმა განვითარებამ აჩვენა, რომ მოზარდები და ზრდასრული ადამიანები ემოციებს ტვინის სხვადასხვა სფეროში გადაამუშავებენ. მეცნიერული კვლევისას მოზარდებსა და ზრდასრულ ცდისპირებს აჩვენეს გაცინებულ, გაბრაზებულ, აგრესიულ და აღშფოთებულ ადამიანთა სურათები. ცდისპირები ვალდებული იყვნენ, თითოეული მიმიკის შესაბამისად, გადმოეცათ (აღეწერათ) ემოციები. ამ დროს მეცნიერები კომპიუტერის საშუალებით აკვირდებოდნენ ცდისპირთა „მომუშავე" ტვინს. მოზარდი ცდისპირები მოცემულ ამოცანას ასრულებდნენ ტვინის იმ სფეროში, რომელსაც „Amygdala" ჰქვია. ტვინის აღნიშნული სფერო გამოირჩევა გადაწყვეტილებათა ემოციურად და სწრაფად მიღებით. ზრდასრული ადამიანები იმავე ამოცანას ასრულებდნენ უფრო მეტად განვითარებულ და იერარქიულად „Amygdala"-ზე მაღლა მდგომ ტვინის სფეროში, სახელწოდებით „frontalen Cortex". მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარდატეხის პერიოდში მოზარდებს არ შესწევთ ემოციების ზუსტად აღქმის უნარი და რეაგირებენ იმპულსურად.[38]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გარდატეხის პერიოდში საქმე გვაქვს მოზარდის არა მარტო სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან, არამედ მის სულიერ ღირებულებათა კონფლიქტთან. მოზარდი საკუთარი თავისა და „მე„-ს გამოჩენის მიზნით ხშირად ჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. იმის მიუხედავად, რომ ყველა სახის დანაშაულთან მიმართებაში პურბერტეტის, სოციალიზაციის და დამნაშავეობის კავშირი ბოლომდე გამოკვლეული არ არის, უდავოა, რომ ძალადობრივი ხასიათის და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები არასრულწლოვანში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების და სოციალური პრობლემებიდან მომდინარეობს.[39] სწორედ გარდატეხის პერიოდში მოზარდში მიმდინარე ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების გამო, რაც თავისთავად გარკვეულ ასაკთან არის დაკავშირებული, საუბარია მოზარდის (არასრულწლოვნის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებაზე. კერძოდ, გარდატეხის პერიოდში მოზარდის რთული მდგომარეობის გამო ვსაუბრობთ მის შეზღუდულ შერაცხადობაზე.

---

36 დიმიტრი უზნაძის აზრით, იმპულსური მოქმედება „სუბიექტის ცნობიერი წარმართვის გარეშე მიმდინარეობს: მათ უფრო ის სიტუაცია განსაზღვრავს, რომელშიც სუბიექტს თავისი მოქმედების გაშლა უხდება„, უზნაძე დ., 2006, გვ. 173.

37 Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S. 5; Paasch, E., 2001. S. 373.

38 http://www.planet-wissen.de/pw. 2008 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობა.

39 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 8.

3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება

არასრულწლოვნის ან მოზარდის ზოგადი ცნება არ არსებობს. მოზარდობის, ანუ არასრულწლოვნობის, ასაკი არის ბავშობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. არასრულწლოვნის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და იგი მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია (ნაყოფია).[40]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი.

ამკ-ს მესამე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკია თოთხმეტი წელი, ხოლო მაქსიმალური თვრამეტი წელი. 18-21 წლამდე მოზარდის მიმართ ასევე ვრცელდება ამკ-ს 38-48 მუხლის ნორმები.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც: ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული; ბ) შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და 100 მუხლებით, 116-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 150-ე მუხლის 2 ნაწილით, 1533 მუხლის მე-2 ნაწილით, 1536 მუხლის მე-2 ნაწილით, 1552, 157-ე და 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 173-ე მუხლით, 1741 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 17415 მუხლის მე-4 ნაწილით, 1752, 1771 და 178-ე მუხლებით და 1811 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; გ) გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ან ამ ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის ქვეშ იგულისხმება 14-17 წლის მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენა.[41]

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 15 წლიდან 24 წლამდე ადამიანების საერთო რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 725 ათასს, მთელი მოსახლეობის (4383000) 16,8 პროცენტს.[42]

4. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებანი

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მოზარდთა დანაშაულს ხშირად იხსენიებენ, როგორც საზოგადოების განუკურნებელ სენს, რომელიც მხოლოდ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკით შეიძლება დამარცხდეს. მედიის საწინააღმდეგოდ, კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არასრულ-

40 Göppinger, H., 2008. S. 381.

41 იხ. ღლონტი გ. (რედ.), 2008, გვ. 290.

42 www.statistics.ge 2009 წლის 30 მარტის მდგომარეობით.

წლოვანთა დანაშაული მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ნაკლები ეკონომიკური ზარალისა და საშიშროების მქონე დანაშაულად,[43] რომელიც ნორმალური მოვლენაა, გავრცელებულია საზოგადოების ყველა ფენაში და ახასიათებს ეპიზოდურობა. გარდა ამისა, ისინი სპონტანურად, წინასწარი დაგეგმვის გარეშეა ჩადენილი და მისი მონაწილენი დაბალი კრიმინალური ენერგიით გამოირჩევიან.

მოზარდების მხრიდან არასრულწლოვანთა დანაშაულის ასე გამუქება შესაძლებელია განპირობებული იყოს ორი კომპონენტით:

- უფროსების პედაგოგური დამოკიდებულებით უმცროსების მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ უფროსებს უნდათ უმცროსებმა მათ დაუჯერონ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც უმცროსი უფროსს არ უგონებს, მის საქციელზე უფროსის სიბრაზე ერთიორად მატულობს, შესაბამისად, დიდია გაბრაზებული და შეურაცხყოფილი უფროსისაგან უმცროსის მიერ ჩადენილი ქმედების გამუქება;
- უფროსების მიერ განტევების ვაცად იქცევა მოზარდი დამნაშავე, რომელმაც სხვათა ბრალეულობის გამოც უნდა აგოს პასუხი. დამნაშავის დასჯით საზოგადოება უარყოფს თავის როლს მოზარდის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში და თავისი ბრალეულობა დანაშაულის ჩამდენ პირზე გადააქვს.[44]

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასრულწლოვანთა დანაშაული არის ნორმალური მოვლენა, ახასიათებს ეპიზოდურობა და საზოგადოების ყველა ფენაშია გავრცელებული. განვიხილოთ თითოეული მახასიათებელი ცალ-ცალკე:

4.1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ნორმალურობა

არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევამ დაადასტურა, რომ არასრულწლოვანთა მიერ ლატენტური დანაშაულის ხვედრითი წილი ქვეყნის ლატენტურ დანაშაულობათა ყველაზე დიდი ნაწილია,[45] იმის მიუხედავად, რომ ისინი (მოზარდები) ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 16-18 პროცენტს შეადგენენ. არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების გამო საზოგადოების *ნორმალური* გამოვლინებაა,[46] ანუ თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს კანონის ნორმა დარღვეული.[47]

შესაბამისად, საზოგადოებისათვის პრობლემას წარმოადგენენ არა არასრულწლოვანი დამნაშავეები, არამედ სერიული არასრულწლოვანი დამნაშავეები – „minderjäriger Intensivtäter", „chronic offender"[48] – რომელთა მიმართ სახელმწიფომ მოქნილი პრევენციული ღონისძიებები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს.

---

43 Albrecht, P.-A., 2005. S. 12.
44 Kaiser, G., 1996. S. 273.
45 Schneider, H.J., 1987. S. 603.
46 Albrecht, P.-A., 2005. S. 4.
47 Kaiser, G., 1985. S. 225-228.
48 Albrecht, P.-A., 2005. S. 4.

4.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ყველა საზოგადოებაში გავრცელება

არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების გამო, სტატისტიკური (ლატენტური) მონაცემების თანახმად, გარდა იმისა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ნორმალური მოვლენაა, იგი *ყველგან და ყოველთვისაა გავრცელებული* (Ubiquität). Ubiquität (lat.) – გულისხმობს ღმერთის ყველგან და ყოველთვის არსებობას – გავრცელებულია საზოგადოების ყველა სოციალურ ფენაში.[49] არასრულწლოვანი დამნაშავე შესაძლებელია „საჩვენებელი ოჯახის" შვილიც იყოს.[50]

გერმანიაში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მოზარდები, იმის მიუხედავად, თუ რომელ სოციალურ ფენას განეკუთვნებიან ისინი, ერთხელ მაინც არღვევენ კანონს. მაგალითად, კირხჰოფის მიერ 70-იან წლებში ჩატარებულმა 976 სკოლის მოსწავლეებისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების გამოკითხვამ აჩვენა, რომ, კანონდარღვევის თვალსაზრისით, მათ შორის დიდი განსხვავება არც კი იყო.[51]

მეცნიერთა ერთი ნაწილი არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავისებურების ამ ორ კომპონენტს – ნორმალურობასა და ყველგან და ყველა დროში გავრცელებულობას ერთ კონტექსტში განიხილავს,[52] თუმცა ვფიქრობთ, რომ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ნორმალურობა მიუთითებს არასრულწლოვნის მიერ ასაკის გამო დანაშაულის ჩადენას, ხოლო ყველგან და ყველა დროში გავრცელებულობა კი – საზოგადოების ყველა სოციალური ფენის არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას. ეს ორივე თავისებურება არასრულწლოვანთა გამოკითხვებს ეყრდნობა.

4.3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეპიზოდურობა

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული *ეპიზოდური ხასიათისაა*,[53] ანუ მოზარდმა დანაშაული შესაძლებელია ჩაიდინოს ნებისმიერ დროს – გარდატეხის ასაკიდან მის სრულად ჩამოყალიბებამდე. გარდატეხის პერიოდთან ერთად არსებობს მოზარდის სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები, როცა მან შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს გარდატეხის ასაკში, ხოლო სოციალიზაციის დასრულების შემდეგ აღარ ჩაიდენს დანაშაულს.[54]

კრუგერის მიერ შლესვიგ-ჰოლშტეინში (გერმანიის ერთ-ერთი ფედერალური მინა) ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ 1977 წლიდან მოყოლებული, ექვსი წლის განმავლობაში, პოლიციის მიერ რეგისტრირებულ იქნა 10-დან 22 წლამდე ასაკის 2992 მოზარდი. მოზარდების ერთმა მესამედმა მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა დანაშაული, ხოლო, ვინც მეორედ ჩაიდინა დანაშაული, პოლიციის მიერ რეგისტრირებულ იქნა ერთ პროცენტზე ნაკლები, სულ რვა მოზარდი.[55]

49 Göppinger, H., 2008. S. 384.
50 Neubacher, F., 2014. S. 69.
51 Albrecht, P.-A., 2005. S. 18.
52 Walter, M., 2005. S. 228.
53 Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S. 11; Walter, M., 2005. S. 332.
54 Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S. 11.
55 Krüger, H., 1983. S. 326.

ვეშკემ და კრაუზემ გამოიკვლიეს ბერლინში 1953 წელს დაბადებული მოზარდები. მოზარდების ნახევარი, 21 წლამდე ასაკის, ერთხელ მაინც იყო პოლიციის მიერ რეგისტრირებული. მოზარდების 70 პროცენტი მეორედ პოლიციაში რეგისტრირების შემდეგ წყვეტდა „დამნაშავის კარიერას" და ჩვეულებრივ ცხოვრებას უბრუნდებოდა. მკვლევრების აზრით, საქმე გვაქვს მოზარდის განვითარების ისეთ ფაზასთან, როდესაც ისინი დანაშაულს სჩადიან. მოზარდების დიდ ნაწილში კრიმინალურ ტენდენციებზე ან განვითარებაზე საუბარი ზედმეტია, მათ მიერ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ეპიზოდური ხასიათისა იყო და ზრდასრულობასთან ერთად გაქრა.[56]

ბოლოდროინდელმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოზარდების მხოლოდ 1,8%-ია პოლიციის მიერ ხუთჯერ ან მეტჯერ რეგისტრირებული, როცა მოზარდების 73% მხოლოდ ერთხელ, ხოლო 90% ერთხელ ან ორჯერ არის რეგისტრირებული.[57]

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივი ქმედებები ადამიანში მატულობს 14-დან 21 წლამდე პერიოდში, რაც მისი სირთულეებით აღსავსე გარდატეხის პერიოდითა და სოციალიზაციით აიხსნება.[58] დანაშაულებრივი ქმედებები უმაღლეს ზღვარს აღწევს 16-დან 18 წლამდე ასაკში. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ან კრიმინალური კარიერის პირებთან ან პირებთან, რომლებიც პირველად ჩადიან დანაშაულს.

გერმანიის ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა კარგად აჩვენებს მოზარდთა დანაშაულობის ეპიზოდურ ხასიათს. ბრალდებულთა პროცენტული მაჩვენებელი ასაკის მიხედვით მატულობს სწორედ "რთული ცხოვრების ფაზის" – გარდატეხის პერიოდის – 16-24 ასაკის დროს და შემდეგ ნელ-ნელა კლებას განიცდის.[59]

ადამიანის სრული ჩამოყალიბება (მუდმივი სამსახური, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობა) მთავრდება 25-30 წლის ასაკში.[60] თუ ადამიანმა ამ ასაკს მიაღწია ისე, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული, მაშინ მისი დამნაშავედ გახდომის ძალიან მცირე შანსი არსებობს. სახელმწიფო სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა იყოს სწორედ იმ კუთხით მიმართული, რომ ფართოდ იქნეს ალტერნატიული ღონისძიებები შეთავაზებული და გამოყენებული, რათა მოზარდმა შეძლებისდაგვარად უპრობლემოდ გადალახოს გარდატეხის პერიოდით გამოწვეული სირთულეები, არ მოხვდეს ციხეში, არ მოხდეს მისი გაკრიმინალება და გარდატეხის პერიოდის დასრულების შემდეგ გააგრძელოს ნორმალური ცხოვრების რიტმი. სახელმწიფო ვალდებულია მოზარდებს გარდატეხის პერიოდთან დაკავშირებული პრობლემები უმტკივნეულოდ გადაალახვინოს, რათა არ მოხდეს მათი კრიმინალად სტიგმატიზირება და მათ სამომავლო არაკრიმინალური ცხოვრებისეული შანსები შეუნარჩუნდეთ.[61]

56 Weschke, E. (Hrsg.), 1989. S. 240.
57 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 11.
58 Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S. 11.
59 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 11.
60 Ostendorf, H., 2013. S. 226.
61 Neubacher, F., 2014. S. 69.

5. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია

პროფესორი გოძიაშვილი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ძირითად გამომწვევ მიზეზებად ასახელებს მათი ცხოვრების ოთხ ძირითად სფეროს: სწავლა, შრომა, ყოფა და დასვენება:[62] 1) განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, დაქვეითებული ინტერესი სწავლის მიმართ, ინტერესთა და მოთხოვნილებათა პრიმიტიული ხასიათი; 2) ჰიპერბოლიზებული (გაზვიადებული) სწრაფვა სიამოვნების მიღებისაკენ, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ, იარაღისაკენ, უქმი დროსტარებისაკენ და ქცევის სხვა ასოციალური ფორმებისაკენ; 3) ფსევდომორალურ-სამართლებრივი ღირებულებები არ გამოირჩევა საკმარისი სიღრმითა და სიმყარით, რაც განაპირობებს არასრულწლოვან დამნაშავეთა ქცევის დამოკიდებულებას სიტუაციის მაპროვოცირებელ გავლენაზე, მსხვერპლის ქცევაზე, დანაშაულის, ხშირ შემთხვევაში, ასაკით უფროსი მონაწილეების ნაქეზებაზე, ასოციალურ გარემოზე; 4) სულიერი სფეროს სიღარიბე, გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, მომატებული აგრესიულობა, თანატოლებთან ურთიერთობისას უკომპრომისობა, ორიენტაცია უხეშ ძალაზე, სწავლისა და სპორტის მიმართ სისტემატური ინტერესის უქონლობა; 5) განათლების, ზოგადი კულტურისა და სამართალშეგნების დეფექტების დამოკიდებულება ოჯახურ არაკეთილგანწყობაზე და გარემომცველ ყოფის უარყოფით გავლენაზე; 6) ორიენტაცია იმავე სოციალური სტატუსის პროფესიათა შერჩევაზე, რომელიც აქვთ არასრულწლოვანთა ოჯახური გარემოცვის წევრებს. ეს, როგორც წესი, ის პროფესიებია, რომლებიც არ მოითხოვს დიდი განათლების ან მაღალი კვალიფიკაციის შეძენას, მაგრამ იძლევა შედარებით მაღალი შემოსავლის მიღების საშუალებას (მძღოლი, მუშა და სხვა).[63]

ზემოაღნიშნული თავისებურებების არსებობა, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას, მაგრამ იმ ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელშიც არასრულწლოვანი გარდატეხის პერიოდში იმყოფება და რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, მოზარდის ნებით თუ უნებლიეთ ახლავს ისეთი ფაქტორები, რომლებიც მოზარდის ბიოლოგიური განვითარების შედეგია და რომლებზეც მიუთითებს პროფესორი გოძიაშვილი, მაგალითად: დაქვეითებული ინტერესი სწავლის მიმართ, გაზვიადებული სწრაფვა სიამოვნების მიღებისაკენ, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ, იარაღისაკენ, უქმი დროსტარებისაკენ, დანაშაულის ჩადენაში ასაკით უფროსი მონაწილეების ნაქეზება, სულიერი სფეროს სიღარიბე, გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, მომატებული აგრესიულობა, თანატოლებთან ურთიერთობისას კომპრომისის შეუძლებლობა, ორიენტაცია უხეშ ძალაზე.

---

62 გოძიაშვილი ი., 1998, გვ. 189-190.

63 არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია, იხ. აგრეთვე ღლონტი გ. (რედ.), 2008, გვ. 292.

მოზარდის მიერ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები



საზოგადოებრივი პირობები

6. არასრულწლოვანი სერიული დამნაშავის პროფილი

მრავალწლიანმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მოზარდი ერთხელ მაინც სჩადის კანონდარღვევას, თუმცა ამ უკანონო ქმედების მხოლოდ ერთი ნაწილი (მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული) თუ ხდება პოლიციისათვის ცნობილი.[64] შესაბამისად, პოლიციას უფრო ცოტა პირის დადგენა შეუძლია ბრალდებულის სახით.

დამნაშავის კრიმინოლოგიური კვლევისათვის უფრო მნიშვნელოვანია იმ პირების იდენტიფიკაცია და რესოციალიზაცია, რომლებიც რამდენიმე დანაშაულს ჩაიდენენ. მოზარდები, რომლებიც სერიულად, ანუ სისტემატურად სჩადიან დანაშაულს, დიდი საფრთხის წინაშე დგანან, რომ მათგან ჩამოყალიბდება ნამდვილი დამნაშავე და შეიქმნიან კრიმინალურ კარიერას (ცხოვრების წესი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედებებით თავის რჩენას ემყარება).

სწორედ ამიტომ, მართებული იქნება ისეთ დამნაშავეებზე აქცენტის გაკეთება, რომლებიც რამდენიმე დანაშაულის ჩადენით გამოირჩევიან, ანუ სერიულ დამნაშავეებად იწოდებიან და უფრო მაღალი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ისინი კვლავ ჩაიდენენ დანაშაულს და კრიმინალურ კარიერას

64 შალიკაშვილი მ., 2011ა. გვ. 30.

დაადგებიან, რაც საშიში გახდება საზოგადოებრივი თანაცხოვრებისათვის.

მოზარდი დამნაშავის მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭიროა, პირველ რიგში, დავახასიათოთ იგი (მოზარდი), როგორც ინდივიდი და განვიხილოთ მისი სოციალური გარემო.

6.1. არასრულწლოვანი სერიული დამნაშავის ინდივიდუალური პროფილი

არასრულწლოვანი სერიული დამნაშავის ინდივიდუალური პროფილის განხილვისათვის უნდა შევეხოთ მის ინტელექტის დონეს და იმპულსურობას.

ინტელექტის დონე

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ დამნაშავის ინტელექტსა და მის მიერ დანაშაულის ჩადენას შორის გარკვეული კავშირი არსებობს. დამნაშავეების ინტელექტის დონე (კვოტა) უფრო დაბალია, ვიდრე უდანაშაულო პირების. ეს არ გულისხმობს იმას, რომ დამნაშავეები „გონებაჩლუნგები ან ჭკუასუსტები" არიან და არ შეუძლიათ სისხლის სამართლის ნორმების დაცვა.

ეტიკეტირების თეორია ინტელექტის დაბალ დონეს ხსნის დამნაშავის ეტიკეტირებიდან გამომდინარე უარყოფით მოვლენებზე, რომელიც, პირველ რიგში, მის სწავლაზე აისახება. მაგალითად, პირს, რომელიც პოლიციამ დააკავა, მეტი სირთულე უჩნდება საზოგადოებაში (სკოლაში, უნივერსიტეტში, სპორტულ გაერთიანებაში) ინტეგრაციის პროცესში, რაც პირის ინტელექტის შესუსტებას იწვევს.[65]

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ პირები, რომლებიც სკოლაში არასაკმარისი სწავლის გამო ნალკები ინტელექტით გამოირჩევიან, ურთულდებათ საზოგადოებაში ინტეგრაცია, სამსახურის პოვნა არაკვალიფიციური განათლების გამო, რაც, თავის მხრივ, ზრდის იმის ალბათობას, რომ ასეთი პირი დანაშაულს ჩაიდენს. ხაზგასასმელია ასევე ის გარემოებაც, რომ ხშირად სწორედ მაღალი ინტელექტუალური დონე იწვევს დანაშაულის ჩადენას (პოლიტიკური და თანამდებობრივი დანაშაულები).[66]

იმპულსურობა

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ სერიული დამნაშავეები, ჩვეულებრივი დამნაშავეებისაგან განსხვავებით, იმპულსურობით გამოირჩევიან.

იმპულსურობა გულისხმობს ადამიანის ქმედებას სპონტანურ, უკონტროლო, უმრავლეს შემთხვევაში, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. იმპულსურობა შეიძლება იყოს როგორც მოზღვავებული ენერგიის, ისე საკუთარ იმპულსურობაზე არასაკმარისი კონტროლის შედეგი.[67]

მომეტებული იმპულსურობა გამოვლინდება, მაგალითად, ადამიანის რისკიანობაში, წინდაუხედავ ქცევასა და დაუფიქრებლად გადაწყვეტილების მიღებაში, „სულმოკლეობაში".

---

65 Meier, B.-D., 2007. S. 152.

66 Mergen, A., 1995. S. 187.

67 Nedopil, N., 2000. S. 160.

მომეტებული იმპულსურობა შესაძლებელია კანონის დარღვევაშიც გადაიზარდოს. ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში მომეტებული იმპულსურობა დიდობაში შეიძლება დანაშაულებრივ ქმედებებში გადაიზარდოს. „რთული ბავშვები", რომლებიც გამოირჩევიან გადამეტებული აღელვებულობით, გაუწონასწორებელი ხასიათით, ადვილად ბრაზდებიან და ბავშვურ აგრესიულობას ხშირად სიბრაზით გამოხატავენ, მოზარდობისა და დიდობის პერიოდში კრიმინალური ქცევის განხორციელებას ნაკლებად ერიდებიან.[68]

კრიმინალური კარიერის დასაწყისში ბევრი დამნაშავე პირი გამოირჩევა ყურადღების ნაკლებობითა და ჰიპერაქტიულობით.[69]

6.2. არასრულწლოვანი სერიული დამნაშავის სოციალური პროფილი

6.2.1. ოჯახი

დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური კვლევის დროს აუცილებელია დამნაშავის ოჯახური მდგომარეობის გაგება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანი პიროვნული განვითარების პროცესში ოჯახიდან ილებს მნიშვნელოვან იმპულსებს. ოჯახური ურთიერთობის დროს ადამიანები სოციალურ, ემოციურ და საკომუნიკაციო კომპონენტებს სწავლობენ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მათ შემდგომ განვითარებაში. დანაშაულის ჩადენის მიზეზების გამოკვლევის მიზნით კრიმინოლოგიამ დიდი ხნის წინ დაიწყო დამნაშავეების და არადამნაშავეების ერთმანეთთან შედარება და ანალიზი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მათი ოჯახური მდგომარეობის შედარებას, აღზრდის წესებს, მშობლებს შორის ურთიერთობას. კრიმინოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ოჯახურ მდგომარეობასა და მოგვიანებით პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ.[70]

ოჯახის მნიშვნელობა ძირითადად დამოკიდებულია მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაზე და ოჯახურ ატმოსფეროზე. არასისტემური აღზრდა და აღზრდის ძალისმიერი მეთოდები ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის ჩამოყალიბებაზე. ბავშვის განვითარებაზე ასევე ცუდად მოქმედებს მასზე კონტროლის ნაკლებობა, როდესაც ბავშვი საკუთარ თავს არის მინდობილი. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს მშობლების უპირატესობას შვილების აღზრდის საკითხში სახელმწიფო სტრუქტურებთან შედარებით. ზოგადად, მშობელს შეუძლია სახელმწიფო სტრუქტურებისაგან ჩაურევლად საკუთარი შეხედულებისამებრ აღზარდოს შვილი.[71] სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, რათა არ დასჭირდეს მშობლის აღმზრდელობით საქმიანობაში ჩარევა და მისი კონტროლი.[72] სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ აქვს მშობლის აღმზრდელობით საკითხში ჩარევის უფლება, თუ ბავშვის აღზრდას მშობელი არაჯე-

68 Meier, B.-D., 2007. S. 153.

69 იქვე.

70 იგივე, გვ. 154.

71 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfGE) 59, S. 363; Gröpl, Ch./Windthorst, K./von Coelln, Ch., 2013. S. 145.

72 Oberloskamp, H./Brosch, D./Brosey, D./Grühn, C., 2011. S. 3.

როვნად ანხორციელებს.[73]

კრიმინოლოგ გოძიაშვილის აზრით, არასრულწლოვან დამნაშავეთა სოციალურად მავნებელი თვისებების ფორმირების მთავარ ფაქტორს არაკეთილუზრუნველყოფილი ოჯახი წარმოადგენს. ამგვარი ოჯახებისათვის დამახასიათებელია დაქვეითებული პროფესიონალური, მატერიალური და საგანმანათლებლო-კულტურული დონე, შიდაოჯახური კონფლიქტები და ოჯახის უფროს წევრთა უარყოფითი დამოკიდებულება ქცევის სოციალურად მიღებული ფორმების მიმართ.[74]

შიდაოჯახურ კონფლიქტებსა და ოჯახურ ძალადობას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს როგორც ვაჟებზე, ასევე გოგონებზე. ამ მხრივ საინტერესოა სწავლების თეორიის ანალიზი. სწავლა დაკვირვების შედეგად ან დაკვირვებით სწავლა, რასაც სწავლების თეორია მოიაზრებს, გულისხმობს ცნობიერ და არაცნობიერ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგად ნასწავლი ქცევის გამეორებას. დაკვირვებით სწავლობენ პატარა ბავშვები, როდესაც ისინი აკვირდებიან თავიანთი მშობლების ან მათთან ახლოს მყოფი პირების საქციელს და ცდილობენ მათ მიბაძვას, იმეორებენ უფროსების ქცევას.[75]

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, თუ ქალიშვილი ხედავს, რომ მამა სისტემატურად აყენებს დედას ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას (ძალადობას), გათხოვების შემდეგ, თუ გოგონა იმავე სიტუაციაში აღმოჩნდება, ანუ მეუღლე მის მიმართაც გამოიყენებს ძალადობას, მისთვის (ქალისათვის) ადვილი იქნება ოჯახურ ძალადობასთან შეგუება და მისი მოთმენა.[76]

ოჯახური ძალადობის მხრივ საინტერესოა ამ ძალადობის მეორე ასპექტიც, კერძოდ, მოზარდებს ოჯახში ნასწავლი კონფლიქტის მოგვარების მეთოდი (დარტყმა, ცემა, დაყვირება) ქუჩაში გამოაქვთ და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას ძალადობის გამოყენებით ცდილობენ.[77]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში მშობლებს შორის ძალადობაზე დაკვირვებით მოზარდების ერთი ნაწილი სწავლობს დამნაშავის, ხოლო მეორე – დაზარალებულის ქცევას, რომელთაც ისინი შესაბამის სიტუაციებში იყენებენ.[78]

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობასთან ერთად ბავშვის განვითარებისას გასათვალისწინებელია ის სოციალური პირობები, რომელშიც ოჯახს უწევს ცხოვრება: სიღარიბე, საცხოვრებელი ადგილი, მშობლების სოციალური გარემო (ალკოჰოლიზმი, ნარკომანობა, უმუშევრობა, დამნაშავეობა), ოჯახის წევრების რაოდენობა. შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ერთ-ერთის არსებობამ ბავშვის ნეგატიურად განვითარებაზე რაიმე სახის გავლენა არ მოახდინოს, რამდენიმე ამგვარი ფაქტორის შერწყმა კი ხშირად ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე, ვინაიდან ირღვევა ბავშვის აღზრდის, მისი კონტროლისა და

73 Größl, Ch./Windthorst, K./von Coelln, Ch., 2013. S. 151.
74 გოძიაშვილი ი., 1997, გვ. 37.
75 Schwind, H-D., 2008. S. 128.
76 Niesing, J., 1996. S. 104.
77 იხ. ქურხული ლ., 2006, გვ. 68, 75.
78 Schneider, U., 1987. S. 107.

მშობლებთან ემოციური კავშირის ერთიანი სისტემა, რაც, თავის მხრივ, მისი დამნაშავედ ჩამოყალიბების ალბათობას აძლიერებს.[79]

„რთულმა ბავშვებმა", რომლებიც გამოირჩევიან ჰიპერაქტიულობით, ხშირი უხასიათობით, ბრაზიანობითა და გაუწონასწორებლობით, შესაძლებელია მშობლებში ფრუსტრაცია და აგრესია გამოიწვიონ. ასეთი „რთული ბავშვების" მიმართ მშობლები ხშირად აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს იყენებენ, რამაც, თავის მხრივ, მოგვიანებით მოზარდის დანაშაულებრივ საქციელზე გამაძლიერებელი ეფექტი შეიძლება იქონიოს (კონფლიქტის ოჯახში ნასწავლი „წესებით" მოგვარება).[80]

მოზარდისათვის ოჯახი არის არა მხოლოდ საკუთარი იდენტიფიკაციის ადგილი, არამედ ერთგვარი ხიდიც მისი საზოგადოებრივი და სოციალური იდენტიფიკაციისათვის. ოჯახის სოციალური ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, მოზარდისათვის ჯანსაღი იდენტიფიკაციის შესაძლებლობის მიცემაა, რათა მან შეძლოს საზოგადოებაში თავის დამკვიდრება.[81] ოჯახი ითვლება მოზარდის სოციალიზაციის პირველ წყაროდ.[82]

ამ მხრივ დიდი როლი ენიჭება როგორც მშობლებსა და შვილებს შორის ან მშობლებს შორის ურთიერთობას, ასევე ოჯახის შემადგენლობას.

„ოჯახის შემადგენლობა და მშობლის ემოციური განწყობა პირდაპირ უკავშირდება ბავშვის სულიერ მდგომარეობას და მასში გამოხატულებას პოულობს მოჭარბებული აგრესია და სხვა ემოციური დარღვევები,"[83] რაც ხშირად შეიძლება გამოიხატოს კანონით დადგენილი ნორმების დარღვევაში.

კრიმინოლოგიური დისკუსიის საგანია ასევე დანგრეული ოჯახის როლი ბავშვის კრიმინალად ჩამოყალიბებაში.[84] შესაძლებელია, დანგრეულმა ოჯახმა (broken-home) პირდაპირი მნიშვნელობით ბავშვის დამნაშავეობა არ გამოიწვიოს, მაგრამ მშობლების გაყრა შეიძლება მოგვეევლინოს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის ხელშემშლელ ფაქტორად, რაც, თავის მხრივ, ბავშვს დიდ ემოციურ ზიანს აყენებს.[85]

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დანგრეულმა ოჯახებმა შეიძლება დანაშაულის ჩადენას შეუწყოს ხელი.[86]

Broken home – არასრული ოჯახი, ანუ ისეთი ოჯახი, რომელიც სტრუქტურულად არასრული და არაორგანიზებული ან „დანგრეულია", ზოგადად უფრო მეტად დგას დანაშაულის ჩადენის რისკის წინაშე და შესაბამისად, ასეთი ოჯახებიდან გამოსული მოზარდები უფრო ხშირად ხდებიან დამნაშავეები.[87]

მშობლების გაყრა ან ერთ-ერთი მშობლის სიკვდილი იწვევს ოჯახის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას. ამ დროს ბავშვები

---

79 Meier, B.-D., 2007. S. 156.

80 იქვე.

81 Hellmer, J., 1978. S. 79.

82 Bauer, G./Winkler von Mohrenfels, K., 1985. S. 9.

83 ქურხული ლ., 2006, გვ. 72.

84 Schwind, H-D., 2008. S. 374.

85 Meier, B.-D., 2007. S. 155; კვირიკაშვილი, ბ./ანდღულაძე, თ., 2000, გვ. 101.

86 Tekles, H., 1998. S. 15-20.

87 Lamnek, S., 1985. S. 99; Schneider, H.J, 1987. S. 651.

არასასურველად მიიჩნევენ მშობლის ხელმეორედ დაქორწინებას.[88]

მაგრამ მხოლოდ მშობლების გაყრა ან ერთ-ერთი მშობლის სიკვდილი არ არის დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევი, მნიშვნელოვანია აგრეთვე მოზარდის სოციალური გარემო და მისი სოციალიზაცია.[89]

ოჯახის დაშლის შემდეგ, როდესაც მშობლები კონტაქტს არ წყვეტენ და შვილების პრობლემებს ერთად აგვარებენ, უკანასკნელნი შედარებით იოლად ეგუებიან შექმნილ სიტუაციას. ეს უფრო მნიშვნელოვანია ვაჟებისათვის, რადგან მამასთან ემოციური კავშირის დამყარება მათთვის უფრო იოლია[90] და შესაბამისად, ამ კავშირის განყვეტამ შეიძლება უარყოფითი ემოციები წარმოქმნას მათში, რაც დანაშაულებრივ ქმედებებში შეიძლება გადაიზარდოს.

ზოგადად, საუბარი არასრული ოჯახებიდან გამოსული მოზარდების დანაშაულებრივ საქციელზე შეუძლებელია. იგი დამოკიდებულია მშობლის სამუშაო დროის განაწილებაზე (ნახევარი თუ მთელი განაკვეთი), მოზარდის წლოვანებაზე, ოჯახში არსებულ სოციალურ გარემოზე, მეგობრების სოციალურ წრეზე და ა. შ.[91]

6.2.2. სკოლა

ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად, მასზე ზეგავლენის მოხდენის თვალთახედვით, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მისი სოციალიზაციის სხვა ინსტანციებსაც: სკოლას, სამეგობრო წრეს და მასობრივი მედიის საშუალებებს.

სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის აღზრდის საკითხში. პროგრამული სწავლების გარდა, იგი მოზარდის მორალურ მხარესაც უნდა ავსებდეს და ამდიდრებდეს. სკოლაში უნდა ასწავლიდნენ ასევე ისეთ ღირებულებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანთა თანაცხოვრების, მოზარდის პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარებისათვის.[92] სხვისი პატივისცემა და სხვისი უფლებების დაცვა (არ შელახვა) დამოკიდებულია აღზრდისგან მიღებულ ღირებულებებზე.

კრიმინოლოგიური კვლევების დროს დიდი ყურადღება ექცევა საგანმანათლებლო დაწესებულებებს – სკოლებს, ვინაიდან სკოლა ის ინსტანციაა, რომელიც სახელმწიფოს დიდი მატერიალური რესურსების მობილიზაციასთან არის დაკავშირებული, და რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი ბავშვისა და მოზარდის აღზრდა-განათლება და პიროვნული განვითარებაა.[93]

სკოლა, სადაც ბავშვები დღის გარკვეულ ნაწილს (20-30%-ს) ატარებენ, კრიმინოლოგიური კვლევისათვის საინტერესოა იმაზე საპასუხოდ, არსებობს თუ არა განსხვავება დამნაშავე და არადამნაშავე მოზარდებს შორის სასკოლო ქცევაში ან სასკოლო მიღწევებში?

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოზარდები, რომლებიც

88 Lamnek, S., 1985. S. 101.
89 იქვე.
90 ქურხული ლ., 2006, გვ. 74.
91 Lamnek, S., 1985. S. 102.
92 Walter, M., 2005. S. 107.
93 იქვე.

მოგვიანებით დანაშაულებრივ გზას დაადგნენ, სკოლის პერიოდში თავიანთი საქციელით ხშირად თვალშისაცემი ხდებოდნენ.[94]

სკოლის პერიოდში იმ მოზარდების „თვალშისაცემობა", რომლებიც მოგვიანებით დამნაშავეები გახდნენ, გამოიხატებოდა სამი კომპონენტით:[95]

1. სკოლაზე უარყოფითი წარმოდგენა (დამოკიდებულება). დამნაშავეებს ხშირად სკოლაზე უარყოფითი წარმოდგენა (დამოკიდებულება) აქვთ, რაც გამოიხატება სასკოლო მასალისა და სასკოლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიმართ უინტერესობით. ბავშვის უინტერესობის მიზეზი ზოგიერთ შემთხვევაში სოციალური (ნარკომანი, ლოთი მშობლები) და ეკონომიკური (სკოლის წიგნების შეძენის შეუძლებლობა უსახსრობის გამო) საფუძვლები შეიძლება იყოს.

2. სასკოლო საგნებისა და სკოლის პერსონალის მიმართ აგრესიული დამოკიდებულება. დამნაშავეები სასკოლო ასაკში ხშირად გამოირჩევიან სასკოლო საგნებისა და სკოლის პერსონალის მიმართ აგრესიული დამოკიდებულებით, რისი შედეგიც არის გაკვეთილების ჩატარებისათვის ხელის შეშლა, სკოლის ინვენტარის დაზიანება-განადგურება.

3. სკოლაში ცუდი ნიშნების მიღება. სერიული დამნაშავეების უმრავლესობა გამოირჩევა ცუდი სასკოლო ნიშნებით, რაც, თავის მხრივ, იწვევს კლასში ჩარჩენას ან/და სკოლის დატოვებას (გამოცვლას), რის გამოც ბავშვი იძულებულია შეეგუოს ახალ სოციალურ გარემოს, თანატოლებს, მასწავლებელს, რაც ასევე უარყოფით გავლენას ახდენს მის პიროვნულ განვითარებაზე.

კრიმინოლოგიაში დისკუსიას იწვევს სკოლის გაცდენის ურთიერთობის საკითხი დანაშაულის ჩადენასთან.[96] იმ პირებს, რომლებიც მოგვიანებით დამნაშავეები გახდნენ, ახასიათებდათ სკოლის ხშირი გაცდენა. სკოლის გაცდენა გამოწვეულია როგორც მოსწავლის მიერ სასკოლო მასალისადმი უინტერესობით, ასევე სასკოლო დავალებებისგან თავის არიდებით. სკოლას, როგორც მოზარდის სოციალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტიტუტს, შეუძლია მოზარდი ჩამოაყალიბოს როგორც დამნაშავედ, ასევე არადამნაშავედ. კერძოდ, სკოლის პერიოდში ბავშვის მიერ გაკვეთილების გაცდენა ან ცუდი ნიშნების მიღება თუ გამოინვევს მის ეტიკეტირებას, როგორც არაფრის შემძლე მოზარდისა, რომელმაც მასწავლებლის მოთხოვნებს თავი ვერ გაართვა, შესაძლოა მოსწავლეს უბიძგოს იქითკენ, რომ მან „თავი შეაფაროს" იმ სოციალურ გარემოს, სადაც მისი ღირებულებები (სკოლის გაცდენა, ცუდი ნიშნები) მიღებულია, ხოლო ეტიკეტირებული მოზარდის სოციალური გარემოდან დანაშაულის ჩადენამდე ხშირად ერთი ნაბიჯია დარჩენილი.[97] ამდენად, სკოლაში მოზარდის საქციელს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შემდგომი ცხოვრების გზაზე. მოზარდის სწავლისათვის მნიშვნელოვანია ოჯახური სიტუაცია, მის სწავლაზე კონტროლი, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობა.

---

94 Bereswill, M./Greve, W. (Hrsg.), 2001. S. 119.

95 Meier, B.-D., 2007. S. 157.

96 Göppinger, H., 1983. S. 60.

97 Lamnek, S., 1985. S. 147.

სკოლის პერიოდში მოზარდთა უინტერესობა იწვევს მათი სასკოლო განათლების გარეშე დარჩენას, რაც აფერხებს პროფესიული განათლების მიღებას და ხელს უშლის მათ შემდგომში სამსახურის მოძიება-დაწყებას.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სკოლაში ბავშვთა ძალადობის საკითხი. იუნისეფის (გაეროს ბავშთა ფონდის) მიერ 2007-2008 წლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 93 სკოლის 11-დან 17 წლამდე ასაკის 1300 გამოკითხული მოსწავლის 77,5% სკოლაში თავს „ყოველთვის" უსაფრთხოდ გრძნობს, 17,2% – „ჩვეულებრივ", 3,9% – „ზოგჯერ", ხოლო 1,4% არასოდეს გრძნობს თავს უსაფრთხოდ სკოლაში.[98] პირველ რიგში, საკითხავია, თუ როგორ შეიძლება გაგებულ იქნეს კითხვა „სკოლაში მოსწავლე ჩვეულებრივ უსაფრთხოდ გრძნობს თავს?" „თავის უსაფრთხოდ გრძნობა" წმინდა სუბიექტური ხასიათის საკითხია და ვფიქრობთ, თუ მოსწავლე ყოველთვის უსაფრთხოდ არ გრძნობს თავს, მაშინ მას აწუხებს აზრი, რომ შესაძლებელია მასზე განხორციელდეს გარკვეული სახის ძალადობა. მოცემული გამოკითხვის შედეგებს შესაძლებელია ორი მხრიდან შევხედოთ: პირველი, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა – 77,5% – თავს სკოლაში უსაფრთხოდ გრძნობს და მეორე, რომ ყოველი მეოთხე-მეხუთე მოსწავლე სკოლაში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. თუ იმ მოსწავლეების (22,5%) უმრავლესობა, რომლებიც თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ ვაჟები არიან, მაშინ სკოლის უსაფრთხოებაზე საუბარი არ შეიძლება, ვინაიდან ეს 22,5% არის პრობლემური ჯგუფი მოსწავლეებისა, რომელთაც შეიძლება თავის დასაცავად სკოლაში ცივი იარაღი (დანა) დააქვთ და საფრთხეს უქმნიან თანასკოლელების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მეტად საინტერესოა სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით ქვეყნის ყველა მოქალაქეს აქვს ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება. შესაბამისად, სკოლის მოსწავლის ფიზიკური დასჯა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-16 მუხლს და არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ბავშვის ინტერესით.[99]

ბოლო წლებში საჯარო სკოლებთან ერთად შემოვიდა კერძო სკოლები. კერძო და საჯარო სკოლის შედარება კერძო სკოლების უპირატესობისკენ იხრება: ნაკლები მოსწავლე კლასში, თანხის გადახდის გამო მშობლების მეტი დაინტერესება სასწავლო პროცესით და შვილის სასკოლო მოსწრებით, მასწავლებლების უკეთესი ანაზღაურება და მოტივაციის უფრო მაღალი დონე, კარგი მენეჯმენტი და ტექნიკური თუ სასწავლო რესურსის უკეთესი ბაზა. საჯარო და კერძო სკოლის კონკურენცია უახლოეს მომავალში თვალსაჩინო გახდება მოსწავლეთა სასკოლო მოსწრების და კარიერული წარმატების მხრივაც.

საჯარო სკოლამ აუცილებელია დაიბრუნოს თავისი ჩვეული როლი და კონკურენცია გაუწიოს კერძო სკოლას. თუ საჯარო სკოლამ ვერ შესძლო

---

98 იხ. გაეროს ბავშთა ფონდის (იუნისეფის), საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა 2007-2008.

99 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი, 2013. გვ. 100. (მუხლი 16, გოცირიძე, ე.)

კონკურენციის გაწევა 10-15 წლის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი ელიტა, კერძო სკოლადამთავრებულების, რომელთაც უკეთესი სასკოლო განათლება მიიღეს, შესაბამისად, უკეთეს უმაღლეს განათლებას ეზიარებიან და კარიერულ წინსვლას სწრაფად გაივლიან. საჯარო სკოლადამთავრებულების დიდი ნაწილი, ვერ შეძლებს კერძო სკოლადამთავრებულებისათვის კონკურენციის გაწევას და თუ მათ სახელმწიფო პროფესიულ განათლებას არ შესთავაზებს, ისინი (საჯარო სკოლადამთავრებულები) დიდი ალბათობით ქუჩაში აღმოჩნდებიან და საკუთარი თავის აღიარებისა და დამკვიდრებისათვის კრიმინალური სუბკულტურა შექმნას (იხ. ქოენის სუბკულტურის თეორია).

6.2.3. თანატოლებთან ურთიერთობა

სასკოლო განათლებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის თანატოლებთან ურთიერთობას. თანატოლებთან კონტაქტი, ერთნაირი სურვილების ქონა, საერთო გამოცდილების მიღება, მეგობრების ყოლა მნიშვნელოვანი ფაქტორებია მოზარდის სოციალური კომპეტენციის განვითარებისათვის.[100]

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეგობრების წრე.[101] მოზარდის ისეთ პირებთან კონტაქტი, რომელთაც დანაშაული აქვთ ჩადენილი, დიდი ალბათობით გამოიწვევს მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენას.[102]

მას, ვინც ხშირად ჩადის დანაშაულს, ისეთი მეგობრები ჰყავს (სუბკულტურა, ბანდა), რომელთათვისაც კანონის დარღვევა (კრიმინალური ქმედება) ნორმალური საქციელია.

მშობლებისა და დედმამიშვილებისაგან განსხვავებით, მოზარდს თვითონ შეუძლია აირჩიოს მეგობრების წრე. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის წევრებთან კონფლიქტური სიტუაციები ხშირად ხელს უწყობს მოზარდის ისეთ სამეგობრო წრეში ჩართვას, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას მისდევს.[103]

გარდა ამისა, მშობლებთან კონფლიქტში მყოფი მოზარდისთვის სულერთი ხდება მასთან დაკავშირებული მშობლების მოლოდინები და სურვილები, შესაბამისად, სუსტდება სოციალური კონტროლი მშობლების მხრიდან. სამაგიეროდ, სულ უფრო ძლიერდება კავშირები სამეგობრო წრესთან, მეგობრების აზრი უფრო მნიშვნელოვანი ხდება მოზარდისთვის და შესაბამისად, ის ცდილობს სამეგობროს მოლოდინის გამართლებას. რიგ შემთხვევებში სწორედ ამით შეიძლება აიხსნას არასრულწლოვანთა მხრიდან ჯგუფური დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილება. აღნიშნული მოსაზრება გამყარებულია სოციალური კონტროლის თეორიებით, რომელიც დაწვრილებით არის განხილული წიგნის მომდევნო თავებში.

მეგობრების შერჩევის თვალსაზრისით მოზარდზე დიდ გავლენას ახ-

---

100 Meier, B.-D., 2007. S. 159.

101 Wetzels, P. /Enzmann, D., 1999. S. 129.

102 Dessecker, A. (Hrsg.), 2006. S. 69.

103 Wetzels, P., u.a., 2001. S. 274.

დენს მანამდე მისი სოციალიზაცია. მოზარდები ისეთ მეგობრებს ირჩევენ, რომელთა ძალადობრივი ქმედებები შეესაბამება მშობლების წარმოდგენას ძალადობაზე.[104]

სკოლიდან გარიყული და მშობლების კონტროლს მოკლებული მოზარდი თავშესაფარს თანატოლებში პოულობს. არასრულწლოვნები ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას აზარტით ხსნიან.[105] ბაძაღუა, უცხოელი კრიმინოლოგებისაგან განსხვავებით,[106] მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი ჯგუფური დანაშაული ხდება არა ჯგუფური ზეწოლით, არამედ ბავშვური ინტერესით, რაც პიროვნების გაუკუღმართებული ჩამოყალიბების შედეგია.[107]

ვფიქრობთ, „პიროვნების გაუკუღმართებულად ჩამოყალიბება" ხდება მანამ, სანამ იგი სხვა მოზარდებთან ერთად დანაშაულებრივ ჯგუფს შექმნის. მოზარდთა ჯგუფში სტატუსის მოპოვება-შენარჩუნებისათვის საჭიროა მოზარდმა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ჩაიდინოს დანაშაული, ანუ ჯგუფის მხრიდან გარკვეული ფსიქოლოგიური „ზეწოლა" აშკარაა, იმის მიუხედავად, „პიროვნების გაუკუღმართებულად ჩამოყალიბებას" დავაბრალებთ ამას თუ მოზარდის „ბავშვურ ინტერესს". ეს უკანასკნელი შესაძლებელია მოზარდს პირველი დანაშაულის ჩადენის დროს ჰქონდეს, მაგრამ თუ იგი ბავშვური ინტერესის დაკმაყოფილების შემდეგ მაინც სჩადის ჯგუფურ დანაშაულს, ეს ჯგუფის ზეგავლენაზე მიუთითებს. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ ჯგუფი მოზარდისათვის იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, მოზარდს ცნობიერად თუ არაცნობიერად, თუნდაც საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ, ხშირად იდენტიფიკაციის დაკარგვის შიშით, უწევს ჯგუფის ნორმებს დაქვემდებარება. ამდენად, ჯგუფს დიდი ზეგავლენა შეუძლია იქონიოს მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოზარდების ისეთ სამეგობრო წრესთან კონტაქტი, რომელიც დანაშაულს სჩადის, შესაძლებელს ხდის მოზარდების მხრიდან დანაშაულის ჩადენას.[108]

6.2.4. თავისუფალი დროის გატარება (კომპიუტერი, მასმედია)

თავისუფალი დროის ოპტიმალურად გატარებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დანაშაულის ჩადენის პრევენციის თვალსაზრისით. მოზარდების (და არა მარტო მათ) მიერ დანაშაულებრივი ქმედებები ხორციელდება თავისუფალ დროს, ე. ი. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ადამიანს არც ბიოლოგიური აუცილებლობა (ძილი, ავადმყოფობა) და არც მესამე პირისაგან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება არ უწევს (სკოლის მასწავლებელი, ოჯახის წევრი). ზემოაღნიშნულის გამო კრიმინოლოგიური კვლევა მიმართულია თავისუფალი დროის პერიოდში დანაშაულის ჩადენაზე.[109]

---

104 Wetzels, P. /Enzmann, D., 1999. S. 129.
105 ბაძაღუა მ., 1998, გვ. 89
106 Wetzels, P. /Enzmann, D., 1999. S. 129; Göppinger, H. 2008. S. 147.
107 ბაძაღუა მ., 1998, გვ. 90.
108 Meier, B.-D., 2007. S. 160.
109 იქვე.

დამნაშავეების მიერ თავისუფალი დროის გატარება, სხვა პირებისაგან განსხვავებით, გამოირჩევა სპონტანურობით, დაუგეგმაობით და სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედებით.[110]

კრიმინოლოგიური თვალთახედვით თავისუფალი დროის მნიშვნელობა განსხვავდება ოჯახური, სასკოლო და სამეგობრო გარემოსაგან, ვინაიდან იგი პირის განათლებისა და სოციალური განვითარების ინსტიტუციებს არ მიეკუთვნება.[111] პიროვნებას (მათ შორის დამნაშავესაც) უფლება აქვს ინდივიდუალურად, საკუთარი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს თავისუფალი დრო. თავისუფალი დროის კრიმინოლოგიურ კვლევას მხოლოდ ინფორმაციის მიღების ფუნქცია აქვს, რათა გამოიყენოს ზომები დანაშაულის განმეორებითი ჩადენის აღსაკვეთად (სპეციალური პრევენცია): თავისუფალი დროის როგორ გატარებას შეიძლება მოჰყვეს დანაშაულებრივი ქმედება?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 60 პროცენტი არ მუშაობს და არ სწავლობს,[112] რაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პრობლემების (სასკოლო ზედამხედველობის ნაკლებობა, მასობრივი უმუშევრობა, სწავლის უპერსპექტივობა, პროფესიული სასწავლებლების გაუქმება) გარდა, საზოგადოებრივ პრობლემებზეც მიუთითებს, კერძოდ, თავისუფალი დროის გატარების საკითხზე, ვინაიდან მოზარდს ხშირად თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების დროს აღეძვრება სწავლის ან მუშაობის სურვილი. მაგალითად, მოზარდს, რომელიც ბევრს მოგზაურობს ქართული კულტურის ძეგლების გასაცნობად, შესაძლებელია გაუჩნდეს სურვილი გახდეს არქეოლოგი, ეთნოლოგი ან იმუშაოს ასეთი კულტურული ძეგლების სარემონტო სამუშაოებზე.

ხელოვნება და აქტიური სპორტი თავისუფალი დროის გატარების ისეთი საშუალებებია, რომლებიც საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ არის აღიარებული, თუმცა ხშირად მოზარდთა დაინტერესებას ვერ ჰპოვებს, მაგალითად, თავისი სურვილით ცოტა მოზარდი თუ წავა ხელოვნების ან ეთნოგრაფიულ მუზეუმში. სპორტი ისეთივე სახის თავისუფალი დროის გატარების საშუალებაა, რომელსაც შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არსებობს. სპორტს მხოლოდ პროფესიონალი სპორტსმენები მისდევენ აქტიურად. თუ გადავხედავთ დედაქალაქის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებს, ისინი მხოლოდ პროფესიონალ სპორტსმენებს ავარჯიშებენ და მოზარდს, რომელსაც ფეხბურთის თამაში უნდა, ამას ვერ ახერხებს. მას აღარაფერი დარჩენია, გარდა ქუჩაში დროის გატარებისა, კინოში ან ბარში წასვლისა, ტელევიზორის ყურებისა და კომპიუტერის თამაშისა.

ქალაქში აშენებული სპორტული მოედნები, მაქსიმუმ, 10-12 მოზარდს იტევს და მხოლოდ ერთი სახის სპორტული თამაშისთვის არის განკუთვნილი (ფეხბურთი ან კალათბურთი). გარდა ამისა, ამ სპორტულ მოედნებზე მხოლოდ კარგ ამინდში შეიძლება თამაში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოე-

110 Göppinger, H., 1983. S. 89.
111 Meier, B.-D., 2007. S. 161.
112 იხ. www.supremecourt.ge

ბას, რომ ორმილიონიან თბილისში ფინანსურად ხელმისაწვდომი სულ რამდენიმე დახურული საცურაო აუზი არსებობს, მაშინ არავისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ რატომ დგანან მოზარდები მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში ან რატომ თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს ან უყურებენ სახლში ძალადობრივ ფილმებს, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვაგვარად იმოქმედონ არასრულწლოვანზე. ამ მხრივ საინტერესოა ძალადობრივი ქმედებების სატელევიზიო გადაცემებისა და კომპიუტერული თამაშების თეორიული საფუძვლების განხილვა.

კათარზისის თეორია: კათარზისის თეორიის თანახმად, სატელევიზიო აგრესია ხელს უწყობს ადამიანს აგრესიული ემოციებისაგან განმუხტვას. პირი, რომელიც აგრესიას ტელევიზორში უყურებს, თავს აიგივებს ეკრანზე გამოსახულ აგრესორთან და მის აგრესიულ ქმედებებს ისე აღიქვამს, როგორც საკუთარს. აგრესიული სიუჟეტის შედეგად იგი თავისუფლდება საკუთარი აგრესიისაგან.

კათარზისის თეორია 1969 წელს ჩამოაყალიბა Feschbach-მა.[113] ფროიდისეულ მოთხოვნილებათა შესახებ მოსაზრებას იგი საფუძვლად უდებს კათარზისის თეორიის ჩამოყალიბებას და ამბობს, რომ ფანტაზიური ქცევა უკურეაქციის ერთგვარი მექანიზმია, რომელიც ნანახი აგრესიის საფუძველზე საკუთარ აგრესიასთან იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა (ფანტაზიის დონეზე).[114]

Feschbach-მა კვლევების საფუძველზე დაადგინა, რომ 1. დიდი ხნის განმავლობაში (6 თვე) აგრესიული სატელევიზიო გადაცემების ყურება საკუთარი აგრესიული ქმედებების მომატებას არ იწვევს; და 2. დიდი ხნის განმავლობაში აგრესიული სატელევიზიო გადაცემების ყურება, საკუთარი აგრესიული ქმედებების კლებას და კონტროლს უწყობს ხელს.[115]

შეკავების თეორია (Inhibition): შეკავების თეორიის თანახმად, სატელევიზიო ძალადობა აკავებს საკუთარ აგრესიულ ემოციებს. მოცემული თეორია ეკუთვნის ავტორთა ჯგუფს, რომლის წარმომადგენელია Berkowitz.[116] მისი 1963 წელს გამოქვეყნებული შეკავების თეორია Feschbach-ის კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და საკუთარი ექსპერიმენტების შედეგია. Berkowitz-ის აზრით, აგრესიის შეკავება ხდება აგრესიის შიშის გამო. ეს შიში ძალადობის მიმართ ადამიანში წარმოიშობა აგრესიული ფილმების ყურებით.

სტიმულირების თეორია: სტიმულირების თეორიის თანახმად, სატელევიზიო სივრცეში ნანახი ძალადობა სტიმულის მიმცემია მნახველისათვის და ხდება აგრესიული ქცევის სწავლა. სტიმულირების თეორია ჩამოაყალიბეს ე. წ. Berkowitz-ის ჯგუფის წევრებმა 1966 წელს.[117] აღნიშნულ თეორიას მხა-

113 Feshbach, S., 1969.
114 Mattern, U., 1982. S. 308.
115 იქვე.
116 Berkowitz, L., et al., 1963. pg. 217-229.
117 Geen, R., et al., 1966. pg. 456-465.

რი დაუჭირა ალბერტ ბანდურამ, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა[118] სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე და დაადგინა, რომ დაკვირვებით (თუნდაც სატელევიზიო გადაცემებით) ბავშვები აგრესიულობას სწავლობენ. ნასწავლი აგრესიულობა დიდი ხნის განმავლობაშია მათი ქცევის შემადგენელი ნაწილი.

ფსიქოლოგმა ბანდურამ თავის თანამშრომლებთან ერთად მიმართა შემდეგი სახის ლაბორატორიულ ექსპერიმენტს: 3-დან 6 წლამდე 96 ბავშვი უყურებდა (აკვირდებოდა) ზრდასრული ადამიანის აგრესიულ ქმედებას. ბავშვების ერთი ჯგუფი ზრდასრული ადამიანის აგრესიულ საქციელს აკვირდებოდა ბუნებრივ პირობებში, ბავშვების მეორე ჯგუფი იმავე საქციელს უყურებდა ფილმში, მესამე ჯგუფი იმავე საქციელს უყურებდა მულტიპიკაციურ ფილმში, ხოლო ბავშვების მეოთხე (საკონტროლო) ჯგუფს არაფერი აჩვენეს. ზრდასრული ადამიანის აგრესიული ქმედება, რომელიც ბავშვების სამმა ჯგუფმა ნახა, იყო ასეთი: პლასტიკატის სათამაშო ფიგურას, სახელად „ბობო", ადამიანი უყვიროდა და ხელს ან ჩაქუჩს ურტყამდა.

ამის შემდეგ თითოეულ ბავშვს უფლება ჰქონდა 20 წუთის განმავლობაში ეთამაშა ოთახში, რომელშიც, სხვა სათამაშოებთან ერთად, „ბობოც" იდო.

ექსპერიმენტის შედეგი იყო ის, რომ საკონტროლო (მეოთხე) ჯგუფის ბავშვებს, რომლებსაც არაფერი უნახავთ, „ბობოსთვის" ხელი არ უხლიათ, როცა დანარჩენი სამივე ჯგუფის ბავშვები (რომელთაც ნახეს „ბობოს" ცემა), „ბობოს" ურტყამდნენ და უყვიროდნენ ისე, როგორც მათ ეს ნახეს.[119]

<u>მიჩვევის (Habitual) თეორია:</u> მოცემული თეორიის თანახმად, სატელევიზიო ეკრანზე ნანახი ძალადობა ადამიანში ემოციების თანდათან, უწყვეტად შენელებას და ბოლოს საერთოდ გაქრობას იწვევს. თეორიის ძირითადი მიმდევრები არიან Berger[120] და Lazarus et al.[121]. აღნიშნული თეორიისათვის ჩატარდა ექსპერიმენტი. ექსპერიმენტში მონაწილე პირებმა, რომლებმაც ფილმში ადამიანის ტანჯვა ნახეს, თავდაპირველად ძლიერი ემოციური დარტყმა განიცადეს, ექსპერიმენტის მსვლელობისას მათმა ემოციურმა განცდებმა ნელ-ნელა იკლო და ბოლოს საერთოდ გაქრა.[122]

მიჩვევის თეორიის თანახმად, ადამიანი ტელევიზორში ნანახ ძალადობას იმდენად ეჩვევა, რომ ძალადობრივ ქმედებებზე მას უკვე რეაქცია აღარ აქვს. ყოველივე ადამიანში იწვევს დანაშაულის სამართალდამცავი ორგანოებისადმი შეუტყობინებლობას და დამნაშავისა და მსხვერპლისადმი არასათანადო მოპყრობას.[123]

სატელევიზიო ძალადობასთან დაკავშირებით მეცნიერები გამოყოფენ სატელევიზიო ძალადობის შედეგად წარმოშობილ პირველად და ხანგრძლივ (მომავლის) შედეგებს. სატელევიზიო ძალადობის პირველადი შედეგი არის

118 Mattern, U., 1982. S. 309.
119 Schwind, H-D., 2008. S. 294.
120 Berger, S.M., 1962. S. 105-456.
121 Lazarus, R.S., et al., 1965. S. 622-635.
122 Mattern, U., 1982. S. 309.
123 Schwind, H-D., 2008. S. 295.

ის, რომ ადამიანები მიბაძავენ ტელევიზიით გადმოცემულ ძალადობრივ ქცევას, ხოლო ხანგრძლივი (მომავლის) თვალსაზრისით, ტელევიზიით ნანახი ძალადობრივი ქცევა შეიძლება ადამიანში აგრესიულ ქცევად განვითარდეს და ჩამოყალიბდეს, რომლის შედეგი იქნება პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების სურვილი და მცდელობა.[124]

ბავშვობაში ძალადობრივი სატელევიზიო გადაცემების ყურებისა და მათი მომავალში გამოხატვის მხრივ, აღსანიშნავია შემდეგი კვლევა: 8 წლის ბიჭები, რომლებიც ხშირად უყურებდნენ ძალადობრივი სიუჟეტების შემცველ ფილმებს, 30 წლის ასაკში სწორედ ისინი აღმოჩნდნენ, ვინც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა.[125]

მეორე შედარებითმა კვლევამ, რომელიც სამი წლის განმავლობაში მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში (ავსტრალია, ფინეთი, ისრაელი, პოლონეთი და აშშ) 9-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებში მიმდინარეობდა, აჩვენა, რომ ამ ქვეყნებში აგრესიული იყვნენ ის ბავშვები, რომლებიც 1. ზოგადად ბევრ დროს ატარებდნენ ტელევიზორთან; 2. უპირატესობას ანიჭებდნენ ძალადობრივ სიუჟეტებს; 3. საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენდნენ სატელევიზიო გადაცემების გმირებთან; 4. სჯეროდათ, რომ სატელევიზიო სიუჟეტებში ნანახი ძალადობა, ცხოვრებისეულ სინამდვილეს შეეფერებოდა; დაბოლოს, ხუთივე ქვეყანაში აგრესიულ ბავშვებს დედ-მამაც აგრესიული ჰყავდათ, რომლებიც შვილების საქმიანობითა და ემოციურობით ნაკლებად ინტერესდებოდნენ.[126]

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს Belson-ის მიერ გამოკვლეულ იქნა 12-13 წლის 1565 ბიჭი. კვლევის შედეგად იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ძალადობრივ სატელევიზიო გადაცემათა გადაჭარბებული ყურება დიდი ალბათობით იწვევს მოზარდების მონაწილეობას ძალადობრივ ქმედებებში.[127]

6.2.5. ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ალკოჰოლურ სასმელებთან დამოკიდებულება

თავისუფალი დროის ქუჩაში გატარებითა და არასწორი გადანაწილებით იწყება მათი პირველი შეხება ალკოჰოლსა თუ ნარკოტიკულ ნივთიერებებთან.

ალკოჰოლურ სასმელებს და ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ის პირები, რომლებიც სისტემატურად იღებენ ალკოჰოლს, უფრო ხშირად სჩადიან დანაშაულს, ვიდრე ისინი, ვინც ნაკლებად ეტანება მას.[128] დანაშაულის ჩადენის ალბათობა იზრდება, თუ პირმა ჯგუფთან ერთად მიიღო ალკოჰოლური სასმელი ან იგი არასტრუქტურირებულად ატარებს დროს (გზის პირას ქეიფი, რამაც შესაძლებელია

124 Schneider, H. J., 2001. S. 135.
125 იქვე.
126 Eron, L.D./Huesmann, R.L., 1989. S. 151-167.
127 Belson, W.A., 1978.
128 Kreuzer, A., u.a. (Hrsg.), 1999. S. 153.

გამვლელთა უკმაყოფილება გამოიწვიოს, რაც ურთიერთდაპირისპირებაში გადაიზრდება).[129]

გამაბრუებელი საშუალებები (ალკოჰოლი, ნარკოტიკული ნივთიერებები) ათამამებს დამნაშავეს, აძლევს სტიმულს დანაშაულის ჩასადენად, ხდის მას იმპულსურსა და აგრესიულს. გამაბრუებელი საშუალებების მიღების შედეგია ხელსაყრელ სიტუაციაში შესაბამისი მხნეობის ქონა, რომლის ძალისხმევითაც პირი დანაშაულს ჩადის.

გარდა იმისა, რომ ალკოჰოლური საშუალებები პიროვნებაზე პირდაპირ ზემოქმედებს, რაც მის მიერ დანაშაულის ჩადენას აადვილებს, არაპირდაპირ ზემოქმედებად ითვლება მათი სისტემატური მიღების შედეგად წარმოშობილი ფსიქიკური, ფიზიკური და ნევროლოგიური შედეგები, რომლებიც ხელს უწყობს კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნას, როგორც ოჯახურ, ისე სამსახურებრივ გარემოში.[130]

გასული საუკუნის ბოლოს, 1998-2000 წლებში, საქართველოში ჩატარდა 14-18 წლის მოზარდთა შორის ისეთი მავნე ჩვევების გავრცელების მასშტაბური ემპირიული სოციოლოგიური კვლევა, როგორიცაა თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული საშუალებებისა და ტოქსიკური ნივთიერებების მიღება-მოხმარება.[131] კვლევის პერიოდში საქართველოში გამოიკითხა მე-10-მე-11 კლასის სულ 3461 მოსწავლე. ქალაქ თბილისში გამოიკითხა გამოკითხულთა 57,9%, ქუთაისში – 14,9%, ბათუმში – 9,1%, რუსთავში – 6,5%, გურჯაანში – 4,9%, ფოთში – 4,2% და გორში – 4,2%. გამოკითხულთა შორის 52,7% იყო გოგონა, ხოლო 47,3% – ვაჟი.

შეკითხვაზე, რომელ ნარკოტიკულ ნივთიერებას იღებენ მათ წრეში, რესპონდენტებმა შემდეგი პასუხი გასცეს: ჰაშიში (პლანი) – 91,7%; მორფი – 6,2%; ჰეროინი – 6,1%; კოკაინი – 6%; კოდეინი (აბებში) – 5,6%, ოპიუმი – 4,3%, კოკნარი – 1,8%, ექსტაზი – 1,5%, კოდეინის ფხვნილი – 1,4%.[132]

გამოკითხულ მოზარდთა 17,2 პროცენტმა აღიარა, რომ მას ერთხელ მაინც აქვს მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი ნარკოტიკული ნივთიერებებიდან ერთ-ერთი. რესპონდენტების დიდი უმრავლესობა მოიხმარდა ჰაშიშს (94,5%), 3,9% – ჰეროინს, 3,4% – კოკაინს, 3,7% – კოდეინის აბებს, 4,2% – მანაგუას, 2,4% – ოპიუმს, 1,9% – ექსტაზს.[133]

შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ხმარობენ გამოკითხულები ნარკოტიკულ საშუალებებს პასუხების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: სისტემატურად – 1,3%, ძალიან ხშირად – 1,2%, ხშირად – 3,2%, არც თუ ისე ხშირად – 11,6%, იშვიათად – 19,8%, ძალიან იშვიათად – 62,9%.

რესპონდენტები ასევე გამოიკითხნენ ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 71,8 პროცენტმა აღიარა, რომ სვამს სპირტიან სასმელებს. შეკითხვაზე, მათი თანაკლასელების, მეგობრებისა და

129 Meier, B.-D., 2007. S. 162.

130 იქვე.

131 იხ.: გაბიანი ა./ღვინეფაძე ლ., 2000, გვ. 43-48.

132 იქვე, გვ. 45.

133 იქვე, გვ. 46.

ამხანაგების რა ნაწილი სვამს სპირტიან სასმელებს, რესპონდენტების პასუხი იყო: ყველა – 8,1%, უმეტესობა – 28,2%, ნახევარი – 18%, უმცირესობა – 25,6%, არავინ – 3,9%, მიძნელდება პასუხის გაცემა – 18,2%.[134]

გამოკითხვის შედეგების ანალიზი მკვლევრებისთვის ცხადყოფს, რომ ვითარება საკმაოდ მძიმეა. 90-იან წლებში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ნეგატიურად იმოქმედა მოზარდების ჩამოყალიბებაზე, რამაც მათ მიერ ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება განაპირობა.[135]

6.2.6. საზოგადოებრივი ღირებულებები და მოზარდთა დანაშაულობა

ბოლო ათწლეულების მანძილზე შექმნილმა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა პრობლემებმა, სამოქალაქო ომმა, სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ქვეყანა ღირებულებების ძიებაშია. ამ მხრივ მოზარდების მდგომარეობა მეტად რთულად უნდა შეფასდეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებების ძებნაში მყოფ მოზარდებს საზოგადოება ვერ ეხმარება საკუთარი თავის იდენტიფიკაციაში, ვინაიდან თვითონ საზოგადოებას (ჯერ კიდევ) არა აქვს საკუთარი ღირებულებები მკაფიოდ გამოხატული და ჩამოყალიბებული.

საზოგადოებრივი ღირებულებების საკითხს თავისი ისტორიული წინაპირობა აქვს და საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ საინტერესოა გასული საუკუნის ბოლოს იური ლევადას სოციოლოგიური კვლევა და მისი შედეგების ანალიზი და 2005 წელს საქართველოში მოზარდთა გამოკითხვა.

იური ლევადას სოციოლოგიური კვლევა

იური ლევადამ 1989-91 წლებში გამოკითხა საბჭოთა კავშირში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნების 2700 მოქალაქე. კითხვარი შედგებოდა 100 კითხვისაგან.

ლევადა საბჭოთა სისტემის მიერ შექმნილ „Homo Sowjeticus"-ს ახასიათებს ოთხი ძირითადი ნიშნით: 1. მისთვის შთაგონებული და მისგან აღიარებული წარმოდგენა მისი ერთადერთობის შესახებ; 2. მისი „მამაშვილური" ორიენტაცია სახელმწიფოს მიმართ;[136] 3. მისი მიდრეკილება იერარქიულობისადმი; და 4. მისი იმპერიული ხასიათი.[137] იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ლევადას მიერ ჩამოთვლილი ეს ოთხივე ხასიათი, უნდა შევეხოთ მის მიერ ჩამოყალიბებულ საბჭოთა ადამიანის თაობებს.

ლევადა გამოყოფს საბჭოთა ადამიანი სამ თაობას: 30-იანელები, 50-იანელები და 70-იანელები. 30-იანების თაობა არის საბჭოთა პატრიოტი ადამიანი, რომელმაც 50-იან წლებში თანამდებობრივ პოსტებს მიაღწია,

---

134 იქვე, გვ. 44.

135 ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების განმარტების კრიმინოლოგიური თეორიები იხ.: შალიკაშვილი მ., 2011ა, გვ. 207,208.

136 იგულისხმება არა მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობითი დამოკიდებულება, როგორც ეს მიღებულია, არამედ საბჭოთა ადამიანის ორიენტაცია – სახელმწიფო იყოს მისი „მამა", უფროსი, მმართველი.

137 Levada, J., 1992. S. 16.

50-იანებისამ განიცადა სახელმწიფო დაპირებებისაგან იმედგაცრუება. ისინი გადაუჭრელი ეკონომიკური (პირველადი მოხმარების საგნების ნაკლებობა) და პოლიტიკური (კორუფცია) პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, ხოლო 70-იანები მოწმე გახდა მკვეთრი გარდაქმნითი ღონისძიებებისა, რაც სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ კონფლიქტებს იწვევდა.[138]

ლევადა თვლის, რომ ერთი თაობის მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება, მეორე თაობას ვერ გამოადგა და თითოეულს ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და სოციალურ პირობებთან მოუხდა შეგუება.

ლევადას აზრით, საბჭოთა სისტემამ შექმნა ფრუსტრირებული, გაორებული, ადვილად მართვადი და მორჩილი ადამიანის ფენომენი, რომელსაც ორიენტაცია აქვს დაკარგული და ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისი თავის დამკვიდრება უჭირს. მას იმის ძალაც კი არ შესწევს, რომ რაიმე ილონოს საკუთარი მდგომარეობის გამოსასწორებლად.[139]

ლევადას მიერ შექმნილი „საბჭოთა ადამიანის" პროტოტიპები ჯერ კიდევ ბევრია ჩვენს საზოგადოებაში. ყოველივეს ისიც ემატება, რომ საბჭოთა სისტემამ შექმნა ნახევრად კულტურული ადამიანის ფენომენი, რომელიც საშიშია ქვეყნის როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური ცხოვრებისათვის.[140]

ხშირ შემთხვევაში დღევანდელ საქართველოში საქმე გვაქვს საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობის დუბლირებასთან. ასე მაგალითად, თუ საბჭოთა კავშირის დროს საჯარო სამსახურის დაწყებისათვის აუცილებელი იყო რუსული ენის ცოდნა, დღეს აუცილებელია ინგლისურის ცოდნა, იმის გარკვევის მიუხედავად, ინგლისური ენის მცოდნე პირს შეუძლია თუ არა აზროვნება, აქვს თუ არა მოცემული თანამდებობისათვის საჭირო განათლება თუ სამსახურებრივი გამოცდილება, აქვს თუ არა შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობის ან ანალიტიკური და რაციონალური აზროვნების უნარი.

საბჭოთა ადამიანის აზროვნების გადმონაშთად უნდა ჩაითვალოს ასევე ის, რომ საქართველოს ბევრ მოქალაქეს (ზოგადად) ორიენტაცია აქვს დაკარგული და უჭირს ყოველდღიურ ცხოვრებაში თავის დამკვიდრება, სწორედ

---

138 Shalikashvili, M., 2009. S. 109.

139 Levada, J., 1992. S. 31.

მსგავსი მოსაზრება საბჭოთა ადამიანის შესახებ აქვს აგრეთვე იუნგს. მისი აზრით, 70-იანელების გენერაციას, რომელიც ბრეჟნევის დროს გაიზარდა, საერთოდ სხვა ღირებულებები აქვს, ვიდრე მის წინამორბედ თაობას(ებს). 70-იანელებში სახელმწიფოსა და პარტიის პატივისცემამ და მათმა საზოგადოებრივმა აქტივობებმა საკმაოდ იკლო. იხ.: Jung, L., 1987. S. 51.

140 Huebner, P., 1991. S. 14.

ნახევრად კულტურული ადამიანი სახიფათოა საზოგადოებისთვის, რამდენადაც მის მიერ შეკრული საზოგადოებრივი ღირებულებები არ იქნება გამოსაყენებელი სხვა თაობისთვის (როგორც ეს ლევადას გამოკითხვამ დაადასტურა), ხოლო ნახევრად კულტურული ადამიანის სახელმწიფო ხელისუფლებაში მოსვლა შეაფერხებს სახელმწიფო განვითარებას, ვინაიდან იგი (ნახევრად კულტურული ადამიანი) საკუთარი არაპროფესიონალიზმის გამოაშკარავებისა და მაღალი თანამდებობრივი პოზიციის დაკარგვის (კონკურენციის) შიშით, არასოდეს არ მოიყვანს თავისზე ჭკვიან ადამიანებს სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობაში.

იმის გამო, რომ საბჭოთა აზროვნების ადამიანისთვის სახელმწიფო მარჩენლის ფუნქციას ატარებს, ადამიანები მოკლებულნი არიან ინიციატივის უნარს და სახელმწიფოსგან ელიან დასაქმებას ან მათი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრას. რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება გადაწყვეტილების ძნელად მიღებაში ან წლების განმავლობაში უმოქმედოდ ყოფნაში.

მოზარდთა გამოკითხვა

მოზარდთა კვლევა ჩატარდა 2005 წელს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. გამოკითხულ იქნა 12-17 წლამდე 1374 მოზარდი, როგორც ქალაქის, ასევე რაიონის მცხოვრები. კვლევაში მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოზარდები.

მოზარდის ქცევითი პრობლემების სპექტრის შეფასება განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ნეიროფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით.

როგორც კვლევა ადასტურებს, მოზარდებს აღენიშნებათ ორიენტაციისა და ფასეულობათა სისტემის პრობლემები, კერძოდ: „მოზარდებში თავიანთი პრიორიტეტებისა და არაპრიორიტეტების შესაბამისად, გამოიკვეთა სწრაფვა ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც დატოვებს განათლებული ადამიანის შთაბეჭდილებას, იქნება დახვეწილი, ზრდილობიანი, ჯანმრთელი, ამავდროულად მას შეიძლება არ ჰქონდეს არც მაღალი შემეცნებითი აქტივობა, არც რაციონალურობა, მისთვის არცთუ ისე მნიშვნელოვანია სიხალისე, სიამოვნება, მაგრამ, სამაგიეროდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეგობრები და სიყვარული“.[141]

მოცემული კვლევის ავტორები ფიქრობენ, რომ „მოზარდებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა სწორი ორიენტირების ჩამოყალიბება, მათი სწორად და ადეკვატურად გააზრება და დაკავშირება თავიანთი ფასეულობათა სისტემის, საკუთარი ცხოვრების, ავთენტიკური სურვილების კონტექსტში“.[142]

ქვეყანაში არსებული სოციალური ანომია: მოქალაქეთა ორიენტაციის დაკარგვა; კულტურული ღირებულებების განუსაზღვრელობა; სამოქალაქო საზოგადოების ჩამოუყალიბებლობა ხელს უწყობს მოზარდებში მორალური და სამართლებრივი ნორმებისადმი რწმენის დაკარგვასა და რღვევას, რაც მათ მიერ დანაშაულებრივ ქმედებებშიც შეიძლება გამოიხატოს.[143]

6.3. ქუჩის ბიჭები

6.3.1. „ქუჩის ბიჭების“ ფენომენი

„ქუჩის ბიჭების“ ფენომენი წარმოადგენს ადამიანთა „კავშირს“ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის ძირითადი მიზანი საკუთარი თავის დამკვიდრება და („მობირჟავეთა“ მიერ) ღირსების აღიარებაა. **ბირჟა** არის იმ მეზობელი ბიჭების სისტემატური თავშეყრის ადგილი, რომელნიც ქუჩაში ხშირად გამოდიან. ბირჟას „ქუჩის აკადემიასაც“ უწოდებენ, რადგან

141 გეგელაშვილი მ. /ჯალიაშვილი თ., 2005, გვ. 20.
142 იქვე.
143 Haferkamp, H., 1972. S. 49; Opp, K.-D., 1978. S. 176.

მას დიდი წვლილი შეაქვს ოჯახისა და სკოლის გარეთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სწავლაში. ბირჟა ახალგაზრდა ადამიანებს აჩვევს საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობას და ასწავლის (მამა)კაცობის წესებს. ბირჟის დანიშნულებაა აგრეთვე მეზობელ ბიჭებს შორის ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარება, გაღრმავება, გარკვევა და, ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე, „მობირჟავისათვის" საკუთარი ადგილის მიჩენა (სტატუსის მინიჭება). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის გარკვეული სუბკულტურა, რომელიც ჩამოყალიბებულია ქუჩაში. ამ სუბკულტურის შექმნა მრავალმა სოციალურმა ფაქტორმა განაპირობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ ოჯახში მშობლების დასაქმების მდგომარეობა. საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული კვლევით დგინდება, რომ 2014 წელს დანაშაულის ჩადენაშე ეჭვმიტანილი არასრულწლოვნების 59,4%-ის მშობლებიდან არცერთი არ იყო დასაქმებული. იგივე მონაცემი 2013 წელს 64% -ს აჭარბებს. როგორც კვლევით გაირკვა, ზემოაღნიშნულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 9,7%-ს ჰყავდა ორივე მშობელი დასაქმებული. დასაქმებული მშობლების შემთხვევებშიც მათი სამუშაო ადგილი ძირითადად დაბალანაზღაურებადი გახლდათ. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ოჯახებს ჰქონდათ გარკვეული სახის სოციალური პრობლემები. ქოენის ჯგუფის კულტურის თეორიის მიხედვით, ასეთ ბავშვებს არ შესწევთ უნარი კონკურენცია გაუწიონ მოზარდებს საშუალო ფენიდან, ისინი ვერ აკმაყოფილებენ საშუალო ფენის ბავშვისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, და შესაბამისად, ცდილობენ ავტონომიური კულტურის ჩამოყალიბებას ან მასთან მიერთებას. „ქუჩის ბიჭების ინსტიტუტი" კი ამისთვის იდეალური გამოსავალია. აღნიშნული თეორია დაწვრილებით არის განხილული წიგნის მომდევნო თავებში.

მეორეს მხრივ, ბავშვები სოციალურად პრობლემური ოჯახებიდან არ არიან დაკავებულნი სკოლის გარეშე აქტივობებით, მათ ჭარბად აქვთ თავისუფალი დრო, რაზეც გვქონდა უკვე საუბარი აღნიშნული წიგნის წინა თავში. მთავარი პროკურატურის კვლევის მიხედვით 2014 წელს დანაშაულში მხილებული არასრულწლოვნების 82,6%, ხოლო 2013 წელს მსგავსი არასრულწლოვნების 85,4% არ იყვნენ ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში.

არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ასევე საჭიროებს შესწავლას და რომელიც ასევე შეიძლება იყოს მოზარდების ქუჩისკენ მიზიდვის მიზეზი. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში ტრადიციულ ქართულ ოჯახში არასრულწლოვნები არ განიხილებიან როგორც სრულფასოვანი ადამიანები, მშობლები ხშირად მათ ნაცვლად იღებენ გადაწყვეტილებას, ასეთ ბავშვებს სჭირდებათ აღიარება, რათა დაიკმაყოფილონ თავიანთი პატივმოყვარეობა, ქუჩა ამისთვის მათ იდეალურ ადგილად ევლინებათ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, სოციალურად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან მოზარდების „ქუჩის ბიჭებად" ჩამოყალიბების ტენდენცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით, საკმაოდ კარგად მუშაობდა ასევე კრიმინალური სამყარო. საქართველო იყო თითქმის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ქურდული „ობშიაკი" სკოლებშიც იკრიბებოდა. რა თქმა უნდა სკოლებში შეგროვებული თანხა საკმაოდ უმნიშვნელო იყო ორგანიზებული

დანაშაულის „ბიუჯეტისთვის", თუმცა მოზარდების მიერ შეკრებილ თანხას ფინანსურზე უფრო იდეოლოგიური ხასიათის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ შემთხვევაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო მოზარდების მონაწილეობა ე.წ. „ობშიაკის" შეკრებაში, რაც „ქურდული" იდეოლოგიის თავსმოხვევის საუკეთესო საშუალებაა. ისინი ფაქტიურად თანაზიარნი ხდებოდნენ ამ სუბკულტურის და ქურდული წესების მატარებლებად გვევლინებოდნენ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ობშიაკის შეგროვებაში მონაწილეობის მიღება საკმაოდ პრესტიჟულადაც ითვლებოდა.

6.3.2. „ქუჩის ბიჭების" ცალკეული სახეები

„ქუჩის ბიჭების" ფენომენი გერმანელმა ეთნოლოგმა კოლერმა ოთხ ჯგუფად დაყო:[144] 1. კარგი ბიჭი („კაი ბიჭი"); 2. „დედიკოს" ბიჭი („ქუჩის ბიჭების" მსხვერპლი); 3. ძველი ბიჭი და 4. შავი ბიჭი.

კაი (კარგი) ბიჭი არის ის, ვინც ქუჩის წესებით ცხოვრობს, ანუ სამართლიანი და უშიშარია. მან შეიძლება „დედიკოს ბიჭს" ფული წაართვას ან იმსახუროს დანიშნულებისამებრ. „კაი ბიჭს" შეუძლია „დედიკოს ბიჭი" საკუთარი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანოს და არავის დააჩაგვრინოს იგი.

დედიკოს ბიჭი იშვიათად გამოდის „ბირჟაზე" და ნაკლები კონტაქტი აქვს „ბირჟაზე" მდგომ „მობირჟავეებთან".

ძველი ბიჭი „ბირჟის" პროფესიონალებად ითვლებიან. „ბირჟას" ისინი სკოლაზე, ოჯახზე ან უნივერსიტეტზე წინ აყენებენ. მათი ძირითადი „იარაღია" ფსიქიკური გავლენის მოხდენა „ბირჟის" სხვა მონაწილეებზე.

შავი ბიჭი ძველ ბიჭთან გათანასწორებული მდგომარეობით სარგებლობს „ბირჟაზე". იგი (შავი ბიჭი) ორიენტირებულია „კანონიერი ქურდების" იდეაზე და ამ სამყაროში თავის დამკვიდრებას ცდილობს. მას უნივერსიტეტის ან სამხედრო სამსახურის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.

ზემოაღნიშნულ სტატუსთაგან ვინ რომელს მიიღებს, წყვეტენ „მობირჟავეები". სტატუსის განაწილება „მობირჟავეთა" შორის ურთიერთობიდან გამომდინარეობს. „მობირჟავე" „ძველი ბიჭის" ძმა, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს იმ მონაცემებს, რომ იგი „დედიკოს ბიჭად" იყოს აღიარებული, გადაურჩება ამ სტატუსს, თავისი ძმის პოზიციის გამო.

„ქუჩის ბიჭებისა" და ბირჟის ფენომენის განსაკუთრებულობას მის მონაწილეთა ასაკობრივი ზღვარის უქონლობა წარმოადგენს. ეს არ არის გარდატეხის პერიოდში მყოფ ადამიანთა თავისუფალი დროის გატარების ერთ-ერთი (ხშირ შემთხვევაში, ეკონომიკური გაჭირვების გამო, ერთად-ერთი) საშუალება ან ასაკიდან გამომდინარე გატაცება (საკუთარი თავის გამოჩენა-დამკვიდრება); ის ჩამოყალიბებული მამაკაცებისთვისაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

6.3.3. „მობირჟავეთა" ქცევის წესები

„მობირჟავეთა" ქცევის წესები ემყარება საკუთარი თავის აღიარებასა და პრესტიჟს, რომელიც ღირსების მოპოვებისკენაა მიმართული. ძალადობის გამოყენებაც, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ღირსების მოპოვებას ან შენარჩუ-

144 Koehler, J., 2000. S. 52.

ნებას ისახავს მიზნად. ღირსებაში უნდა ვიგულისხმოთ მათი კარგი „სახელი", სხვების მიერ მათი პიროვნების პატივისცემა და მათი ქცევის აღიარება.

„მობირჟავეთა" ქცევის წესები დაუწერელი ნორმებიდან გამომდინარეობს და (მამა)კაცობის ელემენტებზეა ორიენტირებული. ქცევას აფასებენ „მობირჟავეები".

6.3.4. კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნა და მნიშვნელობა

„ქუჩის ბიჭებისათვის" კონფლიქტური სიტუაცია და ამგვარ სიტუაციაში თავის გამოჩენა ღირსების აღიარების ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) საშუალებაა. მათ ღირსეულსა და ადეკვატურ რეაქციაზეა მათი პირადი ღირსება დამოკიდებული. კონფლიქტური სიტუაციის ძირითად საფუძველს შეურაცხყოფის მიყენება წარმოადგენს. შეურაცხყოფა არ უნდა დარჩეს ურეაქციოდ, მაგრამ რეაქცია უნდა იყოს შეურაცხყოფის ადეკვატური.

კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნა შეიძლება 4 კატეგორიად დაიყოს:

1. სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენება ან სხვისი დამცირება;
2. საკუთარი ოჯახის წევრის, ნათესავის, სტუმრის ან მეგობარი მანდილოსნის შეურაცხყოფა;
3. სხვაზე ძალადობის გამოყენება (მაგალითად, მობილური ტელეფონის „დაწერა„, როდესაც საქმე ეხება არა მატერიალურ ფასეულობას, არამედ თვითონ „დაწერის" ფაქტს);
4. კონფლიქტები, რომლებიც მატერიალურ რესურსებს ეხება (ნარკოტიკების, იარაღის ან ფულის წართმევა, მისი მატერიალური ღირებულების გამო).

ამგვარი კონფლიქტური სიტუაციების მნიშვნელობა მდგომარეობს შეურაცხყოფილი პირის ღირსეულ რეაქციაში. <u>შეურაცხყოფილი პირის ღირსეული რეაქცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:</u>

1. მომხდარი კონფლიქტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ურეაქციოდ;
2. შიშის არჩვენება;
3. „კანონიერი რეაქცია" – „არაბესპრიდელური";
4. საჭირო „კანონიერი რეაქციის" არამიზნობრივად, ძალთა განსხვავებული თანაფარდობით ჩატარება;
5. კონფლიქტში დამარცხების შემთხვევაში საქმის მოგვიანებით „მოგვარება" ან საქმეში კრიმინალური ავტორიტეტის ჩარევა.

კონფლიქტის მოგვარების დროს დაცულ უნდა იქნეს ორი მნიშვნელოვანი პირობა: 1. კონფლიქტი არ უნდა შეიტყონ ოჯახის წევრებმა და 2. დამალულ უნდა იქნეს იგი სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოებისაგან, ხოლო თუ ისინი მაინც შეიტყობენ რამეს, შენარჩუნებულ უნდა იქნეს დუმილი.

ქუჩის კონფლიქტის ახალ დინამიკურობასთან გვაქვს ბოლო წლებში საქმე. კონფლიქტური სიტუაციები 60-იან და 70-იან წლებში „მუშტის" საშუალებით და ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში დანის საშუალებით გვარდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი მოექცა რიგით მოქალაქეთა და მათ შორის „ქუჩის" ხელში. კონფლიქტის მოგვარებისათვის ხშირად ხდება დანის ან ცეცხლსასროლი

იარაღის გამოყენება, რაც მძიმე შედეგებით მთავრდება.

ახალგაზრდა ადამიანების მიერ დღეს გავრცელებული დანის ტარება შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც: 1. ღირსების დაცვის საშუალება შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში; ან 2. დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის მხრივ შიშისაგან გამოწვეული თავდაცვითი ღონისძიება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემატიკა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მკვეთრად არ შეცვლილა. 1997 წლიდან დღემდე არასრულწლოვანთა ხვედრითი წილი მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით მერყეობს 3%-6% შორის. ასე რომ, საქმე არ ეხება ისეთი სახის ანომალიურ ვითარებას, რომ აუცილებელი იყოს არასრულწლოვნის მკაცრად დასჯა, როგორც ეს ხდება ბოლო წლების განმავლობაში. აუცილებელია სხვა ალტერნატიული სასჯელების (საზოგადოებრივი შრომა) ან აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობდა არასრულწლოვნის რესოციალიზაციას. ამ მხრივ აღსანიშნავია „საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა“ ან „ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება“, ვინაიდან, როგორც ცნობილია, არასრულწლოვნის დასაქმება ხელს უწყობს მის აღზრდას, მის გარკვეულ „რეჟიმში ჩაყენებას“ და მისთვის ზოგადად სამუშაოს მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, მოზარდს მუშაობის პერიოდში ან ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრების შემთხვევაში უყალიბდება პასუხისმგებლობის შეგრძნება და სწავლობს, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად.[145]

7. არასრულწლოვანთა დანაშაულის განმარტების კრიმინოლოგიური თეორიები

ემილ დიურკემის აზრით არ არსებობს საზოგადოება დანაშაულის გარეშე.[146] მართალია იგი ხშირად ფორმას იცვლის, მაგრამ ყოველთვის და ყველა დროში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც დანაშაულს სჩადიოდნენ და მათ მიმართ სანქციები გამოყენებოდა.[147]

დიურკემის აზრით, დანაშაული სასარგებლოა იმ მხრივ, რომ ის საზოგადოებას აიძულებს მოახდინოს ცვლილებები.[148] „განსხვავებით გენიოსისაგან, რომელიც ეპოქას უსწრებს, დამნაშავე მის ეპოქაზე [საზოგადოების განვითარებაზე] დაბლა დგას, მაგრამ ისიც ცვალებადობის წყაროა“,[149] ვინადან დამნაშავეც საზოგადოების წევრია.

დანაშაული, როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, მეტად კომპლექსური მოვლენაა. მისი ჩადენა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით:

145 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 117.
146 Durkheim, E. 1968. S. 3.
147 იქვე.
148 კოდუა, ე. 1998. გვ. 213.
149 იქვე.

სოციალური, ფსიქოლოგიური, პიროვნული, ნევროლოგიური და სხვა. შესაბამისად, რთულია მისი ახსნა-განმარტება. კრიმინოლოგიური თეორიების სიმრავლის ფონზე სასურველია განხილულ იქნეს მხოლოდ ის თეორიები, რომლებიც ნათლად განმარტავენ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან სპეციფიურია ქართული საზოგადოების განვითარების ამ კონკრეტულ ეტაპზე.

7.1. ანომიის თეორია

„ანომია" ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და უკანონობას, კანონისა თუ ნორმების არარსებობას ნიშნავს.[150] ანომიას ასევე უწოდებენ „საზოგადოების ისეთ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით".[151] ეს ცნება პირველად გამოიყენა გამოჩენილმა ფრანგმა სოციოლოგმა *ემილ დიურკემმა* თვითმკვლელობის შესახებ ჩატარებულ კვლევაში.[152]

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ანომია გამოიყენება ორი მასშტაბურად განსხვავებული მოვლენის აღსანიშნავად – სოციალური ანომია და სუბიექტური ანომია.[153] „სოციალური ანომია გულისხმობს კონკრეტულ სოციალურ სისტემებში მორალური თუ სამართლებრივი ნორმების არაეფექტურობას, საზოგადოების რეგულირების კრიზისს, კულტურული მიზნების განუსაზღვრელობას, რაც საზოგადოების რღვევასა და სოციალურ დეზორგანიზაციას განაპირობებს".[154]

„სუბიექტური ანომია გულისხმობს კონკრეტული ინდივიდის მდგომარეობას, როდესაც იგი ვერ ახერხებს საკუთარი მიზნების განსაზღვრასა და მათ მისადაგებას საზოგადოებრივი ფასეულობების ინსტიტუციური სტრუქტურისადმი, რის შედეგადაც ადამიანი აღარ იზიარებს სოციალურ ნორმებს, მას ეუფლება სოციალური გაუცხოებისა და იზოლაციის შეგრძნება, აპათია, რაც გაუთვალისწინებელ და მძიმე შედეგს იწვევს".[155]

ანომიის თეორიამ განვითარების ორი ეტაპი განვლო. პირველი იყო დიურკემის მიერ ანომიის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების, განმარტების თეორია. მას თეორიით უნდოდა ეჩვენებინა, რომ უსაზღვროდ მიზნების

---

150 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 260.

151 კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 21.

152 Haferkamp, H., 1972. S. 48.

153 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 261.

154 იქვე.

სოციალური დეზორგანიზაციის ნიშნებია: 1) სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის სოციალური ერთიანობის დარღვევა (არარსებობა); 2) სოციალური კონტროლის მოშლა (მაგალითად, სასკოლო და ოჯახური კონტროლის შესუსტება); 3) გაქურდული, დანგრეული და ნაგავსაყრელად ქცეული სახლები; 4) ქუჩის პროსტიტუცია; 5) ქუჩაში მათხოვრების რაოდენობის ზრდა; 6) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლის დალევა; 7) საჯაროდ აზარტული თამაშების გამართვა (შეიძლება ითქვას, რომ აზარტული თამაშების ბუმია საქართველოში); 8) ნაკლები სამოქალაქო აქტიურობა; 9) ეთნიკური ხასიათის პრობლემები; 10) დიდი რაოდენობის ოჯახების სიღარიბის ზღვარზე ცხოვრება. იხ.: შალიკაშვილი, მ., 2010. გვ. 206.

155 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 261.

მოთხოვნას, ბოლოს მარეგულირებელი ნორმების რღვევა მოსდევს.[156] ანომიის თეორიის მეორე ეტაპს წარმოადგენს მერტონის შეხედულებები. მან ანომიის თეორია განავრცო და სისტემატიზაციაში მოიყვანა. იგი მიუთითებს ანომიის ისეთ ფორმაზე, რომელიც კულტურული მიზნებისა და სოციალურად ორგანიზებული საშუალებების „ურთიერთშეჯახებით" წარმოიქმნება.[157]

„დიურკემი ძირითადად გამოყოფს სამ სიტუაციას, რომლის დროსაც ყალიბდება ანომიის მდგომარეობა: 1) ინდუსტრიული და ეკონომიკური კრიზისი; 2) მეცნიერების უკიდურესი სპეციალიზაცია, როდესაც შეუძლებელი ხდება მისი მთლიანობის შენარჩუნება; და 3) ანტაგონიზმი კაპიტალსა და შრომას შორის, რასაც საზოგადოების კომერციალიზაცია და კლასობრივი დიფერენცირება იწვევს. დიურკემის თანახმად, „თუ ანომია არის ბოროტება, ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებაში, რომლის ფუნქციონირება შეუძლებელია ინტეგრაციისა და რეგულირების გარეშე, იქმნება პრობლემები მის გამო. შესაბამისად, მორალური თუ იურიდიული რეგულირება აშკარად წარმოადგენს იმ სოციალურ საჭიროებას, რომელსაც უშუალოდ შეიგრძნობს საზოგადოება".[158]

ამერიკელი სოციოლოგი რობერტ მერტონი აკრიტიკებს მანამდე გაბატონებულ ადამიანის ქცევის ბიოლოგიური ფაქტორებით ახსნის თეორიას და ქცევის განმსაზღვრელად სოციალურ და ფსიქოლოგიურ თეორიას მიიჩნევს.[159] მერტონი ანომიას უკავშირებს სოციალურ სტრუქტურას, რომელშიც მოიაზრებს გარკვეული მიზნებით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს და იმ საშუალებებს, რომელთაც ისინი ამ მიზნების მისაღწევად იყენებენ.[160] მიზნის მისაღწევ საშუალებებს იგი ყოფს ორ ჯგუფად: კანონიერი (ლეგალური) და უკანონი (არალეგალური). მერტონის აზრით, თუ საზოგადოების კულტურული და სოციალური სტრუქტურა ცუდად არის ერთმანეთში ინტეგრირებული, თუ პირველი (კულტურული) ისეთ ქცევას მოითხოვს, როემლსაც მეორე (სოციალური) ვერ უზრუნველყოფს, ხდება ნორმათა სისტემის დარღვევა, რაც იწვევს უნორმობას,[161] ანუ ანომია კულტურულ მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს შორის წონასწორობის დარღვევაა. კულტურული მიზნები არის კონკრეტული საზოგადოების ლეგიტიმური [ყველასთვის მისაღები და აღიარებული] ფასეულებები, ჯგუფური თანაცხოვრების აუცილებელი წინაპირობები, [კარგი ეკონომიკური მდგომარეობა, პროფესიული წარმატება], რომლის მიღწევასაც ცდილობენ ინდივიდები.[162] საზოგადოების წევრები სხვადასხვა შესაძლებლობის არიან. ისინი ცდილობენ დასახული მიზნის მისაღწევად გამოძებნონ მათთვის შესაფერისი სოციალური ადაპტაციის ფორმა.[163] მერტონი განასხვავებს სოციალური ადაპტაციის ხუთ ფორმას: კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, უკუქცევა და წინააღმდეგობა (Confor-

156 Cloward, R. 1968. S. 315.
157 იქვე.
158 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 277.
159 Merton, R. 1968. S. 285.
160 კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 21.
161 Merton, R. 1968. S. 292.
162 Haferkamp, H. 1972. S. 48.
163 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 288.

mity, Innovation, Ritualism, Retreatism and Rebellion).[164]

„კონფორმიზმი, მერტონის თანახმად, წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის იმ პირველ სახეს, რომლის დროსაც ინდივიდებისთვის საზოგადოებაში დადგენილი კულტურული მიზნების მიღწევა შესაძლებელია არსებული, ინსტიტუციონალიზებული საშუალებებით. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მისაღებია როგორც კონკრეტული სოციალური მიზნები, ასევე ამ მიზანთა მიღწევის ლეგალური საშუალებანი. ამდენად, სტაბილურ საზოგადოებაში კონფორმიზმი წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის ყველაზე ჩვეულ სახეს. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა სწორედ მიზნებისა და საშუალებების ურთიერთშეთავსებით ახდენს კონკრეტულ სოციალურ მოქმედებათა ინიცირებას, რაც კანონმორჩილებას და დანაშაულობის დაბალ დონეს განაპირობებს".[165] კონფორმიზმი ყველაზე გავრცელებული ადაპტაციის ფორმაა, წინაალმდეგ შემთხვევაში კითხვის ქვეშ დადგებოდა საზოგადოების სტაბილურობის საკითხი.[166]

მერტონის აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ადამიანთა ჯგუფს, „მასას„, ეწოდოს საზოგადოება, თუ მათი საქციელი ორიენტირებულია საზოგადოების ძირითად ღირებულებებზე. თუ ინდივიდებს შორის არ არსებობს ერთიანი ღირებულებების საკმარისი ბაზა, მაშინ საქმე გვაქვს ინდივიდებს შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობებთან, მაგრამ არა საზოგადოებასთან.[167]

ინოვაცია სოციალური ადაპტაციის ფორმაა, „რომლის დროსაც ინდივიდისთვის მისაღებია სოციალური მიზნების სისტემა, თუმცა მისაღები არ არის ამ მიზნების მიღწევის საშუალებები. ამის საფუძველზე, ინდივიდები ვერ ან არ ახდენენ ინსტიტუციური ნორმების ინტერნალიზაციას და ეძებენ ახალ საშუალებებს საზოგადოებაში დამკვიდრებული მიზნების მისაღწევად, რაც ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ფორმას იღებს. ინოვაცია ძირითადად დამახასიათებელია დაბალი სოციალური ფენისათვის (შემოსავლის მიხედვით), სადაც ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო საკმაოდ რთულია კონკრეტული სოციალური მიზნების მიღწევა, რაც საზოგადოებაში წარმატების ძირითადი ნიშანია, სოციალურ წარმატებას კი საზოგადოების ნებისმიერი წევრი ესწრაფვის".[168] დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ერთი მხრივ, ორიენტირებენ სიმდიდრის მიღწევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მოკლებული არიან შესაძლებლობას კანონიერი გზით მიაღწიონ ამ მიზანს, ვინაიდან მათი დასაქმების შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია.[169]

საზოგადოებრივი კულტურა დაბალი ფენის წარმომადგენლებისაგან ელოდება, რომ ისინიც ცხოვრების დონით მაღალ ფენას განეკუთვნებიან,

---

164 ქართულ სოციოლოგიაში მერტონის ხუთ ფორმასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი ტერმინოლოგია: კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, *რეტრიტიზმი* და *ამბოხი*. იხ. კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004. გვ. 21.

165 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 289.

166 Merton, R. 1968. S. 293.

167 იქვე.

168 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 290.

169 Merton, R. 1968. S. 296.

თუმცა მათ (დაბალ ფენას) ინსტიტუციური გზები არ გააჩნიათ და დანაშაულის გზით ცდილობენ მიზნის მიღწევას.[170]

ის პირები, რომლებიც საკუთარ წარუმატებლობას სოციალურ სტრუქტურას აბრალებენ, ძალიან ჩქარა ემიჯნებიან მას და იხრებიან ადაპტაციის მეხუთე პუნქტისკენ (წინააღმდეგობა). სხვები კი საკუთარ წარუმატებლობას ხსნიან მისტიკურობით და ნაკლებად საკუთარი სოციალიზაციით. ასეთი ადამიანებისათვის მნიშვნელოვანია ბედი, ბედისწერა და შემთხვევა. ამგვარი მიდგომის ფსიქოლოგიური ახსნა ასეთია: ისინი საკუთარ წარუმატებლობას ბედისწერას მიაწერენ და ამით თვითდაჯერებულობას ინარჩუნებენ,[171] ანუ მათი წარუმატებლობა არა მათი სოციალიზაციის პრობლემაა, არამედ ბედის.

„*რიტუალიზმი,* როგორც ადაპტაციის დამოუკიდებელი სახე, ყალიბდება მაშინ, როდესაც ინდივიდები კანონის პატივისცემისა და ინსტიტუციური საშუალებების დაცვის უზრუნველსაყოფად უარს ამბობენ კონკრეტულ სოციალურ მიზნებზე".[172] სოციალური ადაპტაციის მოცემული სახის გაზიარების დროს ინდივიდი გაბატონებული კულტურის მიზნებს ეკონომიკური მიღწევისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ იმ დონეზე დაბლა „სწევს„, რომ შეიძლებოდეს მისი დაკმაყოფილება (მიღწევა).[173]

„რიტუალიზმი, როგორც სოციალური ადაპტაციის სახე, ძირითადად ახასიათებთ კონკრეტულ რელიგიურ ჯგუფებს მათში მოქმედი ნორმატიული წესრიგის განმტკიცების სახით, ეკლესიის მსახურთ, განსაკუთრებული მისიის ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებს, რომლებშიც ინსტიტუციური ნორმების დაცვასა და ნორმატიული რიტუალების აღსრულებას, და ამდენად კანონის პატივისცემას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული სოციალური ჯგუფის შინაგანი სტაბილურობისა და იდენტურობის შენარჩუნებისათვის".[174]

„*უკუქცევა ანუ რეტრიტიზმი* წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ხდება როგორც სოციალური მიზნების, ასევე მოცემულ მიზანთა მიღწევის ინსტიტუციური საშუალებების უგულებელყოფა. უკუქცევის სოციალურ ცხოვრებაში „უკან დახევის" დროს ინდივიდისთვის კულტურით განპირობებულ მიზანთა სისტემას არა აქვს არანაირი ფასეულობა, მისთვის მიუღებელია სოციალური წარმატების მიღწევის დადგენილი ფორმები. უკუქცევა განაპირობებს ინდივიდთა ასოციალიზაციას, არაპროდუქტიულ სოციალურ ცხოვრებას. ამიტომაც სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმის წარმომადგენლები არიან ისინი, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ, რჩებიან აქტიური საზოგადოების გარეთ: ნარკომანები, ალკოჰოლიზმით დაავადებულნი, განდგომილები, უსახლკარონი, მათხოვრები, მოხეტიალენი. მოცემულ ჯგუფთა წამომადგენლებისთვის მნიშვნელობას კარგავს საზოგადოებრივი აქტივობა, კონკრეტული სოციალური მიზნების

170 იქვე, გვ. 297.
171 იქვე, გვ. 299-301.
172 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 290.
173 Merton, R. 1968. S. 308.
174 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 291.

მიღწევა და, შესაბამისად, ინსტიტუციური ნორმების გამოყენება, რის საფუძველზეც ისინი თვითიზოლაციას მიმართავენ და ექცევიან უნუგეშო აპათიის მდგომარეობაში".[175] ეს ადამიანები „ამოვარდნილი" არიან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, თავს გრძნობენ „უცხოდ„, იკეტებიან საკუთარ თავში და ხდებიან მარტოსულები.[176] მერტონისათვის მარტოობაში გაქცევა არის არჩევანის შედეგი და არა დამარცხების სიმპტომი.[177]

„წინააღმდეგობა, ანუ ამბოხი, განეკუთვნება სოციალური ადაპტაციის იმ სახეს, რომელიც ყალიბდება ინდივიდთა ორმხრივი დამოკიდებულების შედეგად სოციალურ მიზნებსა და ინსტიტუციურ საშუალებებთან მიმართებით. სოციალური წინააღმდეგობის საფუძველზე კონკრეტული სოციალური ჯგუფები აყალიბებენ მიზნებისა და საშუალებების ალტერნატიულ სისტემას, რისი მიზანიცაა არსებული სოციალური სისტემის ტრანსფორმაცია. სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმის პროპაგანდისტები არიან სხვადასხვა რევოლუციური თუ საპროტესტო მოძრაობების წარმომადგენლები, რომლებიც ქადაგებენ რადიკალური სოციალური, პლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცვლილებების აუცილებლობას და სკეპტიკურად ეკიდებიან როგორც დამკვიდრებულ ფასეულობებს, ისე საზოგადოების ნორმატიულ სისტემასაც".[178] წინააღმდეგობა დევიაციის კოლექტიური ფორმაა, რომელიც მიმართულია ალტერნატიული სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე.[179]

მერტონის ადაპტაციის სახეების სქემატური წარმოდგენა: „+" ნიშნავს „თანხმობას", „–" ნიშნავს „უარყოფას" და „(+, –)" ნიშნავს გაბატონებული ღირებულებების უარყოფას და შეცვლას ახალი ღირებულებებით.[180]

ადაპტაციის სახეები	კულტურული მიზნები	ინსტრუმენტული საშუალებები
1. კონფორმიზმი	+	+
2. ინოვაცია	+	—
3. რიტუალიზმი	—	+
4. უკუქცევა	—	—
5. წინააღმდეგობა	(+, —)	(+, —)

„მერტონის თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ცნებას. სოციალურ ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებას, მერტონის თანახმად, უშუალოდ კულტურა განაპირობებს. ამიტომაც მერტონი მოცემულ ფასეულობებს „კულტურულ მიზნებს" (Culture Goals) უწოდებს. კულტურა, ერთი მხრივ, აყალიბებს სოციალური მიზნების სისტემას, მაგრამ, მეორე მხრივ, განსაზღვრავს ინდივიდუალურ სოციალურ მოქმედებათა შინაარსა და ფორმას. მერტონი იყენებს მაკროკულტურის კონცეფციას, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ ფასეულობათა ზოგად სისტემას. კულ-

175 იქვე.
176 კოდუა ე. და სხვ. (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 240.
177 იქვე, გვ. 241.
178 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 292.
179 Merton, R. 1968. S. 310.
180 ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 293.

ტურა განსაზღვრავს საზოგადოების ფასეულობათა, სოციალური მიზნების სისტემას, მაგრამ ამავე დროს მოცემულ სისტემასთან ინდივიდთა მიმართებასაც. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ კონკრეტულმა ადამიანმა, სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს სოციალური ადაპტაციის სხვა ახალ ფორმასთან. აქედან გამომდინარე, სწორედ ინდივიდუალური კულტურული დამოკიდებულებები განაპირობებენ ინდივიდთა მიმართებას ზოგადკულტურული ფასეულობებისადმი".[181]

მერტონის თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ „მერტონი ახდენს დამნაშავეთა იდენტიფიკაციას მხოლოდ საზოგადოების ქვედა ფენებში, დაბალ კლასში, რადგანაც არსებული სოციალური მიზნებისა და მოცემული მიზნების მიღწევის ლეგალური საშუალებების ინტეგრირება სწორედ დაბალი კლასის პრობლემაა".[182] ამის გამო კი მოცემული თეორიის მეშვეობით შუძლებელი ხდება საზოგადოების წარმატებულ ფენებში დამნაშვეთა იდენტიფიცირება (White-Collar Crime).[183]

7.2. ეტიკეტირების თეორია

Labeling Approach წარმოდგება ინგლისურიდან. „Label" ნიშნავს ეტიკეტს, ეტიკეტირებას, ხოლო „Approach" – მიდგომას, დაახლოვებას. ეტიკეტირების თეორია ცნობილია აგრეთვე „იარლიყის მიკერების" სახელწოდებით.[184] ეტიკეტირების თეორია პირველად 1938 წელს ჩამოაყალიბა ამერიკელმა სოციოლოგმა ფრანკ ტანენბაუმმა.[185] ეტიკეტირების თეორიის კლასიკური დახასიათება, რამაც იგი პოპულარული გახადა, ეკუთვნის ასევე ამერიკელ სოციოლოგს ჰოვარდ ბეკერს[186] და ედვინ ლემერტს.[187] ბეკერის აზრით, ქმედებები, თავისთავად, არც კარგია და არც ცუდი. ნორმალურობა და დევიანტობა[188] სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები. ამდენად, დევიაცია უფრო მეტად არის არა მოქმედების თვისება, არამედ სხვათა მიერ მინერილი წესები და სანქციები „კრიმინალების" მიმართ.[189]

ბეკერი გამოყოფს Labeling-ის ორ განზომილებას, რომლებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის დეფინირებისა და მისი კონსტრუირებისათვის. პირველი განზომილება არის დადგენილი ნორმა. ის პირები, რომლებიც ქცევის წესებსა და ნორმებს ქმნიან განსაზღვრავენ, თუ რომელი ქმედება არის ნორმის დარღვევა და დანაშაული. მეორე არის ნორმის გამოყენება. ის პირები, რომლებიც დადგენილ ნორმებს იყენებენ (მაგალითად, სამართალ-

181 იგივე, გვ. 394.
182 იგივე, გვ. 395.
183 იგივე, გვ. 396.
184 კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 102.
185 Tannenbaum, F. 1938. 1951.
186 Becker, H. 1963.
187 Lemert, E. 1951.
188 დევიაცია იმ ქცევის აღნიშვნაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს... [თუმცა] შესაძლოა, ინდივიდის ესა თუ ის ქმედება ფორმალურად განიხილებოდეს როგორც დევიანტური, მაგრამ მას მაინც არ „მიეკეროს" დევიანტის იარლიყი, რამდენადაც, გარემოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი არ აღიარებს ნორმის დარღვევას„, კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 54.
189 Rüther, W., 1975. S. 29.

დამცავი ორგანოების წევრები), ყველა ქმედებას არ მიიჩნევენ დანაშაულად და ახდენენ ერთგვარ სელექციას. ნორმის გამოყენების სელექციურობით ხდება დამნაშავის ცნების ჩამოყალიბება.[190] ბეკერის აზრით, სწორედ ნორმის გამოყენების დროს ხდება სელექცია (გამორჩევა, გადარჩევა), რომელიც გავლენას ახდენს პირის ეტიკეტირებაზე.

ვინ ახდენს პირის ეტიკეტირებას („იარლიყის მიკერებას")?

როგორც წესი, პირის „დამნაშავედ" ეტიკეტირებას ახდენენ სოციალური კონტროლის ორგანოები ან მათი წარმომადგენლები. ეს ორგანოებია: პოლიცია, მედია, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები და სხვა. ამ ორგანოების მიერ ნეგატიური (დევიანტური) ეტიკეტირება გავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერებაზე და წარმოშობს მასში დევიანტურ იდენტურობას, რაც დევიანტური კარიერისა და დევიანტური სუბკულტურების განვითარებას უწყობს ხელს.

კაიზერის აზრით, დამნაშავე წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მას დამნაშავის ეტიკეტს მიანიჭებენ სოციალური კონტროლის ინსტიტუტები და მას დამნაშავედ აღიარებს საზოგადოება.[191] აქედან გამომდინარე, დამნაშავეა ის, ვინც საზოგადოების მიერ აღიარებული იქნება დამნაშავედ.

პირის დამნაშავედ „გახდომის" ეტაპები:

1. პირველად ჩადენილი დანაშაული; 2. საზოგადოებრივი რეაქცია, ანუ საზოგადოების მიერ პირის დამნაშავედ ეტიკეტირება; 3. ა) საზოგადოებაში „დამნაშავის" ინტეგრირების პრობლემა; ბ) „დამნაშავის" მიერ თავისი სტატუსის აღიარება და კრიმინალად ჩამოყალიბება; 4. განმეორებით დანაშაულების ჩადენა.

გთავაზობთ მაგალითს,[192] თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს მოზარდის დამნაშავედ ჩამოყალიბება საზოგადოების მიერ ეტიკეტირების გამო.

მოზარდი თავისი (ეკონომიკური) პრობლემის მოსაგვარებლად ჩაიდენს დანაშაულს. მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაული არ გახდება ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის და არ მოხდება მისი ეტიკეტირება.

იმის მიუხედავად, გადაჭრა თუ არა მოზარდმა (ეკონომიკური) პრობლემა, იგი ხედავს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ დაფიქსირებულა პოლიციის მიერ, რაც მას გამბედაობას მატებს და უბიძგებს კიდევ ჩაიდინოს დანაშაული. ამით მატულებს იმის ალბათობა, რომ მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაული ლატენტური აღარ დარჩეს და მოხდეს მისი სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოვლენა.

თუ სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი გახდა მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენა, მაგრამ იგი რეაგირების გარეშე იქნება დატოვებული, მოზარდს უფრო მეტი გამბედაობა დაეუფლება და სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს სისუსტედ ჩაუთვლის უმოქმედობას.

ხოლო თუ სამართალდამცავი ორგანოები რეაგირებას მოახდენენ, მოზარდის გარშემომყოფი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, საზოგადოება მოზარდს „ზურგს შეაქცევს" ჩა-

190 Becker, H., 1963. S. 12.
191 Kaiser, G., 1996. S. 275.
192 Quensel, S., 1970. S. 381.

დენილი დანაშაულის გამო. სამაგიეროდ, მოზარდი აღიარებას ჰპოვებს სხვა ახალ პირთა წრეში, რომელიც დანაშაულის ჩადენასა და სასჯელის მოხდას ისე აღიქვამს, როგორც ჯილდოს. შემდგომი დანაშაულის ჩადენისას მოზარდი უფრო მეტ აღიარებას მოიპოვებს ახალი მეგობრებისაგან. მოზარდის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის გამოვლენა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უფრო მკაცრად იქნება სანქციონირებული, ვიდრე ეს დანაშაულის პირველად გამოვლენის შემთხვევაში იყო. მოზარდი ოფიციალურად იქნება დამნაშავედ გამოცხადებული. უცხო პირთა მიერ მოზარდის დამნაშავედ გამოცხადებას თან მოჰყვება მოზარდის მიერ საკუთარი თავის დამნაშავედ აღიარება. ეტიკეტირების გამო მოზარდს შეეზღუდება საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა, რაც მის სოციალურ განვითარებასაც შეუშლის ხელს. საზოგადოებისაგან გარიყული მოზარდი ეცდება გაამართლოს მისთვის მინიჭებული დამნაშავის „სტატუსი„, ისწავლის დანაშაულის ჩადენის ახალ ხერხებსა და მეთოდებს და გამოიყენებს მას პრობლემების მოსაგვარებლად. მოზარდი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს, რომელზეც სამართალდამცავი ორგანოების რეაქცია იქნება მკაცრი, რაც განპირობებული იქნება მანამდე მის მიერ ჩადენილი დანაშაულებით. მოზარდი მოთავსდება თავისუფლების აღკვეთის ადგილას, სადაც მოხდება დანაშაულის ჩადენის ახალი ხერხებისა და მეთოდების შესწავლა და დახვეწა. ციხიდან გამოსული მოზარდი ითვლება ნასამართლევად, რაც, თავის მხრივ, ართულებს მის საზოგადოებაში ინტეგრაციას (სამსახურის დაწყება, მეგობართა ახალი წრის პოვნა).

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ეტიკეტირების მნიშვნელობა მდგომარეობს დამნაშავედ მიჩნეული პირის მიერ საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციის შეცვლაში და კრიმინალის სტატუსის აღიარებასა და მის გამართლებაში. თუ საზოგადოების მიერ პიროვნება მიჩნეული იქნება კრიმინალად, იგი ამის შემდეგ იქცევა ისე, რომ გაამართლოს საზოგადოების შეხედულება მისი პიროვნების შესახებ.[193]

კრიტიკის თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ: 1. იმპერიულად ნაკლებად არის დადგენილი, იწვევს თუ არა კონტროლის ორგანოების მიერ პირის „ეტიკეტირება" მის მიერ საკუთარი იდენტურობის შეცვლას და განმეორებით დანაშაულის ჩადენას; 2. დანაშაულის ჩამდენ პირებს აქვთ უნარი, უარყონ საზოგადოებრივი ეტიკეტირება და ჩათვალონ, რომ ეტიკეტირება სულაც არ არის ავტომატური პროცესი, რომელიც მას სხვა (განმეორებით) დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს; 3. თუ მოსამართლე იტყვის „ა. არის ქურდი", იგი ეყრდნობა რეალურ ფაქტს, (რომელიც მტკიცებულებებზე დაყრდნობით არის დადგენილი), ხოლო პირის ქურდად გამოცხადებას წინ უძღოდა მისი დანაშაულებრივი ქმედება და პიროვნული საფუძვლები. აქედან გამომდინარე, მართებულია დაისვას კითხვა: რატომ გახდა ა. ქურდი?[194]

ამერიკელი კრიმინოლოგი აკერსი სასტიკი წინააღმდეგი იყო ეტიკეტირების თეორიისა, რომელსაც მან 1967 წელს ნაშრომი მიუძღვნა. მისი თქმით, ეტიკეტირების თეორიის წაკითხვისას ადამიანს შეექმნება შთაბე-

193 Göppinger, H., 1997. S. 110.
194 Opp, K-D., 1972. S. 40.

ჭდილება, რომ ადამიანები სულ საკუთარ საქმეს ჩაჰკირკიტებენ, გარშემო არავის არაფერს უშავებენ და უცებ „ბუმ!“ და ჩნდება „ცუდი საზოგადოება“, რომელიც მას დაღის დამსმელ ეტიკეტს აძლევს. ბევრის აზრით, ეტიკეტირების თეორია აიძულებს ადამიანს შეითავსოს დამნაშავის როლი, თითქოს ადამიანს მეტი არჩევანი არ ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ გაამართლოს ის, რაც მას საზოგადოებამ ეტიკეტის სახით „მიაკერა.“

7.3. ქოენისა და მილერის სუბკულტურული თეორიები

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განვიხილოთ, თუ რა არის სუბკულტურა? სუბკულტურის უკეთ გაგებისათვის კი უნდა გაირკვეს კულტურის ცნება. კულტურა წარმოდგება ლათინური ზმნიდან „colo“, რაც (ნიადაგის) მოვლას, დამუშავებას, ზრუნვას ნიშნავს.[195] კულტურის ცნების განსაზღვრებაში არ არსებობს ერთსულოვნება, თუმცა შეიძლება გამოიყოს სამი ელემენტი: 1. კულტურის სოციალური ტრადიცია, მემკვიდრეობა, რაც გადაეცემა თაობებს; 2. კულტურა არ არის ადამიანის გენეტიკური ბუნების გამოვლინება, იგი არის ის, რასაც ადამიანები სწავლობენ. ის სოციალიზაციის პროცესში შეძენილი ნორმების ერთობლიობაა; 3. კულტურა არის საყოველთაოდ მიღებული, საზოგადოებისათვის საერთო ნორმებისა და ღირებულებების სისტემა.[196] საზოგადოების კულტურა შექმნილია მრავალი თაობის მიერ. კულტურა დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სოციალურ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომლისგან გათავისუფლება თითქმის შეუძლებელია. ქართული კულტურის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინტენსიურმა დაკვირვებამ და თანამშრომლობამ სხვა კულტურის ადამიანთა ჯგუფებთან.

სუბკულტურის ცნების ჩამოყალიბებისას ძირითადი აქცენტი მიმართულია კულტურასა და სუბკულტურას შორის იერარქიულ დამოკიდებულებაზე (sub = lat. „ქვევით“). sub თავისთავად მიუთითებს, რომ ადგილი აქვს სუბკულტურასა და კულტურას შორის ჰეგემონიურ დამოკიდებულებას.[197]

---

195 „კულტურა (ლათ. cultura – დამუშავება, მოვლა, განათლება, განვითარება) [არის] ადამიანის და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთობლიობა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. განსაზღვრულ ეპოქაში ხალხის, ერის, საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა შეადგენს მათ კულტურას“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, თბილისი, 1983, გვ. 67.

196 კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 145.

197 „სუბკულტურის კვლევა ბრიტანეთში დაეფუძნა ურბანულ ეთნოგრაფიას, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში განვითარდა (ჰენრი მეიჰიუს და ტომას არჩერის ნაშრომები, ჩარლზ დიკენსისა და არტურ მორისონის ნოველები). თუმცა სუბკულტურის კვლევისადმი უფრო მეცნიერული მიდგომა, თავისი მეთოდოლოგიით (ჩართული [თანამონაწილეობითი] დაკვირვება), 1920-იან წლებამდე არ აღმოცენებულა, როდესაც სოციოლოგებისა და დანაშაულის შემსწავლელთა ჯგუფმა ჩიკაგოში დაიწყო ინფორმაციის შეგროვება ქუჩის ახალგაზრდა დაჯგუფებებსა და კრიმინოგენურ ჯგუფებზე. ჩართული დაკვირვება ისევ აქტუალურია, თუმცა ანალიტიკური და ახსნითი ამოსავალი ნერტილის არარსებობის გამო მას სოციოლოგიის ძირითად ნაკადში მარგინალური სტატუსი ენიჭება. პიტერ ვილმოტმა სუბკულტურა განსაზღვრა როგორც „კომპრომისული გადაწყვეტილება“ ორ ურთიერთდაპირისპირებულ მოთხოვნილებას შორის: შექმნისა და ავტონომიურობის მოთხოვნილება და მშობლისაგან განსხვავებულობის დამტკიცება და მშობლის იდენტიფიკაციების შენარჩუნების მოთხოვნილება“, იხ. ასათიანი მ., 2006.

თანამედროვე სოციოლოგიაში მიღებულია არნოლდის მიერ შემოთავაზებული სუბკულტურის ცნება. არნოლდის მიხედვით, სუბკულტურა არის კულტურის ერთი ნაწილი. სუბკულტურა არის ადამიანთა ჯგუფის ან ერთი რომელიმე სოციალური კატეგორიის ქცევის მოდელი, რომელიც ხორციელდება მთლიანი კულტურის (ფარგლებში) შიგნით და საკუთარი თავისებურებანი აქვს, რომლის მეშვეობითაც ისინი განსხვავდებიან დომინირებული კულტურის ან სხვა სუბკულტურებისაგან.[198]

შვენდტერის მიხედვით, სუბკულტურა არის კონკრეტული საზოგადოების ნაწილი, რომელიც თავისი ინსტიტუტებით, ადათებით, ნორმებით, ღირებულებათა ორიენტირებულობითა და მოთხოვნილებებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან გაბატონებული საერთო საზოგადოების ინსტიტუტებისა და ღირებულებებისაგან.[199]

საზოგადოების სოციალურ კონტექსტს ანიჭებენ უპირატესობას სუბკულტურის დეფინიციის ჩამოყალიბებისას ამერიკელი სოციოლოგები ქოენი და შორტი. მათი აზრით, სუბკულტურა არის ღირებულებებისა და რწმენის ერთიანი სისტემა, რომელიც იმ ბავშვებს შორის კომუნიკაციის პროცესში წარმოიშობა, რომელთაც ერთნაირი მდგომარეობა უკავიათ სოციალურ სტრუქტურაში.[200]

კლერკი სუბკულტურას განიხილავს საზოგადოების კლასებთან დაკავშირებით. მისთვის სუბკულტურები, როგორც სუბსისტემა, კლასების კულტურის მანიშნებელია, როგორც პატარა, ლოკალური და დიფერენცირებული სტრუქტურა, სამოქალაქო და მუშათა კლასების შემადგენლობაში,[201] მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისის ბოჰემათა სუბკულტურას საშუალო ინტელიგენციის კლასს მიაწერს, ხოლო ფეხბურთის ხულიგნებს (Hooligans) მუშათა კლასს.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონში სუბკულტურის შესახებ შემდეგი სახის განმარტებას ვხვდებით: „სოციალური ნორმებისა და ღირებულებების, ქცევის მოდულების სისტემა, რომელიც განსაზღვრული სოციალური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და გამოარჩევს მას საზოგადოებაში გაბატონებული კულტურისაგან (ანუ საზოგადოების უმრავლესობის კულტურისაგან). არ არის აუცილებელი სუბკულტურა ეწინააღმდეგებოდეს გაბატონებულ კულტურას, არამედ შეიძლება იყოს მისი რელევანტური. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, თავს იჩენს პრობლემა, ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებებში კულტურული ფრაგმენტაციის მაღალი ხარისხი აძნელებს გაბატონებული კულტურის გამოყოფას. სუბკულტურებში ჩართულობის მოტივაცია ზოგიერთისათვის შეიძლება იყოს კომპენსაცია იმ წარუმატებლობისა და წყენისა, რაც მათ საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან შეხვდათ. სუბკულტურა შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა სოციალური მახასიათებლის საფუძველზე, როგორებიცაა ეთნიკურობა, კლასობრივი და რელიგიური კუთვნილება, სექსუალური ორიენტაცია, უბრალოდ ცხოვრების

198 Arnold, D. O., 1970.
199 Schwendter, R., 1993. S. 11.
200 Cohen, A. K.,/ Short, J. F. Jr., 1958. S. 20-37.
201 Clarke, J., 1979. S. 45.

ახალი სტილი (ისეთი, რომელიც დაამკვიდრეს, მაგ., პანკებმა) და სხვა".[202]

ზოგადად სუბკულტურა შეიძლება ეწოდოს ადამიანთა ჯგუფს, რომელიც გაბატონებული კულტურის ღირებულებებს თუმცა იზიარებს, მაგრამ ამავდროულად აყალიბებს (ქმნის) კონკრეტული ქცევისა და ღირებულებების სისტემას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმავე გაბატონებული კულტურის ღირებულებებისაგან.

სუბკულტურის დეფინიციასთან მიმართებით საინტერესოა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სუბკულტურის დეფინირება მხოლოდ კონკრეტულ ფენომენთან (ფენომენებთან) კავშირის შემთხვევაშია შესაძლებელი.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში გამოყოფენ სამი სახის სუბკულტურას:

1. **არაკრიმინალური კულტურა.** იგულისხმება ჯგუფები, რომლებიც გაბატონებულ კულტურას ეკუთვნიან, მაგრამ საკუთარი ნორმატიული სისტემა აქვთ და გაბატონებული კულტურისაგან ან თავიანთი სოციალური მდგომარეობით ან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი გაბატონებული კულტურის ზოგიერთ ასპექტს უარყოფენ. ასეთი სახის სუბკულტურებს კონფლიქტი არ აქვთ გაბატონებულ კულტურასთან და ლეგიტიმურ საშუალებებს იყენებენ მიზნის მისაღწევად.

2. **კონტრაკულტურა.** დანაშაულებრივი სუბკულტურა, რომელიც თავისი ნორმებისა და ღირებულებების სისტემით საგრძნობლად განსხვავდება გაბატონებული კულტურისაგან, მაგრამ არ ცდილობს გაბატონებული კულტურის შეცვლას.

3. **საწინააღმდეგო კულტურა,** რომელსაც ასევე საკუთარი ნორმები აქვს, რომლებიც გაბატონებული კულტურის ოპოზიციურობიდან გამოიკვეთა და სურს შეცვალოს გაბატონებული კულტურა.

ქოენის სუბკულტურის თეორია წარმოიშვა დაბალი ფენის (კლასის) არასრულწლოვან ვაჟებზე მისი დაკვირვებით იმის თაობაზე, თუ როგორ ხვდებოდნენ ისინი კრიმინალურ დაჯგუფებებში. ქოენის სუბკულტურის მოდელის უკეთ გასაგებად აუცილებელია მისი ტერმინების – დაბალი და საშუალო ფენები (კლასები) – განმარტება. ქოენის აზრით, ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, მნიშვნელოვანია ბავშვების სოციალური მდგომარეობა. დაბალი სოციალური ფენის ბავშვები, დიდი ალბათობით, ნაკლები კულტურული ღირებულებების მატარებელი არიან, ვიდრე საშუალო ფენის ბავშვები. დაბალი სოციალური ფენიდან გამოსულ ბავშვებს არ შესწევთ უნარი (კულტურული შესაძლებლობა) კონკურენცია გაუწიონ საშუალო ფენის ბავშვებს და დააკმაყოფილონ მასწავლებელთა, მზრუნველთა, პოლიციელთა და ეკლესიის მსახურთა – რომლებიც საშუალო ფენის ნორმებით ხელმძღვანელობენ – მოთხოვნები. ამ ფენებს შორის „კონკურენციის" შედეგად დაბალი ფენის ბავშვებს უყალიბდებათ არასრულფასოვნების გრძნობა, უარს ამბობენ გავრცელებული ნორმების აღიარებაზე და უპირისპირდებიან მას.[203]

საშუალო ფენასთან კონკურენციაში „დამარცხებული" დაბალი ფენის მოზარდები, რომელთაც საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დამკვი-

202 კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2001, გვ. 295.
203 Cohen, A. K., 1961. S. 84.

დრებისა და ინტეგრაციის პრობლემა აქვთ, ქმნიან თანატოლთა და თანამოაზრეთა ჯგუფებს, კრიმინალური ბანდის კულტურას. ასე წარმოიშობიან სუბკულტურული ჯგუფები.

ქოენის მიხედვით, გადამწყვეტი არის ის, რომ მოზარდები კულტურული სისტემის საკუთარ ფორმას აყალიბებენ და ისეთ მიზნებს ისახავენ, რომელთა განხორციელებაზე კონტროლი თვითონ შეუძლიათ განახორციელონ და რომელიც მათ დაეხმარებათ ნანილობრივ მაინც აღმოფხვრან სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები.[204] მოზარდების მონანილეობა Gang-Kultura-ში აძლევს მათ შესაძლებლობას მიაღწიონ საკუთარ მიზნებს, მაგრამ ამავე დროს მათ გაბატონებულ კულტურასთან მუდმივი კავშირი აქვთ. სუბკულტურის წევრი მოზარდები თანატოლების თვალში ღირსებას სნორედ იმის გამო იძენენ, რომ ისინი გაბატონებული საზოგადოების იმ ნორმებსა და ღირებულებებს არღვევენ, რომელთა გამოც მათ ამ საზოგადოებაში სტატუსი ვერ მოიპოვეს. ქოენის აზრით, გაბატონებულ საზოგადოებაში ინტეგრირების პრობლემის კოლექტიური გადაჭრის საშუალება არის სწორედ დაბალი ფენის მოზარდთა გაერთიანება დანაშაულებრივ სუბკულტურებში.[205]

დასასრულს, ქოენის თეორია შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი თეზისების სახით:

1) თუ საზოგადოება დაყოფილია კლასების მიხედვით;

2) თუ საზოგადოების ერთ ნაწილს სოციალური სტატუსი აქვს მინიჭებული, რომელიც კლასების შესაძლებლობაზეა დამოკიდებული;

3) თუ საზოგადოების ერთი ნაწილი, კლასების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, წარმოშობილ ნორმებსა და ღირებულებებს და დაბალი ფენის სტატუსს აღიარებს;

4) თუ დაბალი ფენის მოზარდებს საკუთარი სტატუსი გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) ინტეგრაციის პრობლემებს უქმნის;

5) თუ დაბალი ფენის მოზარდებს გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) ინტეგრაციის ერთნაირი პრობლემები აქვთ;

6) თუ დაბალი ფენის მოზარდები ერთად გამოდიან გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) მიღებული იმ ნორმებისა და ღირებულებების წინააღმდეგ, რომელთა გამოც მათ დაბალი ფენის სტატუსი მიენიჭათ,

მაშინ დაბალი ფენის მოზარდები ქმნიან ინტერაქტიულ ჯგუფებში ნორმებსა და ღირებულებებს (სტატუსის კრიტერიუმებს), რომლებიც გაბატონებული საზოგადოების (კულტურის) მიმართ ნეგატიურია და მოქმედებენ ამ კულტურის წინააღმდეგ.

~~ვალტერ მილერიც~~ (ქოენის მსგავსად) ცდილობს ახსნას დაბალი ფენის მოზარდების ბანდების ფენომენი. თუ ქოენი სუბკულტურის წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს დაბალი ფენის კოლექტიურ რეაქციას საშუალო ფენის ნორმებისადმი, მილერის აზრით, სუბკულტურის წარმოშობის მიზეზია არა ფენებს შორის კონფლიქტი, არამედ დაბალი ფენის ქცევის (მარეგულირებელი) ელემენტი.

მილერის აზრით, დაბალი ფენა ავტონომიურია, რომელსაც ტრადიცი-

---

204 Cohen, A. K., 1961. S. 91.

205 იქვე.

ულად დამკვიდრებული კულტურული სისტემა აქვს. დაბალი ფენის კულტურული განვითარების საფუძველია ექვსი მნიშვნელოვანი და ცენტრალური ასპექტი,[206] (Kristallisationspunkte, focal concerns). ესენია:

1. **სიძნელეები.** იგულისხმება ისეთი სიტუაცია ან ქცევა, რომელსაც ოფიციალურ ორგანოებთან ან საშუალო ფენის წარმომადგენლებთან რთული ურთიერთობები ახლავს თან. სიძნელეები ეხება როგორც კანონიერ, ასევე უკანონო ქცევას.

2. **სიძლიერე.** იგულისხმება დადებითი თვისებები, როგორებიცაა ფსიქიკური სიმყარე, ძალა, გამძლეობა, სითამამე. მასკულინური (მამაკაცური) ჩვევების წარმოშობის მიზეზად მილერი მიიჩნევს ვაჟი მოზარდების მიერ მამაკაცად იდენტიფიკაციის შესაძლებლობის ნაკლებობას, რაც განპირობებულია იმით, რომ დაბალი ფენის ოჯახებში სახლის საქმეებს ქალები მართავენ, ხოლო მამაკაცები სახლში არ არიან.

3. **გონებრივი მოქნილობა.** გონებრივი მოქნილობა გულისხმობს თვისებას, რომლითაც მოზარდს შეუძლია სხვებს აჯობოს, „მოატყუოს", სხვების ქმედებები ღირსეულად მოიგერიოს.

4. **აღგზნებადობა.** ამ პუნქტში გაერთიანებულია ყველა ის საშუალება, რომლითაც დაბალი ფენის წარმომადგენლები ეძებენ დაძაბულობასა და დასვენებას, და რომელიც ალკოჰოლის სმაში, კარტის თამაშში, სექსუალურ და აგრესიულ თავგადასავლებში გამოიხატება.

5. **ბედისწერა.** მილერის ეს პუნქტი გამოიხატება ცხოვრებისადმი ექსტრემალურ მიდგომაში: იყო ბედნიერი ან უბედური. დაბალი ფენის წარმომადგენლების წარმოდგენით, შეუძლებელია იმ მაგიური ძალების წინააღმდეგ მოქმედება, რომლებიც ადამიანის ბედნიერება-უბედურების საკითხს წყვეტენ.

6. **ავტონომია (დამოუკიდებლობა).** ავტონომია გამოიხატება გარეგანი კონტროლის მექანიზმებზე უარის თქმით, რაც მიუთითებს მათ სურვილზე იყვნენ დამოუკიდებლები.

მილერის მიერ შედგენილი კულტურული focal concerns არის საზოგადოებისაგან „გარიყული ჯგუფების" მოზარდი მამაკაცების ის ზოგადი კულტურული მელიუ (ადგილი), სადაც მათ უწევთ მოქმედება. ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი პუნქტის გარდა, მნიშვნელოვანია აგრეთვე: კუთვნილება (ჯგუფის წევრობა) და სტატუსი.[207] კუთვნილება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ასრულებს ადამიანი ჯგუფის მიერ აღიარებულ ნორმებს, ხოლო სტატუსი დამოკიდებულია ადამიანის სიძლიერეზე, გონებრივ მოქნილობასა და მის სხვა ისეთ თვისებებზე, რომლებიც მას უპირატესობას მოუტანს სხვა პირებთან შეადარებით. სტატუსთან დაკავშირებით აღსანიშნავია მოზარდთა სურვილი, იყვნენ ისეთები, როგორებიც მოზრდილები არიან. სუბკულტურული ჯგუფის წევრები თავს ვალდებულად გრძნობენ გამოავლინონ ის თვისებები, რომლითაც ისინი მოზრდილებად ჩაითვლებიან (ავტომობილის ტარება, ფულის ხარჯვა, ნარკოტიკული საშუალებების ან ალკოჰოლის მიღება).

საზოგადოებისაგან „გარიყული ჯგუფების" მიერ ჩადენილი დანაშაუ-

206 Miller, W. B., 1968. S. 340.

207 იგივე. გვ. 353.

ლებრივი ქმედებები, მილერის აზრით, არის შედეგი მათი ორიენტაციის დაბალი ფენისათვის დამახასათებელი ნორმებისა და ღირებულებებისა, ანუ სუბკულტურული focal concerns პუნქტებისა.

ქოენისა და მილერის სუბკულტურის თეორიებს შორის განსხვავება მდგომარეობს, პირველ რიგში, სუბკულტურის ცნებაში. ქოენის მიხედვით, სუბკულტურა სოციალსტრუქტურიდან წარმოშობილი რეფლექსია, რომელსაც დიდი ზეგავლენა აქვს მის „დაქვემდებარებაში" მყოფი ინდივიდების (სუბკულტურის ნევრთა) სტატუსზე. მილერისათვის სუბკულტურა არის საზოგადოებაში ტრადიციებზე დამყარებული ავტონომიური სისტემა, ამიტომ მიაჩნია მილერს, რომ მუშათა კლასის ნარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაული სწორედ მათი კულტურული ტარდიციების ნაყოფია.

7.4. სოციალური კონტროლის თეორია

სანამ თითოეულ სოციალური კონტროლის თეორიას განვიხილავდეთ, საჭიროა გავარკვიოთ რას გულისხმობს სიტყვა **control**. **control** ითარგმნება როგორც ზედამხედველობა, შემოწმება, კონტროლი.

საკითხავია, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სიტყვა **control** სოციალური კონტროლის თეორიის მიხედვით.

ჰირშის თანახმად, პირის კონტროლი მდგომარეობს არა პირდაპირი გაგებით კონტროლში, არამედ მის მჭიდრო კავშირში მშობლებთან და მეგობრებთან.[208] გერმანელი კრიმინოლოგის, შნაიდერის, აზრით, ჰირშის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სოციალური კონტროლის თეორიასთან, არამედ სოციალური კავშირების თეორიასთან,[209] რაც ზედამხედველობასა და შემოწმებაში უფრო გამოიხატება.

იგივე შნაიდერი **ნეის** კონტროლის ცნებას უფრო მიიჩნევს როგორც კონტროლს და ზედამხედველობას.[210] ნეის „კონტროლის" ცნებაში იგულისხმება შვილების კონტროლი და ზედამხედველობა მშობლების მიერ.[211]

რაისის „კონტროლის" ცნება გულისხმობს ქცევის პირად და საზოგადოებრივ კონტროლს. მისივე აზრით, ქცევის კონტროლი ხორციელდება, ერთი მხრივ, სოციალური ჯგუფის (სოციალური კონტროლი) და, მეორე მხრივ, თვითონ ინდივიდის მიერ (პირადი კონტროლი).[212]

გოლდისთვის „კონტროლის" ცნებაში ოჯახური კონტროლი არის ნაგულისხმები, ყველა ის ოჯახური კონტროლის ფაქტორი, რაც არასრულწლოვან დამნაშავეს აიძულებს არ ჩაიდინოს დანაშაული.[213]

ტრავის ჰირშიმ გამოიკვლია 5 545 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს ჯგუფი შედგებოდა 17 500 მოსწავლეთაგან ამორჩეული მოსწავლეებისაგან 11 „public junior~ and `senior high schools—დან, რომლებიც გამოკვლეულ იქნენ

208 Hirschi, T., 1969. S. 20, 29.
209 Schneider, H.J., 1987. S. 532.
210 იქვე, გვ. 529.
211 Nye, F. I., 1958. S. 5.
212 Reiss, A. J., 1951. S. 196.
213 Gold, M., 1963. S. 11-12.

1964 წლის „Richmond Youth Project"-ის ფარგლებში.

5 545 მოსწავლე შედგებოდა 1 479 შავკანიანი, 2 126 თეთრკანიანი ბიჭისაგან და 1 076 შავკანიანი და 864 თეთრკანიანი გოგონასაგან. აღნიშნული 5 545 მოსწავლე გამოკითხულ იქნა. გარდა ამისა, მერვე კლასის მოსწავლეებს შესავსებად გადაეცათ ტესტები. ერთი წლის შემდეგ ტესტები შესავსებად გადაეცათ მეშვიდე კლასის მოსწავლეებს.

მოსწავლეების მიერ შესავსები კითხვარები დაეგზავნათ სკოლებს. რთულ კითხვებს ახლდა ინსტრუქციები. მასწავლებლებიც აძლევდნენ რთული კითხვების განმარტებებს მოსწავლეებს. აღნიშნული კითხვარები გარკვეული ხნის შემდეგ კვლავ დაურიგდათ მოსწავლეებს. ასე რომ, იმ მოსწავლეებმა, რომლებმაც პირველად ვერ შეძლეს კითხვარის შევსება (სკოლაში არ ყოფნის გამო), და იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს კითხვარის ბოლომდე შევსება, მიეცათ შესაძლებლობა შეევსოთ ან დაესრულებინათ კითხვარი.

მკვლევრებს უკან დაუბრუნდათ 4 077 სრულყოფილად შევსებული კითხვარი, რაც საერთო რაოდენობის 73,5% შეადგენდა.[214] გამოკითხულ მოსწავლეთა 12%-ის მშობლებმა უარი თქვეს კითხვარების შევსებაზე, 6,2% 1965 წელს უკვე აღარ ცხოვრობდა იმ ქალაქში და, შესაბამისად, აღარ სწავლობდა რეიხმონდის სკოლაში. 7,1%-ის მიერ გამოგზავნილი პასუხები არ იყო დამაკმაყოფილებელი და ვერ იქნა გამოყენებული კვლევის შეფასებისათვის, ხოლო 1,2%-ის მიერ კითხვებზე გაცემულ იქნა არასწორი პასუხები.

კითხვარებთან ერთად ცდის პირების შესახებ გაანალიზდა სკოლასა და პოლიციაში არსებული ჩანაწერები (საქმეები).

კითხვარებისა და ცდის პირების შესახებ არსებული საქმეების შეჯამება-შეფასებისას გაირკვა, რომ იმ ცდის პირებთან შედარებით, რომელთაც სრულად და ამომწურავად უპასუხეს ანკეტებს, ჯგუფი, რომელმაც არ ან ვერ უპასუხა კითხვარის პასუხებს, საგრძნობლად გამოირჩეოდა დამნაშავეობით. მკვლევრები დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევდნენ ისეთ ქცევას, რომელიც დასჯილ იქნა კანონით დადგენილი ნორმებით. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენას, მკვლევრებმა მოსწავლეებს მიანდეს თვითონ დაეწერათ კითხვარებში მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ვინაიდან შეუძლებელია პოლიციას მათ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული დაეფიქსირებინა.[215]

მოცემულ კვლევებზე დაყრდნობით ჰირში აღწერს თავის „კონტროლის თეორიას". ჰირშის აზრით, თუ რომელიმე ადამიანი სხვა ადამიანის სურვილებსა და მოლოდინზე არ არის მინდობილი, მაშინ იგი აღარც ნორმებზეა მიჯაჭვული.

ადამიანებსა და ნორმებს შორის კავშირს ჰირში ოთხ ელემენტად ყოფს: **1. „Commitment"; 2. „Attachment"; 3. „Involvement"** და **4. „Belief"**.

1. „Commitment" (**რაციონალური კომპონენტი**) ნიშნავს რაციონალურ, გონივრულ მოფიქრებას, იმის გააზრებას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ნორმისგან გადახრას. აღნიშნული, როგორც რაციონალური კომპონენტი, შეგვიძლია ზიგმუნდ ფროიდის „მეს" შევადაროთ. ჰირში ამბობს, რომ ალბათ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები, რომლებმაც ბევრი ენერგია, დრო

214 Hirschi, T., 1969. S. 36.

215 იქვე, გვ. 64.

და ფული დახარჯეს ამ სტატუსის მისაღწევად, ისწავლეს, კარიერა შეიქმნეს და შეძლეს საზოგადოების პატივისცემა დაემსახურებინათ, არ არიან მზად, რომ მცირე, უმნიშვნელო დანაშაულის ჩადენის გამო თავიანთი რთულად მისაღწევი მაღალი სტატუსი (მდგომარეობა) დაკარგონ.[216]

2. „Attachment" (ემოციური კომპონენტი) არის ემოციური კავშირი სხვა ადამიანებთან. ეს არის სოციალური კავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. ემოციური კავშირი სოციალურ „პარტნიორებთან" – მშობლებთან, მეგობრებსა და მასწავლებლებთან – ამცირებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენისა და მისი კრიმინალად ჩამოყალიბების ალბათობას. პირის ემოციური კავშირი მასში აყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობას სოციალური „პარტნიორების მიმართ„, რაც მას ხელს უშლის დანაშაულის ჩადენაში. კრიმინოლოგი შნაიდერი ემოციურ კომპონენტს განმარტავს, როგორც პიროვნებასთან ახლო დგომას, მის ერთგულებასა და მასზე მიჯაჭვულობას.[217]

3. „Involvement" (დროის კომპონენტი) ნიშნავს კონფორმულ (არადანაშაულებრივ) ქმედებებში ჩაბმას, ე. ი. პირი იმდენად არის ჩართული თავის საქმეში, რომ მას აღარ აქვს დრო ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედებები.[218] ვინც მუშაობს, სპორტს მისდევს, ეკლესიაში დადის ან სხვადასხვა სახის კავშირებშია გაერთიანებული, დრო აღარც კი ექნება კრიმინალური ქმედებები დაგეგმოს ან ჩაიდინოს. კრიმინოლოგი შნაიდერი ამას უწოდებს კანონით დადგენილი ქცევების მეშვეობით პირის შეკავებას,[219] რომ მან არ ჩაიდინოს დანაშაული.

4. „Belief" (მორალური კომპონენტი) ეს ნიშნავს რწმენას, რომ არსებობს საყოველთაო ღირებულებათა სისტემა,[220] რომელსაც შნაიდერი განმარტავს, როგორც მორალური კეთილდღეობისა და კონვენციონალური წესების შეფასებას და აღიარებას.[221] ჰირშის თეზა კი იმ მიმართულებისაა, რომ ნორმის დამრღვევს წესების სჯერა მანამ, სანამ ის მას დაარღვევს. რაც უფრო ნაკლებად აღიარებს პირი მორალურ ნორმებს, მით უფრო დიდია საშიშროება, რომ ის დანაშაულს ჩაიდენს.

ჰირშის მოსაზრებით, თუ პირს კონვენციონალურ ადამიანებთან აქვს კავშირი, ალბათ კონვენციონალურ საქმიანობას მისდევს და შესაბამისად, ამგვარივე აზრებისა და სურვილების მატარებელია, ხოლო თუ პირს არ აქვს კონვენციონალური კავშირები, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ის აუცილებლად ჩაიდენს დანაშაულს, მაგრამ ამის დიდი ალბათობა იარსებებს.[222]

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივაცია შეიძლება ყოველთვის იყოს კომპლექსურ მოტივაციათა ერთობლიობით გამოწვეული, თუმცა მოტივაციის ხარისხი უეჭველად ცვალებადია. სწავლების თეორიის მიხედვით, ქცევის მოტივები შესწავლილია და იგი აქამდე მიღებულ გამოცდილებებზეა

216 იქვე, გვ. 21.
217 Schneider, H.J., 1987. S. 533.
218 Hirschi, T., 1969. S. 22.
219 Schneider, H.J., 1987. S. 533.
220 Hirschi, T., 1969. S. 23.
221 Schneider, H.J., 1987. S. 533.
222 Hirschi, T., 1969. S. 28-29.

დამოკიდებული. მოტივს დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენისათვის, იგი ზემოქმედებას ახდენს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. მოტივაციის ხარისხი არის ცვალებადი და ის ქმედების განხორციელების მომენტში შეიძლება შესუსტდეს ან, პირიქით, გაძლიერდეს.[223]

ცალკეული შემთხვევების შეფასება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ცხოვრებისეულ პირობებთან (საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო, მზრუნველი), რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ პირის მდგომარეობა, ხელი შეუწყონ ან ხელი შეუშალონ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას.

კაიზერისა და შოხის თანახმად, ჰირშის შეხედულებას ეწინააღმდეგება დაკვირვებები, რომლის თანახმად, მრავალი ინდივიდი, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნია ქცევის შემბოჭველი კავშირები, მაინც არ სჩადის დანაშაულს.[224]

ჰირშის მიხედვით, არ არსებობს სპეციალური დანაშაულებრივი მოტივაცია, ანუ ზუსტად ჩამოყალიბებული რეცეპტი, რითაც შეიძლება აიხსნას „ადამიანი ცხოველის" კრიმინალური საქციელი. ჰირშის კონტროლის თეორია არ სვამს კითხვას „რატომ აკეთებენ ისინი ამას?" ანუ რატომ სჩადიან ადამიანები დანაშაულს, არამედ კითხულობს: „რატომ არ ვაკეთებთ ჩვენ ამას?" ანუ რატომ არ ვემორჩილებით არსებულ ნორმებს.[225]

ჰირშის აზრით, რწმენა მოქმედი ნორმების მიმართ (**„Belief"**) გულისხმობს, რომ დამნაშავეს, ნორმათა რწმენის გარეშე, რომელიც მას დანაშაულის ჩადენას აუკრძალავს, უადვილდება დანაშაულის ჩადენა და რომ უნორმობა იწვევს პირის დანაშაულებრიობას.[226]

ჰირშის სოციალური კონტროლის თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ სასკოლო და პოლიციის (ჩანაწერების) საქმეების გამოყენება კვლევისათვის პრობლემურია, ვინაიდან ისმის კითხვა: ვინ რას წერს ამ საქმეებში? და როგორ იქნა ის წაკითხული მკვლევრების მიერ?

დანაშაულის თვითაღიარებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დანაშაულის ჩადენას ყველა არ აღიარებს. გარდა ამისა, არასრულწლოვანმა შეიძლება ისეთი საქციელი მიიჩნიოს დანაშაულად, რომელიც სულაც არ არის დანაშაული. ანკეტური გამოკითხვით შეუძლებელია დანაშაულის ცნების სრულად გადმოცემა ან ცნების იმ მოცულობით გადმოცემა, რომ გასაგები გახდეს თითოეული გამოსაკითხი არასრულწლოვნისათვის. კითხვარების შევსების დროს დიდია იმ მასწავლებელთა ზეგავლენა მოსწავლეებზე, რომლებიც კითხვარის შევსების შესახებ ინსტრუქტაჟს აძლევდა არასრულწლოვნებს.

ანკეტათა პირველი „გადამოწმება" გვაძლევს დაეჭვების საბაბს, რადგან ჩნდება კითხვა, სად და როგორ „მოწმდებოდა" ისინი. ანკეტების ხელმეორედ დარიგებისას მიეცათ გაუმჯობესებული ინსტრუქციები, რაც განსაზღვრულ კითხვაზე შემოფარგლული პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ

223 Lemp, R., 1975. S. 230-231.
224 Kaiser, G./Schöch, H., 1987. S. 40.
225 Hirschi, T., 1969. S. 34.
226 Hirschi, T., 1969. S. 198.

გამოკითხვის მეორედ ჩატარებისას „სწორი“ პასუხები მიეღოთ.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რომ ანკეტების პასუხთა 1,2% „არასწორად“ იქნა მიჩნეული და ამდენად, ისინი არ შეიძლება საბოლოოდ კვლევით მასალაში განვიხილოთ. სამწუხაროდ, გაუგებარია, რა კრიტერიუმებით შეფასდა ისინი „არასწორად“.

თუ ერთად დავითვლით იმ პირებს, რომელთაც ანკეტები არასწორად შეავსეს ან კითხვებს არასრულად უპასუხეს, ასევე მათ, რომლებიც ანკეტურ გამოკითხვას არ ესწრებოდნენ ან 1965 წელს რეიხმონდის სკოლაში უკვე აღარ იყვნენ, მათ, რომელთა მშობლებმაც ანკეტურ გამოკითხვაზე უარი თქვეს, შეადგენს გამოკითხულთა თავდაპირველი საერთო რაოდენობის 26,5%-ს.

ეს კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია და მათმა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება საერთო კვლევის შედეგზე ერთგვარი გავლენაც კი მოახდინოს, რადგან ეს ჯგუფი (26,5%) შეიძლება უფრო მეტად კრიმინალური იყო, ვიდრე ის ჯგუფი (73,5%), რომელმაც სწორი და სრული პასუხი გასცა.

ჰირშის თეორიის შეფასებისას ეს კრიტიკული შენიშვნები კვლევის მიმართ ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული.

აუცილებელია აგრეთვე ჰირშის მიერ ჩამოყალიბებული კონტროლის თეორია შემოწმდეს იმ კუთხით, თუ რამდენად შეესაბამება იგი სხვა კვლევებით მიღებულ ანალიზებსა და შედეგებს.

ჰირშის აზრით, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები არ არიან მზად პატარა დანაშაულობების გამო თავისი სტატუსი დაკარგონ.[227] გასათვალისწინებელია, რომ მაღალი სტატუსის მქონე ადამიანები, როგორც წესი, დიდი ფინანსური შესაძლებლობის მქონე არიან. გარდა იმისა, რომ ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილი არიან და, სავარაუდოდ, ანგარებით დანაშაულის ჩადენა აღარც კი ესაჭიროებათ, როგორც მაღალი სტატუსის მქონე ადამიანებს, უფრო მეტი ლეგალური საშუალებები აქვთ მიზნის მისაღწევად, ვიდრე სოციალურად დაუცველ ადამიანებს. გარდა ამისა, მათი (მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამინების) პოლიციის მიერ ეჭვმიტანილად მიჩნევა, მათი სტატუსიდან გამომდინარე, უფრო ნაკლებად რეალისტურია, ასე რომ, მათზე სახელმწიფო კონტროლიც უფრო სუსტია, ვიდრე სოციალურად დაუცველ ან საზოგადოებისაგან გარიყულ ადამიანებზე (ნასამართლევი, ნარკომანი, ლოთი, უსახლკარო).

ორაზროვანია ჰირშის დებულება იმის თაობაზე, რომ თუ პირს საზოგადოების ლეგალური წესების სჯერა და ჩაბმულია მუშაობის ნორმალურ რეჟიმში, ეს აფერხებს მის დანაშაულებრიობას.[228]

საზოგადოების ლეგალური წესებისადმი ნდობა თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული და ძნელი დასადგენია ესა თუ ის ადამიანი რომელ წესს სცემს პატივს და რომელს უარყოფს.[229] ხოლო, რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ პირები, რომლებიც მუშაობენ, ნაკლებად სჩადიან დანაშაულს, ვფიქრობთ, თავიანთ მოთხოვნილებებს ისინი უფრო ლეგალურად იკმაყოფილებენ, ვი-

227 Hirschi, T., 1969. S. 21.
228 იქვე.
229 Kaiser, G., 1985. S. 252.

დრე უმუშევრები.

ჰირშის კონტროლის თეორიის თანახმად, ნორმალური ადამიანებისათვის სხვა პირებთან (არა კრიმინალებთან) მჭიდრო ემოციური კავშირი (მაგალითად, მშობლებთან), მათი გაკრიმინალების თვალსაზრისით, ერთგვარ დაცვით საშუალებას წარმოადგენს.[230]

მაგრამ ჰირშის ეს მიგნება, რომ პირის დამნაშავეობის განვითარებისათვის გადამწყვეტია არა მჭიდრო ემოციური კავშირი, არამედ ის, თუ როგორ განვითარდა ეს ემოციური კავშირი, ფრიად ცალსახაა. შვილებსა და მშობლებს ან საზოგადოებას შორის მჭიდრო ემოციური კავშირი თავისი კონვენციონალური ღირებულებებით მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, თუ შვილებსა და მშობლებს შორის კავშირი კარგია და არასრულწლოვანს, შესაბამისად, კარგი გამოცდილება აქვს მიღებული.

თუ შვილებსა და მშობლებს შორის ცუდი ურთიერთობაა, მაშინ შესაძლებელია, რომ შვილებმა მათი ღირებულებები არ აღიარონ და უარი თქვან მათთან ემოციურ კავშირზე.

შვილებსა და მშობლებს შორის მჭიდრო ემოციური კავშირი შეიძლება დამყარებული იყოს აღზრდის ავტორიტარულ მეთოდებზე და ეს კავშირი ტაქტიკური თვალსაზრისით იყოს გამართლებული, რათა შვილს მშობლებთან კონფლიქტი არ ჰქონდეს. იგი მშობლებთან მჭიდრო კავშირს მხოლოდ გარეგნულად თანხმდება (აჩვენებს), შინაგანად ეწინააღმდეგება მათ და ძალისმიერი აღზრდისაგან გათავისუფლების შემდეგ უჭირს გარეგნულად ნაჩვენები არაკრიმინალური ქცევის განხორციელება.

ბანდურას აზრით, თუ გაცვლითი ემოციური კავშირი შვილებსა და მშობლებს შორის კარგია, მაშინ შვილები საკუთარი საქმიანობის, მეგობრების, აზრების შესახებ მშობლებს უფრო მეტ ინფორმაციას აძლევენ, ვიდრე ის შვილები, რომელთაც მშობლებთან ცუდი ურთიერთობა აქვთ. ისინი საკუთარ თავში ჩაკეტილი არიან და თავიანთი საქმიანობის შესახებ მეგობრებთან ან დედმამიშვილებთან უფრო საუბრობენ, ვიდრე მშობლებთან.[231]

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მშობლები კრიმინალები არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარგი ურთიერთობა აქვთ საკუთარ შვილებთან. ჰირშის აზრით, შეხედულება იმის თაობაზე, რომ დამნაშავე მშობლებთან შვილების ხშირი კავშირი მათ კრიმინალური საქციელისაკენ უბიძგებს, არ დადასტურდა.[232] დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია შვილებსა და მშობლებს შორის კარგი ურთიერთობა და არა მშობლის დამნაშავეობა ან არადამნაშავეობა.

ჰირშის აზრით, ის მოსწავლეები, რომელთაც ცუდი ემოციური კავშირი აქვთ საკუთარ მშობლებთან, პატივს არ სცემენ მასწავლებლის შეხედულებებს და სკოლა არ უყვართ.[233] ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლე, რომელსაც კონფლიქტი და ცუდი ურთიერთობა აქვს სახლში მშობლებთან, სკოლაში მასწავლებლებთანაც ასეთი (ცუდი) ურთ-

230 Hirschi, T., 1969. S. 83.
231 Bandura, A., 1979. S. 66.
232 Hirschi, T., 1969. S. 97.
233 იქვე.

იერთობის მოლოდინშია. მით უფრო, რომ ხშირად მშობლების მიერ შვილის ძალდატანებით სკოლაში გაგზავნა მოსწავლეს ნეგატიურად განაწყობს მასწავლებლების მიმართაც.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ჰირშის „სოციალური კონტროლის თეორია" დაფუძნებულია მოზარდზე მჭიდრო კონტროლის განხორციელებასა და მის ჩაბმაზე კონვენციონალურ აქტივობებში.

ჰირშის 4 ძირითად ასპექტს („**Commitment**", „**Attachment**", „**Involvement**", „**Belief**") ერთი მიმართულება აქვს. კერძოდ, მიზნად ისახავს მოზარდის იდეალური ტიპის შექმნას, რომელიც მორგებულია მოზრდილთა ღირებულებებზე. ამგვარი ახალგაზრდა პირის სურათი ასე გამოიყურება: ის აცნობიერებს იმ ნეგატიური შედეგების დადგომის შესაძლებლობას, რომლებიც შეიძლება მას მოუტანოს დანაშაულის ჩადენამ, ამ ახალგაზრდას ურთიერთობა აქვს ისეთ პიროვნებებთან – უწინარესად უფროსებთან – რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებებთან არ არიან დაკავშირებული.

ჰირშის სოციალური კონტროლის თეორია გამყარდა ემპირიული კვლევებით. ემპირიულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ:

– იმის მიუხედავად, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება არასრულწლოვანი, რაც უფრო მჭიდროა მისი კავშირი მშობლებთან, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს;

– რაც უფრო ცუდია მოსწავლის სასკოლო შედეგები (ნიშნები) და მოსწავლე მასწავლებლის აზრს რაც უფრო ნაკლებად სცემს პატივს, მით უფრო იზრდება ალბათობა, რომ მოსწავლემ დანაშაული ჩაიდინოს;

– რაც უფრო ნაკლები დრო ექნება არასრულწლოვანს სოციალკონფორმული საქმიანობებისათვის, მით უფრო იზრდება ალბათობა, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს;

– რაც უფრო ნაკლებ პატივს სცემს არასრულწლოვანი პოლიციასა და იუსტიციის სისტემას ან რაც უფრო ამცირებს ჩადენილი დანაშაულის მნიშვნელობას, მით უფრო იზრდება ალბათობა, რომ იგი სამართლის ნორმებს დაარღვევს.

ივან ნიემ 1958 წელს, ჰირშის თეორიამდე ადრე განავითარა კონტროლის თეორია, რომლის თანახმად, დანაშაული გამოწვეულია სოციალური კონტროლის ნაკლებობით.

ნიემ თავისი კვლევისათვის შეარჩია სამი პატარა ქალაქი (10.000-დან 30.000-მდე მცხოვრები). კვლევის ძირითადი მონაცემები 1955 წელს შეგროვდა.

მე-9–მე-12 კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ კითხვარი, რომელიც მათ ანონიმურად უნდა შეევსოთ და მოეთხროთ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ.

კითხვარების პასუხებთან შედარებისათვის სახელმწიფო ორგანოებიდან მიღებულ იქნა დოკუმენტაცია 18 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. გაანალიზებულ იქნა ასევე მოსწავლეთა ოჯახური ვითარება.[234]

---

234 Nye, I., 1958. S. 11.

3158 ანკეტიდან 32 ანკეტა გაუქმდა. ზოგიერთმა კი თავისი ანკეტა გააყალბა. ყველა დანარჩენი ანკეტა იყო სხვადასხვაგვარი.

გამოიკითხა სამივე ქალაქის მე-9–მე-12 კლასის მოსწავლეთა 25%. ოჯახური ურთიერთობის შესახებ კითხვებს 788 მოსწავლემ უპასუხა, რომელთაგან 780-ის გამოყენება შეიძლებოდა ანკეტის კვლევისათვის. საკლასო ოთახის რიგების მიხედვით მოსწავლეებს ოთხი სხვადასხვა ანკეტა დაურიგდათ.

იმ მოსწავლეების მშობლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კვლევაში, უფრო ახალგაზრდები იყვნენ, ვიდრე აშშ-ის მოსახლეობის იგივე ნაწილი (სხვა სკოლის მოსწავლეების მშობლები). ამ მშობელთა შორის ცოტა იყო 65 წელს გადაცილებული, რაც გულისხმობდა, რომ მათ კარგი შემოსავალი ჰქონდათ.[235]

დანაშაულის ჩადენის „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის" გამოსარიცხად, მამის პროფესიული საქმიანობა შეუდარდა მოზარდის დანაშაულს.

ნიეს კონცეფციის სხვა თეორიული კონცეფციებისაგან (ჰირშის თეორიისაგან) განსხვავება რომ მოხდეს, ყურადღება მიექცევა მისი თეორიის მხოლოდ მნიშვნელოვან ასპექტებს.

თუ ინდივიდი ეკუთვნის ჯგუფს, რომელიც ნორმებთან კონფლიქტშია მაშინ, ნიეს თანახმად, კონფლიქტი გათავისებულია და მას ინდივიდის პიროვნულ დეზორგანიზაციამდე მივყავართ.

ნიეს თანახმად, დანაშაულის სიმძიმე სხვადასხვა სახის ჯგუფში დაკავშირებულია სოციალური კონტროლის დაკარგვასთან. ეჭვგარეშეა, რომ ზოგიერთმა მოზარდმა კრიმინალური ქმედება მშობლებისაგან, თანატოლებისაგან ან სხვა საშუალებით ისწავლა, როგორც სხვები კონფორმულ (კანონმორჩილ) ქცევებს სწავლობენ, ამბობს ნიე.

ვინაიდან კრიმინალურ ქმედებებს მეტწილად კრიმინალური გარემო, გამოცდილება და პიროვნული შეხედულებები განაპირობებენ, ნიეს თანახმად, დანაშაულის ჩადენა მრავალმიზეზობრივია.

ნიეს სოციალური კონტროლის კონცეფცია დაყოფილია ქცევის 4 მაგალითად და მდგომარეობს შემდეგში:

ა) გარე პირდაპირი კონტროლი, შეზღუდვებითა და ჯარიმით;

ბ) შინაგანი კონტროლი წარმოქმნილი პირის შეხედულებიდან (მორალი);

გ) არაპირდაპირი კონტროლი, მშობლებთან ან სხვა არაკრიმინალ პირებთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციის (გაიგივების) გზით (მიბაძვა კონფორმულ საქციელში);

დ) სხვა ალტერნატიული მოსაზრებების ხელმისაწვდომობა, მიზნებისა და ღირებულებების მისაღწევად.[236]

ნიეს თანახმად, შინაგანი კონტროლი ძალიან ეფექტურია. ამისთვის დამატებით ფაქტორს მშობელთა და შვილებთან ურთიერთობა წარმოადგენს. ზოგიერთი მოზარდი მანამ არ სწავლობს მშობლისგან, სანამ პატივს არ სცემს მას.

---

235 იქვე, გვ. 18.

236 იქვე, გვ. 5.

არაპირდაპირი კონტროლი, ნიეს მოსაზრებით, მაშინ მოქმედებს, როცა კარგი, ეფექტური ურთიერთობა არსებობს სხვა ადამიანებთან. მშობლების მიერ ბავშვის აღზრდა სხვადასხვანაირად მიმდინარეობს: ზოგიერთი ბავშვი ვითარდება და მშობლებში ხედავს გამოცდილ მეგობრებს, მეორენი მშობლებს უარყოფენ და ხდება განხეთქილება მშობლისა და შვილის ურთიერთობაში.

ნიეს თანახმად, ამერიკაში პირდაპირი კონტროლი ერთი მთლიანის მნიშვნელოვანი ნაწილია. მშობლები დარაჯობენ, მეთვალყურეობას უწევენ შვილებს, სთავაზობენ მათ წესებს, ნორმებს და სჯიან, როცა ისინი ამ ნორმებს არღვევენ. ნიე ფიქრობს, რომ ხშირად კანონის დარღვევა მაშინაც ხდება, ვინაიდან ეს (კანონის დარღვევა) ამაღელვებელია (ადრენალინს გამოყოფს ნორმის დამრღვევში). ნიეს აზრით, კრიმინალურ შემთხვევათა უმრავლესობა კონტროლის ნაკლოვანების გამო ხდება. ახალშობილმა არ იცის ინსტიქტური ნორმები, კონფორმიტეტი მას უნდა ასწავლონ. ოჯახი, ნიეს თანახმად, არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მოზარდზე სოციალური კონტროლის ჩანერგვისათვის.[237]

ნიეს თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ისევე როგორც ჰირშმა, მანაც კვლევა აწარმოა ანკეტების მეშვეობით. ანკეტებით გამოკვლევისას, როგორც ჰირშთან, ისე ნიესთან, შეინიშნებოდა გარკვეული სისუსტეები. გამოკითხულ მოზარდებზე, მათ სუბიექტურ შეხედულებაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელ ქცევას მიიჩნევდნენ დანაშაულებრივად და რომელს არა. ის, რაც ერთ კატეგორიას დანაშაულებრივად მიაჩნია, მეორე მას არადანაშაულებრივად თვლის და, ამასთან, ის, რაც ერთ არასრულწლოვანს უნდა გაიხსენოს, ან შეუძლია გაიხსენოს, მეორეს არ სურს ან არ შეუძლია გაიხსენოს იგი. ამიტომ ანკეტური გამოკითხვის შედეგები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ქმედებათა სუბიექტური და არა ობიექტური შეფასება.

საკითხავია თვითონ მეთოდიც, რომელიც გამოყენებულია იმისთვის, რომ „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა" გამოვრიცხოთ. არასრულწლოვნის დანაშაულის განხილვა მხოლოდ მამის პროფესიული პოზიციის მიხედვით არასაკმარისია, რადგან სოციალური ფენა, კერძოდ ეკონომიკური მდგომარეობა, მარტო მამის პროფესიული პოზიციით არ იზომება, თუნდაც იგი მარტივ საზომ მეთოდად იყოს მიჩნეული. ამგვარი მეთოდით დედის, და-ძმის, ოჯახის სხვა წევრთა შესაძლო შემოსავალი გამოირიცხება. ასეთი კლასიფიკაციისას ასევე გაუთვალისწინებელი რჩება უძრავი ქონება, მემკვიდრეობა, თუმცა ამას სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს.

7.5. დიფერენცირებული კავშირის თეორია

დიფერენცირებული კავშირის თეორია პირველად წარმოადგინა ედვინ საზერლენდმა 1939 წელს თავის წიგნში „კრიმინოლოგია". თეორიის კორექტირება მან მოახდინა 1947 წელს და მას შემდეგ ამ თეორიაში არაფერი შეცვლილა.

---

237 იქვე, გვ. 8.

ედვინ საზერლენდი იყო ამერიკელი სოციოლოგი, პროფესორი და ჩიკაგოს სკოლის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა. მისი თეორია დიფერენცირებული კავშირის შესახებ მოიცავდა ორივე – ინდივიდუალურ და სოციალურ ფაქტორებს. ერთ-ერთი მიზანი, რის გამოც საზერლენდი ესოდენ მნიშვნელოვანი ფიგურაა კრიმინოლოგიის ისტორიაში, არის ის, რომ იგი შეეცადა თავის თეორიაში წინ წამოეწია როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციალური ფაქტორები, რათა პასუხი გაეცა კითხვაზე – როგორ გავიგოთ, თუ რა არის დანაშაულებრივი ქცევა?[238]

საზერლენდის თეორიას აქვს 9 დებულება, რომელსაც შემდეგ 9 პრინციპი ეწოდა. თუმცა თვითონ საზერლენდი ამბობს, რომ ეს 9 დებულება გულისხმობს არა პრინციპებს – არამედ პროცესს, რომლის შედეგადაც პიროვნება ებმება დანაშაულებრივ საქმიანობაში.

პირველი პრინციპი – დანაშაულებრივი ქცევა შეისწავლება. ეს ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქცევა მემკვიდრეობით არ გადაიცემა. ადამიანი, რომელიც გამოწვრთნილი არ არის დანაშაულში, ვერ გამოიგონებს დანაშაულებრივ ქმედებას, ისევე როგორც ადამიანი ვერ შეძლებს შექმნას მექანიკური გამოგონება, თუ იგი გაცნობიერებული და მომზადებული არ არის მექანიკაში.

მეორე პრინციპი – დანაშაულებრივი ქცევა შეისწავლება სხვა პირებთან კომუნიკაციის პროცესში. კომუნიკაციაში, როგორც წესი, იგულისხმება ვერბალური კონტაქტი, თუმცა იგი ასევე მოიცავს ჟესტებით კომუნიკაციას.

მესამე პრინციპი – მთავარი ნაწილი დანაშაულებრივი ქმედების შესწავლისა ხდება ჯგუფებში, სადაც პირებს ახლო, პირადი კავშირი აქვთ. ამდენად, ეს ნიშნავს იმას, რომ ისეთ საკონტაქტო და საინფორმაციო წყაროები, როგორებიცაა კინო და გაზეთები, ძალიან უმნიშვნელო როლს თამაშობენ დანაშაულის წარმოქმნაში.

მეოთხე პრინციპი – დანაშაულებრივი ქმედების შესწავლა მოიცავს დანაშაულის ჩადენის ტექნიკის შესწავლას, რომელიც ხშირად ძალიან რთულია ან პირიქით, ძალიან ადვილია. აქ ყურადღება ექცევა პიროვნების მოტივებს, აზროვნებასა და განწყობას.

მეხუთე პრინციპი – შესწავლა ხდება მოტივების სპეციფიკური მიმართულების იმ განმარტებებიდან, რომლებიც სამართლებრივ ნორმებშია მოცემული. გარკვეულ საზოგადოებაში პირი გარემოცულია იმ ადამიანებით, რომლებიც სამართლებრივ ნორმებს განმარტავენ, როგორც წესებს, რომლებიც უნდა შესრულდეს. ამავე დროს არსებობს საზოგადოება, სადაც პირი გარემოცულია იმ ადამიანებით, რომლებიც სამართლებრივ ნორმებს განმარტავენ როგორც წესებს, რომელთა დარღვევა დასაშვებია. საზერლენდის თქმით, ამერიკულ საზოგადოებაში ეს ყველაფერი ერთგვარი ნაზავის სახით არის წარმოდგენილი, რასაც ცნობილი კრიმინოლოგი იმ ფაქტს მიაწერს, რომ სამართლებრივ ნორმებთან მიმართებით ამერიკა სერიოზული კულტურული კონფლიქტის წინაშე დგას.

---

238 Newburn, T., Pg. 151

მეექვსე პრინციპი – პირი დამნაშავე ხდება იმიტომ, რომ იგი გადაჭარბებით თავის სასარგებლოდ განმარტავს სამართლებრივ ნორმებს, ანუ იმ კუთხით, რომ ნორმათა დარღვევა მისაღებია, ვიდრე მისთვის არასასარგებლოდ, ანუ რომ ნორმათა დარღვევა მიუღებელია. ეს დიფერენცირებული კავშირის თეორიის პრინციპი გულისხმობს როგორც დანაშაულებრივ, ისე არადანაშაულებრივ კავშირს, ანუ სახეზეა ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები. ადამიანები ხდებიან დამნაშავეები იმიტომ, რომ კონტაქტობენ დანაშაულებრივ გარემოსთან, ხოლო თუ ისინი იზოლირებული არიან, კონტაქტობენ არადანაშაულებრივ გარემოსთან.

მეშვიდე პრინციპი – დიფერენცირებული კავშირი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა სიხშირე, დროის ხანგრძლივობა, პრიორიტეტი და ინტენსიურობა. უფრო კონკრეტულად, კავშირი დანაშაულებრივ თუ არადანაშაულებრივ საზოგადოებასთან დამოკიდებულია ამ ფაქტორებზე. კავშირის მახასიათებლები – კავშირის სიხშირე და დროის ხანგრძლივობა – აშკარაა და არ სჭირდება ახსნა-განმარტება. პრიორიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევა იმ გაგებით, რომ სამართლებრივი აზროვნება, ისევე როგორც დანაშაულებრივი აზროვნება, რომელიც ადამიანს განუვითარდა ადრეულ ბავშვობაში, შეიძლება მთელი ცხოვრება გაჰყვეს მას. თუმცა ეს ტენდენცია ადეკვატურად არ ყოფილა დამტკიცებული და, როგორც ჩანს, პრიორიტეტი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, თუ რამდენად შეუძლია მას ზეგავლენა მოახდინოს პირის არჩევანზე.

ინტენსიობა კონკრეტულად არ არის განსაზღვრული. როდესაც ხდება ადამიანის დანაშაულებრივი ქცევის აღწერა, ეს ფაქტორები შეფასდება კვანტიტატიური ფორმით და გარკვეული მაჩვენებელი იქნება გამოყვანილი. ამ ტიპის ფორმულა ჯერ არ განვითარებულა, რაც საზერლენდის აზრით, ალბათ, იმის ბრალია, რომ ასეთი ფორმულის შემუშავება ძალიან რთული იქნებოდა.

მერვე პრინციპი – დანაშაულებრივი ქცევის შესწავლის პროცესი ასოციაციის მეშვეობით დანაშაულებრივ და არადანაშაულებრივ გარემოსთან გულისხმობს ყველა მექანიზმს, რომლებიც სახეზეა ნებისმიერ სხვა სწავლის პროცესში.

მეცხრე პრინციპი – იმავდროულად, როდესაც დანაშაულებრივი ქცევა არის ზოგადი მოთხოვნებისა და ღირებულებების ერთგვარი გამოხატვა, არ აიხსნება ზოგადი მოთხოვნებითა და ღირებულებებით, რადგან არადანაშაულებრივი ქმედება არის იმავე მოთხოვნებისა და ღირებულებების ერთგვარი გამოხატულება. ქურდები იპარავენ იმისთვის, რომ ფინანსურად იყვნენ უზრუნველყოფილი, ასევე პატიოსანი ხალხი მუშაობს ფინანსურად უზრუნველყოფის გამო.

ერთ-ერთი უმთავრესი კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეს თეორია მხედველობაში არ იღებს პიროვნების მახასიათებელ თვისებებს, პიროვნულ ფაქტორებს ან ფსიქოლოგიურ ცვალებადობას დანაშაულებრივ ქცევაში. ეს რეალური კრიტიკაა, რადგან ეხება დანაშაულობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს. ამ კრიტიკას უამრავი მეცნიერი უჭერს მხარს.

7.6. ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია ორიენტირებულია ფროიდის ფსიქოანალიტიკურ თეორიაზე და აგრესიას მიიჩნევს როგორც რეაქციის საშუალებას გარკვეული მდგომარეობის არსებობის დროს. ფროიდი თავის ძველ ნაშრომებში საუბრობს ფრუსტრაცია-აგრესიის მექანიზმზე, რომლის მიხედვით, როცა ადამიანში სურვილის მაძიებელ (lustsuchende) ან ტკივილის გამქარწყლებელ (schmerzmeidende) ქმედებას ეშლება ხელი, ადამიანში ჩნდება ფრუსტრაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს აგრესიას იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ქმედების ხელის შეშლაში.[239]

დოლარდმა (Dollard) 1939 წელს სწორედ ზემოაღნიშნული ფსიქოანალიტიკური ასპექტიდან შეიმუშავა ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის ოთხი ძირითადი თეზისი:[240]

- ფრუსტრაციას ადამიანი მიჰყავს აგრესიულ ქმედებამდე და აგრესია არის ფრუსტრაციის შედეგი;
- აგრესიულობის სიძლიერე პროპორციულია ადამიანში მანამდე განვითარებული ფრუსტრაციის სიძლიერისა;
- კათარზისის თეორიის მიხედვით, აგრესიული ქმედების გამოვლენით ადამიანში არსებული აგრესიული ენერგია ნელდება და ადამიანი სხვა აგრესიულ ქმედებებს ნაკლებად სჩადის;
- თუ მოხდება აგრესიის გამოვლენის ბლოკირება, აგრესია გადავა სხვა ადამიანებზე ან ობიექტზე.[241]

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის მიხედვით, დამნაშავე მოზარდები უფრო ფრუსტრირებული არიან, ვიდრე არადამნაშავეები. არადამნაშავე მოზარდები ფრუსტრაციას სხვა რეაქციებით ავლენენ, ხოლო დამნაშავეები ძალადობრივ დანაშაულს (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება, ნივთის დაზიანება) სჩადიან. ფრუსტრაციის მომტანია მოზარდის უმუშევრობა ან დაუსაქმებლობა, რაც შეიძლება აგრესიაში, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებაში გამოიხატოს (იხ. ანომიის თეორია).

მოცემული თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ფრუსტრაციის აგრესიად გადაქცევა დამოკიდებულია ადამიანის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. ფრუსტრაციისაგან წარმოშობილი აგრესია შესაძლებელია „გამართლებულიც" იყოს, თუ იგი სამართლიანია. მაგალითად, მძღოლი ავტობუსს არ აჩერებს გაჩერებაზე, სადაც ხალხი ელოდება, იმ მოტივით, რომ მას ეჩქარება. ეს მგზავრებში იწვევს ფრუსტრაციას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მძღოლის მიმართ აგრესიით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, რაც სამართლიანი იქნება და მძღოლს უფლება არ ექნება, უჩივლოს მის შეურაცხმყოფელს.[242]

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის მნიშვნელობა მდგომარეობს მოზარდისათვის ოჯახსა და სკოლაში ფრუსტრაციისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში და საკუთარი თავის კონტროლის მექანიზმის სწავლაში.

---

239 Schwind, H-D., 2010. S. 134.

240 Weidner, J., 1997. S. 20.

241 იხ. „განტევების ვაცის თეორია", შალიკაშვილი, მ., 2011ა, გვ. 38.

242 Schwind, H-D., 2010. S. 134.

8. არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილება (პრევენცია)

არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილება მთლიანად დანაშაულის თავიდან აცილების მეტად მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. არასრულწლოვანი დამნაშავის გამოსწორებით ხელი შეეწყობა საერთო დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებლის კლებას.

პროფესორი გოძიაშვილი გვთავაზობს მოზარდთა დანაშაულის თავიდან აცილების შემდეგ სტადიებს:[243]

- კანონდამრღვევთა აღრიცხვაზე აყვანა და მათთან, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებთან აღმზრდელობით – პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება;
- არდადეგების პერიოდში ამგვარ არასრულწლოვანთა უზრუნველყოფა გამაჯანსაღებელ ბანაკებში. აგრეთვე მათი ჩაბმა თვითშემოქმედებითი და საკლუბო ორგანიზაციების მუშაობაში;
- ადმინისტრაციული ხასიათის ზომების მიღება; მოყვანას ოფიციალური გაფრთხილებისათვის, წვრილმანი დარღვევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომების მიღება;
- არასრულწლოვნის სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება;
- მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც მოზარდის პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოების მიმართ ერთიორად აამაღლებს.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები აუცილებელი და მართლაც მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოზარდის კრიმინალური კარიერა. თუმცა ამგვარი ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს მოზარდის პიროვნებას, მის მოთხოვნილებებს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი ოჯახური და სასკოლო მდგომარეობა და, რაც მთავარია, მოზარდის აღრიცხვაზე აყვანამ ან მის მიმართ ნებისმიერი დასჯის მექანიზმის გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს მისი ეტიკეტირება. ეტიკეტირებამ შესაძლოა მოზარდში უკურეაქცია და დანაშაულის ჩადენა გამოიწვიოს (იხ. ეტიკეტირების თეორია).

არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და რისკფაქტორების კარგად გაანალიზების შედეგად უნდა მოხდეს პრევენციის ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა. ვინაიდან გამომწვევი მიზეზები მუდმივად კვლევის პროცესშია და არასრულწლოვანთა დანაშაულის განმსაზღვრელად ერთ კონკრეტულ მიზეზს ვერ დავასახელებთ, ბუნებრივია, სახელმწიფოების მიდგომაც ასეთი დანაშაულის მიმართ კომპლექსური ხდება და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მრავალი უწყებისა თუ ფართო საზოგადოების ჩართულობას მოითხოვს.[244]

სანამ უშუალოდ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას შევეხებით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ძირითადი მიდგომები, რომლებიც მსოფლიოშია დამკვიდრებული დანაშაულის პრევენციის მიმართ. დანაშაულის პრევენციაში ზოგადად მოიაზრება საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვა დანაშაულისგან, თუმცა, უფრო კონკრეტულად, ეს გულისხმობს

243 გოძიაშვილი ი., 1998, გვ. 195.
244 მოსულიშვილი მ., 2000, გვ. 86.

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ზომების სისტემას, რომელიც მიმართულია დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების შესუსტებაზე, სამართალდამრღვევების ქცევის გამოსწორებასა და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაგან მათ თავშეკავებაზე.[245]

დანაშაულის ეფექტური პრევენცია არის ნებისმიერი აქტივობა, რომელიც მიმართულია დანაშაულებრივი ქმედებების შემცირებაზე. პრევენციული ზომების ფოკუსი არის დანაშაულის მიზეზებზე და არა შედეგებზე, ხოლო მიზანი – იმ ფაქტორებისა და მიზეზების მნიშვნელოვნად შემცირება ან სრული აღმოფხვრა, რომელიც დანაშაულის ჩადენას უწყობს ხელს.

დანაშაულის პრევენცია სამ საფეხურად ან დონედ შეიძლება დაიყოს:[246]

პირველი დონის პრევენცია – მიმართულია პრობლემის (დანაშაულის ჩადენის) შეჩერებისკენ, სანამ ის მოხდება. ეს შეიძლება მოიცავდეს:

- დანაშაულის შესაძლებლობების შემცირებას;
- სოციალური და საზოგადოებრივი სტრუქტურების გაძლიერებას.

პირველადი პრევენცია ორიენტირებულია სოციალურ და სიტუაციურ ფაქტორებზე.

დანაშულის სოციალური პრევენცია გავლენას ახდენს ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა სიღარიბე და უმუშევრობა, ცუდი ჯანდაცვა და განათლება. ასეთი სახის პრევენციის მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ სკოლასთან დაკავშირებული და საზოგადოებაზე დაფუძნებული პროგრამები. პირველი დონის პრევენციის მიზანია ზეგავლენა მოახდინოს მოზარდების აღზრდაზე, სოციალიზაციაზე, განათლებაზე, თავისუფალი დროის გატარებასა და დასვენებაზე.[247]

უზენაესი სასამართლოს ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების 70-75% დანაშაულის ჩადენის დროს არ მუშაობდა და არ სწავლობდა. ეს სტატისტიკური მონაცემები კარგად მიუთითებს თუ რა სახის პირველი დონის პრევენციული ღონისძიებები არის გასატარებელი იმისთვის, რომ მოზარდმა დანაშაული არ ჩაიდინოს: უმუშევრობის შემცირება, პროფესიული განათლების განვითარება და ხელშეწყობა.

მეტად საინტერესოა სიღარიბის პრევენციის და არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის საკითხის გაანალიზება. სიღარიბე თავისთავად შესაძლებელია არ იყოს დანაშაულის გამომწვევი, თუმცა არასაკმარისი სოციალური დაცვის მექანიზმები, სახელმწიფო, საოჯახო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამოშლა ან/და არაკოორდინირებულობა იწვევს სიღარიბის გამო დანაშაულს.[248] კრიმინოლოგიური კვლევების თანახმად, იმ ქვეყნებში სადაც მეტ-ნაკლებად ყველა ღარიბია დანაშაულის ჩადენის გამომწვევი

245 იხ. შალიკაშვილი მ., 2011ა, გვ. 219.
246 შალიკაშვილი მ., 2011ა, გვ. 220.
247 Meier, B-D., 2005. S. 275.
248 Schneider, H.J., 1987. S. 279.

მიზეზი სიღარიბე არ არის. სიღარიბე იმ ქვეყნებშია დანაშაულის გამომწვევი მიზეზი, სადაც მოსახლეობის მცირე პროცენტული ნაწილი მდიდარია, ხოლო გარკვეული ნაწილი ძალიან ან საშუალოზე ღარიბი.[249]

მეორე დონის დანაშაულის პრევენცია ცდილობს შეცვალოს ადამიანი, კერძოდ ის პირები, რომლებიც დანაშაულებრივი კარიერის დაწყების წინაპერიოდში იმყოფებიან. დანაშაულის პრევენციის მეორადი დონის დროს ჩარევა ხდება ისეთი ჯგუფების ან ადამიანის მიმართ, რომლებიც დანაშაულის ჩადენის (მაღალი) რისკის ქვეშ დგანან.[250] დანაშაულის პრევენციის ამ კონკრეტული დონის ღონისძიებები მიმართულია როგორც პოტენციური დამნაშავეებისა და დაზარალებულების მიმართ, ასევე დანაშაულებრივი ადგილების და სიტუაციების გასანეიტრალებლად. დანაშაულის პრევენციის მეორადი დონის ტიპიურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს: რჩევები პოტენციურ დამნაშავეებსა და დაზარალებულებს; ტექნიკური საშუალებების გამოყენება (ვიდეოკამერები); კონკრეტული ადგილის, სიტუაციის ან პირ(ებ)ის საპოლიციო ორგანოების მხრიდან კონტროლი.[251]

ამ შემთხვევაში ორიენტირება შესაძლებელია იყოს:

- სწრაფ და ეფექტურ ახალგაზრდულ პროგრამებზე;
- მაღალი რისკის უბნებზე (მაგალითად, სამეზობლო კონფლიქტის ცენტრები);
- პოტენციურ დაზარალებულებთან მუშაობაზე.

მესამე დონის დანაშაულის პრევენცია მოქმედებს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში და უმკლავდება დანაშაულს მას შემდეგ, რაც ის უკვე მოხდება. უკვე ცნობილ სამართალდამრღვევებზე ორიენტირებული პროგრამები გამიზნულია განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციაზე. მესამე დონის პრევენციისათვის აუცილებელია, რომ ადამიანს უკვე ჰქონდეს დანაშაული ჩადენილი. მესამე დონის პრევენციის მოქმედების არეალი ძალიან ფართოა და მოიცავს ნებისმიერი სანქციის გამოყენებას თავისუფლების აღკვეთიდან დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგებამდე.[252] მისი მიზანია სისხლისსამართლებრივი და საპოლიციო საშუალებებით განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.[253]

„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235-ე ბრძანებულება განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს, რასაც მოზარდთა დანაშაულობის პირველი, მეორე და მესამე დონის პრევენცია ჰქვია.

დასკვნის სახით, შესაძლებელია დანაშაულის პრევენციის მატრიცის გრაფიკული გამოსახვა სამივე დონის პრევენციული ღონისძიების გამოყენებით:[254]

249 Mergen, A. 1995. S. 294.
250 Meier, B-D., 2005. S. 275.
251 იქვე.
252 Kaiser, G., 1997. S. 76, 77.
253 იქვე.
254 Meier, B-D., 2005. S. 276.

	პირველი დონე	მეორე დონე	მესამე დონე
დანაშაულის პრევენცია	- ნარკოტიკული საშუალებების კონტროლი, ანტი ნარკოტიკული კამპანია; - ძალადობრივი ხასიათის ვიდეოების შეძენის, გადმონერის კონტროლი; - სასჯელით დამუქრება ნორმების დარღვევის შემთხვევაში.	- ნარკომომხმარებლებისთვის დახმარების ცენტრების დაარსება; - პოლიციური ღონისძიებები (კონკრეტული ადგილიდან გაძევება, ხშირი კონტროლი, დაკავება).	- თერაპიული კურსები; - გაყრა, ბავშვზე ზრუნვის უფლების ჩამორთმევა; - სასჯელის დანიშვნა და აღსრულება
სიტუაციური პრევენცია	- იარაღის შეძენის, ტარების კონტროლი; - ქალაქის დაგეგმარების და არქიტექტურის დაგეგმა (სმულების და თავშესაფრების დანგრევა, მაღალსართულიანი, ცივი, უსახური კორპუსების ნაცვლად, 3-4 სართულიანი საოჯახო ტიპის სახლები გამწვანებული ეზოებით).	- ვიდეოკონტროლი განსაკუთრებით საში ადგილების (გადასასვლელები, რკინიგზის სადგური, მეტრო, ბანკები, სუპერმარკეტები); - ტექნიკური საშუალებებით პრევენცია (სიგნალიზაციის დაყენება, ველოსიპედის, მოტოციკლის დაკეტვა); - კერძო დაცვის კომპანიის დაქირავება.	- დანაშაულის ჩადენის იარაღის ჩამორთმევა; – დანაშაულის ჩადენის ადგილის დახურვა (დისკოტეკა, ბარი და ა.შ.).
მსხვერპლის პრევენცია	- სექსუალური ცნობიერების ამაღლება; - თავდაცვითი კურსები (განსაკუთრებით ქალებისა და გოგონებისათვის).	- ღამის ტაქსების ფირმების შემოღება (განსაკუთრებით გოგონებისა და ქალებისათვის), ღამის ბარიდან სახლში მიყვანის სერვისის შემოღება; - თვითდახმარების კურსები კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში; - პერსონალური დაცვის სერვისები პოლიტიკოსებისა და მენეჯერებისათვის.	- თავშესაფარში განთავსება; - ცხელის ხაზის გამოყოფა ოჯახური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის; - მოზარდების გადაყვანა უსაფრთხო გარემოში (მცირე საოჯახო ტიპის სახლები).

მსოფლიო ქვეყნების განსაკუთრებული ინტერესი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართ აშკარადაა გამოხატული გაეროს სახელმძღვანელო წესებში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ (ე. წ. რიადის წესები). 1990 წლის 14 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ ზემოხსენებულ დოკუმენტში ნათელია სახელმწიფოთა მისწრაფება, არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტური პრევენციისთვის მაქსიმალურად ადრე მოხდეს ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც ადრეულ ასაკში უყალიბებს პიროვნებას არადანაშაულებრივ დამოკიდებულებებს. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ (ე. წ. პეკინის წესები) ასევე რეკომენდაციას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს გამოიყენონ პოზიტიური ღონისძიებები იმისათვის, რომ გააძლიერონ არასრულწლოვნის ზოგადი მდგომარეობა და შესაბამისად, შეამცირონ სახელმწიფო ინტერვენციის საჭიროება. როდესაც ღირებულებების ჩამოყალიბებაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბავშვის აღზრდაში მონაწილე ორ

მთავარ ინსტიტუტზე – ოჯახსა და სკოლზე, რომელთა დახმარება და გაძლიერება ხელს შეუწყობს მოზარდთა დანაშაულის შემცირებას.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის ადრეული ინტერვენცია საუკეთესო საშუალებაა. პრევენციისათვის საჭიროა ინდივიდუალური, ჯგუფური და ორგანიზაციული ძალისხმევა, რომელიც ორიენტირებული იქნება არასრულწლოვნის კანონდარღვევის თავიდან აცილებაზე. სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულ მეთოდს იყენებს დელიკვენტური და დანაშაულებრივი ქმედების თავიდან ასაცილებლად. ზოგიერთი ორიენტირებულია სადამსჯელო პოლიტიკაზე, რომელიც მიზნად ისახავს პოტენციური დამნაშავეების დაშინებას, იმ სავარაუდო მკაცრი სასჯელის ახსნით, რომელიც მათ შესაძლო ქმედებას მოჰყვება. შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელებაც, რომლებიც განმეორებითი დანაშაულის პრევენციას ემსახურება და მოიცავს უარყოფითი გავლენის ახსნას დამნაშავისთვის, რომელიც მისმა ქმედებამ გამოიწვია და მსხვერპლთან/დაზარალებულთან შერიგებას.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკურ სექტორში ხორციელდება ისეთი პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდებს შემოსავლის მიღების კანონიერ ალტერნატივას სთავაზობს. ახალგაზრდისთვის შესაძლებლობის მიცემა, მიიღოს პროფესიული განათლება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ის ფაქტორებია, რომლებიც დელიკვენტურ აქტივობებში ახალგაზრდობის ჩართულობის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.



2007 წლის დასაწყისში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა, თომას ჰამერბერგმა, განაცხადა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ძირითადი კომპონენტებია: რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების დაცვა, მკვეთრი რეაგირება ოჯახური ძალადობის ფაქტებზე, დახმარების პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სოციალური მუშაკების საქმიანობა, არსებული გარემო და სკოლა, რომელიც არა მარტო

განათლებას უნდა აძლევდეს ბავშვებს, არამედ ზრუნავდეს კიდეც მათზე. რასაკვირველია, ახალგაზრდები თავად უნდა ეცადონ ამ საქმიანობაში ჩაბმას და არ უნდა იყვნენ მიჩნეული კონტროლის ქვეშ მყოფ განზოგადებულ ობიექტებად.[255]

255 იხ. ევროსაბჭოს ვებგვერდი www.coe.int.t.commissioner ,08.01.07.

თავი მეორე
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები

საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი" (შემდგომში ამკ) მეორე თავში გამოყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპებს. კერძოდ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა (მუხლი 4), დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 5), არასრულწლოვანის ჰარმონიული განვითარების უფლება (მუხლი 6), თანაზომიერება (მუხლი 7), ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა (მუხლი 8), პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება (მუხლი 9), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობა (მუხლი 10), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა (მუხლი 11), არასრულწლოვანის ნასამართლობა (მუხლი 12), არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების დაცულობა (მუხლი 13), არასრულწლოვანისადმი ინდივიდუალური მიდგომა (მუხლი 14) და არასრულწლოვანის საპროცესო უფლებები (მუხლი 15).

მოცემული პრინციპები კარგად გამოხატავს არასრულწლოვანის მართლმსაჯულების ძირითად იდეას და მიდგომებს. ზოგიერთი მათგანი კონსტიტუციური რანგის პრინციპებია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მიერ. განვიხილოთ, მოცემული პრინციპები ცალ-ცალკე.

1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა

ამკ-ს მეოთხე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი არის ამკ-ს პირველი პრინციპი და შესაბამისად, სხვა ყველა პრინციპზე და საკითხზე მაღლამდგომი და განმსაზღვრელი. კანონის განმარტებით ბარათში არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი განიმარტება, როგორც „არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით".[256]

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის ან ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის ცნება ორ საკითხს აერთიანებს: კონტროლს და გამოსავლის ძიებას. კონტროლის კრიტერიუმი გულისხმობს ბავშვის უფლებებისა და მასთან მიმართებით არსებული ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელების უზ-

256 იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტზე.

რუნველყოფას. ხოლო გამოსავლის ძიების კრიტერიუმი – გადაწყვეტილების მიღების დროს ყველა შესაძლო გამოსავალი იქნეს მოძიებული და შეფასებული ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ბავშვის კონკრეტულ ინტერესს განეკუთვნება.[257]

ბავშვთა უფლებების კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები უზრუნველყოფენ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვას.

საინტერესოა, რამდენად არის გათვალისწინებული არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი ამკ-ს ცალკეულ მუხლებში.

- ამკ-ს 35-ე მუხლი ეხება არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ხოლო ამავე კოდექსის 36-ე მუხლი – არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო.

ორივე მუხლში ჩამოთვლილია ის კონკრეტული წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ხანდაზმულობის გამო შეიძლება არასრულწლოვანი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელის მოხდისაგან. აღნიშნულ ჩამონათვალში არ ფიგურირებს საკითხი, თუ შეიცვლება გარემოება და სახელმწიფოს აღარ უღირს არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან სასჯელის მოხდა იმის მიუხედავად, რომ ხანდაზმულობის ვადა ჯერ სრულად არ ამოწურულა. მაგალითად, 15 წლის ა.-მ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შესაძლებელია თუ გასულია ხანდაზმულობის სამ წლიანი ვადა (ამკ-ს 35-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტი). 17 წლის ასაკში, ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, ა. დაოჯახდა, დაიწყო მუშაობა და დანაშაულებრივი ქმედება აღარ ჩაუდენია. მოცემული 35-ე მუხლის რედაქცია არ იძლევა არასრულწლოვანი ა.-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საშუალებას და პროკურორი ვალდებულია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა მას შეუძლია გამოიყენოს სსსკ მე-16 მუხლით გათვალისწინებული დისკრეციული უფლებამოსილების ზოგადი პრინციპი[258] და უარი თქვას დევნის დაწყებაზე. მოცემული მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ ამ მუხლებში გათვალისწინებულია და მითითებულია კონკრეტული ხანდაზმულობის ვადები და არ არის არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი. პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ზოგადი პრინციპის გამოყენებამ შესაძლებელია ვერ უზრუნველყოს ზემოთმოყვანილ მაგალითში ა.-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. საჭიროა, კონკრეტულად იყოს ჩანაწერი ამკ-ში, რაც თავად პროკურორს მისცემს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

სასურველია ამკ-ს 35-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ე) ქვეპუნქტი: *ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე შესაძლებელია სისხლისსამარ-*

257 შაჰოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ე., 2012. გვ. 111,112.

258 იხ. თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 70.

თლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი, ხოლო 36-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ე) ქვეპუნქტი: *ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე შესაძლებელია გამამტყუმნებელი განაჩენის მოხდისაგან გათავისუფლება თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი;*

- ამკ-ს 50-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის თანახმად, „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიმართვის საფუძველზე [არასრულწლოვნის] საპროცესო წარმომადგენლად ასახელებს თავისი თანამშრომლის კანდიდატურას. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე საპროცესო წარმომადგენლად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარმოდგენილ კანდიდატს ან სხვა სანდო პირს, თუ: ა) პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია".

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დიდი ყურადღება ეთმობა კანონიერი წარმომადგენლის ინსტიტუტს. ამკ-ს მესამე მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით, კანონიერი წარმომადგენელი არის არასრულწლოვანის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე ან მზრუნველი. კანონიერი წარმომადგენლის შეცვლა საპროცესო ნარმომადგენლის ინსტიტუტით არის მხოლოდ საპროცესო მიზნებიდან და არა *არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი*დან გამომდინარე.

არასრულწლოვანის დაკავებისთანავე პროკურორი, გამომძიებელი ან არასრულწლოვანის დამკავებელი პირი ატყობინებს არასრულწლოვანის მშობელს, ახლო ნათესავს ან არასრულწლოვანის მიერ მითითებულ პირს (ამკ-ს 49-ე მუხლი). კანონმდებელმა ამ კონკრეტული მუხლის ჩანაწერით უზრუნველყო, რომ დაკავებულ არასრულწლოვანს ჰყავდეს გვერდში მდგომი, მისი ნდობით აღჭურვილი პირი, რათა მან არ განიცადოს ფსიქოლოგიური, ემოციური შოკი. მხოლოდ ისეთ ადამიანს შუეძლია ამ ფუნქციის ტარება, ვინც კარგად იცნობს მოზარდს.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის (ბ) პუნქტის (III) ქვეპუნქტი პირდაპირ მიუთითებს მშობლის/მეურვის დასწრებაზე, თუ ეს ბავშვის ინტერესს არ ეწინააღმდეგება. ბავშვთა უფლებათა კომიტეტის აზრით მშობლის/მეურვის დასწრებას აქვს ორი მნიშვნელობა: 1) უზრუნველყონ მომავალში ბავშვის ქცევა [იცოდნენ ყველაფერი საკუთარი შვილის შესახებ] და 2) ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს.[259]

გერმანული იურიდიული ლიტერატურა (ამკ-ს 50-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტისაგან განსხვავებით) მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პროცესში დაუსწრებლობის საკითხს, როგორც გამონაკლის შემთხვევას ისე განიხილავს.[260] გერმანული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კანონის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის (JGG §67 Abs.1) მიხედვით, მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს აქვს პროცესში მონაწილეობის უფლება. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის დაკითხვამდე პოლი-

259 ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 87, 88.

260 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 528.

ციის მიერ მიეწოდება მას ინფორმაცია, იმის შესახებ შეატყობინა თუ არა მან მისი ადგილსამყოფელის შესახებ აღმზრდელებს (მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლს).[261]

მშობელს შვილის აღმზრდელობით საკითხებში უპირატესობა გააჩნია სხვა ნებისმიერ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სტრუქტურასთან.[262] სწორედ შვილის სამომავლო აღზრდისათვის არის აუცილებელი, რომ მშობელმა ყველაფერი იცოდეს მისი შვილის შესახებ. შესაბამისად, მშობელი და არა სხვა პირი უნდა დაესწროს შვილის დაკითხვას. აღნიშნული საკმარისი საფუძველი უნდა იყოს, რომ გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ ყველა ღონე იხმაროს, რომ სწორედ მოზარდის მშობელი იქნეს საპროცესო მოქმედებებში ჩართული და არა სხვა (მოზარდისთვის უცხო, მისი ნდობის არმქონე) პირი.

ამკ-ს 50-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის ჩანაწერი აშკარად ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის ზოგად დებულებას. ამ ნორმის მიხედვით, მშობელი რომელიც თბილისის გლდანის დასახლებაში ცხოვრობს და საგამოძიებო ორგანო სთხოვს არასრულწლოვანი შვილის დაკითხვაზე დასწრებას ვარკეთილის ტერიტორიაზე, იგი ვერაფრით ვერ შეძლებს ერთ საათში იქ გამოცხადებას და ავტომატურად შეუძლია საგამოძიებო ორგანოს არასრულწლოვანის საპროცესო წარმომადგენლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელს დაუძახოს დაკითხვაზე, იმის მიუხედავად იცნობს თუ არა იგი (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი) მოზარდს. სიტუაცია უფრო რთულადაა, თუ არასრულწლოვანი რაიონიდანაა და თბილისში ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაშიც შეუძლებელია მშობლის ერთ საათში თბილისში ჩამოსვლა. იმისათვის, რომ არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესი არ დაირღვეს საჭიროა მშობელს მიეცეს გონივრული ვადა კანონთან კონფლიქტში მყოფი შვილის დაკითხვას დაესწროს.

- არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი შესაძლებელია დარღვეულ იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის დროს. დღეს არსებული სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, სადაც მოსამართლე შეზღუდულია მხარეებთან შეთანხმების გარეში დასვას კითხვები, მოიპოვოს მტკიცებულებები (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილი, 228 მუხლის მეორე ნაწილი).

„ჭეშმარიტების (სიმართლის) დადგენისაკენ სწრაფვა არის სისხლის სამართლის პროცესის აუცილებელი კომპონენტი".[263]

შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეების მიერ მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვებას, მოწმეთა მოძიებას, ხოლო სასამართლოს მხრიდან (მას ეკრძალება საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებების მოპოვება) მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გადაწყვეტილების მიღებას.[264]

---

261 Laubenthal, K./Baier, H./Nestler, N., 2015. S. 106.

262 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfGE) 59, S. 363; Gröpl, Ch./Windthorst, K./von Coelln, Ch., 2013. S. 145.

263 ტურავა, მ., 2014. გვ. 95.

264 თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 74.

სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილის, 228-ე მუხლის მეორე ნაწილის ჩანაწერები გაგებულია სიტყვა- სიტყვით და მოსამართლეებს მართლაც უჭირთ კითხვის დასმა, ან ცდილობენ დამაზუსტებელი კითხვის დასმის დროს დაადგინონ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინების მიზნით აუცილებელია მოსამართლეს, რომელიც პასუხისმგებელია განაჩენი დააფუძნოს „ერთმანეთთან შეთანხმებულ საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას',[265] მიეცეს უფლება მხარეების შეთანხმების გარეშე დასვას კითხვები ამკ მე-8-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გამოარკვიოს ჩადენილი ქმედების გამომწვევი მიზეზები, რათა სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრის დროს იხელმძღვანელოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესიდან, არასრულწლოვანს მიუსაჯოს სასჯელის ის სახე და ის ზომა, რომელიც ინდივიდუალურად მის აღზრდას, რესოციალიზაციას გამოიწვევს.

შესაძლებელია ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში პირდაპირ ჩაიწეროს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ჭეშმარიტ ინტერესს უპირატესი ძალა აქვს შეჯიბრებითობის პრინციპზე.

- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესი შეუთავსებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს ***საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან.***

საპროცესო შეთანხმების გაუმჭვირვალე ქართული მოდელი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულისათვის სარგებლის მოტანას, საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების გზით.[266] საპროცესო შეთანხმების დღეს არსებული მოდელი (სსკ 55-ე მუხლი) კარგი საშუალებაა, „ნოყიერი ნიადაგია" იმისთვის, რომ ბრალდებულზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელდეს ზეწოლა.[267] თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის არსებული დიდი ზღვარი და პროკურორის უფლებამოსილება თავად შესთავაზოს სასჯელის ნებისმიერი ზომა ბრალდებულს, აძლევს მას იმის შესაძლებლობას, იმოქმედოს ბრალდებულზე და მიიღოს მისგან აღიარებითი ჩვენება, ითანამშრომლოს მასთან.[268] საპროცესო შეთანხმების დროს მხარეთა თანასწორობაზე ან ბრალდებულის საპროცესო შეთანხმებაში თავისუფალი ნების გამოვლინებაზე შეუძლებელია საუბარი, როცა პროკურორს აქვს უფლებამოსილება ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება გაუფორმოს ერთი ან ათი წლით თავისუფლების აღკვეთაზე.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტით ხდება არასრულწლოვანთან/ კანონიერ წარმომადგენელთან სასჯელზე „ვაჭრობის" მცდელობა, რაც ეწინააღმდეგება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ინტერესს, მის აღზრდას. საპროცესო შეთანხმების დროს მოზარდთან საუბარი იმა-

---

265 ტურავა, მ., 2014. გვ. 94.
266 გვენეტაძე, ნ., 2013. გვ. 236.
267 ლალიაშვილი, თ., 2013. გვ. 286.
268 იქვე.

ზე კი არ მიდის რა სურს მას, არამედ რა უნდა გააკეთოს მან, რომ მას საპროცესო გარიგება გაუფორმდეს. შესაბამისად, ეს არ შეიძლება იყოს არასრულწლოვანის ინტერესში და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ უნდა იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება სწრაფ მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს არ არის მისაღები, რადგან სწრაფი მართლმსაჯულების პირობებშიც კი მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესი უნდა იქნეს გათვალისწინებული. საპროცესო შეთანხმების ნაცვლად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სწრაფი და ეფექტური აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტები: განრიდება, განრიდება და მედიაცია ან ამკ-ით გათვალისწინებული ალტერნატიული სასჯელები.

2. დისკრიმინაციის აკრძალვა

ამკ-ს მეხუთე მუხლის მიხედვით, „აკრძალულია არასრულწლოვნის, აგრეთვე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშნით/ნიშნებით".

დისკრიმინაციისაგან დაცვა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული უფლებაა. ამ მუხლით დაცულია ადამიანთა იურიდიული თანასწორუფლებიანობა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა კუთვნილებისგან.[269] რასობრივ და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია აბსოლუტური უფლებაა და ამ ნიშნით თანასწორობის დარღვევა ყველა შემთხვევაში დისკრიმინაციად განიხილება, ხოლო ზოგიერთი ნიშანი აბსოლუტურთან მიახლოებულია. ამ ნიშნებით განსხვავებულ მოპყრობას სახელმწიფოს მხრიდან „ძალზედ წონადი არგუმენტები ესაჭიროება".[270]

3. არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლება

ამკ-ს მეექვსე მუხლის თანახმად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება". ჰარმონიული განვითარების ეს უფლება არის ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის (ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანსაღი განვითარების უფლება) ფართო მნიშვნელობით გამოყენება.[271] ამ კონკრეტული ჩანაწერით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე არათუ შეაფერხოს, არამედ უზრუნველყოს არასრულწლოვანის განვითარება.

არასრულწლოვანის ჰარმონიული განვითარების უფლება უნდა განვიხ-

269 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 61. (მუხლი 14, გოცირიძე, ე.)

270 იქვე.

271 შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ფ., 2012. გვ. 119.

ილოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის ფარგლებში. სწორედ თავისუფალი განვითარების უფლება არის მნიშვნელოვანი ბავშვებისა და მოზარდებისათვის,[272] რათა თავიანთი ნვლილი შეიტანონ და ისარგებლონ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებით, რესურსით, რომელშიც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები რეალიზდება.[273]

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლით დაცულ უფლებებს შორის ასევე მოიაზრება სოციალური სახელმწიფოს პრინციპით გამტკიცებული სახელმწიფოს ვალდებულება არასრულწლოვანის ჰარმონიული განვითარების უფლებაში ხელის შეწყობის შესახებ. კერძოდ, სახელმწიფო ვალდებულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე იმ კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებს შეუქმნას პირობები, რომელიც ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გამო ვერ მონაწილეობენ ქვეყნის ცხოვრებაში.[274]

4. თანაზომიერება

ამკ-ს მეშვიდე მუხლის თანახმად, „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს".

არასრულწლოვნის მიმართ ნებისმიერი სანქციის, განსაკუთრებით კი პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ე. წ. თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი „პირდაპირ უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. ადამიანის თავისუფლების სფეროში სახელმწიფოს თვითნებობა კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას".[275]

არასრულწლოვნისათვის პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინება გულისხმობს: 1) ლეგიტიმური მიზნის მიღწევას; 2) გამოსადეგობას; 3) აუცილებლობას;

---

272 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 91. (მუხლი 16, გოცირიძე, ე.)

273 იქვე.

274 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 483-484. (მუხლი 39, იზორია, ლ.).

ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., 2014. გვ. 29-33.

275 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება.

4) პროპორციულობას.[276] განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

- ***ლეგიტიმური მიზნის*** მიღწევა არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს გულისხმობს სანქციის/სასჯელის კონკრეტულ ვადას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასჯელის მიზნები, კერძოდ, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და რესოციალიზაცია. შესაბამისად, მოსამართლის მიერ შერჩეული უნდა იყოს აღკვეთი ღონისძიების/სასჯელის ისეთი ფორმა და ზომა, რომელიც არასრულწლოვნის რესოციალიზაციას უზრუნველყოფს. სასჯელის ზომა ორიენტირებული უნდა იყოს აღზრდის მიღწევაზე.[277] კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში დავაა იმაზე, არასრულწლოვნისათვის მისჯილი მოკლევადიანი (ექვსი თვიდან ერთ წლამდე) თუ გრძელვადიანი (ერთი წლიდან სამ წლამდე) სასჯელი არის თუ არა რესოციალიზაციის მომტანი. კრიმინოლოგიაში დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ოთხი ან ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ხელს უწყობს არა პირის რესოციალიზაციას, არამედ ფრუსტრაციასა და სოციალიზაციის დაკარგვას.[278]
- შერჩეული საშუალება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად უნდა იყოს ***გამოსადეგი.*** საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევას ართულებს, დაუშვებელი და შესაბამისად, არაკონსტიტუციურია.[279] მოსამართლე/პროკურორი ვალდებულია, შეარჩიოს ისეთი ფორმის და ზომის სანქცია, რომ მან ლეგიტიმური მიზნის (რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება) მიღწევა უზრუნველყოს.[280]
- არასრულწლოვნისათვის კონკრეტული სანქციის ფორმა და ზომა უნდა იყოს ***აუცილებელი*** დასახული მიზნის მისაღწევად. აუცილებელია სასჯელის ისეთი ფორმა და ზომა, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის მიღწევას. თუ თავისუფლების აღკვეთის მცირე ზომას შეუძლია სასჯელის მიზნის მიღწევა და მიუხედავად ამისა, გამოყენებულ იქნება მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა, ეს იქნება მსჯავრდებულის ინტერესებში არასავალდებულო ჩარევა.[281] აღნიშნული საკითხი გამტკიცებულია სამართლიანი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპით, ამიტომ მოსამართლე ვალდებულია თავისუფლების აღკვეთის მცირე ზომა შეარჩიოს, თუ იგი სასჯელის მიზნებს უზრუნველყოფს.[282] თუ სხვა უფრო მსუბუქ ფორმას შეუძლია უზრუნველყოს მოზარდის ქცევა, მოსამართლე ვალდებულია

---

276 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 24. (მუხლი 7, იზორია, ლ.).

277 Ostendorf, H., 2009. S. 150.

278 Ostendorf, H., 2009. S. 152; Peters, K., 1960. S. 193; Mollenhauer, W., 1961, S. 162.

279 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 25. (მუხლი 7, იზორია, ლ.).

280 Laubenthal, K., Baier, H., Nestler, N., 2015. S. 186.

281 Ostendorf, H., 2009. S. 152

282 იქვე.

სწორედ ეს ფორმა გამოიყენოს.

- დაბოლოს, აუცილებელია მოხდეს იმის განხილვა, არის თუ არა სანქცია/პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთის ზომა ლეგიტიმური მიზნის *პროპორციული*. პროპორციულობა განსაზღვრავს დამოკიდებულებას მიზანსა და საშუალებას შორის, ანუ ხდება მათი შეპირისპირება. „შეზღუდული სიკეთისა და შეზღუდვის მიზნის შეფასებისას, გადამწყვეტია მათი შეპირისპირება, რამაც უნდა ცხადყოს, რომ ერთი სიკეთე არ იქნება არაპროპორციულად, ცალმხრივად შეფასებული მეორე სიკეთის ხარჯზე".[283] „მჯელობის საგანია – რამდენად ადეკვატური და პროპორციულია უფლებაში ჩარევის კონკრეტული ფორმა იმ ლეგიტიმური მიზნებისა, რომელთა მისაღწევადაც ის იქნა შერჩეული".[284] აღნიშნული გულისხმობს, რომ არასრულწლოვნისათვის სანქცია/თავისუფლების აღკვეთის ზომა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს და უზრუნველყოს როგორც განმეორებით დანაშაულის ჩადენის შეუძლებლობა, ასევე მოზარდის რესოციალიზაცია.[285] იმისათვის, რომ მოხდეს მოცემული მეოთხე კომპონენტის კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილება მოსამართლე ვალდებულია დაადგინოს: დამნაშავის პიროვნება (სოციალური, ოჯახური ურთიერთობები) და დანაშაულის ჩადენის მოტივი; მსხვერპლთან მისი დამოკიდებულება როგორც დანაშაულის ჩადენის მომენტში, ისე დანაშაულის შემდეგ; დამნაშავის განვითარებისათვის სასჯელის საავარაუდო ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები და სხვა.[286]

თანაზომიერების პრინციპის გამოყენების დროს თავისუფლების აღკვეთა შერჩეული უნდა იყოს როგორც უკიდურესი ფორმა (Ultima Ratio),[287] და მისი შეფარდებისას სასჯელის ზომა ისე უნდა იყოს შერჩეული არასრულწლოვნისთვის, რომ ის იყოს არა დასჯის, არამედ აღმზრდელობითი ხასიათის. სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას აღმზრდელობითი ხასიათი უნდა ჰქონდეს. არასრულწლოვნისათვის მისჯილმა არაპროპორციულმა სასჯელმა შეიძლება გამოიწვიოს მისი პატივისა და ღირსების შელახვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება შემდეგნაირად განმარტავს პატივისა და ღირსების შემლახავ მოპყრობას: „მოპყრობა მსხვერპლში აღძრავს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას; ეს განცდა ამცირებს და აკნინებს მსხვერპლს; განცდა ტეხს მსხვერპლის ფიზიკურ ან მორალურ მდგომარეობას; მოპყრობის მიზანია მსხვერპლის დამცირება; მოპყრობის ხარისხი აღწევს სიმკაცრის მინიმალურ დონეს მაინც. დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი უნდა დადგინდეს ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით და არა საავარაუდო მსხვერ-

283 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 25. (მუხლი 7, იზორია, ლ.).

284 ერემეძე, ქ., 2013. გვ. 122.

285 Ostendorf, H., 2009. S. 153.

286 იქვე.

287 Laubenthal, K., Baier, H., Nestler, N., 2015. S. 186.

პლის სუბიექტური შეგრძნებებისა და განცდების ანალიზის საფუძველზე. ... პატივისა და ღირსების ხელმყოფი კანონი უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებიც იქნებოდა იმდენად მკაცრი, ამორალური და უსამართლო, რომ ისინი ობიექტური თვალსაზრისით მოახდენდნენ: პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თვისებების შეფასების (ღირსების) ან საზოგადოების მხრიდან პიროვნების მიმართ შეფასებითი დამოკიდებულების (პატივის) დაკნინებას".

გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა 300 საათის ოდენობით ეწინააღმდეგება კონსტიტუციით აღიარებულ თანაფარდობის პრინციპს,[288] ვინაიდან ის არ არის გამოსადეგი, რადგან შეუძლებელია მოზარდს, რომელიც სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში დადის და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება ევალება თავისუფალ დროს, დაევალოს კიდევ დამატებით 300 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

5. ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა

ამკ-ს მერვე მუხლის მიხედვით, „1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, პატიმრობის კოდექსისა და ამ კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება.

2. არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

3. ნებისმიერი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ საქმის საასამართლოში განხილვის ნაცვლად გამოიყენება, არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვას უნდა ემსახურებოდეს".

ზემოთ განხილული პრინციპებისაგან განსხვავებით ეს არ არის კონსტიტუციურ სამართლებრივი პრინციპი. ეს არის უფრო მართლმსაჯულების მიზანი არასრულწლოვანის მიმართ გამოყენებულ იქნეს ყველაზე მსუბუქი საშუალება და ალტერნატიული ზომები იყოს პრიორიტეტული.

ამკ გვთავაზობს მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების ერთგვარ გრადაციას: განრიდება და განრიდება-მედიაცია და არასრულწლოვანთა სასჯელები.

არასრულწლოვანთა სასჯელებს გააჩნია შემდეგი გრადაცია: ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის

288 Ostendorf, H., 2013. S. 142.

სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

6. პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება

ამკ-ს მეცხრე მუხლის მიხედვით, „1. დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. 2. არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული".

ბავშვთა უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტი ითვალისწინებს, რომ თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და ისიც დროის რაც შეიძლება მოკლე ვადით.

საერთაშორისო სამართალში არაინსტიტუციურ მიდგომებს, ინსტიტუციურ მიდგომებთან შედარებით უპირეტესობა ენიჭება, რაც გულისხმობს, რომ ბავშვებისთვის თავისუფლების აღკვეთა აკრძალული არ არის, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ უკიდურეს ღონისძიებად გამოიყენება.[289]

გარდა იმისა, რომ ბავშვის მიმართ თავისუფლების აღკვეთა უკიდურეს ზომად ან მინიმალური ხანგრძლივობით უნდა იქნეს გამოყენებული, საერთაშორისო სტანდარტები სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დაკავების ადგილების სისტემა ოჯახის წევრების მიმართ ღია იყოს, პირობები ბავშვის მოთხოვნების შესაბამისი, ხოლო პერსონალი ბავშვთან ურთიერთობაში გადამზადებული.[290]

7. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობა

ამკ-ს მეათე მუხლის თანახმად, „1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება. მას აქვს აგრეთვე უფლება, მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. 2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ადვოკატს უფლება აქვს, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით, არასრულწლოვნის ნებისგან დამოუკიდებლად შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. 3. თუ არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის მოთხოვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, უპირატესობა იმ მოთხოვნას ენიჭება, რომელიც მეტად შეესაბამება არასრულწლოვნის

289 შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ჟ., 2012. გვ. 177.
290 იგივე, გვ. 178.

საუკეთესო ინტერესებს. 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობით განხორციელებული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს მისი აღქმისა და გაგების უნარებს".

მოცემული მუხლი განსაზღვრავს არასრულწლოვანის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის საკითხს. არასრულწლოვანს ან/და მის წარმომადგენელს უფლება აქვს უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მართლმსაჯულების პროცესში, მოსმენილ იქნეს იგი და გათვალისწინებული იქნეს ბავშვის მოსაზრება. ეს უფლება განმტკიცებულია ასევე ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლში. სახელმწიფოს ვალდებულება მოუსმინონ ბავშვს ბავშვის აზრის გამოხატვის უფლების აღიარებას ეფუძნება.[291] გარემო, რომელშიც ბავშვი განახორციელებს ამ უფლებას უნდა იყოს წამახალისებელი, რომ იგი დარწმუნდეს მის მიმართ კეთილგანწყობილ მიდგომაში.[292] ბავშვის მოსმენისა და მისი მოსაზრების გათვალისწინება პირველი ნაბიჯია მისი პიროვნების სერიოზულად მიღებისკენ. მხოლოდ ამგვარი მიდგომით (მისი პიროვნების აღიარებით) არის შესაძლებელი სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების მიმართ მოზარდის უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლა.[293]

8. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა

ამკ-ს მეთერთმეტე მუხლის მიხედვით, „1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. 2. სასამართლო ვალდებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე პრიორიტეტულად განიხილოს". გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში საუბარია არა „გაუმართლებელ გაჭიანურებაზე" არამედ დაჩქარებულ პროცესზე,[294] შესაბამისად, უმჯობესია არა გაჭიანურებაზე, არამედ დაჩქარებულ პროცესზე საუბარი. მით უმეტეს, რომ პროცესის გაუმართლებელი გაჭიანურება არც სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში არის მისაღები. დაჩქარებული პროცესის მნიშვნელობა (გაჭიანურებული პროცესის უარყოფითი მხარე) შემდეგი გარემოებების გამო არის საყურადღებო:[295]

- გაჭიანურებული პროცესის დროს რთულდება მტკიცებულებების შეგროვება, ხოლო დაჩქარებული პროცესის შემთხვევაში ხდება მტკიცებულებების სწრაფი მოპოვება;
- გაჭიანურებული პროცესის დროს იზრდება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა, თუ არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა არ არის შეფარდებული;
- გაჭიანურებული პროცესის დროს კლებულობს შეფარდებული სასჯელის ეფექტიანობა;

291 შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, უ., 2012. გვ. 122.
292 ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 40.
293 Ostendorf, H., 2015. S. 62.
294 იგივე, გვ. 65.
295 Ostendorf, H., 2015. S. 65; თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 77, 78.

- გაჭიანურებული პროცესი უარყოფითად აისახება მოზარდის ფსიქიკაზე;
- გაჭიანურებული პროცესი ეწინააღმდეგება დაზარალებულის სურვილს.

დაჩქარებული პროცესის დროს ერთის მხრივ აუცილებელია კანონთან კონფლიქტში მყოფმა მოზარდმა კარგად გაითავისოს მის მიმართ წარმოდგენილი ბრალდების არსი და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება და მეორეს მხრივ უნდა მოხდეს ინდივიდუალური პრევენციის განხორციელება.[296]

მოკლე პროცესმა უნდა უზრუნველყოს ორი საკითხი: 1) სამართლებრივი სახელმწიფოსთვის აღიარებული პრინციპების დაცვა, და 2) კანონთან კონფლიქტში მყოფი კონკრეტული მოზარდის რესოციალიზაცია.

დაჩქარებული პროცესი არ ნიშნავს საპროცესო გარიგებას მოზარდის მიმართ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს არ შეიძლება საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის დანერგვა.

ამკ-ს მეთერთმეტე მუხლის მეორე ნაწილი საუბრობს სასამართლოში არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმის განხილვის პრიორიტეტულობაზე. სასურველი იქნება არა სპეციალიზირებული მოსამართლეების შემოღება (ამკ-ს მე-17 მუხლი), არამედ არასრულწლოვანთა მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმეს განიხილავდა.

9. არასრულწლოვანის ნასამართლობა

ამკ-ს მეთორმეტე მუხლის მიხედვით, „1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება: ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე; ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ; გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ; დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ; ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ“.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა დანაშაული ნასამართლობა გაქარწყლებულად ჩაითვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო თუ სახეზე გვაქვს განმეორებით დანაშაულის ჩადენა ნასამართლობის გაქარწყლება მოხდება ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

---

296 Ostendorf, H., 2015. S. 64;

საინტერესოა, მოცემული მუხლის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპების თავში არსებობის საკითხი. ნასამართლობის გაქარწყლების საკითხი არ არის არც კონსტიტუციური პრინციპი და არც ზოგადი მნიშვნელობის საკითხი, რომ მისი ზოგადი პრინციპების თავში განთავსება იყოს მიზანშეწონილი საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით. ეს არის ერთი ჩვეულებრივი ნორმა, რომელიც არასრულწლოვანის ნასამართლობის გაქარწყლების საკითხს აწესრიგებს. უმჯობესია არასრულწლოვანის ნასამართლობის გაქარწყლების ეს კონკრეტული მუხლი განთავსდეს ამკ-ს მეშვიდე კარის მეთოთხმეტე თავის ბოლო მუხლად.

შედარებისთვის, სისხლის სამართლის კოდექსში ნასამართლობის შესახებ 79-ე მუხლი განთავსებულია მეთხუთმეტე თავში – ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა.

10. არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების დაცულობა

ამკ-ს მეცამეტე მუხლის მიხედვით, „1. არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. 2. არასრულწლოვნის ნასამართლობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ არის. დაუშვებელია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა".

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწიებული უფლებაა. ეს საკითხი ასევე გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლში, ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განმარტებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „კანონმდებლობა უნდა შეიქმნას სოციალური თანაცხოვრების ხელშეწყობისა და შენარჩუნების გათვალისწინებით, თუმცა იმ სავალდებულო პირობით, რომ დაცული იქნება თითოეული პიროვნების თვითმყოფადობა".[297] აღნიშნული პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელისშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების აღკვეთას.[298]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონტექსტში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხი მოიცავს ორ მნიშვნელოვან კომპონენტს: 1) სახელმწიფომ არ დაუშვას კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის შესახებ ისეთი ხასიათის ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მის იდენტიფიცირებას გამოიწვევს;[299] 2) სატელევიზიო რეპორტაჟების დროს არ უნდა იყოს მოზარდის გარეგნული იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, ვინაიდან „დამნა-

297 ერემაძე, ქ., 2013. გვ. 18.

298 ტულში, თ./ბურჯანაძე, გ./მშვენიერაძე, გ./გოცირიძე, გ./მენაბდე, ვ., 2013. გვ. 189.

299 შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ჟ., 2012. გვ. 166.

შავედ იდენტიფიცირებული" მოზარდის საზოგადოებაში ინეგრაციას და რესოციალიზაციას შეეშლება ხელი.[300]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მჭიდრო კავშირშია ისეთ უფლებებთან, როგორიცაა იდენტობის შენარჩუნების, უდანაშაულობის პრეზუმფციის,[301] ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის ან ბავშვის ღირსებისა და ხელშეუვალობის დაცვის უფლება, „ეს კი ბავშვის ჯანმრთელი ემოციური, სულიერი და ფიზიკური განვითარების ძირითადი ელემენტებია".[302]

11. არასრულწლოვანისადმი ინდივიდუალური მიდგომა

ამკ-ს მეთოთხმეტე მუხლის მიხედვით, „1. არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. 2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას". არასრულწლოვანისადმი ინდივიდუალური მიდგომა პირველ რიგში გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს არასრულწლოვანის ინდივიდუალური პრევენცია უნდა იქნეს გათვალისწინებული. მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ კონკრეტულ ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს უნდა ეხებოდეს. ამ გადაწყვეტილების „გავრცელების" მცდელობა არის ზოგადი პრევენცია (Generalprävention), რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დაუშვებელია.[303] არასრულწლოვანისადმი ინდივიდუალური მიდგომა ასევე გულისხმობს არასრულწლოვანი ბრალდებულის-მსჯავრდებულის სერიოზულად აღქმას მართლმსაჯულების პროცესის დროს. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს მონაწილე პირების მხრიდან მოზარდებისადმი სპეციფიური მოპყრობის და მიდგომების ცოდნას.[304]

არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის მატარებელი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ამკ-ს მეთოთხმეტე მუხლის პირველი ნაწილის ჩამონათვალის გათვალისწინება. დანაშაული მეტად კომპლექსური მოვლენაა, შესაბამისად, ეს ჩამონათვალი ვერ იქნება ამომწურავი, ამიტომ გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა მოხდეს ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინება, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი მო-

300 შალიკაშვილი, მ., 2014. გვ. 101; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 98. (მუხლი 16, გოცირიძე, ე.).

301 თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 80, 81.

302 შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ჟ., 2012. გვ. 167.

303 Ostendorf, H., 2015. S. 60.

304 იგივე, გვ. 62.

ზარდის შეფასებას და მის სამომავლო არადანაშაულებრივ ქცევას უზრუნველყოფს.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების თეორიული საფუძვლები და მისი გათვალისწინებაც ისევეა მნიშვნელოვანი, როგორც კონკრეტული მოზარდის ოჯახური, სოციალური თუ სხვა მდგომარეობა. კრიმინალური პროგნოზი მეტად რთული მეცნიერებაა. იგი ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კრიმინალური მოვლენებისა და პროცესების შესახებ ვარაუდს გულისხმობს, რომელიც ამავედროს კონკრეტული საზოგადოების განვითარების ტენდენციებს ითვალისწინებს.[305]

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათავალისწინებულ არასრულწლოვანის ინდივიდუალურ შეფასებას ამკ-ს 27-ე მუხლის მეოთხე ნაწილის ა), ბ) და დ) პუნქტების შემთხვევაში უზრუნველყოფს არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, ხოლო გ) და ე) პუნქტების შემთხვევაში პენიტენციური დეპარტამენტი (ამკ 27-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

„ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი №132/№95/№23 ბრძანებით დადგინდა: ა) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი (დანართი №1); ბ) სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი (დანართი №2); გ) საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი (დანართი №3); დ) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი (დანართი №4); ე) პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი (დანართი №5).

12. არასრულწლოვანის საპროცესო უფლებები

ამკ-ს მეთხუთმეტე მუხლის მიხედვით, „1. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან მოწმეს ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს, თუ იგი გადახდისუუნაროა. 2. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი სარგებლობს აგრეთვე შემდეგი უფლებებით: ა) მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორ-

305 შალიკაშვილი, მ./ჩიხლაძე, დ. 2013. გვ. 13.

მაციის მიღების უფლებით; ბ) თარჯიმნის მომსახურების უფასოდ მიღების უფლებით – მისი მიღების საჭიროების შემთხვევაში; გ) კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლებით; დ) საკონსულო დახმარების მიღების უფლებით; ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით".

ზემოაღნიშნული საპროცესო უფლებებიდან საყურადღებოა ერთი – უფასო იურიდიული დახმარების უფლება. ამკ-ს მე-15 მუხლის პირველი, 23-ე მუხლის პირველი და 52-ე მუხლის მეცხრე ნაწილის ჩანაწერით, უფასო იურიდიული დახმარების უფლება აქვს მხოლოდ ბრალდებულ, მსჯავრდებულ, გამართლებულ და დაზარალებულ არასრულწლოვანს. მოწმე არასრულწლოვანს ეს უფლება არ გააჩნია. მას შეუძლია ამ უფლებით სარგებლობა თუ იგი გადახდისუუნაროა.

არასრულწლოვანი შესაძლებელია არც დაიკითხოს თავდაპირველად როგორც მოწმე, არამედ გამოიკითხოს.

დღეს არსებული მდგომარეობით ხდება პირის მოწმედ გამოკითხვა (სსსკ 113-ე მუხლი) და შემდეგ მისთვის ბრალის წარდგენა. გადახდისუნარიან არასრულწლოვან მოწმეს ამკ-ს მე-15-ე, 23-ე და 52-ე მუხლების ჩანაწერებით შესაძლებელია ჰყავდეს მხოლოდ კანონიერი წარმომადგნელი და არა ადვოკატი. ასეთი არასრულწლოვანი მოწმისგან გამომძიებელი (პროკურორი) მიიღებს მისთვის სასურველ ჩვენებას და შემდეგ სცნობს მას ბრალდებულად, ანუ გამოდის რომ შესაძლებელია ადვოკატის გარეშე მოხდეს მოწმე, არასრულწლოვანი პოტენციური ბრალდებულის პირველი ჩვენების ჩამორთმევა გამოკითხვის სახით. კანონიერი წარმომადგნელის ყოლას მოზარდისათვის აქვს ემოციური სტაბილურობის გარანტის მნიშვნელობა, მას არ შეუძლია მოწმე, პოტენციურ ბრალდებულ არასრულწლოვანს სამართლებრივი დახმარება გაუწიოს, ანუ რეალურად მოზარდი რჩება იურიდიული მომსახურების გაწევის გარეშე, რა დროსაც პროკურორისათვის სასარგებლო ჩვენების მიცემის ალბათობა იზრდება.

ამკ-ს მეთხუთმეტე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული საპროცესო უფლებების (და არა მარტო) მკაფიო განმარტება მოცემულია ამ კოდექსის მეხუთე თავში – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესი – მუხლები 26-34.

თავი მესამე
არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია

1. განრიდება/მედიაცია როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი

საქართველოში 2010 წლის 15 ნოემბერს დაიწყო არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამა. პროგრამის დაწყება ეფუძნებოდა სს საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეხუთე ნაწილის ჩანაწერს, რომელიც პროკურორს უფლებამოსილებას აძლევდა არასრულწლოვანთან გაეფორმებინა ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით კი, თუ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო.

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის 216-ე ბრძანებით განისაზღვრა, რომ პირველ ეტაპზე მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის განრიდება და მედიაცია მოხდებოდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაციის ნაწილია და იგი პროკურორებს საშუალებას აძლევს საპილოტე ქალაქებში – თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში, (2013 წლიდან საქართველოს მთელი მასშტაბით) არასრულწლოვანი განარიდონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ იარსებებს დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული და თუ მან დანაშაული პირველად ჩაიდინა. ასეთ შემთხვევაში პროკურორს შეუძლია იზრუნოს არასრულწლოვნის სოციალურ დატვირთვაზე. მხარეებთან ერთად ხდება განსაზღვრა თუ რა სახის შრომას გასწევს სასჯელის ნაცვლად მოზარდი დაზარალებულის ან სახელმწიფოს სასარგებლოდ თუ სულაც საგანმანათლებლო ან სპორტული საქმიანობით დაკავდება. პროგრამის ამოქმედებამდე პროკურორებმა, სოციალურმა მუშაკებმა და მედიატორებმა სათანადო ტრენინგები გაიარეს. სწორედ მათ ეძლევათ საშუალება არასრულწლოვნის სასჯელისგან განრიდების შემდეგ მოზარდის სოციალურ რეინტეგრაციაზე იზრუნონ. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ძირითადი მიზანია საზოგადოებას დაუბრუნდეს სრულყოფილი მოქალაქე. ამიტომაც არასრულწლოვნის რეაბილიტაციასა და სოციალურ

რეინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება".

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით) სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და დანერგონ „საფეხურებრივი სისტემა`, რაც გულისხმობს ყოველგვარი ზომის მიღების გარეშე გაფრთხილების მიცემას, განრიდებას სასამართლო პროცესამდე და უკიდურეს შემთხვევაში სასამართლო განხილვას.[306]

ნევროლოგიური კვლევები ცხადყოფენ კრიმინოლოგიისთვის ნაწილობრივ ნაცნობ სანქციის ეფექტიანობის სხვადასხვა ფაქტორს: ერთის მხრივ სასჯელი მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც იგი სოციალური კონტროლის სისტემაში თავშეკავებულ ადგილს იკავებს [სახელმწიფოს მხრიდან თავშეკავებულად გამოიყენება], ხოლო მეორე მხრივ ხაზი უნდა გაესვას მოზარდისთვის შესაძლებლობის მიცემას საკუთარი დადებითი საქციელით აღიდგინოს იმიჯი საზოგადოებაში.[307] ასეთი კვლევების შედეგების საფუძველზე კიდევ უფრო აშკარა ხდება აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების აუცილებლობა.

განრიდება და მედიაცია არის აღდგენითი (რესტორაციული[308]) მართლმსაჯულების ნაწილი,[309] რომლის ძირითადი მიზანია მოზარდმა დამნაშავემ აიღოს პასუხისმგებლობა მომხდარ ქმედებაზე და მოახდინოს საზოგადოებაში სწრაფი ინტეგრაცია, რაც ხელს შეუშლის დანაშაულის განმეორებით ჩადენას.[310] აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებით „მოგებულია" როგორც მსხვერპლი და საზოგადოება, ასევე დამნაშავე.[311]

1999 წლის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99)19 რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ მედიაცია, როგორც სერვისი სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე. მოცემული რეკომენდაციის მე-10 მუხლის მიხედვით: 1) ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მედიაციას სისხლის სამართლის საქმეების იმ დანაშაულებზე, რომლისთვისაც ამ ღონისძიების გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის; და 2) ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარი მედიაციის მსვლელობისას დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მიღწეული ნებისმიერი შეთანხმება გათვალისწინებული იქნეს სისხლის სამართლის პროცესში.[312] ამავე რეკომენდაციით მედიაცია არის პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული

306 ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 65.

307 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 53.

308 რესტორაციული სამართალი (აღდგენითი მართლმსაჯულება) გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი პასუხისმგებლობას იღებს თავის არასამართლებრივ საქციელზე. ოჯახი, საზოგადოება და თავად დამნაშავე ერთად არიან ჩართული ამ პროცესში. არასრულწლოვანს თავად შეუძლია მიიღოს მონაწილეობა შესაფერისი დასჯითი ზომების შერჩევაში. ასეთი მართლმსაჯულება არ უკავშირდება ფორმალურ სამართლებრივ სისტემას, შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთაც გამორიცხულია.

309 Winter, F. (Hrsg.), 2004. S. 15.

310 იქვე, გვ. 16.

311 იქვე.

312 შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 7.

ალტერნატიული საშუალება.[313]

აღდგენითი მართლმსაჯულება მულტიდისციპლინური კატეგორიაა და სისხლისსამართლებრივ, კრიმინოლოგიურ, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ვიქტიმოლოგიურ, სოციალ-პედაგოგიურ საკითხებს ეყრდნობა.[314] მისი ძირითადი არსი რესტიტუციაში მდგომარეობს, რაც თავის მხრივ პირვანდელ მდგომარეობაში (დამნაშავესა და დაზარალებულს შორის სოციალური ურთიერთობის აღდგენა, დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება) დაბრუნების იდეის მატარებელია.[315]

ტრადიციული მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით, რომელიც დამნაშავის დადგენაზე და დასჯაზეა ძირითადად ორიენტირებული, აღდგენითი მართლმსაჯულების დროს აქცენტი პირველ რიგში პრობლემის მოგვარებაზე კეთდება, დიალოგისა და მოლაპარაკების გზით ზიანის ანაზღაურებაზე და მხარეების შერიგებაზე.[316] მისი გამოყენების ძირითადი მიზანია შეამცროს განმეორებითი დანაშაული და მოზარდს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებრივი ნორმებისადმი.[317]

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები 2010 წლის 15 ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით განრიდებისა და განრიდების და მედიაციის რაოდენობა წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

წლები	2010	2011	2012	2013	2014	2015	საერთო ჯამი
განრიდება	0	52	80	281	168	153	734
განრიდება – მედიაცია	2	28	44	51	36	143	304
სულ	2	80	124	332	204	296	1038
რეციდივი							37 / 4%

უნდა აღინიშნოს, რომ განრიდების რეციდივის მაჩვენებელი არის განხორციელებული განრიდების/განრიდების და მედიაციის საქმეების მხოლოდ 4% – 37 საქმე, ამათგან 9-ს გაფორმებული ჰქონდა განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება.

განრიდებისა და მედიაციის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში იმატა განრიდების და მედიაციის საქმეებმა, რაც მისასალმებელია. საინტერესოა, ასევე 2015 წლის პირველი ნახევრის ტენდენცია განრიდების საქმეების დიდი ნაწილი დასრულებულია მედიაციით, აღნიშნული პირდაპირ იმოქმედებს რეციდივის პროცენტული მაჩვენებლის კლებაზე.

საინტერსოა რეციდივის დაბალი მაჩვენებელი. თუ ჩვენ ამ მაჩვენებელს

313 გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ., 2012. გვ. 145.
314 თუმანიშვილი, გ., 2013. გვ. 253.
315 იქვე.
316 შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 8; თუმანიშვილი, გ., 2013. გვ. 255.
317 ზეპრი, ჰ., 2013. გვ. 11.

შევადარებთ განვითარებული ევროპის სახელმწიფოს (გერმანიის) მაჩვენებელს დავინახავათ, რომ გერმანიაში განრიდების რეციდივის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (36,6% 2013 წელს)[318] ქართულ მაჩვენებელზე (4%). ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ გერმანიაში განრიდება ხდება თითქმის ყველა იმ არასრულწლოვნის საქმის, რომელიც ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. საქართველოში კი იმ საქმეების სავარაუდოდ მხოლოდ ნახევარი მიდის განრიდებით/განრიდება-მედიაციით, რომლებიც ამ პროგრამაში ჩართულობის საკანონმდებლო კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

განრიდებისა და მედიაციის სამართლებრივი რეგულირებისათვის მიღებულ იქნა შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის 216-ე ბრძანება გაუქმდა და 2016 წლის პირველ თებერვალს მიღებულ იქნა იუსტიციის მინისტრის ახალი 120-ე ბრძანება „არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე".
- „განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29-ე ბრძანება;
- „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის №129/ს ბრძანება.

არასრულწლოვანთა განრიდების საკითხი ახლებურად იქნა დარეგულირებული ამკ-ის მიერ. ამკ-ის 38 – 48-ე მუხლები არეგულირებენ სწორედ არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის საკითხს.

2. განრიდება

ამკ-ს 38-ე მუხლის თანახმად, 1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-

318 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 35.
გერმანიაში ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას მაინც პრიორიტეტულად მიიჩნევენ, რადგან თავისუფლების აღკვეთიდან გამონვეული რეციდივი (77,8%) ორჯერ უფრო მეტია განრიდების რეციდივის პროცენტული მაჩვენებლისა (36,6%). Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 35.

რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. 2. პროკურორი უფლებამოსილია ამ თავით დადგენილი წესით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ. 3. პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოსაყენებლად საქმის განხილვისას ან განრიდების გამოყენების შესახებ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და ამ კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

ამკ-ს 38-ე მუხლი ითვალისწინებს განრიდების გამოყენებას ასევე 18-დან 21 წლამდე პირების მიმართ.

მოზარდის განრიდება გულისხმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მის განრიდებას. განრიდების მიზანია მოზარდი ააცდინოს მართლმსაჯულების სისტემას და მის მიმართ გამოიყენოს ინდივიდუალური პრევენციის ღონისძიებები. კრიმინოლოგიური თვალთახედვით განრიდების თეორიული საფუძველია არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავისებურებები – არასრულწლოვანთა დანაშაულობის ნორმალურობა, ეპიზოდურობა და ყველა საზოგადოებაში გავრცელება.[319]

განრიდება ასევე ემსახურება იმ ამოცანას, რომ მოზარდს მისცეს გამოსწორების შანსი და თავიდან იქნეს აცილებული ციხის პირობებში მისი კრიმინალად ჩამოყალიბების გარდაუვალი პროცესი.[320] განრიდების უპირველესი მიზანია მართლმსაჯულების სტიგმატიზაციისაგან მოზარდის დაცვა, მოზარდის ნაკლები ემოციური დატვირთვა, კონფლიქტის სწრაფი მოგვარება, ნაკლები ეკონომიკური ხარჯი,[321] ნაკლები რესურსის დახარჯვა [პროკურორების შესაძლებლობა უფრო მნიშვნელოვან საქმეებს დაუთმონ დრო].[322]

ამკ-ს 38-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განრიდების განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ კუმულაციურად სახეზე იყოს ორი პირობა: ა) დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, ბ) უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება არის ამკ-ს 65-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნები, ანუ განრიდებას და სასჯელს აქვს ერთნაირი მიზნები, რაც დაუშვებელია, განრიდებას არ შეიძლება ისეთი

319 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 461.

320 იქვე.

321 განრიდების/მედიაციის ეკონომიკური ანალიზის შესახებ იხ.: შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 159.

322 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 460.

მაღალი მიზანი დავუწესოთ, როგორც სასჯელს, ვინაიდან სასჯელის შეფარდების შემთხვევაში არასრულწლოვანის პიროვნებაში ჩარევას უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს, ვიდრე განრიდების დროს. მაგ. არასრულწლოვანის ნერილობითი გაფრთხილება (განრიდების ღონისძიება, ამკ-ს 43 მუხლი) და არასრულწლოვანის შინაპატიმრობა (სასჯელის სახე, ამკ-ს 69-ე მუხლი) არ არის ერთი და იგივე ჩარევის ინტენსიობის მატარებელი და შესაბამისად, მათი მიზანი არ უნდა იყოს ერთნაირი.

ამკ-ს მესამე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, განრიდება არის არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვანის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. პროკურორის საქმიანობა განრიდების და მედიაციის პროგრამაში რეგულირდება ამკ-ის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120-ე ბრძანებით და ამავე მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181-ე ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ".

არსრულწლოვანის განრიდება დამოკიდებულია პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის 181-ე ბრძანება აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

2.1. განრიდების გადაწყვეტილება და მისი გამოყენების წინაპირობები

ამკ-ს 39-ე მუხლის მიხედვით, წინასასამართლო სხდომამდე პროკურორი იღებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას. ამავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს განრიდების გამოყენებას სასამართლოში საქმის წარმართვის შემდეგაც სასამართლოს ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. რა დროსაც საქმე დაუბრუნდება პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. სასამართლოში ს/ს საქმის წარმართვის პერიოდში მოსამართლის მიერ განრიდებაზე პროკურორისთვის საქმის გადაცემა კანონის თანახმად პირდაპირ ავალდებულებს პროკურორს არასრულწლოვანს გაუფორმოს განრიდება.

მოსამართლის ჩართვა განრიდების პროცესში მისასალმებელია. არასრულწლოვანს ეძლევა შანსი, იმ შემთხვევაში თუ პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის განრიდებაზე უარი თქვა ეს განრიდება მოსამართლის მიერ მოხდეს პროკურორის მეშვეობით. აღნიშნული ჩანაწერი განრიდების საქმეების ზრდას გამოიწვევს, რადგან პროკურორი აღარ დაიწყებს ისეთ საქმეზე სისხლისსამართლებრივ დევნას, რომელზეც ეჭვი ექნება, რომ შესაძლებელია მოსამართლის მიერ განრიდების მოთხოვნით უკან დაუბრუნდეს.

სახელმწიფო რესურსის დაზოგვის მხრივ უმჯობესი იქნებოდა წინასწარი

შეთანხმება ყოფილიყო მიღწეული პროკურორსა და მოსამართლეს შორის განსარიდებელ საქმეებთან დაკავშირებით. არასრულწლოვანის საქმეზე შეჯიბრებითობის პრინციპი მეორეხარისხოვანი უნდა იყოს და წინ უნდა წამოინიოს მოზარდის ჭეშმარიტმა ინტერესმა. მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესი კი გულისხმობს: ა) სწრაფ, გამარტივებულ და უმტკივნეულო მართლმსაჯულებას და 2) სახელმწიფო ორგანოებისადმი ნდობას. პროკურორსა და მოსამართლეს შორის შეთანხმების შემთხვევაში მოზარდს აღარ მოუხდებოდა ჯერ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ ყოფნა და შემდეგ განრიდების პროცესში მონაწილეობა, რაც აშკარად ეწინააღმდეგება სწრაფ, გამარტივებულ და უმტკივნეულო მართლმსაჯულების პრინციპს, რომელიც პედაგოგიური და სტიგმატიზაციის თვალსაზრისით არის მოზარდისთვის მნიშვნელოვანი.[323] მოზარდის თვალში აღარ დაკნინდება იმ პროკურორის იმიჯი (და ზოგადად პროკურატურის სახელმწიფო ინსტიტუტი), რომელსაც გადაწყვეტილების შეცვლა დასჭირდა და „დამარცხდა" მოსამართლესთან. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია პროკურორის რესურსის მიზნობრივი ხარჯვა, რაც ასეთი წინასწარი შეთანხმების პირობებში უზრუნველყოფილი იქნება.

ამკ-ს 39-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში დგება გასაუბრების ოქმი, რომელშიც აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. ამ ოქმს ხელს აწერენ პროკურორი და არასრულწლოვანი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი.

აღნიშნული საკითხი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ამ ნორმით პროკურორი ვალდებულია არასრულწლოვანთან გასაუბრების ოქმში დაასაბუთოს არასრულწლოვანის განრიდებაზე უარის თქმა. დასაბუთებულობის სტანდარტი ამაღლდებოდა, თუ პროკურორი არასრულწლოვანის განრიდებაზე უარს არა არასრულწლოვანთან გასაუბრების ოქმში აღნიშნავდა, არამედ გამოსცემდა არასრულწლოვანის განრიდებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებას.

ამკ-ს 39-ე მუხლის მეხუთე პუნქტი ითვალისწინებს პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არასრულწლოვანის ან/და მისი წარმომადგენელის უფლებას განრიდების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ პროკურორს.

მიმართვის ეს ინსტიტუტი ორი კუთხით შეიძლება იყოს საყურადღებო:

- არასრულწლოვნის ან/და მისი წარმომადგენელის უფლება განრიდების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ პროკურორს, რაც მისასალმებელია და კიდევ ერთი შესაძლებლობაა განრიდების განხორციელებისათვის;
- პროკურატურა არის სისტემა, სადაც უფლებამოსილება ხორციელდება ვერტიკალურად, ზემოდან ქვემოთ. თითქმის შეუძლებელია, რომ პროკურორს არასრულწლოვანის განრიდებაზე უარი შეთანხმებული არ იყოს მის ზემდგომ პროკურორთან. აღნიშნული თუ ასეა, მაშინ ეს უფლება კარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას.

---

323 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 591; Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 301; შეად.: თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 77.

გასაჩივრება არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის მატარებელი იქნებოდა, თუ პროკურორის ეს გადაწყვეტილება პირდაპირ სასამართლოში გასაჩივრდებოდა და მოსამართლეს უფლება ექნებოდა (როგორც ეს არის ამკ-ს 39-ე მუხლის მეორე ნაწილით) პროკურორისთვის მოზარდის განრიდება დაევალებინა. ასეთ შემთხვევაში აღარ მოხდებოდა არასრულწლოვანის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ჩაბმა და დაიზოგებოდა სახელმწიფო რესურსი.

ამკ-ს 40-ე მუხლის მიხედვით, განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას: ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა; ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის; გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა; დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს; ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს; ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.

იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120-ე ბრძანების თანახმად, პროკურორი ხვდება დაზარალებულს, განუმარტავს მას არასრულწლოვნის განრიდების საფუძველსა და მიზეზებს, ისმენს მის მოსაზრებასა და მოთხოვნებს. პროკურორი დაზარალებულთან კომუნიკაციას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, რათა თავიდან აიცილოს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია, გაღიზიანება და უკმაყოფილება. პროკურორმა უხსნის დაზარალებულს, თუ რატომ არის მისთვის სასარგებლო განრიდების პროცესში მონაწილეობა და რა დადებითი მხარეები ექნება მისთვის მედიაციაში ჩართვას. დაზარალებულის უარი განრიდებაზე ან მედიაციაში მონაწილეობაზე არ აბრკოლებს განრიდების პროცესს. განრიდების შესახებ წინასწარ გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს არასრულწლოვანთან და დაზარალებულთან შეხვედრების შემდეგ.

იუსტიციის მინისტრის 120-ე ბრძანების მიხედვით, არასრულწლოვნის განრიდების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დადგენილება არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ. არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენელის თანხმობის შემთხვევაში, პროკურორი დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით, მიმართავს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც მოცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს სოციალურ მუშაკს. საქმეში დაზარალებულის არსებობის შემთხვევაში პროკურორი, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“, რომელიც მო-

ცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს მედიატორს. სოციალური მუშაკი ატარებს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას. ამ შეფასებას, შეფასების ანგარიშს, რეკომენდაციას განრიდების ღონისძიების შესახებ და ხელშეკრულების სხვა სარეკომენდაციო პირობებს სოციალური მუშაკი პროკურორს საქმის მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს. თუ შეფასება 10 სამუშაო დღეში გონივრული მიზეზის გამო ვერ სრულდება, ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მიზეზის აღმოფხვრამდე, რის შესახებაც, წერილობითი დასაბუთებით, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს. სოციალური მუშაკის პარალელურად, 10 სამუშაო დღის განმავლობაში მედიატორი უკავშირდება დაზარალებულს, უხსნის მას განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსს, პრინციპებს, მიზნებს, მისი მონაწილეობის შედეგებს და აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, რათა დაზარალებულმა მედიაციაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან და მედიაციის შემთხვევაში — მედიატორთან ერთად განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს. პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ არასრულწლოვნისა და დაზარალებულის ინტერესებს. განრიდების შემთხვევაში პროკურორი არასრულწლოვანთან განრიდების ხელშეკრულებას აფორმებს ანგარიშის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ ხელშეკრულება 10 სამუშაო დღეში გონივრული მიზეზის გამო ვერ ფორმდება, ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მიზეზის აღმოფხვრამდე. განრიდებისა და მედიაციის შემთხვევაში, განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას არასრულწლოვანთან აფორმებს მედიატორი. მისი გაფორმების ვადა და პროცედურა განისაზღვრება „დანაშაულის პრევენციის ცენტრის" დირექტორის ბრძანებით.

ამკ-ს 40-ე მუხლით გათვალისწინებული განრიდების გამოყენების წინაპირობები აუცილებელია პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების დასაკონკრეტებლად. პროკურორი განრიდების გამოყენების დროს პირველ რიგში ითვალისწინებს სახეზე არის თუ არა აღნიშნული გარემოებების ერთობლიობა. რომელიმე ზემოთჩამოთვლილი გარემოების არარსებობის გამო პროკურორი უარს იტყვის განრიდების გამოყენებაზე.

საინტერესოა ის გარემოება, რომ დათქმა არასრულწლოვანი განრიდებამედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა გულისხმობს მოზარდისათვის ერთი შანსის მიცემის საკითხს, რაც არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეპიზოდურ ხასიათთან მოდის წინააღმდეგობაში.

ამკ-ს 40-ე მუხლის ჩანაწერი შესაძლებელია გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ არასრულწლოვანმა, იმის მიუხედავად იყო თუ არა ადრე გასამართლებული, მონაწილეობა მიიღოს განრიდების პროგრამაში, რადგან ამკ-ს მე-12 მუხლის პირველი ნაწილი უარს ამბობს არასრულწლოვანის ნასამართლობაზე. კერძოდ, თუ 14 წლის არასრუწლოვანის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და მას ნასამართლობა არა აქვს (ამკ-ს მე-12 მუხლი), შესაძლებელია იგი ჩართულ იქნას განრიდებაში (რა თქმა უნდა, თუ ადრე ამ პროგრამაში მას მონაწილეობა არ მიუღია). ამკ-ს 40-ე მუხლის პირობა **არას-**

რულწლოვანი ნასამართლევი არ არის გაგებულ უნდა იქნეს, რომ ნასამართლობა გაქარწყლებულია ამკ-ს მე-12 მუხლის I ნაწილის მიხედვით. ცნება *არასრულწლოვანის ნასამართლობა* თუ მოიცავს საკითხს, რაც გულისხმობს, რომ ერთხელ არასრულწლოვანის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ნიშნავს არასრულწლოვანის ნასამართლობას (ამ ცნების ფართო გაგება), მაშინ ეს ცნება – *არასრულწლოვანის ნასამართლობა* – შეუსაბამოა ადამიანის ღირსებასთან და თავისუფალი განვითარების უფლებასთან (კონსტიტუციის მე-16 და მე-17 მუხლები), რადგან მას (ადამიანს) საშუალებას არ აძლევს გათავისუფლდეს ბავშვობაში ჩადენილი შეცდომისაგან, რაც ნორმალურად მიიჩნევა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. ამგვარმა მოპყრობამ შესაძლებელია მსხვერპლში აღძრავს შიშის, ტკივილისა და *არასრულფასოვნების განცდა*, ეს განცდა ამცირებს და აკნინებს მას, განცდა ტეხს მას ფიზიკურად ან მორალურად.[324] ნასამართლობის ინსტიტუტის სისხლისსამართლებრივი პრევენციის საკითხი გულისხმობს, მოხდილი სასჯელის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დანაშაულის პრევენციის გამო ნასამართლობის დადგენას, რომლის გასვლის შემდეგ ნასამართლობა ქარწყლდება და ადამიანს (მოზარდს მითუმეტეს) შეუძლია ახლიდან დაიწყოს ცხოვრება.

საინტერესოა ასევე ამკ-ს მე-40 მუხლით გათვალისწინებული პროკურორის ან მოსამართლის შინაგანი რწმენის საკითხი. დღეს არსებული სამართლებრივი რეგულაციით შესაძლებელია 21-22 წლის ადამიანი გახდეს პროკურორი. შინაგანი რწმენა არის ცხოვრებისეული გამოცდილების და სამეცნიერო ლიტერატურის სისტემატიურად გაცნობის ნაყოფი, რომელიც ასეთ ახალგაზრდა ადამიანს სავარაუდოთ ჯერ არ გააჩნია.[325]

პროკურორი ვალდებულია თითოეული სისხლის სამართლის საქმიდან და დამნაშავის პიროვნებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს განრიდების გამოყენების საკითხი. ამკ განსაზღვრავს, რომ პროკურორი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს კონკრეტულ არასრულწლოვანზე პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის მიერ მომზადებულ ინდივიდუალურ ანგარიშს (ამკ 27-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

2.2. განრიდების ღონისძიებები

ამკ-ს 42-ე მუხლი ითვალისწინებს განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შემდეგ ღონისძიებებს: ა) არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება; ბ) აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა; გ) მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება; დ) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა; ე) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; ვ) არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება; ზ) არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება.

---

324 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება.

325 ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 51-55.

განრიდების ღონისძიებები განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე და ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს განრიდების რამდენიმე ღონისძიება ისე, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი და არ გამოიწვიოს მოზარდის ღირსებისა და პატივის შელახვა, ნორმალური სასწავლო პროცესისაგან და ძირითადი სამუშაოსაგან მისი მოწყვეტა, ან შეიძლება ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

განრიდების ღონისძიებები მოზარდისათვის იმაზე მძიმე შესასრულებელი არ უნდა იყოს ვიდრე სასჯელის ღონისძიებები იქნებოდა.[326]

არც ამკ და არც იუსტიციის მინისტრის 120-ე ბრძანება არ ითვალისწინებს, თუმცა შესაძლებელი უნდა იყოს არასრულწლოვანისათვის განრიდების ღონისძიების ან ღონისძიებების შეცვლა თუ ობიექტური პირობების გამო შეუძლებელია მისი შესრულება ან ამას მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესი ითვალისწინებს. არასრულწლოვნის მიმართ ისეთი ღონისძიებები უნდა დაწესდეს, რომელთაც იგი ცნობს და შეასრულებს.[327] პრაქტიკაში ასეც ხდება. თუ პირობების შესრულება ვერ ხერხდება, გადახედვას ექვემდებარება ვადაც და პირობებიც. შეიძლება გაიზარდოს ვადა, შეიცვალოს პირობა და ა.შ. შესაბამისად, შეძლებისდაგვარად სრულად ხდება მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.

ამკ-ს 42-ე მუხლით გათვალისწინებული განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ზოგიერთი ღონისძიებები ზოგადია და დაკონკრეტებას საჭიროებს. საინტერესოა, ასევე განრიდების რამდენიმე ღონისძიების ერთად გამოყენების საკითხი. განრიდების და მედიაციის 27 საქმის შესწავლამ და ანალიზმა ცხადყო, რომ მოზარდს დაკისრებული ჰქონდა ისეთი რაოდენობის ღონისძიება, რომ შეიძლებოდა მათ შესრულებაზე პრობლემები შეჰქმნოდა.[328]

2.2.1. არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება

ამკ-ს 42-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი და 43-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის წერილობით გაფრთხილებას, რაც ნიშნავს მისთვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

გაფრთხილება არის არასრულწლოვნისათვის იმის ახსნა და განმარტება, თუ რა შედეგი გამოიწვია მისმა ქმედებამ. საჭიროა, არასრულწლოვანს განმარტება მიეცეს მისი საქციელის როგორც საზოგადოებრივად მიუღებლობის, ასევე მისი ქმედებით გამოწვეული დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ.[329] გარდა ამისა, დამნაშავე მოზარდს უნდა განემარტოს ის შესაძლო სასჯელი, რომელიც მას დაენიშნება განმეორებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

გაფრთხილება, თავისი ფორმით, არის რეპრესიული ხასიათის და უნდა

326 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 450.
327 Eisenberg, U., 2010. S. 154.
328 შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 106-108.
329 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 156.

ემსახურებოდეს მოზარდის აღზრდას, მისი ღირსების გათვალისწინებით, ამიტომ ხშირად გაფრთხილება სწორედ ღირსების სასჯელად მიიჩნევა.[330] მაგალითად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედება უღირსი საქციელია როგორც დაზარალებულის, ასევე საზოგადოების მიმართ, ვინაიდან იგი ადამიანთა ნორმალურ თანაცხოვრებას უშლის ხელს.

გაფრთხილების მიზანია, რომ მოზარდს დაანახოს (შეაგნებინოს), რომ მისი საქციელი ცნობილი გახდა სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის და, რომ იგი ვალდებულია დაიცვას ქცევის კანონით დადგენილი ნორმები.[331]

კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ გაფრთხილება წერილობითი ხასიათისაა. გაფრთხილებამ არ უნდა მიიღოს ბრალის დადგენილების ან განაჩენის ფორმა და მისი მიზანი უნდა იყოს მოზარდს გასაგებ ენაზე აუხსნას მისი ქმედების საზოგადოებრივი და სახელმწიფო დამოკიდებულება.

2.2.2. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება

ამკ-ს 44-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებას ან/და სხვა პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას.

კანონმდებელი ამ მუხლში საუბრობს სამ ღონისძიებაზე, რომელზეც შეიძლება არასრულწლოვანი ჩაერთოს:

- განრიდება-მედიაციის პროგრამა;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება;
- სხვა პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას.

არასრულწლოვანის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა მეტად მნიშვნელოვანია მისთვის და დაზარალებულისათვის.

გაუგებარია, საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება რითი განსხვავდება ამკ-ს 71-ე მუხლით გათვალისწინებულ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისაგან, რომელიც სასჯელის სახით შეიძლება დაეკისროს მოზარდს. განსხვავება რა თქმა უნდა პირველ რიგში ნასამართლობის საკითხშია. ერთი არის განრიდების ღონისძიება (ამკ-ს 44-ე მუხლი) და მეორე სასჯელი (ამკ-ს 71-ე მუხლი). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ განრიდების ღონისძიება შესაძლებელია მოზარდს დაეკისროს 12 თვის განმავლობაში (ამკ-ს 39-ე მუხლის მესამე ნაწილი), მაშინ თეორიულად ისიც შესაძლებელია, რომ მოზარდს 12 თვე საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება დაეკისროს ამკ-ს 44-ე მუხლის ფარგლებში, რაც ამკ-ს 71-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის აღსრულებაზე მკაცრი რეგულაცია იქნება და დაუშვებელია.

რაც შეეხება სხვა პროგრამებს, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვ-

330 Eisenberg, U., 2010. S. 208.

331 იქვე, გვ. 209.

ნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას. ეს პროგრამები ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ 1) შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესს; 2) გრძელვადიანი პერსპექტივით უნდა შეძლოს მოზარდში დისციპლინის და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება; და 3) ხელი შეუწყოს მის პროფესიულ განვითარებას.

2.2.3. არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება

ამკ-ს 45-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნისათვის გარკვეული მოვალეობების დაკისრებას. კერძოდ, მას შეიძლება აეკრძალოს: ა) განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/პირების მონახულება; ბ) ბინადრობის ადგილის შეცვლა; გ) დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა; დ) ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება; ე) სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს: ა) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება; ბ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება; გ) საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა; დ) თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება; ე) სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ამკ-ს 45-ე მუხლით გათვალისწინებული აკრძალვები გარკვეულ დროზე და ადგილზეა ან პიროვნებებთან კონტაქტზეა ორიენტირებული, რომლის მიზანია არასრულწლოვანმა შეიცვალოს ცხოვრების სტილი და დაადგეს გამოსწორების გზას.[332]

ამკ-ს 45-ე მუხლში საუბარია ისეთი **ადგილების მონახულებაზე ან სადმე წასვლაზე**, რომლებიც არასრულწლოვნის განვითარებაზე ცუდად მოქმედებენ,[333] მაგალითად: „ქუჩის ბირჟა"; ადგილი, სადაც მავნე გავლენის მქონე პირები იკრიბებიან, იმ სკოლის მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც დაზარალებული სწავლობს; დანაშაულის ჩადენის ადგილი და ა. შ. ამ ადგილების მონახულებამ შესაძლოა მოზარდის მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენას ან დაზარალებულთან კონფლიქტის ესკალაციას შეუწყოს ხელი, ვინაიდან დაზარალებულის ოჯახის წევრებიც იქ ცხოვრობენ ან ხშირად იმყოფებიან იმ ადგილებში.

ამ მუხლში საუბარია ასევე **სახლიდან გასვლაზე იმ დროის მონაკვეთში**, როდესაც შესაძლებელია დამნაშავე მოზარდი შეხვდეს დაზარალებულს, რასაც შეიძლება კონფლიქტი მოჰყვეს ან მის უფროს მეგობრებს ან თანატოლებს, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენენ მის განვითარებაზე. დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა თავისი შინაარსით ახლოს დგას შინაპატიმრობასთან.

თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდისათვის, რომელმაც უკვე ჩაიდინა დევიაციური ქმედე-

332 Eisenberg, U., 2010. S. 158.

333 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 108.

ბა. თავისუფალი დროის ქუჩაში, „ბირჟაზე" გატარებამ შესაძლებელია მასზე უარყოფითად იმოქმედოს და/ან მოხდეს უფროსი მეგობრების მიერ მისი შეგულიანება, გამხნევება, ნაქეზება ახალი დანაშაულის ჩადენისთვის, რაც მისთვის კრიმინალური კარიერის დასაწყისი იქნება. თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება მიმართული უნდა იყოს არასრულწლოვნის მიერ გარკვეული სპორტული და საზოგადოებრივი აქტივობების განხორციელებისკენ, რაც ხელს შეუწყობს ახალი მეგობრებისა და ღირებულებების შეძენას და თავისუფალი დროის ნინასნარ დაგეგმვას. დევიაციური ქცევის მქონე არასრულწლოვანი 24 საათის განმავლობაში ისე უნდა დაკავდეს, ანუ მისი თავისუფალი დრო ისე უნდა განაწილდეს, რომ ის გარკვეულ რეჟიმში ჩადგეს, რითაც მას დროც კი აღარ ექნება დანაშაულის ჩადენისთვის (იხ. ჰირშის კონტროლის თეორია), მაგალითად, დილის 9-იდან 14 საათამდე სკოლაში ყოფნა, 15-იდან 18 საათამდე სპორტით ან კულტურული ღონისძიებებით დაკავება (თეატრის, კინოს, ლიტერატურული კითხვის წრე), საღამოს საათებში მეორე დღისთვის გაკვეთილების მომზადება და დასვენება, ხოლო ღამის საათებში ძილი.

მოზარდის მიერ საგანმანათლებლო/აღმზრდელობითი და/ან სამკურნალო პროგრამის გავლის ძირითადი მიზანი არის მისი სოციალიზაციისათვის ხელის შეწყობა და ქვეყნის სამუშაო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მოზარდს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სნავლის დაწყებით ან განახლებით ექნება დღის გეგმიურად გატარების შესაძლებლობა, ნაკლები თავისუფალი დრო, რომელსაც იგი უაზროდ გამოიყენებდა და რითაც დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა გარდაუვალი იქნებოდა. მოზარდის სამკურნალო-აღმზრდელობით პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა მოზარდის მზადყოფნა და სურვილი განიკურნოს ნარკოტიკზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულებისაგან.[334]

სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მოზარდის მიერ მუშაობის დაწყებას პრაქტიკაში ყველაზე ხშირად უნდა იყენებდნენ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უნდა იღებდნენ პასუხისმგებლობას დაასაქმონ გზას აცდენილი მოზარდები, რითაც მათ შანსი მიეცემოდათ არ მოხვედრილიყვნენ სასჯელაღსრულების სისტემაში. არასრულწლოვნისათვის მუშაობის დაწყებას უნდა ჰქონდეს მხოლოდ აღმზრდელობითი ხასიათი,[335] ამიტომ სამუშაოს მოძიების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა და იმის შესაძლებლობა, თუ რამდენად გაართმევს იგი თავს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას.[336] მოზარდის პიროვნებისათვის შეუსაბამო სამუშაომ შესაძლებელია მასში გამოიწვიოს საკუთარი თავის მიმართ უარყოფითი გრძნობები, აფიქრებინოს მას, რომ არ შესწევს გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობა, რათა იმუშაოს, რომ იგი ნებისმიერი სამუშაოსათვის გამოუსადეგარია. შრომის მიმართ მოზარდის ამგვარი დამოკიდებულება აისახება მის მომავალ ცხოვრებაზე და იგი საკუთარი თავის ან ოჯახის რჩენას შეეცდება სხვა

334 Ostendorf, H., 2009. S. 110.
335 Eisenberg, U., 2010. S. 158.
336 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 111.

მეთოდების (დანაშაულის) გამოყენებით. შრომისადმი მოზარდის დადებით თვითშეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სამომავლო გეგმებისათვის.[337]

დევიაციური ქცევის მქონე მოზარდის მიერ მუშაობის დაწყებას, თუნდაც სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით, პრაქტიკაში დიდი სირთულეები შეიძლება ჰქონდეს და უსამართლობის გრძნობა გამოიწვიოს. პირველი და უმთავრესი სირთულე – მოზარდის დასაქმება – დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ უმუშევრობასთან. სამუშაო ადგილების სიმცირის გამო თითქმის შეუძლებელია აღმზრდელობითი ხასიათის ამ იძულებითი ღონისძიების გამოყენება. გარდა ამისა, დევიაციური ქცევის მოზარდის დასაქმება მორალურად გაუმართლებული იქნებოდა იმ უმუშევარ მოზარდთა წინაშე, რომელთაც დანაშაული არ ჩაუდენიათ. აღნიშნული მხოლოდ მორალურად არის გაუმართლებელი, სამართლებრივად, კერძოდ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმ ადამიანების მიმართ [განსაკუთრებულ] მიდგომებს, რომელთაც ეს საკუთარი ძალით არ შეუძლიათ.[338] კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის დასაქმების უპირატესობა ჩვეულებრივ მოზარდებთან იმიტომ არის, რომ საზოგადოება მომავალში დაცული იქნება ახალი დანშაულის ჩადენისაგან.

ამ მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს სხვაგვარად ქცევის შეზღუდვა ან დაევალოს ისეთი რამ, რაც პირველ რიგში, მის აღზრდას უნდა ემსახურებოდეს, მას უნდა უყალიბებდეს საზოგადოებრივი ნორმების დაცვის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობას, უნდა იყოს მისი პიროვნების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი, არ უნდა ლახავდეს მის ადამიანურ პატივსა და ღირსებას, ხელს უნდა უწყობდეს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ამკ-ს 45-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების კონტროლს უზრუნველყოფს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

2.2.4. მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება

ამკ-ს 42-ე მუხლის პირველი ნაწილის გ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს არასრულწლოვნისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებას სრულად ან ნაწილობრივ. აღნიშნული გულისხმობს, მის მიერ მიყენებული ეკონომიკური ზარალის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, გატეხილი საგნის გაკეთებას, რესტავრაციას, ჩამსხვრეული მინის აღდგენას, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების მიყენებით ან შრომის უუნარობის გამო დაკარგული შემოსავლის ანაზღაურებას ან მკურნალობის ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას და ა. შ.[339] შესაძლებელია, ზიანის ანაზღაურების დროს მოხდეს დაზარალებულთან შერიგება, მედიაციის გარეშე, რაც მისასალმებელია.

არასრულწლოვნისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებამ არ უნდა გააუარესოს მისი ქონებრივი მდგომარეობა, თუმცა მან გარკვეული ეკო-

337 შვაბე, იურ., 2011. გვ. 316.
338 შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., 2014. გვ. 29-31.
339 Eisenberg, U., 2010. S. 211.

ნომიკური ანაზღაურება უნდა გაიღოს, ეკონომიკური ზარალი უნდა ნახოს, რითაც მას ჩამოუყალიბდება პასუხისმგებლობის გრძნობა დაზარალებულისა და საზოგადოების მიმართ.[340] საინტერესოა ისიც, რომ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, არასრულწლოვანმა სრულად აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი, მნიშვნელოვანია მისთვის სურვილისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაჩენა, რათა მიყენებული ზარალი აანაზღაუროს. შესაბამისად, ამ აღმზრდელობითი ღონისძიების მიზანია მოზარდში გააღვივოს საკუთარი დეევიაციური საქციელისათვის პასუხისმგებლობის აღების, ჩადენილი ქმედების მონანიებისა და მსხვერპლის პატივისცემის გრძნობა,[341] რაც მის (ხელახალ) სოციალიზაციას შეუწყობს ხელს.

არასრულწლოვანმა ზიანი უნდა აუნაზღაუროს პირდაპირ დაზარალებულს, დაუშვებელია მის მიერ მესამე პირისათვის ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან მას აღმზრდელობითი ხასიათი არ ექნება.[342] მაგალითად, არასრულწლოვანმა ა.-მ მიაყენა სრულწლოვან დ.-ს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება. დაზარალებული დ. აღმოჩნდა დაზღვეული, რომელმაც დ.-ს აუნაზღაურა მკურნალობის ხარჯები. პედაგოგიური თვალსაზრისით, ა.-ს აღზრდისათვის სასარგებლო იქნებოდა, თუ იგი დ.-ს მკურნალობის ხარჯებს გადაუხდიდა არა სადაზღვეოს (მისთვის აბსტრაქტულ ორგანოს), არამედ – კონკრეტულ პიროვნებას, დაზარალებულ დ.-ს.

2.2.5. არასრულწლოვნის მინდობით აღზრდა

ამკ-ს 46-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსებას, რაც ნიშნავს განსაზღვრული დროით არასრულწლოვნის მიმღები ოჯახისთვის გადაცემას სახლიდან მოშორებით და მშობლებისაგან განცალკევებით, თუ არასრულწლოვნის სახლში და მშობლების გარემოცვაში დატოვება მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს შეიცავს. განრიდების ამ ღონისძიებაში შესაძლებელია არასრულწლოვნის მშობლების ჩართვაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

ოჯახური გარემოდან მოზარდის გამოყვანა და სხვა ოჯახში განთავსება გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში, თუ ოჯახურ გარემოში მოზარდის ყოფნა დიდ ზიანს აყენებს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. ნებისმიერი განთავსება სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს კარგად შემოწმებული ბავშვის მინდობით აღსაზრდელად განთავსებამდე და განთავსების შემდგომ.[343] მოზარდის ახალ ოჯახში გადაყვანამ, პირველ რიგში, ხელი უნდა შეუწყოს მისთვის დაგეგმილი ცხოვრების წესის სწავლას. მინდობით აღსაზრდელად განთავსება გულისხმობს ახალი ოჯახის მხრიდან ბავშვის ქცევის კონტროლს (კრიმინალ მეგობრებთან ურთიერთობის შესუსტებას) და მისთვის ისეთი საკითხების სწავლებას (სოციალიზაციას), რამაც

340 იქვე.
341 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 161.
342 იქვე.
343 შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ე., 2012. გვ. 65.

ხელი უნდა შეუწყოს იმ აღმზრდელობითი დანაკარგების აღდგენას, რასაც ადგილი ჰქონდა ბიოლოგიური ოჯახის შემთხვევაში.[344] მინდობით ბავშვის განთავსების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოლის საკითხი. ისეთ ახალ ოჯახს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვისთვის იგივე სკოლაში სწავლის გაგრძელებას. ბიოლოგიური ოჯახის გარემოსთან ერთად თუ ბავშვი დაკარგავს სოციალურ გარემოს (სკოლა, სკოლის მეგობრები), ამან შეიძლება მასზედ მძიმე შედეგები იქონიოს.

2.3. განრიდების და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება

იუსტიციის მინისტრის 120-ე და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის №129/ს ბრძანებებით განსაზღვრული განრიდების და განრიდება მედიაციის ღონისძიებები, რომელსაც მხარეები ხელშეკრულების სახით აფორმებენ, შეიძლება იყოს ამკრძალავი ან/და ვალდებულებითი ხასიათის. მოზარდს უნდა დაეკალოს ისეთი ღონისძიების განხორციელება, რომელიც არ ლახავს მის პიროვნულ ღირსებას და არ ეწინააღმდეგება მის ჭეშმარიტ ინტერესს. ამ ბრძანებების თანახმად, განრიდების და განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და შესასრულებელ ღონისძიებებს. განრიდების ხელშეკრულების მხარეები არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და შესაბამის შემთხვევაში, ფსიქოლოგი ან/და სხვა პირი, ხოლო განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების მხარეები არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული, მედიატორი და შესაბამის შემთხვევებში ფსიქოლოგი ან/და სხვა პირი. განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება იდება იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის კონფერენცია წარმატებით დასრულდა. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად პირობებს: ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: ა) ხელშეკრულების მოქმედების ვადა; ბ) ხელშეკრულების შედგენის დრო და ადგილი; გ) პროგრამაში მონაწილე პირთა მონაცემები; დ) ხელშეკრულების პირობების შესრულების ადგილი (მუნიციპალიტეტი); ე) მითითება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს; ვ) განრიდების ღონისძიების სახე და სხვა პირობები; ზ) ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები და ხელშეკრულების შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლები.

განრიდების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს 12 თვემდე ვადით. ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ სოციალური მუშაკი უკავშირდება პროკურორს და ანვდის ინფორმაციას ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს მის პირობებს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ (ამკ-ს 47-ე მუხლი). თუ ხელშეკრულების მოქმედების მსვლელობისას არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობები უხეშად დაირღვევა, სოციალური მუშაკი ამის შესახებ აცნობებს პროკურორს.

344 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 56.

აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით არასრულწლოვანთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან, სოციალურ მუშაკთან) საუბრის შემდეგ პროკურორი აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა (ამკ-ს 48-ე მუხლი).

2.4. მედიაცია

„მედიაციის" ცნება პირველად გამოიყენებოდა სამოქალაქო სამართლის კუთხით და გულისხმობდა განქორწინების დროს მესამე პირის მეშვეობით კონფლიქტის მოგვარებას.[345]

კრიმინალურ მეცნიერებებში მედიაცია სწორედ კერძო სამართლიდან შემოიჭრა და გულისხმობს კონფლიქტის მენეჯმენტს. გერმანელი კრიმინოლოგები მედიაციას მიიჩნევენ ისეთი სხვადასხვა სახის ღონისძიებათა და რეაბილიტაციის ფორმად, რომლის მიზანი დანაშაულიდან წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარებაა. [346]

მედიაციის სახეებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს:[347] საოჯახო მედიაცია (ოჯახური კონფლიქტების ან სამეზობლო დავების დროს), სამსახურებრივი მედიაცია (სამუშაო ადგილას ჩადენილი დევიაციური ქცევის დროს), თვითმმართველობების მედიაცია (სამეზობლო დავების დროს და მაგალითად, ისეთი დანაშაულის ჩადენის დროს, რომელსაც ინდივიდუალური მსხვერპლი არ გააჩნია (სახელმწიფო ქონების ქურდობა), დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან და სხვა).

სისხლის სამართალში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ბევრ ქვეყანაში აპრობირებულ მედიაციის სახედ ითვლება დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან, რომელიც ხორციელდება მესამე პირის, მედიატორის, მიერ.

ამკ-ს მესამე მუხლის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის 120-ე ბრძანების თანახმად, მედიაცია არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.

მედიაციით ხდება არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მსხვერპლის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაც. განვიხილოთ დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების – მედიაციის – მნიშვნელოვანი ასპექტები.

---

345 Dölling, D. u.a., 1998. S. 396.

346 იქვე.

347 იქვე.

2.4.1. მედიაცია, როგორც კონფლიქტის მოგვარების საშუალება

მედიაციას, როგორც სამართლის ნორმით რეგულირებად ადამიანთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას, აქვს თავისი პირველადი (ძირითადი, Primär) და მეორეული (არაძირითადი, Sekundär) კონფლიქტის მოგვარების საშუალება.

დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება კონფლიქტის მოგვარების პირველად საშუალებად მიჩნეულ უნდა იქნეს იმ კუთხით, რომ ხდება ჩადენილი დანაშაულის შედეგად დამდგარი უარყოფითი შედეგის სწრაფი, მხარეთათვის (შედარებით) უმტკივნეულო აღმოფხვრა და მოგვარება. მხარეები საკუთარი ინტერესების სრული დაცვით მიდიან გადაწყვეტილების მიღებამდე.[348] მაგალითად, მოზარდის მიერ თანაკლასელის მიმართ აგრესიის გამოვლენა და მისი ცემა არის კონფლიქტი თანაკლასელებს შორის, რომლის პირველადი მოგვარება არის მათი შერიგება და დამნაშავის მიერ თანაკლასელისათვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა.

დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება, როგორც კონფლიქტის მოგვარების მეორეული საშუალება, გულისხმობს დამნაშავისა და დაზარალებულის პიროვნულად შესწავლას, იმ პირადული თუ სოციალური ასპექტების ანალიზს, რომელმაც გამოიწვია დანაშაული, მათ შორის კონფლიქტი.

მაგალითად, მოზარდის მიერ თანაკლასელის მიმართ აგრესიის გამოვლენა და მისი ცემა შეიძლება გამოწვეული იყოს დამნაშავის სოციალური მდგომარეობით (ოჯახური კონფლიქტები), დაზარალებულისადმი შურისძიებით და ა. შ., ან დაზარალებულის მსხვერპლად გახდომა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მისი პირადული თუ სოციალური პრობლემიდან გამომდინარე. მოზარდმა თანაკლასელს სცემა იმ მოტივით, რომ მისთვის ცნობილი გახდა მისი ეროვნება ან სექსუალური ორიენტაცია, რაც მისთვის (მოძალადისთვის) მიუღებელი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ადამიანის ეროვნული, რელიგიური თუ სექსუალური ორიენტაცია არ შეიძლება იყოს მისთვის პრობლემის მომტანი და შესაბამისად, იგი არ შეიძლება ამ ნიშნით გახდეს დანაშაულის მსხვერპლი, მაგრამ დაზარალებულისათვის იმის ცოდნა, რომ მისი რელიგიური კუთვნილება თუ ორიენტაცია პრობლემას უქმნის მის გარშემომყოფ პირებს, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საფუძველი იქნება, რაც მას თავიდან აარიდებს დანაშაულის რევიქტიმიზაციის პროცესს. დაზარალებულმა ასევე უნდა იცოდეს, რომ იგი დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება გახდეს სოციალური იზოლაციის გამო.

კონფლიქტის მოგვარების მეორეული ასპექტი გულისხმობს სწორედ დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივისა და პირის დაზარალებულად გახდომის ნინაპირობების გაცნობას, მის ანალიზს და ამ პრობლემების მოგვარებას, რათა დამნაშავემ აღარ ჩაიდინოს დანაშაული ან დაზარალებული ხელმეორედ არ გახდეს ვიქტიმირებული.[349]

ზემოთ აღნიშნულ მაგალითში თუ მოზარდის აგრესია ოჯახური კონფლიქტის შედეგია, სასურველია პრობლემის საფუძველში მოგვარება, ანუ მოზარდისათვის ხელის შეწყობა მოგვარდეს ოჯახური კონფლიქტი ან ოჯახ-

348 ოსტერმილერი, ს./ სვენსონი, დ., 2014. გვ. 125.

349 Kuhn, A., u.a., 1989. S. 83.

ურმა კონფლიქტმა უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინოს მასზე.

დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის სისხლის სამართლის მკაცრი პოლიტიკით (სასჯელის გამოყენება) გადაწყვეტის შემთხვევაში ხდება კონფლიქტის პირველადი და არა გრძელვადიანი მოგვარება. მართლმსაჯულებისათვის დამნაშავის მოტივაციის ცოდნა საჭიროა სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმებისათვის. შესაბამისად, არ ხდება დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის საფუძვლიანი, სიღრმისეული (კრიმინოლოგიური) შესწავლა, მისი ანალიზი და პრობლემის ძირეული მოგვარება, რაც ხელს უწყობს როგორც დამნაშავის მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენას, ასევე დაზარალებულის რევიქტიმიზაციას. დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის გრძელვადიანი პერსპექტივით მოგვარება შესაძლებელია მედიაციის გზით, რის შემდეგაც განმეორებითი დანაშაულის ან რევიქტიმიზაციის საფრთხე მნიშვნელოვნად მცირდება.[350] ჩატარებული 15 კვლევიდან 11 კვლევაში დადგინდა, რომ მედიაციით დამთავრებული შემთხვევების დროს ნაკლები იყო დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი, ერთ შემთხვევაში განმეორებითი დანაშაული 26%-მდეც კი დაეცა.[351]

2.4.2. მედიაციის თეორიული საფუძვლები

ა) არასრულწლოვნისათვის აღმზრდელობითი ასპექტი

ამკ-ს 65-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

სასჯელის მიზნებში გამოხატულია სახელმწიფოსა და საზოგადოების სურვილი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავე პირის მიმართ გაატაროს გარკვეული ღონისძიებები. მართალია, დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება (მედიაცია) სასჯელის სახეს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი, როგორც კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ხერხის, მნიშვნელობა ძალიან დიდია დამნაშავისა და დაზარალებულის მიმართ გასატარებელი ღონისძიებების კუთხით.

სასჯელის მიზნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი არის დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება (ინდივიდუალური, კონკრეტული კონფლიქტი) და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა (აბსტრაქტული კონფლიქტი). სწორედ დამნაშავის დაზარალებულთან არსებული კონფლიქტის მოგვარება ემსახურება როგორც მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, ასევე ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. იმისათვის, რომ დაზარალებულმა არ დაკარგოს სამართლიანობის განცდა, საჭიროა მისი დამნაშავესთან არსებული კონფლიქტის მოგვარება. შესაძლებელია, რომ დაზარალებული იმავე დამნაშავისგან ხელმეორედ გახდეს დანაშაულის მსხვერპლი, ანუ მოხდეს ახალი დანაშაულის ჩადენა. ამიტომ დამნაშავის დაზარალებულთან არსებული კონფლიქტის მოგვარება ასევე ხელს შეუწყობს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ხოლო

350 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 54.

351 იგივე, გვ. 55.

რაც შეეხება დამნაშავის რესოციალიზაციას, დამნაშავის დაზარალებულთან არსებული კონფლიქტის მოგვარება (შერიგება) დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების მონანიებასა და მის გამოსწორებას იწვევს, ანუ ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის რესოციალიზაცია.

პირველ რიგში, საკითხავია, რამდენად შეიცავს არასრულწლოვანი დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება – მედიაცია – აღმზრდელობით ასპექტებს.

აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიება არის პირდაპირი და მიზნობრივი ზემოქმედება მოზარდის ანტისოციალურ ან დანაშაულებრივ საქციელზე.[352]

არასრულწლოვანი დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების – მედიაციის – პედაგოგიური ასპექტები მდგომარეობს შემდეგში:[353]

- მედიაციის მონაწილეებს (ძირითადად, მოზარდს, მის კანონიერ წარმომადგენელს და მსხვერპლს) აძლევს იმის შესაძლებლობას დაფიქრდნენ საკუთარ საქციელზე. დამნაშავე მიხვდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ხოლო დაზარალებული დაფიქრდეს, სურს თუ არა დამნაშავესთან ურთიერთობის გართულება;
- დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების მნიშვნელოვანი პედაგოგიური ხასიათი მდგომარეობს მონაწილეთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მონაწილეებში პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობას;
- არასრულწლოვანი დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების პედაგოგიური მიზანი მდგომარეობს როგორც დამნაშავე პირის, ასევე დაზარალებულის რესოციალიზაციაში;
- არასრულწლოვანი დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების პედაგოგიური ხასიათი შეიძლება გამოიხატოს სხვა, უცხო პირებთან ურთიერთობის სწავლაში, რაც მხარეებს ხელს შეუწყობს (ახალი) სოციალური ურთიერთობის დამყარებაში;
- დასასრულს, არასრულწლოვანი დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება დამნაშავეს აიძულებს (შესაძლებელია პირველად მის ცხოვრებაში) პატივი სცეს საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მასში ამ ნორმების მიმართ პატივისცემის სურვილის აღძვრას.

დაზარალებულის თვალთახედვით, დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება შესაძლებელს ხდის, რომ დაზარალებულმა დამნაშავის და მისი მოტივის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს, რაც მასში დამნაშავეობის მიმართ შიშის გაქარწყლებას და რევიქტიმიზაციას ააცილებს თავიდან.[354]

დაზარალებულს პირველად მიეცემა შესაძლებლობა დამნაშავეს უთხრას ის, რასაც იგი მასზე ფიქრობს, რაც დაზარალებულის ემოციებისაგან გათავისუფლებას და მომავალში მის ფსიქოლოგიურ სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

---

352 Kuhn, A., u.a., 1989. S. 40.

353 Kuhn, A., u.a., 1989. S. 40; Bemmann, G., 2003. S. 227.

354 შალიკაშვილი, მ., 2011ბ. გვ. 132.

ბ) ვიქტიმოლოგიური/კრიმინოლოგიური ასპექტი

გერმანიაში ჩატარებულმა ვიქტიმოლოგიურმა გამოკითხვებმა დაადასტურა, რომ დაზარალებულის სურვილია მისი დანაშაულამდე არსებულ მდგომარეობაში დაბრუნება, და რომ მისი სურვილი სულაც არ არის (უმრავლეს შემთხვევაში) დამნაშავის დასჯა.[355] იმის მიუხედავად, რომ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სწორედ დაზარალებული მიმართავს სამართალდამცავ სტრუქტურებს, მისთვის სისხლის სამართლის საპროცესო პროცედურებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. დაზარალებულის სურვილს – აღდგეს მისი მდგომარეობა – ხშირ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ასევე, რომ დაზარალებული სამართალდამცავ სტრუქტურებს მიმართავს დაზღვევის თანხის ასაღებად ან მესამე პირის სურვილით.

იმის მიხედვით, თუ რა სახის დაზარალებულთან გვაქვს საქმე, ადგილი აქვს დამნაშავესთან სხვადასხვა სახის დამოკიდებულებას: მატერიალური ზარალის მქონე დანაშაულის მსხვერპლის სურვილი, პირველ რიგში, მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაა, ხოლო ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლის – დამნაშავის დასჯა და პრევენცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული.[356]

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაზარალებულის სურვილი არის მისთვის მიყენებული მატერიალური ხასიათის ზიანის ანაზღაურება, და თუ ეს მოხდება დამნაშავის მიერ, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი უკანონო საქციელის სიმძიმე, ეს შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტად.

კრიმინოლოგიური კუთხით, დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოების გამო: მოზარდთა დიდ უმრავლესობას ერთხელ მაინც აქვს დანაშაული ჩადენილი, თუმცა მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი დაადგა დამნაშავის კარიერის შექმნის გზას.[357] სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება – მედიაცია – ხელს უწყობს დამნაშავის ეტიკეტირებისა და დანაშაულებრივი კარიერის დაწყების თავიდან აცილებას. დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება, ბოდიშის მოხდის, მიყენებული ზარალის ანაზღაურების ან დამნაშავე პირის მშობლებისათვის „გადაცემით" კონფლიქტი მოგვარდება, რაც ხელს შეუწყობს მოზარდში პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას და თავიდან იქნება აცილებული მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. სწორედ არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება და საზოგადოებაში ინტეგრაცია არის მედიაციის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად მიჩნეული.[358]

გ) დამნაშავე პირის სოციალიზაცია

დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან

355 Kuhn, A., u.a., 1989. S. 41.
356 Schwind, H.-D., 2008. S. 426.
357 Kuhn, A., u.a., 1989. S. 42.
358 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 127.

ასპექტს წარმოადგენს დამნაშავის სოციალიზაცია. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოზარდი გარდატეხის პერიოდში დიდ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს განიცდის. საზოგადოებისათვის მოზარდის ჩამოყალიბების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მისი სოციალიზაცია, ანუ იმ ღირებულებებისა და ნორმების სწავლა და აღიარება, რაც საჭიროა მისთვის საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოსაყალიბებლად. სწორედ მედიაციის მნიშვნელობა მდგომარეობს დამნაშავის პიროვნული განვითარების (სოციალიზაციაში) ხელის შეწყობაში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობის აღება, ბოდიშის მოხდა და საკუთარი უკანონო ქმედებით გამოწვეული შედეგების გამოსწორება ხელს უწყობს მისი (დამნაშავის) პიროვნების მორალურ განვითარებას,[359] მის სოციალიზაციას, რამაც მისი რესოციალიზაციაც უნდა გამოიწვიოს.

2.4.3. მედიაციის კრიმინოლოგიური პირობები

ა) დაზარალებული ფიზიკური პირია

დაზარალებულის და დამნაშავის შერიგების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ის, რომ დაზარალებული უნდა იყოს ფიზიკური პირი.[360] ზოგადად, ისეთი სახის დანაშაულზე, რომელსაც არ ჰყავს ინდივიდუალური დაზარალებული ან არ არის შესაძლებელი იურიდიული პირის ინდივიდუალიზაცია მედიაცია მეტად რთულია.[361] მაგალითად, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ინდივიდუალური დაზარალებული არ არის გამოკვეთილი, ამიტომ მედიაცია პედაგოგიური თვალთახედვით თითქმის გაუმართლებელია.

გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე დანაშაულებრივ ქმედებას ორი სახის დაზარალებული ჰყავდეს. მაგალითად, მეზობლის ბინის გაქურდვას ინდივიდუალური დაზარალებული ჰყავს, ხოლო იმავე სუპერმარკეტში ჩადენილი ქურდობით დაზარალებული ის კომერციული ფირმაა, რომელიც ამ სუპერმარკეტს ამუშავებს. სამართალდამცავი ორგანოებისათვის დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგება ადვილი ხდება, თუ დაზარალებული ინდივიდუალური პირია ან იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციაა შესაძლებელი.[362]

ბ) დანაშაულის აღიარება/მონანიება

დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების პროცესის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე აღიარებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას. თუ დამნაშავე არ აღიარებს დანაშაულს სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება და დაადგინონ დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობის საკითხი.

საინტერესოა ასევე, თუ რამდენად უნდა შეესაბამებოდეს დამნაშა-

---

359 Kuhn, A., u.a., 1989. S. 43; Bemmann, G., 2003. S. 227.

360 Kaiser, G., 1996. S. 1062.

361 Bemmann, G., 2003. S. 230; Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 129.

362 Kuhn, A., u.a., 1989. S.184; Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 129.

ვის მიერ ჩადენილი ქმედების აღიარებითი მონათხრობი დაზარალებულის მონათხრობს. როგორც დაზარალებულის, ასევე დამნაშავის მონათხრობი დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, ისინი შეიძლება დეტალებში ურთიერთსაპირისპირო იყოს, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედების ფაბულა ერთნაირი უნდა იყოს.[363] მაგალითად, დაზარალებული და დამნაშავე შეიძლება ვერ თანხმდებოდნენ მომხდარი დანაშაულის ზუსტ დროზე, ან იმაზე, თუ რით იქნა დაზიანება მიყენებული ხელით თუ ფეხით, ან რომელი ფეხი მოხვდა დაზარალებულს ჩხუბის დროს და ა. შ., მაგრამ იმის შესახებ, რომ დარტყმა მიაყენა დაზარალებულს დამნაშავემ და არა სხვა პირმა, ან როგორ სიტუაციაში მოხდა პირის დაზიანება, დაზარალებულისა და დამნაშავის მონათხრობი უნდა იყოს ერთნაირი.

დამნაშავის მიერ დანაშაულის აღიარება მნიშვნელოვანი ბარიერის გადალახვაა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რომელთაც სურთ მოახდინონ დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგება.

ზოგადად, კრიმინოლოგიაში ცნობილია, რომ მოზარდები მალე აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს, კვლევები ადასტურებენ, რომ არასრულწლოვნების 80% დანაშაულს აღიარებს.[364] ისინი ასაკის (ცხოვრებისეული გამოუცდელობის) გამო არ გამორჩევიან წინასწარ შეთხზული ტყუილების გამოყენებით, რასაც გამოძიების შეცდომაში შეყვანა შეუძლია.

გ) მონაწილეთა თავისუფალი ნება

დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მხარეების თავისუფალი ნება მონაწილეობა მიიღონ შერიგების პროცესში.

არ შეიძლება დამნაშავეს დააძალონ ამ პროცესში მონაწილეობა, ვინაიდან პროცესი ამით დაკარგავს თავის ძირითად მიზანს – დამნაშავემ პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ უკანონო საქციელზე.[365] დამნაშავის მედიაციაში იძულებით მონაწილეობა მის პიროვნულ შეცვლაზე საჭირო ეფექტს ვერ მოახდენს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავე ამ პროცესში მონაწილეობდეს იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს სისხლისსამართლებრივი დევნა და სასჯელი. მიუხედავად ამ გარემოებისა, დამნაშავესა და დაზარალებულს უნდა ესმოდეთ, რომ დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან მათი პრობლემის მოგვარებისა და მომავალი ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა.[366]

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულსაც ჰქონდეს სურვილი შეურიგდეს დამნაშავეს. ეს შესაძლებელია გამომდინარეობდეს მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მოტივით,[367] რითაც დაზარალებული თავს აარიდებს სამოქალაქო წესით ზარალის ანაზღაურების პროცედურას.

კრიმინოლოგიურმა გამოკითხვამ დაადგინა, რომ დაზარალებულთა 92

363 Kuhn, A., u.a., 1989. S.184.
364 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 270.
365 Bemmann, G., 2003. S. 230; Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 127.
366 Hestermann, Th., 1997. S. 181.
367 Bemmann, G., 2003. S. 227.

პროცენტი მზად არის მონაწილეობა მიიღოს დამნაშავესთან შერიგებაში, რათა აუნაზღაურდეს მიყენებული ზარალი.[368]

2.4.4. მედიაციის მნიშვნელობა და კრიტიკა

მედიაციის კრიტიკა მდგომარეობს დამნაშავე მოზარდის დამოკიდებულებაში. თუ დამნაშავეს შესაძლებლობა ექნება დაზარალებულთან შერიგებით თავი დააღწიოს სასჯელს, შეუძლებელი იქნება ზოგადი პრევენციის გავრცელება.[369] დამნაშავემ შეიძლება იფიქროს, რომ თუ იგი დანაშაულს ჩაიდენს, მას ან ვერ დაიჭერენ (ლატენტური დანაშაულის ფარდობითობა ძალიან დიდია), ან იგი უკან დააბრუნებს ნაქურდალს. დამნაშავე რეალურად არაფერს კარგავს. იგი შეიძლება მხოლოდ მოგებული დარჩეს, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული ვერ გაიხსნება. დამნაშავის ამგვარი მიდგომა სამაგალითო შეიძლება გახდეს სხვა მოქალაქეებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესებას.[370]

ის ფაქტი, რომ დაზარალებულს შესაძლებლობა აქვს იდავოს სამოქალაქო წესით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თუ მოზარდმა ნაწილობრივ აანაზღაურა ზარალი თითქმის შეუძლებელი ხდება მისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება. სამოქალაქო დავის წარმოება არ არის მსხვერპლის ინტერესში. დაზარალებული ფრუსტრაციას (უიმედობას) განიცდის, როდესაც იგი საკუთარ თავზე დამოკიდებული ხდება (ჯანმრთელობის დაზიანების დროს) და ზარალის ანაზღაურების მისაღებად სამოქალაქო დავის წარმოება უხდება.[371] გარდა ამისა, დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგების მიზანი არ არის მხოლოდ მატერიალური მორიგება, ამ პროცესის ძირითადი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულს მოეხსნას შიში დამნაშავის მიმართ, გახდეს უფრო თავდაჯერებული, რაც ხელს შეუშლის მის რევიქტიმიზაციას.[372]

კრიტიკის თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის დროს პირადი პასუხისმგებლობის დადგენის საკითხი. მაგალითად, ხუთმა პირმა დააზიანა ქონება. ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია იმის დადგენა, ვისმა ქმედებამ რა სახის დაზიანება გამოიწვია.[373]

მედიაციის დადებითი მნიშვნელობა შესაძლებელია შემდეგი კომპონენტებით გამოიხატოს:[374]

- სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ნაკლები დროისა და ადამიანური თუ ეკონომიკური რესურსის ხარჯვა;
- კონფლიქტის სწრაფი და სამართლიანი მოგვარება;
- დაზარალებულს გაუქარწყლდება დამნაშავეობის მიმართ დანაშაუ-

368 Kuhn, A., u.a., 1989. S.196.
369 Bemmann, G., 2003. S. 227.
370 იქვე.
371 Kaiser, G., 1996. S. 1061.
372 Bemmann, G., 2003. S. 227.
373 შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 112.
374 შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 162-164; Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 126-130.

ლის შედეგად წარმოშობილი შიში;

- დამნაშავე იგრძნობს პირად პასუხისმგებლობას დაზარალებულისა და საზოგადოების წინაშე;
- დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგებას აქვს მონაწილე მხარეებისათვის აღმზრდელობითი და სოციალიზაციის ეფექტი;
- შესაძლებელია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის ძირეული მოგვარება.[375]

დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგება მნიშვნელოვანი ბერკეტია სისხლისსამართლებრივი კონფლიქტის უმტკივნეულო მოგვარებისათვის. აღნიშნული პროცედურა შეფერხებით, მაგრამ მაინც დიდი ენთუზიაზმით გამოიყენება როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე ევროპის ქვეყნებში.[376] გადატვირთული საერთო სასამართლოების პირობებში დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო რესურსების დაზოგვის კუთხით. კერძოდ, ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი დანაშაულის დროს მოხდეს დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგება, რაც გამართლებული იქნება სამართლის ეკონომიკური ანალიზის ჭრილშიც.[377]

გარდა ზემოაღნიშნულისა, დანაშაულის ჩადენის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც უკვე იქნა განხილული, ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებულ დანაშაულთა დაახლოებით 60% ეკონომიკური ხასიათისაა, რაც დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების მნიშვნელოვანი წინაპირობაა (წარმოდგენილია ეკონომიკური ხასიათის ზარალი).

დაბოლოს, მოქმედი კანონმდებლობით, განრიდება და მედიაცია ხდება მხოლოდ პროკურორის და მოსამართლის მიერ. „პეკინის წესების" მე-6 წესის მოთხოვნის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებთ (პროკურორი და მოსამართლე) სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უნდა ჰქონდეთ დისკრეციის გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის გადაწყვეტილებებზე, გაგრძელდეს, თუ არა გამოძიება ან დევნა.

2.4.5. მედიატორი

მედიაციას ახორციელებს მესამე პირი, მედიატორი. „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის №129/ს ბრძანება არეგულირებს განრიდება მედიაციის პროცესში მედიატორის უფლება-მოვალეობის საკითხებს.

---

375 განრიდების და მედიაციის პროგრამის მნიშვნელობა და კრიტიკა უფრო ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 162-165.

376 Kaiser, G., 1996. S. 1062.

377 შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 159.

მედიაციის სხვადასხვა სახის[378] გამო შეუძლებელია მედიატორის ერთიანი ცნების ჩამოყალიბება. მაგალითად, მედიატორის ცნების ქვეშ გერმანიაში უფრო მოიაზრება პროფესიონალი კონფლიქტის დამრეგულირებელი პირი, ხოლო საფრანგეთში უფრო ნდობით აღჭურვილი პირი, ომბუდსმენი, წარმომადგენელი, რომელიც ძირითადად კერძო პირსა და სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტის მომწესრიგებელია.[379]

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120-ე ბრძანებისა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის №129/ს ბრძანების მიხედვით, მედიატორი არის სათანადო უნარების მქონე პირი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს არასრულწოვანსა და დაზარალებულს შორის, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მედიატორი უნდა იყოს მედიაციაში მონაწილე მხარეებისათვის (დამნაშავისა და დაზარალებულისათვის) მისაღები პიროვნება, რომელსაც სპეციალური ცოდნა და თვისებები აქვს, რათა მოახდინოს მხარეთა მოთხოვნილებების გათვალისწინება, შეჯერება-ანალიზი და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება.

მედიატორი მედიაციის განხორციელების პროცესში უნდა იყოს: ა) ნეიტრალური და არა (რომელიმე მხარისადმი) მიკერძოებული; ბ) ინტერესების მკვლევარი და არა (რომელიმე მხარის) ინტერესების წარმომადგენელი; გ) (დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების) პროცესზე პასუხისმგებელი; დ) შემოქმედებითი და არა პრეტენზიული; ე) მონაწილეთა პიროვნების პატივისმცემელი და არა ყველა საშუალების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული; ვ) კომუნიკაბელური და არა ჩაკეტილი; ზ) მომთმენი და არა სულსწრაფი.[380]

მნიშვნელოვანია, რომ მედიატორმა მხოლოდ კონფლიქტში მყოფი მხარეებისაგან გაიგოს მომხდარის შესახებ, ვინაიდან არავინ არ არის ისე კარგად ინფორმირებული კონფლიქტის შესახებ, როგორც თვითონ მხარეები.[381]

ამავე დროს, მედიატორი უნდა იყოს ეთიკური პიროვნება. არისტოტელეს მიხედვით, ადამიანის ეთიკურობა მის ქცევაში, ხასიათსა და აღნაგობაში მდგომარეობს. ვინც იცის ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ მოიქცეს, არის შინაგანად გაწონასწორებული, მას იმის გონებრივი შესაძლებლობაც აქვს, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. იმისათვის, რომ ადამიანმა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს, საჭიროა: ა) ცოდნა (იგულისხმება, როგორც ზოგადი განათლება, ასევე პროფესიონალიზმი) და ბ) სწრაფვა იმისკენ, რომ იმ საქმეში, რომელსაც ის ემსახურება (მედიატორობა) მიაღწიოს

378 საოჯახო მედიაცია (ოჯახური კონფლიქტების ან სამეზობლო დავების დროს), სამსახურებრივი მედიაცია (სამუშაო ადგილას ჩადენილი დევიაციური ქცევის დროს), თვითმმართველობის მედიაცია (სამეზობლო დავების დროს და მაგალითად, ისეთი დანაშაულის ჩადენის დროს, რომელსაც ინდივიდუალური მსხვერპლი არ ჰყავს (სახელმწიფო ქონების ქურდობა), დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან და სხვა).

379 Haft, F./ Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 191-192.

380 Götting, B., 2004. S. 25; Haft, F./ Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 268-270; ოსტერმილერი, ს./ სვენსონი, დ., 2014. გვ. 122.

381 Haft, F./ Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 89.

სრულყოფილებას (ხანგრძლივი პრაქტიკა ადამიანს ხდის პროფესიონალად – Übung macht den Meister – навык мастера ставит).[382]

გარდა ზემოაღნიშნულისა, მედიატორმა:[383]

- წინასწარ უნდა შეარჩიოს მხარეთა შეხვედრისათვის ისეთი ადგილი, სადაც მხარეები კომფორტულად იგრძნობენ თავს (დიდი ოთახი, ეკლესია);
- მხარეებს უნდა დაუსვას ისეთი კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა არ გამოიწვევს მათ განაწყენებას;
- გულმოდგინედ უნდა მოუსმინოს მხარეებს;
- მკაფიოდ უნდა წარმოადგენინოს მხარეებს თავიანთი მოთხოვნები;
- უნდა შეძლოს მხარეების გაგება და მათი პრობლემების თანაგანცდა (ემპათია[384]);
- უნდა გააანალიზოს მხარეების მოთხოვნილებები და (შემდეგ შეხვედრებზე) შესთავაზოს მათ პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტი;
- თავი უნდა აარიდოს ცალ-ცალკე მხარეებთან შეხვედრას, რათა არ გამოიწვიოს მეორე მხარის უნდობლობა ან ასეთი შეხვედრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ გააფრთხილოს მეორე მხარე.

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის №129/ს ბრძანება მედიაციის განხორციელების დროს ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებებს:

- მედიაციის პროცესი სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება, მოსამზადებელი, წინასაკონფერენციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია;
- სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი პროკურორის მიერ ბავშვის განრიდებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში საქმეს აწერს მედიატორს;
- მედიატორსა და რომელიმე მხარეს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული ან/და პროფესიული კავშირი. მედიატორი ვალდებულია განაცხადოს ამის შესახებ;
- მედიატორი საქმის დაწერიდან 10 სამუშაო დღეში წარმართავს პირველ შეხვედრას დაზარალებულთან და მომდევნო 10 სამუშაო დღის განმავლობაში ხვდება არასრულწლოვანსაც და ატარებს მედიაციის კონფერენციას;
- მედიაციის პროცესი უნდა დასრულდეს საქმის დაწერიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. ხოლო თუ საქმე რთულია, შესაძლებელია დროის გაგრძელება;
- მედიაციაში დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, სოცლიალური მუშაკის/პრობაციის ოფიცერის მიერ პროკურორისათვის დასკვნის

382 იქვე, გვ. 268-269.

383 იქვე, გვ. 340-362.

384 ემპათიის შინაარსი (გერმანელ მეცნიერ) ვებერთან მოიაზრება ცნებაში „ფერშტეენ" (verstehen), რომელიც ნიშნავს გაგებას და თანაგანცდის მეშვეობით უზრუნველყოფს სხვათა ემოციური (არარაციონალური) ქმედებების საზრისთა ადეკვატურ წვდომას. კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 79.

წარგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, პროკურორი, სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი და მედიატორი ერთად განიხილავენ ხელშეკრულების სავარაუდო პირობებს. ამ შეხვედრაზე მედიატორს მიაქვს მის მიერ დაზარალებულის სასარგებლოდ მომზადებული პირობები და ასევე ერთვება შერჩეული პირობების განხილვაშიც;

- მედიატორი წინასწარ ამზადებს კონფერენციის ჩასატარებელ სივრცეს, არასრულწლოვანი და დაზარალებული (მათი წარმომადგნლები/მხადამჭერები) ერთმანეთის პირისპირ უნდა ისხდნენ, მედიატორის მარჯვენა და მარცხენა მხარეს;
- მედიატორი კონფერენციის მონაწილეებს დეტალურად გააცნობს ხელშეკრულების პირობებს. უნდა დარწმუნდეს, რომ პირობა გასაგები და მისაღებია ყველა მონაწილისათვის, უპირველეს ყოვლისა კი არასრულწლოვნისათვის;
- თუ მხარეები პირობებს აღიარებენ ხდება სამოქალაქო ხელშეკრულების ხელმოწერა, რომლის შემდეგ მედიაციის კონფერენცია დასრულებულად ითვლება;
- მედიატორი ვალდებულია მედიაციის თითოეული საფეხური ასახოს სპეციალურ ანგარიშში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ განრიდება და მედიაცია არის ლიბერალური სს პოლიტიკის შემედგენელი ნაწილი, რომელიც საქართველოში 2011 ნლიდან ხორციელდება. არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესი გულისხმობს თავისუფლების აღკვეთისაგან ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობას, რამაც ბავშვს თავიდან უნდა ააცილოს სტიგმატიზირება, საზოგადოებრივი იზოლაცია და კრიმინალურ გარემოსთან ურთიერთობა.

თავი მეოთხე
არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1. არასრულწლოვნის ასაკი

ამკ-ს მესამე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ ჯერ არ შესრულებია 18 წელი. სამართალში ასაკის მნიშვნელობა განპირობებულია იმ პასუხისმგებლობით, რომელსაც პირი ატარებს მისი მიღწევის შემთხვევაში. შესაბამისად, შეუძლებელია დაისაჯოს პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს ჯერ არ შესრულებია 14 წელი.

ამკ-ს 26-ე მუხლი განსაზღვრავს ასაკის დადგენის შესაძლებლობებს. კერძოდ, ოფიციალური დოკუმენტის, სამედიცინო ან სოციალური შემოწმების შედეგად მომზადებული დასკვნის, მშობლისაგან ან სხვა პირისაგან მიღებული ცნობის ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში თუ გაირკვა, რომ პირი არასრულწლოვანია, მაგრამ მისი სავარაუდო ან ზუსტი ასაკი ვერ დადგინდა, ივარაუდება, რომ პირს არ შესრულებია 14 წელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება, ხოლო თუ არასრულწლოვნის სავარაუდო ასაკი დადგინდა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული იქნება მისი სავარაუდო ასაკის მინიმალური ზღვარი (ამკ-ს 26-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილი).

პრაქტიკაში მოზარდის ასაკს დაბადების ან პირადობის მოწმობის საშუალებით ადგენენ. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასაკის დადგენა შეუძლებელია, ტარდება სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტიზას არ შეუძლია დაადგინოს ზუსტი ასაკი. მას, თავის მხრივ, მხოლოდ იმის დადგენა შეუძლია, რომ ბავშვი დანაშაულის ჩადენის დროს იყო 13-დან 15 წლამდე ასაკის. ასეთ შემთხვევაში ბავშვი უნდა ჩაითვალოს 13 წლის და გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან (ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა).[385] თუ ექსპერტიზამ დაადგინა მხოლოდ დაბადების წელი, მაშინ დაბადების დღედ ჩაითვლება ამ წლის ბოლო დღე – 31 დეკემბერი.[386]

ასაკის დადგენისას საინტერესოა ასევე ერთი გარემოება – ბავშვის დაბადების დღე. ვთქვათ, დანაშაული ჩადენილია დაბადების დღეს – 10 მაისს. ითვლება, რომ პირი ჯერ არ არის 14 წლის, ვინაიდან ამკ-ს მესამე მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვი-

385 გამყრელიძე ო., 2008. გვ. 244.
386 ნაჭყებია გ./ დვალიძე ი., (რედ.), 2007, გვ. 428-429.

საც **დანაშაულის ჩადენამდე** შეუსრულდა თოთხმეტი წელი". კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს და ამბობს, რომ პირი დანაშაულის ჩადენამდე უნდა იყოს 14 წლის. შესაბამისად, 10 მაისს, დაბადების დღეს, ჩადენილი დანაშაული არ იქნება პასუხისმგებლობის საფუძველი და მხოლოდ 10 მაისის 24 საათის შემდეგ (11 მაისს) ჩადენილი ქმედებისათვის იქნება შესაძლებელი პასუხისმგებლობის დაკისრება.[387]

1918 წლის რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი დეკრეტით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი განისაზღვრა 17 წლით. ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოში. 1924 წლის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით პასუხისმგებლობის ასაკი განისაზღვრა 16 წლით. 1958 წლიდან შესაძლებელი გახდა 14 წლის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.[388] 2000 წლის 1 ივნისს ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად ყველა დანაშაულზე 14 წელი გამოაცხადა. 2007 წლის 23 მაისის საკანონმდებლო ცვლილებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ზოგიერთ დანაშაულზე შემცირდა 12 წლამდე. ასეთი დანაშაულის რიცხვს განეკუთვნებოდა განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (109-ე მუხლი), გაუპატიურება (137-ე მუხლი), ძარცვა, გარდა პირველი ნაწილისა (178-ე მუხლი), ყაჩაღობა (179-ე მუხლი) და 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (238[1] მუხლი).

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის 12 წლამდე დაწევამ, თუნდაც მხოლოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, საზოგადოებაში დიდი დისკუსია და ექსპერტების კრიტიკა გამოიწვია.[389]

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 23 თებერვლის კანონით გააუქმა ეს ცვლილება და არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ყველა დანაშაულზე 14 წლით განსაზღვრა.

2009 წლის ერთი კალენდარული სტატისტიკური წლის მონაცემებით 12-14 წლამდე არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი იყო მხოლოდ ორი დანაშაული. შესაბამისად, საკანონმდებლო მოცემული ცვლილება არ იყო გამართლებული, თუნდაც სტატისტიკური მონაცემების ანალიზის მიხედვით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის 12 წლამდე დაწევა ასევე უარყვეს ქართველმა მეცნიერებმა: „დღევანდელი საქართველო ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყანაა, რომელსაც ახასიათებს უმუშევრობის მაღალი დონე. ხალხის ძირითადი მასა სათანადო ანაზღაურების არარსებობის გამო სოციალურად დაუცველთა ფენების რიგში აღმოჩნდა. მინიმუმამდე შემცირდა საშუალო კლასი, რომელიც საქართველოში ყოველთვის საზოგადოების სტაბილურობის გარანტად გამოდიოდა. ბუნებრივია, ამ ფონზე მკვეთრად გაუარესდა არასრულწლოვანთა აღზრდის პირო-

387 იქვე.
388 ხუჭუა ნ., 1998, გვ. 18.
389 ტურავა მ., 2013, გვ. 214.

ბები, რამაც მათი დანაშაულობის ზრდა გამოიწვია. უფრო მეტიც, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვების რაოდენობის მატებამ ხელი შეუწყო არასრულწლოვნებში სოციალური გადახრების უფრო სწრაფ და ადრეულ ჩამოყალიბებას, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა როგორც ჩვეულებრივი, ისე მომეტებული საფრთხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ზრდა. ყოველივე ამის შედეგად, ხელისუფლების მხრიდან გამოითქვა მზაობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებასთან დაკავშირებით, რაც ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხის სხვა საშუალებებით დარეგულირების უძლურების აღიარება იყო".[390]

ასევე აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული ქმედებები ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას 12-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, მხოლოდ განზრახ ჩადენილი დანაშაულის გამო.

განზრახ ქმედება გულისხმობს „ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების" ქონას დანაშაულის ჩადენის მომენტში:

- განზრახ ქმედების ინტელექტუალური ელემენტი გულისხმობს პირის მიერ ინტელექტუალურ (გონებრივ) შესაძლებლობას, სუბიექტური გადაწყვეტილება მიიღოს არსებული კანონმდებლობის ხელყოფის თაობაზე; ხოლო
- განზრახ ქმედების ნებელობითი ელემენტი გულისხმობს „მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილს", ესე იგი, პირს მთელი სერიოზულობით ესმის ან შესაძლოდ მიაჩნია მისი ქმედობის მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

იმის გათვალისწინებით, რომ 12 წლის ასაკის ბავშვი გარდატეხის პერიოდში იმყოფება და სრულიად ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა აქვს, თითქმის შეუძლებელი ხდება მის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ზუსტად დადგინდეს ქმედების განზრახვა, ესე იგი „ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების" ერთობლიობა დანაშაულის ჩადენის დროს. მოზარდები უფრო შინაგანი ემოციებიდან გამომდინარე, იმპულსურად, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, ხშირ შემთხვევაში ჯგუფის ზემოქმედებით ან მათთვის თავის მოსაწონად ჩადიან დევიაციურ ქმედობებს. ეს ქმედებები არ შეიძლება გაუთანაბრდეს მოზრდილთა მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს და ერთნაირად მოხდეს მათი დასჯა. თოთხმეტი წლის ასაკამდე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას პროფესორი გამყრელიძე შეუძლებლად მიიჩნევს და აღნიშნავს: „თოთხმეტი წლის ასაკამდე ბავშვის ინტელექტი და ნება ჯერ არ არის ისე განვითარებული, ისე მომწიფებული, რომ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს".[391] პროფესორი გამყრელიძე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობად სწორედ ბავშვის ქმედებაში ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების ქონის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

კვლევები ადასტურებენ, რომ ცამეტ წლამდე ბავშვს არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი უმართლობის გაც-

390 ღლონტი გ. (რედ.), 2008, გვ. 294.
391 გამყრელიძე ო., 2008. გვ. 244.

ნობიერების ზნეობრივი და გონებრივი შესაძლებლობა, უნარი.[392]

საინტერესოა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მომხრეებს მაგალითად მოჰყავდათ სხვა ევროპული ქვეყნები, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი დაბალია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, ასეთ ქვეყნებში არსებობს „იუვენალური იუსტიციის"[393] კარგად განვითარებული სისტემა. პასუხისმგებლობის დაბალი ასაკის მიუხედავად, „იუვენალური იუსტიციის" პირობებში ბავშვს საშუალება ეძლევა 17 წლამდე თავი აარიდოს მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტს.[394] მაგალითად, შვეიცარიაში პიროვნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 10 წლიდანაა შესაძლებელი, მაგრამ სანამ ისინი მოზარდს თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან, არსებობს რამდენიმე სახის ალტერნატიული „სასჯელი", ე. წ. დაცვის ღონისძიებანი: 1. მოზარდისათვის აღმზრდელის დანიშვნა, რომელიც მშობლებს დაეხმარება მოზარდის აღზრდაში; 2. მოზარდისათვის პერსონალური ხელმძღვანელის დანიშვნა; პირი, რომელიც მოზარდს ეხმარება ცხოვრების ყველა სფეროში, ამა თუ იმ პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში; 3. მოზარდები, რომლებსაც აქვთ ალკოჰოლისა ან ნარკოტიკისკენ მიდრეკილება გადიან აღმზრდელობით თერაპიას და სხვა.

საერთაშორისო ნორმები (ბავშვთა უფლებების კონვენცია, „პეკინის წესები") არ ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონკრეტულ ასაკს. „პეკინის წესებში" საუბარია იმაზე, რომ „ასაკის ქვედა ზღვარი არ უნდა დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მოწიფულობის ფაქტის გათვალისწინებით". ეს პრინციპები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ისეთი ზღვრის დადგენის მომხრეა, რომელიც ბავშვს შესაძლებლობას მისცემს შეიგრძნოს ჩადენილი ქმედების ანტისაზოგადოებრივი და ანტისოციალური ხასიათი.

არასრულწლოვანი დამნაშავის ასაკთან დაკავშირებით პრობლემურია მისი ასაკის ზედა ზღვრის ზუსტი განსაზღვრა, ანუ ის რომ კანონმდებელი არასრულწლოვნად მიიჩნევს 18 წლამდე მოზარდს. საინტერესოა ამკ-ს ახალი რეგულაცია იმ მოზარდისათვის, რომელიც გადაცილებულია 18 წელს.

ამკ-ს მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამკ გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. *ეს კოდექსი გამოიყენება*

392 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 66.

393 იუვენალური იუსტიციის არსი მდგომარეობს არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესებში არაიურიდიული სპეციალური (სამედიცინო, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური) ცოდნის ფართო გამოყენებაში, არასრულწლოვანთა ცხოვრების სოციალური მდგომარეობის შესწავლაზე ყურადღების გამახვილებასა და მათი პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ შესწავლაში. იუვენალური იუსტიციის ფარგლებში სასამართლო პროცესის ცენტრში დგას არასრულწლოვნის პიროვნება და სწორედ მისი ინტერესების დაცვას ემსახურება მთელი სასამართლო პროცედურა, იმ წესების ჩათვლით, რომლებიც არ გამოიყენება ზრდასრულთა საერთო მართლმსაჯულებაში.

394 ტურავა მ., 2013, გვ. 214.

აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ეს პირი ბრალდებულია. ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

მოცემული მუხლის მიხედვით, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე ამკ გამოიყენება ორ შემთხვევაში: 1) 18-დან 21 წლამდე ასაკის ბრალდებულ პირს უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ისარგებლოს უფასო ადვოკატის უფლებით (ამკ-ს მე-15 მუხლის პირველი ნაწილი); და, 2) 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს განრიდება ან განრიდება და მედიაცია, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

მოზარდის სოციალიზაცია და განვითარება დამოკიდებულია ოჯახზე, სკოლასა და სოციალურ გარემოზე, სადაც მოზარდი იზრდება. 18 წლის ასაკს მიღწევა, ან „ბიოლოგიური და ფიზიკური განვითარება არ ნიშნავს, რომ მოზარდმა დაასრულა ფსიქიკური და სოციალური განვითარება'[395] და შესაძლებელია მის წინააღმდეგ იმავე ნორმების გამოყენება, რომელიც გამოიყენება სრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს. შეუძლებელია 17 და 18 წლის არასრულწლოვნის განვითარების ისეთი სახით დადგენა, რომ ერთი დაისაჯოს არასრულწლოვანთა ნორმებით, მეორე კი – სრულწლოვანთა ნორმებით. როგორც გერმანიის უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, ასაკის საზღვრის დადგენა მოზარდის განვითარების საფუძველზე მეტად რთულია, ვინაიდან მოზარდის განვითარება ერთიანი უწყვეტი პროცესია,[396] რომლის გაზომვაც შეუძლებელია. პიროვნების ჩამოყალიბების დინამიკა შეუძლებელია მკაცრ ასაკობრივ ზღვარში იქნეს მოქცეული.[397]

გასული საუკუნის 50-იან წლებში გერმანიაში შეიქმნა მაბურგის დირექტივები, რომლებიც აღწერდა არასრულწლოვანი (14-18 წლები) და მოზრდილი (18-21 წლები) დამნაშავეებისათვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს.[398] მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც ახასიათებს:

- პიროვნების არასაკმარისი ჩამოყალიბება;
- უმწეო მდგომარეობა (რომელიც ხშირად მისი თავმაღლობის და გაუგონრობის ქვეშ არის დამალული);
- ბრიყვულად მიმნდობი საქციელი;
- დღევანდელი დღით ცხოვრება;
- კარგი ხასიათის, ამაღლებული განწყობილების სხვაზე დამოკიდებ-

395 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 715.
396 BGH 36, S. 37-39.
397 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 715.
398 იხ. მარბურგის დირექტივები (Marburger Richtlinie): Streng, F., 2008. S. 43.

ულება;
- მუშაობის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება;
- მეოცნებეობა;
- თავგადასავლების ძიება;
- თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემები (ნაკლები სოციალური კომპეტენცია) და სხვა.

ემპირიული ხასიათის ფსიქოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა მაბურგის დირექტივების ჩვენს დროში არსებობის საკითხი. კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანის სრულწლოვნად აღქმის შემდეგი კრიტერიუმები:[399]

- რეალური ცხოვრების დაგეგმვა;
- მშობლებისაგან დამოუკიდებლობა;
- სამუშაოსა და სასწავლებლის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება;
- რეალური, ანუ დაძლევადი, დღის განრიგი;
- თანატოლებთან ან უფროსებთან ურთიერთობა;
- შესაძლებლობა პასუხისმგებლობა აიღოს ოჯახის შექმნაზე;
- სულიერი და სექსუალური მოთხოვნილებების ინტეგრაცია;
- მყარი, „დაღვინებული" ხასიათი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უკვე იცნობს, გერმანიის კანონმდებლობის მსგავსად, 18-დან 21 წლამდე მოზარდების არასრულწლოვანთა საქმის წარმოების განსხვავებულ წესს (სავალდებულო დაცვა, განრიდების გამოყენება), აუცილებელია გერმანიის გამოცდილების მთლიანად გაზიარება და არა მხოლოდ 18-დან 21 წლამდე პირის განრიდება, როგორც ამას ამკ ითვალისწინებს. შესაძლებელი უნდა იყოს ამ ასაკის ადამიანებზე ამკ-ს სხვა ნორმების გავრცელებაც, განსაკუთრებით სასჯელის გამოყენების. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს უნდა შეეძლოს თავად გადაწყვიტოს ბრალდებული 18-დან 21 წლამდე პირის მიმართ გამოიყენოს სსკ-ს თუ ამკ-ს ნორმები.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს აზრით, კრიმინალპოლიტიკური თვალსაზრისით ის უფრო დიდი შეცდომაა 18-დან 21 წლამდე პირის მიმართ არ გამოიყენო არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ნორმები [არ მისცე მას გამოსწორების შანსი], ვიდრე ის რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე გამოიყენო ზრდასრულთა სისხლის სამართლის კოდექსი.[400]

18-დან 21 წლამდე პირის მიმართ ამკ-ს ნორმების გამოყენების კრიმინოლოგიური საფუძველია ნაკლები სტიგმატიზაცია და ზრდასრულებისაგან განსხვავებით მრავალფეროვანი ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებით კრიმინალური კარიერის ხელის შეშლა.[401]

---

399 Streng, F., 2008. S. 44.

400 BGHSt 12, S. 119f.

401 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 715.

2. კანონით დადგენილი სასჯელთა სახეები

ამკ-ს 66-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელის შემდეგი სახეები: ა) ჯარიმა; ბ) შინაპატიმრობა; გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; ე) თავისუფლების შეზღუდვა; ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 67-ე მუხლი განსაზღვრავს არასრულწლოვნის მიმართ ძირითადი და დამატებითი სასჯელების გამოყენების თავისებურებას. კერძოდ, არასრულწლოვანს თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, ხოლო ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაენიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

ამავე დროს ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება მხოლოდ ერთი დამატებითი სასჯელის დანიშვნა და არასრულწლოვანს სასჯელთან ერთად შეიძლება დაენიშნოს ამკ-ს 42-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ღონისძიება.

ამკ აღარ ითვალისწინებს საქართველოს სს კოდექსით გათვალისწინებულ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას. აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა ამკ-ს 45-ე მუხლში, როგორც არასრულწლოვნის განრიდების მოვალეობა.

2.1. არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი

ამკ-ს 65-ე მუხლის თანახმად, „არასრულწლოვანისთვის სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“.

ამკ იძლევა არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განმარტებას. ამ განმარტების თანახმად, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

საგულისხმოა ის სიმბოლური ფაქტი, რომ სასჯელის მიზნები სსკ-ს 39-ე მუხლში იერარქიულად სხვაგვარად არის დალაგებული, ვიდრე ამკ-ს 65-ე მუხლში, კერძოდ სსკ-ს 39-ე მუხლში ჯერ სამართლიანობის აღდგენაა, შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, ხოლო ბოლოს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. სულ სხვაგვარად არის დალაგებული ამკ-ს 65 მუხლში სასჯელის მიზნები. აქ პირველ ადგილზე არის არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ხოლო შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. აღნიშნულით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა სახელმწიფოებრივ ნებას არასრულწლოვანის მიმართ პირველ რიგში ისეთი სასჯელის გამოყენების თაობაზე, რომელიც არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას

უზრუნველყოფს.

არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელი გამოყენებულ და შერჩეულ უნდა იქნეს ინდივიდუალურად, მისი პიროვნების, ოჯახური, სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით და იგი (სასჯელი) უნდა ემსახურებოდეს დამნაშავე მოზარდის აღზრდას.[402]

არასრულწლოვნებისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოირიცხოს ზოგადი (გენერალური) პრევენციის გამოყენება და გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის სპეციალური (ინდივიდუალური) პრევენცია,[403] რომლის მიზანია:

- მოზარდი დამნაშავის რესოციალიზაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი (პოზიტიური სპეციალური პრევენცია);
- მოზარდისათვის სასჯელის **უკიდურესი ფორმა, თავისუფლების აღკვეთა,** რომლის მიზანია საზოგადოების დაცვა დამნაშავისაგან და გულისხმობს მოზარდის გარკვეული პერიოდით იზოლირებას, რათა აღკვეთილ იქნეს მის მიერ დანაშაულის ჩადენა ახლო მომავალში (ნეგატიური სპეციალური პრევენცია).[404]

არასრულწლოვნისთვის სასჯელი, როგორც აღინიშნა, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს მის აღზრდას. განვიხილოთ სასჯელის ეს ორი მიზანი სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური თვალთახედვით.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზანი, შედგება სამი კომპონენტისაგან: 1) პოტენციური დამნაშავის დაშინება; 2) დამნაშავის საზოგადოებისაგან იზოლაცია და 3) (ციხის პირობებში) დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. პოტენციური დამნაშავის დაშინება მიეკუთვნება ზოგად (გენერალური) პრევენციას და დაუშვებელია არასრულწლოვანის მიმართ იქნეს გამოყენებული, ანუ არ შეიძლება არასრულწლოვნის (სამაგალითოდ) დასჯა იმიტომ, რომ სხვამ აღარ ჩაიდინოს დანაშაული.[405] არასრულწლოვნის საზოგადოებისაგან იზოლაცია უნდა ჩაითვალოს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მოკლევადიან პერსპექტივად, გრძელვადიანი პერსპექტივით აუცილებელია სწორედ არასრულწლოვანი დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული.

არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თაობაზე უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია მათ რესოციალიზაციაზე საუბარი, თუ არ მოხდა მათი სოციალიზაცია.[406] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციზე საუბარი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის აღზრდას, სწორ სოციალიზაციას გულისხმობს.[407] მოზარდი, იმ ბიოლოგიურ-

402 Eisenberg, U., 2006. S. 216.

403 Diemer, H./Schoreit, A. /Sonnen, B-R., 1999. S. 63; Eisenberg, U., 2006. S. 216.

404 სასჯელის თეორიებთან და მათ შორის სასჯელის სპეციალურ პრევენციასთან დაკავშირებით იხ. ტურავა მ., 2013, გვ. 354-356; დვალიძე, ირ., 2013. გვ. 14-30.

405 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 321.

406 მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე ვრცლად იხ: შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ ხასია, მ., 2014. გვ. 74-84.

407 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 50.

ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელსაც გარდატეხის პერიოდი ჰქვია, შეიძლება ჩაითვალოს არასრულად სოციალიზებულად (ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია მოზარდის პიროვნებაზე), რაც, როგორც აღინიშნა აღზრდას საჭიროებს და არა დასჯას. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია საუბარია იმაზე, თუ რა არის არასრულწლოვანთა სისხლის სამართალი – აღზრდის, თუ დასჯის. გერმანიის სისხლის სამართლის საქმეების უზენაესმა სასამართლომ (BGHSt) პირდაპირ მიუთითა არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში აღზრდის უპირატესობაზე.[408] შესაბამისად, გერმანულ სისხლის სამართალში საუბარია არასრულწლოვანის (14-21 წელი) აღზრდაზე, ხოლო ზრდასრულების – დასჯაზე. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის აღზრდა გულისხმობს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, სოციალური კონტროლის მეშვეობით, ისეთი ხასაიათის ღონისძიებების გამოყენებას, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს ასწავლის.[409] ასეთი ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების დროს მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიური, პედაგოგიური, მოზარდთა ფსიქოლოგიური და სხვა დისციპლინების გამოცდილების გამოყენება.[410]

2.2. გამოყენებულ სასჯელთა სტატისტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო წლებში არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ გამოყენებულ იქნა შემდეგი სახის სასჯელები:

სასჯელის ღონისძიებანი	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა	475	1002	1060	1166	803	883	669	475	456	381
თავისუფლების აღკვეთა	104 21,9%	340 33,9%	426 40,2%	381 32,7%	272 33,9%	296 33.5%	190 28.4 %	129 27.2%	117 25.7%	104 27.3%
გამოსასწორებელი სამუშაოები	9 1,9%									
პირობითი მსჯავრი	333 70,1%	620 61,9%	597 56,3%	724 62,1%	427 53,2%	416 47.1%	405 60.5%	290 61.1%	298 65.4%	253 66.4%
გადაედო განაჩენის აღსრულება	3 0,6%									
სხვა სასჯელი	26 5,5%	42 4,2%	37 3,5%	61 5,2%	104 13%	171 19.4%	74 11.1%	56 11.8%	41 9.0%	24 6.3%

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური მონაცემები არ არის დაკონკრეტებული. გაუგებარია, თუ რომელი სასჯელები მოიაზრება

408 BGHSt 36, S. 42.
409 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 51.
410 Laubenthal, K./Baier, H./Nestler, N., 2015. S. 3.

სხვა სასჯელებში. სავარაუდოდ, სხვა სასჯელებში მოიაზრება ჯარიმა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

იმის მიუხედავად, რომ 2012, 2013 და 2014 წელს, 2007 წელთან შედარებით, უფრო ნაკლებად იყო თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული, მაინც მაღალია თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. შედარებისთვის, გერმანიაში არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი ბოლო 20 წლის განმავლობაში მერყეობს 5%-7%-ს შორის.[411] სამწუხაროა, რომ საქართველოში ყურადღება არ ექცევა ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას და ყოველი მესამე მსჯავრდებულის მიმართ თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება (2014 წელს 27,3%).

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, საერთოდ არ გამოიყენებოდა ისეთი სასჯელები, როგორებიც არის არასრულწლოვნისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (სსკ 84-ე მუხლი), გამოსასწორებელი სამუშაოები (სსკ 86-ე მუხლი), თავისუფლების შეზღუდვა (სსკ 86[1] მუხლი).

ხშირია ასევე პირობითი მსჯავრის გამოყენების მაჩვენებელი. პირობითი მსჯავრი, რომლის დროსაც არასრულწლოვანს გამოსაცდელი ვადა უწესდება, ხშირად ხდება გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის წინაპირობად, ვინაიდან გამოსაცდელი პერიოდის დროს არ მიმდინარეობს მოზარდის სოციალური კონტროლი, რაც მოზარდის მხრიდან კიდევ ერთი დანაშაულის ჩადენას იწვევს. რა დროსაც მოსამართლე ჩადენილი დანაშაულისათვის დადგენილ თავისუფლების აღკვეთის ვადას უმატებს გამოსაცდელი პერიოდის ვადას, რაც მთლიანობაშო გრძელვადიან თავისუფლების აღკვეთას იწვევს. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, 2011 წელს მსჯავრდებულთა 25%-ის, 2012 წელს 20%-ის, 2013 წელს 10%-ის, ხოლო 2014 წელს 15%-ის მიმართ გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა (ხუთი წელი და მეტი) იქნა შეფარდებული.

2.3. ჯარიმა

ამკ-ს 68-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება.

არასრულწლოვანის მიმართ ჯარიმის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ორი საკითხი:

1) რა შეიძლება იგულისხმებოდეს ამკ-ს 68-ე მუხლის პირველ ნაწილში ნახსენებ ***„კანონიერი საქმიანობიდან დამოუკიდებელი შემოსავალის“*** ქვეშ. პირველ რიგში აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია სსკ-ის 42-ე 5[1] მუხლის ჩანაწერის ასპექტში. 2006 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლს დაემატა მე-5[1] ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია და გადახდისუუნარო, სასამართ-

411 Diemer, H./Schoreit, A. /Sonnen, B-R., 2008. S. 187; Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 216.

ლო ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. სისხლის სამართლის კოდექსის იმავე 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამოსასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. საკითხავია, რა განსხვავებაა სსკ 42-ე მუხლის 5[1] ნაწილში მითითებულ **„გადახდისუუნარობასა“** და ამავე მუხლის მე-6 ნაწილში ჩაწერილ **„გადახდევინების შეუძლებლობას“** შორის? ამ ორ ტერმინს შორის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი სახის განსხვავება როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, გარდა ერთისა: **„გადახდისუუნაროდ“** ითვლება არასრულწლოვანი, ხოლო **„გადახდევინების შეუძლებლობა“** ხდება სრულწლოვან პირთა შემთხვევაში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ერთნაირი დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანს და სრულწლოვანს, რაც მიუღებელია და რამაც არასრულწლოვანში მართლმსაჯულების სისტემის მიმართ პროტესტის გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება გულისხმობს სწორედ არასრულწლოვანი დამნაშავის მდგომარეობის გაუმჯობესებას სრულწლოვან დამნაშავესთან მიმართებით და არა პირიქით, როგორც ეს განხილულ შემთხვევაშია შესაძლებელი.

ეს დამატება პირდაპირ ენინააღმდეგება სისხლის სამართალში აღიარებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს (nulla poena sina culpa). ამ მხრივ, საინტერესოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ კიდევ 1966 წელს განვითარებული მსჯელობა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „დებულებას „nulla poena sina culpa“ კონსტიტუციური პრინციპის ხასიათი აქვს,“[412] რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. სასამართლო ამასთანავე ეყრდნობა გერმანიის კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის ღირსებას და ამბობს: „სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებიდან გამომდინარეობს..., რომ სისხლის სამართლის პროცესს კონსტიტუციის მიერ განესაზღვრა ამოცანა, დაიცვას ადამიანის, როგორც საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედი პირის, ღირსება; შეასრულოს პრინციპი, რომლის თანახმად, დაუშვებელია სასჯელი ბრალის გარეშე და უზრუნველყოს შესაბამისი საპროცესო ქმედებები“.[413] სს კოდექსის 42-ე მუხლის 5[1] ნაწილი სადავოდ უნდა იქნეს მიჩნეული სწორედ ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური პირობების უზრუნველყოფის, სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფისა და ადამიანის, როგორც ინდივიდის პიროვნულობის დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, არასრულწლოვნის მშობლისათვის ჯარიმის დაკისრება ვერ უზრუნველყოფს ვერც არასრულწლოვანსა და მის მშობელს შორის სამართლებრივ თანასწორობას და ვერც მათ შორის სამართლიანი სოციალური გარემოს შექმნას, პირიქ-

412 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, BVerfGE 20, S. 323.

413 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, BVerfGE 57, S. 250, 275.

ით, მშობელზე ჯარიმის გადატანამ შეიძლება სოციალური დაძაბულობაც კი გამოიწვიოს მშობელსა და შვილს შორის, რაც სამართლებრივი უთანასწორობის ნიადაგზე იქნება წარმოშობილი. გარდა ამისა, ადამიანის ღირსებას შეესაბამება მისი პიროვნული პასუხისმგებლობა. ისევე როგორც ადამიანი თავისუფალია თავის ქმედებაში, იგი ვალდებულია თვითონ (და არა სხვამ) აგოს პასუხი საკუთარი ქმედების შედეგზე.

საქართველოს სს კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. სს კოდექსის 42-ე მუხლის 5[1] ნაწილის შემთხვევაში საკითხავია, რა სახის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ჩაიდინა არასრულწლოვნის მშობელმა, რომელსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა? დამნაშავისათვის სასჯელის დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს მისი ბრალეულობა. ბრალეულობის პრინციპი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და გულისხმობს, რომ სასჯელის დაკისრებისათვის აუცილებელია პირი იყოს ბრალეული,[414] რომ „ბრალი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის აუცილებელი სუბიექტური წანამძღვარია".[415] სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილი ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის მე-7 მუხლს, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება სასჯელის დაკისრება ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე. მოსამართლეს მხოლოდ მაშინ შეუძლია პირის გაკიცხვა (პასუხისმგებლობის დაკისრება), როცა იგი პირის ბრალეულობას დაადგენს.[416] ბრალის გარეშე პირის დასჯის საკითხი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და მე-40 მუხლებში. უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს, რომ კონსტიტუცია აღიარებს ბრალს, როგორც დასჯადობის აუცილებელ წინაპირობას. სასჯელის ინდივიდუალიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაცია, ვინაიდან იგი არ შეესაბამებოდა „სასჯელის ინდივიდუალობის" პრინციპს, რადგან იგი მიმართული იყო არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ.[417] როგორც აღინიშნა, სსკ 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილი ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, რომელიც „კონსტიტუციური რანგის"[418] პრინციპია. მოცემული პრობლემატიკის სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ[419] აჩვენა, რომ მოსამართლე საქართველოს სსკ 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის გამოყენების დროს არ არკვევს

414 Schönke, A./ Schröder, H., 2006. S. 207; Lackner, K./ Kühl, K., 2004. S. 103.

415 სურგულაძე ლ., 1997, გვ. 184.

416 ტურავა მ., 2013. გვ. 207; ნაჭყებია გ./დვალიძე ი. (რედ.), 2007, გვ. 368.

417 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილება.

418 ტურავა მ., 2013. გვ. 207.

419 იხ. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი: სენაკის რაიონული სასამართლოს 2007 წლის №1/99; შუახევის რაიონული სასამართლოს 2006 წლის №1/36, №1/33; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის №1/25 განაჩენები.

იმ საკითხს, თუ რამდენად გადახდისუნარიანია არასრულწლოვნის მშობელი, მეურვე ან მზრუნველი და ხომ არ ხდება საკითხის ამგვარად გადაწყვეტით არასრულწლოვნის ოჯახის უკიდურეს სოციალურ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც, თავის მხრივ, ახალი დანაშაულის ჩადენას და სხვა უდანაშაულო პირების მსხვერპლად გახდომას შეუწყობს ხელს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 11 ივლისს მიიღო 3/2/416 გადაწყვეტილება და სსკ 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილი არ სცნო არაკონსტიტუციურად. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ფულის ბუნება და დაადგინა, რომ ფული (თავისუფლებისაგან განსხვავებით) მისი ბუნებიდან გამომდინარე არ კარგავს თავის მნიშვნელობას ერთი პირიდან მეორეზე გადასვლის შემთხვევაშიც. შესაბამისად, ჯარიმის გადახდა შესაძლებელია განახორციელოს დამნაშავის ნაცვლად სხვა პირმა, რაც შეუძლებელია სისხლისსამართლევრივი სხვა სანქციების დროს. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო უთითებს, რომ გადახდისუუნარო არასრულწლოვნის ჯარიმის გადახდის მშობელზე დაკისრება, არ შეიძლება გაგებულ იქნეს ჯარიმის (სასჯელის) დაკისრებად.[420] სსკ-ის 42-ე მუხლის 5[1] ნაწილის ჩანაწერი ამოღებულია სს კოდექსიდან და აღარ მოქმედებს 2016 წლის პირველი იანვრიდან.

„კანონიერი საქმიანობიდან დამოუკიდებელი შემოსავალის" ცნების ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არასრულწლოვანის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობიდან შემოსული ქონება, რომლის ჯარიმის სახით განკარგვის/გადახდის უფლება აქვს არასრულწლოვანს. რამდენად უნდა იყოს ეს კონკრეტულად არასრულწლოვანის დამოუკიდებელი საქმიანობიდან შემოსული შემოსავალი რთული სათქმელია. 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვნების 75% არ მუშაობდა და არ სწავლობდა. ქვეყანაში არსებული მაღალი უმუშევრობის ფონზე, როდესაც ზრდასრულ ადამიანებს უჭირთ გრძელვადიანი სამუშაოს პოვნა, შეუძლებელია არასრულწოვანს მოსთხოვო, რომ მას ჰქონდეს დამოუკიდებელი შემოსავალი, რომლითაც ის ჯარიმას გადაიხდის. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ველარ იქნეს გამოყენებული ჯარიმა როგორც სასჯელის სახე. შეიძლება არასრულწლოვანს არ ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი შემოსავალი, თუმცა მისთვის მშობლების მიერ მიცემული ჯიბის ფულიდან მოახდენს იგი მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას.[421] ასე, რომ ამკ-ს 68-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერში ნახსენები ***„დამოუკიდებელი შემოსავალის"*** ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ არასრულწლოვანის მიერ განხორციელებული კონკრეტული დამოუკიდებელი სამუშაოდან/სამსახურიდან გამომუშავებული თანხა.

ამკ-ს 68-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება. საქართველოს სსკ 42-ე მუხლი ეხება ჯარიმის საკითხს. ამ მუხლის მიხედვით ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომლის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, ხოლო თუ ამ

420 კოპალეიშვილი, მ., 2013. გვ. 303.

421 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 201.

კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ამკ-ს 68-ე მუხლის მეორე ნაწილის და სსკ-ის 42-ე მუხლით განმარტებით დგინდება, რომ არასრულწლოვნისათვის ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 1000 ლარი, ხოლო თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 250 ლარზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკაში მოხდება მხოლოდ სრულწლოვნებისათვის სსკ-ის 42-ე მუხლით დაწესებული 2000 ლარის 1000 ლარამდე შემცირება და არ მოხდება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ვადის შემთხვევაში სსკ-ის 42-ე მუხლით დაწესებული 500 ლარიანი ჯარიმის 250 ლარამდე შემცირება, ადგილი ექნება სრულწლოვანი მსჯავრდებულების არასრულწლოვანებთან მიმართებით უკეთეს მდგომარეობაში ჩაყენებას,[422] რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურების ზოგად პრინციპებთან არ მოვა შესაბამისობაში.

არც სსკ-ის 42-ე მუხლი და შესაბამისად, არც ამკ-ს 68-ე მუხლი არ ადგენენ ჯარიმის, როგორც სასჯელის ოდენობის მაქსიმალურ ზღვარს. აღნიშნული ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან კანონის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სამართლებრივ სტაბილურობას. კანონის განსაზღვრულობის პრინციპის მიხედვით, „ქმედება შესაძლებელია, დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დასჯადობა კანონით განსაზღვრული იყო მანამ, სანამ პირი ამ ქმედებას ჩაიდენდა. აღნიშნული კანონმდებელს ავალდებულებს, ისე ზუსტად ჩამოაყალიბოს დასჯადობის წინაპირობები, რომ მისი ფაქტობრივი ელემენტების დანიშნულება და გამოყენების სფერო ნორმის ადრესატისათვის თვითონ კანონიდან გამომდინარე იყოს ნათელი და არა – მისი განმარტებებისა თუ სხვაგვარი დაკონკრეტების მეშვეობით".[423] „სასჯელი, როგორც სახელმწიფოს რეაქცია ბრალეულ, კრიმინალურ უსამართლობაზე, მისი სახისა და ზომის თვალსაზრისით, ნორმატიულად უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა (იხ: BverfGE 32, 346 [362]), ხოლო სახელმწიფოს დამსჯელი პასუხი სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევაზე პროგნოზირებადი უნდა იყოს ნორმის ადრესატისათვის (იხ: BverfGE 26, 41 [42]; 45, 363 [370]) ".[424]

ზემოაღნიშნულის თანახმად, სსკ-ის 42-ე მუხლი და შესაბამისად, ამკ-ს 68-ე მუხლი შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კანონის განსაზღვრულობის პრინციპს, ვინაიდან არ ადგენენ ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის კონკრეტულ ზღვარს და ბრალდებულს არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს თუ რა ზომის სასჯელი (რა ოდენობის ფულადი ჯარიმა) შეიძლება მას დაეკისროს კონკრეტული ქმედების ჩადენის გამო.

---

422 ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სრულწლოვნის მიმართ შესაძლებელი იქნება 500 ლარის ჯარიმის სახით დაკისრება, როცა იგივე სახის დანაშაულისათვის არასრულწლოვანს უნდა დაეკისროს არანაკლებ 1000 ლარისა.

423 შვაბე, იურ., 2011. გვ. 372.

424 იგივე, გვ. 373.

ჯარიმის შეფარდების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვანის ეკონომიკური მდგომარეობა, ბრალეულობის ხარისხი და მიყენებული ზიანის პროპორციულობა.[425] ჯარიმის ოდენობა იმ შემთხვევაშია უკანონო, როდესაც აშკარაა შეუსაბამობა არასრულწლოვანის ეკონომიკურ მდგომარეობასა, ბრალეულობის ხარისხსა და შეფარდებულ ჯარიმის ოდენობას შორის.[426]

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება, თავის მხრივ, გულისხმობს არასრულწლოვანთათვის, სრულწლოვნებთან შედარებით, სასჯელის დაკისრების განსხვავებულ ფორმებს. ჯარიმის, როგორც სასჯელის, გამოყენების შემთხვევაში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება არ არის გათვალისწინებული, ანუ არასრულწლოვანთა დასჯა (ჯარიმის დაკისრება) ხდება მსგავსი საკანონმდებლო წესით და ფორმით, რომელიც გათვალისწინებულია სრულწლოვანი პირებისათვის, რაც სავსებით არ შეესაბამება კანონმდებლის მიერ აღიარებულ არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებათა ზოგად პრინციპებს. ჯარიმის დაკისრების დროს განსახვავებაა მხოლოდ ჯარიმის გადახდის ოდენობაში.

ამკ-ით გათვალისწინებულ სასჯელის მიზანთა შორის, არასრულწლოვანთა ზემოთ განხილული მდგომარეობის გათვალისწინებით, მოზარდისათვის სასჯელის (მათ შორის ჯარიმის) დაკისრების უპირველესი მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. იმის მიუხედავად, რომ ჯარიმის აღმზრდელობითი ეფექტი ძალიან დაბალია.[427] მოზარდზე ფსიქოლოგიური ეფექტიანობა, მისი გამოსწორება-აღზრდის თვალსაზრისით, უფრო გამართლებულია, თუ იგი ჯარიმას გადაუხდიდა არა სახელმწიფო ორგანოს, არამედ ბავშვთა სახლებს ან სხვა ისეთ საქველმოქმედო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ არის მიმართული[428] და მას შეეძლებოდა ენახა მის მიერ გადახდილი ჯარიმის კონკრეტული შედეგი (ბავშვთა სახლებისათვის შეეძინა საჭირო ინვენტარი).[429] აღნიშნულით ხელი შეეწყობოდა დამნაშავე მოზარდისა და საზოგადოების ურთიერთობის აღდგენა-გაძლიერებას, მოზარდის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას, რაც მასზე დადებითი ზემოქმედების გაცილებით ეფექტური საშუალება იქნებოდა.[430] მოზარდს არ უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ ფულით ყველაფრის მოგვარება შეიძლება.[431]

გარდა ამისა, ჯარიმამ არ უნდა გამოიწვიოს მოზარდის ეკონომიკური მდგომარეობის ისე გაუარესება, რომ მან ჯარიმით მიყენებული ზარალი „აინაზღაუროს" (კომპენსაცია) სხვა (უფრო საშიში) დანაშაულის ჩადენით.[432]

---

425 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 201; Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 127.

426 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 127.

427 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 191.

428 იგივე, გვ. 192.

429 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 201.

430 მოსულიშვილი მ., 2000, გვ. 83.

431 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 191.

432 Eisenberg, U., 2006. S. 201.

ამ დროს საქმე გვექნება სასჯელის გამოყენების ისეთ შემთხვევასთან, რომელიც მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს.

კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესისთვის შესაძლებელი უნდა იყოს ჯარიმის ერთი გარკვეული ოდენობის ყოველთვიური გადახდა (პროცენტის დარიცხვის გარეშე), თუმცა აქაც გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის ეკონომიკური მდგომარეობა, ბრალეულობის ხარისხი, და რაც უმთავრესია, ჯარიმამ როგორც სასჯელმა, აღმზრდელობითი ფუნქცია უნდა შეასრულოს.[433] ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია ჯარიმის ყოველთვიური შენატანის სახით გადახდის შესაძლებლობა. არასრულწლოვანისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად არ უნდა მოხდეს ოჯახის მიერ ბანკში ან კერძო კრედიტორებისაგან სესხის აღება. აღნიშნული უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს მოზარდის ოჯახს და ეწინააღმდეგება მოზარდის ჭეშმარიტ ინტერესს.

ამკ-ს 68-ე მუხლი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა არასრულწლოვანი ვერ/არ გადაიხდის მისთვის დაკისრებულ ჯარიმას.

2.4. შინაპატიმრობა/ელექტრონული ზედამხედველობა

ამკ-ს 69-ე მუხლის თანახმად, 1. შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. 2. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. 3. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. 4. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. 5. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

„ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანება აწესრიგებს ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებას. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ელექტრონული ზედამხედველობა გულისხმობს ელექტრონული აპარატურის საშუალებით მსჯავრდებულის კონტროლს, ხოლო სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებისას — სასამართლოს მიერ დადგენილ პერიოდში ელექტრონული აპარატურის გამოყენებით მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის უწყვეტ კონტროლს.

ელექტრონული აპარატურა შედგება გადამცემის და მიმღებისაგან. გადამცემს წარმოადგენს ელექტრონული სამაჯური, რომელიც დანიშნული სასჯელის ვადის განმავლობაში, როგორც წესი, დამაგრებულია მსჯავრდე-

433 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 192; Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 128.

ბულის ქვედა კიდურზე ისე, რომ დაზიანების გარეშე შეუძლებელია მისი მოშორება. მიმღები განთავსებულია სასჯელის აღსრულების ადგილას, ხოლო შინაპატიმრობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილას, რომელიც მუდმივად მიერთებულია დენის წყაროსთან. თუ, ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, შეუძლებელია სამაჯურის (გადამცემის) დამაგრება მსჯავრდებულის ქვედა კიდურზე, სამაჯური (გადამცემი) მაგრდება მსჯავრდებულის მაჯაზე. მიმღების საშუალებით მსჯავრდებულისათვის განისაზღვრება პერიმეტრი შინაპატიმრობისას საცხოვრებელი ფართის მიხედვით, რომლის დარღვევის შემთხვევაში მსჯავრდებულზე დამაგრებული სამაჯური (გადამცემი) მიმღებს გადასცემს სიგნალს. მიმღებ და გადამცემ ელექტრონულ აპარატურაზე ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება, აგრეთვე მსჯავრდებულის მიერ განსაზღვრული პერიმეტრის დატოვება, შეტყობინების სახით დაუყოვნებლივ აისახება ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში. ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში, შეტყობინების სახით, ასევე აისახება მიმღებსა და გადამცემ ელექტრონულ აპარატურაზე შემდეგი სახის ზემოქმედებები: ა) 6 საათის განმავლობაში გადამცემის უმოქმედო მდგომარეობა; ბ) გადამცემზე ტემპერატურის ცვალებადობა; გ) გადამცემის/მიმღების დაზიანება; დ) მიმღების გადაადგილება; ე) მიმღების ელექტროენერგიის წყაროდან გათიშვა; ვ) ორი გადამცემის ერთმანეთთან მიახლოება; ზ) სხვა გარემოებები.

ელექტრონული მონიტორინგი/ზედამხედველობის გამოყენების მცდელობა აშშ-ში (ჰარვარდის უნივერსიტეტში) პირველად 1964 წელს მოხდა. ფსიქოლოგი რალფ შვიტცგებელი (Ralph Schwitzgebel) ცდილობდა ელექტრონული ტექნიკის გამოყენებით სპეციალური პრევენციის გაძლიერებას და თვითკონტროლის ახალი მექანიზმის შექმნას.[434] შვიტცგებელის მცდელობა ელექტრონული ტექნიკის განუვითარებლობის გამო იმ პერიოდისთვის მარცხით დამთავრდა.[435]

ელექტრონული მონიტორინგი აშშ-ს მოქნილმა სამართლის სისტემამ ადრეულ ეტაპზე აითვისა. ელექტრონული მონიტორინგი პირველად 1983 წელს გამოიყენეს,[436] როდესაც ჯეკ ლოვმა, ნიუ-მექსიკოს შტატის, ქალაქ ალბუკერკეს საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კომპიუტერული ტექნოლოგიის დილერი დაარწმუნა შეემუშავებინა სისტემა 5 მსჯავრდებულზე ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით. თავდაპირველად სისტემა მხოლოდ სახლში გამოიყენებოდა, ვინაიდან მას ფიქსირებული სატელეფონო ხაზები სჭირდებოდა. ლოვის მიერ დანერგილი ამ ხუთი შემთხვევის შემდეგ შეწყდა მისი გამოყენება ელექტრონული ტექნიკის გამოყენებაში არსებული სირთულეების გამო.[437] აშშ-ში სასჯელის მოხდის ალტერნატიულ საშუალებაზე ფიქრი აუცილებელი გახდა სასჯელაღსრულების დაწესებულების და პრობაციის სამსახურის გადატვირთულობის გამო.[438] გასული საუკუნის 80-

434 Schneider, K., 2003. S. 19.
435 იქვე.
436 ხერხეულიძე, ი., 2014. გვ. 198.
437 Schneider, K., 2003. S. 19.
438 იგივე, გვ. 17.

იანი წლების ბოლოს აშშ-ს ჰყავდა 880 ათასი მსჯავრდებული და 2,2 მილიონი პრობაციონერი.[439]

მოგვიანებით, 1990-იან წლებში მობილურმა მოწყობილობებმა და ინტერნეტ კავშირმა შესაძლებელი გახადა ელექტრონული ზედამხედველობა განხორციელებულიყო ნებისმიერ ადგილას, სადაც მსჯავრდებული გადაადგილდებოდა.[440] აშშ-ში 1987 წელს დაიწყო შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის გამოყენება და 1990 წელს 47 შტატში 12 000 მსჯავრდებულის მიმართ იყო უკვე გამოყენებული იგი, ხოლო 2002 წელს უკვე 100 ათასი პირის მიმართ.[441] შინაპატიმრობის გამოყენება ევროპაში პირველად მოხდა დიდ ბრიტანეთში (1989-1990), შვედეთში (1994) და ჰოლანდიაში (1995).[442]

ელექტრონული მონიტორინგის ცნების ქვეშ მოიაზრება კონტროლის ის ელექტრონული ფორმები, რომელიც გამოიყენება შინაპატიმრობამისჯილი მსჯავრდებულის ან სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი პატიმრების (მაგ. ვიდეოკონტროლი) გასაკონტროლებლად.[443]

აშშ-ში განასხვავებენ შინაპატიმრობის სამ ფორმას:[444]

- Curfew (მსუბუქი ფორმა) – *თავისუფლების შეზღუდვის ამ ფორმის დროს დამნაშავე ვალდებულია წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში სახლში იმყოფებოდეს.* ამ ფორმის გამოყენების დროს ძირითადი აკრძალვები მოდის ღამის საათებზე. ამ ფორმის გამოყენება ხდება თერაპიულ კურსზე სიარულის ან ჯარიმის გამოყენებასთან ერთად;
- Home Detention (ნაკლებად მძიმე ფორმა) – შინაპატიმრობის პირველ ფორმასთან შედარებით ეს ფორმა უფრო მკაცრია. შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისჯილი ვალდებულია იყოს სახლში. გამონაკლისია სწავლის, სამუშაოს ან თერაპიულ კურსზე სიარული. *წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით მსჯავრდებულს უფლება აქვს სახლი დატოვოს.*
- Home Incarceration (მძიმე ფორმა) – *შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისჯილს უფლება არა აქვს სახლი დატოვოს.* სახლი არის ციხე. ასეთ მსჯავრდებულს არ შეუძლია არც სახლიდან გასვლა, არც მუშაობა და არც სტუმრების მიღება.

ამკ-ს 69-ე მუხლის მეოთხე ნაწილის ჩანაწერი აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოში ადგილი ექნება შინაპატიმრობის Curfew ან Home Detention – ფორმის გამოყენებას, ანუ არასრულწლოვანს უფლება ექნება შინაპატიმრობის პირობებშიც იმუშაოს და ისწავლოს.

ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების წინაპირობები შეიძლება იყოს:[445] მისი მოკლევადიანი სასჯელის სახით გამოყენება; იგი არ უნდა იქნეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს გამოყენებული; მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნება ელექტრონული მონიტორინგი, არ უნდა იყოს ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებული;

439 იქვე.
440 ხერხეულიძე, ი., 2014. გვ. 198.
441 Weber, J.P., 2004. S. 57.
442 იგივე, გვ. 62.
443 Haverkamp, R., 2002. S. 7.
444 Schneider, K., 2003. S. 22.
445 Lindenberg, M., 1999. S. 14.

ამ დროს პირმა არ უნდა მიიღოს ალკოჰოლი ან ნარკოტიკი; მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნება ელექტრონული მონიტორინგი, მინიმუმ ნახევარი დღის განმავლობაში დასაქმებული უნდა იყოს (პროფესიული სკოლა, სამსახური); დამსაქმებელი ინფორმირებული უნდა იყოს ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების შესახებ; შინაპატიმრობის დროს სახლის სხვა მაცხოვრებლებიც თანახმანი უნდა იყვნენ, რომ მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდეს ელექტრონული მონიტორინგი, ვინაიდან სახლის სხვა მაცხოვრებლებისთვის ელექტრონული მონიტორინგის აღსრულებამ შესაძლებელია მინიმუმ მათი დისკომფორტი გამოიწვიოს; მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნება ელექტრონული მონიტორინგი, თანახმა უნდა იყოს, რომ მის მიმართ ასეთი სახის კონტროლი განხორციელდეს.

შინაპატიმრობის შემოღებას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ მისი გამოყენების ღირებულება უფრო იაფია, ვიდრე სხვა სასჯელი და ხელს უწყობს დამნაშავეობის მონიტორინგს.[446] გარდა ამისა, ციხის სიტუაციასთან შედარებით მსჯავრდებულს აღარ უწევს კრიმინალური მენტალობის ადამიანებთან ურთიერთობა ციხეში და სოციალური უნარ-ჩვევების დავიწყება, აღარ არის იზოლირებული საკუთარი ოჯახისაგან.[447]

ელექტრონული მონიტორინგის ქვეშ შინაპატიმრობის განხორციელებას გააჩნია პრობლემები. კერძოდ:[448]

- კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების განვითარების ხელის შეშლის (სტიგმატიზაციის) და ოჯახურ სფეროში ჩარევის საკითხი.

ელექტრონული მონიტორინგის პირობებში მსჯავრდებულს ხელზე ან ფეხე უკეთია ელექტრონული მონყობილობა, ეს კი იძლევა იმის საშუალებას (განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში), რომ იგი იდენტიფიცირებულ იქნეს სხვა ადამიანების მიერ როგორც სამართალდამრღვევი, რაც, თავის მხრივ, ზრდის მისი სტიგმატიზაციის რისკს. მსჯავრდებულის სტიგმატიზაცია ზღუდავს მის კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულ უფლებას პიროვნების განვითარების შესახებ.

თუ ერთმანეთს შევადარებთ მსჯავრდებულის მიერ საკუთარ სხეულზე ციხეში სასჯელის მოხდის ან კრიმინალური სუბკულტურის წევრობის დამადასტურებელი ტატუს გაკეთებას და ელექტრონულ მოწყობილობას, რომლებსაც მსჯავრდებულის სტიგმატიზაცია შეუძლია, პირველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მსჯავრდებულის საკუთარი ნება, გაიკეთოს ტატუ, მეორე შემთხვევაში კი სახელმწიფოს მიერ ხდება მსჯავრდებულისათვის ისეთი ელექტრონული მოწყობილობის გაკეთება, რაც მის სტიგმატიზაციას გამოიწვევს.

კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს ინფორმაციული თვითგამორკვევის

---

446 იხ.: არსოშვილი, გ./ მიქანაძე, გ./ შალიკაშვილი, მ., 2015. გვ. 153-168.

447 Wittstamm, K., 1999. S. 114, 116.

448 არსოშვილი, გ./ მიქანაძე, გ./ შალიკაშვილი, მ., 2015. გვ. 166.

უფლებასაც, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს „ინდივიდის უფლებას თავად გადაწყვიტოს, გახდეს თუ არა ცნობილი გარეშე პირთათვის მისი პერსონალური მონაცემები, პირადი ცხოვრების შინაარსი და მისი დეტალები. მაგალითად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ექიმის მიერ დასმული დიაგნოზი, გადატანილი ავადმყოფობა, მისი ფინანსური მდგომარეობა, წარსულში მომხდარი ესა თუ ის ფაქტი და სხვა; ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება იცავს ადამიანს სახელმწიფოს (ან საზოგადოების) მხრიდან ინფორმაციული კონტროლისაგან".[449] სახელმწიფოს ყველა მოქმედებას, რომლითაც იზღუდება ადამიანის თავისუფლება, უნდა ჰქონდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.

ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მსჯავრდებულის „პირადი ცხოვრების შინაარსისა და მისი დეტალების" ისეთი სახით ჩვენებას, რაც მის სტიგმატიზაციას გამოიწვევს. შესაბამისად, საჭირო უნდა იყოს მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობა ელექტრონული მოწყობილობის სხეულზე დამაგრების დროს. შინაპატიმრობის დროს ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით შესაძლებელია, ასევე, ხდებოდეს პირადი ცხოვრების უფლების, ე.წ. პრაივესის უფლებაში ჩარევა. პრაივესის უფლება (right to Privacy) შედგება სამი კომპონენტისაგან: 1. მარტო დარჩენის (ან სხვაგვარად – განმარტოებით ყოფნის) უფლება (the right to be let alone); 2. ადამიანის უფლება, იყოს მისი მხრიდან ნებადაურთველი საჯაროობისაგან თავისუფალი, განცალკევებული; 3. ადამიანის უფლება, იცხოვროს მის მხრიდან ნებადაურთველი საზოგადოებრივი ჩარევის გარეშე ისეთ საკითხებში, რომლებიც აუცილებლობით არ შეეხება საზოგადოებას.[450]

- შინაპატიმრობის დროს ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებით შესაძლებელია დაირღვეს ოჯახის სხვა წევრების კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებული საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც ინდივიდს (ოჯახის წევრებს) იცავს „საცხოვრებელში საჯარო ხელისუფლების როგორც ფიზიკური, ისე არაფიზიკური [ელ. საშუალებებით] შეღწევისგან".[451]

სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო ამ სფეროებში უხეში ჩარევით (მაგალითად, ოჯახური ან სხვა ურთიერთობებისათვის დაბრკოლებების შექმნით), არამედ თუნდაც ამ ურთიერთობების კონტროლითა და მათზე თვალყურის დევნებით.[452] შინაპატიმრობის დროს ხდება ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით მონიტორინგის განხორციელება, რომელიც, თავის მხრივ, მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან ურთიერთო-

449 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 93. (გოცირიძე, ე., მუხლი 16).

450 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 96. (გოცირიძე, ე., მუხლი 16).

451 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 187. (ყობახიძე, ირ., მუხლი 20).

452 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 96. (გოცირიძე, ე., მუხლი 16).

ბის გარკვეულ კონტროლად (მაგ. მეუღლის მიერ მსჯავრდებულის მანქანით სამსახურში ტარება გამოიწვევს მეუღლის კონტროლსაც) შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში პროპორციულობის პრინციპის გამოყენებით საჭიროა შემოწმდეს რამდენად ირღვევა ელექტრონული მონიტორინგის საშუალების გამოყენებით ოჯახის სხვა წევრების პირადი ცხოვრების უფლება.[453] ამგვარი დარღვევა თავიდან იქნება აცილებული, თუ ოჯახის წევრები თანხმობას განაცხადებენ მათი ოჯახის წევრის მიმართ შინაპატიმრობის გამოყენებაზე.[454] გარდა ამისა, ელექტრონული მონიტორინგის დროს ხდება მხოლოდ იმის გარკვევა, იმყოფება თუ არა მსჯავრდებული სახლში და არ ხდება სახლის ან მისი ოთახების აკუსტიკური ან ვიდეო კონტროლი.[455] მსჯავრდებული თავისუფლად გადაადგილდება სახლის შიგნით და მასზედ სხვაგვარი კონტროლი (გარდა იმისა, რომ ის სახლში უნდა იყოს) არ ხორციელდება.[456]

- ელექტრონული მონიტორინგის დროს მსჯავრდებული სხეულზე ატარებს ელექტრონულ მოწყობილობას, რომელიც მისი ადგილსამყოფელის შესახებ გადასცემს სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს ინფორმაციას. საკითხავია, თუ მსჯავრდებული, რომელიც სხეულზე ასეთ ელექტრონულ მოწყობილობას ატარებს დანაშაულს ჩაიდენს, ხომ არ ჩაითვლება თვითინკრიმინაციად (nemo tenetur),[457] რაც დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტში და 42 მუხლის მე-8 პუნქტში.[458] ელექტრონული მონიტორინგის პირაპირი მიზანი არის ელექტრონული მოწყობილობის მატარებელი მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში ხელის შეშლა. ამ საკითხის გვერდით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებში მივა სიგნალი ამ კონკრეტული პირის იქ ყოფნის შესახებ. ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით მიღებული ის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ეს კონკრეტული მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენის ადგილას იმყოფებოდა თვითინკრიმინაციად ჩაითვლება და ასეთი მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში დაუშვებელად უნდა ჩაითვალოს.[459]

შინაპატიმრობის დროს ელექტრონული მონიტორინგი შესაძლებელია ოჯახის სხვა წევრებთან კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზი გახდეს, რადგან ელექტრონული მონიტორინგი მსჯავრდებულის ცხოვრების ადრეულ, ბუნებრივ სიტუაციას ცვლის და მისგან ახალი სოციალური კომპეტენციების აუცილებლობას მოითხოვს. შინაპატიმრობაში მყოფი პირების ოჯახის წევრები პირველ რიგში პრობლემად ხედავდნენ თავისუფალი დროის წინასწარ დაგეგმილად გატარების აუცილებლობას, რაც ოჯახურ ცხოვრებას

---

453 Schneider, K., 2003. S. 179.

454 იქვე.

455 Hudy, M., 1999. S. 193.

456 იქვე.

457 იგივე, გვ. 215.

458 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 566. (ტურავა, მ., მუხლი 42).

459 Hudy, M., 1999. S. 193; შეად.: BGHSt 34, S. 39 (45).

სპონტანობას ართმევდა და რასაც ყოველი ოჯახის წევრი მტკივნეულად განიცდიდა.[460] გარდა ამისა, ისინი ცდილობდნენ ფეხის სამაჯურის დამალვას ნაცნობ-მეგობრებისათვის, რაც ასევე პრობლემას წარმოადგენდა ოჯახის წევრებისათვის.[461] ოჯახის წევრები მიუთითებენ იმ ფაქტორებზე, რის გამოც მათთვის მნიშვნელოვანი იყო ელექტრონული მონიტორინგის გამოყენება: ოჯახის წევრების ერთად ყოფნა; ბავშვის ინტერესი; შინაპატიმრობის პირობებში მუშაობის გაგრძელება, რამაც ოჯახს ფინანსური პრობლემები ააცილა თავიდან.[462] ელექტრონული მონიტორინგი ოჯახის წევრებში იწვევს არასასიამოვნო გრძნობას, როდესაც ისინი სახლიდან გადიან და მსჯავრდებული სახლში რჩება.[463]

ელექტრონული მონიტორინგის დადებითი მხარე არის ის, რომ მისი გამოყენების დროს მსჯავრდებული ხვდება თუ არ უნდა გააკეთოს, რომ მასზედ კონტროლი მიმდინარეობს, და რომ მისი ყოველი გადაადგილების შესახებ სპეციალური ორგანოები არიან ინფორმირებული და შეთანხმების დარღვევის შემთხვევის ფაქტებს აუცილებლად გაიგებენ.[464] აღნიშნულმა დამოკიდებულებამ მსჯავრდებული შესაძლებელია ნორმების დაცვა ასწავლოს და მისი აღზრდა გამოიწვიოს. ამ მხრივ სწორად არის განსაზღვრული ამკ-ს მიერ შინაპატიმრობის ვადები 6 თვიდან ერთ წლამდე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2014)4 წევრი ქვეყნების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, გამოცემული 2014 წლის 19 თებერვალს მოიცავს მითითებას იმის შესახებ თუ როდის უნდა გამოიყენონ ელექტრონული მონიტორინგი. კერძოდ: სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო ეტაპზე; როგორც პატიმრობის შეწყვეტის ან აღსრულების პირობა; როგორც სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულების ცალკე მდგომი საშუალება ან საზოგადოებრივი საშუალება; პრობაციის სხვა ჩარევებთან ერთად; როგორც პატიმრების ვადამდე გათავისუფლების ღონისძიება; ციხიდან პირობით გათავისუფლების ფარგლებში; როგორც ინტენსიური მითითების და ზედამხედველობის საშუალება გარკვეული ტიპის დამნაშავეებისთვის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ; როგორც მონიტორინგის საშუალება დამნაშავეების შიდა გადაადგილების დროს და/ან ღია საპატიმროების ტერიტორიაზე; როგორც განსაკუთრებული დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის საშუალება კონკრეტული ეჭვმიტანილებისგან ან დამნაშავეებისგან.

2.5. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

ამკ-ს 70-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება ერთი წლიდან სამ წლამდე ვადით.

ზოგადად, ეს სასჯელის სახე არასრულწლოვანის მიმართ სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული. თუ არასრულწლოვანი დასაქმებულია, სასჯელის

460 Mayer, M., 2004. S. 296.
461 იქვე.
462 იქვე.
463 არსოშვილი, გ./ მიქანაძე, გ./ შალიკაშვილი, მ., 2015. გვ. 168.
464 Schneider, K., 2003. S. 212.

ამ ფორმის გამოყენებამ იგი ფინანსური და სოციალური პრობლემების წინაშე არ უნდა დააყენოს. შრომა და დასაქმება არის კანონდამრღვევის მიმართ გასატარებელი ღონისძიება და არა პირიქით, კანონდამრღვევს აეკრძალოს გარკვეული საქმინობის შესრულება. შრომამ უნდა გააკეთილშობილოს იგი.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მოზარდის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, მაგალითად, მოზარდი, რომელიც მჭედელია და ამ საქმიანობას სისტემატიურად იყენებს საცხოვრებელი სახლების კარის გასაღები ე.წ. ატმეჩკების დასამზადებლად, შესაძლებელია აეკრძალოს სამჭედელო საქმიანობის განხორციელება.

გერმანულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 18-21 წლამდე მოზარდების მიმართ ხშირად გამოიყენება მართვის მონმობის ჩამორთმევა, რაც ქართული საკანონმდებლო მდგომარეობისათვის შეუძლებელია, ვინაიდან ამკ-სით 18-21 წლამდე მოზარდების მიმართ შესაძლებელია მხოლოდ განრიდების განხორციელება.

2.6. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

ამკ-ს 71-ე მუხლი ეხება არასრულწლოვნის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. ამ მუხლის მიხედვით, 1. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. 2. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს. 3. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. 4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს. 5. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ გათვალისწინებული არ არის. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-33[3] მუხლებით დადგენილი წესით ხდება არასრულწლოვანისათვის სასჯელის სახით დაკისრებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არა მხოლოდ არასრულნლოვნებს, სრულწლოვნებსაც ძალიან იშვიათად ეკისრებათ. ხშირია დამატებითი სასჯელის სახით მისი გამოყენების მაჩვენებელი.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებელი, 2009 წელთან შედარებით, 2010 წელს გაიზარდა, რაც მისა-

სალმებელია. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურია აჭარის რეგიონი, სადაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება უდრის მთელ საქართველოში ამ სახის სასჯელის გამოყენებას. 2010 წლიდან იკლო ძირითადი სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებამ და 2014 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების საკითხში აუცილებელია კერძო სექტორის აქტიური ჩაბმულობა. კერძო სექტორის აქტიურად ჩაბმა დამოკიდებულია მის დაინტერესებაში. კერძო სექტორის დაინტერესება შეიძლება იყოს როგორც სამოქალაქო (საზოგადოებრივი აქტიურობა), ასევე ფინანსური ხასიათის (იმ ფირმისათვის გადასახადის შემცირება, რომელიც დაასაქმებს არასრულწლოვან მსჯავრდებულს). საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას და კერძო სექტორის ჩართვას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რის გამოც იგი უფრო ხშირად უნდა განხორციელდეს არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ. ეს ასპექტებია:

- სახელმწიფო თავიდან აიცილებს ციხის პირობებში მსჯავრდებულის შენახვის ხარჯებს;
- მოხდება საზოგადოების ჩაბმა მართლმსაჯულების განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს მასში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას;
- არასრულწლოვანი მსჯავრდებული დასაქმდება, რაც უზრუნველყოფს მის რესოციალიზაციას;
- მსჯავრდებულს მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ დასაქმების პერიოდში თავის გამოჩენის შემთხვევაში დარჩეს ფირმაში და გააგრძელოს მუშაობა სასჯელის მოხდის შემდეგ, რაც თავიდან ააცილებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას განმეორებით დანაშაულის ჩადენას;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებით მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევის შემთხვევაში დაიზოგება მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად უნდა ჩაითვალოს პროკურატურის, სასამართლოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არაკოორდინირებულობა. კერძოდ, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირად პროკურორმა და მოსამართლემ არ იცის სად შეიძლება მოიხადოს პირმა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ერთ-ერთი პრობაციის ოფიცრის თქმით, „საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა რომ მეწერება, ყოველთვის არის პრობლემა სად წავიყვანოთ ან უარი არ გვითხრან. მერე გვიწევს ხვეწნა, რომ ეს პრობლემა მოვაგვაროთ. კარგი იქნება, გარანტირებული ადგილები რომ არსებობდეს."[465] აღნიშნულს ისიც ართულებს, რომ ხდება პრობაციონერების ეტიკეტირება ნასამართლობის გამო და ვერ პოულობენ სამუშაოს, რის გამოც კარგავენ საკუთარი თავის იმედს.[466]

465 შალიკაშვილი, მ., 2014. გვ. 101.

466 იქვე.

ერთ-ერთი პრობლემაა მსჯავრდებული პირების არასაკმარისი სამუშაო უნარ-ჩვევები. 2012-2014 წლებში საქართველოში ჩატარებულმა სასჯელის აღსრულების კვლევამ აჩვენა, რომ მსჯავრდებული პირების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება შეუძლებელი იყო პროფესიული უნარ-ჩვევების არქონის გამო.[467]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ერთ-ერთი პრობლემა მდგომარეობს შესასრულებელი სამუშაოს ხასიათში, მით უფრო თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია.

არასრულწლოვანმა სასჯელის (მათ შორის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) აღსრულების პროცესში მაქსიმალურად უნდა გააცნობიეროს მისი დანაშაულებრივი ქმედების სოციალური არსი. არასრულწლოვნისათვის ისეთი ხასიათის სამუშაოს დავალება, რომელიც სპეციალურ ცოდნასთან არის დაკავშირებული და რამაც შეიძლება მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას, აკრძალულია როგორც შიდა (არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის 44[6]), ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით („წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ" ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბრის რეკომენდაციის (№92) 16, წესი 68).

როგორც აღინიშნა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების პრაქტიკა საქართველოში არც ისე ბევრია, ჩვენ მიერ მოძიებულ იქნა სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც არასრულწლოვანს მიესაჯა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. 2010 წლის 10 მაისს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს №1-128 განაჩენით არასრულწლოვან კ.კ.-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა 400 საათის ოდენობით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა უნდა განეხორციელებინა ხელვაჩაურის წყალკანალისა და საბინაო კომუნალური მომსახურების წესდებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ანუ უსასყიდლო, ანაზღაურების გარეშე შრომა, 400 საათის ოდენობით. სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვადა თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში ოთხ საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის – დღეში ექვს საათს. მოცემულ შემთხვევაში კ.კ. არის 16 წლის და 11 თვის. სამწუხაროდ, განაჩენიდან არ ჩანს დადის თუ არა კ.კ. სკოლაში. თუ იგი სკოლაში არ დადის, მაშინ შესაძლებელია, რომ მან დღეში იმუშაოს 6 საათი. 400 საათის გამომუშავება კ.კ.-ს მოუწევს 14 კვირის განმავლობაში. თუ კ.კ. სკოლაში დადის და დღის პირველ ნახევარს სკოლაში ატარებს, სავარაუდოდ, მას დღეში მხოლოდ 2-3 საათის გამომუშავება შეეძლება. ასეთ შემთხვევაში კ.კ. იძულებული იქნება იმუშაოს 28 კვირა, ანუ 7 თვე. ფრიად მიუღებელია ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული 400 საათის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობს.

467 იგივე, გვ. 102.

არასრულწლოვნისათვის მითითება (მაგალითად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 400 საათის ოდენობით) მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც შესასრულებლად შეუძლებელი და შესაბამისად, თანაფარდობის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევად, თუ იგი მკვეთრად ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის პიროვნების განვითარებას, ხელს უშლის მას სწავლასა და სოციალური და საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულებაში.[468]

პრობლემურია ასევე კ.კ.-ს მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახეობა. განაჩენით არ არის დაკონკრეტებული, თუ რა სახის სამუშაოს შესასრულებლად იქნა კ.კ. გამწესებული. განაჩენი მიუთითებს კ.კ.-ს მიერ ისეთი სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც ხელვაჩაურის წყალკანალისა და საბინაო კომუნალური მომსახურების წესდებით არის გათვალისწინებული. ვფიქრობთ, ხელვაჩაურის წყალკანალისა და საბინაო კომუნალური მომსახურების წესდებით ბევრი ისეთი სამუშაო შეიძლება იყოს გათვალისწინებული, რომელსაც შეუძლია მოზარდი კ.კ.-ს ფიზიკური და სულიერი განვითერების შეფერხება გამოიწვიოს. გარდა ამისა, ამგვარი ზოგადი ჩანაწერი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დამსაქმებელს შესაძლებლობას აძლევს არასრულწლოვანს დაავალოს ისეთი სახის სამუშაოს შესრულება, რაც მას არ ძალუძს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული განაჩენში იმის დაფიქსირება, თუ რა სახის სამუშაოსათვის იგზავნება არასრულწლოვანი.

ამკ-ს 71-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაეკისროს 300 საათის ოდენობით, ხოლო თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება შეიძლება უფრო მეტი ვადითაც.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება საპროცესო შეთანხმების პირობებში აშკარად არღვევს კანონის განსაზღვრულობის საკითხს (იხ. 2.3. ქვეთავი).

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 300 ან მეტი დროით შეფარდება, როდესაც მას შეუძლია დღეში ოთხი საათი იმუშაოს წარმოუდგნელი გამოწვევის წინაშე აყენებს მოზარდს. მან ასეთ შემთხვევაში სამი თვის განმავლობაში უსასყიდლოდ უნდა იმუშაოს. რაც მისი ფსიქიკის (დანაშაულის ჩადენამ დაადასტურა ეს) მქონე ადამიანისათვის თითქმის შეუძლებელია. ასეთი დიდი ხნით უსასყიდლოდ მუშაობა ნორმალური ადამიანისათვისაც კი წარმოუდგენელია. ამგვარმა მიდგომამ შესაძლებელია არსრულწლოვანს მუშაობისადმი უარყოფითი განწყობა ჩამოუყალიბოს[469] და კრიმინალური ქმედებით ფულის შოვნის მოტივაცია აუმაღლოს. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არასრულწლოვნისათვის 300 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შაბათ-კვირას დაკისრება მიჩნეულია შეუსრულებელ ამოცანად, რომელიც შესაძლოა თანაზომიერების კონსტიტუციურ პრინციპს ეწინააღმდეგებოდეს, ვინაიდან მოზარდს დიდი ხნით ერთმევა საშუალება დაისვენოს ამ დღეებში.[470] ზომიერების ფარგლებში მოზარდისათვის თავი-

468 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 101.

469 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 145,146.

470 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2007. S. 182.

სუფალი დროის პერიოდში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოვალეობის დაკისრება აღმზრდელობითი ეფექტის მატარებელია.[471] ასეთი სამუშაო არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის უახლოეს მომავალში უნდა დამთავრდეს.[472] ავსტიაში არასრულწლოვნისათვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება შესაძლებელია მაქსიმუმ 60 საათის ოდენობით და ამ სანქციის აღსრულება მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.[473] მოზარდს უნდა დაეკისროს ისეთი საქმიანობის შესრულება, რომელიც მის ძალას არ აღემატება და ხელს არ შეუშლის მის ფიზიკურ, სულიერ და პიროვნულ განვითარებას.[474]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი პირველ რიგში უნდა იყოს ის, რომ ასეთმა შრომამ არასრულწლოვნზე ნეგატიურად არ უნდა იმოქმედოს და აღმზრდელობითი ხასიათის მატარებელი იყოს. ახალი ამკ-ს 71-ე მუხლის მე-4 ნაწილი ამას სასურველად მიიჩნევს და არა სავალდებულოდ. არასრულწლოვანის სამუშაო სათანადოდ უნდა იყოს აღიარებული, რომ არასრულწლოვანმა დაინახოს მუშაობის პრიორიტეტულობა, რომლითაც იგი შეძლებს მომავალში არადანაშაულებრივი, დამოუკიდებელი და პატიოსანი ცხოვრების პერიოდში არსებობას.[475] საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვალდებულებითა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებით არასრულწლოვანმა უნდა მიიღოს დადებითი პირადი გამოცდილება მუშაობასთან დაკავშირებით.[476] შრომამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდში დადებითი თვისებების ჩამოყალიბებას.[477]

არასრულწლოვანისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება უნდა ხდებოდეს სწავლისა (სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი) და მუშაობისგან თავისუფალ დროს, რათა არსრულწლოვანს ხელი არ შეეშალოს მისი მომავლისათვის უფრო პრიორიტეტული საკითხების შესრულებაში. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია ამკ-ს 71-ე მუხლის მესამე ნაწილით.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის იმ სახით გამოყენება, როგორიც დღეს არსებობს, მიუღებელია, ვინაიდან არ სრულდება სასჯელის ამ სახის პირველადი მნიშვნელობა – არასრულწლოვანმა საზოგადოების სასარგებლოდ უნდა იმუშაოს. მისაღები იქნებოდა, თუ არასრულწლოვანი გამომუშავებული თანხით დაეხმარებოდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ამ ტიპის დაწესებულებებში განახორციელებდა (სავადმყოფოები, ბავშვთა სახლები, საბავშვო ბაღები და სხვა).[478] აღმზრდელობითი ეფექტი აქვს თუ არასრულწლოვნის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომიდან მიღებ-

471 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 135.
472 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 200.
473 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 136.
474 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 101.
475 შვაბე, ოურ., 2011. გვ. 216.
476 იქვე.
477 დვალიძე, ირ., 2013. გვ. 216.
478 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2007. S. 182, 191; Ostendorf, H., 2009. S. 91.

ული თანხა დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.[479] ამით არასრულწლოვანი პირდაპირი გზით ეხმარება, არა მარტო საკუთარი ქმედებით გამოწვეულ მსხვერპლს, არამედ ზოგადად დანაშაულის მსხვერპლს. მედიაციისაგან ეს საკითხი იმით განსხვავდება, რომ არ არის საჭირო დაზარალებულთან და დამნაშავესთან საუბრები იქნეს შერიგების საკითხზე განხორციელებული. გარდა ამისა, ზოგიერთ მსხვერპლს სულაც არ სურს დამნაშავესთან შერიგება და მისი მიზანი, მხოლოდ დანაშაულამდე არსებულ (მატერიალურ) მდგომარეობაში დაბრუნებაა.[480]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის კოდექსის მეოთხე მუხლის დებულება, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების საკითხებს. ამ მუხლის მეოთხე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს თუ სად არის მოზარდის შრომა აკრძალული: სათამაშო ბიზნესი, ღამის გასართობი დაწესებულება, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქცია, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადება, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება. გარდა ამისა, შრომითი ურთიერთობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ უნდა აყენებდეს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უნდა უზღუდავდეს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას.

2.7. თავისუფლების შეზღუდვა

ამკ-ს 72-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალური ვადა 3 წელია.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის №373 ბრძანებით დამტკიცდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპური დებულება. მოცემული დებულების თანახმად, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ტერიტორიულ ორგანოს.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შინაგანაწესსა და სარეაბილიტაციო პროგრამებს ამტკიცებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპური დებულების მიხედვით, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოცანებია: ა) თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნული/შეცვლილი სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფა; ბ) სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; გ) დაწესებულებაში მართლწესრიგისა და კანონიერების, მსჯავრდებულთა, პერსონალისა და დაწესებულების ტერი-

479 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 146.

480 შალიკაშვილი, მ., 2011ბ. გვ. 133.

ტორიაზე მყოფ სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დ)მსჯავრდებულთა შრომითი დასაქმების ორგანიზება; ე) მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა.

დღეს არსებული მდგომარეობით არსებობს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება მხოლოდ სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის. როგორც შიდა (პატიმრობის კოდექსის 50-ე მუხლი), ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მსჯავრდებულების ერთად მოთავსებას, არასრულწლოვანზე მავნე, კრიმინალური ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით.[481]

2.8. თავისუფლების აღკვეთა

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არასწორია ამკ-ს 73-ე მუხლის დასათაურება – ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან არასრულწლოვნების მიმართ არ გამოიყენება უვადო თავისუფლების აღკვეთა. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების აუცილებლობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უვადო თავისუფლების აღკვეთაც უნდა ყოფილიყო კოდექსში გამოყენებული. შესაბამისად, ვინაიდან არასრულწლოვნის მიმართ მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება და არ გამოიყენება უვადო თავისუფლების აღკვეთა, სიტყვა „ვადიანს" შინაარსობრივი დატვირთვა აღარ გააჩნია და ამოღებიულ უნდა იქნეს ამკ-დან. ამკ-ს 73-ე მუხლს უნდა ერქვას თავისუფლების აღკვეთა.

ამკ-ს 73-ე მუხლის თანახმად, 1. არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ ნარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. 2. 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. 3. 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/4ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს. 4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები გამოიყენება ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის მიუხედავად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2014 წელს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებულ სასჯელთა სახეებს შორის თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი 2000 წელს 15%-ით, 2001 წელს 14%-ით, 2002 წელს 21,3%-ით, 2003 წელს 23,5%-ით, 2004 წელს 23,4%-ით, 2005 წელს 22%-ით, 2006 წელს 34%-ით, 2007 წელს 40,2%-ით, 2008 წელს 32,7%-ით, 2009 წელს 33,9%-ით, 2010 წელს 33,5%-ით, 2011 წელს 28,4%-ით, 2012 წელს 27,2%-ით, 2013 წელს 25,7%-ით, ხოლო 2014 წელს 27,3%-ით განისაზღვრა.[482]

ზემოაღნიშნული სტატისტიკის თანახმად, ყოველი მესამე ბრალდებული

481 შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., 2014. გვ. 346.

482 იხ.: www.supremecourt.ge 2007, 2009 და 2014 წლის სტატისტიკა.

არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა.

თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მოცემული სტატისტიკის ანალიზი მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ქვეყანაში არსებულ რამდენიმე კრიტერიუმზე:

- მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა, რაც გულისხმობს არასრულწლოვნის მკაცრი სასჯელით (თავისუფლების აღკვეთით) დასჯას;
- არასაპატიმრო სასჯელების არასაკმარისად გამოყენებას;
- არასრულწლოვნისათვის გამოსაცდელი ვადა არის ხანგრძლივი (ერთიდან ოთხი წლის ჩათვლით), რა დროსაც არსებობს იმის ალბათობა, რომ არასრულწლოვანმა დანაშაული ჩაიდინოს;
- პრობაციონერ არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე არასათანადო კონტროლი, რაც იწვევს გამოსაცდელი ვადის პერიოდში დანაშაულის ჩადენას, რის შემდეგაც თავისუფლების აღკვეთის გამოყენება გარდაუვალი ხდება.

ამკ-ს 73-ე მუხლის ნოვაცია არის ის, რომ არასრულწლოვანისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება აღარ შეიძლება თუ იგი პირველად ჩაიდენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს. თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ხდება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ან თუ ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ან/და მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იყო გამოტანილი. აღნიშნული ნოვაცია ფრიად მისასალმებელია და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებაზე მიუთითებს. ვფიქრობთ, ამკ-ს 73-ე მუხლის ნოვაცია მკვეთრად გააუმჯობესებს ალტერნატიული ღონისძიებების/სასჯელების გამოყენების სტატისტიკურ მაჩვენებელს და შეამცირებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროცენტულ მაჩვენებელს.

2.8.1. თავისუფლების აღკვეთის ჩათვლა პირობით მსჯავრად

ამკ-ს 74-ე მუხლის მიხედვით, თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს.

არასრულწლოვან პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ბოლო ორი წლის მანძილზე 2001 და 2002 წლებთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. ამავე სტატისტიკის თანახმად, ბოლო წლების მანძილზე უფრო მეტად არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე არასრულწლოვანს ეცვლება პირობით მსჯავრად[483] გამოსაცდელი დროის დანიშვნით და არასრულწლოვანზე კონტროლი ევალება პრობაციის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არასრულწლოვანთათვის პირობით მსჯავრად გამოსაცდელი დროის დანიშვნის ბოლო წლების სტატისტიკა ცხადყოფს (2001 წელს პირობითი მსჯავრი

483 პირობითი მსჯავრის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობა იხ. ნაჭყებია გ./ დვალიძე ი. (რედ.), 2007, გვ. 391 – 392.

გამოყენებულ იქნა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 78%-ის, 2002 წელს 72%-ის, 2003 წელს 70%-ის, 2004 წელს 69%-ის, 2005 წელს 70%-ის, 2006 წელს 62%-ის, 2007 წელს 56%-ის, 2008 წელს 67,4%-ისა და 2009 წელს 53,2%-ის, 2010 წელს 47,1%-ის, 2011 წელს 60,5%-ის, 2012 წელს 61,1%-ის, 2013 წელს 65,4%-ის, ხოლო 2014 წელს 66,4%-ის მიმართ), რომ სასამართლო ინტენსიურად მიმართავს თავისუფლების აღკვეთის შეცვლის ამგვარ ფორმას და დამატებით სასჯელად ხშირად იყენებს ჯარიმას[484] ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის ეროვნული ბიუროს 2015 წლის ივნისის თვის მონაცემებით სულ ირიცხება 14426 პრობაციონერი, საიდანაც 22 არასრულწლოვანია.[485] 2010 წლის მონაცემებით, პრობაციონერთა საერთო რაოდენობა იყო 31223, მათ შორის 528 არასრულწლოვანი, 2015 წლის მონაცემები ნამდვილად მიუთითებს ლიბერალური კრიმინალური პოლიტიკის განხორციელებაზე. თუ 2010 წლის მონაცემებით პრობაციის ბიუროს ერთ ოფიცერს ქალაქ თბილისში კონტროლი უნდა განეხორციელებინა, დაახლოებით, 500 პრობაციონერზე, მათ შორის არასრულწლოვნებზეც, საქართველოს სხვადასხვა რაიონში ეს მონაცემები გაცილებით ნაკლები იყო და რეგიონების მიხედვით მერყეობდა 100-დან 200 პრობაციონერამდე პრობაციის ბიუროს ერთ ოფიცერზე, 2013-14 წლის მონაცემებით, პრობაციის ერთ ოფიცერს 80 მსჯავრდებულთან მუშაობა ევალებოდა,[486] რაც მისასალმებელია და მსჯავრდებულთან მუშაობის და მისი კონრტროლის მეტ საშუალებას იძლევა.

სწორედ ის ფაქტი, რომ პრობაციის ოფიცერს ფიზიკურად უნდა ჰქონდეს დრო ზედამხედველობა/მონიტორინგი გაუწიოს არასრულწლოვანი პრობაციონერის ქცევას, შეხვდეს მას, შევიდეს მასთან ნდობაში[487] და გაიგოს მისი პრობლემები, რათა მოახერხოს მათი გადაჭრა, უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში სწორედ პირობითი მსჯავრის (გამოსაცდელი ვადის) პერიოდში, როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივი კონტროლის ნაკლებობის გამო არასრულწლოვანი სჩადის კიდევ ერთ დანაშაულს, რასაც შედეგად მოჰყვება ჩადენილი დანაშაულისა და პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შეკრება, რაც თავისთავად იწვევს სასჯელის საერთო ზომის მკვეთრ ზრდას.

მართალია, არასრულწლოვანი დამნაშავისათვის გამოსაცდელი ვადის დაწესება მისასალმებელი პრაქტიკაა, მაგრამ ვფიქრობთ, აუცილებელია

---

484 საქართველოს 37 საერთო სასამართლოს მიერ 2006-2008 წლებში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 152 განაჩენის ანალიზმა აჩვენა, რომ 184 არასრულწლოვანი პირიდან 162-ის მიმართ სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა ჯარიმა, როგორც დამატებითი სასჯელი, რომლის საფუძველზეც შემოსულმა ფულადმა თანხამ 426 754 ლარი შეადგინა; აღნიშნული ტენდენცია იმის მიუხედავად, რომ საგრძნობლად შეიცვალა და ჯარიმის დაკისრება ასეთ სისტემურ ხასიათს აღარ ატარებს, მაინც ხშირია მისი გამოყენების შემთხვევები (განსაკუთრებით საპროცესო შეთანხმებების დროს).

485 http://www.probation.gov.ge (30 ივლისი 2015 წელი)

486 შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., 2014. გვ. 465.

487 იგივე, გვ. 461.

შემუშავდეს სპეციალური ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება პრობაციონერებისათვის მოტივაციის ამაღლება, გარკვეულ აღმზრდელობით პროგრამებში მონაწილეობა და კონტროლი პრობაციონერი არასრულწლოვანის ქცევაზე. არასრულწლოვნისათვის გამოსაცდელი ვადის დანესება ხშირად უარყოფით შედეგს იძლევა, მაგალითად, არასრულწლოვანმა ჩაიდინა ქურდობა, გათვალისწინებული სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილით. ზიანის საერთო ოდენობა 200 ლარი. არასრულწლოვანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 63-ე და 64-ე მუხლების და აკ-ს 74-ე მუხლის საფუძველზე მას ეცვლება პირობით მსჯავრად 3 წლით გამოსაცდელი დროის დანიშვნით. იგი გადაეცა პრობაციის სამსახურს, რომელმაც სათანადოდ ვერ უზრუნველყო მისი ქცევის კონტროლი და არასრულწლოვანმა განმეორებით ჩაიდინა ქურდობა, გათვალისწინებული სსკ 177-ე მუხლის I ნაწილით, ზიანის საერთო ოდენობა 100 ლარი. მოსამართლეს არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ არასრულწლოვანს მიუსაჯოს 4 ან 6 წლით თავისუფლების აღკვეთა (სამი წელი პირობითი + ერთიდან სამ წლამდე მეორე დანაშაულისათვის). რეალურად არასრულწლოვანმა, რომელმაც ორი ნაკლებად მძიმე ხასიათის დანაშაული ჩაიდინა, და რომლის ზიანის საერთო ოდენობა არ აღემატება 300 ლარს, უნდა მოიხადოს ოთხიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა. არასრულწლოვანს სასჯელის მოხდის შემდეგ ექნება საზოგადოებაში ინტეგრაციის დიდი პრობლემა (მისი მეგობრები იქნებიან მასზე წარმატებულები და ზურგს შეაქცევენ ციხიდან ახლად გამოსულს, რთული ან თითქმის შეუძლებელი იქნება მისთვის სამსახურის მოძიება და ოჯახის წევრებთან ახალი ურთიერთობის დაწყება). უკვე სრულწლოვანი, სავარაუდოდ, დაადგება კრიმინალური კარიერის შექმნის გზას, გააგრძელებს დანაშაულებრივი გზით ცხოვრებას და ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებიც მას გაუგებენ (ციხიდან გამოსულები). ყოველივეს მიზეზი შეიძლება იყოს სწორედ არასრულწლოვნის მიერ პირველად ჩადენილი დანაშაულის შემდეგ მასზე განხორციელებული არასათანადო სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი კონტროლი.

შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია გაძლიერდეს პრობაციის ეროვნული სამსახურის საქმიანობა უფრო მეტი კვალიფიციური კადრით, რომელთაც სპეციალური მომზადება ექნებათ მოზარდთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში და შეძლებენ არასრულწლოვანი პრობაციონერებისათვის აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებების დაგეგმას და განხორციელებას.

გერმანიაში მართლმსაჯულების განხორციელების პრაქტიკოსებს (მოსამართლე, ადვოკატი, ფსიქოლოგი) მოზარდი პრობაციონერის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება შესაძლებლად მიაჩნიათ, თუ მოზარდს: 1) ჰყავს პრობაციის კარგი ოფიცერი, რომელიც ზრუნავს მისი კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე, 2) აქვს ახალი სამსახური, რაც უზრუნველყოფს მისთვის დღის დაგეგმილ რეჟიმს, და 3) (არაკრიმინალი) მეგობარი ქალი, რომელიც მოზარდს ახალი ცხოვრების (დანაშაულის გარეშე ცხოვრების) დაწყების სურვილს გაუჩენს და დაეხმარება მას, მათ შორის სამსახურის დაწყებაში.

2.8.2. თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის აუცილებელი პირობები

ამკ-ს მე-14 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების (მათ შორის თავისუფლების აღკვეთის შესახებ განაჩენის) მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ამავე კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი მიუთითებს სასჯელის დანიშვნის ზოგად პრინციპებზე, ხოლო ამკ-ს მე-14 და 75-ე მუხლები ზოგად პრინციპებთან ერთად აუცილებლად მიიჩნევს არასრულწლოვნის, როგორც ცხოვრებისეული და აღზრდისა და განვითარების პირობების, ისე პიროვნული მდგომარეობის შეფასებას.

სს კოდექსის 53-ე მუხლის ეს ნორმა მეტად ზოგადია და გამოიყენება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ, ამიტომ მხოლოდ მასზე დაყრდნობა სასჯელის დანიშვნის დროს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის შესაბამისი არ იქნებოდა. შესაბამისად, აუცილებელია სასჯელის დანიშვნის ზოგად პრინციპებთან ერთად, განხილულ, გაანალიზებულ და გათვალისწინებულ იქნეს ამკ-ს მე-14 და 75-ე მუხლებით განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლებიც სრულ სურათს შექმნიდა არასრულწლოვნის პიროვნების მდგომარეობის შესახებ.

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არის ნამდვილი კრიმინალური სასჯელი, ამიტომ იგი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევაში, როგორც ერთადერთი და უკიდურესი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე. მისი გამოყენება შეიძლება როგორც ***„Ultima Ratio" – უკანასკნელი საშუალება*** – მხოლოდ მას შემდეგ, რაც სხვა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებმა, რომელიც გატარდა არასრულწლოვნის მიმართ, რაიმე დადებითი შედეგი არ გამოიღო და არასრულწლოვანი კვლავ აგრძელებს დანაშაულის ჩადენას,[488] ან ჩადენილი დანაშაულის მძიმე ხასა-

488 Laubenthal, K./Baier, H., 2006. S. 160; Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 165.

იათიდან გამომდინარე შეუძლებელია სხვა სასჯელის გამოყენება.[489]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. კანონმდებელი არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ორ სახეზე მიუთითებს: 1. სასჯელი და 2. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებასთან ერთად 2016 წლის პირველი იანვრიდან სს კოდექსით გათავლისწინებული აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება ამოღებულ იქნა სს კოდექსიდან და ახალ ამკ-ს ნორმებში მოხდა მისი ნაწილობრივი ინტეგრაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე და ამკ-ს მე-14 და 75-ე მუხლების პირობების გაანალიზებისას, თუ დადგინდა, რომ არასრულწლოვნის ე. წ. „საზიანო გადახრასთან" („საზიანო გადახრა" ინგლისურად ნიშნავს „criminal tendencies", ხოლო გერმანულად „Schädliche Neigungen") გვაქვს საქმე, შესაძლებელია მისთვის თავისუფლების აღკვეთის მისჯა.[490]

არასრულწლოვნის „საზიანო გადახრა", ანუ „კრიმინალური გადახრები" გამომდინარეობს მისი პიროვნებიდან, რაც გამოწვეულია აღზრდით და/ან სოციალური გარემოთი, რომელთანაც კავშირი აქვს არასრულწლოვანს და რაც მისი განვითარების ამ ეტაპზე არა მარტო საზოგადოების სრულუფლებიან წევრობას უშლის ხელს, არამედ საზოგადოებას აფიქრებინებს, რომ მან შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული, რაც ადამიანთა თანაცხოვრებას შეუშლის ხელს.[491]

არასრულწლოვნის „საზიანო გადახრებში" იგულისხმება ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის სურვილი, რომელიც სავარაუდოდ მძიმე ხასიათის იქნება.[492] ის, რომ მისმა დანაშაულებმა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივ თანაცხოვრებას შეუშალოს ხელი, ან ჩაიდინოს მსუბუქი ხასიათის დანაშაულები (Bagatelldelikten) არ არის საკმარისი და თანაზომიერების კონსტიტუციურ პრინციპს არ შეესაბამება.[493] არასრულწლოვნის პიროვნების შეფასებამ უნდა აჩვენოს, რომ მას შეუძლია მძიმე ხასიათის დანაშაულებით საზოგადოებრივ თანაცხოვრებას მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი.[494]

ზოგადად ივარაუდება, რომ სპონტანურად, შემთხვევის გამოყენებით, ჯგუფის ზეგავლენით ან კონფლიქტიდან გამომდინარე დანაშაულის ჩადენა

489 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 216.

490 „საზიანო გადახრის" ცნება მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა. პირველად იგი ავსტრიის 1928 წლის კანონში „არასრულწლოვან დამნაშავეთა ღონისძიებების" შესახებ გამოჩნდა.

491 Schaffstein, F. /Beulke, W., 2005. S. 142; Diemer, H. /Schoreit, A. /Sonnen, B-R., 2008. S. 192; Eisenberg, U., 2010. S. 238; Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 218; Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 168.

492 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 169.

493 იქვე.

494 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 218.

არ მიუთითებს არასრულწლოვნის „საზიანო გადახრაზე“.[495]

არასრულწლოვანში „საზიანო გადახრების“ დადგენა მნიშვნელოვანია მისი პროფილაქტიკის მიზნებიდან გამომდინარე. ის შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს იყოს „მოქნილი“, თითოეული არასრულწლოვანი შეაფასოს პიროვნებიდან გამომდინარე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს მისთვის სასჯელის დანიშვნის ღონისძიებები.

არასრულწლოვნის „საზიანო გადახრა“ შედგება სამი ელემენტისაგან: 1) **არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლი**, რომლის საფუძველზეც უფლებამოსილი ორგანო (პირი) – მოსამართლე – აკეთებს მასზე 2) **უარყოფით დასკვნას** (პროგნოზს), რაც 3) **ციხის პირობებში არასრულწლოვნის აღზრდას** – რესოციალიზაციას – მოითხოვს (ისახავს მიზნად). განვიხილოთ თითოეული კრიტერიუმი ცალ-ცალკე:

1. არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლი

არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლი არის არასრულწლოვნის პიროვნული განვითარების დამახინჯება, რომელიც არ გამორიცხავს მომავალში მის მიერ დანაშაულის ჩადენას, რაც აუცილებელს ხდის არასრულწლოვნის მიმართ ხანგრძლივად პედაგოგიური ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას.[496] არასრულწლოვნის პიროვნებაში ნაკლი შეიძლება გამოწვეული იყოს მისი პიროვნული ჩვევებიდან გამომდინარე, არასწორი აღზრდით ან გარე სამყაროს ნეგატიური გავლენით.[497]

არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლი სახეზე უნდა იყოს როგორც დანაშაულის ჩადენის წინ და ჩადენის მომენტში, ასევე ჩადენის შემდეგ. არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლის დადგენისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ე. წ. „დამნაშავის ფსიქოსოციალურ დიაგნოზს“.[498] ეს სამედიცინო ცნება კრიმინოლოგიური თვალსაზრისით უნდა იქნეს დანახული. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორებია არასრულწლოვნის პიროვნება და მისი სოციალური გარემო: არასრულწლოვნის მიერ განვლილი გზა ოჯახში, სკოლაში, სამსახურში და თავისუფალი დროის გამოყენების დროს, აგრეთვე მისი ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრებისეული (სამომავლო) პერსპექტივები.[499] გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირობებისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რასაც სრულწლოვანი ადამიანები არასრულწლოვნის პიროვნულ ნაკლად შეაფასებენ, შეიძლება იყოს ნორმალური მოვლენა, რაც არასრულწლოვნის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური გადრამავალი პერიოდით არის განპირობებული.[500]

პრაქტიკაში გამორიცხულია იმ არასრულწლოვნისათვის პიროვნული ნაკლის დადგენა, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ გამონაკლისის სახით შესაძლებელია არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლი დადგ-

495 Laubenthal, K./Baier, H./Nestler, N., 2015. S. 329.
496 Eisenberg, U., 2010. S. 238.
497 Eisenberg, U., 2010. S. 238; Schaffstein, F. /Beulke, W., 2005. S. 143.
498 Diemer, H. /Schoreit, A. /Sonnen, B-R., 2008. S. 195.
499 იქვე.
500 იქვე.

ინდეს თუნდაც პირველი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, თუ იგი დანაშაულის ჩადენისას აქტიურობითა და ძალადობით მკვეთრად გამოირჩეოდა.

არასრულწლოვნის მიერ მშობლების აღმზრდელობითი ნორმების უგულებელყოფა და თანატოლების ჯგუფზე ორიენტაცია არ მეტყველებს მის პიროვნულ ნაკლზე. ჯგუფური დინამიკა და მისი ზეგავლენა არასრულწლოვანზე ახალგაზრდა ადამიანთათვის ნორმალური ფენომენია და იგი არ შეიძლება დანახულ იქნეს, როგორც არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლი, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს.

ასევე მის „საზიანო (კრიმინალურ) გადახრაზე" არ მეტყველებს მის მიერ დანაშაულის სპონტანურად – კონფლიქტიდან, შესაძლებლობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე – ჩადენა. დანაშაულის სპონტანურად ჩადენა ხდება მაშინ, თუ არასრულწლოვანი ყოველგვარი წინასწარი მოფიქრების გარეშე სჩადის დანაშაულს. დანაშაული მიიჩნევა კონფლიქტის გამო ჩადენილად, თუ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე არასრულწლოვანი მეორე პირს მიაყენებს სხეულის დაზიანებას. შესაძლებლობიდან გამომდინარე დანაშაულის ჩადენად მიიჩნევა არასრულწლოვნის მიერ რაიმე მოვლენის გამოყენება, მაგალითად, სადგომზე მდგომი ავტომანქანიდან, რომლის მინა ჩაწეულია, არასრულწლოვანი იღებს ხელჩანთას. სპონტანურად, შესაძლებლობიდან და კონფლიქტიდან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენას უნდა ჰქონდეს მოქმედების მყისიერობა, ანუ არასრულწლოვნის უკანონო ქმედება არის დანაშაულის მომენტში გადაწყვეტილი და ჩადენილი. დანაშაულის საჭიროებიდან გამომდინარე ჩადენაში იგულისხმება ის უკიდურესი მდგომარება, რომელშიც არასრულწლოვანი იმყოფებოდა და რომლიდანაც, დანაშაულის ჩადენის გარდა, სხვა საშუალებით თავის დაღწევა მას შეუძლებლად მიაჩნდა (შიმშილობისაგან თავის დაღწევის მიზნით, მაღაზიიდან სასურსათო პროდუქტების მოპარვა).

მნიშვნელოვანია ასევე არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედება. „კრიმინალური გადახრა" სწორედ დანაშაულის ჩადენის დროს უნდა გამოიხატოს, რაც საფუძველი იქნება იმის მტკიცებისა, რომ მას პიროვნული განვითარების ნაკლი აქვს, რომლის გამოსწორებაც აუცილებელია ციხის პირობებში.[501] მაგალითად, არასრულწლოვანს ჩადენილი ჰქონდა ქურდობა, ხოლო შემდეგ მან ჩაიდინა სხეულის განზრახ დაზიანება. შეუძლებელია იმის თქმა, რომ არასრულწლოვანს აქვს პიროვნული ნაკლი, ვინაიდან წარმოდგენილია ორი სრულიად საპირისპირო ხასიათის დანაშაული. სხვაგვარად იქნებოდა საქმე, თუ არასრულწლოვანს ქურდობის დროს დანაშაულზე წაასწრებდნენ და იგი სხვა პირს სხეულის განზრახ დაზიანებას მიაყენებდა დანაშაულის დაფარვის, მოპარულის შენარჩუნების თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლი თვალსაჩინოა, თუ არასრულწლოვან დამნაშავეს, თავისი პიროვნულობიდან გამომდინარე, მცდარი შინაგანი სურვილები (იმპულსები) ჩვევაში აქვს გადაქცეული (სუბიექტური კომპონენტი) და არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ იგი კიდევ ჩაიდენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს (ობიექტური კომპონენტი).[502]

---

501 Laubenthal, K./Baier, H., 2006, S. 274.

502 იქვე, გვ. 272.

2. უარყოფითი დასკვნა (პროგნოზი)

პიროვნების შესახებ დასკვნის (პროგნოზის) გაკეთება მეტად რთულია. მით უფრო რთულია ეს მოზარდის შემთხვევაში და თან მასში კრიმინოლოგიური სახის ნაკლის დადგენა.[503] ფსიქოპათიური და ნევროტული (Neurotisch) ხასიათის დეფიციტთან ერთად, გასათვალისწინებელია, მოზარდის გარდატეხის მდგომარეობისგან (ხშირი უხასიათობა, ხასიათის უცაბედი (უმიზეზო) გაუარესება ან, პირიქით, სურვილთა მრავალფეროვნება, ზედმეტი ემოციურობა, გულმავიწყობა, ფანტაზიურობა, წინდაუხედაობა, გადაწყვეტილების მიღების სირთულე) გამოწვეული ნიშნები.[504]

არასრულწლოვნის შესახებ უარყოფითი პროგნოზის გაკეთება ხდება არასრულწლოვნის პიროვნული ნაკლის დადგენის საფუძველზე. არასრულწლოვანი დამნაშავის უარყოფითი კრიმინოლოგიური, ანუ „ფსიქოსოციალური დიაგნოზი" გულისხმობს იმ საშიშროების დადგენას, რომ არასრულწლოვანი ჩაიდენს სხვა დანაშაულებს, თუ მას არ შეეფარდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ადამიანის შესახებ დასკვნის (პროგნოზის) გაკეთების მეცნიერული თვალსაზრისი გამორიცხავს ზუსტი პროგნოზის გაკეთებას. პროგნოზთა კვლევის თანახმად, მეტად ძნელია იმ საშიშროების წინასწარ გამოცნობა, რომელიც არასრულწლოვანმა შეიძლება მიაყენოს საზოგადოებას.[505] ასეთი პროგნოზის გაკეთება მით უფრო რთულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას (არასრულწლოვნის შეფასებას) ისეთი პირები ახორციელებენ, რომლებსაც ახლო ურთიერთობა არ ჰქონიათ და არ აქვთ არასრულწლოვანთან და მხოლოდ არასრულწლოვანთან რამდენიმე გასაუბრების (ხშირ შემთხვევაში კი მის ხელთ არსებული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე, რომელიც მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება და მოკლე და ანალიზისთვის არასაკმარის ან საერთოდ არავითარ ინფორმაციას არ იძლევა არასრულწლოვნის განვლილ ცხოვრებასა და მის სოციალურ გარემოზე) საფუძველზე აფასებენ მას და გეგმავენ მისი გამოსწორების გზებს.

არასრულწლოვნის შესახებ უარყოფითი პროგნოზის გაკეთებას დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვნისთვის. არასრულწლოვნის „ოფიციალურად" კრიმინალად გამოცხადებას, ანუ მის ეტიკეტირებას, შეიძლება მოჰყვეს არასრულწლოვნის მიერ მისთვის „მინიჭებული" დამნაშავის სტატუსის აღიარება და უკვე ციხის პირობებში მისი გამართლება. იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვნის კრიმინალად ეტიკეტირება,[506] საჭიროა არასრულწლოვანთა მოსამართლემ არასრულწლოვნის შესახებ უარყოფითი პროგნოზის გაკეთება მოახერხოს პედაგოგიური თვალსაზრისით, ანუ იმსჯელოს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, მის პიროვნებაზე ისე, რომ არასრულწლოვანმა თავი არა კრიმინალად, არამედ საზოგადოების ნაწილად იგრძნოს, რომელმაც (არასრულწლოვანმა) თავის ქმედებებში ისეთი შეცდომა დაუშვა, რისი გამოსწორებაც ჯერ კიდევ (თუნდაც ციხის პირობებში) შესაძლებელია.

---

503 Ostendorf, H., 2009. S. 163.

504 იქვე.

505 Diemer, H. /Schoreit, A. /Sonnen, B-R., 2008. S. 197.

506 Laubenthal, K./Baier, H., 2006. S. 275.

არასრულწლოვნის შესახებ პროგნოზის გაკეთების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. ამ მხრივ გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც მოზარდის პიროვნება, ისე მისი სოციალური გარემო და ოჯახური მდგომარეობა.

არასრულწლოვნის შესახებ პროგნოზის გაკეთების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის საქციელს ჩადენილი ქმედების შემდეგ. დადებითად უნდა შეფასდეს მისი მისწრაფება აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზარალი, მოუხადოს მას ბოდიში და ა. შ.[507]

ასევე დადებითად უნდა შეფასდეს მოზარდის მტკიცე ოჯახური მდგომარეობა, მისი კარგი ურთიერთობა მშობლებთან, ოჯახის მყარი ფინანსური მდგომარეობა.[508]

დადებითად არის ასევე შესაფასებელი, თუ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ პირველ და მეორე დანაშაულს შორის საკმაოდ დიდი დრო არის გასული.

ასევე დადებითად შეიძლება შეფასდეს პირობითი მსჯავრის დროს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენა და აუცილებელი არ გახდეს მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, თუ არასრულწლოვანი მანამდე პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, სერიოზულად იდგა გამოსწორების გზაზე და თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული მსუბუქი ხასიათისაა[509] (მაგალითად, პრობაციონერი მოზარდი ერთი წელი უკვე მუშაობს. მისი მუშაობით კმაყოფილები არიან როგორც პრობაციის ოფიცერი, ასევე დამსაქმებელი. მოზარდს მეგობრებთან ყოფნის დროს ჩხუბი მოუვიდა სხვა არასრულწლოვნების ჯგუფთან და ერთ-ერთ მათგანს მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება).

არასრულწლოვნის შესახებ პროგნოზის გაკეთების დროს დადებითი მომენტების არსებობის შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია ამ მომენტების გამოყენებითა და გათვალისწინებით არასრულწლოვანს დაუნიშნოს ისეთი სახის ალტერნატიული სასჯელი,[510] რომელიც მასში (არასრულწლოვანში) აამაღლებს საზოგადოებრივი ნორმების მიმართ პატივისცემას. აღნიშნული ხელს შეუწყობს იმ გარემოებას, რომ მოზარდმა კავშირი (შემხებლობა) არ იქონიოს ციხესთან.

გარდა არასრულწლოვანში გამოვლენილი ნაკლის საფუძველზე გაკეთებული უარყოფითი დასკვნისა, სასჯელის დანიშვნა შეიძლება, თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მაშინ სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა) გარდაუვალია, ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში სსკ 53-ე და ამკ-ს მე-14 მუხლების კრიტერიუმებს მცირედი დატვირთვა ენიჭება და ისიც მხოლოდ სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

გთავაზობთ არასრულწლოვნის პიროვნების შესახებ პროგნოზის გაკეთების გრაფიკულ გამოსახულებას, სადაც აღწერილია პროგნოზის გაკეთებისათვის საჭირო დადებითი და უარყოფითი ფაქტორები:[511]

---

507 Ostendorf, H., 2007. S. 163.

508 იქვე.

509 იქვე.

510 Eisenberg, U., 2010. S. 241.

511 Ostendorf, H., 2009. S.65.

დადებითი	განსახილველი ფაქტორები	უარყოფითი
	1. მოზარდის სოციალიზაცია	
სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობები ოჯახში		მისაბაძი პირების ხშირი ცვლა ბავშვობაში; დიდი ხნით ბავშვთა სახლში ყოფნა
მშობლების აღზრდის მისაღები მეთოდები		მიუღებელი (მკაცრი) აღზრდის მეთოდები ან აღზრდის განუხორციელებლობა
ნორმალური ქცევა სკოლაში		სკოლაში ხშირი დასჯა და სკოლიდან გარიცხვა
		მშობლების მხრიდან კანონით დადგენილი ნორმების დარღვევა
	2. სოციალური ურთიერთობები	
მშობლებთან კარგი, ნორმალური ურთიერთობა. ნორმალური ურთიერთობა კონფორმულ თანატოლებთან		სოციალური იზოლაცია ან ურთიერთობა კრიმინალური მენტალიტეტის მატარებელ (სუბკულტურის) თანატოლებთან
	3. სასწავლო და სამუშაო გარემო	
სწავლობს საგანმანათლებლო, პროფესიულ სასწავლებელში ან აქვს მყარი სამუშაო ადგილი		ხშირად იცვლის სამუშაოს, არ სწავლობს

	4. საცხოვრებელი ადგილი	
აქვს საკუთარი ოთახი, ბინა, სადაც თავს კომფორტულად გრძნობს		ხშირად იცვლის საცხოვრებელ გარემოს, ცხოვრობს უცხო პირებთან. აქვს ცხოვრების ცუდი პირობები. არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი
	5. თავისუფალი დრო	
თავისუფალი დროის აქტიური დაგეგმვა და გამოყენება. ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღების კონტროლი. ფულის რეალისტური, ეკონომიკური ხარჯვა		თავისუფალ დროს ატარებს ქუჩაში – „ბირჟაზე". ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებულება. ეკონომიკური შემოსავლის შეუსაბამოდ თავისუფალი დროის გატარება
	6. ნასამართლობა	
ნასამართლობის არქონა ან ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც დიდი მნიშვნელობით არ გამოირჩევა პროგნოზის გაკეთების დროს (მაგ., გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანება მოძრაობის წესების დარღვევის გამო)		ჩადენილი აქვს რამდენიმე დანაშაული

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა, უნდა ატარებდეს პოზიტიური, ინდივიდუალური (სპეციალური) პრევენციის ხასიათს. პოზიტიური ინდივიდუალური პრევენციით დამნაშავის რესოციალიზაცია უნდა მოხდეს ისეთი სახის ღონისძიებებით, რომელთა მიზანი იქნება დამნაშავის პიროვნულ განვითარებაში არსებული პრობლემებისა და სოციალიზაციის ნაკლებობის გამოსწორება.[512]

3. ციხის პირობებში არასრულწლოვნის აღზრდა

არასრულწლოვნის „საზიანო გადახრების" ერთ-ერთი ელემენტი არის არასრულწლოვანში ნაკლის (კრიმინალური გადახრის) დადგენის საფუძველზე მასთან გრძელვადიანი აღმზრდელობითი ღონისძიებების გამოყენება

512 Albrecht, P.-A., 2005. S. 43.

თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით. არასრულწლოვანში „საზიანო გადახრა" იმ ხარისხის უნდა იყოს, რომ სხვა ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა: ჯარიმა, გაფრთხილება, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, ქცევის შეზღუდვა – ზემოქმედებას ველარ ახდენდნენ მის გამოსწორებაზე და საჭირო იყოს უფრო ინტენსიური, წინასწარდაგეგმილი ღონისძიებები, რომლის მიზანია არასრულწლოვანზე აღმზრდელობითი ზემოქმედების მოხდენა.[513]

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თვალსაზრისით, აღზრდაში იგულისხმება ის მოქმედებანი (ღონისძიებანი), რომელთა საშუალებითაც აღმზრდელი ცდილობს აღსაზრდელის გამოსწორებას, მასში საზოგადოებაში აღიარებული ნორმების განმტკიცებას და იმ საქციელის ან შეხედულებების შეცვლას, რომლებსაც საზოგადოება მცდარად მიიჩნევს.[514] აღზრდის ღონისძიებანი უნდა იყოს წინასწარდასახული, დამნაშავის პიროვნების შესაბამისი და აღმზრდელის მიერ აღზრდის მიზნით არასრულწლოვანთან გამოყენებული.[515]

კრიმინოლოგიური თვალთახედვით, არასრულწლოვანი დამნაშავის აღზრდა, ანუ რესოციალიზაცია არის, ე. წ. პირველადი ან განმეორებითი, სოციალიზაცია,[516] ვინაიდან ხშირად ისინი (არასრულწლოვანი დამნაშავეები) სწორედ სოციალიზაციის ნაკლებობას განიცდიან, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სოციალიზაციისათვის საჭირო პირობების არარსებობით. იურიდიულ ლიტერატურაში რესოციალიზაცია გულისხმობს დამნაშავე პირის საზოგადოებაში, სოციალურ გარემოში დაბრუნებას დანაშაულის ჩადენის გარეშე. რესოციალიზაცია გაგებულ უნდა იქნეს როგორც ცხოვრებისეული სოციალიზაციის პროცესის ნაწილი. სიტყვა „რესოციალიზაციის" კომპონენტი „რე" გულისხმობს, რომ დამნაშავის სოციალიზაცია მოხდა საზოგადოებრივი ნორმებისა და ღირებულებების გარეშე ან გაუთვალისწინებლად, რის გამოც მისი უკან („რე"სოციალიზაცია) საზოგადოებაში დაბრუნება არის აუცილებელი.[517]

არასრულწოვნისთვის ამკ-ს 73-ე მუხლით გათვალისწინებული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა დაინიშნოს სასჯელის მისჯის უკიდურეს ზომად, როდესაც არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამოყენებულმა როგორც მოკლევადიანმა, ასევე გრძელვადიანმა აღმზრდელობითმა ღონისძიებებმა ვერ მოახდინეს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე ზეგავლენა.

თუ არსებობს, თუნდაც სულ მცირე, ალბათობა, რომ არასრულწლოვანი შეიძლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარეშეც გამოსწორდეს, ეს ალტერნატიული სასჯელი აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ციხემ შეიძლება გამოუსწორებელი დაღი დაასვას არასრულწლოვანს.[518] გასათვალისწინებელია ასევე, რომ არასრულწლოვანი პატიმარი (14 წლის),

513 Diemer, H. /Schoreit, A. /Sonnen, B-R., 2008. S. 196.
514 Steinbach, Ch., 2003. S. 17.
515 Butz, K., 2003. S. 13; Weber, M., 1990. S. 44.
516 Cornel, H. u.a., 2009. S. 28.
517 Cornel, H. u.a., 2009. S. 29; რესოციალიზაციაზე ვრცლად იხ: შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., 2014. გვ. 74-84.
518 Laubenthal, K./Baier, H., 2006. S. 275.

მისი ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური განვითარებიდან (მდგომარეობიდან) გამომდინარე, ადვილად შეიძლება მოექცეს მასზე უფროსი პატიმრის (17-18 წლის) ზეგავლენის ქვეშ. უფროსი ასაკის პატიმრის ზეგავლენას მხოლოდ ნეგატიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს უმცროსი პატიმრის შეხედულებებზე. უმცროსისათვის უფროსი პატიმარი მისაბაძ ფიგურადაც შეიძლება იქცეს, რომლის კრიმინალური თავგადასავალი დიდი აღფრთოვანებით იქნება აღქმული და გახდება მისაბაძი.[519]

კანონმდებელი, ითვალისწინებს რა დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანს, მიაჩნია, რომ არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მასზე ასაკით უფროსი პირების ზეგავლენა, რათა არ მოხდეს მისთვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მისჯის პირობებში მისი გაკრიმინალება, სხვა უფროს პატიმრებთან ურთიერთობიდან გამომდინარე.

მოსამართლე, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი ბავშვთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, ვალდებულია პედაგოგიური თვალსაზრისით გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მისჯა უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის გამოსწორებას (აღზრდას). ამიტომ ზომიერად დიდ ან ზომიერად პატარა სასჯელს შეიძლება პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ეფექტურობა არ ჰქონდეს. კერძოდ, მცირე ზომის სასჯელის დანიშვნისას (იგულისხმება ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა) არასრულწლოვანი ეცნობა სასჯელაღსრულების დანესებულების ნეგატიურ ბუნებას, ეცნობა სხვადასხვა კრიმინალურ ელემენტს და ტოვებს არასრულწლოვანთა დაწესებულებას ისე, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია (ნაკლები დროის გამო) ვერც კი ახერხებს მასთან რაიმე აღმზრდელობითი სახის ღონისძიებების გატარებას და უბრუნდება საზოგადოებას ნასამართლევი.[520] არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის გრძელვადიანი სასჯელის (იგულისხმება 5 წელი და მეტი) უარყოფითი თვისება, პედაგოგიური თვალსაზრისით, ისიც არის, რომ არასრულწლოვანთა დაწესებულების მიერ პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში გატარებული აღმზრდელობითი ღონისძიებების ცხოვრებაში გამოყენებას არასრულწლოვანი ვეღარ ახერხებს გრძელვადიანი საჯელის გამო და იგი კრიმინალური კარიერისკენ უფრო ისწრაფვის, ვიდრე რესოციალიზაციარეაბილიტაციისაკენ. მაღალი ზომის სასჯელს აღარ აქვს პრევენციული ხასიათი და სამაგიეროს მიზღვას ემსგავსება. ასევე იწყება უკულტურობის პროცესი, სოციალური კონტაქტების დაკარგვა და იზრდება კრიმინალური სუბკულტურის წევრობის ან ნორმების აღიარების ალბათობა.[521]

გარდა ამისა, მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთამ არასრულწლოვან დამნაშავეში შესაძლებელია გამოიწვიოს ფრუსტრაცია,[522] რაც ხელს შეუშლის მის საზოგადოებაში დაბრუნებას, მის რესოციალიზაციას.

---

519 შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., 2014. გვ. 456.

520 Laubenthal, K./Baier, H./Nestler, N., 2015. S. 340.

521 Laubenthal, K./Baier, H./Nestler, N., 2015. S. 328, 340; შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ ხასია, მ., 2014. გვ. 470-472.

522 Ostendorf, H., 2009. S. 152; Peters, K., 1960. S. 193; Mollenhauer, W., 1961, S. 162.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენად მოქმედებს ციხის პირობები პიროვნების (არასრულწლოვნის) რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე, ანუ სჩადის თუ არა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებული არასრულწლოვანი კვლავ დანაშაულს. დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ის მოზარდები, რომელთაც საპატიმრო სასჯელი შეეფარდათ, სხვებთან შედარებით, უფრო ხშირად სჩადიან განმეორებით დანაშაულს. მათ შორის, დაახლოებით 75-80% ხელმეორედ სჩადის დანაშაულს გათავისუფლებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში და თითქმის ნახევარი ისევ უკან უბრუნდება სასჯელაღსრულებით დაწესებულებას.[523] ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავს ლ. ფაფიაშვილი: „კრიმინალურმა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიამ, ასევე ციხეებიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის სასჯელის ხელმეორედ მისჯის მაღალმა დონემ აჩვენა დასჯაზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი კონტროლის ტრადიციული მიდგომის მარცხი".[524]

2.8.3. თავისუფლების აღკვეთის გამოყენების თავისებურება

ამკ-ს 73-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად, 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა ერთი მესამედით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა ერთი მეოთხედით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სსკ-ს 88-ე მუხლისგან განსხვავებით ახალი ამკ-ს 73-ე მუხლი უფრო ლმობიერია 16-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ და ნაცვლად 15 წლით თავისუფლების აღკვეთისა ითვალისწინებს 12 წლით თავისუფლების აღკვეთას. მოცემული მუხლი ანესებს არასრულწლოვნისათვის სასჯელის სხვა ზომას, ვიდრე სრულწლოვანს შეიძლება შეეფარდოს. აღნიშნული არის არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც ფრიად მისასალმებელია.[525]

სანამ უშუალოდ ამკ-ს 73-ე მუხლს განვიხილავთ, საინტერესოა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის მიზნების გარკვევა.

- **რესოციალიზაცია – მსჯავრდებულის კონსტიტუციური უფლება**

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი სოციალური სახელმწიფოს პრინციპსაც მოიცავს. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, დაეხმაროს ისეთ ადამიანებს (მსჯავრდებულებს),

---

523 Diemer, H. /Schoreit, A. /Sonnen, B-R., 2008. S. 196; Ostendorf, H., 2013. S. 193.

524 ფაფიაშვილი ლ., 2008, გვ. 153.

525 მოცემულ თავში გამოყენებულია წიგნის ავტორის (მ.შალიკაშვილის) სტატია, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „მართლმსაჯულების ხმა", №1, 2014.

რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ვეღარ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, მსჯავრდებულს შეუქმნას რესოციალიზაციისთვის საჭირო ყველა პირობა.[526] მსჯავრდებულის უფლება რესოციალიზაციაზე მომდინარეობს სახელმწიფოსადმი საზოგადოების დაკვეთიდან, სახელმწიფომ ყველა ღონე იხმაროს, გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რომ დამნაშავემ აღარ ჩაიდინოს დანაშაული. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ემსახურება თვითონ საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებულია, რომ მსჯავრდებულმა განმეორებით არ დააზიანოს თანამოქალაქეები.[527]

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლში განსაზღვრული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სასჯელის მიზნებთან მიმართებით გულისხმობს, რომ სასჯელის თითოეული მიზანი, საბოლოო ჯამში, სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უნდა იწვევდეს. არასრულწლოვნის შემთხვევაში ხდება არა მისი რესოციალიზაცია, არამედ მისი აღზრდა. ხშირად აღზრდა და რესოციალიზაცია სინონიმებადაც კი გამოიყენება. რესოციალიზაცია სწორედ ხელახალ აღზრდას გულისხმობს. არასრულწლოვანთა შესახებ გერმანული სისხლის სამართლის ლაიტმოტივად აღიარებულია აღზრდა,[528] რომელიც მსჯავრდებული არასრულწლოვნის მიმართ კონკრეტული ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელებით მიიღწევა, ანუ შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სისხლის სამართალი მსჯავრდებულის აღზრდაზე საუბრობს, თუ იგი არასრულწლოვანია (Erziehungsgedanke), ხოლო რესოციალიზაციაზე – თუ იგი ზრდასრულია.[529]

არასრულწოვნების მიმართ, მათი ბიო-ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასჯელის მიზნები გულისხმობს [მათ] ხელახალ სოციალიზაცია, აღზრდას – საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის წესებისა და ნორმებისადმი პატივისცემას.

- **ამკ-ს 73-ე მუხლის ანალიზი**

ამკ-ს 73-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების დათქმა მნიშვნელოვანი შეღავათია არასრულწლოვნისთვის სასჯელის ზომის განსაზღვრის საკითხში, თუმცა მას ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია მოზარდზე რესოციალიზაციის მოხდენის ეფექტი, ვერ ატარებს აღმზრდელობით ხასიათს, რადგან თავისუფლების აღკვეთის ზომა მაინც ძალიან მაღალი რჩება.

ამკ-ს 73-ე მუხლის ანალიზისას დაისმის კითხვა, როგორ უნდა იქნეს გაგებული ამ მუხლის დათქმა: ***ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს.*** პრობლემაში უკეთ გასარკვევად მოვიყვანთ საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ ერთ-ერთ განაჩენს. ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ, 2008 წლის 26 დეკემბრის №1/164.96 განაჩენით,

526 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი, 2013. გვ. 484. (მუხლი 39, იზორია, ლ.).

527 შვაბე, იურ., 2011. გვ. 214.

528 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2011. გვ. 246.

529 შეად.: Meier, B-D./Rössner, D. /Schöch, H., 2003. S. 233; Eisenberg, U., 2006. S. 216; მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2011. გვ. 246.

1994 წელს დაბადებული არასრულწლოვანი მ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 18 (თვრამეტი) წლის ვადით. ამასთან, გამოყენებულ იქნა სს კოდექსის 88-ე მუხლის მესამე ნაწილი და მას საბოლოო სასჯელის სახით და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით.

სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით მისჯილი 18 წელი შემცირდა ამავე კოდექსის 88-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე – ერთი მესამედით, ანუ 6 წლით. მოსამართლემ 18 წელს გამოაკლო ერთი მესამედი, 6 წელი, და მიიღო 12 წელი. სს კოდექსის 88-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს. მოყვანილ განაჩენში ერთი მესამედით შემცირების შემდეგ მოსამართლემ არასრულწლოვან მსჯავრდებულ მ.ა.-ს შეუფარდა ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა.

ისმის კითხვა, როგორ უნდა იქნეს გაგებული კანონმდებლის მიერ ამკ-ს 73-ე მუხლში დაფიქსირებული ფრაზა: საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს ან საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ წელს, ანუ საკითხავია, შეუძლია თუ არა მოსამართლეს, მას შემდეგ, რაც სასჯელის ზომას მოაკლო ერთი მესამედი ან ერთი მეოთხედი და სასჯელის ზომა მაინც დარჩა ათ ან თორმეტ წელზე მეტი (როგორც ეს მოცემულ მაგალითშია) არასრულწლოვანს შეუფარდოს ამ ზომაზე ნაკლები სასჯელი, პირველ შემთხვევაში 9, 8, 7 და ა. შ. და მეორე შემთხვევაში, 11, 10 და ა. შ. წელი.

ამ საკითხის შესახებ საერთო სასამართლოების მოქმედი ან არამოქმედი მოსამართლეები კერძო საუბარში აღნიშნავენ, რომ კანონმდებელმა არასრულწლოვანს ერთი შეღავათი (იგულისხმება სასჯელის ერთი მესამედით ან ერთი მეოთხედით შემცირება) უკვე მისცა და მეორე შეღავათი აღარ არის ამ მუხლით გათვალისწინებული, ანუ მოსამართლეს ჩვენ მიერ მოყვანილ განაჩენში არასრულწლოვან მ.ა.-სთვის უნდა მიესაჯა არა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, არამედ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ საკითხზე, პრაქტიკოსი მოსამართლისგან განსხვავებით, სხვა მოსაზრება გვაქვს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: აღნიშნული მიდგომა გასაკრიტიკებელია კანონისმიერი განსაზღვრის პრინციპის საფუძვლით, რაც სასჯელებთან მიმართებაში გულისხმობს ბრალის პრინციპზე აგებულ სისხლისსამართლის სისტემას.[530]

ზემოაღნიშნული მიდგომით იზღუდება მოსამართლის დამოუკიდებლობა. მოსამართლეს არ ეძლევა საშუალება, არასრულწლოვან მსჯავრდებულს სასჯელი მიუსაჯოს მისი ბრალეულობის და პიროვნების გათვალისწინებით. „ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედებები ერთმანეთისგან განსხვავდება ბრალის ხარისხითა და სამართალდარღვევის სიმძიმით, მოსამართლეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, დანიშნული სასჯელი მოარგოს ამ განსხვავებულ შემთხვევებს. დაუშვებელია, რომ მოსამართლე, კანონის მკაცრი და მოუქნე-

530 შვაბე, იურ., 2011. გვ. 373.

ლი ნორმის საფუძველზე, იძულებული იყოს, დანიშნოს ისეთი სასჯელი, რომელიც, მისი შეხედულებით, არ შეესაბამება დამნაშავის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას და მის ბრალეულობას (იხ: BVerfGE 54, 100 [109])".[531]

კანონმდებელი ამბობს, რომ საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს, ანუ არ უნდა იყოს 10 წელზე მეტი, ე. ი. 10 წელზე ნაკლები სასჯელის დანიშვნას იგი (კანონმდებელი) შესაძლებლად მიიჩნევს. კანონმდებელს რომ სურდეს, 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვანს მიუსაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ ამ მუხლს სხვა ფორმულირებით შემოგვთავაზებდა, მაგალითად, ასე: 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით; ამასთანავე, თუ საბოლოო სასჯელი აღემატება 10 წელს, არასრულწლოვანს დაენიშნოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კანონის ფორმულირება – საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს გულისხმობს, რომ მოსამართლეს შეუძლია, არასრულწლოვანს შეუფარდოს 10 წლამდე ნებისმიერი ზომის თავისუფლების აღკვეთა. ნორმის ამგვარი განმარტება მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი შეხედულებით და არასრულწლოვნის პიროვნული და მისი ოჯახური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, არასრულწლოვანს მისი რესოციალიზაციისათვის ადეკვატური სასჯელი მიუსაჯოს, რასაც ამკ-ს მე-4 და მე-14-ე მუხლებიც ითვალისწინებენ.

ასევე აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნისთვის დაწესებული ზემოაღნიშნული შეღავათი ყოველგვარ ეფექტს კარგავს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სს კოდექსით გათვალისწინებული სანქციები ძალიან მაღალია და იმავე კოდექსის 59-ე მუხლი, შთანთქმასთან ერთად, ითვალისწინებს სასჯელის ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრებას განაჩენთა ერთობლიობის დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ს 59-ე მუხლი ზოგადი ხასიათისაა და არ შეიძლება, თანაბრად გავრცელდეს როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე. არასრულწლოვანთა მიმართ ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში უმჯობესი იქნებოდა, არასრულწლოვნის შემთხვევაში განაჩენთა ერთობლიობის დროს მხოლოდ შთანთქმას ჰქონოდა ადგილი.

ზემოაღნიშნული შეღავათი ასევე კარგავს თავის ეფექტს არასრულწლოვნის მიმართ, თუ გავაანალიზებთ ამკ-ს 76-ე მუხლის ფარგლებში, რომლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა დანაშაული. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ, თუ საჭიროდ მიიჩნევს, დანიშნოს კანონით დადგენილ სასჯელის ზომაზე ნაკლები. მოსამართლეს, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება მოზარდთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, საქმის მასალებიდან გამომდინარე და ბრალდებული მოზარდის პიროვნული, ოჯახური, მატერიალური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, თუ იგი მივა დასკვნამდე, რომ არასრულწლოვანს უნდა შეეფარდოს სასჯელის მინიმალურ

531 იქვე.

ზღვარზე ნაკლები, უფლება უნდა ჰქონდეს, იმის მიუხედავად იყო თუ არა მის მიმართ წარსულში განაჩენი გამოტანილი, მოზარდს შეუფარდოს ადეკვატური სასჯელი, თუ ამას მოზარდის აღზრდა, მისი რესოციალიზაციარეაბილიტაცია მოითხოვს.

ამ მუხლის იმგვარი გაგება, რომ მოზარდისთვის 10 ან 12 წელზე ნაკლები სასჯელის მისჯა არ შეიძლება, განსახილველია ასევე სახელმწიფო რესურსების სწორად, რაციონალურად გამოყენებისა და ეკონომიკური ანალიზის კუთხით. მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის პირობებში 21 წლის ასაკის შესრულებისთანავე არასრულწლოვანი მოზრდილთა ციხეში გადადის, სადაც მოზარდის მიმართ განხორციელებული სარეაბილიტაციო, აღმზრდელობითი პროგრამების ეფექტი უმალვე იკარგება, რადგან მოზარდი ურთიერთობას იწყებს ავტორიტეტულ პატიმრებთან და ადგება კრიმინალური კარიერის გზას. გამოდის, რომ სახელმწიფო არასრულწლოვანზე ციხის პირობებში რესურსს ტყუილად ხარჯავს, თუ იგი 21 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მოსახდელი სასჯელის ნაწილს მაინც ზრდასრულ პატიმრებთან მოიხდის და კრიმინალურ ცხოვრებას დაუბრუნდება. მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის ხშირი გამოყენება გაუმართლებელია ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. დღევანდელი მონაცემებით, სახელმწიფოს ერთი მსჯავრდებულის შენახვა დღეში, დაახლოებით, 23 ლარი უჯდება. ამ თანხაში სამედიცინო მომსახურება არ შედის. სამართლის ეკონომიკური ანალიზით ნათელი ხდება, რომ თავისუფლების აღკვეთა დიდ ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და სასჯელის მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით აღსრულების (განხორციელების) პრინციპს ეწინააღმდეგება. სხვა მდგომარეობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულები ციხის პირობებში დასაქმდებოდნენ და მათ მიერ შექმნილი პროდუქცია გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა როგორც თავად მსჯავრდებულს, ასევე აისახებოდა ქვეყნის ბიუჯეტზე.[532]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ამკ-ს 73-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების დათქმა – საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს ან 12 წელს – მართალია, ამსუბუქებს არასრულწლოვნი მსჯავრდებულის მდგომარეობას, მაგრამ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გათვალისწინებულ, ბრალის პრინციპზე აგებულ სისხლის სამართლის სასჯელთა დანიშვნის მიდგომას და დღევანდელი მკაცრი სასჯელებისა და განაჩენთა ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრებითობის პირობებში, ამ ნორმის გამოყენების მიუხედავად, სასჯელთა ზომა მაინც მაღალი რჩება, რაც გაუმართლებელია, როგორც ეკონომიკური, ასევე კრიმინოლოგიური და, რაც მთავარია, პედაგოგიური თვალსაზრისით. გარდატეხის პერიოდში მყოფი არასრულწლოვანისთვის 10 ან 12 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა შეიძლება, მისი პიროვნების განვითარებისათვის მეტად მძიმე შედეგების მომტანი გამოდგეს. ადამიანებს, რომლებიც გრძელვადიან სასჯელს იხდიან, თანამოქალაქეებისადმი დამოკიდებულება ეცვლებათ.[533] ისინი ხშირად ღიზიანდებიან, აგრესიულები ხდებიან, ურთიერთობებში შიშით ან გადამე-

532 შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 159.
533 Kawamura-Reindl, R., 2004. S. 284.

ტებული მგრძნობელობით გამოირჩევიან, რაც საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას ართულებს[534] და განმეორებითი დანაშაულის და თვითდაზიანების ალბათობას ზრდის.[535]

ამკ-ს 73-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების დათქმა, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს ან 12 წელს, მოსამართლის მიერ გაგებულ უნდა იქნეს, როგორც შესაძლებლობა, არასრულწლოვან მსჯავრდებულს ჩადენილი დანაშაულის, ბრალის ხარისხის, დანაშაულისადმი, სწავლისადმი და მუშაობისადმი დამოკიდებულების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით მიუსაჯოს თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 10 ან 12 წლამდე.

- **აღმზრდელობითი ეფექტი**

სასჯელის ძირითადი დანიშნულება არასრულწლოვნებთან მიმართებაში უნდა იყოს მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ანუ აღზრდა. საკითხავია, რამდენად შეესაბამება 10 წლით თავისუფლების აღკვეთა აღზრდის მიზანს? გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მოზარდის მიმართ 5 წლით და უფრო მაღალი ზომით თავისუფლების აღკვეთის მისჯა მის აღზრდას არ გამოიწვევს.[536]

შესაბამისად, ამკ-ს 73-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების დათქმა საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს ან 12 წელს თუ იქნება ისე გაგებული, რომ მოსამართლეს არ ექნება ამ სასჯელის ზომაზე დაბალი ზომის დანიშვნის უფლება, არ იქნება აღმზრდელობითი ხასიათის მატარებელი და წინააღმდეგობაში მოვა არასრულწლოვანთა ჭეშმარიტ ინტერესთან, მის აღზრდასთან.

2.9. უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა

მნიშვნელოვანია სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის საკითხი. საქართველოს სსკ 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

ამკ-ს 76-ე მუხლის თანახმად კი, მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

ამკ-ს 76-ე მუხლის ჩანაწერს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს უპირატესი ძალა ენიჭება, ვინაიდან ამკ არასრულწლოვნების სისხლის სამართლის განხორციელების სპეციალური კანონია. შესაბამისად, თუ არსებობს სპეციალური ნორმა ამკ-ს 76-ე მუხლის სახით,

---

534 იქვე.

535 შალიკაშვილი, მ., 2012. გვ. 155.

536 Ostendorf, H., 2013. S. 185; Streng, F., 1998. S. 336.

ის უნდა იქნეს გამოყენებული და არა სსკ-ის 55-ე მუხლი.

ამკ-ს 76-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ მოსამართლემ შეძლოს არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, საჭიროა, რომ 1) წარსულში არ იყოს ამ არასრულწლოვანის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და 2) მოსამართლე მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ სასჯელის დანიშვნას.

ამკ-ს ამგვარი მიდგომა მისასალმებელია და მართლმსაჯულებაში არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინების კუთხით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. თუ ადრე (ამკ-ს 76-ე მუხლის შემოღებამდე) მოსამართლეს უფლება არა ჰქონდა დაენიშნა კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომაზე უფრო ნაკლები ან უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება არ იყო გაფორმებული, ახლა მოსამართლეს შეუძლია საკუთარი მიხედულებით და არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით შეარჩიოს სასჯელის ის ფორმა და ზომა, რომელიც მოზარდის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას უზრუნველყოფს.

თუმცა ამკ-ს 76-ე მუხლის ჩანაწერის ფორმულირება ***„თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა"*** შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს საქართველოს კონსტიტუციასთან. კერძოდ:

- ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა პირველ რიგში გულისხმობს, ადამიანის უფლებას, არ გახდეს „დანაშაულთან ბრძოლის ობიექტი მისი კონსტიტუციურად დაცული სოციალური ადგილისა და პატივისცემის მოთხოვნის უფლებათა დარღვევით".[537] ამკ-ს 76-ე მუხლის ჩანაწერი – ***„თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა"*** – აშკარად არის კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული უფლების პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა, რაც კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ღირსების შემადგენელი ნაწილია.[538] ამკ-ს 76-ე მუხლის ეს ჩანაწერი შესაძლებლობას არ აძლევს არასრულწლოვანს, რომელმაც უკვე მოიხადა სასჯელი, გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა, თავისუფლად განვითარდეს. მისი წინა დანაშაული, იმის მიუხედავად, რომ ამ დანაშაულისათვის მოიხდა სასჯელი, რომელიც გაქარწყლებულია, მის მომავალს ისეთი სახის პრობლემად გასდევს, რომ იგი აშკარად დანაშაულთან ბრძოლის ობიექტად, სახელმწიფოსათვის მიზნის მიღწევის საშუალებად უფრო არის ქცეული, ვიდრე მიზნად.[539]
- ამკ-ს 76-ე მუხლის ჩანაწერი – ***„თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა"*** – შეიძლება ასევე წინააღმდეგობაში მოდიოდეს კონსტიტუციის მე-42-ე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაღზვრულ უფლებასთან ერთი და იგივე ქმედებისათვის ორჯერ მსჯავრდების თაობაზე (ne bis in idem). ამ უფლების მიზანია

537 შვაბე, იურ., 2011. გვ. 16.

538 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი, 2013. გვ. 112. (მუხლი 17, გოცირიძე, ე.)

539 იგივე, გვ. 108,109.

დაიცვას ადამიანი ერთი და იგივე ქმედებისათვის ორმაგად დასჯისაგან.[540] ამკ-ს 76-ე მუხლის ჩანაწერი მართალია განმეორებით დასჯაზე არ საუბრობს, მაგრამ ne bis in idem ფართო გაგებით თუ შევხედავთ, სახეზე გვაქვს ჩადენილი დანაშაულისათვის უკვე სასჯელმოხდილი არასრულწლოვანის უარყოფით მდგომარეობაში ჩაყენება, არაპირდაპირად მისი „დასჯა".

- კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად, სოციალური სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, ხელი შეუწყოს მსჯავრდებულს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულ პიროვნების განვითარების უფლების განხორციელებაში. ამკ-ს 76-ე მუხლის ჩანაწერით – ***„თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა"*** – ხდება არასრულწლოვანისათვის არა შესაძლებლობის მიცემა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არამედ წარსულის გახსენება, ერთხელ უკვე მოხდილი, ნასამართლობა გაქარწყლებული საქმის წინ წამოწევა და უარყოფით მდგომარეობაში ჩაყენება (არა ხელის შეწყობა, არამედ ხელის შეშლა), რაც ასევე ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპს.
- ამკ-ს 76-ე მუხლის ჩანაწერი – ***„თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა"*** – პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას. კერძოდ, სსკ-ს 55-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დროს სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში საერთოდ არ არის წინაპირობად მოცემული წარსულში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საკითხი, რასაც ამკ-ს 76-ე მუხლი შეიცავს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც „ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს [არასრულწლოვან ბრალდებულს] სახელმწიფო ეპყრობა უფრო უარესად, ვიდრე მსგავს ვითარებაში ადამიანთა სხვა ჯგუფს [სრულწლოვან ბრალდებულს]".[541] კონსტიტუციის მე-14 მუხლის ჩანაწერი სახელმწიფოს ავალდებულებს „თანასწორს თანასწორად, ხოლო არათანასწორს მისი თავისებურების შესაბამისად არათანასწორად და განსხვავებულად მოექცეს".[542] ამ ორი მუხლის შედარებით არასრულწლოვანი ბრალდებული უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე სრულწლოვანი, რაც როგორც აღინიშნა როგორც კონსტიტუციის მე-14 მუხლის, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპებს ეწინააღმდეგება.
- ამკ-ს 76-ე მუხლის ჩანაწერი – ***„თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა"*** – მსგავსია, წარსულში ნა-

540 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი, 2013. გვ. 550. (მუხლი 42, ტურავა, მ.)

541 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი, 2013. გვ. 64. (მუხლი 14, გოცირიძე, ე.)

542 კუბლაშვილი, კ., 2014. გვ. 323.

სამართლობის გამო ან რეციდივის გამო მსჯავრდებულის უარყოფით მდგომარეობაში ჩაყენებასთან. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი საუბრობს არა ნასამართლობის მქონე პირზე, არამედ არასრულწლოვანზე რომლის მიმართაც როდისლაც, წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. ამ ჩანაწერით, კანონმდებელი რეალურად ყველანაირ საშუალებას ართმევს მოსამართლეს არასრულწლოვანის მიმართ გამოიყენოს მსუბუქი სასჯელი, იმის გამო, რომ მან წარსულში ჩაიდინა ერთი დანაშაული. კანონმდებელი ძალიან მკაცრად განუსაზღვრავს მოსამართლეს კრიტერიუმს და არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მოსამართლემ თავად გადაწყვიტოს საკითხი ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ანუ მოზარდს ჩადენილ ქმედებაში საკუთარი ბრალეულობის და პიროვნების მიხედვით შეურჩიოს სასჯელი.[543]

საქართველოს პირობებში, როდესაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში 14-დან 18 წლამდე პირები იხდიან სასჯელს და მათთვის შეფარდებული სასჯელი მაღალია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული გადაპყავთ ჩვეულებრივ სრულწლოვან პატიმრებთან, რითაც იკარგება იმ რესოციალიზაციის პროგრამებით გამოწვეული ეფექტი, რომლებიც შესაძლოა განხორციელდა არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში და არასრულწლოვანი ურთიერთობას იწყებს მასზე უფროს კრიმინალებთან, რომლებთან ურთიერთობითაც იგი შეიძლება კრიმინალური კარიერის შექმნის გზას დაადგეს.

აუცილებელია გადაიხედოს სასჯელთა ზომის კანონით დადგენილი ზღვარი არასრულწლოვნებთან მიმართებით, რათა სასჯელმა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მიაღწიოს თავის მიზანს – რესოციალიზაციას – და აღარ გახდეს საჭირო არასრულწლოვნის გადაყვანა იმ ციხეებში, სადაც (ხშირ შემთხვევაში კრიმინალი) სრულწლოვანი მსჯავრდებულები იხდიან საჯელს.

საქართველოში, როგორც ზემოთ ვნახეთ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება სამი, ოთხი ან ხუთი წლით ძალიან ხშირია, მაშინ როდესაც იმავე დასავლეთის ქვეყნებში ექვსი თვიდან ორ წლამდე იმყოფებიან არასრულწლოვნები ციხეში, ვინაიდან დაბალი სასჯელი (ერთი ან ორი წელი თავისუფლების აღკვეთა) პედაგოგიურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით უფრო ეფექტურია, ვიდრე მაღალი ზომის სასჯელი. ჰამილტონის[544] მიერ მოპოვებული ინფორმაციით, საქართველოში 2008 წლამდე გასამართლებულ არასრულწლოვანთა 32,5%-ს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მაგალითისათვის, გერმანიაში 3-5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვს არასრულწლოვანთა 3,3%-ს, ხოლო 5 წლიდან ზევით – 0,7%-

543 შვაბე, იურ., 2011. გვ. 373.

544 იხ. ესექსის (ინგლისი) უნივერსიტეტის პროფესორის ქეროლინ ჰამილტონის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით 2007 წლის ანალიზი საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შესახებ.

ს.[545] აღნიშნული ფაქტი, პირველ რიგში, მიუთითებს საქართველოში ზოგადად მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შესახებ, რაც არამარტო ხელს უშლის არასრულწლოვანი დამნაშავის რესოციალიზაციას, არამედ უარყოფითად მოქმედებს ციხეებში ადამიანს უფლებათა დაცვაზე, ვინაიდან მაღალი სასჯელები ციხის გადატვირთულობასაც უწყობს ხელს.

545 Laubenthal, K./Baier, H./Nestler, N., 2015. S. 328, 324.

თავი მეხუთე
არასრულწლოვანთა საპროცესო თავისებურებანი

ამკ-ს მეშვიდე, მერვე და მეცხრე თავი ითვალისწინებს საპროცესო თავისებურებებს. სრულწლოვანისაგან განსახვავებით არასრულწლოვნისადმი საპროცესო მოპყრობა გარკვეული თვისებურებების მატარებელია, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აუცილებელი პირობაა. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი პირდაპირ მიუთითებს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის უკეთ უზრუნველყოფას მართლმსაჯულების ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს გამოძიება, სასამართლო თუ სასჯელაღსრულება, სახელმწფო თუ კერძო პირი.

1. არასრულწლოვანთა საქმისწარმოების სახელმწიფო სტრუქტურები

საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების მიხედვით, დაცულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის უფლებები როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის განხილვის პერიოდში და გამოტანილ იქნეს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამკ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების განსხვავებულ წესს, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის საქმისმწარმოებელ პირთა მიერ მოზარდის ბუნების კარგად ცოდნა და საქმისწარმოების დროს მისი გათვალისწინება.

ამკ-ს მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი/პროცესის მონაწილე პირი არის მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში – აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

2007 წლის მაისის თვემდე მხოლოდ ის მოსამართლეები იხილავდნენ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებს, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ სპეციალური მომზადება მოზარდთა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. 2007 წლის 23 მაისის ცვლილებით პროკურორებისა და გამომძიებლებისთვისაც აუცილებელი გახდა სპეციალური მომზადების გავლა. აღნიშნულით საქართველო დაუახლოვდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მხრივ საინტერესოა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული

წესების (პეკინის წესები) დათქმა, რომელიც შეეხება არასრულწლოვანთა საქმის განხილვაში მონაწილე პირთა „პროფესიონალიზმსა და მომზადების აუცილებლობას" და რომელიც განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა საქმეებით დაკავებულ მთელ კონტინგენტს ესაჭიროება აუცილებელი პროფესიონალური კომპეტენტურობის უზრუნველყოფა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი პროფესიული მომზადება, მუშაობის პროცესში სწავლების, გადამზადების კურსებისა და სწავლების სხვა შესაბამისი სახეების გამოყენება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორგანოების პერსონალი შერჩეული უნდა იყოს არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიის გათვალისწინებით, რომლებსაც აქვთ მართლმსაჯულებასთან კონტაქტი. პეკინის მე-12 წესის მიხედვით, აუცილებელია არასრულწლოვანთა საქმეებში მონაწილე მართლწესრიგის განმხორციელებელი ყველა თანამდებობის პირის (პოლიციელის) სპეციალური მომზადება. თავისი ფუნქციების საუკეთესოდ განხორციელების მიზნით პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ხშირად ან განსაკუთრებულად არიან დაკავებულები არასრულწლოვანთა სააქმეებით ან, რომლებიც ძირითადად დაკავებულები არიან არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის პროფილაქტიკით, სისტემატურად უნდა გადიოდნენ სპეციალურ ინსტრუქტაჟს და მომზადებას. მსგავს მითითებებს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პერსონალის მიმართ ითვალისწინებს ასევე არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების („რიადის სახელმძღვანელო პრინციპები") 58-ე მუხლი.

ამკ-ს მე-16 მუხლი აკონკრეტებს თუ ვის აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის წარმოების უფლება და აცხადებს, რომ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხოლო თუ არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, ხოლო არასპეციალიზებული პირი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესს. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ამკ-ს მე-3 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირს, გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირისა, გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური სწავლება არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

არასრულწლოვანთან პირველი კონტაქტი, მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სწორედ პოლიციელს, პროკურორსა და გამომძიებელს უწევს. ისინი წარმართავენ გამოძიებას, ვიდრე საქმე სასამართლოში განსახილველად გადაიგზავნება და შესაბამისად, არასრულწლოვნის მომავლის განსაზღვრაში დიდ როლს თამაშობენ. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს სწორედ პირველი მოქმედების დროს მართებთ მეტისმეტი

სიფაქიზე არასრულწლოვანთა მიმართ.[546]

იმისათვის, რომ არასრულწლოვანი დამნაშავის აღზრდაზე აქცენტი გაკეთდეს მისი სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდანვე, კრიმინოლოგები გვთავაზობენ, რომ არასრულწლოვანთა საქმეებით ძირითადად ქალები დასაქმდნენ, ვინაიდან ისინი (ქალები) აღზრდის განსაკუთრებულ თვისებებს ფლობენ, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობდა მოზარდი დამნაშავის რესოციალიზაციას (აღზრდას).[547]

1.1. პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი არასრულწლოვანთა პროცესში

სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში. სწორედ ამ რეფორმების შედეგად უნდა ჩაითვალოს პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადება მოზარდთა პედაგოგიკაში და ფსიქოლოგიაში. ამკ-ს მე-18-ე და მე-19-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალიზებული პოლიციელის, გამომძიებლის და პროკურორის ინსტიტუტს. სსსკ-ის 37-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელი მოქმედებს პროკურორის მითითებების მიხედვით, შესაბამისად პროკურორის გადამზადება უნდა ხდებოდეს უფრო მაღალი სტანდარტებით, ვიდრე გამომძიებლის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ან გამომძიებელს პირველი შეხება აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან ან გამომძიებელთან მოზარდის პირველი კონტაქტით მას ჩამოუყალიბდება წარმოდგენა სახელმწიფო სტრუქტურებზე. ეს კონტაქტი განაპირობებს შემდგომში როგორც მის (მოზარდის) სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილს, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის ჩამოყალიბების საკითხს. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენებთან ან გამომძიებელთან პირველი ურთიერთობა (შეხება) შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ადგილი თუ ექნება მოზარდისადმი არასასიამოვნო დამოკიდებულებას (აბუჩად აგდება, დაცინვა, ფსიქიკური თუ ფიზიკური ძალის გამოყენება), შემცირდება მოზარდის მხრიდან გამოძიების დროს თანამშრომლობის ალბათობა, ხოლო დაიკარგება ნდობა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი, რაც მოზარდის სახელმწიფო და საზოგადოებისაგან გაუცხოებას და კრიმინალური სუბკულტურისადმი მიდრეკილებას გამოიწვევს.

მოცემული ამკ არ ითვალისწინებს შსს-ს ორგანოების მხრიდან აღმზრდელობითი ხასიათის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საკითხს. კერძოდ, სასურველი იქნებოდა თუ პოლიცია აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს განახორციელებდა მეორე დონის პრევენციის ფარგლებში, ანუ დანაშაულზე, სავარაუდო სამართლებრივ შედეგზე და ა.შ. გაესაუბრებოდა იმ მოზარდებს, რომლებიც მაღალი რისკის ქვეშ დგანან, რომ დანაშაული

546 ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 44.

547 Eisenberg, U., 2010. S. 341; ასევე იხ. წიქარიშვილი კ., 2002, გვ. 173.

ჩაიდინონ.[548] პოლიცია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრულია პოლიციის შესახებ კანონით.[549]

პროკურორის ზედმიწევნით კარგი მომზადება მოზარდის ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მის მიერ დისკრეციული უფლების სწორად და სამართლიანად გამოყენებას. პროკურორი დისკრეციულ უფლებამოსილებას ახორციელებს სწორედ შინაგანი რწმენისა და ცოდნის საშუალებით. საქართველოს მთავარი პროკურორის 2014 წლის 30 დეკემბრის №201-მ ბრძანებით 2015 წლის პირველი იანვრიდან არასრულწლოვანი ბრალდებულის ს/ს საქმეზე უფლებამოსილებას ანხორციელებენ ის პროკურორები, რომლებმაც გაიარეს დამატებითი მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, პედაგოგიკაში და ფსიქოლოგიაში.

ამკ-ს 38-ე და სსსკ-ს მე-16 მუხლი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების საკითხს. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს საკუთარი შეხედულებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანების თანახმად, პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება უნდა გამოიყენოს გარკვეული კრიტერიუმების გაანალიზების საფუძველზე. ეს კრიტერიუმებია: სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი, პირის დანაშაულებრივი წარსული, პირის თანამშრომლობის სურვილი, პიროვნული მახასიათებლები, მოსალოდნელი სასჯელი.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, არასრულწლოვნები გამოირჩევიან მსუბუქი ხასიათის დანაშაულის ჩადენით, თანამშრომლობენ გამოძიებასთან; ისინი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პიროვნებები არიან და შესაძლებელია სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ (აღზრდის მეთოდებით) მათი გამოსწორება. სრულწლოვნებისაგან განსხვავებით ისინი ნაკლები კრიმინალური ენერგიის მატარებლები არიან და მათ მიმართ არ შეიძლება გამოიყენებოდეს გენერალური (ზოგადი) პრევენცია,[550] ანუ მათ სისხლისსამართლებრივ დევნას არ შეიძლება ჰქონდეს ზოგადი პრევენციული ხასიათი, ვინაიდან არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზოგადი პრევენცია სცილდება მისი (არასრულწლოვნის) ინდივიდუალური აღზრდის სფეროს.

მართებული იქნებოდა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ინსტიტუტი მოზარდისათვის მართლმსაჯულების სისტემის თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალებად ჩათვლილიყო. პროკურორს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და

548 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 150; მერდოკი, ჯ./ როშე, რ., 2013. გვ. 175; თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 117.

549 ტურავა, პ., 2014. გვ. 132,133.

550 Ostendorf, H., 2009. S. 146-147.

შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. იგი ამ პასუხისმგებლობას მარტო ახორციელებს და ვალდებულია მოზარდის პიროვნება შეაფასოს. პიროვნების შეფასება და მისი ქმედების პროგნოზი ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია კრიმინოლოგიაში.[551] არასრულწლოვნობის ასაკის დინამიკიდან გამომდინარე სამომავლოდ დანაშაულის გარეშე ცხოვრება მეტად რთული დასაჯერებელია,[552] თუმცა აქ უკვე ყურადღება მოზარდის მოტივაციას, სოციალურ გარემოს და ქვეყანაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებს ექცევა. ეჭვი იმის თაობაზე ჩაიდენს თუ არა მოზარდი მომავალში დანაშაულს უნდა გადაწყდეს მოზარდის სასარგებლოდ. ამკ-ს 27-ე მუხლის მე-4 ნაწილი პირდაპირ არ ითვალისწინებს მოზარდის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს. ეს პროკურორს შეუძლია საკუთარი ინიციატივით, რა დროსაც გამოაქვს დადგენილება მოზარდის შესახებ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების თაობაზე, თუ ამის საშუალებას აძლევს საქმის მიმდინარეობა და ვადები (ამკ-ს 27-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზეა დამოკიდებული მოზარდის სამომავლო ბედი, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა თუ შეწყვეტის საკითხი. ამ მეტად საპასუხისმგებლო საკითხის გადაწყვეტისას მოაზრდის მიმართ ნაკლები იქნება შეცდომები თუ პროკურორი გამოიყენებს მოზარდის შესახებ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, გაეცნობა მას და ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას მოზარდის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა ან შეწყვეტის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ჩადენიდან ძალიან სწრაფად და ასე სწრაფად მოზარდის შესახებ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება შეიძლება ვერც მოხერხდეს. თუმცა, მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვის პრინციპი ავალდებულებს პროკურორს მიიღოს (პირველ რიგში) მოზარდის მომავლისათვის სასიკეთო გადაწყვეტილება. სწორედ, აქ უნდა ჩაერთოს პრობაციის ეროვნული ბიოროს თანამშრომელი, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში, ძალიან სწრაფად შეძლებს პირველად ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას მოზარდის თაობაზე, რაც პროკურორს დაეხმარება მოზარდის მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და/ან შეწყვეტის საკითხი გადაწყვეტისას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე პროკურორები და გამომძიებლები ხშირად გადიან ტრენინგებს. მათ გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები და უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვაში. პროკურორებისა და გამომძიებლების კარგი გადამზადება განპირობებულია ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და გამოძიების დროს მოზარდის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინების პრინციპებიდან გამომდინარე.[553] საჭიროა ასევე, არა მხოლოდ იმ

551 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 260,261.
552 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 166.
553 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 432.

პირების გადამზადება, ვისაც უშუალო კავშირი აქვს არასრულწლოვანთან, არამედ მათიც, ვისთანაც გამომძიებელი (პოლიციელი), პროკურორი ათანხმებს თავის გადაწყვეტილებას არასრულწლოვანის შესახებ.

გარდა იმისა, რომ გაჭიანურებული პროცესის დროს რთულდება მტკიცებულებების მოპოვება, ეს მტკივნეული ხდება პროცესის მონაწილე ბრალდებულისათვის, განსაკუთრებით თუ იგი არასრულწლოვანია.[554]

პრაქტიკული თვალსაზრისით, პრობლემას წარმოადგენს იმის დადგენა, გაიარა თუ არა გამომძიებელმა ან პროკურორმა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კურსები.[555] არც სსსკ და არც ამკ არ ითვალისწინებს პროკურორის, გამომძიებლის ვალდებულებას მათ მიერ არასრულწლოვნის საქმის გამოძიების/განხილვის შემთხვევაში პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში გავლილი მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტის (მისი ასლის) წარმოდგენის შესახებ, განსხვავებით ადვოკატისა, რომელიც ამკ-ს მე-20 მუხლის თანახმად, ვალდებულია სხვა საბუთებთან ერთად წარადგინოს ასეთი კურსის გავლის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი. პროკურორის და გამომძიებლის შემთხვევაში მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი (დასაცავი პირის, მრწმუნებლის) ინტერესებიდან გამომდინარე (დროულად) გადაამოწმოს დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნა.

სასურველია, ადვოკატების მსგავსად, გამომძიებელმა ან პროკურორმა საქმეს დაურთონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში გავლილი მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო მოსამართლემ ეს დოკუმენტი წარმოადგინოს (და საქმეს დაურთოს) მხარის მოთხოვნის შემთხვევაში.

1.2. არასრულწლოვანთა მოსამართლე

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ სპეციალურ სასამართლოებს. ამის მიუხედავად, კანონმდებელი მაინც მოსამართლეთა მაღალ სტანდარტს ადგენს მოზარდთა საქმის განსახილველად. ამკ-ს მე-17-ე მუხლის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე. თუ საქმე კოლეგიურად განიხილება – სასამართლო კოლეგია, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა. სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს სასამართლო პალატა, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, პალატის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა (მე-17 მუხლის მეორე ნაწილი). ამ მოსამართლეებმა გაიარეს სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში (ამკ-ს მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი). აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ ადრე მოქმედი, 1998 წელს მიღებული, სსსკ-ით რეგულირდებოდა. როგორც

554 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 432; თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 77.
555 ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 44.

საზოგადოება, ისე კანონმდებელი უფრო ადრე შეუდგა იმაზე ფიქრს, რომ მოსამართლეს მაღალი კვალიფიკაცია უნდა ჰქონოდა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში და ისე გადაეწყვიტა მოზარდის ბედი. მოსამართლის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება გამოწვეული იყო მისი მდგომარეობით სისხლის სამართლის პროცესში, კონკრეტულად კი მოსამართლე, როგორც განაჩენზე პასუხისმგებელი პირი, კარგად უნდა ჩასწვდომოდა მოზარდის პიროვნებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება. მოსამართლეები იუსტიციის სასწავლო სკოლაში სისტემატურად გადიან ტრენინგებს მოზარდთა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

მოსამართლე, რომელიც იხილავს არასრულწლოვნის საქმეს, ვალდებულია გადაწყვეტილებისას მხედველობაში მიიღოს სასჯელის მიზანი – არასრულწლოვნის აღზრდა, მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.[556]

არასრულწლოვანთა მოსამართლის პროფესიონალიზმი გარდა პედაგოგიური უნარ-ჩვევებისა დამოკიდებულია მის დაკვირვების უნარზე, გამოცდილებაზე და მდიდარ პრაქტიკაზე.[557] მოსამართლისათვის არასრულწლოვანთა ფიქოლოგიისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების მოთხოვნა რეალური უნდა იყოს, ვინაიდან პიროვნული კონტაქტი გარდა მოსამართლისა არასრულწლოვანთან გამომძიებელს, პროკურორს და სასჯელაღსრულების თანამშრომელსაც აქვს და მხოლოდ მოსამართლის მიერ მოზარდზე პედაგოგიური ზემოქმედება დროის და ურთიერთობის ნაკლები ინტენსივობის გათვალისწინებით თითქმის შეუძლებელია.[558] შესაბამისად, არასრულწლოვანთა მოსამართლის საქმიანობის უპირველეს ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს კონკრეტული არასრულწლოვანისადმი კონკრეტული სასჯელის სახის შერჩევის საკითხი. მოსამართლის გადამზადება და გამოცდილების დაგროვება სჭირდება სწორედ ამ საკითხში. კონკრეტული მოზარდის მიმართ გამოიყენოს ისეთი სახის კონკრეტული სასჯელი, რომელიც მის აღზრდას უზრუნველყოფს.[559] იმისათვის, რომ მოსამართლემ (პროკურორმა) შეძლოს პედაგოგიური უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამომუშავება პირველ რიგში აუცილებელია, რომ მოზარდები უყვარდეს, მათი მდგომარეობის ემპათია შეეძლოს,[560] ჰუმანურად ეპყრობოდეს[561] და კარგად ერკვეოდეს ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა: ბავშვის ფსიქოლოგია და ფსიქიატრია, კრიმინოლოგია, სოციოლოგია და პედაგოგიკა (მოზარდთა ჰობიფსიქოლოგი იყოს)[562].

საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე (მათ შორის არასრულწლოვნების) შეიძლება იყოს 30 წლის საქართველოს მოქალაქე, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. არასრულწლოვნების მოსამართლეთა ასაკი, ვფიქრობთ, დაბალია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოების გამო:

---

556 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 373.

557 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 373.

558 იქვე.

559 იგივე, გვ. 374.

560 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 214.

561 Ostendorf, H., 2009. S. 240.

562 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 374; Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 287.

- მოსამართლის შინაგანი რწმენა, რომლის საფუძველზეც მან უნდა შეაფასოს არასრულწლოვანი და გამოიტანოს მისი ქმედებისათვის ადეკვატური და მოზარდის საუკეთესო მომავლისათვის განკუთვნილი სასჯელი, დამოკიდებულია ორ ფრიად მნიშვნელოვან კომპონენტზე: კარგი განათლება და ცხოვრებისეული გამოცდილება. საქართველოში დღეს არსებული განათლების მდგომარეობა არ იძლევა სრულყოფილად მაღალი კვალიფიკაციის განათლების მიღების შესაძლებლობას, კომენტარების, მონოგრაფიების ნაკლებობის და პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზის არარსებობის გამო. გამონაკლისს წარმოადგენენ ის მოსამართლეები, რომელთაც შეუძლიათ უცხოური ლიტერატურის გაცნობა. რაც შეეხება შინაგანი რწმენის მეორე კომპონენტს – გამოცდილებას – 30 წლის მოსამართლე, რომელსაც მხოლოდ ხუთი წლის სამუშაო გამოცდილება უნდა ჰქონდეს, საკმარისად ვერ გააანალიზებს მოზარდის პიროვნებას და შესაბამისად, ვერ გამოიტანს მისთვის ადეკვატურ და მისი სოციალიზაციისათვის საჭირო გადაწყვეტილებას.
- 30 წლის არასაკმარისი განათლების მქონე მოსამართლე, კანონით გათვალისწინებული სპეციალური სემინარების მიუხედავად ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, სიღრმისეულად ვერ ჩასწვდება მოზარდის პრობლემას, ვინაიდან მას ჯერ არ მიუღია საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება. უმჯობესი იქნებოდა არასრულწლოვანი დამნაშავეების საქმეები განეხილა ისეთ მოსამართლეს, რომელსაც არა მარტო დიდი სამოსამართლო საქმიანობის, არამედ მდიდარი (სხვადასხვა სამსახურში მუშაობის გამოცდილება, ცხოვრებისეული სხვა აქტივობები, ოჯახის და შვილების ყოლა და ა.შ.) ცხოვრებისეული გამოცდილებაც აქვს.

იუვენალური იუსტიციის ერთ-ერთ პრინციპად – სასამართლო პროცესის მაქსიმალური ინდივიდუალიზაცია – ითვლება მოზარდის საქმის მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად განხილვა, რაც განაპირობებს მოსამართლის ინდივიდუალურ კავშირს არასრულწლოვანთან.[563]

ამკ-ს მე-14 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომელიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს სსსკ-ს 320-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის პროცესში გამოკვლეულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობები, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომელიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების შესაძლე-

563 ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 51.

ბლობას იძლევა.[564]

ზემოაღნიშნული გარემოებები შეიძლება დაიყოს ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებად.[565] კერძოდ, ობიექტური გარემოებებია: არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობები (ეკონომიკური პირობები, მშობელთა/მზრუნველთა პიროვნების შესწავლა, ოჯახის, არასრულწლოვნის წარსული (მაგ. დევნილობა), ურთიერთობა საზოგადოების წევრებთან, სხვა ოჯახური პირობები, სხვა მასზედ ასაკით უფროსი პირების გავლენა; სუბიექტური გარემოებებია: ფსიქიკური განვითარების დონე (ნებისყოფა, ემოციურობა), ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებები (ხასიათი, ტემპერამენტი, გონებრივი განვითერება).[566]

არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობების, ოჯახური ვითარებისა და სხვა გარემოებების დადგენა ევალებათ როგორც გამომძიებელს, ასევე პროკურორსა და მოსამართლეს. თუმცა, ვფიქრობთ, ამ კომპონენტების სასამართლოს მიერ გამოკვლევა ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსამართლემ მოზარდს სასჯელი უნდა შეუფარდოს მხოლოდ მისი პიროვნების ზედმიწევნით კარგი შესწავლის საფუძველზე, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მოზარდის სოციალურ გარემოს, ოჯახური მდგომარეობის, მიდრეკილებების, სწავლასა და მუშაობასთან დამოკიდებულების სრულყოფილად გაცნობასა და ანალიზს.

1998 წლის სსსკ-ს 643-ე მუხლი კონკრეტულად განმარტავდა, თუ რომელი კრიტერიუმები იგულისხმებოდა არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდისა და ოჯახური პირობების გამოკვლევაში.[567] მოქმედი ამკ-ს მე-14 მუხლი უფრო ფართოდ უყურებს ამ საკითხს და არ აკონკრეტებს, თუ რომელი პირობები უნდა გამოიკვლიონ მოსამართლემ (პროკურორმა) გადაწყვეტილების მიღების დროს.

ამკ-ს 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ) პუნქტი ითვალისწინებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის მიერ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების და სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინების სავალდებულოობას. ამკ-ს მე-14 მუხლით გაწერილი მახასიათებლების გათ-

564 ეს მუხლი ამოღებულია და აღარ მოქმედებს 2016 წლის 1 იანვრიდან.

565 დვალიძე, ირ., 2013. გვ. 221.

566 იგივე, გვ. 222-231.

567 1998 წლის სსსკ 643-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამოკვლევისას უნდა გაირკვეს: ა) ოჯახური ვითარება, ოჯახის შემადგენლობა, მატერიალური უზრუნველყოფა, საბინაო პირობები, ოჯახის უფროს წევრთა ერთმანეთთან ურთიერთობა, უფროსებისა და ბავშვების ურთიერთობა, თავისუფალი დროის გამოყენების პირობები ოჯახში, მშობლების დამოკიდებულება შვილების აღზრდისადმი, მშობელთა მხრიდან ბავშვის ქცევის კონტროლის ფორმები; ბ) ვითარება სკოლაში, ლიცეუმში, სხვა სასწავლებელში ან წარმოებაში, სადაც სწავლობს ან მუშაობს არასრულწლოვანი, მისი დამოკიდებულება სწავლისა და შრომისადმი, საზოგადოებრივ დავალებათა შესრულების მიმართ, ურთიერთობა აღმზრდელებსა და დამრიგებლებთან, თანატოლებთან, არასრულწლოვნის მიმართ ადრე გამოყენებული აღმზრდელობითი ღონისძიების ხასიათი და ეფექტიანობა; გ) არასრულწლოვნის ურთიერთობები და ქცევა სახლისა და სამუშაოს გარეთ; სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური ჯგუფის ან გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობა და მისი ურთიერთობა აღნიშნული ჯგუფის სხვა წევრებთან.

ვალისწინებით მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რა თქმა უნდა, დაეხმარება მოსამართლეს სასჯელის გამოტანის დროს და დიდად შეუწყობს ხელს მოზარდის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე მიმართული სასჯელის კონკრეტული ფორმის და ზომის გამოტანას.

ამკ-ს 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ) პუნქტით გათვალისწინებული რეგულაცია ეხება ასვე საპროცესო შეთანხმებებს. ვინაიდან საპროცესო შეთანხმების დროს ადგილი აქვს მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანას (გადაწყვეტილების მიღებას), საპროცესო შეთანხმებებს რომლებშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს სავალდებულოა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინება.

სსსკ და საერთაშორისო ნორმებით მოზარდს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენისას აქვს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლება. „ბავშვის უფლებათა კონვენციის" მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტის V ქვეპუნქტის თანახმად, არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის გარანტირებულია სასამართლო გადაწყვეტილებისა (მათ შორის განაჩენის) და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვის მოთხოვნის უფლება, ანუ არასრულწლოვანს უფლება აქვს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივროს მისთვის გამოტანილი გადაწყვეტილება.

1.3. არასრულწლოვანთა ადვოკატი

ამკ-ს მე-20 მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის საქმის წარმოებისას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის მონაწილეობას. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი. იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანს პირველი მოთხოვნისთანავე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით.

ამკ-ს მე-20 მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი ნოვაციაა ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში. პირველად კანონმდებელმა ადვოკატის თავისუფალ პროფესიაზე მაღლა დააყენა არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესი და მიუთითა არასრულწლოვანთა საქმეებზე მხოლოდ სპეციალიზირებული ადვოკატის მონაწილეობის სავალდებულოობის თაობაზე. მაგალითისთვის, თუ არასრულწლოვანმა გ. ჩაიდენს დანაშაულს და მის მშობელს უნდა მისი მეგობარი კ. იყოს მისი შვილის ადვოკატი, რომელსაც არა აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალური მომზადება, კურსი გავლილი და შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისაგან ვერ მიიღებს სპეციალიზაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, კ. ვერ დაიცავს თავისი მეგობრის შვილს გ.-ს.

ამკ-ს მე-20-ე მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს იურიდიული დახმარების ადვოკატებზე, რომლებსაც გავლილი აქვთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მუშაობის კურსები და სპეციალიზებულ ადვოკატებად ითვლებიან. ამკ-ს მე-15 მუხლის საფუძველზე სახელმწიფო უზრუნველყოფს არასრულწლოვანისთვის იურიდიული დახმარების ადვოკატს.

1.4. მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლისა და პროკურორის აუცილებლობა

ამკ-ს მე-16 მუხლის ჩანაწერი არასრულწლოვანთა ს/ს საქმეზე მონაწილე პირების სპეციალიზაციასთან დაკავშირებით ნოვატორული არ არის. ამ კოდექსის ამოქმედებამდეც აუცილებელი იყო, რომ მოსამართლეს, პროკურორს (მართლმსაჯულების ს/ს პროცესის წარმართველ ორ მნიშვნელოვან ფიგურას) გავლილი ჰქონოდა შესაბამისი ტრენინგი მოზარდთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში.

ქვეყნის დემოგრაფიული და გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია დიდ ქალაქებში არსებობდნენ არა სპეციალიზირებული მოსამართლეები და პროკურორები, არამედ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პროფესიონალები (მოსამართლეები და პროკურორები). მოსამართლეს და პროკურორს, რომელიც მუშაობს როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვანთა ს/ს საქმეებზე გაუჭირდება არასრულწლოვანის სპეციფიურობის გაგება, მისი პიროვნებისადმი ემპათიის, გრძნობის ჩამოყალიბება და მისი საუკეთესო ინტერესის სრულყოფილად გათვალისწინება. მოსამართლე და პროკურორი, რომელიც მაგალითად, ერთ ოთახში სრულწლოვანი, 24 წლის ასაკის, ბრალდებულის ქურდობის საქმეს განიხილავს/აწარმოებს (დაკითხვა, მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება და ა.შ.), ხოლო იმავე დღეს, რამდენიმე წუთის/საათის შემდეგ განიხილავს 17 წლის, სრულწლოვანი ბრალდებულის აღნაგობის არასრულწლოვანის მსგავსი დანაშაულის საქმეს, გაუძნელდება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის მქონე გადაწყვეტილების მიღება. სრულწლოვანთა საქმიდან არასრულწლოვანთა საქმეზე გადართვა და მისი ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით საქმის წარმოება რთულად შეიძლება განხორციელდეს, მით უფრო, რომ სტატისტიკურად სრულწლოვანთა საქმე უფრო მეტი აქვს განსახილველი მოსამართლეს და პროკურორს, ვიდრე არასრულწლოვანთა. ზოგიერთ რაიონში იმდენად ცოტაა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენა, რომ მოსამართლეს და პროკურორს ახლიდან უწევს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან მიმართებით არსებული სპეციფიურობის საკითხის გააზრება.

როგორც აღინიშნა, უმჯობესია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობის გათვალისწინებით თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში და რეგიონულ ცენტრებში გამოიყონ მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმით იქნებიან დაკავებულნი.

2. არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების შეფარდება

ამკ-ს მე-IX-ე თავი ეხება არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახეებს. ამკ-ს მე-60-ე მუხლის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების სახეებია: მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, პატიმრობა. იმავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სსსკ-ს 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე აღკვეთის ღონისძიება: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობისა თუ პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; აკრძალვა გარკვეულ პირებთან შეხვედრისა სპეციალური ნებართვის გარეშე; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად, მათ შორის, გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, თუ პირის მიმართ დევნა დაწყებულია ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით.

2.1. არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემა

ამკ-ს 61-ე მუხლი განსაზღვრავს მოზარდის მეთვალყურეობაში გადაცემის საკითხს. არასრულწლოვნის მშობლის, სხვა ახლო ნათესავის, მეურვის ან მზრუნველის ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში გადაცემის მიზანია, აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა ან ადმინისტრაციამ იკისროს არასრულწლოვნის გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებისა და სათანადო ქცევის წერილობითი ვალდებულება.

მეთვალყურეობაში გადაცემა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვნისა და იმ პირის თანხმობით, რომელსაც ის მეთვალყურეობაში გადაეცემა. ამ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს უარი თქვას არასრულწლოვნის მეთვალყურეობაზე, თუ მიიჩნევს, რომ ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას.

პირს, რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობს, ხელწერილის ჩამორთმევისას უნდა გააცნონ არასრულწლოვნისათვის წაყენებული ბრალდებისთვის მოსალოდნელი სასჯელის სახე და ზომა და პასუხისმგებლობა, რომელიც მას დაეკისრება, თუ არასრულწლოვანი, რომელსაც ის მეთვალყურეობს, არ შეასრულებს სათანადო ქცევის ვალდებულებას. არასრულწლოვნის მეთვალყურეობის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით პირი, რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობდა, დააჯარიმოს 100-დან 500 ლარამდე,

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობას ობიექტური მიზეზი ჰქონდა.

არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემის სპეციალური ნიშნის მქონე სუბიექტია არასრულწლოვანი.[568]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო წლების განმავლობაში არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემის პროცენტული მაჩვენებელი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საერთო მაჩვენებლის მხოლოდ 0,1-0.4 პროცენტს შეადგენდა.[569] 2013 და 2014 წლებში არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემის 98 შემთხვევა იყო მთლიანობაში დაფიქსირებული, რაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საერთო მაჩვენებლის მხოლოდ 0.4 პროცენტია.

2.2. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

ამკ-ს 62-ე მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ოღონდ მხოლოდ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

სამწუხაროდ, მკაცრი კრიმინალური პოლიტიკის კვალობაზე ცოტაა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნანილში ისეთი მუხლები, რომელთა დარღვევისთვისაც კანონმდებელი ითვალისწინებს ხუთ ნლამდე თავისუფლების აღკვეთას. გარდა ამისა, ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე ძირითადად ხდება განრიდება ან განრიდება და მედიაცია. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ამ მუხლის გამოყენების საკითხი. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები. ამ მონაცემებით შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ პრაქტიკაში არ გამოყენებულა 2005 ნლის შემდეგ 2012 ნლამდე. 2013 და 2014 ნელს კი გამოყენებულ იქნა იგი საქმეების 7%-ზე, თუმცა სტატისტიკიდან არ ჩანს სრულწლოვნის თუ არასრულწლოვნის მიმართ.

2.3. პირადი თავდებობა

ამკ-ს მე-60-ე მუხლი აღკვეთის ღონისძიების სახეებთან ერთად მოიხსენიებს პირად თავდებობას, თუმცა კანონმდებელი აღარ აკეთებს განმარტებას, თუ რას გულისხმობს აღკვეთის ღონისძიების ეს კონკრეტული სახე. პირადი თავდებობის ინსტიტუტს იცნობს სსსკ, რომლის 203-ე მუხლის თანახმად, პირადი თავდებობისას სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას. პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდების შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე ბრალდებულის თანხმობით. თუ თავდებმა ვერ უზრუნველყო ბრალდებულის სათანადო ქცევა სასამართლო შეუფარდებს მას ჯარიმას 100-500 ლარამდე ოდენობით.

აღკვეთის ღონისძიების პირადი თავდებობის ეს კონკრეტული სახე ახ-

568 ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 47.

569 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა. იხ. http://www.supremecourt.ge

ლოს არის მოზარდის მეთვალყურეობაში გადაცემის ინსტიტუტთან განსხვავება არის ის, რომ თუ მოზარდის მეთვალყურეობაში გადაცემა შეიძლება მშობლის, სხვა ახლო ნათესავის, მეურვის ან მზრუნველის ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციისათვის, პირადი თავდებობის შემთხვევაში მოზარდის ქცევაზე პასუხისმგებელია სანდო [ნებისმიერი] პირი.

2.4. გირაო

ამკ-ს 63-ე მუხლი ითვალისწინებს გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახეს. ამკ-ს თანახმად, გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და მისი ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხა შეიძლება ნებისმიერი ოდენობით განისაზღვროს.

გირაოს, როგორც აღკვეთი ღონისძიების სახის შესახებ კანონმდებელი სხვა ჩანაწერს არ აკეთებს. შესაბამისად, მისი გამოყენების წესს ადგენს სსსკ-ს მე-200 მუხლი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, გირაო დაპატიმრების შემდეგ ითვლებოდა ყველაზე ხშირად გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებად 2012 წლამდე. ყოველი მესამე ბრალდებულის მიმართ იყო გირაო გამოყენებული. 2013 და 2014 წელს გირაოს გამოყენების მაჩვენებელი აღემატება პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელს,[570] რაც მისასალმებელია.

გირაოს შეფარდების დროს მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და მისი ქონებრივი შესაძლებლობა. გირაოს თანხა უნდა იყოს მშობლის შემოსავლის პროპორციული.[571] სამწუხაროდ, ამკ-ს 63-ე მუხლი არ შეიცავს გირაოს მოთხოვნის შესრულების გვერდის ავლას. სსსკ-ს 200-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ პირი ვერ უზრუნველყოფს გირაოს თანხას, პროკურორი სასამართლოს მიმართავს უფრო მკაცრი აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით, ამ შემთხვევაში პატიმრობის გამოყენებით.

კანონმდებლის მიერ არ არის დაკონკრეტებული გირაოს თანხის რაოდენობა. აღნიშნული შეიძლება შეფასდეს კანონის განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევად (იხ. მეოთხე თავი, 2.3. ქვეთავი). იმის მიუხედავად, რომ სსსკ-ს 200-ე მუხლი მიუთითებს, რომ გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 1000 ლარზე ნაკლები, მაინც არ არის საკმარისი და აუცილებელია დაზუსტდეს გირაოს თანხის ის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მოსამართლე გამოიყენებს მას.

უახლესი მართლმსაჯულების პრაქტიკა იცნობს მოპარული მობილური ტელეფონის შეძენისთვის სრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ 170 ათასი ლარის შეფარდების ფაქტს, იმის მიუხედავად, რომ ბრალდებულის ოჯახის წევრების ერთობლივი თვიური შემოსავალი არ აღემატებოდა 800 ლარს.[572] სწორედ იმისთვის, რომ მოსამართლემ აღარ მიიღოს ასეთი უსამართლო გადაწყვეტილება საჭიროა საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ჩადენილი დანა-

570 იქვე.
571 პამილტონი, ქ., 2011. გვ. 77.
572 ხაინდრავა, ნ./ ბოხაშვილი, ბ./ ხიდაშელი, თ., 2010. გვ. 87.

შაულის სიმძიმის მიხედვით გირაოს შეფარდების დიფერენცირება.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარე არ შეიძლება სრულწლოვანი და არასრულწლოვანი ბრალდებულებისათვის გირაოს ერთი და იგივე პირობების დანესება.

2.5. პატიმრობა

ამკ-ს 64-ე მუხლი არეგულირებს ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების საკითხს. ამ ნორმის თანახმად, არასრულწლოვანს შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, თუ არსებობს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა: ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა; ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა; გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობა არასრულწლოვანის პიროვნებაზე უარყოფითად მოქმედებს და დაპატიმრებით გამოწვეული შოკი გრძელვადიანად აზიანებს მის ფსიქიკას.[573]

- **ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა**

აღკვეთი ღონისძიების შეფარდების ეს კრიტერიუმი გულისხმობს, რომ იმ დანაშაულისათვის, რომელიც არასრულწლოვანმა სავარაუდოდ ჩაიდინა სს კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ცოტაა ისეთი მუხლები, რომელთა დარღვევისთვისაც კანონმდებელი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ხოლო ისეთ მუხლებზე რომლებზეც თავისუფლების აღკვეთა არ არის გათვალისწინებული ხდება განრიდების ან განრიდების და მედიაციის გამოყენება. თუ კანონმდებელმა აირჩია ჩადენილ დანაშაულზე აღკვეთი ღონისძიების დაკავშირების გზა, მაშინ უმჯობესია არა ყველა დანაშაულზე იყოს პატიმრობა გამოყენებული რომლებზეც თავისუფლების აღკვეთა არის გათვალისწინებული, არამედ მხოლოდ მათზე, რომლებიც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში ხვდებიან.

გაუმართლებელია ასევე დანაშაულის სიმძიმის გამო არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვის საფუძველის არგუმენტირებულობა,[574] თუ კონკრეტული მტკიცებულებები არ არსებობს, რომ მოზარდი სასჯელის შიშის გამო დაემალება გამოძიებას (გავა ქვეყნიდან). ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ მხოლოდ იმ არგუმენტით პიროვნებისთვის პატიმრობის შეფარდება, რომ მან მძიმე ხასიათის დანაშაული ჩაიდინა, რომლისთვისაც მას თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მომა-

573 Schleicher, H., 2014. S. 142.

574 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 564.

ვალში შეეფადროს, დაუშვებელია.[575] ამ მხრივ ასევე საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის გიორგი მიროტაძის 2015 წლის 25 თებერვლის №1გ/178-15 განჩინება. მოცემულ განჩინებაში მოსამართლემ პირდაპირ მიუთითა, რომ „მიმალვის საფრთხე შეიძლება გონივრულად დადგინდეს ისეთ ფაქტორებზე მითითებით რომ-გორიცაა ის, რომ პირს ადრეც უცდია კანონიერი სასჯელისათვის თავის არიდება, არსებობს მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნები ან სხვა გარემოებები და მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე მითითება არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის გამართლების საშუალებას."

- **პატიმრობა უზრუნველყოფს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვას, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლას ან ახალი დანაშაულის ჩადენას**

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვის საკითხის განხილვისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მოზარდების ქმედების ნაკლები კომპეტენცია (სანაცნობო, სამეგობრო წრე, რომელიც მას მიმალვაში დაეხმარება) და ფინანსური მდგომარეობა, რომელიც აუცილებელია მიმალვისათვის.[576] გარდა ამისა, მოზარდს გარკვეული ღონისძიებები უნდა ჰქონდეს უკვე გატარებული მიმალვისათვის (მაგ. ფული ისესხა, პასპორტი გააკეთა, თვითმფრინავის ბილეთი იყიდა და ა.შ.), რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.[577]

უცხოელი მოზარდებისათვის, რომლებსაც არა აქვთ კონკრეტული საცხოვრებელი ადგილი/ოფიციალური მისამართი პატიმრობის გამოყენება უფროა შესაძლებელი, თუ გამოძიებით დამტკიცდა, რომ მის მიერ ქვეყნის დატოვების ალბათობა დიდია.[578] განსხვავებულია მიდგომები ისეთი მოზარდის მიმართ, რომელიც უსახლკაროა. უსახლკაროობა არ ნიშნავს დაპატიმრების საფუძველს. თუ გამომძიებელმა, სოციალურმა მუშაკმა ან სხვა პირმა იცის, რომ იმის მიუხედავად, რომ მოზარდს მუდმივი საცხოვრებელი არ გააჩნია, მისი პოვნა შესაძლებელია კონკრეტული ქალაქის კონკრეტულ უბანში, სადაც ის სისტემატურად იმყოფება და მისი ინფორმირება შესაძლებელია, ბრალდებულის მიმალვის საფრთხის გამოყენებით პირის პატიმრობაში აყვანა გაუმართლებელია.[579]

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა გერმანულ პრაქტიკაში ყველაზე იშვიათი,[580] ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა კი ყველაზე ხშირი (2006 წელს 93%) პატიმრობის საფუძველია.[581] ვინაიდან მოზარდები თავიანთი სოციალური მდგომარეობით და პიროვნული განვითარებით ზიანს ვერ აყენებენ მართლმსაჯულებას.

ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობა იზრდება თუ ჩადენილია მძიმე

575 ხაინდრავა, ნ./ ბოხაშვილი, ბ./ ხიდაშელი, თ., 2010. გვ. 46.

576 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 564.

577 იქვე.

578 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 706.

579 იგივე, გვ. 707.

580 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 710.

581 Ostendorf, H., 2009. S. 426.

და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული უმართლობის მაღალი ხარისხით.[582] თუმცა მოსამართლე ვალდებულია თითოეული კონკრეტული შემთხვევა შეაფასოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობის თაობაზე.

- **არასრულწლოვანის ინტერესის უპირატესობა**

ამკ-ს 64-ე მუხლის ჩანაწერი – მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს – შესაძლებელია ორი მიმართულებით იქნას გაგებული: 1) თანაფარდობის პრინციპის შესაბამისად უნდა დადგინდეს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა მოცემულ მომენტში უფრო დიდი უპირატესობით სარგებლობს თავად ბრალდებულისთვის ვიდრე თავისუფლებაში მისი დარჩენა. აღნიშნული საკითხი ცოტა გაუგებარია, რადგან ერთმანეთს ადარებს ადამიანისათვის მნიშვნელოვან ორ ღირებულებას: პატიმრობას თავისუფლებასთან. რაღა თქმა უნდა, თავისუფლების პატიმრობასთან შედარება გაუმართლებელია. ვინაიდან თავისუფლება არის ადამიანის მნიშვნელოვანი მდგომარეობა, რომელსაც იგი ყოველთვის ესწრაფვის;[583] 2) პატიმრობამ არ უნდა გამოიწვიოს იმაზე მეტი ზიანი, რასაც შეეძლო მისთვის თავისუფლებაში ყოფნას გამოეწვია. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობა მოზარდისათვის არის ისეთი შოკის მომგვრელი და თავზარდამცემი, რომ ყოველთვის მძიმე შედეგეს იწვევს მოზარდის ფსიქიკაზე. მოზარდები მძიმედ განიცდიან მათთვის სანდო, ნაცნობი სოციალური გარემოსაგან მოწყვეტას.[584] დაპატიმრება მძიმე დეპრესიას იწვევს მოზარდებში, რაც საკმაოდ უშლის ხელს მის სულიერ განვითარებას (იწვევს გრძელვადიან სულიერ და პიროვნულ პრობლემებს).[585] მათი სულიერი მდგომარეობის შესაბამისად მაღალია სუიციდის და აგრესიის რისკი.[586]

მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელსაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული აქვს პატიმრობა, მოთავსდეს სრულწლოვანი ბრალდებულებისაგან (მსჯავრდებულებისაგან) და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით. ზემოაღნიშნული აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების საერთაშორისო სტანდარტის უზრუნველსაყოფად. ამკ-ს 79-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნა გამოყენებული, თავსდება პატიმრობის დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში.

როგორც გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის გ) ქვეპუნქტი, ისე „პეკინის წესების" C -29 შესაძლებელს ხდიან არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პირების ერთად მოთავსებას, მაგრამ მხოლოდ ბავშვის

582 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 706.

583 გერმანიაში ციხიდან ისე გაქცევა, რასაც არ მოჰყოლია ვინმეს ან რაიმეს დაზიანება არ ითვლება აკრძალვად. გერმანიის სს კოდექსი არ სჯის ასეთი ქმედებისათვის პატიმარს. Laubenthal, K., 2011. S. 445,446.

584 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 562.

585 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 585, 586; Diemer, H./Schatz, H, A. / Sonnen, B-R., 2011. S. 562.

586 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 563.

ინტერესების გათვალისწინებით და თუ ეს სასარგებლო იქნება მისი განვითარებისათვის.[587]

არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ბრალდებულების განცალკევებით მოთავსება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მოზარდზე უარყოფითი გავლენა არ იქონიოს სრულწლოვანმა „კრიმინალურმა ავტორიტეტმა"[588] და არ მოხდეს მასში კრიმინალური მენტალიტეტის ჩამოყალიბება და გაძლიერება.

განცალკევების პრინციპის მოქმედება უფრო მნიშვნელოვანია მამრობითი სქესის პატიმრებისათვის. მდედრობითი სქესის პატიმრების განცალკევება არ არის დიდად სავალდებულო, ვინაიდან ნაკლებია ბრალდებულ თუ მსჯავრდებულ გოგონათა რიცხვი და მათთვის ცალკე ციხის ან ბლოკის გამოყოფა შეუძლებელია და გაუმართლებელი იქნებოდა ეკონომიკური თვალსაზრისით და მეორე, კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ არასრულწლოვან პატიმარ ქალებზე სრულწლოვანი პატიმარი ქალების ზეგავლენა უმრავლეს შემთხვევაში არ ატარებს უარყოფით ხასიათს[589] და დასაშვებია სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კონტროლის ფარგლებში.

მამრობითი სქესის არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პატიმრების ერთად მოთავსება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, გუვეჩი (Okaty Guvec) თურქეთის წინააღმდეგ,[590] მიიჩნია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის დარღვევად.

ამკ-ს 64-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი, მსგავსად გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტისა მიუთითებს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ „უკიდურეს ზომად" და თუ სხვა ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება შეუძლებელია მოზარდის პიროვნების, მისი კრიმინალური ენერგიის გამო და ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას.

ამკ-ს 64-ე მუხლი არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადად განსაზღვრავს 6 თვეს.

ამავე 64-ე მუხლის თანახმად, წინასასამართლო სხდომამდე პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა. გარდა ამისა, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ

587 ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 45,46; ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 80.
588 Streng, F., 2008. S. 86, 248.
589 იქვე, გვ. 248.
590 იხ. http://www.unhcr.org/refworld/pdfid/497d817c2.pdf

მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება.

პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის გონივრულ ვადაში სასამართლოს გამართვის საკითხი ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე მკაფიოდ დადასტურდა. ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში ასენოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Assenov v. Bulgaria 24760/94 28.10. 1998) სახელმწიფოს მოუწოდა მეტი გულმოდგინებისაკენ არასრულწლოვანის გონივრულ ვადაში წარდგენის უზრუნველსაყოფად.[591]

იმისათვის, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ არ დაირღვეს საერთაშორისო (ჰავანის წესი 18) წესები და უდანაშაულობის პრეზუმფცია სახელმწიფო ვალდებულია:[592]

- უზრუნველყოს არასრულწლოვანი ადვოკატთან რეგულარული შეხვედრებით;
- პატიმრობის მოხდის დროს ჰქონდეს ანაზღაურებადი სამუშაო, განათლების გაგრძელების ან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ისარგებლოს მისთვის საჭირო ნივთებით დასვენების და რეკრეაციისათვის, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პატიმრობის მოხდას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის №1გ/178-15 განჩინებაში მოსამართლე მიროტაძე მოუწოდებს სახელმწიფო მართლმსაჯულების ორგანოებს (სასამართლოს და პროკურატურას) პოზიტიური როლი ითამაშონ არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდის და მათი რესოციალიზაციის საკითხში. შესაბამისად, მოსამართლე მირონტაძე მნიშვნელოვანად მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და მისი კონკრეტული ფორმის შერჩევა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით. გამოყენებული იყოს არასრულწლოვანის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი (პროპორციული) აღკვეთის ის ღონისძიება, რომელიც მომავალში სათანადოდ აღზრდისა და მისი (არასრულწლოვანის) საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

ამკ-ს 27-ე მუხლი კონკრეტულად არ უთითებს მოსამართლის მიერ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გაცნობის და გამოყენების აუცილებლობის თაობაზე, თუმცა ამავე მუხლის მე-8 ნაწილი პირდაპირ საუბრობს არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საჭიროებისამებრ გათვალისწინების თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის ერთმნიშვნელოვან მოთხოვნად მიიჩნია პატიმრობის შეფარდებისას ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა,[593] ამკ-ს 27-ე მუხლის ჩანაწერი არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების

591 მაკბრაიდი, ჯ., 2013. გვ. 282.
592 ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 79.
593 ხაინდრავა, ნ./ ბოხაშვილი, ბ./ ხიდაშელი, თ., 2010. გვ. 67.

ანგარიშის საჭიროებისამებრ მოთხოვნის თაობაზე, დაბალი სტანდარტის მატარებლად შეიძლება ჩაითვალოს და საჭირო იყოს მხოლოდ მას შემდეგ პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილების მიღება, როდესაც მოსამართლე არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს გაეცნობა. შესაბამისად, მოსამართლემ არა საჭიროებისამებრ, არამედ ყოველთვის უნდა მოითხოვოს არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, თუ არასრულწლოვანის მიმართ პატიმრობის შეფარდება არის მოთხოვნილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის №1გ/178-15 განჩინებაში მოსამართლე მიროტაძე საუბრობს ასევე არასრულწლოვანის პატიმრობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გაადვილებაზე, ბრალდებულის პიროვნებისა და მოსალოდნელი რისკების ხარისხის შესახებ მოსამართლის მეტ ინფორმირებულობაზე, თუ საქმეში იქნებოდა მოზარდის ფსიქოლოგიური პორტრეტი.

3. არასრულწლოვანთა საქმისწარმოების თავისებურებანი

არასრულწლოვანთა საქმისწარმოება ხორციელდება ამკ-ს და სსსკ დადგენილი წესით, იმ საბაზისო ელემენტებით, რომელიც საქმის სამართლიანი განხილვისთვის არის საჭირო. თუმცა, რადგან არასრულწლოვნები, სრულწლოვნებთან შედარებით, განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებენ, ამკ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმის წარმოების თავისებურებებზე საუბრობს.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმის სისხლისსამართლებრივად განხილვის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

- საქმის დახურული განხილვა (ამკ-ს 29-ე მუხლი);
- ერთობლივი საქმიდან არასრულწლოვნის საქმის გამოყოფა (ამკ-ს 32-ე მუხლი);
- არასრულწლოვნი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა (ამკ-ს 28-ე მუხლი);
- თარჯიმნის უფასოდ მომსახურების და საკონსულო დახმარების უფლება (ამკ-ს 30 და 31 მუხლები);
- არასრულწლოვნის დაკავება (ამკ-ს 54-ე მუხლი);
- არასრულწლოვნის გამოკითხვა და დაკითხვა (ამკ-ს 52-ე, 54-ე მუხლები);

3.1. არასრულწლოვანთა საქმის დახურული განხილვა

ამკ-ს 29-ე მუხლის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომის დახურულად წარმართვა გამომდინარეობს „პეკინის წესების“ მე-8 წესით გათვალისწინებული კონფიდენციალობის უზრუნველყოფის, ასევე ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის VII ქვეპუნქტით დადგენილ საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე არასრულწლოვანი

ბრალდებულის პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის გარანტიიდან. „არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის ღიად განხილვის პრინციპიდან გარკვეულ გამონაკლისებს ითვალისწინებს (საქმის განხილვა პრესისა და საზოგადოების დაუსწრებლად) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" (რომი, 4 ნოემბერი, 1950 წელი) მე-6 მუხლის პირველი ნაწილი".[594]

არასრულწლოვნის საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა გამოწვეულია მისი საზოგადოებაში ადვილი ინტეგრაციით, მოიცავს მოზარდის აღმზრდელობითსა და სოციალიზაციისათვის აუცილებელ კომპონენტებს და მოზარდის დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა.[595] ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოზარდი საქმის საჯარო განხილვით შეიძლება ისეთი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს,[596] რომ შეუძლებელი იყოს მისი სწრაფი რეაბილიტაცია, მოხდეს მისი სტიგმატიზაცია,[597] მით უფრო, თუ საქმე მორალური ხასიათის დანაშაულს (გაუპატიურება) ეხება და მას დანაშაული არ დაუმტკიცდება.

მოზარდის პიროვნების განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საფუძვლების თანახმად, დახურული სასამართლო სხდომის დროს მოზარდი უფრო გახსნილია, მისაღებია სასამართლოში არსებული ატმოსფერო, ნაკლებად აქვს უნდობლობის გრძნობა და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს მომხდარზე,[598] რაც იუვენალური სასამართლოს ძირითადი მიზანია.

ამკ-ს მიხედვით, არასრულწლოვანი დამნაშავის საქმის სასამართლო განხილვა მთლიანად დახურულია. სსსკ-ს მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.[599] განაჩენის გამოცხადების დროს გერმანიაში მიღებულია, რომ მოსამართლემ არ უთხრას არასრულწლოვანს განაჩენის ისეთი საფუძვლების შესახებ, რომელიც მის აღზრდას შეუშლის ხელს (JGG §54). მოსამართლე საკუთარი მიხედულებისამებრ ცდილობს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაასაბუთოს. გადამწყვეტია, რომ განაჩენი და განაჩენში მითითებული ღონისძიებები გასაგები იყოს როგორც მოზარდისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის, ასევე აღმზრდელობითი დაწესებულებებისთვის.[600]

სამწუხაროა მხოლოდ, რომ თუ დანაშაული ჩაიდინა 17 წლის მოზარდმა და საქმისწარმოების დროს იგი 18 წლის გახდა, მის მიმართ გამოიყენება სსსკ-ით დადგენილი ზოგადი წესები, რაც გულისხმობს მისი საქმის განხილვის სასამართლო სხდომის საჯაროობას, რაც მოზარდის ეტიკეტირებას გამოიწვევს და ხელს შეუშლის მის რესოციალიზაციას.

ამკ-ს 29-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებას ესწრება მისი კანონიერი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგი, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში აგრეთვე არასრულწლოვნის ადვო-

594 იხ. გოგშელიძე რ. (რედ.), 2008, გვ. 352, 353; ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 52.
595 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 497.
596 იქვე.
597 Eisenberg, U., 2010. S. 496.
598 იქვე.
599 თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 84.
600 Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 435.

კატი, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

სისხლის სამართლის პროცესში მოზარდის კანონიერი წარმომადგენლისა და მისი ადვოკატის საქმიანობა დაცვით ფუნქციას უკავშირდება.[601]

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდი ბრალდებულის მშობელს და კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ, დაესწრონ როგორც სასამართლო სხდომას ასევე იმ საპროცესო მოქმედებას, რომელშიც მონაწილეობს არასრულწლოვანი. არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ამ უფლების გამოუყენლობა ხელს არ შეუშლის საპროცესო მოქმედებას. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე ან პროკურორი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის ინტერესებისათვის აუცილებელია ასევე ფსიქოლოგის მონაწილეობა, შეუძლია უზრუნველყოს ეს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მოზარდის პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელია მის გვერდით იყოს არა მხოლოდ ნდობით აღჭურვილი პირი (მშობელი), არამედ ბავშვის ფსიქოლოგიის მცოდნე პროფესიონალი.

მოზარდი ბრალდებულის მშობლის, კანონიერი წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში აღმზრდელობითი ხასიათის მქონეა და გულისხმობს, რომ მოზარდის გვერდით ნდობით აღჭურვილი პირის ყოფნის შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული სისხლის სამართლის პროცესით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

ამკ-ს 29-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოს ან პროკურორს შეუძლია აუკრძალოს არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს, ასევე პედაგოგს სასამართლო სხდომაზე დასწრება ან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა.

სასამართლოსა და პროკურორის მიერ ბრალდებული არასრულწლოვნის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს და ახლო ნათესავს სასამართლო სხდომაზე დასწრება ან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის აკრძალვა შესაძლებელია გამოწვეული იყოს:[602]

- არასრულწლოვნის პიროვნულ აღზრდაზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენით (მაგალითად, მშობელი ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტია ან მშობლის ეთიკური და მორალური ღირებულებები საზოგადოებისათვის მიუღებელია);
- საფრთხეს უქმნის მესამე პირს (მოწმეს, დაზარალებულს, დანაშაულის თვითმხილველს), რამაც უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ბრალდებულ მოზარდზე.

601 იხ. ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 52.
602 Streng, F., 2008. S. 113.

საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ ხშირად ბრალდებული არასრულწლოვნის მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის და ახლო ნათესავის სასამართლო სხდომაზე დასწრება ან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა უარყოფითად მოქმედებს თვითონ ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ:[603]

- იწვევს სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებას, რაც მიუღებელია როგორც საერთაშორისო ნორმებით, ასევე კრიმინოლოგიური თვალსაზრისით;
- მშობლების აქტიურმა მონაწილებამ სისხლის სამართლის პროცესში შესაძლებელია ხელი შეუშალოს ასევე ბრალდებული არასრულწლოვნის ოპტიმალურ დაცვას.

ამკ-ს 29-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გარკვეული საპროცესო მოქმედებები შესაძლებელია განხორციელდეს მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის და ადვოკატის გარეშე. ეს საპროცესო მოქმედებებია: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული ჩხრეკა/ამოღება გადაუდებელი წესით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილი – იარაღის ან მამხილებები მტკიცებულების მოშორების თაობაზე ინფორმაციის შემთხვევაში პირადი ჩხრეკა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილი – თუ ხდება პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე, კერძოდ, თუ: ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით; გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო; ე) პირი შესაძლოა მიიმალოს; ვ) პირი ძებნილია.

3.2. არასრულწლოვნის საქმის გამოყოფა ერთობლივი საქმიდან

ამკ-ს 32-ე მუხლის თანახმად, თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც ასევე იმხილება სრულწლოვანი, არასრულწლოვნის საქმე შეძლებისდაგვარად ცალკე გამოიყოფა და ის გასამართლდება სრულწლოვნისაგან განცალკევებით, თუ ამით არსებითი დაბრკოლება არ შეექმნება საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საქმის სრულწლოვანთა საქმისაგან შეძლებისდაგვარად ცალკე გამოყოფის მიზანია უზრუნველყოს მოზარდის დაცვა სრულწლოვანი დამნაშავეების მავნე ზეგავლენისაგან[604] (მაგალითად, დანაშაულის საკუთარ თავზე აღების, სხვა დამნაშავეთა დაფარვის ან მტკიცებულებების განადგურების მოთხოვნა და ა. შ.).

საქმის გამოყოფის არსებით დაბრკოლებად შესაძლებელია განიხილებოდეს: თუ სრულწლოვნის პროცესზე მტკიცებულებები უკვე იქნა შეგროვებული, საქმის გამოყოფა მხოლოდ პროცესის გაჭიანურებას შეუწყობს ხელს და გაზრდის პროცესის ხარჯებს.[605]

603 Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 511.

604 ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 44; Eisenberg, U., 2010. S. 931.

605 Eisenberg, U., 2010. S. 932.

3.3. არასრულწლოვანი ბრალდებულის გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან

ამკ-ს 58-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გამოიტანოს განჩინება არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, რათა მის დაუსწრებლად გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მასზე, ხოლო არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნების შემდეგ სასამართლო საჭირო მოცულობითა და ფორმით აცნობს მას მისი არყოფნისას გამოკვლეულ მტკიცებულებათა შინაარსს. იმ პერიოდში, როდესაც არასრულწლოვანი არ ესწრება სასამართლო სხდომას, აუცილებელია მისი ადვოკატის ან კანონიერი წარმოამდგენლის დასწრება (ამკ-ს 58-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

ზოგადად, არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლოს სხდომაზე დასწრება და მისი მონაწილეობა აუცილებელია არა მხოლოდ მისი ინფორმირებულობის, არამედ მომხდარისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ მისი აზრისა და დამოკიდებულების მოსმენისათვის. მოზარდის სასამართლო სხდომაში აქტიური მონაწილეობით მოსამართლემ უნდა შეიქმნას მისი პიროვნების შესახებ ნათელი სურათი, რაც მოზარდის აღზრდისათვის ადეკვატური სასჯელის დანიშვნის წინაპირობაა.[606]

ამკ-ს 58-ე მუხლის დათქმა კი გამომდინარეობს მოზარდის ფსიქოლოგიიდან და პედაგოგიური ხასიათის მქონეა, ვინაიდან არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანა ემსახურება მის აღზრდასა და ინტერესებს. აღნიშნული ხორციელდება იმ მიზნით, რომ გარკვეული მტკიცებულებების გამოკვლევისას თავიდან იქნეს აცილებული ამ პროცედურის შინაარსით უარყოფითი გავლენის მოხდენა არასრულწლოვანზე (სტრესი, შიში, ფსიქიკური ტრავმები და სხვა).[607] ეს წესი არ არღვევს პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს, ვინაიდან განსასჯელის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შემთხვევაში დაცვის მხარე მონაწილეობს საქმის განხილვაში, რომელსაც სამართლებრივად თუ მორალურად მინდობილი აქვს ბავშვის კანონიერი ინტერესების დაცვა.[608]

არასრულწლოვნის ინფორმირებულობისა და თავის დაცვის უზრუნველყოფისათვის მოსამართლე მოზარდს აცნობს მისი არყოფნისას გამოკვლეულ მტკიცებულებათა შინაარსს იმ ფორმით, რომ ამან მის პიროვნულობაზე უარყოფითად არ იმოქმედოს. აღნიშნული გამომდინარეობს ბრალდებული მოზარდის სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან.[609]

იმისათვის, რომ მოხდეს არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანა, საჭიროა მხარის შუამდგომლობა ან მოსამართლის საკუთარი ინიციატივა. მოსამართლის საკუთარი ინიციატივა მნიშვნელოვანია და მიუთითებს სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის მეორეხარისხოვნობაზე არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის მიმართ.

---

606 Streng, F., 2008. S. 111.

607 იხ. გაბისონია ი., 2002, გვ. 498.

608 იხ. ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 52.

609 Streng, F., 2008. S. 113.

3.4. არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა

ამკ-ს 28-ე მუხლი განსაზღვრავს არასრულწლოვანი დაცვის საკითხს. მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად შეარჩიოს და მოიწვიოს ადვოკატი. თუმცა ამკ-ს მე-20 მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ ადვოკატი უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული.

ამკ-ს 28-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს/გამართლებულს ადვოკატი არ ჰყავს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი დაუყოვნებლივ მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს მისთვის ადვოკატის დაუყოვნებლივ დანიშვნის მოთხოვნით. არასრულწლოვანის სავალდებულო დაცვას ითვალისწინებს ასევე სსსკ-ს 45-ე მუხლი.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა დამცველის მონაწილეობას არასრულწლოვნის საქმის განხილვაში. სსრ სსსკ-ის 44-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოში არასრულწლოვნის საქმის განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულო იყო და ამ წესის დარღვევა აუცილებლად გამოიწვევს განაჩენის გაუქმებას ზემდგომი სასამართლოს მიერ.

არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა განპირობებულია იმით, რომ მას, სრულწლოვნისაგან განსხვავებით, არ შეუძლია თავის დაცვა ცხოვრებისეული გამოუცდელობის, სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის არცოდნის და თავისუფლების მიმართ განსაკუთრებული მგრძნობიარობის გამო.[610] სამართალდამცავ ორგანოებთან მოზარდის ნებისმიერი სახის ურთიერთობა, საკუთარი უფლებების არასაკმარისი ცოდნის გამო, თავისუფლების შეზღუდვის განცდად აღიქმება და აბრკოლებს მოზარდის დაცვით უნარს. გარდა ამისა ცალკეულ შემთხვევებში საჯარო ინტერესი (მაგ. თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში) და ეფექტიანი დაცვის განხორციელება აუცილებელს ხდის სავალდებულო დაცვას.[611]

არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვის განხორციელების უფლება მხოლოდ ისეთ ადვოკატებს უნდა ჰქონდეთ, რომელთაც მოზარდის აღზრდის საქმეში გამოცდილება და სპეციალური ცოდნა აქვთ.[612]

არასრულწლოვნის დამცველი, პირველ რიგში, ვალდებულია მისი კლიენტის აღმზრდელობითი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს და კლიენტს განუმარტოს, რომ მან არ იცის კონკრეტულად რა შედეგი შეიძლება დადგეს.[613] არასრულწლოვნის დაპირებამ და შემდეგ შედეგის დადგომის შეუძლებლობამ შესაძლებელია მასზედ (მოზარდზე) უარყოფითად იმოქმედოს.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში პანოვიტსი (Panovits) კვიპროსის წინააღმდეგ[614] ადამიანის უფლებათა და

610 იგივე, გვ. 72.
611 თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 148.
612 Streng, F., 2008. S. 72.
613 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 237, 238.
614 იხ. www.advocatenorde.nl/.../OD-15-jan-EHRM-Panovits-Cyprus.doc

ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლით გათვალისწინებული დაცვის უფლების დარღვევად ჩათვალა ის გარემოება, რომ არც არასრულწლოვანი ეჭვმინატილი და არც მისი მამა არ იყვნენ ინფორმირებული სათანადოდ თავიანთი უფლებების შესახებ – ესარგებლათ ადვოკატით და მომზადებულიყვნენ შესაბამისი დაცვისათვის.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მეორე ნაწილის „ბ" II ქვეპუნქტის მიხედვით, ყოველ ბავშვს, რომელმაც, თვლიან, რომ დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალი ედება მის დარღვევაში, უნდა ჰქონდეს, სულ ცოტა, აუცილებელი დახმარების მიღების და თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის საჭირო გარანტია.

„პეკინის წესების" მე-7 წესის მიხედვით კი „სასამართლო განხილვის მსვლელობისას არასრულწლოვანს უფლება აქვს წარმოდგენილ იქნეს ადვოკატით ან მიმართოს უფასო სამართლებრივ დახმარებას, თუ ასეთი დახმარების გაწევა გათვალისწინებულია ამ ქვეყნის კანონმდებლობით".

3.5. თარჯიმნის უფასოდ მომსახურებისა და საკონსულო დახმარების უფლება

ამკ-ს 30-ე მუხლი აუცილებელს ხდის საქმის წარმოების ყველა ეტაპზე გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა არასრულწლოვანს, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

არასრულწლოვანს ასევე უფლება აქვს, სასამართლო სხდომამდე ან საპროცესო მოქმედებამდე შეხვდეს თარჯიმანს, რათა დადგინდეს, ესმით თუ არა მათ ერთმანეთის.

ამკ-ს 30-ე მუხლის მესამე ნაწილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანს შესაძლებლობას აძლევს უფასოდ ისარგებლობს აგრეთვე ყველა იმ მომსახურებით, რომლებიც მას საქმის გასაცნობად და სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის ესაჭიროება.

გაუგებარია, რატომ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე (ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული) არასრულწლოვანი გამოყოფილი და გათანაბრებული სახელმწიფო ენის არ მცოდნე მოზარდს. შესაძლებელია აღნიშნული ფორმით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდის გამოყოფა უფრო სტიგმატიზირებადი იყოს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სჭირდებათ არა შებრალება ან თანაგრძნობა, არამედ გვერდში დგომა. ამ ჩანაწერით სახელმწიფო ერთი და იგივე ვითარებაში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანს და სხვა არასრულწლოვნებს სხვადასხვაგვარად ეპყრობა, რაც შესაძლებელია დისკრიმინაციად იქნეს შეფასებული. განსხვავებული მოპყრობა ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ვითარება მსგავსი, ანალოგიურია.[615]

---

615 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი, 2013. გვ. 65. (მუხლი 14, გოცირიძე, ე.)

ამკ-ს 31-ე მუხლის ჩანაწერი იმ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლებას აძლევს მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ისარგებლოს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენლის დახმარებით.

უცხო ქვეყნის მოქალაქე მოზარდის დაპატიმრების შესახებ უმოკლეს ვადაში და ნებისმიერ შემთხვევაში არასრულწლოვნის დაკითხვამდე უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ არასრულწლოვნის დაკავების ან დაპატიმრების თაობაზე ატყობინებს შესაბამისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

3.6. არასრულწლოვნის დაკავება

ამკ-ს 54-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის დაკავების შემდეგ შეძლებისდაგვარად მალე, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. არასრულწლოვნის დაკავების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს პიროვნული მახასიათებლები, რათა მას დაკავებით არ მიადგეს ზიანი. ამ მხრივ გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მოზარდის პიროვნული განვითარების ისტორია და ოჯახური გარემო, არამედ მისი დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან და ღირებულებებისადმი ორიენტაცია.[616]

საერთაშორისო წესების მიხედვით მოზარდი გონივრული ვადის განმავლობაში უნდა იქნეს წარდგენილი სასამართლოს წინაშე. გონივრული ვადა იმაზე მოკლე უნდა იყოს, ვიდრე ეს არის ზრდასრულ ადამიანებთან მიმართებაში.[617] სსსკ-ის 174-ე მუხლის მეხუთე ნაწილი სრულწლოვნებისათვის ითვალისწინებს დაკავების 72 საათს, განსხვავებით არასრულწლოვნებისა.

მაგისტრანტი მოსამართლის მნიშვნელოვანი ფუნქციაა არასრულწლოვანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვა აღკვეთი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტის ფარგლებში.[618]

საქმეში იპეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Ipek and Others v Turkey) ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული გამოძიებისას დააკავეს არასრულწლოვნები, რომლებიც დაკავებიდან ორ დღეში დაკითხეს. "მათ არ შესთავაზეს ადვოკატის დახმარება, რადგან დანაშაული სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოთა განსჯადობის ქვეშ ხვდებოდა. დაკავებიდან სამი დღისა და ცხრა საათის შემდეგ არასრულწლოვნები მოსამართლეს წარუდგინეს. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების ორგანოები, მე-5 მუხლის მიხედვით, შეუზღუდავი უფლებამოსილებით არ სარგებლობენ, რომ ეჭვმიტანილები დაკითხვისთვის დააკავონ ეროვნული სასამართლოების მხრიდან ეფექტიანი კონტროლის გარეშე. ეჭვმიტანილთა ასაკმა, დაგვიანებულმა დაკითხვამ და იურიდიული დახმარების არარსებობამ გაამყარა დასკვ-

616 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 280.
617 ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 83.
618 თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 96.

ნა, რომ განმცხადებელი მოსამართლეს «დაუყოვნებლივ» არ წარდგენია რაც მე-5 მუხლის დარღვევად იქნა ცნობილი".[619]

ამკ-ს 49-ე მუხლი არასრულწლოვნის დამკავებელ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ავალდებულებს არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობოს არასრულწლოვნის დაკავების და მისი ადგილსამყოფელის შესახებ და განუმარტოს არასრულწლოვნის დაკავების მიზეზები. ხოლო, თუ არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება ვერ ხერხდება, პოლიციის დანესებულების ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

ამკ-ს 50-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შესაძლებელია არასრულწლოვანის პროცესში მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობაზე უარი, თუ: ა) პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია;[620] ბ) არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან პროცესში მის მონაწილეობაზე; გ) კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს; დ) არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია ან თვითმხილველია; ე) კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული; ვ) კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.

ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიმართვის საფუძველზე საპროცესო წარმომადგენლად ასახელებს თავისი თანამშრომლის კანდიდატურას.

საპროცესო წარმომადგენელი (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი) უფლებამოსილია: ა) პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვნის საჭიროებების შესახებ; ბ) ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვნის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან; გ) არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ; დ) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საპროცესო სტატუსის, მის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის, ხანგრძლივობისა და ფორმის, აგრეთვე დაკითხვის ჩატარების წესის შესახებ; ე) არასრულწლოვანს აცნობოს სასამართლო მოსმენის დრო და ადგილი, აგრეთვე სხვა შესაბამისი მოქმედებების ჩატარების და დაცვის ხელმისაწვდომი ღონისძიებების შესახებ; ვ) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ გამოტანილი საპროცესო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ; ზ) არასრულწლოვნის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმედებები (ამკ-ს 54-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

1998 წლიდან 2009 წლამდე მოქმედი სსს კოდექსისაგან განსხვავებით,

---

619 მერდოკი, ჯ./ როშე, რ., 2013. გვ. 75.

620 ამკ-ს 50-ე მუხლის პირველი ნაწილის შეუსაბამობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესთან იხ.: მეორე თავი, პირველი ქვეთავი.

რომელიც არასრულწლოვანი ბრალდებულის პირველივე დაკითხვიდან სავალდებულოდ მიიჩნევდა მოზარდის კანონიერი წარმომადგენლისა და პედაგოგის დასწრებას (მუხლი 644), მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეგულირება ცოტა ბუნდოვანია. კანონმდებელი ახალ სსს კოდექსში ერთპიროვნულად აღარ მიუთითებს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის დასწრება სავალდებულოა და ამას განიხილავს, როგორც მხოლოდ მათ უფლებას (მოქმედი სსსკ 317-ე მუხლის მეორე ნაწილი), მსგავსად ამკ-ს 50-ე მუხლის პირველი ნაწილისა.

არსებული პრაქტიკის მიხედვით, ბავშვის მიყვანიდან დაკითხვის დაწყებამდე, დროის მცირე მონაკვეთის გამო მშობლები და პედაგოგები ვერ ახერხებდნენ მისვლას და დაკითხვაზე დასწრებას,[621] სავარაუდოთ ეს პრაქტიკა ისევ გაგრძელდება. არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვის დროს მისი მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) ან საკუთარი პედაგოგის დასწრება განპირობებულია მოზარდის ფსიქოლოგიური მდგომარეობით და გულისხმობს მოზარდის პიროვნების დაცვას სტრესისა და სხვა ფსიქიკური აშლილობისაგან, რაც შესაძლებელია მოზარდს განუვითარდეს მისთვის უცხო, არასასიამოვნო გარემოში ყოფნის დროს. გარდა ამისა, არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის ინფორმაცია მოზარდის ოჯახური სიტუაციის, პიროვნული განვითარების, მისი ფსიქიკური მდგომარეობისა და სოციალიზაციის შესახებ,[622] მინდობული საგამოძიებო ორგანოებისათვის მისი მათთან პირველივე კონტაქტისას, შესაძლებელს გახდის მოზარდის მიმართ გამოყენებული იყოს მისი პიროვნების ადეკვატური აღკვეთის ღონისძიება.

არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვისას გასათვალისწინებელია და სიფრთხილით უნდა შეირჩეს დაკითხვის ადგილი, დრო, გარემო, შეკითხვები და სხვა, რათა არ მოხდეს მოზარდისათვის ფსიქიკური ტრავმის მიყენება.[623]

3.7. არასრულწლოვნის გამოკითხვა და დაკითხვა

ამკ-ს 52-ე მუხლი ეძღვნება არსრულწლოვანის გამოკითხვას და დაკითხვას. არასრულწლოვნის გამოკითხვისას და დაკითხვისას მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, მაგრამ არ გაითვალისწინება იმავე კოდექსის 332-ე მუხლის დებულებები.

პირველ რიგში, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა არის გამოკითხვა და დაკითხვა.

სსსკ-ს 113-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.

როდესაც საუბარია არასრულწლოვანის გამოკითხვაზე იგულისხმება

621 ფაფიაშვილი, ლ., 2008, გვ. 162.
622 Eisenberg, U., 2010. S. 433; ბოხაშვილი, ი./ ბენიძე, მ., 2009, გვ. 42.
623 ბოხაშვილი, ი./ ბენიძე, მ., 2009, გვ. 50.

არასრულწლოვანი მოწის ან დაზარალებულის მიერ მხარეებისათვის ინ-ფორმაციის მიცემა წინასასამართლო სხდომამდე, ხოლო როდესაც საუბარია არასრულწლოვანის დაკითხვაზე – არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ინფორმაციის მიცემა სასამართლო სხდომაზე.

არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

არასრულწლოვნის დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ად-ვოკატის თანდასწრებით ტარდება. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც.

14 წლამდე ასაკის პირის დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სა-სამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისათვის დას-მული შეკითხვა. 14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და-კისრების თაობაზე.

არასრულწლოვნის დაკითხვისას შესვენებისათვის შესაფერისი ინტერ-ვალის დასადგენად მოსამართლე ითვალისწინებს არასრულწლოვნის ასაკს, განვითარების დონეს და სხვა გარემოებებს. თუ არასრულწლოვანი სექსუა-ლური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული.

არასრულწლოვანი არ შეიძლება დაიკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საა-თამდე.

არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვე-ბითა და სასმელი წყლით არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათი-დან 22:00 საათამდე, აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.

არასრულწლოვანის დაკითხვის დროს, პირველ რიგში, დაცული უნდა იქნეს კონსტიტუციით გარანტირებული ყველა უფლება.

ის რომ არასრულწლოვანის დაკითხვა არ შეიძლება 22:00 საათიდან 08:00 საათამდე არ უნდა წარმოადგენდეს გადამწყვეტ ფაქტორს. გადამწყვეტია არა მხოლოდ ის, რომ არასრულწლოვანი ღამის საათებში არ დაიკითხოს, არამედ ისიც, რომ შეფასდეს არასრულწლოვანის ფსიქიკური მდგომარეობა იმ კონკრეტული სიტუაციისას. თუ არასრულწლოვანს დროის და ადგილმ-დებარეობის ორიენტაცია აქვს დაკარგული, ან ალკოჰოლური ან ნარკოტი-კული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ არის უმჯობესია მისი (გამოკითხვა) დაკითხვა შეწყდეს.[624]

ნებისმიერი საპროცესო მოქმედება, რომელსაც საგამოძიებო ორგანო

624 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 433.

ჩაატარებს უნდა იყოს პროცესის დაჩქარებისკენ მიმართული.[625]

არასრულწლოვანის დაკითხვამდე აუცილებელია, რომ მას გააცნონ დუმილის და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება. ამ უფლებების არსი მოიცავს ბრალდებულისათვის სამართალდამცავი ორგანოების არასათანადო იძულებისაგან დაცვის გარანტიებს და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.[626] შესაბამისად, დაუშვებელია ბრალდებულის იძულება აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიებასთან.[627] არასრულწლოვანისათვის გასაგებ ენაზე ამ უფლებების განმარტება მნიშვნელოვანია, რადგანაც მოზარდს ზრდასრულისაგან განსხვავებით არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა, საკუთარი უფლებების ცოდნა და დაცვა.[628]

3.8. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა

ამკ-ს 55-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე არასრულწლოვანი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არაუმეტეს 6 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო ახალი ბრალდება არ წაუყენებიათ.

არასრულწლოვნის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს ზეპირი მოსმენით, სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან ერთი თვის ვადაში. არასრულწლოვნის საქმეზე საკასაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში. საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოაქვს საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 3 თვის ვადაში.

ამკ-ს 55-ე მუხლიდან საინტერესოა პირველი ნაწილის ჩანაწერი. ამ ჩანაწერით შესაძლებელია ერთ დანაშაულზე არასრულწლოვანი ბრალდებული პირი იყოს მხოლოდ ექვსი თვე. აღნიშნული ჩანაწერი განსხვავებულია სრულწლოვანი ბრალდებულულის მდგომარეობიდან.

თუ სააპელაციო სასამართლოში სავალდებულოა განაჩენის ზეპირი მოსმენით გამოტანა, ამგვარი ვალდებულება არ აქვს საკასაციო სასამართლოს.

ამკ-ს 56-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს არასრულწლოვნის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის საკითხს.

არასრულწლოვნის საქმის განხილვაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით სასამართლო: ა) უზრუნველყოფს, რომ საქმის სასამართლოში განხილვა არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარების შესაბამისად მიმდინარეობდეს; ბ) სხდომებს შორის გონივრული ინტერვალით აცხადებს შესვენებას არასრულწლოვნის ასაკის, ჯანმრთელობის, განვითარების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით დაუშვებელია არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა მის დაუსწრებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდე-

---

625 იგივე, 432.

626 მერდოკი, ჯ./ როშე, რ., 2013. გვ. 98.

627 თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 126.

628 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 433.

საც ის თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და სხდომის გადადება საქმის გონივრულ ვადაში განხილვას შეუძლებელს გახდის.

არასრულწლოვნის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის საკითხს ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სამართლის დონეზე (პეკინის წესების მე-14 წესი). ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარის მიხედვით, არასრულწლოვანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უნდა შეეძლოს სასამართლო პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის მიღება, "რისთვისაც მას უნდა ესმოდეს ბრალდების არსი, შესაძლო შედეგები და სანქციები, რაც საშუალებას მისცემს, უხელმძღვანელოს საკუთარ ადვოკატს, დაუპირისპირდეს მოწმეებს, აღწეროს მოვლენები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე, ჩვენებასა და დასაკისრებელ ზომებზე".[629] მოსამართლის ან პროცესის სხვა მონაწილეების მიერ ბავშვის სიტყვები სერიოზულად უნდა იქნეს მიღებული.[630] ბავშვის ასაკის და მონიფულობის გათვალისწინებით მოსამართლე თავისუფალია თავად გადაწყვიტოს, როგორ გაითვალისწინებს მას იგი.[631]

სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვის დროს შექმნას არასრულწლოვნის კეთილგანწყობილი გარემო, რაც გულისხმობს მაგ. მოსამართლემ არ ჩაიცვან ოფიციალური მანტია და ამის ნაცვლად ჩვეულებრივ სამოსში გამოეწყონ, პროცესის მონაწილეების განლაგებას ბავშვის დონეზე, ნაცვლად ამაღლებულ სკამზე ან პოდიუმზე განლაგებისა, ბავშვისათვის საშუალების მიცემას, იჯდეს მშობლის ან სხვა სათანადო უფროსის გვერდით და ა.შ.[632]

4. არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებული

ამკ-ს 52-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი დაზარალებული მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი ესწრებიან. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც.

საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი მოწმე მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრება. არასრულწლოვან მოწმეს უფლება აქვს, საპროცესო მოქმედების ჩატარებისას ჰყავდეს ადვოკატი. თუ არასრულწლოვანი მოწმე გადახდისუუნაროა, მას უფლება აქვს, ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც (ამკ-ს 53-ე მუხლის მე-9 ნაწილი).

არასრულწლოვანი დაზარალებულის მდგომარეობა უფრო უკეთესია, ვიდრე არასრულწლოვანი მოწმის. საპროცესო მოქმედება, რომელშიც არასრულწლოვანი დაზარალებული მონაწილეობს არასრულწლოვანი მოწმისაგან განსხვავებით სავალდებულოს ხდის ადვოკატის დასწრებას. გარდა ამისა, არასრულწლოვანი დაზარალებული ადვოკატის უფასო მომსახურებით

---

629 ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 93.

630 შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ჟ., 2012. გვ. 128.

631 იქვე.

632 ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 94

სარგებლობს, თუმცა არასრულწლოვან მოწმეს უფასო ადვოკატის უფლება წარმოეშობა, თუ იგი გადახდისუუნაროა (ამკ-ს მე-15-ე მუხლი).

საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანი მოწმის/არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს განჩინებით/დადგენილებით აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს (ამკ-ს 53-ე მუხლის მე-10 ნაწილი).

ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის/მშობლების თანდასწრებით (ამკ-ს 53-ე მუხლის მე-11 ნაწილი).

სსსკ-ის 56-ე მუხლი ითვალისწინებს პროკურორის დადგენილებით არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას. რის შემდეგაც იგი სარგებლობს მოწმის ყველა უფლებით და მოვალეობით. თუმცა არასრულწლოვან დაზარალებულს სს პროცესში მოწმეზე პრივილეგირებული მდგომარეობა უნდა ეკავოს.[633]

იმის გამო, რომ არასრულწლოვანი მონმე-დაზარალებულის სს პროცესში მონაწილეობა (ჩვენების მიცემა) მასზე განმეორებითი ვიქტიმიზაციის მომტანი შეიძლება იყოს, კანონმდებელი მოითხოვს საჭიროებისამებრ ასეთი პირის ფსიქოლოგის თანდასწრებით დაკითხვას. ბაღდათის რაიონული სასამართლოს მიერ 2009-2010 წლებში განხილულ იქნა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის დარღვევის ფაქტზე (2010 წლის 2 თებერვლის განაჩენი №1-5), რა დროსაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა, არასრულწლოვანმა გოგონამ სასამართლოში საქმის განხილვის დროს ვერ შეძლო ჩვენების მიცემა. მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომაზე მოწვეულ იქნა ფსიქოლოგი, რომელმაც გოგონასთან გარკვეული ფსიქოლოგიური სამუშაოს ჩატარების შემდეგ შეაძლებინა სექსუალური ძალადობის მსხვერპლს ჩვენების მიცემა, განახლდა სასამართლო პროცესი.

სექსუალური და ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის მსხვერპლთა დიდ ნაწილს დანაშაულის ჩადენის შემდეგ პოსტტრავმული პრობლემები (სტრესი) აღენიშნებათ,[634] რაც შესაძლებელია გამწვავდეს მომხდარის გახსენების ან დამნაშავესთან შეხვედრის დროს. ამიტომ არის მათი მოწმედ დაკითხვის დროს ფსიქოლოგის დასწრება და კანონიერი წარმომადგენლის გვერდში ყოფნა აუცილებელი.

ასევე მისასალმებელია, ამკ-ს 54 მუხლის მესამე ნაწილის ჩანაწერი, რომელიც თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმეა ან მსხვერპლია, შესაძლებლს ხდის, მისი დაკითხვა განხორციელდეს აუდიო- ან ვიდეოჩაწერით, რომელიც სასამართლო სხდომაზე იქნება მოსმენილი (დემონსტრირებული).

633 თუმანიშვილი, გ., 2014. გვ. 167.
634 Schneider, H.J., 1999. S. 127.

კვლევების თანახმად, არასრულწლოვანი მოწმე-დაზარალებულის დაკითხვის დროს ბრალდებულთან დაპირისპირება შესაძლოა არასრულწლოვნისთვის მძიმე ფსიქიკური პრობლემების მომტანი გამოდგეს.[635] შესაბამისად, არა მხოლოდ სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმის ან მსხვერპლი არასრულწლოვნის მიმართ უნდა იყოს აუდიო- ან ვიდეოჩაწერის გამოყენება შესაძლებელი, არამედ ძალადობრივი ხასიათის დანაშაულების დროსაც. მოსამართლემ და პროკურორმა, რომელმაც გაირა სპეციალური მომზადება ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში ინდივიდუალურად უნდა შეძლოს იმის შეფასება, რამდენად შეიძლება იყოს არასრულწლოვანი მოწმე-დაზარალებულის დაკითხვა და ბრალდებულთან დაპირისპირება მისთვის (არასრულწლოვნისთვის) ფსიქიკური პრობლემების მომტანი. გარდა ამისა, შესაძლებელია ბრალდებულთან არასრულწლოვნის დაპირისპირების დროს გამოყენებული იქნეს პირდაპირი აუდიოვიზუალური ჩართვა, დისტანციური დაპირისპირება, რითაც არასრულწლოვანი მოწმე-დაზარალებული უფრო დაცულად იგრძნობს თავს და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი არასრულწლოვან მოწმე-დაზარალებულზე დაკითხვის უარყოფითი ფსიქიკური შედეგები.[636]

5. საპროცესო ნორმები არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ჭრილში

არასრულწოვანი დამნაშავის საპროცესო თავისებურებები განაპირობებენ მის რესოციალიზაცია-რებილიტაციას. რესოციალიზაცია კრიმინოლოგიაში განიმარტება, როგორც გამოსწორება, აღზრდა, სოციალიზაცია, რეაბილიტაცია, მკურნალობა, (სოციალური) ინტეგრაცია.[637]

არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების ფაქიზი დამოკიდებულება, მისი პიროვნების შესწავლა და შესაბამისი სასჯელის დაკისრება მოზარდის რესოციალიზაციის აუცილებელი პირობაა.

სისხლის სამართლის ნორმის გამოყენების საზოგადოებრივი დაკვეთა მოზარდის გამოსწორებისკენ არის მიმართული, ანუ საზოგადოების სურვილია, არა მოზარდის ისეთი იზოლაცია, რომელიც არ მოიტანს დამნაშავის რესოციალიზაციას და ციხის დატოვების შემთხვევაში იგი ისევ შეუშლის ხელს საზოგადოებრივ თანაცხოვრებას, არამედ მის მიმართ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც მასთან (მოზარდთან) ერთად უსაფრთხოს გახდის თანაცხოვრებას.

სწორედ მოზარდის რესოციალიზაციის გრძელვადიანი პერსპექტივა უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. ამ მხრივ აუცილებელია, პირველ რიგში, საპროცესო ნორმების განხორციელების ისეთი პრაქტიკული სისტემის დამკვიდრება, რომელიც უზრუნველყოფს მოზარდის მართლმსაჯულების სისტემაში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მონაწილეობას. შესაბამისად, შესაძლებელია დისკრე-

635 თუმანიშვილი, გ., 2009. გვ. 68.
636 თუმანიშვილი, გ., 2009. გვ. 82; შალიკაშვილი, მ., 2011ბ. გვ. 36.
637 Cornel, H. u.a., 2009. S. 35.

ციის უფლება მიეცეს არა მარტო პროკურატურას და სასამართლოს, არამედ პოლიციას, რათა მოხდეს მართლმსაჯულების განხორციელების ნებისმიერ საფეხურზე არასრულწლოვნის სახელმწიფო (ძალოვანი) კონტროლის სისტემიდან გამოყვანა და საზოგადოებრივ ან სოციალური კონტროლის სისტემაში ჩართვა.

პოლიციისთვის დისკრეციის უფლების მიცემა გულისხმობს, რომ პოლიციელი თავად გადაწყვეტს მსუბუქი ხასიათის დანაშაულებზე ჩააყენოს თუ არა საქმის კურსში გამომძიებელი. ამის წინაპირობად უნდა ჩაითავლოს შსს-ს პოლიციის აკადემიის მიერ სამაგისტრო და საბაკალავრო სამართლის პროგრამების შემოღება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სამომავლოდ პოლიციის რიგებში მხოლოდ ისეთი კადრის აყვანას, რომელსაც სამართალმცოდნეობის სრული კურსი აქვს გავლილი.

დამნაშავე არასრულწლოვანთა პირველი პრობლემა ხშირად არის მათი სოციალიზაციის ნაკლებობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი თავისებურება იმით არის კარგი და მისი მიზანი ის არის, რომ არასრულწლოვანს (სრულწლოვნებისაგან განსხვავებით) მოეპყროს ლმობიერად და ჩამოუყალიბოს თავისი უკანონო ქმედების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა. მოზარდი დამნაშავე, რომელიც სოციალიზაციას არ არის ნაზიარები, ვერც იმას მიხვდება და გააცნობიერებს, თუ რატომ იყო მისი ქმედება დასჯადი და ვერც საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა ჩამოუყალიბდება. დამნაშავის რესოციალიზაცია მისთვის განათლებისა და სოციალიზაციის პროგრამების შეთავაზებას მოიცავს. მოზარდის რესოციალიზაცია ხელახალი სოციალიზაციის გარეშე შეუძლებელია.

სახელმწიფოს მხრიდან, უცხოელი დონორების დახმარებით, ბევრი სასიკეთო პროგრამა ხორციელდება არასრულწოვანთა მართლმსაჯულების კუთხით. ერთი პრობლემა, რომელიც შეიძლება აღინიშნოს, არის ის, რომ ეს პროგრამები არ ხორციელდება წინასწარი კრიმინოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე, რაც ეჭვქვეშ აყენებს მათი გრძელვადიანი პერსპექტივით მოქმედების შესაძლებლობას. სამწუხაროა ასევე, რომ ქვეყანამ ვერ შეძლო ერთიანი სტატისტიკური ბაზის შექმნა, სადაც დაწვრილებით იქნებოდა მონაცემები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის, აღკვეთი ღონისძიების შეფარდების, მისი საშუალო ხანგრძლიობის, სასჯელის გამოყენების და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემების შესახებ. ასეთი სრულყოფილი მონაცემების არქონა ხელს უშლის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების დაცვას[638] და ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული ნებისმიერი ხასიათის პროგრამა თუ პროექტი წინაპირობაა პრობლემის სწრაფად და ხარისხიანად მოგვარებისა.

იმისათვის, რომ არასრულწლოვანი დამნაშავისათვის გათვალსწინებულმა სისხლის სამართლის საპროცესო თავისებურებებმა მოზარდის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია გამოიწვიოს, საჭიროა:

638 შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ჟ., 2012. გვ. 357.

- წინასწარი პატიმრობის სანაცვლოდ, ისეთი ალტერნატიული საშუალებების დანერგვა, რომლებიც მოიცავს აღზრდას, ზედამხედველობას;[639]
- არასრულწლოვნის დანაშაულის პრევენციისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო ხასიათის პროგრამის ამოქმედება;[640]
- სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მხრიდან ისეთი მოპყრობა, რომელიც არ გამოიწვევს არასრულწლოვანი დამნაშავის სტიგმატიზაციას – ეტიკეტირებას.[641] სტიგმატიზაცია იწვევს მძიმე სულიერ პრობლემებს, რაც ახალი დანაშაულების ჩადენას უწყობს ხელს;[642]
- არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმის განხილვის ყველა ეტაპზე მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) დისკრეციის უფლება, შეწყვიტოს საქმე და არასრულწლოვანს აარიდოს მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრა, ყოფნა;
- არასრულწლოვან დამნაშავეთა სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ყველა პირის სისტემატური გადამზადება მოზარდთა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, რაც ასევე გულისხმობს ტრენინგებს კრიმინოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში და ფსიქიატრიაში;
- ნაკლებად მძიმე და მძიმე ხასიათის დანაშაულებზე ბრალეულობის სიმძიმის გათვალისწინებით განრიდების და განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის ან ალტერნატიული ღონისძიებების ხშირი გამოყენება. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოზარდის სოციალიზაციას და აღმზრდელობით პროცესს.[643]

639 ფაფიაშვილი ლ., 2008, გვ. 164.
640 ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 61.
641 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 145.
642 Schafstein, F. / Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 340.
643 Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013. S. 145.

თავი მეექვსე
თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწყების ასაკი განსხვავებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შესაძლებელია სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვანი მოთავსდეს. თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ძალიან დაბალი ზღვრისთვის არის დადგენილი, ან, თუ საერთოდ არ არსებობს ქვედა ზღვარი, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება კარგავს თავის მნიშვნელობას.

ზოგიერთ ქვეყანაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შექმნილია სპეციალური პირობები იმ მიზნით, რომ 21 წლამდე მოხდეს მსჯავრდებულთა განცალკევება ზრდასრული პატიმრებისაგან. უფრო მეტიც, არის ქვეყნები (მაგალითად, იაპონია), სადაც ეს ასაკი 24 წლამდეა გაგრძელებული.[644]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს 14 წლიდან განსაზღვრავს. პატიმრობის კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნად იწოდება 18 წლამდე ასაკის მსჯავრდებული.

პატიმრობის კოდექსი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აწესებს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იზოლირებულად განთავსებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებულები განცალკევებით უნდა იყვნენ სრულწლოვნებისგან და დაუყოვნებლივ უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ბრალდებულების/მსჯავრდებულების ერთად განთავსება შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი იყოს. რაც უფრო მეტი კრიმინალური წარსულის მქონე სრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ერთად მოხდება არასრულწლოვანის განთავსება, მით უფრო მეტი ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიოს მან ამ უკანასკნელზე. პრაქტიკაში გავრცელებულია სრულწლოვანი პატიმრების მხრიდან არასრულწლოვან პატიმრებზე სექსუალური ძალადობისა და მათი წამების ფაქტები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 90-ე მუხლის მეოთხე ნაწილი უშვებს შესაძლებლობას, გამონაკლის შემთხვევაში, არასრულწლოვანი მსჯავრდებული 21 წლის შესრულებამდე დატოვოს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. აღნიშნული ნორმა ძალაში შედის 2016 წლის იანვრიდან. ამ დრომდე მოქმედებს პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული მსგავსი შესაძლებლობა, იმ განსხვავებით, რომ არასრულწ-

644 მიქანაძე, გ., 2009. გვ. 6.

ლოვანი მსჯავრდებულის დაწესებულებაში დატოვება შესაძლებელია მანამ, სანამ მას 20 წელი შეუსრულდება.[645] უკრაინის კანონმდებლობის თანახმად (სასჯელაღსრულების კოდექსი, მუხლი 148),[646] არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დატოვება შესაძლებელია მანამ, სანამ მსჯავრდებულს შეუსრულდება 22 წელი.

ესტონეთის სასჯელაღსრულების კოდექსი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ნაცვლად ამკვიდრებს ახალგაზრდა მსჯავრდებულის ტერმინს. ახალგაზრდა მსჯავრდებულად იწოდება პირი, რომელსაც სასჯელის აღსრულების მომენტისათვის არ შესრულებია 21 წელი (მუხლი 77). მათი განთავსება ხდება სპეციალურად გათვალისწინებულ დახურული ან ღია (ახალგაზრდული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება) ტიპის დაწესებულებაში ან დახურული ტიპის დაწესებულების იზოლირებულ განყოფილებაში (ახალგაზრდების განყოფილება). კანონმდებლობის თანახმად, ახალგაზრდულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან ახალგაზრდების განყოფილებაში ერთმანეთისგან იზოლირებულად არიან განთავსებული: ა) პირები, რომელთაც არ შესრულებიათ 15 წელი; ბ) 15-დან 16 წლამდე ასაკის პირები; გ) 16-დან 18 წლამდე ასაკის პირები; დ) 18-დან 21 წლამდე ასაკის პირები (მუხლი 81).[647]

კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთა საკითხებს, ორიენტირებული უნდა იყოს ახალგაზრდების კეთილდღეობაზე და მიზნად ისახავდეს მათ რეაბილიტაციას და არა დასჯას. თავისუფლების აღკვეთის მდგომარეობა თითოეულ არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, რაც დამოკიდებულია მათ ზოგად მდგომარეობაზე, სულიერ ჯანმრთელობაზე, სიძნელეების გამკლავების უნარსა და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე. ზოგადად, თითოეული თავისუფლებააღკვეთილი პირი, და განსაკუთრებით არასრულწლოვნები, მათი ასაკიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, განიცდიან დამოუკიდებლობისა და სოციალური მხარდაჭერის დეფიციტს, აგრეთვე, მათთვის დამახასიათებელია დაღლილობის შეგრძნება იმის გამო, რომ მოკლებული არიან მიზანმიმართულ საქმიანობას. აღნიშნულმა შეგრძნებებმა შეიძლება გამოიწვიოს იზოლაციის, დეგრადაციისა და უუფლებობის განცდა, რამაც შესაძლებელია გაამწვავოს არსებული ფსიქოლოგიური და ქცევითი პრობლემები და ხელი შეუწყოს ახალი სირთულეების პროვოცირებასა და ნარმოქმნას, მათ შორის დეპრესიასა და საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის დაქვეითებას ან სულაც დაკარგვას. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს, რომლებიც ზემოაღნიშნული განცდების ქვეშ იმყოფებიან, შესაძლოა განუვითარდეთ ძალადობისა და განრისხების რეაქციები, კერძოდ:

- **დამოუკიდებლობისა და კონტროლის უკმარისობა:** იმ მომენტიდან, როდესაც თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები გადააბიჯებენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ზღურბლს, ისი-

645 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 69, ნაწილი 3.
646 «Уголовно-исполнительные кодексы», Донецкий Мемориал, Донецк, 2004 г., ст. 379.
647 *იქვე*, ст. 399.

ნი ერთგვარად კარგავენ ინდივიდუალობას და რიცხვებამდე დაიყვანებიან. მათგან მოითხოვენ დაემორჩილონ იმ წესებს, რომლებიც მართავენ მათი ცხოვრების ყველა ასპექტს: მათ მიუთითებენ სად უნდა დაიძინონ, სად მიიღონ საკვები, როდის ივარჯიშონ და ა. შ. ისინი ფაქტობრივად კარგავენ გადაწყვეტილების მიღების უფლებას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. უფლებებისა და ინდივიდუალობის ასეთმა „დაკარგვამ" შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს თავისუფლებააღკვეთილი პირის ღირსებასა და სულიერ მდგომარეობაზე. ამიტომ, გასაკვირი არ არის, როდესაც თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის ხშირად დამახასიათებელია დეპრესია და უიმედობის განწყობა.

- **სოციალური მხარდაჭერის დეფიციტი:** თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები მოწყვეტილი არიან ოჯახებს, მეგობრებსა და ახლობელ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ მათი სოციალური და ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფის უნარი. შესაბამისად, თავისუფლებააღკვეთილი პირები შეიძლება თავს არა მხოლოდ იზოლირებულად, არამედ მარტოდაც გრძნობდნენ.
- **მიზანმიმართული საქმიანობის დეფიციტი:** აღნიშნულს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში არ არის ორგანიზებული სხვადასხვა პროგრამა, განათლების მიღებისა და მუშაობის შესაძლებლობები. ასეთ დროს, „იძულებითმა მოწყენამ" შესაძლოა გამოიწვიოს მოწყენა, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიხატოს პრობლემურ ქცევასა და ძალადობაში.

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობაში/ თავისუფლების აღკვეთაში ყოფნის საკანონმდებლო რეგულირება

2010 წლის ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პატიმრობის კოდექსი, რომლის ფარგლებშიც ფართოდ იქნა მიმოხილული და განსაზღვრული ფუძემდებლური პრინციპები, დაკავშირებული არასრულწლოვანი ბრალდებულების პატიმრობისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიერ სასჯელის მოხდის პირობებთან.

კოდექსით განისაზღვრულია ექვსი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,[648] რომელთაგან ერთ-ერთი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაა.[649] აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირება უზრუნველყოფს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა იზოლირებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცუ-

648 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ხუთი დანარჩენი ტიპია: 1) დაბალი რისკის დაწესებულება; 2) ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება; 3) დახურული ტიპის დაწესებულება; 4) განსაკუთრებული რისკის დაწესებულება; და 5) ქალთა სპეციალური დაწესებულება.

649 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 10, ნაწილი 1.

ლი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.[650] საინტერესოა, რომ 2014 წლამდე არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება, რომელიც არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების სახელით იყო მოხსენიებული პატიმრობის კოდექსში, გათანაბრებული იყო ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებასთან; ხოლო ეს უკანასკნელი შეიარაღებული დაცვის უზრუნველყოფას საჭიროებს. შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებას შეიარაღებული დაცვის უზრუნველყოფა მოეხსნა.

მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, რომელზედაც მათი ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, მუდმივად ხორციელდება ვიზუალური ან ელექტრონული მეთვალყურეობა. დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე (ამკ-ს 83-ე მუხლი).

პატიმრობის კოდექსის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, ერთმანეთისგან განცალკევებით ათავსებენ ექვსი კატეგორიის მსჯავრდებულებს,[651] მათგან ერთ-ერთ კატეგორიას არასრულწლოვანი მსჯავრდებულები მიეკუთვნებიან. ამ ნორმით საქართველოს კანონმდებლობამ უზრუნველყო პატიმრობის საერთაშორისო პრინციპების დაცვა, დაადგინა რა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი და იმავე დაწესებულებაში მოხდება სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულთა განთავსება, უზრუნველყოფილი იქნება მათი ერთმანეთისგან იზოლირება. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა დაუშვა შესაძლებლობა სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში სხვადასხვა სქესის არასრულწლოვანთა ერთად მონაწილეობაზე (ამკ-ს 81-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უფრო შორს წავიდა და განსაზღვრა, რომ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, ისინი უნდა განთავსდნენ ასაკობრივი ჯგუფის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, აგრეთვე, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მახასიათებლების მიხედვით.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი ბრალდებულებსა და მსჯავრდებ-

650 *იქვე*, მუხლი 12², ნაწილი 1.

651 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განცალკევებით ათავსებენ, როგორც წესი, კიდევ ხუთი კატეგორიის პატიმრებს: 1) ქალებს; 2) პირველად მსჯავრდებულებს; 3) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) ან/და 143² (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) მუხლით/მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე/დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილ პირებს; 4) პირებს, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე; 5) განსაკუთრებით საშიშ პირებს, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას.

ულებზე საცხოვრებელი ფართის ნორმის სხვადასხვა სტანდარტს განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის, ისევე როგორც სხვა არასრულწლოვნებისთვის, გათვალისწინებულია საცხოვრებელი ფართი არანაკლებ 4 კვადრატული მეტრისა.[652] რაც შეეხება არასრულწლოვან ბრალდებულებს, კოდექსის თანახმად, მათზე ვრცელდება ბრალდებულთათვის დადგენილი საცხოვრებელი ფართის ზოგადი სტანდარტი, არანაკლებ 3 კვადრატული მეტრი ერთ ბრალდებულზე.[653] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სხვა ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შედარებით გაუმჯობესებული პირობები (ამკ მუხლი 83, პუნქტი 1). კანონმდებლობა არ აკონკრეტებს „გაუმჯობესებული პირობები" მეტ ფართს და/ან უკეთეს მატერიალურ-ტექნიკურ ინფრასტრუქტურას თუ რომელ სხვა კომპონენტს გულისხმობს; თუმცა, ცხადია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის/ მსჯავრდებულის პირობები არ უნდა იყოს მსგავსი იმისა, რაც აქვთ სრულწლოვნებს, იგი უნდა იყოს უკეთესი.

სრულწლოვანებას მიღწეული მსჯავრდებული, რომელიც მისი პიროვნებისა და ქცევის გათვალისწინებით არ შეიძლება პირობით ვადამდე იქნეს გათავისუფლებული ან არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში იქნეს დატოვებული, სასჯელის შემდგომი მოხდისათვის უნდა გაიგზავნოს ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში (ამკ 90 მუხლი მეორე ნაწილი).

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის უფლებამოსილებები დეტალურად მოცემულია ქვემოთ განხილულ ქვეთავებში. თუმცა, დამატებით გამოსაყოფია არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელიც უნდა იყოს ქვეყანაში დამკვიდრებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატური.[654] გარდა იმისა, არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის/ მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები, მას უნდა ჰქონდეს დაწესებულების მიერ შეძენილზე მეტი ღირებულების ან ანალოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალებების საკუთარი სახსრებით შეძენის უფლება. დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული მოთხოვნა და პენიტენციური დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვა, მას აქვს პირადი ექიმის საკუთარი სახსრებით მოწვევის უფლება.[655] არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეგულარული სამედიცინო შემოწმებით, საჭირო მკურნალობით, პრევენციული სამედიცინო მომსახურებითა და სპეციალური სამედიცინო ინვენტარით (ამკ 82-ე მუხლი).

პატიმრობისა თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას სამედიცინო პერსო-

652 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 15, ნაწილი 2.
653 *იქვე*, მუხლი 15, ნაწილი 3.
654 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 119.
655 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 24, ნაწილი 1.

ნალის უმთავრესი ფუნქციაა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, ცნობის შედგენა და პირად საქმეში შენახვა.[656] იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო შემოწმებისას გამოვლინდა არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ძალადობის ნიშნები, შემოწმების ჩამტარებელი პირი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს და იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული (ამკ 82-ე მუხლი).

კანონმდებლობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის თითოეულ დაწესებულებაში (მათ შორის, იმ დაწესებულებებში, სადაც არასრულწლოვნები არიან განთავსებული) ითხოვს საექიმო-სამედიცინო პუნქტის შექმნას.[657] თუ არასრულწლოვანი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მკურნალობა შეუძლებელია დაწესებულების ფარგლებში შექმნილ საექიმო-სამედიცინო პუნქტში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში.[658]

მოქმედი კანონმდებლობა არაერთგვაროვნად არეგულირებს არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მიმართებით დისციპლინური სახდელის გამოყენებას. კერძოდ, სამარტოო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, არ გამოიყენება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის მიმართ (ამკ 92-ე მუხლი). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ ანალოგიური დათქმის არარსებობა ინვევს პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლში მოქმედი ნორმის ბრალდებულ არასრულწლოვანზე გავრცელებას, რაც იძლევა 14 დღემდე ვადით სამარტოო საკანში ბრალდბეულის მოთავსების შესაძლებლობას.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს მსაჯვრდებულთა დისციპლინურ პატიმრობას მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩადენილი დისციპლინური დარღვევისათვის. თუმცა, იქვე მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდებათ ორსულ ქალებსა და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს.[659]

2. ურთიერთობა გარე სამყაროსთან

არასრულწლოვნის ურთიერთობა გარე სამყაროსთან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა საშუალებით, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის საზოგადოებისაკენ მოსაბრუნებლად.

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა კონტაქტი გარე სამყაროსთან უნდა განიხილებოდეს როგორც მათი უფლება და არა როგორც პრივილეგია. ამიტომ ასეთი კონტაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს

656 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 124, ნაწილი 2.
657 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 121, ნაწილი 1.
658 *იქვე*, მუხლი 121, ნაწილი 2.
659 საქართველოს პატიმრობის კოდექსის მუხლი 90, ნაწილი 3; ამკ-ს მუხლი 92, ნაწილი 4.

როგორც წახალისების ან დასჯის ფორმა.

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (37-ე და 92-ე წესები) საოჯახო კონტაქტებს ეხება. მათი დებულებები თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით ეხმაურება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, აგრეთვე არ შეიძლება მისი საცხოვრებელი ბინის, კორესპონდენციის საიდუმლოების ან მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს აქვს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან დაცვის უფლება". შესაძლოა, ეს დებულება უფრო მნიშვნელოვანია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიგნით, ვიდრე მის გარეთ. ხშირად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის მანძილზე თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის გარე სამყაროსთან კავშირის ერთადერთი საშუალება მხოლოდ ნათესავებთან ურთიერთობაა. ასევე ცნობილია, რომ ოჯახთან და მეგობრებთან დაშორება თავისუფლების აღკვეთის ერთერთი ყველაზე მტკივნეული მომენტია.[660]

დაკავებისთანავე ან თავისუფლების აღკვეთის ერთი ადგილიდან მეორეში ყოველი გადაყვანისას თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს თხოვნით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს, რათა მან შეატყობინოს მისი ოჯახის წევრებს და მის მიერ არჩეულ სხვა პირს საკუთარი ადგილმდებარეობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შეცვლის შესახებ.[661]

ადგილმდებარეობის შეცვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება არის არა მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა, არამედ მათი არასრულწლოვანი შვილების (რომელიც შეიძლება იხდიდეს სასჯელს) უფლებაც. ბავშვთა უფლებების კონვენციის 9.4 მუხლი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს (მათ შორის საქართველოსაც) ავალდებულებს, რომ ბავშვებს ან, თუ ეს საჭიროა, ოჯახის სხვა წევრებს მიაწოდონ „აუცილებელი ინფორმაცია ოჯახიდან წასული წევრის ადგილსამყოფლის შესახებ".

იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი არასრულწლოვანია, ან არ აქვს უნარი აღიქვას თავისი უფლებები, კომპეტენტურმა ორგანომ საკუთარი ინიციატივით უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვანთა მშობლების ან მეურვეების ინფორმირებას.[662]

ოჯახთან და მეგობრებთან კავშირის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, რაც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მაშინ, როდესაც პატიმარი საცხოვრებელ ადგილთან ახლოსაა განთავსებული. თუ პატიმრები სახლიდან ძალიან შორს განთავსდებიან, მათი მონახულება (ისევე როგორც სახლში დროებითი გაშვება) უფრო დიდ ძალისხმევასა და ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამ მოსაზრებას განმარტავს პრინციპების კრებულის მე-20 პრინციპი, რომლის

660 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005 წ., გვ. 115.

661 პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის 43/173 რეზოლუციით. პრინციპი 16(1).

662 *იქვე*, პრინციპი 16(3).

მიხედვითაც, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის თხოვნით, თუ ეს შესაძლებელია, დაკავების ან დაპატიმრების ადგილი უნდა იყოს მის საცხოვრებელ ადგილთან, რაც შეიძლება, ახლოს.[663]

საცხოვრებელ ადგილთან ახლოს გადაყვანის შესაძლებლობა უნდა განიხილონ ყოველ თავისუფლებააღკვეთილ პირთან ერთად მისი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ მოკლე ვადაში. ბევრ ქვეყანაში ქალი პატიმრების ამ პრინციპით განთავსება სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სიმცირის გამო, დაწესებულება შეიძლება არ არსებობდეს თავისუფლებააღკვეთილი ქალისთვის სასურველ ადგილას. ანალოგიური სირთულეებია საქართველოში მსჯავრდებული არასრულწლოვნებისა და ქალთა განთავსებასთან დაკავშირებით, რადგან თითოეული თავისუფლების აღკვეთის მხოლოდ ერთი დაწესებულება ფუნქციონირებს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება უნდა ჰქონდეს იკონტაქტოს ოჯახის წევრებთან, მეგობრებსა და სხვა პირებთან, ასევე დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ოჯახისა და ახლობლების მოსანახულებლად, მიიღოს დაწესებულების დატოვების სპეციალური ნებართვა საგანმანათლებლო თუ პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. სასჯელის მოხდის პერიოდში არასრულწლოვნის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ გატარებული დრო (ხანმოკლე შვებულება, სასწავლებელში ან სამუშაოზე დაწესებულების გარეთ ყოფნა) მას სასჯელის მოხდის საერთო ვადაში უნდა ჩაეთვალოს.

გარე სამყაროსთან (განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებთან) რეგულარული კონტაქტი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რეაბილიტაციის ერთერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, არასრულწლოვან მსჯავრდებულსა და მისი ოჯახის წევრებს შორის კავშირის უზრუნველყოფა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. შესაძლებლობის ფარგლებში და კანონით დადგენილ შემთხვევებში არასრულწლოვან მსჯავრდებულს უნდა მიეცეს ხანმოკლე ვადით შინ წასვლისა და ოჯახის წევრთა მონახულების უფლება. როგორც წესი, ეს ვადა ყოველ ჯერზე რამდენიმე დღეს შეადგენს. საქართველოში აღნიშნული ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც (ამკ 88 მუხლი). თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის დრო შედის სასჯელის საერთო ვადაში. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შემთხვევაში არასრულწლოვანი მსჯავრდებული პირველივე დღეს უნდა გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში, სადაც აღნიშნავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის დაწყების დროს. თუ ობიექტური მიზეზით არასრულწლოვანი მსჯავრდებული განსაზღვრულ ვადაში ვერ ახერხებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაბრუნებას, პრობაციის ბიურო უფლებამოსილია გაუგრძელოს მას ვადა არა უმეტეს 2 დღისა.[664] რაც შეეხება არასრულწლოვან

663 *იქვე*, პრინციპი 20.

664 საქართველოს პატიმრობის კოდექსი მუხლი 27, ნაწილი 11.

ბრალდებულს, მას უფლება არ აქვს ისარგებლოს დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლით. არასრულწლოვან ბრალდებულს შეიძლება უფლება მიეცეს განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს დაწესებულების ტერიტორია, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით ან მსჯავრდებულის სოციალური აქტივობის განსახორციელებლად, აგრეთვე, თუ აუცილებელია ბრალდებულის მონაწილეობა საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში.[665] ბრალდებულის მიერ დაწესებულების დროებით დატოვების ნებართვას გასცემს გამომძიებელი ან პროკურორი, რომელიც წერილობით ეგზავნება დაწესებულებასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტს.[666]

სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა განსხვავებულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით სარგებლობის პერიოდულობის მხრივ. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ხანმოკლე გასვლა ყოველთვიურად ხდება, საქართველოში ამ უფლებით სარგებლობა კი შესაძლებელია წელიწადში სამჯერ (ამკ 88-ე მუხლი). ამავე 88-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

მიზანშეწონილია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს ოჯახის წევრებს ხშირად მივიდნენ არასრულწლოვანთა მოსანახულებლად (კანონით დადგენილი ყოველთვიური პაემნების ფარგლებში) და იქონიონ კონტაქტი წერილებისა და ტელეფონის საშუალებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87 მუხლი არასრულწლოვან მსჯავრდებულს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით 5 (საკუთარი ხარჯით – ულიმიტო), ხოლო ბრალდებულს – 3 სატელეფონო საუბრით სარგებლობის უფლებას აძლევს[667], თითოეული არა უმეტეს 15

---

665 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 16 ნოემბერის №160 ბრძანება „პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის თაობაზე", მუხლი 3, ნაწილი 1.

666 იქვე, №160 ბრძანება, მუხლი 3, ნაწილი 4.

667 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 79, ნაწილი 1, ქვეპუნქტი გ).

წუთის ხანგრძლივობისა. არასრულწლოვანი ბრალდებულისგან განსხვავებით, მსჯავრდებულს თვეში 4 ვიდეოპაემნით, ხოლო წახალისების ფორმით, თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება აქვს (ამკ 87 მუხლი). ამავე მუხლის საფუძველზე არასრულწლოვანი მსჯავრდებული ასევე ხანგრძლივი პაემნის უფლებითაც სარგებლობს; კერძოდ, წელიწადში შესაძლებელია ჰქონდეს 4 ასეთი პაემანი და წახალისების ფორმით, წელიწადში დამატებით 6 ხანგრძლივი პაემანი მიიღოს. თითოეული ხანგრძლივი პაემანი შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 23 საათის დროით.[668]

კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 77-ე და 123-ე მუხლები ადგენს 1 თვის განმავლობაში ბრალდებულის მიერ ხანმოკლე პაემნით სარგებლობის მაქსიმალურ და არა მინიმალურ ოდენობას, აგრეთვე განსაზღვრავს აღნიშნული პაემნის განხორციელების ნებართვის გამცემ (შეზღუდვის დამწესებელ) სუბიექტებს და ადგენს ნორმის ამ ფორმით მოქმედების კონკრეტულ ვადას. უფრო დეტალურად კი, ბრალდებულს (მათ შორის არასრულწლოვან ბრალდებულს) 2016 წლის 1 იანვრამდე პროკურორის ან გამომძიებლის ნებართვის საფუძველზე 1 თვის განმავლობაში შეუძლია ისარგებლოს არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. ამ ვადის დადგომის შემდეგ, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

პატიმრობის კოდექსმა, მის წინამორბედ პატიმრობის შესახებ კანონთან შედარებით, გაზარდა იმ პირთა წრე, რომლებთანაც ბრალდებულს/მსჯავრდებულს (მათ შორის არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს) ხანმოკლე პაემნის ფარგლებში შეხვედრის უფლება აქვს. ეს ნორმა განმტკიცებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითაც, სადაც დამატებით განისაზღვრა მსჯავრდებულის ნებისმიერ პირთან ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის განხორციელების შესაძლებლობა კანონიერი წარმომადგენლისა და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით (ამკ 87 მუხლი). პირთა წრე, რომელთანაც პატიმრობის კოდექსი უშვებს ხანმოკლე პაემნის განხორციელებას, მოიცავს ახლო ნათესავებს (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მის შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე იმ პირს, რომელთანაც ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში).[669]

არასრულწლოვან მსჯავრდებულს პირველი ხანმოკლე პაემნის უფლება მიზანშეწონილია მიეცეს მისი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიყვანისთანავე, დამოუკიდებლად იმისა, ჰქონდა თუ არა მას ხანმოკლე ან ხანგრძლივი პაემანი სხვა დაწესებულებაში ყოფნისას. შემდეგი შეხვედრები მსჯავრდებულს, როგორც წესი, მიეცემა გარკვეული პერიოდის შემდეგ

668 საქართველოს პატიმრობის კოდექსი მუხლი 17², პუნქტი 5.
669 საქართველოს პატიმრობის კოდექსი მუხლი 17, ნაწილი 2.

(თანაბრად გადანაწილების პრინციპი), რომელიც განისაზღვრება თვის დღეთა ოდენობის (ხანმოკლე პაემნის შემთხვევაში) და წლის თვეთა ოდენობის (ხანგრძლივი პაემნის შემთხვევაში) პაემნების იმ ოდენობაზე გაყოფით, რაც კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული მსჯავრდებულს თვეში/წელინადში.

პაემანი ხორციელდება არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციას პაემნის თაობაზე წერილობით უნდა ეცნობოს პაემნამდე 5 დღით ადრე. განცხადებას თან უნდა ერთოდეს განმცხადებლის არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ახლო ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა, ცნობა გაცემული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ). თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია პაემნის მოთხოვნაზე განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა უზრუნველყოფს პაემნის ორგანიზებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რის თაობაზეც განმცხადებელი ინფორმირებულ უნდა იქნეს იმავე დღეს.[670]

არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის დიპლომატიური დაწესებულებებისა და საკონსულოების წარმომადგენლებს, რომლებიც ითავსებენ მისი ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესების დაცვას ან, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს მათი ინტერესების დაცვა, აგრეთვე, სახელმწიფოთაშორის ორგანოებთან, რომლებიც ამ პირთა ინტერესებს იცავენ.[671]

პაემნებსა და დაწესებულების ხანმოკლე დატოვებას შორის საინტერესო კომპრომისის მაგალითია გერმანია, სადაც ის ცნობილია ტერმინ „ბეზუხსაუსგანგის" (შვებულება ვიზიტის ნაცვლად) სახელით. ზოგიერთ თავისუფლებააღკვეთილ პირს საშუალება ეძლევა შეხვდეს მნახველს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების კედლებს გარეთ იმ დროის განმავლობაში, რა დროითაც პაემანი უნდა გაგრძელებულიყო. ასეთ გადაწყვეტილებას ის უპირატესობა აქვს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირი და მისი მნახველი თვითონ არჩევენ შეხვედრის ადგილს და პირობებს, ხოლო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალს აღარ უხდება ამ პრობლემებზე ზრუნვა.[672]

უკრაინის სასჯელაღსრულების კოდექსის 144-ე მუხლის თანახმად, კარგი ქცევის, შრომისა და სწავლის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, თვითშემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში და აღმზრდელობით ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის გამო არასრულწლოვანი მსჯავრდებულები შეიძლება ნახალისდნენ. კერძოდ, ნახალისების ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება:

ა) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლების თანხლე-

---

670 *იქვე*, მუხლი 17, ნაწილი 6.

671 *იქვე*, მუხლი 17, ნაწილი 13.

672 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 118.

ბით კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება დაწესებულების ფარგლებს გარეთ;

ბ) მშობლების ან სხვა ახლო ნათესავების თანხლებით აღმზრდელობითი დაწესებულების გარეთ გასვლის უფლების მიცემა.

ამასთან, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ გასვლის ხანგრძლივობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი. აკრძალულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებს გარეთ იმ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება, რომელიც საღამოს 8 საათის შემდეგ ეწყობა.[673]

ხშირია შემთხვევები, როდესაც თავისუფლების აღკვეთის გამო არასრულწლოვანი მსჯავრდებულები კარგავენ კავშირს საკუთარ ოჯახებთან. არასრულწლოვნის მიერ ახალი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის პრევენციისა და მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებული უნდა იყოს დაადგინოს დაწესებულებიდან გასვლის შემდეგ რომელ არასრულწლოვანს აღარ აქვს კონტაქტი საკუთარ ოჯახთან და შესაბამის სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებისა და თანამშრომლობის საფუძველზე დაეხმაროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვანს ამ კავშირის აღდგენაში.

3. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

მსჯავრდებულის რესოციალიზაციას საქართველოს პატიმრობის კოდექსის 116 მუხლი განმარტავს, როგორც მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, ხოლო რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებად ასახელებს: ა) სასჯელის მოხდას დადგენილი წესის შესაბამისად; ბ) სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას; გ) აღმზრდელობით მუშაობას არასრულწლოვნებთან; დ) მსჯავრდებულთა დასაქმებას; ე) ზოგადი და პროფესიული განათლების მიღებას; ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობას.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვნისათვის გარანტირებული უნდა იყოს შინაარსობრივი ქმედებებითა და პროგრამებით სარგებლობა, რომლის მიზანიც იქნება მისი პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა და იმ დამოკიდებულებებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც მას დაეხმარება საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში.

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს მათ სტატუსთან დაკავშირებით არანაირი საფუძვლით არ შეიძლება უარი ეთქვათ სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობისა ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

---

673 «Уголовно-исполнительные кодексы», Донецкий Мемориал, Донецк, 2004 г., ст. 378.

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლობა იმ დაწესებულებებთან, რომლებიც ზოგადად არასრულწლოვანთა საკითხებზე, მათ განათლებასა და განვითარებაზე მუშაობენ (მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტის სამინისტრო, ბავშვის უფლებებზე მომუშავე და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.). ამ მიზნით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა სამინისტროსთან რიგი ერთობლივი ბრძანებების გამოცემას; ასე მაგალითად, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს სრული ზოგადი განათლება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად (ამკ 84-ე მუხლი).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელთაც მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლიათ სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა-განხორციელებაში, სპორტული ღონისძიებებისა თუ არაფორმალური სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, როგორიცაა, მაგალითად, კომპიუტერის კლასი, ართ-თერაპია (ხატვა, ძერწვა და სხვ.), სკოლის პროგრამისგან დამატებითი უცხო ენის შემსწავლელი წრე და სხვ.

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში აუცილებელია მუდმივ შტატზე მუშაობდეს ან ხელშეკრულებით იყოს აყვანილი ფსიქოლოგი, რომლის საქმიანობაც ხელს შუწყობს არასრულწლოვანთა რეაბილიტაციას.

რესოციალიზაციის ფარგლებში არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს არასრულწლოვანთა განათლება უნდა წარმოადგენდეს. სასკოლო ასაკის ყველა არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისი განათლების მიღებით, რაც ხელს შეუწყობს მის საზოგადოებაში „უმტკივნეულოდ" დაბრუნებასა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის აცილებას. ასეთი განათლება უნდა უზრუნველყონ კვალიფიციურმა მასწავლებლებმა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებული პროგრამების საშუალებით იმგვარად, რომ გათავისუფლების შემდგომ არასრულწლოვანმა დაუბრკოლებლად შეძლოს სწავლის გაგრძელება.

არასრულწლოვანთა განათლების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ფუნქციონირებდეს სკოლა, ან არასრულწლოვნებს ჰქონდეთ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების საშუალება საჯარო სკოლაში სწავლის მიზნით. სკოლა სწავლების საერთო ეროვნული პროგრამის ფარგლებში უწყვეტ სასწავლო პროცესს უნდა ახორციელებდეს. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოქმედი სკოლა უნდა ექვემდებარებოდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მასში დასაქმე-

ბული უნდა იყვნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობაში მყოფი სერტიფიცირებული მასწავლებლები. სკოლას, სხვა საჯარო სკოლების მსგავსად, რიგითი ნომერი უნდა ჰქონდეს. სკოლის დასრულების შემდეგ განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატის (ატესტატის) გადაცემა უნდა ხდებოდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების და არა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. სერტიფიკატში (ატესტატში) არ უნდა იყოს მითითებული, რომ სკოლა, რომელიც არასრულწლოვანმა დაამთავრა, ფუნქციონირებდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ბრალდებულად ყოფნის/სასჯელის მოხდის პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში (დიპლომი, სერტიფიკატი, ატესტატი და სხვა) არ მიეთითება ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია არასრულწლოვნის, როგორც ნასამართლევის ან ყოფილი მსჯავრდებულის, იდენტიფიცირება.[674]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სრული ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების უზრუნველყოფას პატიმრობის/არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში. შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას ყველა პირობა, რომ ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება.[675]

არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა.[676] იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანს არა აქვს შემეცნება, სწავლასთან მიმართებით აწყდება სირთულეებს, ასაკისდა მიუხედავად არ უსწავლია საჯარო სკოლაში ან ასაკთან შეფარდებით არასაკმარისი სწავლის ისტორია გააჩნია, უნდა ფუნქციონირებდეს სპეციალური პროგრამები და ასეთ არასრულწლოვნებთან სწავლება ინდივიდუალური გეგმით უნდა მიმდინარეობდეს. საინტერესოა, რომ კანონმდებლობა ამგვარ ინდივიდუალურ მიდგომას მხოლოდ მსჯავრდებულთან მიმართებით უშვებს და არაფერს ამბობს ბრალდებულ არასრულწლოვანზე.[677]

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოელი ან განსხვავებული კულტურული ან ეთნიკური ნარმომავლობის არასრულწლოვნებისათვის განათლების ხელმისაწვდომობას. არასრულწლოვანს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, უნდა შეექმნას პირობები მის შესასწავლად.

უმეტეს შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნარმატებულად განხორციელებული საგანმანათლებლო და ტრენინგის პროგრამები ოთხი ძირითადი თავისებურებით გამოირჩევა:

- **სტიმულზე დამყარებული სტრუქტურა:** თავისუფლებააღკვეთილი პირები იღებენ პრივილეგიებს და წახალისებებს, როგორიცაა თავისუ-

674 ამკ მუხლი 84, ნაწილი 6.
675 ამკ მუხლი 84, ნაწილი 3.
676 ამკ მუხლი 84, ნაწილი 2.
677 ამკ მუხლი 84, ნაწილი 7.

ფლების აღკვეთის ვადის შემცირება, ვადაზე ადრე გათავისუფლება და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დასაქმების უპირატესი უფლება, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ დაასრულონ სასწავლო კურსები და მიაღწიონ სასურველ მიზნებს.

- **მოსწავლეებზე ორიენტირებული სტრუქტურა:** პროგრამები ადასტურებენ, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები არიან სხვადასხვა კულტურული გარემოდან გამოსული მოზრდილები, რომლებსაც ცოდნის განსხვავებული დონე და უნარ-ჩვევები აქვთ. ამ პროგრამების წარმატება დამოკიდებულია თავისუფლებააღკვეთილთა ნებისყოფაზე.
- **საზოგადოებაზე ორიენტირებული სტრუქტურა:** საზოგადოებიდან გამოსულ მოხალისეებს და ორგანიზაციებს, მათ შორის რელიგიურ ორგანიზაციებს, შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ საზოგადოებასთან თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების მუდმივი კავშირის უზრუნველყოფის გზით.
- **ყოველმხრივი (საერთო ხასიათის) პროგრამები:** პროგრამები ადასტურებენ, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლებული პატიმრები ხშირად საჭიროებენ დამაკავშირებელ „ხიდს" თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში ცხოვრებასა და დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ცხოვრებას შორის. ამ პროგრამების მიხედვით, გათავისუფლებულ პატიმრებს აქვთ გარდამავალ პროგრამებში ჩართვის არჩევანი (ან ზოგჯერ ჩართვა მოეთხოვებათ), რაც აძლიერებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღებულ უნარ-ჩვევებს.[678]

ყოველ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში (მათ შორის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაშიც) უნდა ფუნქციონირებდეს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება როგორც საგანმანათლებლო, ასევე, არასრულწლოვანთა შემთხვევაში, შესაფერისი გასართობი წიგნებითა და ჟურნალებით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მუხლი 84, პუნქტი 4) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულებისთვის უნდა შეიქმნას პირობები პროფესიული განათლების უზრუნველყოფისა და პროფესიული დონის ამაღლების მიზნით. პროფესიული სწავლება მსჯავრდებულთათვის ნებაყოფლობითი უნდა იყოს. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების დანერგვისა და განხორციელების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ პროფესიებს, რომელთა ორგანიზებაცა და შესწავლაც დაწესებულების პირობებშია შესაძლებელი და რომლებზეც არსებობს მოთხოვნა დასაქმების ბაზარზე. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისა და სასჯელის მოხდის შემდეგ, გათავისუფლებისას, სამუშაოს მოძიებასა და დასაქმებას.

არასრულწლოვან მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს პროფესიული ტრენინგებით სარგებლობის უფლება ისეთ გარემოში, რომელიც მოამზა-

678 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი / იუსტიციისსამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 108.

დებს მას სამომავლო დასაქმებისათვის. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამუშაოს მეთოდები და ორგანიზება მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს და ასახავდეს საზოგადოებაში განსახორციელებელ ანალოგიურ სამუშაოს იმგვარად, რომ მოამზადოს არასრულწლოვანი საზოგადოებაში დაბრუნებისა და ცხოვრების პირობებისთვის.

ყოველ არასრულწლოვან ბრალდებულს / მსჯავრდებულს, რომელიც მუშაობს, უნდა ჰქონდეს განხორციელებული საქმიანობის ადეკვატური ანაზღაურება (ამკ 85-ე მუხლი). იმავე 85-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.

არასრულწლოვანი ბრალდებულის / მსჯავრდებულის მუშაობა დასაშვებია სწავლისაგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს (ამკ 85-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ყოველ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, განურჩევლად მისი რელიგიური მრწამსისა, უფლება უნდა ჰქონდეს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები რელიგიასა და სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ მსახურებაზე ან შეხვედრებზე დასწრების გზით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება პატიმრობის / არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, აგრეთვე, უფლებით, იქონიოს რელიგიური ხასიათის წიგნები და საგნები, რათა მისდიოს საკუთარ აღმსარებლობას. რელიგია განსაკუთრებულ როლს თამაშობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარემოში რიგი მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელებაში. ეს მიზნები მოიცავს: 1) თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის კითხვებზე ცხოვრების შესახებ პასუხის გაცემას; 2) აუცილებელი წესების გაცნობას, რომელთა დაცვა სავალდებულოა და რომლებიც აადვილებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა რესოციალიზაციას; და 3) საზოგადოებასთან კონტაქტის დამყარებას ერთგვარად მოაზროვნე პატიმრების ერთად თავმოყრით სალოცავად, რელიგიურ თემებზე სასაუბროდ, მსჯელობისათვის. ამგვარი ერთად ყოფნა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანს გარკვეულ წრესთან ერთიანობის შეგრძნებას ანიჭებს და მის კულტურაზე დადებითად მოქმედებს.[679]

უახლესმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ რელიგიური ხასიათის რჩევადარიგება ამცირებს პატიმრობის / თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ძალადობას და მას თითქმის არა აქვს რეციდივი. ხშირად რელიგიური აქტიურობა, მრჩევლების და დამრიგებლების გამოყენებით, შეიძლება იყოს დამატებითი შესაძლებლობა, რათა დააკავშიროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არსებული ატმოსფერო გარე საზოგადოებას და გააუმჯობესოს რეინტეგრაციისადმი მიმართული ძალისხმევა.[680]

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში დაბრუნებისათვის მომზადების მიზნით 2012 წლიდან დაინერგა ინდივიდუალური გეგმა, რომელიც თითოეული არასრულწლოვანი მსჯავრდე-

679 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი / იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 112-113.
680 *იქვე.*

ბულისათვის ინდივიდუალურად შედგენილ აქტივობათა ერთობლიობას წარმოადგენს. იგი რისკების შეფასებასაც ეხება, რაც იძლევა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის მზაობისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შესაძლო ალბათობის შეფასების შესაძლებლობას.

ინდივიდუალური გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალს, მის განსახორციელებლად განსაზღვრული დროისა და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პასუხისმგებელი თანამშრომლების მითითებით.[681] ინდივიდუალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს აქტივობები, რომლებიც უკავშირდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთან სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ექიმისა და მასწავლებლის როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მუშაობას.[682] კერძოდ, აღნიშნული აქტივობები შესაძლებელია მოიცავდეს შეხვედრებს ფსიქოლოგთან, მონაწილეობას ფსიქოსოციალური თერაპიის კურსებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობაში.

ინდივიდუალურ გეგმას თითოეულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მიმართებით ადგენს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოქმედი კოორდინატორი და მულტიდისციპლინური საბჭო,[683] რომელიც შედგება დაწესებულების სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ექიმისა და მასწავლებლისგან.[684] მულტიდისციპლინური საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ბიოფსიქოსოციალური პორტრეტის შექმნა, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და მის განხორციელებაზე მონიტორინგი.[685] თითოეული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ინდივიდუალური გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება დაწესებულების დირექტორს.[686]

მოლდავეთში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელიც გამოსწორების გზას ადგას, გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე, გათავისუფლებისათვის მომზადების მიზნით, შეიძლება გადაყვანილი იყოს საერთო რეჟიმიდან რესოციალიზაციის პირობებში. ასეთ შემთხვევაში, ისინი ცხოვრობენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ, სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში ყოველგვარი დაცვის გარეშე, მაგრამ ზედამხედველობის ქვეშ. მათ უფლება აქვთ ისარგებლონ თვეში დამატებითი 1 ხანგრძლივი პაემნით და განუსაზღვრელი რაოდენობის ხანმოკლე პაემნით (მუხლი 109).[687]

---

681 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №19 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის თაობაზე, 02.02.2012, მუხლი 1, ნაწილი 2.

682 *იქვე*, მუხლი 1, ნაწილი 3.

683 *იქვე*, მუხლი 1, ნაწილი 10.

684 *იქვე*, მუხლი 3, ნაწილი 1.

685 *იქვე*, მუხლი 3, ნაწილი 3.

686 *იქვე*, მუხლი 1, ნაწილი 10.

687 «Уголовно-исполнительные кодексы», Донецкий Мемориал, Донецк, 2004 г., ст. 211-212.

4. პირობით ვადამდე გათავისუფლება

პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებას, რომლის არსებობის გარეშეც, ფაქტობრივად, შეუძლებელია პატიმართა რესოციალიზაციაზე საუბარი. პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულის დახმარება, რათა მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული დროის შემდეგ შეძლოს საზოგადოებაში კანონმორჩილი ცხოვრება გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.[688]

ვადამდე გათავისუფლების მარეგულირებელი სამართალი და პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია თავისუფლების აღკვეთის დაკისრებისა და აღსრულებისათვის, რამეთუ ისინი ცხადყოფენ იმ რეალობას, რომლითაც დგინდება თუ რამდენად ხორციელდება კონსტიტუციური წყობილების ქვეყანაში დასჯის ძალაუფლების შეზღუდვა უფრო ზოგადი პრინციპებით, რომლებიც სასჯელის მიზანს ემსახურება.[689]

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც დღესდღეობით ბევრ ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს, აიძულებს ხელისუფლებას იმსჯელოს სასჯელის განსაზღვრის პოლიტიკაზე, რათა შეზღუდოს ან შეამციროს პატიმრობის მაჩვენებლები. ამგვარი ინიციატივები დაფუძნებულია „წინა კარის" ან „უკანა კარის" სტრატეგიაზე, რაც გულისხმობს მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირებას გამოწვეულს ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ზრდით („წინა კარის" სტრატეგია) და, ასევე, პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობის გაზრდას („უკანა კარის" სტრატეგია).[690]

2006 წლიდან 2013 წლამდე საქართველოში „წინა კარის" სტრატეგია უფრო აქტიურად გამოიყენებოდა, ვიდრე პირობით ვადამდე გათავისუფლება,[691] თუმცა, ეს იმდენად არ იყო გამოხატული ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ზრდით, რამდენადაც – პირობითი მსჯავრის შეფარდებით.

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის სწორად წარმართვისა და ეფექტური სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა სპეციალური რეკომენდაციაც მიიღო და რიგ სხვა რეკომენდაციებშიც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამ საკითხზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაცია, რომლითაც განისაზღვრა როგორც პირობით ვადამდე გათა-

688 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. პრეამბულა.

689 D. Van Zyl Smit/Sonja Snacken, 2011, pg. 316.

690 F. Dünkel, 2010. pg. 43.

691 ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის მიერ 2012 წლის 9 თებერვალს მონოდებული სტატისტიკის თანახმად, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24 114 ბრალდებული და მსჯავრდებული იყო განთავსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ხოლო პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა 38681 მსჯავრდებული

ვისუფლების სტატისტიკური აღრიცხვიანობის წარმოების აუცილებლობა, ასევე – გაფართოებულ კონტექსტში კვლევითი საქმიანობის წარმოება, რაც პირობით ვადამდე გათავისუფლების არსებული სისტემის შესაბამისობასა და მის შემდგომ განვითარებაზე მეტი ცოდნისა და ინფორმაციის მიღების საშუალებას ქმნის.

ევროპაში პირობით ვადამდე გათავისუფლების ორი ფუნდამენტური სახე არსებობს: დისკრეციული და სავალდებულო, ანუ ავტომატური გათავისუფლების სისტემა. ორივე ეს სისტემა აღიარებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაციით.

დისკრეციული გათავისუფლების სისტემა გულისხმობს პირობით ვადამდე გათავისუფლების მოპოვებისთვის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონით.[692] დისკრეციული გათავისუფლების სისტემა, რაც ეფუძნება ინდივიდუალურ შეფასებას, გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ავსტრია, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, სლოვენია, ესპანეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.[693] საქართველოც, არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, სწორედ ევროპული ქვეყნების ამ ჯგუფს მიეკუთვნება.

ევროპის საბჭო უპირობოდ ემხრობა პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის დანერგვას ნევრ სახელმწიფოებში, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ამ მხრივ საყურადღებოა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის" ზრდის თაობაზე, რომლის პრეამბულაც მიუთითებს, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა და „ციხის მოსახლეობის" ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას დაწესებულების ადმინისტრაციისა და სისხლის სამართლის სისტემისათვის როგორც ადამიანის უფლებების, ისე სასჯელაღსრულების ინსტიტუტების ეფექტური მართვის თვალსაზრისით. ამასთანავე, რეკომენდაცია მიუთითებს, რომ „თავისუფლების აღკვეთა უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია ან ზომა და, შესაბამისად, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულის სიმძიმე სხვა სანქციებისა და ზომების გამოყენებას აშკარად არაადეკვატურად გამოაჩენს".[694]

ვადამდე გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების აქტიურად გამოყენებისადმი დამოკიდებულება დღითიდღე პოზიტივისკენ იცვლება, სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება – შეინყალოს მსჯავრდებულები –კვლავაც კონტინენტის ბევრ სახელმწიფოში რჩება მსჯავრდებულთა ვადამდე გათავისუფლების ყველაზე ეფექტურ საშუალებად. მასიური შეწყალების პროცესი კვლავაც რეალობას წარმოადგენს

692 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 ნევრი სახელმწიფოებისადმი პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. პუნქტი 16.

693 N. Padfield/D Van Zyl Smit/F. Dünkel, 2010, pg. 420.

694 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(99)22 ნევრი სახელმწიფოებისადმი ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის" ზრდის თაობაზე. პუნქტი 1.

და განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება როგორც დიდი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში (მაგალითად, როგორსაც ადგილი ჰქონდა კომუნიზმის შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპაში), ასევე – როგორც ჩვეულებრივი მექანიზმი მსჯავრდებულთათვის სასჯელის შესამსუბუქებლად ან სულაც განსათავისუფლებლად (მაგალითად, საფრანგეთში).[695]

ხსენებული ტენდენციის თვალსაზრისით საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს. 2012 წლამდე საქართველოში ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა წლიური სტატისტიკის მიხედვით მოწინავე პოზიცია პრეზიდენტის მიერ შეწყალებით გათავისუფლებულ მსჯავრდებულებს ეკავა, მხოლოდ შემდეგ მოდიოდა პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობა და ბოლო ადგილზე იყო ამნისტიით გათავისუფლებულთა რაოდენობა. მაგალითად, 2006-2011 წლებში შეწყალებით გათავისუფლდა 6303 მსჯავრდებული (მათ შორის, 5942 მამაკაცი, 282 ქალი და 79 არასრულწლოვანი), პირობით ვადამდე გათავისუფლდა 2896 მსჯავრდებული (მათ შორის, 2699 მამაკაცი, 166 ქალი და 31 არასრულწლოვანი), ხოლო 2007-2009 წლებში განხორციელებული ამნისტიით გათავისუფლდა 701 მსჯავრდებული (მათ შორის, 635 მამაკაცი, 60 ქალი და 6 არასრულწლოვანი).[696] განსხვავებული სურათი დაფიქსირდა 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისამდე პერიოდში (18 თვე). კერძოდ, პრეზიდენტის შეწყალებას დაექვემდებარა 652 მსჯავრდებული (მათ შორის, 617 მამაკაცი, 30 ქალი და 5 არასრულწლოვანი),[697] პირობით ვადამდე გათავისუფლდა 1852 მსჯავრდებული (მათ შორის, 1655 მამაკაცი, 177 ქალი და 20 არასრულწლოვანი) და ამნისტიის კანონი შეეხო 17706 მსჯავრდებულს (მათ შორის, 16818 მამაკაცს, 822 ქალს და 66 არასრულწლოვანს).[698]

ევროპის საბჭოს (99)22 რეკომენდაციაში ასახული მიდგომა გამყარებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (2003)22, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლებას აღიარებს განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებისა და პატიმრის საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და კონსტრუქციულ საშუალებად.[699]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 95 მუხლი სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულზე სასჯელის სათანადო მინიმალურ მოსახდელ ვადას აწესებს. კერძოდ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში არასრულწლოვან მსჯავრდებულს მოხდილი უნდა ჰქონდეს სასჯელის ერთი მესამედი; მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი; გან-

---

695 R. Levy, *Pardon and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France* (2007) 36, Crime and Justice, pg. 551-590.

696 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალური წერილი №2249/01/01, 21.02.2012.

697 Response of the Georgian Government to the Report of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) on its visit to Georgia from 19 to 23 November 2012, CPT/Inf (2013) 19, Attachment #9, at [http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-19-inf-eng.pdf].

698 *იქვე*, Attachment #7.

699 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წევრი სახელმწიფოებისადმი პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. პრეამბულა.

საკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – სასჯელის ორი მესამედი.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების თარილამდე არაუგვიანეს 3 თვისა, პენიტენციური დეპარტამენტი აცნობებს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მისი შესაძლო გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად, პრობაციის ეროვნული სააგენტო ერთვება არასრულწლოვანის ოჯახური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების დასადგენად, რის შესახებ ინფორმაციაც პენიტენციურ დეპარტამენტს ეგზავნება (ამკ 95-ე მუხლის მესამე ნაწილი).

ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა ორგანო იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. ყველგან არ არის გერმანიის მსგავსი სისტემა, სადაც დამოუკიდებელი სასამართლო იღებს ამგვარ გადაწყვეტილებას. მაგალითად, ბელგიაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის კომპეტენციას განეკუთვნება პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საქმეში, რომელშიც მსჯავრდებულს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი; ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სასჯელის აღმასრულებელი სასამართლო, რომელიც სამი წევრისგან – მოსამართლისგან, სოციალური ინტეგრაციის ექსპერტისა და პენიტენციურ საკითხებში ექსპერტისგან შედგება. ყველასგან გამორჩეულ სისტემას გვთავაზობს ჰოლანდია, სადაც გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი პროკურორი.[700]

საქართველომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირობით ვადამდე გათავისუფლების ოთხი სისტემა გამოსცადა. 2006 წლამდე მოქმედებდა სისტემა, რომლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი მსჯავრდებულის საქმეს ტერიტორიული სასამართლოს წინაშე წარადგენდა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. 2006 წლიდან ეს ფუნქცია დაწესებულების დირექტორებს ჩამოერთვა და გადაეცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შექმნილ კომისიას, რომელიც ერთგვარი „ფილტრის" ფუნქციას ასრულებდა, განიხილავდა რა ყველა მსჯავრდებულის საქმეს, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის საჭირო მინიმალური სასჯელის ვადა მოიხადა და იღებდა გადაწყვეტილებას რომელი საქმე წარედგინა სასამართლოში საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. ამ შემთხვევაშიც საბოლოო სიტყვა სასამართლოს რჩებოდა.

2009 წლის სექტემბერში პირობით ვადამდე გათავისუფლების ეს მოდელიც გაუქმდა და იგი ჩაანაცვლა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედმა კომისიამ. ამ შემთხვევაში საკითხის განხილვის კომპეტენციამ დეპარტამენტიდან სამინისტროს დონეზე გადაინაცვლა იმ განსხვავებით, რომ საკითხს განიხილავდა და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა მუდმივმოქმედი კომისია და არა – სასამართლო.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პატიმრობის ახალი კოდექსი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მოქმედი პი-

700 N. Padfield/ D Van Zyl Smit/ F. Dünkel, 2010, pg. 425.

რობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა და, გარკვეულწილად, იგი ინგლისსა და შოტლანდიაში მოქმედი სისტემის იდენტურად ჩამოაყალიბა. კერძოდ, შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომელთაც დაევალათ მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული სისტემის შემოღებით სასამართლოს ჩამოერთვა პირობით ვადამდე გათავისუფლების საქმეებზე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია. მართალია, მხარეს დარჩა უფლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გაასაჩივროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მიღებული გადაწყვეტილებისას არ იყო გათვალისწინებული ყველა გარემოება, რასაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა საბოლოო ვერდიქტზე, იგი უფლებამოსილია, მხოლოდ ადგილობრივ საბჭოს დაუბრუნოს საქმე ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.[701]

ადგილობრივი საბჭოების ინსტიტუტის შემოღებით არ მომხდარა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმება. მართალია, კანონმდებლობამ არ განსაზღვრა მუდმივმოქმედი კომისიის მაკოორდინირებელი როლი ადგილობრივ საბჭოებთან მიმართებით, მაგრამ ადგილობრივ საბჭოებს დაუწესა სამ თვეში ერთხელ გაწეული საქმიანობის შესახებ მუდმივმოქმედი კომისიისათვის ანგარიშის წარდგენა და მათ საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობა.

მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმება და პირობით ვადამდე გათავისუფლების ფუნქციის მხოლოდ ადგილობრივი საბჭოებისათვის ერთპიროვნულად დელეგირება შესაძლებელი გახდა 2015 წლის მაისში, საქართველოს პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე.

დღეისათვის მოქმედებს შემდეგი ადგილობრივი საბჭოები: 1. აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო; 2. აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო; 3. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო; 4. არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო; და 5. ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო.[702] აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს ერთ წევრს მაინც, მოქმედი კანონმდებლობით, უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.[703]

---

701 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №138.

702 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №138.

703 იქვე, მუხლი 3, ნაწილი 8.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ავტომატურად იხილავს პირობით ვადამდე გათავისუფლების საქმეებს და გამოაქვს გადაწყვეტილება, თუ ეს ხდება მაშინ, როდესაც მას მოუხმობენ აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად. საქართველოში 2013 წლის 1 იანვრამდე მოქმედი კანონმდებლობა არ მოდიოდა შესაბამისობაში აღნიშნულ სტანდარტთან, რადგან ადგილობრივი საბჭოს წინაშე პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე საქმის განსახილველად წარდგენა, ძირითადად, თავად მსჯავრდებულის, მისი დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის ტვირთს წარმოადგენდა. საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის ივნისში საქართველოს პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, 2013 წლიდან ეს მანკიერი პრაქტიკა გაუქმდა და დანესებულების ადმინისტრაციას დაევალა საქმის მომზადება და შესაბამისი ორგანოსთვის განსახილველად დროულად გადაგზავნა.[704]

ყველა ქვეყანაში მსჯავრდებულს ეცნობება განხილვის შედეგები.[705] ამ მხრივ საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს და უნდა ითქვას, რომ ახალი სისტემის დანერგვით შესაძლებელი გახდა მსჯავრდებულის ზეპირ მოსმენაზე მონაწილეობა. ამასთან, მსჯავრდებული უფლებამოსილია ზეპირ მოსმენაზე იყოლიოს დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი; აგრეთვე, მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ დანესებულების წარმომადგენელსაც, რომელშიც მსჯავრდებული იხდიდა ან იხდის სასჯელს.[706]

პერიოდი, როდესაც ახალი განაცხადი არ შეიძლება იყოს წარდგენილი, განსაზღვრულია ევროპის ყველა ქვეყანაში, გამონაკლისს წარმოადგენს შვედეთი. ამგვარი პერიოდის მაქსიმუმია ერთი წელი, რაც დადგენილია ბელგიაში, პორტუგალიაში, რუმინეთში, შოტლანდიაში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში, მაშინ როდესაც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ეს პერიოდი, როგორც წესი, ერთი, ორი, სამი ან ექვსი თვეა.[707] საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის ხელახალი განხილვა შესაძლებელია ყოველ ექვს თვეში ერთხელ.[708] გამონაკლისს წარმოადგენს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეები, რომელთა ხელახალი განხილვა სავალდებულოა ყოველ სამ თვეში ერთხელ (ამკ 96 მუხლი).

---

704 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 42, ნაწილი 1.

705 Padfield, N. / Van Zyl Smit, D./ Dünkel, F., 2010, pg.426.

706 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №138.

707 Padfield, N. / Van Zyl Smit, D./ Dünkel, F., 2010, pg. 426–427.

708 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №138.

5. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ძალის გამოყენება

გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტების[709] შესაბამისად, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებშია ნებადართული, როდესაც ამოწურულია კონტროლის ყველა სხვა მეთოდი და მათ ვერ გაამართლეს, ამასთან, თუ მათი გამოყენება ნათლადაა ნებადართული და დაკონკრეტებული შესაბამისი კანონითა და მარეგულირებელი წესებით. შეზღუდვის საშუალებების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დამცირება და შეურაცხყოფა. იგი გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად შეზღუდულად და რაც შეიძლება მცირე ვადით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, ამგვარი შეზღუდვის საშუალებების გამოყენებას შესაძლოა მიმართონ არასრულწლოვნის მიერ თვითდაზიანების, სხვათა დაზიანების ან ქონების განადგურების პრევენციის მიზნით.

აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად, არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალის მიერ იარაღის ტარება და გამოყენება აკრძალულია ნებისმიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც განთავსებული არიან არასრულწლოვნები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან არასრულწლოვანის გაქცევის დროს დაუშვებელია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. აგრეთვე, აკრძალულია არასრულწლოვანის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიარაღებლია და პირდაპირ, უშუალოდ და იმწუთიერ საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და სხვა საშუალებებით ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია.

მოლდავეთის სასჯელაღსრულების კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ იარაღის გამოყენების დაუშვებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი მხრიდან ხდება ჯგუფური, მათ შორის, შეიარაღებული თავდასხმა, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, რაც საფრთხეს უქმნის გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას (მუხლი 101).[710]

საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანის წინააღმდეგ ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას. კერძოდ, აკრძალულია ძალისა და სპეციალური საშუალების გამოყენება არასრულწლოვანის აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის აღსრულებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის დასაკავებლად, თვითდაზიანების ან/და სხვებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ყველა სხვა საშუალება გამოყენებულია, მაგრამ უშედეგოდ, და კანონით

709 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (უფრო დეტალურად იხილეთ წინამდებარე წიგნის მე-6 თავი).

710 «Уголовно-исполнительные кодексы», Донецкий Мемориал, Донецк, 2004 г., ст. 209.

განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი სხვა, ნაკლები ზიანის გამომწვევი საშუალებით ვერ მიიღწევა (ამკ 34 მუხლის პირველი ნაწილი). ძალისა და სპეციალური საშუალების სახით დასაშვებია მხოლოდ ფიზიკური ძალის, ხერბორკილისა და შებორკვის სხვა საშუალებების გამოყენება, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე რეზინის ხელკეტი, შესაბოჭი ბადე, ცრემლსადენი გაზი ან/და წყალსატყორცნი (ამკ 34 მუხლის მეორე ნაწილი). ამ მხრივ სპეციალური საშუალებების შედარებით მცირე სახეობა გამოიყენება არასრულწლოვან ბრალდებულ / მსჯავრდებულთან, ვიდრე სრულწლოვნებთან მიმართებით (დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, წინაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, სასამსახურო ძაღლი).[711]

6. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე და მოიცავდეს ისეთ სპეციალისტთა საკმარის რაოდენობას, როგორებიც არიან: მასწავლებლები, პროფესიული ინსტრუქტორები, იურისტები, სოციალური მუშაკები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. აღნიშნული კატეგორიის სპეციალისტები მუდმივი შტატით უნდა იყვნენ დაქირავებული.

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს ყველა დამცავი, საგანმანათლებლო, მორალური, სულიერი და სხვა საშუალებები და დახმარების ფორმები, რომლებიც სათანადო და ხელმისაწვდომია საზოგადოებაში ინდივიდუალური მოთხოვნებისა და მსჯავრდებული არასრულწლოვნების პრობლემების შესაბამისად.

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალის ნახალისება მნიშვნელოვანია მათ მიერ მოვალეობებისა და ნაკისრი ვალდებულებების პროფესიონალურად, სამართლიანად და ეფექტურად შესრულების მიზნით. პერსონალმა საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას უნდა იმოქმედოს ისე, რომ დაიმსახუროს და მოიპოვოს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პატივისცემა და ნდობა.

მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ შემოიღოს ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ისეთი ფორმა, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გააადვილებს კომუნიკაციას თანამშრომელთა სხვადასხვა კატეგორიას შორის. აღნიშნულის მიზანია არასრულწლოვან მსაჯვრდებულთა მიერ სასჯელის მოხდისა და გათავისუფლებისათვის მზადების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულთა წარმომადგენლების თანამშრომლობისა და აქტივობათა

711 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 57[1], ნაწილი 1.

კოორდინაციის გაუმჯობესება, რამაც უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან პერსონალის პირდაპირი კონტაქტი ისეთ პირობებში, რომელიც ხელს შეუწყობს დაკისრებული უფლებამოსილებების უფრო ეფექტურად განხორციელებას.

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ისეთი ტრენინგი, რომელიც მას მისცემს შესაძლებლობას ეფექტურად განახორციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობები. კერძოდ, ტრენინგები არასრულწლოვნის ფსიქოლოგიაზე, ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე, აგრეთვე, იმ საერთაშორისო დოკუმენტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის პირობებსა და სტანდარტებს. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მუშაობის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ სპეციალური მომზადებისა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს. პერსონალს უნდა შეეძლოს გაუმკლავდეს იმ ფიზიკურ და ემოციურ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებლად შეხვდება არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობისას.

კონტინგენტის სირთულისა და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თანამშრომლების უმრავლესობას ზრდასრულ პატიმრებთან მუშაობა ურჩევნია. არსებობს მცდარი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობა გაცილებით იოლია, ვიდრე ზრდასრულ მსჯავრდებულებთან და ამიტომაც დამწყები თანამშრომლებისათვის, რომლებიც ნაკლებად გამოცდილი და კვალიფიციური არიან, მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მუშაობის დაწყება. არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობას განსაკუთრებული ცოდნა და უნარ-ჩვევები სჭირდება. პერსონალს, რომელიც არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობს, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან არასრულწლოვნები მერყევი ხასიათითა და ჩამოუყალიბებლობით ხასიათდებიან და საჭიროებენ ისეთი ადამიანების მხარდაჭერას, რომლებიც მათ დაეხმარებიან დადებითი თვისებების გამომუშავებაში.[712]

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რაც უნდა კარგად იყოს ორგანიზებული და ორიენტირებული თავისუფლებააღკვეთილი პირის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციაზე, გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებს არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე. დაწესებულების პერსონალს (მათ შორის, სამედიცინო პერსონალსაც) თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა ზოგადი სულიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეუძლია შემდეგი სტრატეგიის გამოყენება:

- **თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე დაკვირვება:** დაკვირვების მეშვეობით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლებმა შესაძლოა მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავისუფლებააღკვეთილთა განწყობასა და ურთიერთობებზე. მაგალითად, დეპრესიაში მყოფ პირებს ხშირად აქვთ პრობლემები საკვების მიღებასთან, ძილთან და კონცენტრირებასთან დაკავშირებით. ისინი

712 Coyle, A., 2009, pg. 140.

უმეტესწილად განცალკევებას ამჯობინებენ და სოციალურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებენ. პერსონალს დაკვირვების მეშვეობით არასრულწლოვნის მსგავსი ქცევის დაფიქსირება შეუძლია.

- **თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა საჩივრებისა და შეშფოთების მიზეზის მოსმენა**: აღნიშნული თავისუფლებააღკვეთილ პირს უჩენს იმის შეგრძნებას, რომ ისინი არ არიან სრულიად იზოლირებული და უუფლებონი. სხვისი მოსმენა განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს და დაწესებულების პერსონალს მოეთხოვება იქონიოს მსგავსი უნარ-ჩვევები და საჭიროების შემთხვევაში, მოუსმინოს არასრულწლოვნებს. მნიშვნელოვანია თავისუფლებააღკვეთილმა არასრულწლოვნებმა დაინახონ, რომ პერსონალის წარმომადგენლები დაინტერესებული არიან და უსმენენ მათ მოსაზრებებს.
- **ურთიერთობა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან**: დაწესებულების პერსონალმა, რომელიც გრძნობს, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი დეპრესიაშია ან ცუდ ხასიათზეა, შეძლებისდაგვარად უნდა წაახალისოს იგი კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისი დახმარების აღმოჩენის გზით. პერსონალმა შესაძლოა უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირები ინფორმაციით დახმარების გაწევის სამსახურების თაობაზე. იმის ჩვენებით, რომ არსებობს მზადყოფნა დახმარების გასაწევად, დაწესებულების პერსონალმა შეიძლება მიაღწიოს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის აღელვების შემცირებას.
- **ურთიერთობა სხვა თანამშრომლებთან**: დაწესებულების თანამშრომლებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ინფორმაციის გაცვლა ყველას მისცემს საშუალებას, უკეთ გაერკვეს არსებულ მდგომარეობასა და პრობლემურ სიტუაციებში. იმ შემთხვევეაში, თუ პერსონალი შეშფოთებულია კონკრეტული თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობის ან საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო, მიზანშეწონილია, ამ მიმართულებით კონკრეტული, ადეკვატური ღონისძიებების გატარება და ამის თაობაზე ინფორმაციის გაზიარება კოლეგებისათვის.
- **ყველა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთან პატივისცემით მოპყრობა**: თავისუფლებააღკვეთილ პირებთან პატივისცემით მოპყრობამ, როგორც წესი, უნდა გააუმჯობესოს არასრულწლოვნის მიერ ღირსების შეგრძნება და ზოგადად, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. თავისუფლებააღკვეთილი პირები, რომელთაც პატივისცემით ეპყრობიან, თავს ნაკლებად იზოლირებულად გრძნობენ და თავიანთი უფლებების რეალიზაციას ახდენენ.
- **თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვა:** დაწესებულების პერსონალი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა აკვირდებოდეს არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებს, რათა გამოავლინოს ძალადობის ისეთი კვალი, როგორიცაა მოულოდნელი იარები, მიაქციოს ყურადღება ინდივიდებს, რომლებიც

გამოიყურებიან გარიყულად ან დეპრესიულ მდგომარეობაში არიან. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნა სარწმუნო ინფორმაცია არასრულწლოვან პატიმართა შორის მომხდარი ინციდენტის თაობაზე, ან თუ პერსონალი თავად აღმოაჩენს მსგავს სიტუაციას, მიდგომა უნდა იყოს ფრთხილი. პერსონალმა უნდა მოუსმინოს ცალკეულ პირებს. მათ უნდა დაარწმუნონ დაზარალებული არასრულწლოვანი, რომ მისი პრობლემა გულისყურით იქნება მოსმენილი და აღქმული, ძალადობის განმახორციელებელს კი მოეთხოვება სათანადო პასუხი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. იმისათვის, რომ დაწესებულების პერსონალს, თავისი ფუნქციის სრულფასოვნად განხორციელებისათვის, ჰქონდეს დაზარალებული თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის მეტად დარწმუნების უნარი, საჭიროა არსებობდეს მსგავს სიტუაციებთან დაკავშირებული ანგარიშგებისა და მხარდაჭერის სრულყოფილი პროცედურები.

- **პასუხისმგებელი პერსონალის არსებობის მეთოდი:** თითოეული თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი მიმაგრებული უნდა იყოს დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე, რომელმაც თავისი მცდელობის, მეცადინეობისა და ფუნქციების სრულფასოვნად და ზუსტად განხორციელებით უნდა მოიპოვოს თავისუფლებააღკვეთილის ნდობა. აღნიშნული თანამშრომლის რეაგირებას არასრულწლოვანთა უფლებების შელახვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნდობის განმტკიცებისა და უფლებების რეალიზაციისათვის. კონკრეტული ინციდენტების წარმოშობისას თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ პერსონალი სერიოზულად აღიქვამს მათ ნათქვამს და ყოველმხრივ გამოიკვლევს თითოეულ შემთხვევას.
- **ურთიერთმოსმენის/დამეგობრების მეთოდი:** ეს მეთოდი საშუალებას აძლევს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს, დაეხმარონ თავიანთ თავსა და ერთმანეთს. თავისუფლებააღკვეთილ პირთა დამეგობრებამ შეიძლება შეავსოს არსებული დეფიციტი და უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები აუცილებელი სოციალური ურთიერთობებითა და კავშირებით.
- **თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისათვის გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭება:** გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭება ხელს უწყობს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს, აღიდგინონ ღირსების შეგრძნების უფლება. მაგალითად, სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა ეხმარება არასრულწლოვნებს ცოდნის მიღებასა და კონკრეტული უნარების გამომუშავებაში, რაც მათში დამოუკიდებლობის შეგრძნებას ავითარებს.
- **ოჯახთან კონტაქტის შესანარჩუნებლად თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა ნახალისება:** ოჯახსა და მეგობრებთან კონტაქტის შენარჩუნებამ შეიძლება გააუმჯობესოს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა ფსიქიკური ჯანმრთელობა, გაუადვილოს მათ საზოგადოებაში დაბრუნება და ინტეგრაცია გათავისუფლების შემდეგ.

- **ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება:** ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა სიბრაზის მოთოკვა, მასთან გამკლავება, შეუძლია აუმაღლოს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანს ღირსების შეგრძნება და გააუმჯობესოს მისი ფსიქიკური მდგომარეობა.

თავი მეშვიდე
არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება, პრობაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ზრუნვა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით

თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არასრულწლოვნებთან მიმართებით განსაკუთრებულ და უკიდურეს ზომას უნდა წარმოადგენდეს, რის შესახებაც გაეროსა და ევროპის საბჭოს ფორმატში მიღებული არაერთი დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს. სანქციებისა და ზომების შეფარდება და აღსრულება უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ინტერესს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი ასაკის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, განვითარების, შესაძლებლობისა და პირადი გარემოებების გათვალისწინებით.[713]

სასჯელებთან დაკავშირებული საკითხები უნდა განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, რომ, *ინტერ ალია*, შემცირდეს პატიმრობის გამოყენება, გავრცელდეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების და სხვა ისეთი ზომების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, მედიაცია ან მსხვერპლისათვის კომპენსაციის გადახდა.[714] ევროპის უმეტეს ქვეყანაში არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებასა და პრობაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს პრობაციის სამსახურები წარმოადგენენ.

ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ საქართველოში პრობაციის სამსახურის ფორმირება დაიწყო, რომელიც ჯერ შსს-ს, იუსტიციის სამინისტროს, ხოლო შემდგომ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შემადგენლობაში დამკვიდრდა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 77 მუხლით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით აღასრულებს არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის სახის სამართლებრივ აქტებს.

1. არასაპატიმრო სასჯელთა სახის სამართლებრივი აქტების აღსრულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი იცნობს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მიერ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით აღსასრულებელ არასაპატიმრო სასჯელის შემდეგ სახეებს: შინაპატიმ-

713 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2008)11 ნევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესების შესახებ. ნესი 5.

714 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე. ნესი 20.

რობა; საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; თავისუფლების შეზღუდვა (ამკ მუხლი 66). მათგან, თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, ხოლო შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – როგორც ძირითად, ასევე დამატებით სასჯელად. ამასთანავე, ძირითად სასჯელთან შესაძლებელია მხოლოდ ერთი დამატებითი სასჯელის დანიშვნა (ამკ მუხლი 67).

არასრულწლოვნებთან მიმართებით არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების ინდივიდუალურ განხილვამდე, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ზოგად ნორმებზე, რაც საერთო ჭრილში ეხება ამ სასჯელების აღსრულებას.

არასრულწლოვნისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას მისი მოხდის დაწყებამდე, ამ და სხვა არასაპატიმრო სასჯელების მოხდის პროცესში სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაში მსჯავრდებული აგრძელებს განაჩენით არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მოხდას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი შესაბამისი დებულებები (ამკ მუხლი 77, მეორე ნაწილი).

არასრულწლოვნის მიერ არასაპატიმრო სასჯელის შესრულებისთვის თავის არიდების შემთხვევაში მოსამართლე პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარდგინებისა და შესაბამისი მასალების განხილვის საფუძველზე, წარდგინების შეტანიდან 2 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას არასაპატიმრო სასჯელის უცვლელად დატოვების ან შეცვლის შესახებ. მოსამართლე წარდგინებას პრობაციის ოფიცრისა და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილავს და უფლება აქვს, მხარის ინიციატივით მოიწვიოს და დაკითხოს მოწმეები (ამკ მუხლი 77, მე-5 ნაწილი).

თუ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პერიოდში არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო წყვეტს არასაპატიმრო სასჯელის ძალაში დატოვების საკითხს, ხოლო არასრულწლოვნის მიერ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება სასჯელად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ (ამკ მუხლი 77, მე-7 ნაწილი).

1.1. შინაპატიმრობის აღსრულება

შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ შინაპატიმრობასთან დაკავშირებით არ ხდება ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება, აღნიშნულზე გადაწყვეტილება მიიღება პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ (ამკ მუხლი 69).

მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მის კანონიერ წარმომადგენელს ეკისრება.[715] იქ, სადაც შინაპატიმ-

715 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 44[8], ნაწილი 7.

რობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით კონტროლი ტექნიკურად შეუძლებელია, კონტროლი ხორციელდება მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში არანაკლებ ექვსჯერ, რის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი.[716] კანონით გათვალისწინებული საპატიო პირობების არსებობის შემთხვევაში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან შეთანხმებით, მსჯავრდებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული თხოვნით, პრობაციის ბიუროს უფროსის წერილობითი ნებართვით მსჯავრდებულს შესაძლებელია მიეცეს საცხოვრებლიდან დროებით გასვლის უფლება.[717]

ახალ ათასწლეულში საინფორმაციო ტექნოლოგიამ ადამიანის ცხოვრებაში ბევრი ასპექტი გარდაქმნა. ამ ფონზე ახალი კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკის სისხლის სამართლის სისტემაში თანდათან შემოსვლამ უზრუნველყო დაცვის, კონტროლისა და მონიტორინგის ახალ ფორმატში გადაყვანა. ელექტრონული მონიტორინგის სხვადასხვა ფორმის გამოყენება სამართალდამცავ ორგანოებს დაეხმარა მსჯავრდებულებზე ზედამხედველობის გაუმჯობესებაში.

ელექტრონული მონიტორინგი, ძირითადად არის მონაცემთა ავტომატური დამუშავება, რომელიც დამნაშავეს ხდის „ტელეპრეზენტულს". იგი შექმნილია იმისთვის, რომ ადგილი, მოძრაობა და ქცევის ასპექტები წყვეტილი ან უწყვეტი მონიტორინგის საფუძვლად აქციოს. მაგალითისთვის, ევროკავშირის სახელმწიფოების უმეტესობა დღეს სისხლის სამართლის სფეროში იყენებს ელექტრონული მონიტორინგის ერთ ან მეტ ფორმას.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით შინაპატიმრობის აღსასრულებლად 2015 წლის 8 ოქტომბერს კომპანია „3M electronic monitoring"-თან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა ელექტრონული მონიტორინგის ცენტრი, დაინსტალირდა სპეციალური სერვერი, სადაც განთავსდა მონაცემთა ბაზა. ამავდროულად, სააგენტოს გადაეცა ელექტრონული მონიტორინგისთვის საჭირო აპარატურა.[718]

კანონმდებლობამ შინაპატიმრობის აღსრულებასთან დაკავშირებით გაითვალისწინა მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც იცავს არასრულწლოვანს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებასა ან სწავლის პროცესის შინაპატიმრობის აღსრულების ხელის შეშლისგან (ამკ მუხლი 69).

1.2. საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება

მსჯავრდებულისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება რეგულირდება საქართველოს კანონით არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს განაჩენის ასლი აღსასრულებლად გადაეცემა პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის

716 იქვე, მუხლი 44[8], ნაწილი 8.
717 იქვე, მუხლი 44[8], ნაწილი 9.
718 ს.ს.ი.პ. „პრობაციის ეროვნული სააგენტოს" ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაცია, 08.10.2015, [http://www.probation.gov.ge].

საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით.[719] პრობაციის ოფიცერს მსჯავრდებული აჰყავს აღრიცხვაზე, განუმარტავს მას სასჯელის მოხდის წესებს და პირობებს, პერიოდულად აკონტროლებს მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.[720]

თუ პრობაციის ოფიცერი დაადგენს, რომ მსჯავრდებულს ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც აკრძალული აქვს განაჩენით, იგი დამსაქმებელ თანამდებობის პირს უგზავნის მოთხოვნას, აუკრძალოს მას განაჩენში მითითებული საქმიანობა.[721] თუ დამსაქმებელი თანამდებობის პირი პრობაციის ოფიცრის მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში არ შეუცვლის მსჯავრდებულს საქმიანობის სფეროს, შესაბამისი მასალები გადაეგზავნება პროკურატურის ორგანოს.[722]

დამსაქმებლის ადმინისტრაცია, სადაც მსჯავრდებული მუშაობს საქმიანობის უფლების ჩამორთმევის განაჩენით, ვალდებულია: განაჩენის ასლისა და პრობაციის ბიუროდან მსჯავრდებულისთვის საქმიანობის აკრძალვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა აცნობოს პრობაციის ბიუროს მიღებული ზომების თაობაზე; პრობაციის ბიუროს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია სასჯელის აღსრულებასთან; მსჯავრდებულთან შრომითი ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის თაობაზე 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს პრობაციის ბიუროს.[723]

გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა იმ ორგანოსთვის, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს გადაწყვეტილება გარკვეული საქმიანობის უფლების მინიჭების თაობაზე. ამგვარი უფლებამოსილების მქონე ორგანო ვალდებულია განაჩენის ასლისა და პრობაციის ბიუროს მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა გააუქმოს გადაწყვეტილება, რომელიც მსჯავრდებულს ანიჭებდა გარკვეული საქმიანობის უფლებას, ჩამოართვას მას შესაბამისი დოკუმენტები და აღნიშნულის შესახებ აცნობოს პრობაციის ბიუროს.[724]

1.3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეს და ყოველდღიურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს პრობაციის ბიურო.[725] არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება იმ ტიპის სამუშაო, რაც ძალუძს მას ასაკის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

არასრულწლოვანის მიერ საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულების ან მასთან გათანაბრებული საქმიანობის პირობები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყ-

719 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 25, ნაწილი 1, 19.06.2007.
720 *იქვე*, მუხლი 25, ნაწილი 2.
721 *იქვე*, მუხლი 25, ნაწილი 3.
722 *იქვე*, მუხლი 25, ნაწილი 5.
723 *იქვე*, მუხლი 26, ნაწილი 2.
724 *იქვე*, მუხლი 27.
725 *იქვე*, მუხლი 29, ნაწილი 1.

ნის კანონმდებლობით დადგენილ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებს.[726] არასრულწლოვნები დაზღვეული ან სხვაგვარად დაცული უნდა იყვნენ ავარიით, სხეულის დაზიანებითა გამოწვეული შედეგებისა და საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების განხორციელებიდან გამომდინარე სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან.[727] ამ სტანდარტების გამოხმაურებას წარმოადგენს არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის არსებობა საქართველოში; კერძოდ, საუბარია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 17 ივნისის №107 ბრძანებით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილისთვის კვების ხარჯების დანიშვნის წესისა და პირობების განსაზღვრისა და იმავე მინისტრის 2012 წლის №31 ბრძანებით სათანადო სახის დაზღვევით უზრუნველყოფის წესისა და პირობების დადგენის თაობაზე.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსასრულებლად პრობაციის ბიუროსა და დამსაქმებელს შორის იდება ხელშეკრულება, სადაც მითითებულია მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, ვადა, ყოველდღიური სამუშაოს ხანგრძლივობა და ა.შ.[728] მსჯარდებულისთვის დაკისრებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხასიათი, შინაარსი და მეთოდები არ უნდა არღვევდეს სამართალდამრღვევის ან მისი ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების უფლებას, არ უნდა შეურაცხყოფდეს მათ ღირსებას და არ უნდა იწვევდეს მათ შეწუხებას. მიღებულ უნდა იქნეს ზომები სამართალდამრღვევის შეურაცხყოფის, არამართებული ცნობისმოყვარეობის ან საჯაროობისგან დასაცავად.[729]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ერთ-ერთი პრობლემა მდგომარეობს შესასრულებელი სამუშაოს ხასიათში, მით უფრო თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია. არასრულწლოვანისთვის ისეთი ხასიათის სამუშაოს დავალება, რომელიც სპეციალურ ცოდნასთან არის დაკავშირებული და რამაც შეიძლება მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას, აკრძალულია როგორც ეროვნული (არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 10 და მუხლი 44[6]), ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის R(92)16 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ, წესი 68).

---

726 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2008)11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესების შესახებ. წესი 36.1.

727 *იქვე*, წესი 36.2.

728 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 29, ნანილი 2, 19.06.2007.

729 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(92)16 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს (ამკ 71 მუხლი). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს (ამკ 71 მუხლის მესამე ნაწილს).

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით მსჯავრდებულზე სამუშაოზე გამოუცხადებლობისას ვრცელდება კანონმდებლობით დადგენილი საპატიო პირობები:[730]

- მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის დადგენილი რეჟიმის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა;
- მსჯავრდებულის ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული) ან მასთან მუდმივად მცხოვრები პირის გარდაცვალება;
- მსჯავრდებულის სამსახურებრივ ან პროფესიულ, ანდა სპორტულ, კულტურულ ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინება, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი;
- მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობისას, კერძოდ, სტიქიური უბედურების, ავარიის, ხანძრის, მასობრივი არეულობის, სამხედრო მოქმედების, კარანტინის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი;
- მსჯავრდებულისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, აგრეთვე მსჯავრდებულის მონაწილეობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო მოქმედებებში, ასევე, სამართალდამცავი ორგანოების „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს; ორსულ ქალს; ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი; საპენსიო ასაკის პირს; აგრეთვე, განწეულ სამხედრო მოსამსახურეს. შესაბამისად, თუ არასრულწლოვანი პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია ან ორსულადაა, ან ჰყავს შვიდ წლამდე შვილი მის მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის სახით დანიშვნა დაუშვებელია.

---

730 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 12[1], ნაწილი 1, 19.06.2007.

1.4. თავისუფლების შეზღუდვის აღსრულება

თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 72 მუხლი მხოლოდ არასრულწლოვანისთვის მაქსიმალურ ვადაზე, 3 წელზე მიუთითებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ თავისუფლებაშეზღუდული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის აღსრულება საქართველოს სიხლის სამართლის კოდექსის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონითა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით რეგულირდება, თუმცა გასათვალისწინებელია ამკ-ს მერვე მუხლის დათქმა.

კანონმდებლობა სამი სახის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას ადგენს, რომელთა შორის ერთი არასრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაა.[731] უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით მსგავსი დაწესებულება საქართველოში არ ფუნქციონირებს, მიუხედავად იმისა, რომ ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-2 მუხლით ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებები 2015 წლის 1 იანვრამდე უნდა შექმნილიყო.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას შემდეგი ამოცანები აკისრია:

- თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნული/შეცვლილი სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფა;
- სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- დაწესებულებაში მართლწესრიგისა და კანონიერების, მსჯავრდებულთა, პერსონალისა და დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მსჯავრდებულთა შრომითი დასაქმების ორგანიზება;
- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა.[732]

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპიური დებულება განსაზღვრავს დაწესებულებაში მისაღებ მხოლოდ სრულწლოვან მსჯავრდებულთა ზღვრულ ოდენობას (100 მსჯავრდებული),[733] ხოლო არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ნორმა არაფერს ამბობს. თუ გავითვალისწინებთ ევროპაში არსებულ პრაქტიკას, არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის პროცენტულ მაჩვენებლებსა და ზოგადად საქართველოს კანონმდებლობის ტენდენციას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ზღვრული ოდენობა სრულწლოვან მსჯავრდებ-

---

731 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 7[1], ნაწილი 5, 19.06.2007.

732 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №373 თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3, პუნქტი 2, 30.12.2013.

733 *იქვე*, მუხლი 11.

ულთა ზღვრულ ოდენობაზე ნაკლები უნდა იყოს.

დაწესებულების უფლებამოსილი პირის ნებართვით მსჯავრდებული, როგორც წესი, დაწესებულებიდან გადის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ არასამუშაო (შაბათი-კვირა) და უქმე დღეებში, თუ არ არსებობს დაწესებულებიდან დროებით გასვლის დამაბრკოლებელი გარემოება.[734] განსაკუთრებულ შემთხვევებში, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, დაწესებულების უფროსის მიერ, მსჯავრდებულს, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ არასამუშაო და უქმე დღეებში, აეკრძალოს დაწესებულების დატოვება.[735] მსჯავრდებული დაწესებულებაში მოთავსებიდან პირველი თვის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ არასამუშაო და უქმე დღეებშიც იმყოფება დაწესებულებაში.[736]

გარესამყაროსთან ურთიერთობის მიზნით თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპური დებულების თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს:

- განახორციელოს სატელეფონო საუბარი საკუთარი ხარჯით დღეში არაუმეტეს 10 წუთისა;[737]
- დაკისრებული მოვალეობების შესრულებისგან თავისუფალ დროს, თვეში ერთხელ, დაწესებულების უფროსთან წინასწარი შეთანხმებით, ისარგებლოს ხანმოკლე პაემნით მშობელთან, მშვილებელთან, შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, დასთან და ძმასთან;[738]
- გაეცნოს პრესასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს;[739]
- საკუთარი ხარჯით შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს პირადი ხასიათის წერილები.[740]

კონტაქტი გარესამყაროსთან (პაემნის უფლება მისი ერთ-ერთი გამოხატულებაა) ითვლება მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის აუცილებელ წინაპირობად და იგი მაქსიმალურად უნდა იქნეს მსჯავრდებულის მიერ გამოყენებული. ოჯახის წევრებსა და აგრეთვე, მეგობრებს უნდა მიეცეთ საშუალება მოინახულონ მსჯავრდებულები.[741]

დაწესებულებაში მოქმედებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამები.[742] მსჯავრდებულის რისკის, საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე, აღსრულების ოფიცრის მიერ შედგენილი სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური (პროგრესული) გეგმის მიხედვით, მსჯავრდებულს შესაბამის საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებს

---

734 *იქვე*, მუხლი 48, ნაწილი 1.
735 *იქვე*, მუხლი 48, ნაწილი 9.
736 *იქვე*, მუხლი 48, ნაწილი 2.
737 *იქვე*, მუხლი 23.
738 *იქვე*, მუხლი 24.
739 *იქვე*, მუხლი 25.
740 *იქვე*, მუხლი 26.
741 კოილი, ე., 2007, გვ. 105.
742 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №373 თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, 30.12.2013, მუხლი 42, ნაწილი 1.

შეურჩევს რეაბილიტაციის სამსახურის ოფიცერი,[743] რომელში მონაწილეობაც მსჯავრდებულისთვის სავალდებულოა.[744]

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების სარეაბილიტაციო პროგრამა მოიცავს:

- დამოკიდებულებების მქონე პირთა რეაბილიტაციის კურსს;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კურსს;
- პიროვნების განვითარების ხელშეწყობის კურსს.[745]
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:
- დაწყებითი დონის განათლების კურსს;
- საშუალო დონის განათლების კურსს;
- კომპიუტერის შემსწავლელ კურსს;
- პროფესიული და სხვა აუცილებელი უნარ-ჩვევების შემსწავლელ კურსს;
- სახელმწიფო ენის შემსწავლელ კურსს;
- სამოქალაქო განათლების კურსს.[746]

დამატებით, მსჯავრდებულებს შეუძლიათ უმაღლესი განათლების მიღება, რაშიც მათ დახმარებას სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური უწევს.[747]

თავისუფლების შეზღუდვის პირობებში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებასთან ერთად მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება. კანონმდებლობა ქმნის სამართლებრივ საფუძველს მსჯავრდებულთა დასაქმებისთვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტერიტორიაზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ მსჯავრდებულს ეძლევა სამუშაოს არჩევანის უფლება, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს მის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებთან; ასევე, ეს პროფესია უნდა პასუხობდეს სამომხმარებლო ბაზარზე არსებულ მოთხოვნას, რაც მსჯავრდებულს კონკურენტუნარიანს გახდის გათავისუფლების შემდგომ დასაქმებაში. მსჯავრდებული შრომითი საქმიანობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უსაფრთხო შრომის პირობებით და არ უნდა ილახებოდეს მისი პატივი და ღირსება. უფრო მეტიც, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომითი საქმიანობის განხორციელებისას მსჯავრდებული დამსაქმებლის მიერ უზრუნველყოფილია უბედური შემთხვევისა და საწარმოო ტრამვისაგან დაზღვევით. კანონმდებლობა გარკვეულ შეზღუდვას აწესებს კერძო ბიზნესის მონაწილეობაზე თავისუფლებაშეზღუდული მსჯავრდებულის დასაქმებასთან მიმართებით, როდესაც ადგენს, რომ მსჯავრდებულის დასაქმებას ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი. მსჯავრდე-

743 *იქვე*, მუხლი 42, ნაწილი 2.
744 *იქვე*, მუხლი 42, ნაწილი 3.
745 *იქვე*, მუხლი 42, ნაწილი 5.
746 *იქვე*, მუხლი 42, ნაწილი 6.
747 *იქვე*, მუხლი 42, ნაწილი 10.

ბულს შრომითი საქმიანობა ანაზღაურებადია. მიღებული ანაზღაურება მას სპეციალურ პირად ანგარიშზე ერიცხება.[748]

თუ თავისუფლებაშეზღუდული მსჯავრდებული ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას ან არასაპატიო მიზეზით დაარღვევს ან თავს აარიდებს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპურ დებულებით ან დღის განრიგით დადგენილი წესს, მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

- გაფრთხილება;
- დაწესებულების ტერიტორიის დატოვების აკრძალვა არაუმეტეს 30 დღით;
- ინტერნეტითა და ტელევიზორით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა არაუმეტეს 10 დღით;
- ტელეფონით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა არაუმეტეს 10 დღით;
- ამანათის მიღების უფლების ჩამორთმევა არაუმეტეს 3 თვით;
- მორიგი კუთვნილი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა.[749]

მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ხორციელდება აღსრულების ოფიცრის შესაბამისი ოქმის საფუძველზე, დაწესებულების უფროსის გადაწყვეტილებით.[750] ოქმის ერთი ასლი გასაცნობად გადაეცემა მსჯავრდებულს.[751] დისციპლინური დარღვევის შესახებ ოქმს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების უფროსი შედგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.[752] მსჯავრდებულს უფლება აქვს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდეს სასამართლოში ადმინისტრაციული წესით.[753]

2. პრობაციის სახის სამართლებრივი აქტების აღსრულება

2.1. პირობითი მსჯავრის აღსრულება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად,[754] გამოსაცდელი ვადის პერიოდში, პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები – პრობაციის ბიუროები, რომლებიც სასამართლოს მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტს აღასრულებენ პირობით მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.[755] გამოსაცდელი ვადის განმავლობაში პრობაციის ბიურო თვალყურს ადევნებს პირის მიერ მისთ-

748 *იქვე*, მუხლი 20.
749 *იქვე*, მუხლი 49, ნაწილი 2.
750 *იქვე*, მუხლი 49, ნაწილი 5.
751 *იქვე*, მუხლი 49, ნაწილი 8.
752 *იქვე*, მუხლი 49, ნაწილი 9.
753 *იქვე*, მუხლი 49, ნაწილი 10.
754 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 66, ნაწილი 1, 22.07.1999.
755 არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5, ნაწილი 1, 19.06.2007.

ვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას,[756] ხოლო შესრულებისთვის თავის არიდების შემთხვევაში მოსამართლე პრობაციის ეროვნული საგენტოს წარდგინებისა და შესაბამისი მასალების განხილვის საფუძველზე, წარდგინების შეტანიდან 2 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირობითი მსჯავრის უცვლელად დატოვების ან შეცვლის შესახებ. მოსამართლე წარდგინებას პრობაციის ოფიცრისა და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილავს და უფლება აქვს, მხარის ინიციატივით მოიწვიოს და დაკითხოს მოწმეები (ამკ 77-ე მუხლის მეხუთე ნაწილი). ამავე მუხლის მეშვიდე ნაწილის მიხედვით, თუ არასაპატიმრო სასჯელის ან/და პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო წყვეტს არასაპატიმრო სასჯელის ან/და პირობითი მსჯავრის ძალაში დატოვების საკითხს, ხოლო არასრულწლოვნის მიერ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება სასჯელად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ.

2.2. პირობით ვადამდე გათავისუფლების აღსრულება

პირობით ვადამდე გათავისუფლების ეფექტურად აღსრულება უკავშირდება პრობაციის სამსახურებსა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს შორის მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადებისას ეფექტურ თანამშრომლობას, მსჯავრდებულის რისკების შეფასებასა და სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვა-აღსრულებას. შესაბამისად, პირობით ვადამდე გათავისუფლების აღსრულება ამ სამი ფაქტორის ჭრილში უნდა იქნეს განხილული.

ევროპის საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლობას, რომ გათავისუფლების შემდეგ მოხდეს მსჯავრდებულის საზოგადოებაში უმტკივნეულო ინტეგრირება. თავისუფლების აღკვეთის პირველივე დღეებიდან მჭიდრო თანამშრომლობა უნდა დამყარდეს დაწესებულების ხელმძღვანელობასა და იმ სამსახურებსა და ორგანოებს შორის, რომლებიც მეთვალყურეობენ პატიმრობიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვნებს და ეხმარებიან მათ საზოგადოებაში ხელახალ დამკვიდრებაში ისეთი გზებით, როგორიცაა მაგალითად:

- ოჯახში დაბრუნებაში დახმარება ან მათთვის მიმღები ოჯახის პოვნა, ისევე როგორც სოციალური ურთიერთობის სხვა ფორმების დამყარებაში დახმარების განევა;
- საცხოვრებლის მოძიება;
- სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა;
- დასაქმება;
- სოციალური და ჯანდაცვის ორგანოებში გაგზავნა;
- ფულადი დახმარების განევა.[757]

---

756 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22.07.1999, მუხლი 66, ნაწილი 1.

757 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2008)11 ნევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესების შესახებ, წესი 102.1.

ასეთი სამსახურებისა და ორგანოების წარმომადგენლები უნდა დაიშვებოდნენ არსარულწლოვანთა დაწესებულებებში გათავისუფლებისათვის მათ მომზადებაში დასახმარებლად.[758]

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრიდან მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი ხორციელდება დაწესებულების ადმინისტრაციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში.[759] სარეაბილიტაციო ცენტრის ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისთვის კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს, დაწესებულების გარეთ ამ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე.[760] დაწესებულების ადმინისტრაცია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი თანხმობით მიმართავს სააგენტოს ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების თაობაზე.[761]

სარეაბილიტაციო ცენტრიდან სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოში მიმართვის შესვლის შემდეგ, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი მომართვას გადასცემს სოციალურ მუშაკს, რომელიც ვალდებულია მსჯავრდებულის ოჯახსა და სოციალურ გარემოში არსებული რისკ-ფაქტორების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, მსჯავრდებულის ოჯახში განახორციელოს მინიმუმ 1 ვიზიტი.[762] შეფასების დასრულების შემდეგ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის დოკუმენტი იგზავნება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრის ადმინისტრაციაში.[763]

მსჯავრდებულის ოჯახის შეფასების პროცესში სააგენტოს სოციალური მუშაკი ძირითად აქცენტს აკეთებს შემდეგ საკითხებზე:

- ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ;
- ოჯახის წევრთა დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ;
- გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის თავშესაფრის არსებობა;

---

758 *იქვე*, წესი 102.2.

759 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 03.07.2015 ბრძანება №68 მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 1.

760 *იქვე*, მუხლი 2, ნაწილი 1.

761 *იქვე*, მუხლი 2, ნაწილი 2.

762 *იქვე*, მუხლი 3, ნაწილი 1.

763 *იქვე*, მუხლი 3, ნაწილი 4.

- მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირების საჭიროებები;
- გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის და/ან მისი ოჯახის წევრების სავარაუდო შემოსავლის წყარო;
- სარეაბილიტაციო მომსახურებების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა გათავისუფლების შემდეგ.[764]

ამ ინფორმაციას არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრის ადმინისტრაცია გადაიტანს მსჯავრდებულის დახასიათების ფორმაში, რომელიც წარედგინება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეთა განმხილველ ადგილობრივ საბჭოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით.[765]

ადამიანური ქცევის ზუსტი განსაზღვრა დღემდე არსებული მეთოდებით შეუძლებელია. დანაშაულებრივი ქმედების მომავალში ჩადენის ალბათობის შეფასება მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. დანაშაული არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი კატეგორიაა, არამედ ისტორიულ, სოციალურ და ინდივიდუალურ პროცესებში წარმოქმნილი მოვლენაა, რომელსაც კრიმინოლოგიური კვლევა სჭირდება. კრიმინოლოგიური კვლევის მიზანია დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასება. რისკის შეფასების აუცილებლობა განაპირობა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დამნაშავეების გამოჩენამ საზოგადოებაში. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა განაპირობებდა მძიმე კატეგორიის სამართალდამრღვევთა იდენტიფიცირებისა და მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკების მართვის საჭიროებას.[766]

კრიმინალური პროგნოზის ოთხი მეთოდი არსებობს:[767]

- **ინტუიციური მეთოდი** – ინტუიციური მეთოდის საფუძველზე მოსამართლე, საკუთარი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით და ჯანსაღი ადამიანური შეგნების მიხედვით, სუბიექტურად აფასებს დამნაშავის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის შესაძლებლობას. მოსამართლე საკუთარ ინტუიციას, შინაგან რწმენას, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და დამნაშავეთა შესახებ ზოგად შეხედულებას ეყრდნობა;
- **კლინიკური კრიმინალური პროგნოზი** – კლინიკურ კრიმინალურ პროგნოზს ფსიქიატრიის და ფსიქოლოგიის ექსპერტი ქმნის, რომელიც ეფუძნება დამნაშავის პიროვნულობის კვლევას ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტის, დაკვირვების, მისი კარიერისა და სოციალური ცხოვრების (ოჯახური პირობების, პროფესიის, თავისუფალი დროის) ანალიზის საშუალებით;
- **სტატისტიკური კრიმინალური პროგნოზი** – სტატისტიკური კრიმინალური პროგნოზი დამნაშავეთა კრიმინოლოგიური პროგნოზისთვის სტატისტიკურ ინსტრუმენტებს იყენებს;

764 *იქვე*, მუხლი 3, ნაწილი 7.
765 *იქვე*, მუხლი 2, ნაწილი 4.
766 საძაგლიშვილი, შ., 2014, გვ. 135.
767 შალიკაშვილი, მ. / ჩიხლაძე, დ., 2013. გვ. 23.

- **მთლიანი კრიმინალური პროგნოზი** – მთლიანი კრიმინალური პროგნოზი კლინიკური და სტატისტიკური პროგნოზების კომბინაციაა. იგი დამოუკიდებელი მეთოდია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ისეთი საკითხების გათვალისწინება, რომლებიც წინა მეთოდებით ცალ-ცალკე ვერ ხერხდება. ინდივიდუალური კრიმინოლოგიური პროგნოზისთვის, პიროვნულობის ტესტისა და ახლო სოციალური წრის შესახებ მონაცემების გარდა, სხვა რამეც მნიშვნელოვანია. შემფასებელს, რომელიც ერთიან მეთოდებს იყენებს, სოციალური და ეკონომიკური პირობების/ცვლილებების (მაგ. საზოგადოების სოციალური დეზორგანიზაციის ხარისხის) გათვალისწინება შეუძლია.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, პრობაციის ეროვნული სააგენტო თავის მიზნებს ახორციელებს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულის აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობითა და დახმარებით.

სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა საშუალებას იძლევა, საზოგადოების სრულუფლებიან წევრად დაბრუნების უზრუნველსაყოფად, წინასწარ დაიგეგმოს მსჯავრდებულთან მუშაობა სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში.[768]

„არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელარსრულებისა და პრობაციის მინისტრის 03.07.2015 №67 ბრძანების თანახმად, მას შემდეგ რაც არასრულწლოვანის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, იწყება რისკების შეფასების პროცესი. პრობაციის ბიუროში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც, როგორც წესი, შედგება კონკრეტულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მომუშავე პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგისგან.[769]

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასების საერთო ვადა განისაზღვრება 32 სამუშაო დღით, რაც შესაძლოა გახანგრძლივდეს დამატებით არაუმეტეს 7 სამუშაო დღით. რისკების შეფასებისას, რასაც სოციალური მუშაკი ახდენს, ყურადღება მახვილდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- ზოგადი დემოგრაფიული ინფორმაცია;
- ინფორმაცია კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ;
- არასრულწლოვნის ფიზიკური განვითარება და ჯანმრთელობის მდგომარეობა;

768 არსოშვილი, გ., 2009, გვ. 130.

769 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 03.07.2015 №67 ბრძანების მუხლი 2, ნაწილი 2.

- არასრულწლოვნის ემოციური, კოგნიტური განვითარება და ქცევითი თავისებურებანი.

ამავე ბრძანებით შეფასების საფუძველზე დგინდება მსჯავრდებულის რისკის დონე, რაც შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი. რისკის დაბალი ან საშუალო დონის გამოკვეთისას სოციალური მუშაკი ახორციელებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთან არაუმეტეს 3 შეხვედრას, რომელთაგან 1 მოიცავს მსჯავრდებულის ოჯახში ვიზიტს. შეფასების დასრულების შედეგად სოციალური მუშაკი ადგენს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხს, რაც შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი ხარისხის.

განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი და საშუალო ხარისხის დადგენისას, სოციალური მუშაკი, საჭიროების შემთხვევაში, ხოლო განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის დადგენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ფსიქოლოგთან შეხვედრის თაობაზე. ეს უკანასკნელი 7 სამუშაო დღის ვადაში არაუმეტეს ორჯერ ხვდება მსჯავრდებულს.

თუ შეფასების პროცესში ფსიქოლოგი არ ყოფილა ჩართული, შეფასების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში იკრიბება მულტიდისციპლინური გუნდი პრობაციის ოფიცრისა და სოციალური მუშაკის შემადგენლობით, ხოლო შეფასების პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში ასევე შედის ფსიქოლოგი. მულტიდიციპლინური გუნდის შეკრებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დგება სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმა, რომელიც ეცნობა არასრულწლოვან მსჯავრდებულს პრობაციის ბიუროში მისი მომდევნო გამოცხადების დღეს.

სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმა თანხმდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან, რაც დასტურდება გეგმაზე არასრულწლოვანი მსჯავრდებულის და კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული ან კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებს გეგმის ხელმოწერაზე, დოკუმენტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი; თუმცა, გეგმის ხელმოწერაზე უარი არ აფერხებს გეგმის აღსრულებას.[770]

ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი ხორციელდება გეგმის დასრულების ეტაპზე, არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის გეგმით განერილი ღონისძიებების შედეგების შეფასების მიზნით.[771] შესრულების მონიტორინგის შედეგების შეფასების მიზნით, გეგმის შესრულების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, იკრიბება მულტიდისციპლინური გუნდი. თუ მჯავრდებულის მიმართ დადგენილი საპრობაციო ვადა შეადგენს 18 თვეს ან ნაკლებს, გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობა ხორციელდება ყოველ 3 თვეში ერთხელ, ხოლო

770 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 03.07.2015 №67 ბრძანების მუხლი 6, ნაწილი 3.

771 *იქვე*, მუხლი 8, ნაწილი 1.

თუ საპრობაციო ვადა 18 თვეზე მეტია, ზედამხედველობა ხორციელდება ყოველ 6 თვეში ერთხელ. ამ პერიოდში სოციალური მუშაკი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახში ახორციელებს არანაკლებ ერთ ვიზიტს. გეგმის შესრულების მონიტორინგის ან გეგმის დასრულების შემდგომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობის განხორციელებისას, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ცხოვრებაში გამოიკვეთა ისეთი სახის ცვლილება, რაც არსებითად ცვლის მის მდგომარეობას, პრობაციის ოფიცერთან შეთანხმებით, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დაუყოვნებლივ ხორციელდება გეგმაში ცვლილების შეტანა ან ახალი გეგმის შედგენა.[772]

არასრულწლოვნის მიერ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირი ადგენს გაფრთხილების შესახებ ოქმს, რომელიც მსჯავრდებულს უშუალოდ გადაეცემა ან ფოსტით ეგზავნება (ფოსტით გაგზავნისას კეთდება სათანადო ჩანაწერი) (ამკ 77-ე მუხლის მესამე ნაწილი). არასრულწლოვანი თავისუფლდება „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან (ამკ 77-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას, ასევე შესაძლოა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას. ამ უკანასკენელი დათქმის შესაბამისად, პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს, მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, დააკისროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ დადგენილი შესაბამისი სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულება; ან ნარკოტიკული დანაშაულისათვის პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს პერიოდულად ან გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში მოსთხოვოს შესაბამისი ნარკოლოგიური შემოწმების 5 სამუშაო დღის განმავლობაში გავლა და სათანადო დასკვნის წარმოდგენა. თუ მსჯავრდებულს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება, გარდა მსჯავრდებულის მიერ ამ ნივთიერების სამკურნალო მიზნით მოხმარებისა, პრობაციის ბიურო ვალდებულია ეს ფაქტი აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.[773]

თუ მსჯავრდებული პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას გამოცხადდა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, არ ემორჩილება პრობაციის ოფიცრის კანონიერ მოთხოვნას ან არაკორექტულად იქცევა, პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია, პრობაციის ბიუროს

---

772 *იქვე*, მუხლი 8, ნაწილი 8.

773 არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი, 19.06.2007, მუხლი 12, ნაწილი 1-1[1].

უფროსთან შეთანხმებით, მსჯავრდებული გადაიყვანოს განსაკუთრებულ რეჟიმზე, რაც გულისხმობს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას მსჯავრდებულის არა უმეტეს 3 თვის განმავლობაში კვირაში არა უმეტეს სამჯერ გამოცხადების ვალდებულებას.[774]

არასრულწლოვნის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის თავის არიდების შემთხვევაში მოსამართლე პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარდგინებისა და შესაბამისი მასალების განხილვის საფუძველზე, წარდგინების შეტანიდან 2 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დაკისრებული მოვალეობის უცვლელად დატოვების ან შეცვლის შესახებ. მოსამართლე წარდგინებას პრობაციის ოფიცრისა და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილავს და უფლება აქვს, მხარის ინიციატივით მოიწვიოს და დაკითხოს მოწმეები (ამკ 77-ე მუხლის მეხუთე ნაწილი).

თუ მსჯავრდებულის გამოცხადების დრო ემთხვევა საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეს, იგი თავისუფლდება ამ დღეს გამოცხადების ვალდებულებისაგან.[775]

პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან წერილობითი შეთანხმებით მსჯავრდებულს შესაძლებელია შეუმსუბუქდეს დადგენილი რეჟიმი, რაც გულისხმობს პრობაციის ბიუროში ორ კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით – თვეში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას (მუხლი 14[1], „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონი). იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში), პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან წერილობითი შეთანხმებით, მსჯავრდებულს შესაძლებელია შეუმსუბუქდეს დადგენილი რეჟიმი 3 თვეში ერთხელ პრობაციის ბიუროში გამოცხადების ვალდებულებით, ხოლო თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსჯავრდებულს დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია, პრობაციის ოფიცერი მსჯავრდებულზე ზედამხედველობას განახორციელებს მის საცხოვრებელ ადგილას არანაკლებ 3 თვეში ერთხელ გამოცხადებით.[776]

3. სასჯელის აღსრულების შემდგომი თანადგომა

სასჯელის აღსრულების შემდგომი ზრუნვა, ანუ როგორც ეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2010)1 რეკომენდაციაში გათავისუფლების შემდგომ თანადგომად არის მოხსენიებული, ნიშნავს მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის პროცესს ნებაყოფლობით საწყისებზე და საბოლოოდ გათავისუ-

774 *იქვე*, მუხლი 12, ნაწილი 1[3].
775 *იქვე*, მუხლი 12, ნაწილი 2.
776 *იქვე*, მუხლი 12, ნაწილი 4[1].

ფლების შემდგომ საზოგადოებაში დაბრუნებას კონსტრუქციული, დაგეგმილი და კონტროლირებადი სახით.[777]

ევროპის იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის აღსრულების შემდომი მხარდაჭერის პროგრამები ხორციელდება, ამ ფუნქციას პრობაციის სამსახურები აღასრულებენ. საქართველომ ამ მხრივ დამატებითი სტრუქტურული ერთეული შექმნა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციად ხსენებული უფლებამოსილების განხორციელება განისაზღვრა.

საპატიმრო სასჯელის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ, მაგრამ გათავისუფლებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ უნდა შეატყობინოს არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს და დანაშაულის პრევენციის ცენტრს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლების მოახლოებული თარიღი. დამატებით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ არასრულწლოვანი უნდა უზრუნველყოს გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი სპეციალური პროგრამით. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაცია ამზადებს საპატიმრო სასჯელის მოხდის პერიოდში მისი სოციალური ჩართულობის საქმეს დანაშაულის პრევენციის ცენტრისათვის გადასაცემად, რაც გამიზნულია არასრულწლოვნის რესოციალიზაციის პროცესის ხელშესაწყობად. არასრულწლოვანი მსჯავრდებული მისთვის გასაგები ფორმით ინფორმირებული უნდა იყოს, თუ რა გზით შეუძლია მას გათავისუფლების შემდეგ შესაბამისი დახმარებისა და მხარდაჭერის მიღება (ამკ 98-ე მუხლი).

დანაშაულის პრევენციის ცენტრს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის სასჯელის აღსრულების შემდგომი მხარდაჭერის უზრუნველყოფის კუთხით. კერძოდ, ცენტრის წარმომადგენლები ჯერ კიდევ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ხვდებიან არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მანამ, სანამ ის გათავისუფლდება. ამ შეხვედრის მიზანია გააცნონ მსჯავრდებულს გათავისუფლების შემდეგ მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის პირობები და საჭიროება. იმავდროულად, ისინი ეცნობიან არასრულწლოვნის სოციალური ჩართულობის საქმეს პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ეს მნიშვნელოვანია, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იყოს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაწყებული პროგრამების დასრულება და სრულყოფა.[778]

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმა მზადდება მის გათავისუფლებამდე სულ მცირე 2 თვით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ვადის დაცვა შეუძლებელია პირობით ვადამდე გათავისუფლების ან ამნისტიის/შეწყალების აქტის გამოცემის

---

777 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის საბჭოს პრობაციის წესების შესახებ, ნაწილი I.

778 ამკ, მუხლი 98, ნაწილი 2.

ანდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის გამო. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის მოსამზადებლად მისი გათავისუფლებიდან 3 თვემდე ვადის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და იმ ტერიტორიულ/ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სადაც არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს ან სადაც ის აპირებს დაბრუნებას.[779]

დანაშაულის პრევენციის ცენტრი კოორდინაციას უწევს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდიდან სულ მცირე 6 თვის განმავლობაში. ის აგრეთვე უზრუნველყოფს პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვნის საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მის პრაქტიკულ და ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას.[780]

779 იქვე, მუხლი 98, ნაწილი 8.
780 იქვე, მუხლი 99.

თავი მერვე
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირება

არასრულწლოვანი პატიმრები პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელთა მიმართაც მოპყრობის კონკრეტული ფორმები სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტის მიერ განიხილება ცალკე კონტექსტში და ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით.

არასრულწლოვან პატიმართა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირებას როგორც გაეროს, ასევე ევროპის საბჭოს ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიეძღვნა. მოცემულ თავში მიმოიხილება ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეგულირების კუთხით, როგორებიცაა: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები), გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები), ევროპული ციხის წესები, ევროპული წესები არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე და წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის სტანდარტები.

1. ზოგადი მიმოხილვა

სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს ტერმინებს „არასრულწლოვანი“ და „ბავშვი“. ამასთან, ხშირად სამართლებრივი სისტემები ბავშვისა და არასრულწლოვნის ცნებების ბუნდოვან განმარტებებს შეიცავენ. წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებულია განმარტება, რომელიც მოცემულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველ მუხლში: „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. მსგავსი აზრია მოცემული თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად გაეროს წესების მე-11 წესში, რომლის თანახმადაც „არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის ადამიანი. ...“

ამოსავალი პრინციპი ის არის, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული არასრულწლოვნის დაპატიმრება. ამასთან, რაც უფრო პატარაა ასაკით არასრულწლოვანი, მით უფრო მეტი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ არ აღუკვეთონ მას თავისუფლება. არასრულწლოვნებს გარდატეხის ასაკი აქვთ, ისინი სწავლობენ, ვითარდებიან, რათა ზრდასრულ ადამიანებად იქცნენ. თუკი არასრუნწლოვანი, რომელიც

დაარღვევს კანონს, რამოდენიმე წელს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გაატარებს, მას შეიძლება ჩამოუყალიბდეს კრიმინალური მენტალიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ გარდაუვალია არასრულწლოვნის დაპატიმრება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მასთან განსაკუთრებული მოპყრობა.[781]

საერთაშორისო სტანდარტები ერთხმად დეკლარირებენ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვნის მოთავსება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყოს უკიდურესი ზომა და გამოიყენებოდეს, რაც შეიძლება, იშვიათად.

გაეროს მეექვსე კონგრესმა „დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ" მე-4 რეზოლუციაში, რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტებს, განაცხადა, რომ წინასწარი დაკავება უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება და არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ ისეთ შენობაში, რომელშიც ისინი არ დაექვემდებარებიან სრულწლოვანი სამართალდამრღვევების მხრიდან უარყოფით გავლენას.[782]

2. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989 წლის 20 ნოემბერს იქნა მიღებული და ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტი განსაზღვრავს ყველა იმ სტანდარტს, რომელთა მიღწევაც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების ჯანსაღ გარემოში აღზრდისა და განვითარების მიზნით.

კონვენცია ადგენს ბავშვის ასაკს და პირველივე მუხლში მიუთითებს, რომ ბავშვად მიიჩნევა ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, თუ რომელიმე წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ბავშვთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელებასა და აღსრულებასაც ეხება. კერძოდ, კონვენცია დაუშვებლად მიიჩნევს ბავშვისათვის თავისუფლების უკანონოდ და თვითნებურად აღკვეთას, რადგან დაკავება, დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსება უნდა ხდებოდეს მხოლოდ კანონის თანახმად და განიხილებოდეს როგორც უკიდურესი ზომა მაქსიმალურად მცირე დროით.

კონვენცია განსაზღვრავს პრინციპებს, რაც ფუძემდებლურს ხდის კანონის მოქმედებას დროში, სივრცესა და პირთა წრის მიმართ. ამ მხრივ, კონვენცია ადგენს, რომ არცერთი ბავშვი არ უნდა ითვლებოდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, მას ბრალად არ უნდა ედებოდეს მისი დარღვევა და ის არ უნდა იქნეს აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედებისათვის,

---

781 „ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის", გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 180.

782 მიქანაძე, გ., 2008, გვ. 10.

რომელიც ჩადენის დროს არ იყო აკრძალული ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლით.

კონვენცია პირდაპირ მიუთითებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპზე ბავშვის მიმართ, რომელმაც, სავარაუდოდ, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალად ედება მისი დარღვევა და აცხადებს, რომ იგი უნდა ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად (კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღების გზით). ამასთანავე, ბავშვს დაუყოვნებლივ და უშუალოდ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია წაყენებული ბრალდების შესახებ, მას უნდა შეეძლოს სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბავშვის მოთავსების შემთხვევაში კონვენცია ადგენს, რომ მას უნდა მოეპყრან ჰუმანურად და ღირსების პატივისცემით ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილებები. ამ მიზნით კონვენცია ასახელებს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელთა რეალიზაციაც სახელმწიფოების ვალდებულებას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად, ეს პრინციპები შეეხება თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის უფროსებისგან განცალკევებით განთავსებას, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ეს არ არის საჭირო, აგრეთვე ბავშვის უფლებას, ურთიერთობა ჰქონდეს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით.

კონვენცია ხაზს უსვამს თავისუფლებააღკვეთილი ბავშვისათვის გადაუდებელი სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარების გაწევას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე თავისუფლების აღკვეთის კანონიერების გასაჩივრების უფლებას, რაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული და გამოტანილ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გაეროს სისტემაში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელსაც წევრი სახელმწიფოები, ბავშვის უფლებათა კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად, წარუდგენენ პერიოდულ ანგარიშს კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით. წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე კომიტეტი შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს კონკრეტულ სახელმწიფოებთან მიმართებით. დღემდე საქართველომ ოთხი პერიოდული ანგარიში წარადგინა, რომელთაგან ბოლო (რომელიც 2007-2013 წლების მდგომარეობას ასახავს) კომიტეტს ჯერ არ განუხილავს.

საქართველოს მიერ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისათვის წარდგენილი მესამე პერიოდული ანგარიში კომიტეტმა განიხილა 2008 წელს. აღნიშნული განხილვის შედეგად ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გარკვეული შეშფოთება გამოთქვა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) 2006 წელს გაუქმდა არასრულწლოვანთა საქმეების კომისია და არასრულწლოვანთა ინსპექცია. ეს იყო ერთადერთი პროფესიონალური უწყება, რომელიც არასრულწლოვნებთან დაკავშირებით პრევენციის ღონისძიებებს ატარებდა.

ბ) სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში სულ უფრო მეტი ბავშვი ხვდება და მათ შეეფარდებათ საპატიმრო ღონისძიებები და სასჯელები.

გ) არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სასამართლოების არარსებობა.

დ) არარსებობა ქმედითი მექანიზმებისა, რომლებიც უზრუნველყოფდა პატიმრობაში მოთავსებას უკიდურესი ზომის სახით და, რაც შეიძლება, მოკლე ხნით (როგორიც არის, მაგალითად: განაჩენის გამოტანამდე მომზადებული მოხსენებები, რისკებისა და საჭიროებების შეფასება, განაჩენთა ინდივიდუალური დაგეგმვა, პირობითი გათავისუფლების საკითხებზე მომუშავე საბჭო) და ხშირ შემთხვევაში, დანაშაულის სიმძიმესთან მიმართებით არაადეკვატურად ხანგრძლივ სასჯელს.

ე) ისეთი სათემო პროგრამების არარსებობა, რომლებიც სამართლებრივი დევნისა და პატიმრობის ალტერნატივებს გვთავაზობს, ანუ ალტერნატიული სასჯელის გამოყენების შესაძლებლობის შემცირება.

ვ) წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებული ხანგრძლივობა და ამ პერიოდის განმავლობაში მნახველების შეზღუდულად დაშვება.

ზ) დაკავების პირობები.

თ) არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის საშუალებათა არარსებობა.[783]

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა საქართველოს წარუდგინა რეკომენდაცია უზრუნველყოს არასრულწლოვანთა გასამართლების სისტემის სრული შესაბამისობა ბავშვის უფლებათა კონვენციასთან, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოების სფეროში გაეროს სხვა სტანდარტებთან, მათ შორის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოების გაეროს სტანდარტულ მინიმალურ წესებთან (პეკინის წესები), არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის გაეროს წესებთან (ჰავანის წესები) და ვენის სახელმძღვანელო პრინციპებთან სისხლის სამართლის სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებით, აგრეთვე გაეროს ბავშვთა კომიტეტის №10 ზოგად კომენტართან (2007) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა უფლებების შესახებ.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა საქართველოსთან მიმართებით ჩამოაყალიბა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები, კერძოდ:

ა) მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სასამართლოების შემოღება და არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლეების დანიშვნა ქვეყნის ყველა რეგიონში.

ბ) უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტე-

---

783 გაერთიანებული ერების სახელშეკრულებო ორგანოთა დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 81-82.

მის ყოველმა თანამშრომელმა გაიაროს ტრენინგი შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში.

გ) თავისუფლების აღკვეთა განიხილოს როგორც უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება, მოკლე ვადით; დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ ბავშვთა უფლებები და გააკონტროლოს მათი პატიმრობის პირობები; უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ყოფნისას ბავშვებს მუდმივად ჰქონდეთ კონტაქტი თავიანთ ოჯახებთან.

დ) დაამკვიდროს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემის მიმართ ერთიანი და პრევენციული მიდგომა (მაგალითად, განმაპირობებელი სოციალური ფაქტორების მოგვარება), რასაც კონვენცია ითვალისწინებს, რათა ადრეულ ეტაპზე გაუწიოს დახმარება რისკის ჯგუფში შემავალ ბავშვებს პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენებით, როგორიც არის პრობაცია, კონსულტაციები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

ე) შემოიღოს ბავშვებისათვის იურიდიული და სხვა სახის დახმარება ადრეულ ეტაპზე და უზრუნველყოს პატიმრობისას ძირითადი მომსახურების (სწავლისა და ჯანდაცვის) მიწოდება.[784]

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა 2007 წელს გამოცემულ №10 ზოგად კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი პრინციპებისა და წესების დაცვის აუცილებლობა თავისუფლების აღკვეთის ყველა შემთხვევისას:

- ბავშვების ფიზიკური და საცხოვრებელი გარემო ინსტიტუციაში უნდა ემსახურებოდეს რეაბილიტაციის მიზნებს. შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს პირადი ცხოვრების, სენსორული სტიმულაციის, თანატოლებთან ურთიერთობის, სპორტულ და გამაჯანსაღებელ ვარჯიშებში მონაწილეობის, აგრეთვე ხელოვნებას და თავისუფალ დროს სხვადასხვა აქტივობის საჭიროებას. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვს უფლება აქვს მიიღოს ის განათლება, რომელიც შეესაბამება მის საჭიროებასა და შესაძლებლობებს, რომლის მიზანია, მოამზადოს იგი საზოგადოებაში დაბრუნებისთვის. გარდა ამისა, ყველა ბავშვმა, უნდა გაიაროს პროფესიული მომზადების ტრენინგი, რომელიც, სავარუდოდ, ხელს შეუწყობს მას სამომავლო დასაქმებაში.
- ყველა ბავშვი ინსტიტუციაში მიღებისას უნდა შეამოწმოს ექიმმა. ბავშვს უფლება აქვს მიიღოს ადეკვატური სამედიცინო დახმარება და მზრუნველობა ინსტიტუციაში ყოფნის განმავლობაში, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათემო სამედიცინო დაწესებულების ან სერვისების მიერ, თუ ეს შესაძლებელია.
- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვის ხშირ კონტაქტს ფართო საზოგადოებასთან. აქ იგულისხმება ურთიერთობა ოჯახთან, მეგობრებსა და მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სახლში მოინახულოს ოჯახი.
- შეზღუდვისა და ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ფიზიკური დაზიანების საფრთხეს უქმნის თავის თავს ან სხვებს და თუ ამგვარ სიტუაციაზე კონტროლის ყველა სხვა

784 *იქვე*, გვ. 82-83.

მექანიზმის გამოყენება უშედეგოდ დასრულდა.

- ამა თუ იმ დისციპლინური ზომის გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ღირსების გრძნობის შენარჩუნებას და ინსტიტუციური ზრუნვის ძირითად ამოცანებს. მკაცრად უნდა აიკრძალოს კონვენციის 37-ე მუხლით განსაზღვრული ისეთი დისციპლინური ზომები, როგორებიცაა: ფიზიკური დასჯა, ბნელ საკანში მოთავსება, დახურულ და შემოსაზღვრულ სივრცეში მარტო მოთავსება. ასევე უნდა აიკრძალოს დასჯის ყველა ის ფორმა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის გონებრივ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.
- ბავშვს უფლება აქვს საჩივრით, ცენზურის გარეშე, მიმართოს ცენტრალურ ადმინისტრაციას, სამართლებრივ ან სხვა შესაბამის დამოუკიდებელ ორგანოს და დაუყოვნებლად მიიღოს პასუხი. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიათ ამ მექანიზნების გამოყენება.
- დამოუკიდებელ და კვალიფიციურ ინსპექტორებს რეგულარული შემოწმების უფლება უნდა ჰქონდეთ, ამასთან, წინასწარი გაფრთხილების გარეშე საკუთარი ინიციატივითაც. შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებთან კონფიდენციალურ საუბარს.[785]

3. პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია, რომელიც გაერომ ამ სფეროში მიიღო (1955წ.).[786] საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მისი გავლენა მსოფლიო დონისაა. მართალია, კიდევ არსებობენ სახელმწიფოები, რომლებშიც ამ წესების შესრულება უფრო მეტად მისწრაფებაა, ვიდრე ფაქტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინიმალური სტანდარტული წესები კვლავ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ჰუმანურ და სამართლიან ადმინისტრირებაზე.[787]

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური წესები სტანდარტულია და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რამდენადაც მიზანშეწონილია, გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების, მათ შორის წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა, მიმართაც.

---

785 General Comment NO. 10 (2007) Children's rights in juvenile justice, COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD Forty-fourth session Geneva, 15 January-2 February 2007, page 23-24, AT [http://www2.ohchr.org].

786 მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის პირველ კონგრესზე დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ, რომელიც ჩატარდა ჟენევაში 1955 წელს და რომელიც დამტკიცდა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციებით.

787 მიქანაძე, გ., 2010. გვ. 7.

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები განამტკიცებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების, მათ შორის არასრულწლოვანი პატიმრების, დაცვის მექანიზმებს და განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებს, რომელთა მეშვეობითაც თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის უნდა მოხდეს ჯანსაღი გარემოსა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა დაწესებულების ფარგლებში.

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების მე-5 წესი მიუთითებს, რომ, მართალია, მინიმალური სტანდარტული წესები არ განიხილავს ბავშვთა და არასრულწლოვანთა დაწესებულების მართვის პრობლემას, მაგრამ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსგავს დაწესებულებებშიც.[788]

წესებში ხაზგასმულია, რომ თავისუფლების აღკვეთის საბოლოო მიზანი საზოგადოების უსაფრთხოების დაცვაა (წესი 58). თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების გათავისუფლება დამნაშავეებისგან შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით. მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ თავისუფლების აღკვეთა არც ისე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაში დანაშაულის შემცირებაზე. ამდენად, წესებში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ დამნაშავის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსება არის უკიდურესი ზომა, რომელსაც უნდა მივმართოთ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოების უსაფრთხოებას სერიოზული საშიშროება ემუქრება. ამ შემთხვევაშიც კი, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია და პერსონალი ვალდებული არიან ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ საზოგადოებრივი უსაფრთხოება მომავალში, მას შემდეგ, რაც პატიმარი მოიხდის სასჯელს და გათავისუფლდება დაწესებულებიდან.[789]

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ჩამოყალიბებული პრინციპების გამოყენება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ პასუხობდეს არასრულწლოვანთა განსხვავებულ მოთხოვნებს, რაც დამახასიათებელია მათი ასაკის, სქესისა და პიროვნებისათვის.

როდესაც მიმდინარეობდა მინიმალური სტანდარტული წესების შედგენა, ტერმინი „მოპყრობა" გულისხმობდა საქმიანობას, რომელიც პატიმრის გამოსწორებას ისახავს მიზნად; ამ მიზეზით, იგი ძირითადად გამოიყენებოდა იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდების საფუძველზე. ბოლო დროს პატიმრებთან მოპყრობის კონცეფცია გადაისინჯა. ამგვარი გადაფასების საფუძველს თვით მინიმალური სტანდარტული წესები იძლევა: წინასწარ შენიშვნებში განმარტებულია, რომ მინიმალური სტანდარტული წესები „მოიცავს მოქმედების იმ არეალს, რომელშიც ადამიანის აზრი მუდმივად წინ მიისწრაფვის" (წესი 3).

დრო გადის და ის მოსაზრება, რომ გამოსასწორებელ დაწესებულებებს

---

788 „პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები – პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის", „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის" გამოცემა, თბილისი, 2000, გვ. 201.

789 *იქვე*, გვ. 28-29.

შესწევთ დამნაშავეთა გამოსწორების უნარი, შეიცვალა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ ზემოქმედების შესაძლებლობის შესახებ უფრო რეალისტური წარმოდგენით. ახლა ყურადღება გამახვილდა თავისუფლებააღკვეთილ პირთა (მათი სტატუსის მიუხედავად) დახმარებაზე, მათი პირადი პოტენციალის განვითარებასა და საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნების უზრუნველყოფაზე. ეს მსჯელობა ემყარება იდეას იმის შესახებ, რომ დღევანდელი პატიმარი ხვალ უკვე თავისუფალი მოქალაქე იქნება. როგორც საზოგადოების, ისე თავისუფლებააღკვეთილი პირის სურვილია, დაწესებულებაში ჰუმანური მოპყრობის მეშვეობით ხელი შეუწყონ პატიმარს, დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას.

მინიმალური სტანდარტული წესები იქმნებოდა მაშინ, როდესაც თავისუფლებააღკვეთილ პირთა გამოსწორება და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მათი საიმედოდ იზოლირება განიხილებოდა, როგორც დიამეტრულად საპირისპირო მოვლენები. მინიმალური სტანდარტული წესები იშვიათად მიმართავს თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაწესებულებაში ყოფნასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს, თუმცა ეს უდავოდ წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მთავარ ფუნქციას. მინიმალურ სტანდარტულ წესებში საიმედო დაცვა განიხილება როგორც თავისუფლებააღკვეთილ პირთა გამოსწორების შესაძლებლობის შემზღუდავი ფაქტორი. იმ დროს, როდესაც იქმნებოდა მინიმალური სტანდარტული წესები, პატიმრობის დინამიკური რეჟიმის კონცეფცია არ იყო აღიარებული. ამის ნაცვლად, არსებობდა დაწესებულების ხელმძღვანელობისა და პერსონალის მხრიდან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე ზრუნვისა და დაწესებულებაში მათი საიმედო იზოლირების უზრუნველყოფის ცალმხრივი ვალდებულება. მათი მოვალეობა იყო როგორც თავისუფლებააღკვეთილ პირთა გამოსწორება, ისე მათი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის საიმედო რეჟიმის უზრუნველყოფა. დღესდღეობით, მძიმე და ხანგრძლივი გამოცდილების საფუძველზე, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთა გამოსწორება არ არის მხოლოდ დაწესებულების პერსონალის საქმე. გამოსწორება არ შეიძლება იყოს წარმატებული, თუ მასში არ მონაწილეობს თვითონ თავისუფლებააღკვეთილი პირი. ამ დასაბუთებას ასახავს ტერმინები: „დახმარება“ და „თვითდახმარება“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წარმატებით ფუნქციონირება მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა ხელშეწყობით არის შესაძლებელი. გარეშე უსაფრთხოება (როდესაც აღკვეთილია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევა) და შიდა უსაფრთხოება (როდესაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაცულია წესრიგი) ყველაზე ადვილად მაშინ მიიღწევა, როდესაც თავისუფლებააღკვეთილ პირებსა და დაწესებულების პერსონალს შორის მყარდება კარგი ურთიერთობა. სწორედ ამაში მდგომარეობს საიმედო დინამიური რეჟიმის არსი: დაწესებულებაში თავისუფლებააღკვეთილ პირთა ყოფნის პირობები დამოკიდებულია მათ მიმართ ჰუმანურ მოპყრობაზე და კარგ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა

აქვს მათთვის განკუთვნილ პროგრამებს. რესურსების სიმცირე ვერ გაამართლებს პროგრამების არარსებობას.

რეციდივის რისკის შემცირება შესაძლებელია, თუ დავეხმარებით თავისუფლებააღკვეთილ პირს, ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ზრდასრულ პიროვნებად. ამისათვის აუცილებელია თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ჰუმანური მოპყრობა, რაც გულისხმობს მათი უფლებების პატივისცემას, მათ წინაშე წამოჭრილი ალტერნატივისა და მისი მოსალოდნელი შედეგების განმარტებას, აგრეთვე მათ დახმარებას თვითსრულყოფის პროცესში.

მინიმალურ სტანდარტულ წესებში მოცემულია თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მოპყრობის შინაარსი, რომელიც ემყარება მინიმალური სტანდარტული წესების მეორე ნაწილის შესავალში აღწერილ ზოგიერთ სახელმძღვანელო პრინციპს (წესები 56-დან 64-მდე). ეს პრინციპები მოიცავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების უსაფრთხოების, თავისუფლებააღკვეთილ პირთა კლასიფიკაციისა და გათავისუფლების შემდეგ მათთან მოპყრობის საკითხებს. პრინციპები გულისხმობს:

- პატიმრობისთვის დამახასიათებელი განსაცდელის მინიმუმამდე დაყვანას;
- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ცხოვრების ნორმალიზებას;
- პატიმართა წახალისებას გათავისუფლების შემდეგ კანონმორჩილი და მატერიალურად დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის;
- ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფას;
- საზოგადოებაში თანდათანობითი დაბრუნების პროცესის შემსუბუქებას;
- ყურადღების გამახვილებას იმაზე, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირები საზოგადოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

გარდა ამისა, პროგრამები ემყარება მინიმალური სტანდარტული წესების შესავალ ნაწილში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს, მათ შორის დისკრიმინაციის არარსებობის პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის აუცილებელია აღნიშნული სპეციალური პროგრამების გამოყენება.

ამ პრინციპების განხორციელებაში ძირითად როლს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები ასრულებენ. სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს განათლების პროგრამებს და ხელს უწყობდეს მოსახლეობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ პრინციპების რეალიზაციაში.

ქვემოთ მოყვანილ სახელმძღვანელო პრინციპებში ასახულია ის სულისკვეთება, რომლითაც უნდა მიმდინარეობდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ხელმძღვანელობა და ხორციელდებოდეს ის მიზნები, რომლებსაც ემსახურებიან ეს დაწესებულებები.

თავისუფლების აღკვეთა და სხვა ზომები, რომლებიც გარე სამყაროსაგან იზოლირებულ პირობებში აქცევს სამართალდამრღვევს, განსაცდელში აგდებს მას, თუნდაც იმიტომ, რომ ართმევს თვითგამორკვევის უფლებას.

ამიტომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ არ უნდა გაამწვავოს აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე განსაცდელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სეგრეგაცია გამართლებულია, ან თუ ამას დისციპლინის დაცვის აუცილებლობა მოითხოვს.[790]

თავისუფლების აღკვეთის მიზანი და გამართლება, საბოლოო ჯამში, მდგომარეობს საზოგადოების დაცვისა და საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულობების აღკვეთის აუცილებლობაში. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლების აღკვეთის ვადის მოხდისა და საზოგადოებაში ნორმალურ ცხოვრებასთან დაბრუნების შემდეგ მსჯავრდებული მომზადებული იქნება კანონმორჩილი და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.[791] ამისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს თითოეული თავისუფლებააღკვეთილი პირის მოთხოვნილებები და გამოიყენოს მის ხელთ არსებული გამოსასწორებელი, აღმზრდელობითი, მორალური, სულიერი და სხვა დამხმარე საშუალებები.[792]

მინიმალურ სტანდარტულ წესებში აღწერილ თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის დახმარების აღმოჩენის ფართო სპექტრში მთავარი ადგილი ეთმობა გამოსასწორებელი საშუალებების ეთიკურ ასპექტებს. დღესდღეობით კარგად არის გააზრებული ის ფაქტი, რომ რეალური ცვლილებები და პიროვნების თვითგანვითარება უფრო მეტად შესაძლებელია არჩევანის არსებობის შემთხვევაში. თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ გამოსწორებისაკენ მისწრაფებამ შეიძლება მიგვიყვანოს იძულებამდე, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, რომლებიც თავისი არსით იძულებითია.[793]

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არსებული რეჟიმი მიზნად უნდა ისახავდეს დაწესებულებასა და თავისუფალ ცხოვრებას შორის არსებული განსხვავების მინიმუმამდე დაყვანას. ეს განსხვავება თრგუნავს თავისუფლებააღკვეთილ პირში პასუხისმგებლობის გრძნობასა და ადამიანური ღირსების შეგრძნებას. სასურველია, რომ სასჯელის ვადის დასრულებამდე მიღებულ იქნეს ზომები თავისუფლებააღკვეთილი პირის თანდათანობითი დაბრუნებისათვის საზოგადოებაში. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია გათავისუფლების პირს მყოფი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისათვის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღებით თვით დაწესებულებაში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში ან მისი თავდებით გათავისუფლებით. უკანასკნელ შემთხვევაში თავისუფლებააღკვეთილი პირი რჩება ზედამხედველობის ქვეშ იმ პირობით, რომ ეს ზედამხედველობა არ ეკისრება პოლიციას და, გარდა ამისა, თან ახლავს ეფექტური სოციალური დახმარება.[794]

თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მოპყრობისას ხაზი უნდა გაესვას არა საზოგადოებიდან მათ გარიყვას, არამედ იმ გარემოებას, რომ ისინი კვლავაც საზოგადოების წევრებად რჩებიან. ამდენად, საჭიროა დაწესებ-

790 წესი 57.
791 წესი 58.
792 წესი 59.
793 „პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები – პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის", თბილისი 2000. გვ. 134.
794 წესი 60.

ულების პერსონალთან თანამშრომლობისათვის მოზიდულ იქნეს სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია საზოგადოებაში თავისუფლებააღკვეთილი პირის დაბრუნების მიზნით. ყველა დაწესებულებაში უნდა იყოს სოციალური მუშაკი, რომელიც იზრუნებს თავისუფლებააღკვეთილ პირსა და მის ოჯახს შორის სასურველი ურთიერთობის დამყარებაზე და რომელსაც ექნება უნარი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით სარგებლობა მოუტანოს თავისუფლებააღკვეთილ პირს.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ცხოვრების პირობები მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს თავისუფალ ადამიანთა ცხოვრების პირობებს. პატიმრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამკაცრება არა მხოლოდ გაუმართლებელია, არამედ ამცირებს გათავისუფლების შემდეგ თავისუფლებააღკვეთილი პირის ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნების შანსებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებისათვის იზრდება რისკი, რადგან ყოფილი პატიმარი უბრუნდება დანაშაულებრივ ცხოვრებას, რომელიც, მისი აზრით, გადარჩენის ერთადერთი გზაა.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება თავისი არსით არ წარმოადგენს ნორმალური ცხოვრების ადგილს. ამგვარ დაწესებულებაში კომფორტული პირობების შექმნის მცდელობა ვერასოდეს აანაზღაურებს საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების დანაკარგს, თუმცა მას შეუძლია შეამსუბუქოს პატიმრობით გამოწვეული მარტოობის გრძნობა. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნორმალური ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თავისუფლებააღკვეთილი პირების გარე სამყაროსთან კავშირის შენარჩუნება, აგრეთვე საკუთარი ტანსაცმლის ჩაცმისა თუ თავიანთი სათავსოების დალაგების ან საჭმლის მომზადების უფლების მიცემა მათთვის. ამგვარი საქმიანობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა რამდენიმე მიზანს ემსახურება. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და მის ფარგლებს გარეთ ცხოვრების პირობებს შორის განსხვავების შემცირება აძლიერებს თავისუფლებააღკვეთილი პირების დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, აძლევს მათ საშუალებას, შეინარჩუნონ ძირითადი პრაქტიკული ჩვევები და ამცირებს მათ დამოკიდებულებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციაზე.

თუმცა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ ამით არ უნდა გაამართლოს თავისი უმოქმედობა, მაშინ როდესაც თავისუფლებააღკვეთილ პირებს არ შესწევთ საკუთარ თავზე ზრუნვის უნარი. მაგალითად, თუ თავისუფლებააღკვეთილ პირს არ გააჩნია შესაფერისი ტანსაცმელი, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს იგი სამოსით, თავისუფლებააღკვეთილი პირი კი პასუხისმგებელია საკუთარი ტანსაცმელი სუფთად შეინახოს ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი საშუალებებით.

მინიმალური სტანდარტული წესები აღიარებს, რომ გარე სამყაროსთან კავშირი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და წარმოადგენს საზოგადოებაში თავისუფლებააღკვეთილი პირის დაბრუნებისათვის გათვალისწინებული პროგრამების

საფუძველს. ამგვარი პროგრამების დაწყება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდის ვადის ბოლო პერიოდში უკვე დაგვიანებულია. ასეთი კავშირის შესაძლებლობა თავისუფლებააღკვეთილ პირს უნდა ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთის დასაწყისიდანვე.

გაეროს მინიმალური წესებით განსაზღვრული პრინციპების ცხოვრებაში დანერგვა მოითხოვს თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ინდივიდუალურ მიდგომას და აქედან გამომდინარე, მათი ჯგუფებად კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას. ამდენად, სასურველია, რომ ამგვარი ჯგუფები განთავსდნენ ცალ-ცალკე დაწესებულებებში თითოეულ ჯგუფთან სათანადო მუშაობის საწარმოებლად.

აუცილებელი არ არის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უსაფრთხოების ერთნაირი ზომების მიღება ყველა ჯგუფისათვის. უფრო მეტიც, სასურველია ამ ზომების სიმკაცრის გრადაცია ჯგუფების მიხედვით. თავისუფლებააღკვეთილი პირების გამოსწორების ყველაზე სასურველი პირობები არსებობს ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც გაქცევის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული აქცენტი კეთდება არა ფიზიკურ საშუალებებზე, არამედ თვითდისციპლინაზე.

სასურველია, დაწესებულებაში განთავსდეს იმდენი თავისუფლებააღკვეთილი პირი, რომ შესაძლებელი იყოს მათთან ინდივიდუალური მიდგომა. ზოგიერთ ქვეყანაში ითვლება, რომ ამგვარი დაწესებულებების კონტინგენტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 თავისუფლებააღკვეთილ პირს. ღია ტიპის დაწესებულებებში უნდა განთავსდეს, რაც შეიძლება, ცოტა ადამიანი. მეორე მხრივ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფართობი საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისათვის, რომ იქ უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა და მომსახურების უზრუნველყოფა.

მინიმალური სტანდარტული წესები ეხება რეჟიმის მოთხოვნებსა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა გამოსწორების ამოცანას შორის არსებულ კავშირს, მათი გადანაწილების იდეას, რომელიც ითვალისწინებს კონტინგენტის ზედმინევნით ყურადღებიან შეფასებას.

მოქნილ კლასიფიკაციაზე დამყარებული ინდივიდუალური მიდგომა სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას გულისხმობს. ეს პროგრამები გათვლილია თავისუფლებააღკვეთილ პირთა სხვადასხვა ჯგუფზე. რაც უფრო მრავალფეროვანია პროგრამები, მით უფრო მეტი გამოცდილება მოეთხოვება თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მომუშავე პერსონალს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს დაწესებულების ტიპისა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯგუფების მიხედვით დაწესებულების პერსონალის დიფერენცირებული შერჩევისა და მომზადებისათვის.

მინიმალური სტადარტული წესები გვთავაზობს თავისუფლებააღკვეთილ პირთა სხვადასხვა კატეგორიის განცალკევებას სხვადასხვა დაწესებულებაში ან მათ ქვედანაყოფებში, როგორც თავისუფლებააღკვეთილ პირებზე ზემოქმედების, მათი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის რეჟიმისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაბალანსებული მიდგომის საშუალებას. თავისუფლებააღკვეთილ პირთა სხვადასხვა ჯგუფისათვის განსხვავებული რეჟიმების კონცეფცია დამკვიდრებულია ცხოვრებაში.

ტრადიციულად, თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა რეჟიმი ნიშნავს დაწესებულებების კატეგორიების მიხედვით დაყოფას. პრაქტიკულად შესაძლებელია, რომ ერთი დაწესებულების შიგნით არსებობდეს სხვადასხვა რეჟიმის ქვედანაყოფები. თავისუფლების აღკვეთის რეჟიმი – ეს არ არის უბრალოდ უსაფრთხოება დაწესებულების გარე საზღვრების ფარგლებში, იგი მოიცავს თავისუფლებააღკვეთილ პირთა გადაადგილების თავისუფლების დონესაც.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეკონომიკური მიზეზებით შეუძლებელია ცალკეული ღია ტიპის დაწესებულებების შექმნა, პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს დახურული დაწესებულების ფარგლებში მეტი თავისუფლების პირობების არსებობა, თავისუფლებააღკვეთილ პირთა გარკვეული ჯგუფებისთვის უფრო თავისუფალი გადაადგილების უფლების მინიჭება.

დაწესებულებებში ისეთი ცალკეული ქვედანაყოფების არსებობა, რომლებიც გათვალისწინებულია განსხვავებული მიდგომისათვის თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მათ გამოსასწორებლად, შეიძლება უფრო ეკონომიკური საფუძველი იყოს ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისათვის. მცირე ზომის ქვედანაყოფების არსებობა იძლევა იმის საშუალებას, რომ პერსონალმა ინდივიდუალურად იმუშაოს თითოეულ თავისუფლებააღკვეთილ პირთან, განსაკუთრებით, თუ ქვედანაყოფის შტატი შერჩეულია გუნდური პრინციპით და მომზადებულია თავისუფლებააღკვეთილ პირთა გარკვეულ ჯგუფთან სამუშაოდ.

მინიმალური სტანდარტული წესები ასახავს წინააღმდეგობას ეკონომიკურ მოთხოვნებსა და ინდივიდუალურ მიდგომას შორის. დიდი დაწესებულების ფარგლებში პრაქტიკულად შესაძლებელია ძვირადღირებულ დანადგარებზე დანახარჯების მინიმუმამდე შემცირება და მათი მაქსიმალური გამოყენება. თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნაკლები კომფორტის მიუხედავად, თავისუფლებააღკვეთილი პირები უფრო მცირე ზომის დაწესებულებას ანიჭებენ უპირატესობას, რადგან იქ უფრო დამოუკიდებელ პიროვნებებად გრძნობენ თავს.

მინიმალური სტანდარტული წესები, არც ისე დეტალურად, მაგრამ მაინც განიხილავს ყოფაქცევისა და დანაშაულის პროფილაქტიკის პროგრამებს. ისეთი პროგრამები, როგორებიცაა თვითკონტროლის სწავლება და „არას“ თქმის უნარის გამომუშავება, თავისუფლებააღკვეთილ პირს დაეხმარება გააცნობიეროს და შეცვალოს ყოფაქცევა, თავისი წვლილი შეიტანოს რეაბილიტაციის პროცესში. სპეციალური პროგრამები საჭიროა უფრო რთული ამოცანების გადასაჭრელად, მაგალითად ისეთის, როგორიცაა სექსუალური დანაშაული; აქ აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების მონაწილეობას.

ბევრ სისტემაში, ისევე როგორც თვით საზოგადოებაში, ნარკოტიკების, ალკოჰოლისა და თამბაქოს მიმართ დამოკიდებულება ქმნის ყოფაქცევასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ადმინისტრაციის წინაშე დგას ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების დაწესებულებაში მიწოდებისათვის დაგეგმილი გზის გადაკეტვას, არამედ ნარკოტიკების

მიმართ დადებითი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლასაც.

დეტოქსიკაციის მიზნით და მავნე ზემოქმედების შესამცირებლად აუცილებელია შემუშავდეს ჰუმანური და გრძელვადიანი პროგრამები, რომლებიც მოიცავენ პროფილაქტიკის სამედიცინო და სოციალურ ასპექტებსაც. სქესობრივი, კულტურული და ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განათლება და რისკის თავიდან აცილება ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის განკუთვნილი პროგრამების ნაწილი უნდა იყოს. თავისუფლებააღკვეთილი პირები წარმოადგენენ პოტენციური რისკის ჯგუფს, ნარკოტიკების მოხმარებისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების (როგორიცაა შიდსი) თვალსაზრისით. თავისუფლებააღკვეთილ პირთა უმრავლესობას დაწესებულების ფარგლებს გარეთ ან უმნიშვნელო ჰიგიენური განათლება აქვს მიღებული ან საერთოდ არაფერი იცის ამ სფეროში. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები უნდა ახორციელებდნენ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

პროფილაქტიკური პროგრამები უმეტესწილად ემყარება ინფორმირებასა და წახალისებას; გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ პროგრამების ეფექტური შესრულების აუცილებელი პირობაა მათში თავისუფლებააღკვეთილ პირთა ნებაყოფლობითი მონაწილეობა.

პერსონალის მომზადება კონსულტაციებისა და შეფასებისთვის დაგვეხმარება თავისუფლებააღკვეთილ პირთა ქცევის უფრო კვალიფიციურ შეფასებაში. ეს შეიძლება გაიგივდეს სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებისაგან სპეციალური ჯგუფების შექმნასთან. ცალკეულ დაწესებულებებში, სადაც არ არის სპეციალისტების მიწვევის საშუალება, შეიძლება შეიქმნას ალტერნატიული ცენტრალიზებული ორგანო, რომელიც შეაფასებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა ქცევას და მიიღებს გადაწყვეტილებებს განაჩენის გამოტანის შემდეგ სასჯელის მოხდის კონკრეტული ადგილების შესახებ.

თავისუფლებააღკვეთილ პირთა შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლების მოთხოვნა ნათლად ასახავს იმ ფაქტს, რომ დროთა განმავლობაში მათი მოთხოვნილებები იცვლება. ამ პროცესს თან სდევს თავისუფლებააღკვეთილი პირის ინდივიდუალურ განვითარებაში მომხდარ ცვლილებებზე მუდმივი რეაგირების აუცილებლობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საწყის შეფასებას ახორციელებს ცენტრალიზებული შემფასებელი ჯგუფი, პატიმრობისა და გამოსწორების პროცესის ეფექტური დაგეგმვა დამოკიდებულია ადგილობრივ პერსონალზე, რომელსაც საკმარისი გამოცდილება და ცოდნა აქვს იმისათვის, რომ გაუმჯობესოს და დახვეწოს თავისუფლებააღკვეთილ პირთა გამოსწორებისთვის მიმართული გეგმები. ეს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადგილობრივი პერსონალის მომზადებისას.

დაგეგმვა უწყვეტი პროცესია, რომელიც იწყება თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაწესებულებაში შესვლისთანავე. მეთოდების გამომუშავების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ცალკეული პირის მიერ სასჯელის ვადის მოხდის დაგეგმვა იმ მომენტიდან, როდესაც იგი განაჩენის გამოტანის შემდეგ

პირველად ხვდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ყოველი პატიმრის მიღების შემდეგ, მისი ხასიათის შესწავლის საფუძველზე, უმოკლეს ვადაში უნდა შემუშავდეს მასთან მუშაობის პროგრამა, მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებებიდან, შესაძლებლობებიდან და მიდრეკილებებიდან გამომდინარე.

დაგეგმვის პროცესი მოიცავს თითოეული თავისუფლებააღკვეთილის, როგორც პიროვნების, შესწავლას. მინიმალური სტანდარტული წესები თავისუფლებააღკვეთილ პირს მოიაზრებს როგორც ამ პროცესის პასიურ მონაწილეს, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასჯელის მოხდის დაგეგმვა გაცილებით უფრო ეფექტურია, თუ თავისუფლებააღკვეთილი პირი აქტიურად არის ჩართული დაგეგმვის პროცესში.

მინიმალური სტანდარტული წესები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კლასიფიკაციის სისტემები:

ა) იცავს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებებს;

ბ) იცავს თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯგუფებს;

გ) განსაზღვრავს აუცილებელი უსაფრთხოებისა და კონტროლის დონეს;

დ) ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქმიანობის სხვადასხვა სახეს.

კლასიფიკაციის მიზნებია:

ა) თავისუფლებააღკვეთილი პირის განცალკევება იმათგან, ვინც თავისი დანაშაულებრივი წარსულით ან ცუდი თვისებებით უარყოფით გავლენას მოახდენს მასზე;

ბ) თავისუფლებააღკვეთილ პირთა კატეგორიებად დაყოფა, რაც გააადვილებს მათთან მუშაობას საზოგადოებაში მათი დაბრუნებისათვის მომზადების მიზნით.

შესაძლებლობის ფარგლებში, თავისუფლებააღკვეთილ პირთა სხვადასხვა კატეგორიასთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განცალკევებით – სხვადასხვა დაწესებულებაში, ან ერთი დაწესებულების სხვადასხვა განყოფილებაში.

წესები გამოყოფს სხვადასხვა მიზეზს იმისა, თუ რატომ არის აუცილებელი კლასიფიკაცია და განცალკევებით მოთავსება. ეს მიზეზები შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. უარყოფითი მიზეზები დაკავშირებულია კონტამინაციისა და რისკის შემცირების ტრადიციულ თეორიებთან. დადებითი მიზეზები ემყარება ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს რეაბილიტაციისა და თვითსრულყოფის თვალსაზრისით.

არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა დადებით და უარყოფით მიზეზებს შორის. კლასიფიკაციის გამოყენება ნიშნავს ამ პოტენციური წინააღმდეგობის გაწონასწორებას. რისკის თავიდან აცილების მიზნით, კლასიფიკაცია პრაქტიკაში წარმოადგენს პრიორიტეტულ ზომას დაწესებულებისათვის. ამ ტენდენციის უკუქმედება გვევლინება პერსონალის მომზადების მთავარ ამოცანად: იგი ხაზს უნდა უსვამდეს თავისუფლებააღკვეთილ პირთა, როგორც ადამიანთა, მიმართ მოპყრობას. თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ურთიერთობის გამოცდილება წარმოადგენს საიმედო დაცვისა და კონტროლის მნიშვნელოვან მეთოდებს. მართლაც, პიროვნული ურთიერთობების

დამყარების უნარი ხშირად თავიდან აგვაცილებს უსაფრთხოებისა და კონტროლის ტრადიციული ტექნიკის გამოყენების საჭიროებას, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ისინი გამოიყენება, როგორც უკიდურესი საშუალებანი.

მინიმალური სტანდარტული წესები მიუთითებს კლასიფიკაციასა და განცალკევებით მოთავსებას შორის არსებულ ურთიერთკავშირზე, რომლის მიზანია თავისუფლებააღკვეთილ პირთა კატეგორიებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების ხაზგასმა და თითოეულ თავისუფლებააღკვეთილ პირთან ინდივიდუალური მიდგომისათვის ამ განსხვავებების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობის გაზრდა.

პრაქტიკაში კლასიფიკაცია ყოველთვის არ ემთხვევა განცალკევებით განთავსებას; განცალკევებით განთავსება თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მუშაობის ძვირადღირებული მეთოდია. თავისუფლებააღკვეთილ პირთა გარკვეული კატეგორიების განცალკევებით მოთავსების პრინციპი შეიძლება მალე დაირღვეს (განსაკუთრებით გადატვირთულობის პრობლემის წინაშე მდგარ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში) და მათ შორის განსხვავება წაიშალოს.

კლასიფიკაციის სისტემები ხშირად ხდება უსაფრთხოებისა და კონტროლის მოსაზრებებით განხორციელებული შეზღუდვების მიზეზი. კლასიფიკაციის გარეშე, დაცვა ძირითადად მიმართული იქნება იმ თავისუფლებააღკვეთილ პირებზე, რომლებსაც შეუძლიათ გაქცევის მოწყობა, ხოლო კონტროლის ღონისძიებები განხორციელდება მხოლოდ იმ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ უწესრიგობის პროვოცირება. ამან შეიძლება მიგვიყვანოს შეზღუდვების შემოღებამდე იმ ცალკეული თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის, რომელთა მიმართაც ამის განხორციელება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. უხეში კლასიფიკაციისას ზოგიერთი თავისუფლებააღკვეთილი პირი შეიძლება ზედმეტად შეზღუდული აღმოჩნდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მათი უმეტესობა არ მოხვდება განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის პირობებში და მათ არ შეეხებათ ის შეზღუდვები, რომლებიც გამართლებულია მხოლოდ უმცირეს ნაწილთან მიმართებით.

უხეში კლასიფიკაციის ნაკლოვანებების ზედაპირულად აღქმა საჭირო არ არის. თავისუფლებააღკვეთილ პირებს, რომლებიც კლასიფიცირებული არიან როგორც „სახიფათო", ნამდვილად გაუჭირდებათ ამ იარლიყით ცხოვრება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მათთვის სასჯელის მოსახდელად გამოიყენება განსაკუთრებულად დაცული ბლოკები ან უსაფრთხოების გაძლიერებული რეჟიმის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები. გადახედვა და გადაფასება მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადამიანთა კლასიფიკაციის ნებისმიერი სისტემისათვის, რომელიც ცდილობს უსაფრთხოების სისტემისა და რეაბილიტაციის პროცესის გაწონასწორებას. იგი უნდა ხორციელდებოდეს გონივრული თანმიმდევრობით, თითოეულ თავისუფლებააღკვეთილ პირთან ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებით.

4. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები)

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბერს.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე არ განსაზღვრავს არც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და არც სრულწლოვანების დადგომის ასაკს. ამასთან, წესები მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის პრინციპები გავრცელდეს ახალგაზრდა სრულწლოვნებზეც.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე, ასევე გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ ნათელყოფენ, რომ დაპატიმრებული არასრულწლოვნების მიმართ დამსჯელი საშუალებების გამოყენება, შეძლებისდაგვარად, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. თუ ახალგაზრდისთვის თავისუფლების აღკვეთა გარდაუვალია, გამოსასწორებელ დაწესებულებაში არსებული ნეგატიური ასპექტებიც, შეძლებისდაგვარად, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. არასრულწლოვნებს მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი, რათა გამოსასწორებელი დაწესებულების დატოვების შემდეგ წარმატებით შეძლონ ცხოვრების გაგრძელება. მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა შეავსონ ხარვეზები საშუალო და პროფესიულ განათლებაში.

პროგრესული კრიმინოლოგია მხარს უჭერს პატიმრებთან არაინსტიტუციონალურ მოპყრობას, ინსტიტუციონალურთან შედარებით. დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებისას წარმატებები ან ვერ მიიღწევა, ან მათი რაოდენობა ძალიან უმნიშვნელოა, განსაკუთრებით არაინსტიტუციონალური მიდგომისას. ინსტიტუციონალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირზე არაპირდაპირი უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება ფაქტობრივად შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით ეხება არასრულწლოვნებს, რომლებიც უარყოფითი გავლენის მიმართ მოწყვლადები არიან. უფრო მეტიც, არა მარტო თავისუფლების შეზღუდვა, არამედ ჩვეული სოციალური გარემოსგან განცალკევება არასრულწლოვანთათვის ბევრად უფრო მნვავეა, ვიდრე სრულწლოვანთათვის, ვინაიდან ისინი განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან. პეკინის წესების მე-19 წესის მიზანია არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ინსტიტუციონალიზაციის შეზღუდვა ორი მიმართულებით: რაოდენობრივად („უკიდურესი ზომა“) და დროში („მინიმალურად აუცილებელი დრო“). მე-19 წესი ასახავს გაეროს მეექვსე კონგრესის მე-4 რეზოლუციის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს – არ შეიძლება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს სხვა შესაბამისი ღონისძიება. ამიტომაც წესი აკონკრეტებს, რომ, თუ არასრულწლოვანი დაპატიმრებულია, თავისუფლება უნდა შეიზღუდოს, შეძლებისდაგვარად, ნაკლებად სპეციალურ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც მხედველობაშია მიღებული

სამართალდამრღვევის, სამართალდარღვევისა და დაწესებულების განსხვავებანი. ფაქტობრივად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს „ღია ტიპის" დაწესებულებებს „დახურული ტიპის" დაწესებულებებთან შედარებით. უფრო მეტიც, თითოეული მათგანი გამოსასწორებელი ან საგანმანათლებლო ხასიათის უნდა იყოს და არა ციხის ტიპის.[795]

5. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები)

არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთა საზოგადოებაში დანაშაულის აღკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილია. კანონიერ, სოციალურად სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმით და საზოგადოების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულებით ახალგაზრდებს შეუძლიათ განივითარონ არადანაშაულებრივი მიდგომები. არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთა მთელი საზოგადოებისგან მოითხოვს მცდელობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოზარდთა ჰარმონიული განვითარება, ბავშვობიდანვე მათი პიროვნებებად ჩამოყალიბების ხელშეწყობით.

აღნიშნული სულისკვეთება დაედო საფუძვლად 1990 წლის 14 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო პრინციპებს (რიადის პრინციპებს) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით.

რიადის პრინციპებმა გაეროს წევრ სახელმწიფოებს დანაშაულის პროგრესულად პრევენციის პოლიტიკისა და შესაბამისი სისტემების შემუშავებისკენ მოუწოდა და მაგალითისთვის შემდეგი ქმედითი ღონისძიებების გატარება შესთავაზა:

ა) საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რამაც უნდა დააკმაყოფილოს ახალგაზრდების განსხვავებული საჭიროებანი და გამოყენებულ იქნეს ახალგაზრდების პირადი განვითარების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან, ან ემუქრებათ სოციალური საფრთხე და ესაჭიროებათ სპეციალური ზრუნვა ან დაცვა;

ბ) სპეციალური დოქტრინისა და მიდგომების შემუშავება დანაშაულის აღსაკვეთად, რაც უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო რეგულირებისა და აღსრულების კუთხით და რომლის მიზანსაც უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის ჩადენის მოტივაციის, საჭიროებების, შესაძლებლობების ან პირობების შესუსტება;

გ) იმის გათვალისწინება, რომ ახალგაზრდების ქმედება ან საქციელი, რომელიც არ შეესაბამება სოციალურ ნორმასა და ღირებულებას, ხშირად ახალგაზრდების განვითარებისა და ზრდის პროცესის ნაწილია და უმრავლე-

795 „ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული", თბილისი, 2007, გვ. 271-272.

სობას იგი თავისთავად უქრება სრულწლოვანების მიღწევისას;

დ) ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებისათვის ისეთი დამღის დაჩნევასთან დაკავშირებით, როგორიცაა „კანონის დამრღვევი", „დამნაშავე" და „პოტენციური დამნაშავე", რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ახალგაზრდების მიერ არასასურველი საქციელის განმეორებას.

რიადის სახელმძღვანელო პრინციპები ცალკე თავს უთმობს კანონმდებლობასა და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნული თავი ეხება ისეთ ფუძემდებლურ საკითხებს, როგორებიცაა კანონების მიღება და განხორციელება ყველა ახალგაზრდის უფლებების დასაცავად და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, მათ მიმართ ჩაგვრის, ძალადობის, ექსპლუატაციისა და დანაშაულებრივი საქმიანობის დაუშვებლობა და აკრძალვა. გამოკვეთილი ადგილი უჭირავს ომბუდსმენის ან მსგავსი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობას ახალგაზრდების უფლებების დაცვის განმტკიცების მიზნით. სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებენ, რომ ორივე სქესის სამართალდამცავი პერსონალი ისე უნდა იყოს განწვრთნილი, რომ ადეკვატურად დააკმაყოფილოს ახალაგაზრდებისათვის დამახასიათებელი ყველა მოთხოვნილება; ისინი კარგად უნდა იცნობდნენ პროგრამებს, რომლებიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენ ახალგაზრდებთან მიმართებით.

6. გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები)

გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის 14 დეკემბრის 45/113 რეზოლუციით მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ შეიქმნა მინიმალური სტანდარტის დასადგენად თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვისთვის, რომელიც სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან დაკავების ნებისმიერი ფორმის სავალალო შედეგის განეიტრალებისა და საზოგადოებაში არასრულწლოვანთა ინტეგრაციის დაჩქარებისთვის. ამასთანავე, წინამდებარე წესების შექმნა მიზნად ისახავდა უფრო მოსახერხებელი სტანდარტების დადგენას და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მართვაში მონაწილე პროფესიონალთა სახელმძღვანელო პრინციპებით უზრუნველყოფას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად მოიცავს ყველა მოთხოვნას, განმტკიცებულთ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებსა და სხვა აქტებში, რომლებიც სრულწლოვნებს ეხება. თუმცა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მოპყრობის, განათლებისა და რეაბილიტაციის საკითხებზე, ისევე როგორც სტიგმატიზაციისაგან დაცვაზე.

როგორც ზოგადი მიმოხილვის ნაწილში აღვნიშნეთ, ჰავანის წესები არასრულწლოვნად აღიარებს 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ ადამიანს და იქვე მიუთითებს, რომ ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთაც დაუშვებე-

ლია ბავშვისთვის თავისუფლების აღკვეთა, დგინდება კანონით (იგულისხმება თითოეული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით).

სხვა საერთაშორისო დოკუმენტების მსგავსად, ჰავანის წესებიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკანასკნელი ღონისძიება და გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად მცირე დროით მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. სანქციის ვადა უნდა განსაზღვროს სასამართლომ, არასრულწლოვნის ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

კანონის დარღვევაში ეჭვმიტანილ და მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მოპყრობა უნდა განსხვავდებოდეს იმავე მდგომარეობაში მყოფ ზრდასრულებთან მოპყრობისაგან. ამას აქვს შემდეგი საფუძვლები:

ა) მიიჩნევა, რომ ბავშვი ნაკლებად აგებს პასუხს თავის ქმედებაზე, მისი პასუხისმგებლობა იზრდება ასაკის მატებასთან ერთად;

ბ) ზრდასრულებთან შედარებით, ბავშვები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან, უფრო ადვილად ექვემდებარებიან გამოსწორებას და სწავლობენ ქცევის სხვაგვარ წესებს;

გ) ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც მოთავსებული არიან წინასწარი პატიმრობის საკნებსა და ციხეებში, დაუცველი არიან ძალადობისა და ცუდად მოპყრობისგან და ნაკლებად შეუძლიათ თავის დაცვა.

ჰავანის წესები ეფუძნება თანასწორობის პრინციპს, რაც გულისხმობს მათ გამოყენებას მიუკერძოებლად, მიუხედავად თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ასაკისა, ენისა, რელიგიისა, ეროვნებისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, კულტურული შეხედულებისა თუ ადათ-წესებისა, საკუთრებისა, დაბადებისა თუ ოჯახური სტატუსისა, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობისა და უნარშეზღუდულობისა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად ცალკე თავს უთმობს პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვნებს და აღნიშნავს, რომ დაკავების ნაცვლად სასამართლო მაქსიმალურად უნდა ეცადოს შეუფარდოს მათ აღკვეთის ალტერნატიული ღონსძიება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ აღკვეთის სახით არასრულწლოვანს განუსაზღვრა პატიმრობა, სასამართლომ და საგამოძიებო ორგანოებმა პრიორიტეტულად, მაქსიმალურად სწრაფად უნდა განიხილონ მსგავსი საქმეები, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ არასრულწლოვნის პატიმრობის დანესებულებაში ყოფნის პერიოდი. ამასთანავე დაცული უნდა იყოს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნების მსჯავრდებულებთან ერთად განთავსება.

ჰავანის წესები განსაზღვრავს სამ ძირითად წესს, რომლებიც სხვა სტანდარტულ წესებთან ერთად უნდა გამოიყენებოდეს პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, კერძოდ:

ა) დამცველის ყოლისა და უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, როდესაც ასეთი უფასო დახმარება ხელმისაწვდომია; ასევე უნდა ჰქონდეთ დამცველთან მუდმივად კონტაქტის შესაძლებლობა;

ბ) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაძლებლობით იმუშაონ შესაბამისი ანაზღაურების მიღებით და გააგრძელონ სწავლის მიღება ან ტრენინგები, მაგრამ ამას მოთხოვნის ფორმა არ უნდა ჰქონდეს. სამსახური, განათლების მიღება ან ტრენინგი არ შეიძლება გახდეს პატიმრობის გაგრძელების მიზეზი;

გ) უნდა მიიღონ ზომები თავისუფალი დროისა და გამაჯანსაღებელი საქმიანობის კუთხით, რაც უნდა შეესაბამებოდეს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს.

ჰავანის წესები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვნის მიღების, მოთავსების, გადაყვანისა და გათავისუფლების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ მის მშობლებს, მეურვეებს და ახლო ნათესავებს.

არასრულწლოვნის მიღებიდან, რაც შეიძლება, მალე უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა პირადი მდგომარეობისა და გარემოებების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დამუშავება, რაც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას განსაზღვროს რა რისკის მატარებელია არასრულწლოვანი.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღებისას, ყველა არასრულწლოვანს უნდა გადაეცეს დაწესებულების შინაგანაწესის ასლი და მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ წერილობითი განმარტება მათთვის გასაგებ ენაზე, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციის მიერ თარჯიმნის დახმარების უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს.

ყველა არასრულწლოვანს უნდა განემარტოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიდა ორგანიზაციული წესები, მათთან ურთიერთობის მიზნები და მეთოდები, დისციპლინური მოთხოვნები და პროცედურები, ინფორმაციის მოპოვებისა და საჩივრების შედგენის სხვა ნებადართული მეთოდები და ისეთი საკითხები, რომელთა ცოდნაც საჭიროა, რათა არასრულწლოვანმა შეძლოს თავისუფლების აღკვეთის პერიოდში თავისი უფლებებისა და ვალდებულებების სრულყოფილად გაცნობიერება.

არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღების მომენტიდან, რაც შეიძლება, სწრაფად, თითოეული არასრულწლოვანი უნდა გამოიკითხოს და უნდა შედგეს მისი ინდივიდუალური სოციალური და ფსიქოლოგიური სურათი, სადაც აისახება საჭირო მოპყრობისა და მიდგომის მეთოდები და არასრულწლოვნის მოთხოვნილებები და საჭიროებები. აღნიშნული დოკუმენტი სამედიცინო პერსონალის მიერ მომზადებულ არასრულწლოვნის ჯანმრთელობის ცნობასთან ერთად უნდა გადაიგზავნოს დაწესებულების დირექტორთან, რათა მან განსაზღვროს არასრულწლოვნისთვის დაწესებულებაში სათანადო ადგილი და მოპყრობის კონკრეტული ფორმა, დონე და პროგრამა, რომლებიც მის მიმართ უნდა განხორციელდეს.

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნისათვის სარეაბილიტაციო მკურნალობაა საჭირო და მისი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის ვადა ამის შესაძლებლობას იძლევა, დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა წერილობით უნდა მოამზადოს მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა, რომელშიც განისაზღვრება მკურნალობის მიზანი და მისი მიღწევის დრო, საშუალებები და ეტაპები.

ჰავანის წესები დაუშვებლად მიიჩნევს არასრულწლოვნების განთავსებას იმავე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სადაც იმყოფებიან ზრდასრული მსჯავრდებულები, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, თუ ისინი არიან ერთი ოჯახის წევრები. სათანადო ზედამხედველობის პირობებში, ჰავანის წესები მეორე გამონაკლისსაც უშვებს, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია არასრულწლოვანი მოთავსდეს განსაკუთრებული ყურადღებით შერჩეულ ზრდასრულ ადამიანებთან ერთად სპეციალური პროგრამის ფარგლებში, რაც სასარგებლო ეფექტის მომტანი იქნება კონკრეტული არასრულწლოვნისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვანთათვის ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შექმნას. ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ჰავანის წესები უწოდებს ისეთ დაწესებულებას, რომელშიც არ არსებობს, ან მინიმუმამდეა დასული, უსაფრთხოების ღონისძიებები. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ძირითადად ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ღია ტიპის დაწესებულებებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ცეცხლსასროლი იარაღით დაცვის დაუშვებლობა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა; მსჯავრდებულთა განთავსება საცხოვრებელ ოთახებში; მსჯავრდებულთა გადაადგილების სრული თავისუფლება; ღამის საათებში საცხოვრებლის გარეთ მსჯავრდებულთა გადაადგილების აკრძალვა. მსჯავრდებულთა გადაადგილების სრულ თავისუფლებაში, როგორც წესი, მოიაზრება დღის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან კანონმდებლობით განსაზღვრული რადიუსის ფარგლებში (ხშირ შემთხვევაში, არაუმეტეს 30 კილომეტრისა) მსჯავრდებულთა გადაადგილება ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ან კონკრეტულ ობიექტსა თუ კომპანიაში მუშაობის მიზნით.

ჰავანის წესები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დიზაინს უსაფრთხოების პირობების მაქსიმალურად დაცვის თვალსაზრისით. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დიზაინი და სტრუქტურა უნდა იყოს ისეთი, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ხანძრის გაჩენის საფრთხე და უზრუნველყოფილ იქნეს შენობიდან ხალხის უსაფრთხო ევაკუაცია. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ეფექტიანი საგანგაშო სისტემა, ისევე როგორც ფორმალური და ნათელი პორცედურები არასრულწლოვანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები მდებარეობდეს ისეთ ადგილას, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიშია ან არსებობს სხვა საშიშროება.

ჰავანის წესების თანახმად, თითოეული არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის განკუთვნილი საძინებელი ადგილი უნდა წარმოადგენდეს პალატა საძინებლებისა თუ ინდივიდუალური საძინებელი ოთახების ერთობლიობას, ადგილობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. ყველა არასრულწლოვანი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სუფთა, მოწესრიგებული თეთრეულით, რომელიც ხშირად (როგორც წესი, არანაკლებ კვირაში ერთხელ) უნდა იცვლებოდეს, რათა დაცული იყოს ჰიგიენური პირობები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად მიუთითებს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სანიტარიული წერტილები ისეთი ფორმითა და სტანდარტებით უნდა იყოს განლაგებული, რომ ყველა არასრულწლოვანმა შეძლოს ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განცალკევებით, ჰიგიენური პირობების დაცვით.

შესაძლებლობის ფარგლებში არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ პირადი ტანსაცმლის ქონის უფლება. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ არასრულწლოვანს ჰქონდეს მისი ჯანმრთელობისა და ამინდის შესაბამისი პირადი ტანსაცმელი, რომელიც არ იქნება მისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი. არასრულწლოვნებს, რომლებმაც გარკვეული მიზნით დატოვეს დაწესებულება (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა ან პირად გარემოებებთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვება), უფლება უნდა მიეცეთ ჩაიცვან საკუთარი ტანსაცმელი.

ჰავანის წესები, ისევე როგორც პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პატიმართა/მსჯავრდებულთა კვებისა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის სტანდარტებზე. კერძოდ, არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულმა არასრულწლოვანმა მიიღოს სათანადოდ მომზადებული საჭმელი შესაბამისი ინტერვალებით, იმ რაოდენობითა და ხარისხით, რომელიც აკმაყოფილებს დიეტურ, ჰიგიენურ, ჯანმრთელობისთვის საჭირო სტანდარტებს და, შეძლებისდაგვარად, რელიგიურ თუ კულტურულ მოთხოვნილებებს. ყველა არასრულწლოვნისათვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს სუფთა სასმელი წყალი.

რესოციალიზაციის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად ცალკე თავს უთმობს არასრულწლოვანთა განათლების საკითხებს. ამ მხრივ ჰავანის წესები აღნიშნავს, რომ ყველა სავალდებულო სასკოლო ასაკის არასრულწლოვანს უფლება აქვს მიიღოს მისი მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაფერისი განათლება, რაც მას მოამზადებს საზოგადოებაში დაბრუნებისთვის. ამგვარი განათლება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ, შეძლებისდაგვარად, საჯარო სკოლებში, ნებისმიერ შემთხვევაში, კვალიფიციური მასწავლებლის მიერ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებული პროგრამების საშუალებით ისე, რომ გათავისუფლების შემდგომ არასრულწლოვანმა დაუბრკოლებლად შეძლოს სწავლის გაგრძელება. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმოს უცხოელი ან განსაკუთრებული კულტურული თუ ეთნიკური მოთხოვნილებების მქონე არასრულწლოვნისათვის განათლების მიცემას. არასრულწლოვნებს, რომელთაც არ იციან წერა-კითხვა ან შეზღუდული უნარებით ხასიათდებიან ან აქვთ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, უფლება უნდა ჰქონდეთ მიიღონ სპეციალური განათლება.

სავალდებულო სასკოლო ასაკს გადაცილებულ არასრულწლოვნებს, რომელთაც სურთ განათლების მიღება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ ნება უნდა მისცეს და წაახალისოს ისინი გააგრძელონ განათლების მიღება. მაქსიმალური მცდელობაა საჭირო, რომ არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა.

ზოგადი განათლების მიღების, ცოდნის გაღრმავებისა და მხატვრული ლიტერატურის გაცნობის მიზნით თავისუფლების აღკვეთის ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება როგორც საგანმანათლებლო, ასევე გასართობი წიგნებითა და ჟურნალებით.

ჰავანის წესები ყურადღების მიღმა არც პროფესიულ განათლებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას ტოვებს. შესაბამისად, თითოეულ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს პროფესიული ტრენინგებით ისეთ გარემოში, რომელიც მოამზადებს მას სამომავლო დასაქმებისათვის. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამუშაოს ორგანიზება და მეთოდები უნდა იყოს საზოგადოებაში განხორციელებული სამუშაოს მაქსიმალურად ანალოგიური იმგვარად, რომ მოამზადოს არასრულწლოვანი ნორმალური ცხოვრების პირობებისათვის. ყოველ არასრულწლოვანს, რომელიც დასაქმდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ორგანიზებული სამუშაოთი, უნდა ჰქონდეს სათანდო ანაზღაურების მიღების უფლება. არასრულწლოვანთა ინტერესები და მათი პროფესიული ტრენინგები არ უნდა იყოს მოტივირებული იმით, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ ან მესამე მხარემ მიიღოს გარკვეული მოგება. არასრულწლოვნის მიერ გამომუშავებული თანხის ნაწილი გადანახულ უნდა იქნეს იმისათვის, რომ გადაეცეს არასრულწლოვანს გათავისუფლებისას. არასრულწლოვანს უნდა შეეძლოს თანხის დანარჩენი ნაწილის გამოყენება პირადი ნივთების შესაძენად, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან მისი ოჯახის წევრებისა თუ სხვა პირებისთვის გასაგზავნად.

ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დრო სუფთა ჰაერზე ყოველდღიური ვარჯიშისათვის, თუ ამინდი იძლევა ამის შესაძლებლობას. ვარჯიშის უფლების განსახორციელებლად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური ფართის ორგანიზება და შესაბამისი მოწყობილობებისა და აღჭურვილობის დამონტაჟება.

ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება დაიკმაყოფილოს რელიგიური და სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული მოთხოვნილებები იმ მსახურებაზე ან შეხვედრებზე დასწრებით, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ასევე მას უნდა ჰქონდეს მსახურების წარმართვისა და რელიგიური მსახურებისათვის საჭირო წიგნებისა და ნივთების ქონის უფლება, რათა მისდიოს თავის რელიგიას. იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში რომელიმე კონკრეტული რელიგიის მიმდევარ არასრულწლოვანთა საკმარისი რაოდენობაა, უნდა დაინიშნოს ან დამტკიცდეს ამ რელიგიის კომპეტენტური წარმომადგენელი, რომელსაც უფლება უნდა ჰქონდეს განახორციელოს რელიგიური მსახურება

და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება, საჭიროების შემთხვევაში, კონფიდენციალურ გარემოში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამედიცინო მომსახურების ორგანიზებასა და უზრუნველყოფას არასრულწლოვნებისთვის. წესებში ნათლადაა ხაზგასმული, რომ ყოველ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს სამედიცინო მკურნალობით, როგორც სასწრაფო, ასევე – თერაპიულით, აგრეთვე სტომატოლოგის, ოფთალმოლოგისა და ფსიქიატრის დახმარებით. მნიშვნელოვანია და მიზანშეწონილია, რომ ყოველი ასეთი სამედიცინო მკურნალობა პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნისათვის, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებაში, ამავე დაწესებულებაში არსებული სამედიცინო მომსახურებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია.

ყოველი არასრულწლოვანი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებისთანავე უნდა გასინჯოს ექიმმა, რათა გამოვლინდეს ნებისმიერი მტკიცებულება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, ასევე ის ფიზიკური ან სულიერი მდგომარეობა, რომელიც სამედიცინო ჩარევას მოითხოვს.

სამედიცინო პერსონალის ვალდებულებაა დაუყოვნებლივ გასინჯოს ყოველი არასრულწლოვანი, რომელიც ავადმყოფობას უჩივის ან ავლენს ფიზიკური თუ სულიერი ავადმყოფობის ნიშნებს.

ნებისმიერმა სამედიცინო მუშაკმა, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ არასრულწლოვნის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს განგრძობადმა პატიმრობამ, შიმშილობამ ან თავისუფლების აღკვეთის პირობებმა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ დაწესებულების დირექტორს და დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს ნარკოტიკების აკრძალვასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროგრამები, რომლებსაც წარმართავს კვალიფიციური პერსონალი. აღნიშნული პროგრამები უნდა განხორციელდეს ასაკის, სქესისა და არასრულწლოვანთა სხვა მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

ჰავანის წესების თანახმად, არასრულწლოვნის ოჯახს ან მის მეურვეს, აგრეთვე არასრულწლოვნის მიერ დასახელებულ ნებისმიერ პირს უფლება უნდა ჰქონდეს, მოთხოვნის საფუძველზე, ინფორმირებული იყოს არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მისი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ, არანაკლებ 48 საათის განმავლობაში, აცნობოს შესაბამისი არასრულწლოვნის ოჯახს ან მეურვეს ან სხვა დასახელებულ პირს არასრულწლოვნის გარდაცვალების ან ისეთი ავადმყოფობის შესახებ, რომელიც მოითხოვს არასრულწლოვნის სასწრაფო ტრანსპორტირებას რომელიმე სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში

ან თუ იგი კლინიკურ ზედამხედველობას საჭიროებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ზემოთ აღნიშნულთაგან ერთ-ერთი მდგომარეობის გამოვლენის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შეატყობინოს იმ ქვეყნის საკონსულოს, რომლის მოქალაქეცაა არასრულწლოვანი, ან საკონსულოს, რომელიც სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე ზრუნავს და თვალყურს ადევნებს კონკრეტული არასრულწლოვნის ინტერესების დაცვასა და უფლებების რეალიზაციას.

პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნის გარდაცვალებისას უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი მოკვლევა სიკვდილის მიზეზების დასადგენად, რომლის დასკვნაც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს უახლოესი ნათესავებისათვის. ამგვარი მოკვლევა აუცილებელია არასრულწლოვნის გათავისუფლებიდან ექვსი თვის ვადაში გარდაცვალების შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარდაცვალება უკავშირდება მისი პატიმრობის პერიოდს.

ჰავანის წესების შესაბამისად, არასრულწლოვანი მაქსიმალურად მალე უნდა იყოს ინფორმირებული ოჯახის წევრის გარდაცვალების, სერიოზული ავადმყოფობის ან დაზიანების შესახებ და მას საშუალება უნდა მიეცეს დაესწროს გარდაცვლილის დაკრძალვას ან მოინახულოს უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პირი.

გარე სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად განსაზღვრავს, რომ ყველა არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს წერილობით ან ტელეფონით, არანაკლებ კვირაში ორჯერ, ეკონტაქტოს მისთვის სასურველ ადამიანს, თუ ეს მას კანონით არ ეკრძალება. შესაბამისად, გაეროს წესები ადგენს არასრულწლოვნისათვის გარე სამყაროსთან წერილობითი ან ტელეფონით კონტაქტის მინიმალურ ოდენობას (რომელზე ნაკლებიც მიუღებელია გარე სამყაროსთან სრულფასოვანი კონტაქტისათვის), თუმცა იქვე უშვებს აღნიშნული უფლების ან/და საკონტაქტო პირთა წრესთან მიმართებით გარკვეულ პირთან ან პირებთან ურთიერთობის შეზღუდვის შესაძლებლობას, რაც ეროვნული კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული.

გარე სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებითი ნაწილია და აუცილებელია არასრულწლოვნის საზოგადოებისკენ მოსაბრუნებლად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს არასრულწლოვნის კონტაქტი თავის ოჯახთან, მეგობრებსა და სხვა პირებთან, ასევე რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მათ უნდა ჰქონდეთ უფლება დატოვონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ოჯახის მონახულების მიზნით და მიიღონ სპეციალური ნებართვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებისთვის საგანმანათლებლო, პროფესიული თუ სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით. არასრულწლოვნის მიერ სასჯელის მოხდისას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ გატარებული დრო მას სასჯელის ვადაში უნდა ჩაეთვალოს.

ყველა არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს პერიოდულად და

ხშირად – კვირაში ერთხელ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ – მიიღოს მნახველები ისეთ პირობებში, რომ დაცული იყოს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების, კონტაქტების, ოჯახსა და ადვოკატთან შეუზღუდავი კომუნიკაციის მოთხოვნები.

არასრულწლოვნებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მუდმივად ინფორმირებული იყვნენ სიახლეების შესახებ გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პუბლიკაციების, რადიოსა და სატელევიზიო გადაცემების საშუალებებით.

ყურადსაღებია ჰავანის წესები, რომლებიც არასრულწლოვანთა მიმართ ფიზიკური შეზღუდვებისა და ძალის გამოყენების შეზღუდვას ეხება. კერძოდ, სტანდარტის მიხედვით, შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებშია ნებადართული, როდესაც ამოწურულია კონტროლის ყველა სხვა მეთოდი, რომლებმაც ვერ გაამართლა და თუ მათი გამოყენება ნათლადაა ნებადართული და დაკონკრეტებული შესაბამისი კანონითა და მარეგულირებელი წესებით. აღნიშნული შეზღუდვის საშუალებები არ უნდა იყოს არასრულწლოვნისთვის დამამცირებელი ან/და შეურაცხმყოფელი. შესაბამისად, ხსენებული საშუალებები შეზღუდულად და მაქსიმალურად მცირე ვადით უნდა იქნეს გამოყენებული. თავისუფლების აღკვეთის დანესებულების დირექტორის ბრძანებით, ამგვარ ღონისძიებას შესაძლოა მიმართონ არასრულწლოვნის მიერ თვითდაზიანების, სხვების დაზიანების ან ქონების სერიოზულად განადგურების პრევენციის მიზნით. ასეთი შემთხვევების არსებობისას, დაწესებულების დირექტორი უნდა მოეთათბიროს სამედიცინო და სხვა შესაბამის პერსონალს და ამის შესახებ მოახსენოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად კრძალავს პერსონალის მიერ იარაღის ტარებას და გამოყენებას ნებისმიერ პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც იმყოფებიან არასრულწლოვნები.

ჰავანის წესები ადგენს არასრულწლოვნებთან გასატარებელი დისციპლინური პროცედურების სტანდარტებსაც. ყოველი დისციპლინური ღონისძიება, რომელიც წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას, კატეგორიულად უნდა იქნეს აკრძალული, მათ შორის, სხეულებრივი სასჯელები, ბნელ საკანში მოთავსება, კარცერი ან განმარტოებითი პატიმრობა ან სხვა სახის სასჯელი, რომელმაც შეიძლება დააზიანოს შესაბამისი არასრულწლოვნის ფიზიკური ან სულიერი ჯანმრთელობა.

ჰავანის წესები დაუშვებლად მიიჩნევს დიეტის შემცირებას ან არასრულწლოვნისათვის ოჯახის წევრებთან შეხვედრაზე უარის თქმას, რა მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს ხსენებული.

მიუხედავად იმისა, რომ შრომა ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც საგანმანათლებლო საშუალება და არასრულწლოვნის წახალისება საზოგადოებაში დაბრუნებისათვის მოსამზადებლად, იგი არ უნდა იყოს დაკისრებული დისციპლინური სასჯელის სახით.

არ შეიძლება არასრულწლოვნის ორჯერ დასჯა ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისათვის, ისევე როგორც დაუშვებელია კოლექტიური სანქციების არსებობა.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საზოგადოებაში დაბრუნებასთან დაკავშირებით ჰავანის წესები აღნიშნავს, რომ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთათვის ისეთი დახმარებისა და მომსახურების განევა, რომელიც ამ უკანასკნელთ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებაში დაეხმარება. აღნიშნული დახმარება და მომსახურება, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვანთათვის სათანადო საცხოვრებლის მიცემას, დასაქმებას, ტანსაცმლისა და საკმარისი სახსრების გამოყოფას, სამყოფს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რის მიზანსაც წარმატებული რეინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამგვარი დახმარებისა და მომსახურების განმახორციელებელი კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებს ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მანამ, სანამ ეს უკანასკნელნი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფებიან წინასწარი კონსულტაციების წარმოებისა და საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, რაც არასრულწლოვნებს საზოგადოებაში დაბრუნებაში დაეხმარება.

განსაკუთრებული პრინციპებია დამკვიდრებული არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისათვის, რომლის ამოსავალი პრინციპი ხაზს უსვამს მოვალეობების განხორციელებისას პერსონალის მიერ ადამიანური ღირსებისა და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემასა და დაცვას. კერძოდ, დაწესებულების არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს უფლება ჩაიდინოს, წააქეზოს ან შეიწყნაროს ნებისმიერი ქმედება, რომელიც წარმოადგენს წამებას ან ნებისმიერი სახის უხეშ, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას, დასჯას, დისციპლინის შეცვლას, რაც უნდა იყოს აღნიშნულის პირობა და ქვეტექსტი. ამასთანავე, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად პერსონალის ყოველი წევრის მიმართ დაწესებული უნდა იყოს გაეროს წესების განუხრელი დაცვა.

პერსონალი მოვალეა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის სრული დაცვა, ასევე დაიცვას ისინი ფიზიკური, სექსუალური, ემოციური ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის ყოველმა წევრმა პატივი სცეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას, კერძოდ, დაიცვას არასრულწლოვნებსა ან მათ ოჯახებთან დაკავშირებული ყველა ის კონფიდენციალური საკითხი, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე.

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად გაეროს წესები მოუწოდებს პერსონალის თითოეულ წევრს, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ნებისმიერი სხვაობა, რომელიც არსებობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიგნით და მის გარეთ, რადგან არსებით სხვაობას შეუძლია დააკნინოს არასრულწლოვნის, როგორც ადამიანის, ღირსება.

7. ციხის ევროპული წესები

ციხის ევროპული წესები განსაზღვრავს ზოგად სტანდარტებს ყველა კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებზეც. თუმცა, რამდენიმე წესი უშუალოდ მიუთითებს განსაკუთრებულ საჭიროებებსა და მიდგომებზე, რომელთა დანერგვა და გამოყენებაც აუცილებელია არასრულწლოვანი პირებისთვის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში სათანადო პირობების შექმნის მიზნით.

ციხის ევროპული წესების მიხედვით (წესები 77-82), ყველა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სრული საგანმანათლებლო პროგრამა, რათა ყველა თავისუფლებააღკვეთილმა პირმა შეძლოს გარკვეული ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ასეთი პროგრამის მიზანი უნდა იყოს რესოციალიზაციის გაადვილება და თავისუფლებააღკვეთილ პირთა თავიანთ თავზე შექმნილი წარმოდგენის, ღირსებისა და დამოკიდებულებების გაუმჯობესება.

საგანმანათლებლო პროგრამები მიჩნეულ უნდა იქნეს იმავე სტატუსისა და ანაზღაურების მქონე საქმიანობად, როგორიც არის დასაქმებულის შრომა, თუ საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს ჩვეულებრივ სამუშაო საათებში და ის თავისუფლებააღკვეთილის სასჯელის გეგმის განუყოფელი ნაწილია.

თავისუფლების აღკვეთისა და პრობაციის სამსახურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდა დამნაშავეებისა და უცხოელი პატიმრების ან სპეციალური კულტურული თუ ეთნიკური საჭიროებების მქონე პატიმრების განათლებას.

სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება უნდა მოხდეს კონკრეტული სირთულეების მქონე თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის, რომლებსაც წერა-კითხვასთან ან ანგარიშთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ.

შეძლებისდაგვარად, ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირის საგანმანათლებლო პროგრამა ინტეგრირებული უნდა იყოს ეროვნული განათლების სისტემაში, ისე რომ მან შეძლოს გათავისუფლების შემდეგ გააგრძელოს განათლების მიღება.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა ყველა კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის. ბიბლიოთეკა შევსებული უნდა იყოს როგორც გასართობი, ისე საგნმანათლებლო ხასიათის წიგნებით. უნდა მოხდეს თავისუფლებააღკვეთილთა მხარდაჭერა ბიბლიოთეკის გამოყენების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ბიბლიოთეკა უნდა ფუნქციონირებდეს საზოგადოებაში არსებული საჯარო ბიბლიოთეკის სისტემასთან ერთად, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს.

გამონაკლის შემთხვევებში, როცა 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები მოთავსებული არიან მოზრდილებისთვის განკუთვნილ პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დაწესებულების ხელმძღვანელო-

ბამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის გაწეული მომსახურების გარდა, არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებს, ზემოხსენებულ საგანმანათლებლო მომსახურებასთან ერთად, გაეწიოთ სოციალური, ფსიქოლოგიური, რელიგიური მზრუნველობა და გამოჯანსაღების ღონისძიებები ან საზოგადოებაში არასრულწლოვანთათვის არსებული პროგრამების ეკვივალენტური ღონისძიებები.

თავისუფლების აღკვეთის დანესებულების თანამშრომლები, რომლებმაც, სავარაუდოდ, უნდა იმუშაონ თავისუფლებააღკვეთილი პირების ისეთ სპეციფიკურ ჯგუფებთან, როგორებიც არიან: უცხოელები, ქალები, არასრულწლოვანი ან გონებრივი შეზღუდულობის მქონე თავისუფლებააღკვეთილი პირები, უნდა მომზადნენ იმ სპეციფიკურ საკითხებში, რომლებიც გამომდინარეობს მათი სამუშაოს ხასიათიდან (წესი 81.3.).

8. ევროპული წესები არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე

არასრულწლოვან პატიმართა მიმართ სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე ევროპული წესები (შემდგომ ტექსტში წესები) ეხება საზოგადოებაში როგორც სანქციებისა და ზომების შეფარდებას, ისე მათ აღსრულებას, აგრეთვე – თავისუფლების აღკვეთას. თავისი არსით აღნიშნული დოკუმენტი ემსგავსება საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების თაობაზე ევროპულ წესებსა და ევროპული ციხის წესებს, იმ განსხვავებით, რომ იგი არასრულწლოვანთა საკითხებს მოიცავს, ხოლო დანარჩენი ორი დოკუმენტი ძირითადად ზრდასრულთა საკითხებს ეხება. თუმცა, ევროპული წესები უფრო ფართო მასშტაბს მოიცავს, ვიდრე ზრდასრულებთან დაკავშირებული დოკუმენტები, რადგან იგი ეხება ყველა არასრულწლოვანს, რომელთაც დანაშაულის ჩადენისთვის აღეკვეთათ თავისუფლება, მიუხედავად იმისა, თუ სად არიან ისინი განთავსებული – თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში, აღმზრდელობით თუ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს სრულწლოვნების მსგავსი ბევრი საჭიროება და მოთხოვნილება აქვთ, ამასთანავე, სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მათ საკითხზე ზრუნავენ დაწესებულებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ სხვადასხვა სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენელ ნაწილს. ზოგიერთი ეს სანქცია და ზომა დაკისრებული აქვთ იმ არასრულწლოვნებს, რომლებიც არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ (მაგალითად, წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები, რომლებიც სასამართლო განხილვას ელოდებიან). ის ფაქტი, რომ მათზე მოქმედებს ევროპული წესები, არ იწვევს მათ მიმართ მოქმედი უდანაშაულობის პრეზუმფციის უგულებელყოფას ან შეზღუდვას. ამგვარი კატეგორიის არასრულწლოვანთა ევროპული წესების ფარგლებში მოხვედრა იმის მანიშნებელია, რომ ისინიც ექვემდებარებიან ევროპული წესებით გარანტირებული უფლებებით დაცვას.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ წესებში ასახული ზოგიერთი ნორმა ყურადღებას ამახვილებს ეროვნულ კანონმდებლობაზე.

ევროპული წესების ფართო არეალი ასახულია მათ სტრუქტურაში, კერძოდ:

– ნაწილი I ეხება ძირეულ პრინციპებს, მოქმედების ფარგლებსა და განმარტებებს დაკავშირებულს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან;

– ნაწილი II ეხება იმ არასრულწლოვნებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება სანქციები და ზომები;

– ნაწილი III ადგენს ზოგად წესებს, რომლებიც უკავშირდება თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ფორმას. ნაწილი III მოიცავს ყველა სპეციფიკურ წესს, რომლებიც, ზოგად წესებთან ერთად, ეხება პოლიციაში დაკავებულ, წინასწარ პატიმრობასა და თავისუფლების აღკვეთის სხვა პირობებში მყოფ ყველა არასრულწლოვანს, გარდა მსჯავრდებულებისა, აღმზრდელობით დაწესებულებებს და ფსიქიატრიულ დაწესებულებებს;

– წესები, რომლებიც მოცემულია IV-VIII ნაწილებში, ასევე ეხება ყველა არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირს, რომლებზეც ეს წესები ვრცელდება, უფრო კონკრეტულად: სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება (ნაწილი IV), გასაჩივრების პროცედურები, ინსპექტირება და მონიტორინგი (ნაწილი V), პერსონალი (ნაწილი VI), შეფასება, კვლევა, მუშაობა მედიასა და საზოგადოებასთან (ნაწილი VII) და წესებში ცვლილებების შეტანა (ნაწილი VIII).

წინამდებარე ქვეთავში მიმოხილული იქნება ის წესები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს დოკუმენტს და სტანდარტების განსაზღვრით უზრუნველყოფს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სათანდო გარემოს შექმნას მათი შემდგომი რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის მიზნით.

შესავალი ადგენს რეკომენდაციის ზოგად მიზნებს, მიმართულს იმ დამნაშავეების უფლებების აღიარებისა და უსაფრთხოების დაცვისაკენ, რომლებიც ექვემდებარებიან მოცემული რეკომენდაციით დაფარულ ინტერვენციის ფორმებს. ის აღიარებს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეები მეტ-ნაკლებად დაცული არიან რეკომენდაციაში ჩამოთვლილი საერთაშორისო და ევროპული ინსტრუმენტებით. მასში გათვალისწინებული მექანიზმები მომავალშიც უნდა იქნეს აღიარებული. ამასთან დაკავშირებით ის ასევე მიუთითებს ევროპული ციხის წესებისა და საზოგადოების სანქციებსა და ზომებზე ევროპული წესების რელევანტურობაზე. თუმცა, აღნიშნული წესები აღემატება ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტს და უნდა იყოს პირველი წყარო იმ არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ურთიერთობისას, რომლებიც მისი მოქმედების არეალში ექცევიან.[796]

წესები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეფარდოს არასრულწლოვანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დანაშაულებრივი ქმედება დამტკიცდა. მის უპირველეს მიზანს საგანმანათლებლო და სოციალური ინტეგრაცია წარმოადგენს. წინასწარი პატიმრობის პერი-

796 European Committee on Crime Problems (CDPC) – Council for Penological Co-operation (PC-CP) – Draft Commentary to the European Rules for Juvenile Offenders subject to sanctions or measures, 23 September 2008, at [https://wcd.coe.int].

ოდში იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა არასრულწლოვნის სასამართლოს წინაშე წარდგენის უზრუნველყოფა, მის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენისა და მოწმეებსა და მტკიცებულებებზე ზემოქმედების პრევენცია. მნიშვნელოვანია, რომ წესები მიუთითებენ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად დამატებითი დამსჯელი ღონისძიებების განხორციელებას არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ. აღნიშნული პრინციპი ახსენებს იმ ქვეყნებს, რომლებშიც, დანაშაულის სიმძიმის ხასიათის მიხედვით, დადგენილია რეჟიმების სხვადასხვა ფორმა, რომ შეხედონ თავიანთ პოლიტიკას ევროპის გადასახედიდან, რომლის მიხედვითაც თავისუფლების აღკვეთა არ უნდა მოიცავდეს სხვა დამატებით შეზღუდვებს, რაც აუცილებელია თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების, დაწესებულებაში მყოფ სხვა პირთა და პერსონალის უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უსაფრთხოების დონეების მიხედვით დიფერენცირება არ უნდა იქნეს გამოყენებული. თუ ფრთხილი, მეცნიერული რისკის შეფასება გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვნები საშიშროებას წარმოადგენენ, შესაძლებელია მოხდეს მათი განთავსება უფრო დაცულ დაწესებულებაში განსხვავებით უფრო ნაკლები რისკის მატარებელი არასრულწლოვნებისაგან. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია პროგრესული სისტემისა, რომლის მიზანიცაა საზოგადოებაში ეტაპობრივად დასაბრუნებლად მოამზადოს მაღალი რისკის მატარებელი დამნაშავეები. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ხანმოკლე შვებულებების პერიოდები და სასჯელის მოხდის ბოლო ეტაპზე უფრო ღია ტიპის დაწესებულებებში განთავსება.

წესები აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთის ყველა ფორმა უნდა ექვემდებარებოდეს სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების სისტემას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ვადამდე ადრე გათავსუფლების ისეთ წინაპირობებს, როგორებიცაა მცირე დრო, რომელიც არასრულწლოვანმა ვადამდე ადრე გათავისუფლებამდე სასჯელის სახით უნდა მოიხადოს, პროგნოზირებადი შეფასებები და გათავისუფლების შემდეგ ზედამხედველობის პერიოდი და პირობები. დადასტურდა, რომ ვადამდე ადრე გათავისუფლების მსგავსმა სქემამ წვლილი შეიტანა სოციალური რეინტეგრაციის პროცესში. მისი ზეგავლენა ცხადია მაშინ, როდესაც ის გათავისუფლებისათვის პროგრესული მზადებისა და განგრძობადი მზრუნველობის შემადგენელი ნაწილია.

წესები მოიცავს ზოგად პრინციპებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში ყოველდღიური აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც მიზანმიმართული უნდა იყოს არასრულწლოვანთა რეინტეგრაციის გაუმჯობესებისკენ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს უნდა შეეთავაზოთ აზრობრივი ღონისძიებები და ჩართულობა, რაც ასახული უნდა იყოს მათთვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში. ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების მიზანი ზემოქმედებას ახდენს წესების ადამიანურ მიდგომაზე. თავისუ-

ფლების აღკვეთის დაწესებულების ვალდებულებაა მსგავსი აქტივობებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა, რასაც არასრულწლოვანმა მხარი უნდა დაუჭიროს მათში მონაწილეობის მიღებით. არასრულწლოვნის მიერ აქტიური მონაწილეობა დაგეგმილ ღონისძიებათა წარმატების აუცილებელი პირობაა, რაც მხარდაჭერილ უნდა იქნეს წახალისებებისა და მიღწევების აღნიშვნის სრულყოფილი სისტემით. მსგავსმა სისტემამ უნდა მოიცვას სასწავლო და პროფტექნიკური ტრენინგები, ისევე, როგორც მუშაობა და დასვენება.

წესები აძლიერებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა აქტიურ მონაწილეობას, წაახალისებს რა არასრულწლოვნებს წამოჭრან და განიხილონ დანესებულებაში ცხოვრებისა და რეჟიმის ზოგად პირობებთან დაკავშირებული საკითხები ადმინისტრაციასთან როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიური ფორმით. მსგავსი მონაწილეობითი ხასიათის აქტივობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან არასრულწლოვნები ამ ფორმით გრძნობენ თავიანთ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ არსებულ მდგომარეობასა და მომავალ განვითარებას ეხება.

წესები ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ყოველი ადამიანი სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირების ან პერსონალის მხრიდან განხორციელებული ძალადობისგან. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, შედარებით ახალგაზრდა არასრულწლოვნები ზრდასრული არასრულწლოვნებისგან განცალკევებით განთავსდნენ, რისი მიზეზიც მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების უკეთ დაცვა იქნება. უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ სტრატეგიებსა და ზომებს, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციას ახდენენ (ძალადობა, დაშინება ან შანტაჟი, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება ასოცირდებოდეს სუბკულტურასთან) სხვადასხვა არასრულწლოვნის დროებით ერთმანეთისგან იზოლირებით, თუმცა, სპეციფიკურ შემთხვევებში უფრო მიზანშეწონილი იქნება მსხვერპლის დაცვა სხვა უფრო დაცულ დანესებულებაში ან დანესებულების განყოფილებაში გადაყვანით. ბევრ ქვეყანაში ადგილობრივი კანონმდებლობა ავალდებულებს თავისუფლების აღკვეთის დანესებულების ადმინისტრაციას ეფექტურად დაიცვას სავარაუდო მსხვერპლი. დანესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ძალადობის პრევენციის სისტემატური სტრატეგიები. ამის მიღწევა შესაძლებელია პერსონალის გადამზადებით კრიტიკულ სიტუაციებში მოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე უნდა მიიღოს ყველა ზომა, რომლებიც ხელს უწყობს პერსონალსა და არასრულწლოვნებს შორის და არასრულწლოვანთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას.

წესები ეხება ემპირიულ სნავლებასაც, რომელიც გვიჩვენებს, რომ თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნების უმრავლესობამ ბავშვობაში განიცადა ფიზიკური, გონებრივი თუ სექსუალური ძალადობა. შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის დანესებულების პერსონალმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამგვარ საქმეებს და შეიმუშაოს ჩარევის ფორმა, რომელიც გამიზნული იქნება ამგვარი ძალადობის შესაძლო ნეგატიური შედეგების განეიტრალებისთვის.

თავისუფლების აღკვეთის დანესებულებების ფუნქციონალური განსხვავება არის ფუნდამენტური პრინციპი იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებიც

ორიენტირებული არიან დაკმაყოფილონ იქ მოთავსებულ არასრულწლოვანთა სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური მოპყრობის გეგმები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, რომლებიც კონცენტრირებული არიან არასრულწლოვანთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. დიდი ზომის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ინდივიდუალური მიდგომის შესანარჩუნებლად საჭიროა კონკრეტული ფუნქციების მატარებელი სხვადასხვა განყოფილების არსებობა სპეციფიკური მოპყრობისა და საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ნამების პრევენციის კომიტეტმა თურქეთში 2004 წელს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში აღნიშნა, რომ არასრულწლოვნის პატიმრობისათვის დამახასიათებელი გარემო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1) ცხოვრება პატარა სათავსოებში; 2) შეფასების სათანადო სისტემა განყოფილებების შესაფერისი განთავსების უზრუნველსაყოფად; 3) მულტიდისციპლინური გუნდი (მიზანშეწონილია რომ წარმოდგენილი იყოს ორივე სქესის წარმომადგენელი), რომელთაც გავლილი ექნებათ არასრულწლოვნებთან მუშაობის კურსები; 4) განათლების სრული პროგრამა მათთვის, ვისაც ჯერ არ შესრულებია სკოლის დამთავრების ასაკი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერა-კითხვისა და მათემატიკის სწავლას; უფროსი ასაკის არასრულწლოვანთათვის სწავლის გაგრძელებისა და პროფტექნიკური სწავლების ორგანიზება; 5) შენობა-ნაგებობები, რომლებმაც საშუალება უნდა მისცენ არასრულწლოვნებს ახლო კონტაქტი იქონიონ ოჯახის წევრებთან. ნამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ზემოხსენებული კომპონენტების არსებობას არასრულწლოვანთათვის მოქმედ და მომავალში გახსნილ ყველა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა, იქნება ეს პატიმრობის თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.[797]

ემპირიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ უსაფრთხოების მიმართ ნაკლებად მკაცრი მიდგომის მქონე ინსტიტუტებს უფრო მცირე პრობლემა ჰქონდათ თვითმკვლელობასთან, თვითდაზიანებასა და აგრესიულ ქმედებებთან დაკავშირებით. ფუნდამენტური უფლებების მინიმალური შეზღუდვის პრინციპი დაკავშირებულია პროპორციულობის პრინციპთან, რაც გარანტირებულია ბევრ ნაციონალურ კონსტიტუციაში. დამატებით, ნორმალიზაციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტში ცხოვრება შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს, უდიდესი მნიშვნელობისაა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ასევე მომსახურე პერსონალის, ისევე როგორც ფართო საზოგადოების დაცვას. მხოლოდ ნორმალიზაციის დადებით ასპექტებზე მითითება ნათელს ხდის, რომ საზოგადოების უარყოფითი მხარეები არ უნდა აისახოს ინსტიტუტების შიგნით.

არასრულწლოვნების ინსტიტუტები უნდა იყოს მართვისთვის შესაბამისი ზომის. შეუძლებელია ევროპის მასშტაბით განისაზღვროს სპეციალური მაქსიმალური ზომა. არასრულწლოვნების თავისუფლების აღკვეთის

797 Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried out by the CPT from 16-29 March 2004 (CPT/Inf(2005)18, paragraph 73), [www.cpt.coe.int/].

ზოგიერთი ინსტიტუტი რამდენიმე ასეული ადგილით უფრო დიდია (როგორც აღმოსავლეთ ევროპასა ან გერმანიაში), მაშინ როცა სხვა ქვეყნებს ხშირად მხოლოდ 15-30 ადგილი აქვთ, მაგალითად სკანდინავიის ქვეყნებში ან შვეიცარიაში. უკანასკნელი ფრანგული მიდგომა შექმნილიყო ახალგაზრდული პენიტენციური ინსტიტუტი არაუმეტეს 60 ადგილით, მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც კარგი პრაქტიკა, პერსონალის დონისა და იმ აქტივობების დიაპაზონის გათვალისწინებით, რომელსაც ადგილი აქვს აღნიშნულ ინსტიტუტში. ამავდროულად, ფრანგული მიდგომა – შეექმნათ დახურული საგანმანათლებლო ინსტიტუტი – ასევე იმსახურებს პოზიტიურ შეფასებას. ასეთ დახურულ ინსტიტუტებს აქვთ არაუმეტეს 10 აგდილისა (საგანმანათლებლო პერსონალის დაახლოებით 20 ადგილით). ინსტიტუტის მთლიანი ზომის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ინსტიტუტები დაიყოს საცხოვრებელ ნაწილებად, რომლებსაც ექნებათ დაახლოებით 10, მაგრამ არაუმეტეს 15 ადგილისა. ინსტიტუტების უფრო პატარა საცხოვრებელ ნაწილებად დაყოფა არის ინტერვენციის ეფექტური სისტემის ორგანიზების საუკეთესო გზა. აღნიშნული ასევე ეხება წინასწარი დაკავების დაწესებულებებს, თუმცა ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას პრაქტიკული სიძნელეები, ვინაიდან, როგორც წესი, არასრულწლოვნები, რომლებიც ბრალდებული არიან ერთსა და იმავე დანაშაულში მონაწილეობისათვის, ცალ-ცალკე იმყოფებიან. ამასთან, სოციალური უნარები უფრო ადვილად ისწავლება პატარა ჯგუფებში. პატარა ჯგუფების ცხოვრების დინამიკა მეტად უბიძგებს არასრულწლოვნებს საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზებაზე. ეს გულისხმობს თავის მოვლას და უფრო ფართოდ სხვებთან პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას დემოკრატიული გზით.

არასრულწლოვანთა დაწესებულებები ტერიტორიულად უნდა განთავსდეს ადვილად მისადგომ ადგილებში, იმისათვის რომ ხელი შეეწყოს არასრულწლოვნებისა და მათი მშობლების ურთიერთობას. მათ ინტეგრირება უნდა მოახდინონ საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში. ეს ეხმარება გარეთ არსებულ სააგენტოებთან/დაწესებულებებთან ურთიერთობის დამყარებაში და ზრდის გათავისუფლების შემდეგ წარმატებული რეინტეგრაციის შესაძლებლობას. არასრულწლოვანთა დაწესებულების მდებარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნა უნდა ითვალისწინებდეს, რომ არასრულწლოვნებს თვითონ შეუძლიათ განთავსდნენ იმ დაწესებულებებში, რომლებიც ადვილად მისადგომია მათი საცხოვრებელი სახლებიდან ან იმ ადგილებიდან, სადაც ისინი გათავისუფლების შემდეგ უნდა რეინტეგრირდნენ. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა დაწესებულებები არ იყოს განთავსებული მოშორებით. ის უნდა მდებარეობდეს ისეთ ადგილას, სადაც კარგად დარეგულირებული საჯარო ტრანსპორტი მოძრაობს, იმისათვის რომ იყოს ადვილად მისადგომი.

ასევე განსაზღვრული უნდა იყოს კრიტერიუმები, თუ არასრულწლოვნის რომელ კონკრეტულ საჭიროებას როგორი ყურადღება სჭირდება. ეს თავისუფლად უნდა იყოს შესრულებული სახელმწიფოებში, სადაც თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა რაოდენობა ძალიან მცირეა. აღნიშნული მიუთითებს ინდივიდუალიზაციის პრინციპზე. უპირატესი მიზანი არის

უზრუნველყოს არასრულწლოვანი პირების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ინტეგრირება და კეთილდღეობა და შესაბამისად, მათი განთავსება უნდა მოხდეს ისეთ დაწესებულებებში, რომლებშიც მათი ადამიანური ღირსება ყველაზე მეტად იქნება პატივცემული. ასევე უნდა შეიქმნას ერთიანი გეგმა, რომლის მიზანიც იქნება მათი პიროვნული განვითარება, სოციალური უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, რათა გათავისუფლების შემდეგ გააგრძელონ დანაშაულისგან თავისუფალი ცხოვრება და იპოვონ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი პრინციპია არასრულწლოვნების განთავსება მათ სახლებთან ან საზოგადოებაში ინტეგრაციის ადგილებთან, შეძლებისდაგვარად, ახლოს მდებარე დაწესებულებებში. აღნიშნული ეხმარება მშობლების ჩართულობას, ასევე შემდგომი მზრუნველობისა და კეთილდღეობის სამსახურებს სოციალური რეინტეგრაციის პროცესში. სხვა მხრივ, ასევე არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება უკეთესი იყოს მისი მოთავსება საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, რადგან შეიძლება სწორედ ამ დაწესებულებაში ხორციელდებოდეს მისი მდგომარეობისათვის ყველაზე ხელსაყრელი ინტერვენცია.

შესაბამისი რისკის შეფასების შემდეგ არასრულწლოვანი პირების განთავსება უნდა მოხდეს დაწესებულებებში, რომლებსაც აკრძალვისა და უსაფრთხოების ყველაზე დაბალი დონე აქვთ, რაც შეიძლება გამართლებული იყოს თითოეული პირის შემთხვევაში. ასევე უნდა არსებობდეს პროცედურები, რომლის მეშვეობით ყოველგვარი დაყოვნების გარეშე იქნება შესაძლებელი არასრულწლოვანი პირების გადაყვანა მეტი სიმკაცრის მქონე დაწესებულებიდან ნაკლებად შეზღუდულ დაწესებულებაში ისეთ შემთხვევებში, თუ მიიჩნევა, რომ ისინი უფრო ნაკლები რისკის მატარებლები არიან, ვიდრე მათი თავისუფლების აღკვეთის მომენტში.

დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი პატიმრების მნიშვნელოვანი ნაწილი იტანჯება სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობით, რომელიც მათ თავისუფლების აღკვეთამდეც აღენიშნებოდათ, ან არის ამ უკანასკნელის შედეგი. დამატებით, ფსიქიკური პრობლემები შეიძლება გამომდინარეობდეს მნიშვნელოვნად პრობლემური საფუძვლებიდან. ზოგჯერ რთულია გადაწყვიტო, ასეთი პირები ფსიქიკურად არიან ავად, თუ ფსიქიკური აშლილობა აქვთ ტანჯვისა და სიტუაციასთან შეუგუებლობის გამო. აქედან გამომდინარე, ფსიქიატრი ექსპერტები ჩართული უნდა იყვნენ ასეთ შემთხვევებში დიაგნოზის დადგენის პროცესში. თუ დიაგნოზი გამოავლენს სერიოზულ ფსიქიკურ დაავადებას, პირის სპეციალიზებულ ფსიქიკურ დაწესებულებაში გადაყვანა გარდაუვალია.

მშობლები და კანონიერი დამცველი ინფორმირებული უნდა იყვნენ როგორც საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ისე სხვა დაწესებულებაში ნებისმიერი გადაყვანის თაობაზე. განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია კონსულტაცია თავისუფლებაააღკვეთილ არასრულწლოვანთან და თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მის მშობლებთან ან დამცველთან. აღნიშნული მოიცავს მათი აზრის გათვალისწინებას პროფესიულ თუ სასკოლო განათლებასთან დაკავშირებით,

რომელიც მათმა შვილებმა უნდა მიიღონ დაწესებულებაში. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში მშობლები და დამცველები შეიძლება არ იყვნენ დაინტერესებული დაწესებულების მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამებით, ან უბრალოდ არ იყოს შესაძლებელი მათთან დაკავშირება.

აუცილებელია არასრულწლოვანთათვის ცალკე დაწესებულებების არსებობა და მათი მკაცრი იზოლირება მოზრდილებისგან. არასრულწლოვნების ზრდასრულებისგან განცალკევება არის საერთაშორისო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული პრინციპი.

განცალკევების პრინციპი სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, როცა, გამონაკლისის სახით, არასრულწლოვნები მოთავსებული არიან მოზრდილებისათვის განკუთვნილ დაწესებულებაში. ამისი დაშვება არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული არასრულწლოვნის კეთილდღეობის ინტერესს ემსახურება. ეს განხილული უნდა იყოს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში. აღნიშნულის დაშვება შეიძლება მაგალითად მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში მოხდება არასრულწლოვნის სრული იზოლირება და ის ვერ მიიღებს მონაწილეობას დაწესებულების მიერ შეთავაზებულ პროგრამებსა და აქტივობებში. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ პრინციპისგან გადახვევა არ შეიძლება უსაფრთხოების ან დისციპლინის ზომების გამო. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნის სოციალური ინტეგრაცია უკეთ განხორციელდება მოზრდილებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში. პრაქტიკულად გამოყენებადია გამონაკლისი შემთხვევა უფროსებთან მოთავსებასთან დაკავშირებით თავისუფლებააღკვეთილი ქალების შემთხვევაში, ვინაიდან ისინი, მცირერიცხოვნობის გამო სხვაგვარად იზოლაციაში აღმოჩნდებიან. ზრდასრულ პირებთან ერთად აქტივობებსა და პროგრამებში მონაწილეობა არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია მათი ერთად განთავსება ღამით, ძილის დროს.

შესაძლებელია ახალგაზრდა ზრდასრული პირების დატოვება არასრულწლოვანთა დაწესებულებებში მას შემდეგ, რაც ისინი მიაღწევენ სრულწლოვანებას. მთავარი იდეა არის ის, რომ ახალგაზრდა ზრდასრულ დამნაშავეს უნდა შეეძლოს სასჯელის მოხდა იმავე დაწესებულებაში, იმისათვის რომ გარანტირებულ იქნეს განათლების პოზიტიური შედეგი, რომელიც არ უნდა შეფერხდეს მისი ზრდასრულთა ციხეში გადაყვანით.

სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ არასრულწლოვნების დატოვება არასრულწლოვანთა დაწესებულებებში არის ევროპული ქვეყნების საერთო პრაქტიკა. ქვეყნების უმეტესობა დარჩენილი სასჯელის ასეთ დაწესებულებაში მოხდის შესაძლებლობას აძლევს 21 წლის ასაკამდე პირებს. ბევრი ქვეყანა კი ასეთ შესაძლებლობას პირს აძლევს 23, 24 ან 27 წლის ასაკამდე. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში ახალგაზრდა დამნაშავეები, რომელთაც სასჯელი მიესაჯათ როგორც არასრულწლოვნებს, უნდა განთავსდნენ არასრულწლოვანთა დაწესებულებებში. თუმცა როგორც CPT აღნიშნავს, ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ფრთხილი მენეჯმენტი, იმისათვის რომ მოხდეს უფროსი დამნაშავეების შესაძლო უარყოფითი გავლენის პრევენცია მათზე უმცროს დამნაშავეებზე: „არასრულწლოვანი პირებისა და ახალგაზრდა სრულწლოვანი პირების ერთად განთავსების პრაქტიკა [...]

შეიძლება სასიკეთო იყოს ახალგაზრდა პირებისათვის, მაგრამ მოითხოვს ფრთხილ მენეჯმენტს, იმისათვის რომ მოახდინოს ნეგატიური ქმედების წარმოშობის პრევენცია, როგორიცაა დომინირება და ექსპლუატაცია, მათ შორის ძალადობა."[798]

აუცილებელია მამრობითი და მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების განცალკევება. თუმცა განცალკევება შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული, ერთი მხრივ, პენიტენციურ დაწესებულებებში და, მეორე მხრივ, მზრუნველობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში. პირველ შემთხვევაში ასეთი განცალკევება ძირითადად სასურველია, ვინაიდან გოგონები ასეთ დაწესებულებებში, როგორც წესი, ზოგადად არასრულწლოვანი მოსახლეობის მცირე ჯგუფს შეადგენენ. არსებობს გოგონების მეორედ მსხვერპლად ქცევის უდავო რისკი. აღნიშნული რეალობა არ გამორიცხავს ერთობლივი აქტივობების შესაძლებლობას, როგორიცაა ერთობლივი სკოლები ან პროფესიული ტრენინგები და ა. შ. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქალი და მამაკაცი არასრულწლოვნები ხშირად ერთად იმყოფებიან მზრუნველობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტებში. აღნიშნული არ გამორიცხავს არც შემდეგ პრაქტიკას, რაც ხორციელდება დანიის პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ქალი და მამაკაცი დამნაშავეები ერთად არიან განთავსებული ზოგიერთ (ღია ტიპის) დაწესებულებაში, რასაც შეიძლება პოზიტიური შედეგი ჰქონდეს სპეციფიკურ კულტურულ კონტექსტში. იმ დაწესებულებებში, სადაც ქალი და მამაკაცი არასრულწლოვნები ერთად არიან განთავსებული, ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებულია, რომ ისინი არ გაიყოფენ საცხოვრებელს ღამის განმავლობაში.

ადამიანის უფლებების დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმის გარანტიასთან, რომ საცხოვრებელი პირობები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანური ღირსების სტანდარტებს. ადამიანის უფლებების დარღვევა ძალიან ხშირად ხდება ღამით და შაბათ-კვირას, როცა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი ამცირებს ზედამხედველობას, ვინაიდან თვითონაც რაოდენობრივად მცირდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი სიტუაციების აღმოფხვრა, როდესაც არასრულწლოვანი შეიძლება თანამესაკნის მსხვერპლად იქცეს. ღამით მარტო განთავსება არის საუკეთესო არჩევანი პირთა შორის ძალადობის პრევენციისათვის.

საცხოვრებელი პირობები ზოგადად უნდა ქმნიდეს გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას და არასრულწლოვანთა პიროვნულ განვითარებას და რომელიც პატივს სცემს მის ღირსებას და, შეძლებისდაგვარად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. არ უნდა გამოიყენებოდეს დიდი საერთო საცხოვრებლები, ვინაიდან ისინი საერთოდ არ არის პირადი ცხოვრების პატივისცემის შესაფერისი. წამების პრევენციის კომიტეტმა თავის მეთერთმეტე ზოგად ანგარიშში[799] აღნიშნა, რომ დიდი

---

798 იხ. ანგარიში გერმანიის მთავრობას CPT-ის მიერ გერმანიაში ვიზიტის თაობაზე 2005 წლის 20 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე [CPT/Inf (2007)18], პარაგრაფი 106, [www.cpt.coe.int/].

799 CPT/Inf (2001)16; 11th General Report, [www.cpt.coe.int/].

მოცულობის საერთო საცხოვრებლები, რომლებიც ისევ გამოიყენება ზოგიერთ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, არსებითად არასასურველია. რამდენადაც არასრულწლოვნების კონკრეტული დაწესებულებები არ შეიძლება გადაკეთდეს პატარა საცხოვრებელ დაწესებულებებად ერთადგილიანი საცხოვრებლებით, იქ უნდა არსებობდეს, სულ მცირე, იმის შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვნებმა მიიღონ შესვენებების დრო და გამოიყენონ დაწესებულებების შესაძლებლობები, რომლებიც შეესაბამება ადამიანის ღირსებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემას. საცხოვრებელი პირობები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდეს ემოციურ სტიმულირებას, სხვა არასრულწლოვან პირებთან ასოცირების შესაძლებლობას და სპორტში, ფიზიკურ ვარჯიშებსა და დასვენების დროს აქტივობებში მონაწილეობას.

წამების პრევენციის კომიტეტის მიხედვით,[800] უნდა იკრძალებოდეს ერთი ადამიანისთვის ერთადგილიან საკანში 6 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართი, ხოლო საზიარო საკანში ერთი ადამიანისთვის 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ჯერ არ თანხვდება აღნიშნულ სტანდარტებს, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გათვალისწინებულია კანონმდებლობაში, არ არის შესრულებული პრაქტიკაში.

სველი წერტილები იზოლირებული უნდა იყოს ოთახის იმ ნაწილისგან, რომელშიც თავისუფლებააღკვეთილი პირები ცხოვრობენ და იკვებებიან. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კანონმდებლობას აქვს წერილობითი სტანდარტები იატაკის მინიმალური ფართობის, ჰაერის კუბური შემადგენლობის, განათების, გათბობისა და ვენტილაციის თაობაზე. როდესაც არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირები იმყოფებიან საზიარო საცხოვრებელში, უნდა შეფასდეს მსხვერპლად ქცევის რისკი და უნდა გადაიდგას ნაბიჯები მის შესამცირებლად. გარდა ამისა, საჭიროა მიღებულ იქნეს არასრულწლოვანი პირის თანხმობა საზიარო საცხოვრებელში მის გადაყვანამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მანამ, სანამ მოხდება გადაწყვეტილების მიღება არასრულწლოვანი პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის გაზიარების თაობაზე, დაწესებულების ინტერესებზე მეტად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირის ინტერესი.

იმ მიზნით, რომ მოხდეს არასრულწლოვანი პირის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი საცხოვრებელ ადგილს ახლოდან უნდა აკვირდებოდეს, განსაკუთრებით ღამის განმავლობაში, არასრულწლოვნების შეწუხების ან შეშინების გარეშე. ამასთან, უნდა არსებობდეს ეფექტური სიგნალიზაციის სისტემა ძალადობრივ მსხვერპლად ქცევის, ჯანმრთელობის გაუარესების, უბედური შემთხვევის, ხანძრის და სხვა საგანგებო შემთხვევებისათვის.

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავენ არასრულწლოვანთა პიროვნულ განვითარებასა და მათი სოციალური უნარ-ჩვევებით აღჭურვას, რათა აცილებულ იქნეს მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა. არასრულწლოვნები უნდა წახალისდნენ ამ პროგრამებში მონაწილეობისათვის.

---

800 ევროპული ციხის წესების კომენტარები, [www.coe.int].

არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მათი ასაკის, სქესის, სოციალური და კულტურული წარსულის, განვითარების ეტაპისა და ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი სპეციფიკური საგანმანათლებლო პროგრამებით. ეს არ გულისხმობს იმას, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების ჯგუფები აუცილებლად უნდა იყვნენ განთავსებული ერთსა და იმავე საცხოვრებელ ჯგუფებსა თუ ქვედანაყოფებში. თუმცა, მიზანშეწონილი იქნება პატიმრობის საწყის და გათავისუფლებისათვის მზადების ეტაპებზე ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი პროგრამებით. გათავისუფლების მზადების ეტაპი უმჯობესი იქნება განხორციელდეს ღია ან ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც ნაკლები შეზღუდვები იქნება არასრულწლოვანთა დაწესებულების შიგნით გადაადგილებაზე და უზრუნველყოფილი იქნება კავშირი გარე სამყაროსთან.

წესი 77 ეხება რეჟიმის ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: განათლება, პირადი და სოციალური განვითარება, პროფესიული ხასიათის ტრენინგი, რეაბილიტაცია და გათავისუფლებისათვის მომზადება. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა ამ აქტივობის განხორციელება.

როგორც წესი, არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, სულ მცირე, სასკოლო და პროფესიული ხასიათის განათლება, ტრენინგი სოციალური უნარ-ჩვევების შესაძენად, ფიზიკური განათლება და სპორტი, შემოქმედებითი აქტივობები თავისუფალ დროს, ღონისძიებები თემში, გათავისუფლებისთვის მზადება და გათავისუფლების შემდგომი მზრუნველობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში ზემოხსენებული აქტივობების შესრულება შეზღუდულია დაწესებულების შიგნით განსახორციელებელი აქტივობებით. იმის გამო, რომ, როგორც წესი, სარეჟიმო აქტივობების ორგანიზება პატიმრობის დაწესებულებაში პრობლემურია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა მიზანმიმართული ღონისძიების ორგანიზებას, მაგალითად, როგორებიცაა: სასკოლო სწავლება, შემოქმედებითი აქტივობები თავისუფალ დროს, ჰობი და ვარჯიში.

წესები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო განათლებასა და პროფესიულ დახელოვნებას და მათ დასაქმებაზე წინ აყენებს. შესაბამისად, სასწავლო პროცესი და პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლება ჩვეულებრივ სამუშაო საათებში უნდა განხორციელდეს და მათში ჩართულობა ისევე უნდა წახალისდეს, როგორც ჩვეულებრივ სამუშაოში მონაწილეობა დაწესებულების ფარგლებში.

წესები პრიორიტეტს ანიჭებენ ადგილობრივ თემში მოქმედი სკოლებისა და სასწავლო ცენტრების მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესებზე არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების დასწრებას. სასწავლო პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ ღია ტიპის დაწესებულების პირობებში.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიგნით განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა შეიძლება გარე საგანმანათლებლო და

პროფესიული დახელოვნების სააგენტოების კომპეტენციას წარმოადგენდეს (მაგალითად, განათლების სამინისტრო ან სხვა სახელმწიფო ორგანოები ან პროფესიული ხასიათის დაწესებულებები, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ და განახორციელონ საგანმანათლებლო სტანდარტები). თუმცა, საჭიროა რეგულარული შეფასების განხორციელება (მაგალითად, 6 თვეში ერთხელ მაინც) იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს, თუ რამდენად დასაშვებია გარე სასკოლო და პროფესიული დახელოვნების სასწავლო პროგრამა თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის.

როგორც წესი, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრილ არასრულწლოვანთა უმრავლესობას დამთავრებული არა აქვს სასკოლო განათლების მიღება. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა მიერ სასკოლო ან პროფესიული განათლების გაგრძელება. ეს შეიძლება პრობლემური და შეუძლებელი გახდეს, თუ სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად საჭიროა ლაბორატორიები ან თავისუფლების აღკვეთის ვადა იმდენად მცირეა, რომ სასწავლო პროცესში ჩართვა არაპრაქტიკულია. ის არასრულწლოვნები, რომელთაც არ დაუსრულებიათ სასკოლო განათლების მიღება, შესაძლოა აიძულონ სწავლის დასრულება. იძულება შეიძლება გავრცელდეს იმ არასრულწლოვნებზე, რომელთა ასაკი სავალდებულო სასკოლო ასაკის შესაბამისია, ან რომლებიც წერა-კითხვის უცოდინრები არიან.

სკოლის დასრულების ატესტატებში არ უნდა იქნეს აღნიშნული რაიმე სახის კავშირი არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან. აღნიშნული პოზიტიური პრაქტიკა უნდა შენარჩუნდეს იმ მიზნით, რომ არ მოხდეს არასრულწლოვან დამნაშავეთა სტიგმატიზაცია და ხელი შევუწყოთ მათ სამომავლო განათლებასა და შრომით ბაზარზე გასვლას.

რეჟიმისა და მისი შემადგენელი ელემენტების განსაზღვრასთან ერთად ევროპული წესები ადგენენ არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ძალის გამოყენების სტანდარტებს. კერძოდ:

- არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ შესაძლოა მხოლოდ ხელბორკილისა და დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება, თუმცა, რაც შეიძლება, მოკლე პერიოდით და იშვითად. მათი გამოყენება უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც აგრეთვე უნდა შეიცავდეს ხსენებული საშუალებების ბოროტად გამოყენებისგან დამცავ მექანიზმებს.
- დროებითი იზოლირება წარმოადგენს დამაწყნარებელ საკანს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია განსაკუთრებული გამონაკლისების დროს და არ შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათზე მეტ ხანს. საკანი ისევე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც ჩვეულებრივი, თუმცა ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა საკანი გათავისუფლდეს ისეთი საგნებისგან, რომელთა მეშვეობითაც არასრულწლოვანმა თავისუფლებააღკვეთილმა პირმა შესაძლოა დაზიანება მიაყენოს თავს. დამაწყნარებელ საკანში არასრულწლოვნის მოთავსება არ შეიძლება გაგრძელდეს 24 საათზე მეტ ხანს, რომლის განმავლობაშიც ალტერნატიული, დისციპლინის დასამყარებლად საჭირო გზა უნდა

გამოინახოს. არასრულწლოვნებმა იზოლირება შეიძლება მტკივნეულად აღიქვან და ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი შეფარდებისას. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის, რომ სამედიცინო პერსონალი არ მონაწილეობს იზოლირების შეფარდებაში და მხოლოდ მაშინ ჩაერთვება საქმეში, თუ თავისუფლებააღკვეთილი პირი პაციენტი გახდება.

- პერსონალის მიერ იარაღის ტარება იმ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, რომლებშიც განთავსებული არიან არასრულწლოვნები. იარაღში იგულისხმება ცეცხლსასროლი იარაღი, დანები, ხელკეტები და მსგავსი ინსტრუმენტები, რომლებითაც შესაძლებელია ფიზიკური ზიანის მიყენება. იარაღის კატეგორიას არ განეკუთვნება თავდაცვის მიზნით საჭირო ინსტრუმენტები, რომელთაც არ შეუძლიათ სერიოზული ზიანის მიყენება ან ინსტრუმენტები, რომლებიც განგაშის ხმას გამოსცემენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გადაუდებელი და მნიშვნელოვანი ოპერაცია ითხოვს ამას, იარაღები შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიგნით. ამგვარ სიტუაციებს განეკუთვნება პერსონალის, არასრულწლოვანთა ან მესამე პირების სიცოცხლისათვის დიდი საფრთხის შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პერსონალის მიერ სიკვდილის გამომწვევი იარაღის გამოყენება არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ აკრძალულია.
- განცალკევება არის განსაკუთრებული ზომა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უსაფრთხოების, ასევე უშიშროების მიზნით, იმისთვის, რომ დაცულ იქნენ დაცულობის დაბალი ხარისხის მქონე არასრულწლოვნები და ზემოქმედება მოხდეს საფრთხის წარმომქმნელ არასრულწლოვნებზე. თვითმკვლელობის რისკი დაკავშირებულია სამედიცინო საკითხებთან. განცალკევების გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ განსაკუთრებული პირობების არსებობისას და პრაქტიკოს ექიმს უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნის დაუბრკოლებლად მონახულების შესაძლებლობა.

წესები, ციხის ევროპული წესების მსგავსად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ უცხოელ არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სპეციფიკური პრობლემები და, როგორც წესი, უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ თავისუფლებააღკვეთილ პირთა საერთო რაოდენობაში. წესები გამოყოფს სამი კატეგორიის უცხოელ თავისუფლებააღკვეთილ პირებს: ა) ისინი, ვინც მუდმივად ცხოვრობს მოცემულ ქვეყანაში; ბ) ისინი, ვისი შემდგომი დარჩენა მოცემულ ქვეყანაში გადაწყვეტილი არ არის; და გ) ისინი, ვისაც უპირებენ მოცემული ქვეყნიდან გაძევებას.

არასრულწლოვნებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ქვეყანაში, ისევე უნდა მოეპყრონ, როგორც სხვა არასრულწლოვნებს. თუმცა მათთვის უნდა მოხდეს სპეციალური პროგრამების ორგანიზება, რომ ხელი შეეწყოს ქვეყნის რეალობაში მათ ინტეგრირებას. სპეციალური ჩართულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სპეციფიკური სირთულეები და ნაკლოვანებები ახასიათებთ

ამ არასრულწლოვნებს. ამგვარი ჩართულობა შეიძლება იყოს ენის სწავლება, სპეციალური სოციალური უნარების განვითარება, გამიზნული მათი შანსების გაზრდისთვის, მოიძიონ სამუშაო, საცხოვრებელი და შესაბამისად, მოხდეს მათი ინტეგრირება.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული არასრულწლოვნის იმ ქვეყნისთვის გადაცემის თაობაზე, რომლის მოქალაქეცაა პირი, იგი უნდა დაექვემდებაროს იმავე რეჟიმს და მას ისევე უნდა მოეპყრონ, როგორც მოცემული ქვეყნის არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებს ეპყრობიან. აღნიშნული წესი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მრავალი უცხოელი თავისუფლებააღკვეთილი პირი არ არის ჩართული საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში იმ მიზეზით, რომ გარკვეული არ არის საკითხი მათი საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების ან ადგილზე დარჩენის თაობაზე.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია იზრუნოს არა მხოლოდ ქვეყანაში დარჩენილი არასრულწლოვნების რეინტეგრაციაზე, არამედ უნდა გადადგას შესაფერისი ნაბიჯები მათთვის, რომლებსაც ქვეყნიდან გაძევება და თავისი წარმომავლობის ქვეყანაში გადაგზავნა ემუქრებათ.

წესები ადგენს სტანდარტს უცხოელი არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის, ისარგებლონ უფრო ხანგრძლივი შეხვედრებით ან გარე სამყაროსთან კონტაქტის სხვა ფორმით, მაგალითად, ხანგრძლივი სატელეფონო საუბრებით თავიანთ ქვეყანასთან და გრძელვადიანი პაემნებით. ეს საჭიროა მათთვის, რათა მოხდეს კომპენსირება ამგვარი კონტაქტის რეგულარულად ხელმისაწვდომობის შეუძლებლობისა.

ძალიან მნიშვნელოვანია უცხოელი არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების კონტაქტის უზრუნველყოფა მათი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო სამსახურების წარმომადგენლებთან.

მრავალ ქვეყანაში ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლები აწყდებიან სოციალური რეინტეგრაციის პრობლემებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მოთავსებული არიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. მართალია, ამ კატეგორიის არასრულწლოვნებს არ ემუქრებათ ქვეყნიდან გაძევების საშიშროება, ისინი ხშირად განიცდიან ისეთივე არახელსაყრელ პირობებს, როგორსაც უცხოელი მოქალაქეები. მიზეზი ნაწილობრივ ენობრივი ან კულტურული პრობლემებია, თუმცა, ამავდროულად, სხვა მიზეზს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არსებული ორგანიზაციული პრობლემები წარმოადგენს. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული სხვადასხვა ჯგუფის კულტურულ თავისებურებებში, რაც ააცილებს მათ უცნაურ სიტუაციებს. ენობრივი პრობლემები და საჭიროებები უნდა აღმოიფხვრას კომპეტენტური თარჯიმნებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სხვადასხვა ენაზე დაწერილი მასალების არსებობით. დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ენის კურსების ორგანიზება იმ არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის, რომლებიც კარგად ვერ ფლობენ ადგილობრივ ენას.

შემდეგი სახის სპეციფიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან არასრულწლოვნები, რომელთაც ფიზიკური ნაკლი აქვთ. წესები პირდაპირ მიუთითებს, რომ არ შეიძლება ამგვარი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების სეგრეგაცია. შესაბამისად, ისინიც ჩვეულებრივ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყვნენ განთავსებული. დაწესებულებაში უნდა ფუნქციონირებდეს სპეციალური სასკოლო მეთოდები, პროფესიული დახელოვნების კურსები და სხვა პროგრამები, რომლებიც უნარშეზღუდულ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა საჭიროებებს შეესაბამება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნება მოძიებული ჩვეულებრივი თავისუფლების დაწესებულება, სადაც შეზღუდული უნარების მქონე არასრულწლოვნების სპეციალური მოთხოვნილებები იქნება დაკმაყოფილებული, ისინი გადაყვანილ უნდა იქნენ ისეთ სპეციალიზებულ დაწესებულებაში, სადაც აღნიშნული პირობები იქნება დაცული.

9. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის სტანდარტები

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (შემდგომ ტექსტში წამების პრევენციის კომიტეტი) განსაზღვრა კრიტერიუმები, რომლებიც სახელმძღვანელო გახდა მისი საქმიანობისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნულ კრიტერიუმებს უთავსებს არასრულწლოვან (18 წლამდე ასაკის) ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შესაბამისია. თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით მოხდა არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა, ისინი სრულწლოვნებთან შედარებით უფრო დაუცველი არიან. შესაბამისად, ყურადღების გამახვილებაა საჭირო, რათა დავრწმუნდეთ, რომ არასრულწლოვანთა ფიზიკური და გონებრივი კეთილდღეობა სათანადოდაა დაცული. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან ცუდად მოპყრობის პრევენციის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, წამების პრევენციის კომიტეტმა სპეციალური თავი დაუთმო იმ სპეციფიკურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია არასრულწლოვან ბრალდებულ და მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის სტანდარტებთან.

წამების პრევენციის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი სტანდარტი, რომელიც თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით არის შემუშავებული, განხილულ უნდა იქნეს ისეთი საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად, როგორებიცაა: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები), გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები) და გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები).

წამების პრევენციის კომიტეტი მხარს უჭერს ზემოხსენებულ საერთაშორისო დოკუმენტებში ასახულ ერთ-ერთ კარდინალურ პრინციპს, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკანასკნელი ზომა, ისიც მაქსიმალურად მცირე ვადით.

წამების პრევენციის კომიტეტი მიუთითებს საშიშროებაზე, რომლის მიხედვითაც, ადამიანმა შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლოს ადაპტირება სოციალურ გარემოში. ამიტომ კომიტეტი რეკომენდაციას უწევს არასრულწლოვნის რეაბილიტაციის მიმართ მრავალდარგობრივ მიდგომას, რაც გულისხმობს ისეთი პროფესიონალების ჩართვას საქმეში, როგორებიც არიან მასწავლებლები, ინსტრუქტორები და ფსიქოლოგები. ამ მხრივ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვნები განათლების, სპორტის, პროფესიული განათლების, დასვენებისა და სხვა მიზნობრივი სრული პროგრამებით. პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს ფიზიკური კულტურა უნდა შეადგენდეს.

კარგად დაგეგმარებული არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ცენტრი უზრუნველყოფს პოზიტიურ და პერსონალიზებულ პირობებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთათვის. წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავისუფლებააღკვეთილებისთვის ინდივიდუალური და კარგად ორგანიზებული საცხოვრებელი პირობების მოწყობას. საკანი უნდა იყოს სათანადო სიდიდის. იგი კარგად უნდა იყოს განათებული და კარგად ნიავდებოდეს. კარგად უნდა იყოს მოწყობილი საძინებელი და საცხოვრებელი პირობები. საკანი ლამაზად უნდა იყოს მორთული, რაც ხელს შეუწყობს ვიზუალური სტიმულის შექმნას. უსაფრთხოების წესების ფარგლებში არასრულწლოვნებს უნდა მიენიჭოთ უფლება, ფლობდნენ პირადი ნივთების გონივრულ რაოდენობას.

საერთაშორისო მოთხოვნები ასევე ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მოპყრობის ფორმა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული არასრულწლოვნის ინდივიდუალურ უფლებებს. მოპყრობასთან დაკავშირებული გეგმები და პროგრამები არ უნდა არღვევდნენ არასრულწლოვნების მიმართ სამართლიანად მოპყრობის პრინციპს.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვნისთვის კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანის დაღის დასმა, რადგან ეს მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს მის რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მაგალითად, განათლების მოწმობიდან არ უნდა ჩანდეს, რომ იგი გაცემულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია უნდა განადგურდეს.

წამების პრევენციის კომიტეტი საკუთარი მანდატიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონახულებისას ცდილობს გამოარკვიოს ხდება თუ არა არასრულწლოვანთა მიმართ განზრახ ცუდად მოპყრობა. პრაქტიკა ადასტურებს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა უმრავლესობაში, რომელთაც კომიტეტი მოინახულებს, აღნიშნული დარღვევა შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

თუმცა, სრულწლოვნებისგან განსხვავებით, სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოში არასრულწლოვნების მიმართ განზრახ ცუდად მოპყრობის უფრო მაღალი რისკი პოლიციის განყოფილებებშია, ვიდრე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. ამას ადასტურებს ის ფაქტები, რომლებიც კომიტეტმა მოიპოვა პოლიციის ოფიცრების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ წამებისა და ცუდად მოპყრობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთისას ადამიანის (მათ შორის არასრულწლოვნის) მიმართ წამებისა და ცუდად მოპყრობის რისკი იზრდება. შესაბამისად, თავისუფლებააღკვეთილ ნებისმიერ პირს (არასრულწლოვნების ჩათვლით) თავისუფლების აღკვეთის მომენტიდანვე უნდა ჰქონდეს სამი ძირითადი უფლება: 1) ახლო ნათესავს ან მესამე პირს აცნობოს თავისუფლების აღკვეთის შესახებ; 2) ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამცველით სარგებლობა; და 3) უფლება უნდა ჰქონდეს შეამოწმოს ექიმმა.

წამების პრევენციის კომიტეტის გამოცდილება მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ ცუდად მოპყრობა უფრო ხშირად ძალადობისგან არასრულწლოვნის სათანადო დაცვის შეუძლებლობაა, ვიდრე ტანჯვის გამოწვევის წინასწარი განზრახვა. მსგავსი ძალადობის პრევენციის მიზნით ნებისმიერ სტრატეგიაში უმნიშვნელოვანესი ელემენტია იმ პრინციპის უზრუნველყოფა, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განცალკევებით უნდა იყვნენ განთავსებული. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ არ ჩამოყალიბდეს დომინანტობისა და ექსპლუატაციის პირობები.

წამების პრევენციის კომიტეტის მოსაზრებით, ორივე სქესის წარმომადგენელი პერსონალი არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წარმოადგენს ცუდი მოპყრობისგან დაცვის ერთ-ერთ ფორმას. მამრობითი და მდედრობითი სქესის პერსონალის არსებობას შეუძლია ხელი შეუწყოს ნორმალური გარემოს შექმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

შერეული სქესის პერსონალის არსებობა საჭიროა თანამშრომლების განაწილების პროცესში ისეთი გენდერულად მგრძნობიარე ფუნქციების განხორციელებისას, როგორიცაა ჩხრეკა. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ, ასაკის მიუხედავად, ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირი შეიძლება გაჩხრიკოს მხოლოდ იმავე სქესის თანამშრომელმა. თუ ჩხრეკის დროს საჭიროა თავისუფლებააღკვეთილი პირის გაშიშვლება, აუცილებელია ეს მოხდეს საპირისპირო სქესის პერსონალისგან ფარულად. ეს პრინციპი განსაკუთრებით უნდა იქნეს დაცული არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებთან.

სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების შედეგად, წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციამ გამოავლინა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან, ღიად ატარებს ხელკეტებს. მსგავსი პრაქტიკა ხელს არ უწყობს პერსონალსა და თავისუფლებააღკვეთილ პირებს შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყა-

ლიბებას. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულების პერსონალმა საერთოდ არ ატაროს ხელკეტები. თუ, მაინცდამაინც, ეს შეუძლებელია, წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს, რომ ხელკეტები დაფარულ იქნეს თავისუფლებააღკვეთილთა მხედველობისგან.

წამების პრევენციის კომიტეტის მოსაზრებით, ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი განთავსებულ უნდა იქნეს მათი ასაკისთვის დამახასიათებელ, სპეციფიკურად დაგეგმარებულ თავისუფლების აღკვეთის ცენტრებში, სადაც მათთვის უზრუნველყოფილი იქნება მათი საჭიროებების შესაბამისი რეჟიმი და დასაქმებული იქნება ახალგაზრდებთან მუშაობისთვის მომზადებული პერსონალი. უფრო მეტიც, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე მზრუნველობა მოითხოვს სპეციალურ მცდელობას გრძელვადიანი სოციალური შეუთავსებლობის რისკების შესამცირებლად. აღნიშნული უკავშირდება მულტიდისციპლინურ მიდგომას, რაც მოიცავს სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა (მასწავლებლები, ტრენერები და ფსიქოლოგები) უნარ-ჩვევების ერთობლიობას, არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ უსაფრთხო საგანმანათლებლო და სოციოთერაპიული გარემოს ფარგლებში.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა სხვადასხვა ევროპულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყურადღება გაამახვილა თავისუფლებააღკვეთილი ქალების, მათ შორის არასრულწლოვანი გოგონების, პირად ჰიგიენურ საჭიროებებზე. ამ კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილ პირთა უზრუნველყოფას სანიტარიული და დასაბანი სათავსოებით, სანიტარიული პირსახოცებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება თავისუფლებააღკვეთილი ქალებისა და არასრულწლოვანი გოგონების აღნიშნული საშუალებებით უზრუნველყოფა, ეს ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ტოლფასი იქნება.

მართალია, წინასწარ განზრახული აქტივობის არარსებობა ზიანის მომტანია ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის, მაგრამ აღნიშნული განსაკუთრებულ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვნებზე, რომელთაც ფიზიკური აქტივობისა და ინტელექტუალური სტიმულირების განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვთ. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები უნდა სარგებლობდნენ განათლების, სპორტის, პროფესიული დახელოვნების, რეკრეაციისა და სხვა მიზანმიმართული აქტივობების სრული პროგრამით. ფიზიკურ განათლებას ამ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებააღკვეთილ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შეეძლოთ აღნიშნული აქტივობებით სარგებლობა, მსგავსად არასრულწლოვანი ვაჟებისა და ახალგაზრდა მამაკაცებისა. წამების პრევენციის კომიტეტი თავისი საქმიანობისას ხშირად აწყდებოდა სიტუაციებს, როდესაც თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვან ქალებს სთავაზობდნენ მათთვის სტერეოტიპულ აქტივობებს (მაგალითად, კერვა ან ქარგვა), მაშინ როდესაც არასრულწლოვან მამაკაცებს შედარებით პროფესიული ხასიათის ტრენინგებში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტმა გამოხატა თავისი

მხარდაჭერა პეკინის წესების 26.4 წესის მიმართ, იმ მხრივ, რომ საჭიროა მცდელობა, რათა თავისუფლებააღკვეთილმა არასრულწლოვანმა ქალებმა, გამონაკლისის გარეშე, მიიღონ არანაკლები ზრუნვა, დაცვა, ხელშენყობა, დამოკიდებულება და ტრენინგი, ვიდრე თავისუფლებააღკვეთილმა არასრულწლოვანმა მამაკაცებმა. მათთან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამართლიანი მოპყრობა.

კომიტეტის მიერ მონახულებული არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების რეჟიმების გარკვეული ნაწილი მოიცავდა ზოგად მასტიმულირებელ სქემებს, რომელთა მიხედვითაც, არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებს კარგი ყოფაქცევისათვის შეეძლოთ ესარგებლათ დამატებითი პრივილეგიებით. წამების პრევენციის კომიტეტის კომპეტენციას სცილდება მსგავს სქემებზე კომენტარების გაკეთება. თუმცა იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბაზისო დონის რეჟიმის შინაარსს, რომელიც არასრულწლოვნებს ზემოხსენებულ სქემას სთავაზობს. მოცემული სქემა, რომლის ფარგლებში რამდენად შეუძლიათ მათ პროგრესირება (და რეგრესირება), შეიცავს ადეკვატურ უსაფრთხოებას პერსონალის მიერ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების საწინააღმდეგოდ.

თავისუფლების აღკვეთის უზრუნველყოფა და თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე ზრუნვა განსაკუთრებულად რთული საკითხია. პერსონალი, რომელსაც დაევალება ამგვარი უფლებამოსილებების განხორციელება, სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული მათი პიროვნული თვისებებისა და აღნიშნული ასაკის ჯგუფთან მუშაობის და მათი კეთილდღეობის დაცვის შესაძლებლობის გათვალისწინებით. უფრო კონკრეტულად, ისინი მოწოდებული უნდა იყვნენ იმუშაონ ახალგაზრდებთან და შესწევდეთ არასრულწლოვანთა ხელმძღვანელობისა და მოტივირების უნარი. ყველა კატეგორიის პერსონალს, მასაც კი, ვინც მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის უშუალო აღსრულებაზეა პასუხისმგებელი, უნდა ჩაუტარდეს პროფესიული ტრენინგი როგორც მუშაობის საწყის, ასევე საქმიანობის განხორციელების ეტაპებზე. მათ უნდა მიიღონ შესაბამისი გარე დახმარება და საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებაზე ზედამხედველობა.

დამატებით ყურადსაღებია, რომ არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ცენტრების მართვა უნდა დაევალოს განსაკუთრებული ლიდერობის დამახასიათებელი უნარებით აღჭურვილ პირებს, რომელთაც ძალისხმევა შესწევთ ეფექტურად მოახდინონ რეაგირება მათ წინაშე თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა და დაწესებულების პერსონალის მიერ დაყენებულ კომპლექსურ და კონკურენტულ მოთხოვნებზე.

არასრულწლოვნის ურთიერთობა ოჯახის წევრებთან მიჩნეულია რეაბილიტაციის ხელშემწყობ უმნიშვნელოვანეს ელემენტად. გარე სამყაროსთან აქტიური კონტაქტის განხორციელება განსაკუთრებით შედეგიანია თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისათვის, რომელთაგან უმეტესობას შეიძლება ჰქონდეს ემოციურ დეპრივაციასთან ან სოციალური უნარების არქონასთან დაკავშირებული ქცევის პრობლემები. წამების პრევენციის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება არასრულწლოვანს აეკრძალოს კონტაქტი გარე სამყაროსთან ან უარი ეთქვას მასზე, დისციპლინური სასჯელის მოტივით.

არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ დისციპლინური სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს არასრულწლოვანთა სამარტოო საკნის მსგავს პირობებში მოთავსებასთან დაკავშირებით, რადგან ამან შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მათ ფიზიკურ ან/და გონებრივ მდგომარეობაზე. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამგვარი სასჯელის გამოყენება შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც მხოლოდ უკიდურესად გამონაკლისი შემთხვევა. თუ არასრულწლოვნები სხვა არასრულწლოვნებისგან განცალკევებით არიან მოთავსებული, ეს ძალიან მოკლე დროით უნდა გაგრძელდეს და ყველა შემთხვევაში არასრულწლოვანს გარანტირებული უნდა ჰქონდეს კონტაქტი ადამიანებთან, საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობა და ყოველდღიურად უზრუნველყოფილი იყოს, სულ მცირე, ერთსაათიანი საკნის გარეთ ვარჯიშის უფლებით.

ყველა დისციპლინური პროცედურისთვის, რომლებიც არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე ვრცელდება, დამახასიათებელი უნდა იყოს ფორმალური დაცვა და სათანადო აქტით გაფორმება. კერძოდ, არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება ეცნობოს იმ დისციპლინური დარღვევის შესახებ, რომელიც მას ედება ბრალად და უნდა შეეძლოს გაასაჩივროს ზემდგომი თანამდებობის პირის წინაშე მისთვის დაკისრებული ნებისმიერი სანქცია. სრული ინფორმაცია ამგვარი სანქციების შეფარდებაზე უნდა აისახოს დოკუმენტურად სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც ინახება არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ეფექტური გასაჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები ცუდად მოპყრობისგან არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვის მთავარი საშუალებაა. არასრულწლოვნებს უფლება უნდა ჰქონდეთ საჩივრით მიმართონ როგორც შიდა, ისე გარეთ მდებარე ადმინისტრაციულ ორგანოებს და შეეძლოთ კონფიდენციალური კონტაქტი ჰქონდეთ შესაბამის თანამდებობის პირთან.

წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დამოუკიდებელი ორგანოს (მაგალითად, ვიზიტის განმახორციელებელი კომიტეტი ან მოსამართლე) მიერ რეგულარული მონახულების მნიშვნელობას. აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს კომპეტენციაში უნდა შედიოდეს მიიღოს არასრულწლოვნის საჩივარი და, თუ საჭიროა, რეაგირება მოახდინოს მასზე და შეამოწმოს საცხოვრებელი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სხვა შენობა-ნაგებობები.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შეფასებისას წამების პრევენციის კომიტეტმა დაადგინა რამდენიმე ზოგადი კრიტერიუმი თავისი საქმიანობის სახელმძღვანელოდ, კერძოდ: ა) ექიმის ხელმისაწვდომობა; ბ) თანასწორობის პრინციპი ჯანმრთელობაზე ზრუნვისას; გ) პრევენციული ჯანმრთელობის დაცვა; დ) პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა; ე) პროფესიული დამოუკიდებლობა და პროფესიონალური კომპეტენცია. აღნიშნული კრიტერიუმები თანაბრად შეესაბამება არასრულწლოვანთა თავისუფლების დაწესებულებებს. თუმცა ისიც

ხაზგასასმელია, რომ წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა სპეციფიკურ სამედიცინო საჭიროებებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის გაწეული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება წარმოადგენს მზრუნველობის მულტიდისციპლინური (სამედიცინო-ფსიქოსოციალური) პროგრამის შემადგენელ ნაწილს. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ახლო კოორდინაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ჯანმრთელობის დაცვაზე მზრუნველ გუნდსა (ექიმები, ექთნები, ფსიქოლოგები და სხვ.) და ამავე დაწესებულების სხვა თანამშრომლებს (სოციალური მუშაკები და მასწავლებლები) შორის, რომელთაც მუდმივი კონტაქტი აქვთ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან. აღნიშნულის მიზანი უნდა იყოს დარწმუნება იმაში, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთათვის გაწეული სამედიცინო დახმარება უნდა წარმოადგენდეს მათი მხარდაჭერისა და თერაპიის განუყოფელ ნაწილს.

ასევე მიზანშეწონილია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მზრუნველობის პროგრამის შინაარსი იყოს დაწერილი და ხელმისაწვდომი ყველა იმ თანამშრომლისათვის, რომელთაც შეიძლება მოეთხოვოთ აღნიშნულის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

ყველა თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი, რაც შეიძლება, სწრაფად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიყვანისთანავე, უნდა გამოიკითხოს და ფიზიკურად შემოწმდეს ექიმის მიერ. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, გამოკითხვა და ფიზიკური დათვალიერება უნდა განხორციელდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიყვანის დღეს. თუმცა ახლად მიყვანილი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის პირველი შეხვედრა სამედიცინო პერსონალთან განხორციელდება მაღალკვალიფიციური მედდის მეშვეობით, რომელიც გამოკითხვისა და ფიზიკური დათვალიერების შედეგებს აცნობებს ექიმს.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული გამოკითხვა და ფიზიკური დათვალიერება სათანადოდ ჩატარდება, მიღებისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმება საშუალებას მისცემს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სამედიცინო პერსონალს გამოავლინოს ახალგაზრდები ჯანმრთელობის პოტენციური პრობლემებით (მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარების მიდრეკილების ან თვითმკვლელობის ტენდენციის მქონე პირები). მსგავსი პრობლემების ადრეულ სტადიაში გამოვლენა ხელს შეუწყობს ეფექტური პრევენციული ზომების გატარებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოქმედ მზრუნველობის სამედიცინო-ფსიქოსოციალური პროგრამის ფარგლებში.

დამატებით აღსანიშნავია, რომ აქსიომაა არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიერ კონფიდენციალურ ვითარებაში ექიმის მონახულება ნებისმიერ დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა რეჟიმი აქვთ მათ შეფარდებული (დისციპლინური დარღვევის ჩათვლით). სხვადასხვა სამედიცინო პროფესიის ექიმების, მათ შორის კბილის ექიმის, ხელმისაწვდომობა ასევე გარანტირებული უნდა იყოს.

ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის ამოცანა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ნებისმიერ ადგილას არ უნდა იყოს შეზღუდული ავადმყოფ თავისუფლებააღკვეთილ პირებზე ზრუნვით; იგი ასევე აღჭურვილი უნდა იყოს სოციალური და პრევენციული მედიცინის ფუნქციით. აღნიშნულთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტი ხაზს უსვამს არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებთან დაკავშირებულ ორ ასპექტს: ა) კვებას; და ბ) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ განათლების მიცემას.

ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პერსონალმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის მომზადებული საკვების ხარისხის შემოწმებაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებისთვის, რომელთაც შესაძლოა ჯერ ვერ მიაღწიეს ზრდის სრულ პოტენციალს. ამგვარ შემთხვევაში, არაადეკვატური კვების შედეგები შეიძლება ცხადი გახდეს უფრო სწრაფად და ჰქონდეს უფრო სერიოზული შედეგები, ვიდრე მათთვის, ვინც მიაღწია ფიზიკურ ზრდასრულობას.

ფართოდაა აღიარებული, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს ახასიათებთ რისკის მატარებელ ქცევაში ჩართულობის ტენდენცია, განსაკუთრებით ეს ეხება ნარკოტიკულ საშუალებებს (ალკოჰოლური საშუალებების ჩათვლით) და სექსს. შესაბამისად, ახალგაზრდებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის განათლების უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. მსგავსი პროგრამა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგებისა და გადამდები დაავადებების რისკების თაობაზე.[801]

10. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(89)12 ციხეში განათლებასთან დაკავშირებით

1988 წელს დანაშაულის პრობლემებზე მომუშავე ევროპულმა კომიტეტმა (CDPC) წარმოადგინა ვრცელი ანგარიში – „ციხის განათლება" – რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების განათლების მიზანი, განათლების ადგილი თავისუფლების აღკვეთის სისტემაში, მოზრდილთა განათლების მეთოდოლოგია, პროფესიული ტრენინგი, შემოქმედებითი და კულტურული საქმიანობები და თავისუფლების აღკვეთის სისტემაში არსებული განათლების დამოკიდებულება საზოგადოებასთან.

ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ ევროპის საბჭომ მიიღო 17 რეკომენდაცია და მიმართა წევრ სახელმწიფოებს, მხედველობაში მიეღოთ აღნიშნული რეკომენდაციები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში განათლებასთან დაკავშირებით. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

801 The CPT Standards – `Substantive sections of the CPT's Reports–, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), CPT/Inf/E (2002) 1 – Rev. 2009, p. 72-78, at [http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf].

იყო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(89)12 ციხის განათლებასთან დაკავშირებით მიღებული 1989 წლის 13 ოქტომბერს. აღნიშნული რეკომენდაცია მიზანმიმართულია როგორც სასკოლო სისტემის, ისე გამოსასწორებელი სამსახურების მიმართ და მოუწოდებს შესაბამის მხარეებს უზრუნველყონ თავისუფლებააღკვეთილი პირები ფართო საგანმანათლებლო არჩევანით, რომლის გაგრძელებაც შესაძლებელი იქნება გათავისუფლების შემდეგ.[802] აღნიშნული რეკომენდაცია მოიცავს შემდეგ ფუძემდებლური შინაარსის მქონე დებულებებს:

1. ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს დაშვება განათლებაზე, რომელიც მოიცავს: საკლასო საგნებს, პროფესიულ განათლებას, შემოქმედებით და კულტურულ საქმიანობას, ფიზიკურ განათლებასა და სპორტს, სოციალურ განათლებას და საბიბლიოთეკო დაწესებულებას;

2. პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი განათლება იმავე ასაკის ჯგუფებისთვის გარე სამყაროში არსებული განათლების მსგავსი უნდა იყოს, სასწავლო შესაძლებლობები კი შეძლებისდაგვარად ფართო;

3. ციხეში არსებული განათლების მიზანი უნდა იყოს პიროვნების განვითარება სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;

4. ციხის სისტემის ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში ჩართული ყველა პირი შეძლებისდაგვარად უნდა უწყობდეს ხელს ციხეში განათლების მიღებას;

5. ციხის რეჟიმში განათლებას უნდა ჰქონდეს იგივე სტატუსი, რაც დასაქმებულის შრომას და პატიმრებისთვის განათლების მიღება არ უნდა იყოს ფინანსურად ან სხვაგვარად წამგებიანი;

6. მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს განათლების ყველა სფეროში პატიმრის აქტიური მონაწილეობის მხარდასაჭერად;

7. უნდა მოხდეს განვითარების პროგრამების გამოყენება, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს ციხის მასწავლებლების მიერ მოზრდილთა განათლების შესაბამისი მეთოდების შემუშავება;

8. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული სირთულეების მქონე პატიმრებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც აქვს წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები;

9. პროფესიული განათლების მიზანი უნდა იყოს პიროვნების უფრო მეტად განვითარება. ასევე, ის მგრძნობიარე უნდა იყოს შრომის ბაზრის ტენდენციების მიმართ;

10. პატიმრებს პირდაპირი დაშვება უნდა ჰქონდეთ კარგად აღჭურვილ ბიბლიოთეკაზე, სულ მცირე, კვირაში ერთხელ;

11. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკურ განათლებასა და სპორტს და მოხდეს პატიმრების მხარდაჭერა;

12. შემოქმედებით და კულტურულ საქმიანობებს განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს, რადგან ეს საქმიანობები პატიმრების განვითარებისა

---

802 განათლება სკანდინავიის ციხეებში – მუდმივი სწავლის პერსპექტივა, სკანდინავიის მინისტრთა საბჭოს გამოცემა, კოპენჰაგენი, 2005 წ., ქართული თარგმანი – სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი", თბილისი, 2007 წ., გვ. 176-177.

და მათთვის თვითგამოხატვის უნარის გამომუშავების მნიშვნელოვანი პოტენციალია;

13. სოციალური განათლება უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ ელემენტებს, რაც პატიმარს შესაძლებლობას მისცემს მართოს თავისი ყოველდღიური ცხოვრება ციხეში, საზოგადოებაში დაბრუნების გაადვილების გათვალისწინებით;

14. როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ციხის გარეთ არსებულ განათლებაში;

15. თუ სწავლება ხდება ციხეში, გარეთ არსებული საზოგადოება შეძლებისდაგვარად მთლიანად უნდა ჩაერთოს მასში;

16. მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რათა პატიმარს შესაძლებლობა მიეცეს გააგრძელოს სწავლა გათავისუფლების შემდეგ;

17. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფონდები, აღჭურვილობა და პერსონალი იმ რაოდენობით, რომელიც პატიმრებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ შესაბამისი განათლება.[803]

ეს არის რეკომენდაციების ფართო ჩამონათვალი იმ მიზნით, რომ მაქსიმალური მსგავსება იყოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და გარე სამყაროში არსებულ განათლებას შორის.

11. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული ევროპული სასამართლო პრაქტიკა

წარმოდგენილ ქვეთავში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებები თავისუფლების აღკვეთის პირობებში მყოფ პირებთან დაკავშირებით,[804] აგრეთვე სამი საქმე, რომლებიც უკავშირდება არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შესახებ ფაქტების განხილვას.

11.1. ზოგადი ინფორმაცია მე-3 მუხლთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ „მე-3 მუხლი[805] წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას" და თანმიმდევრულად და არაერთხელ დააყენა იგი მე-2 მუხლის – სიცოცხლის უფლების – გვერდით, როგორც

803 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში, სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასნავლო ცენტრის" გამოცემა, თბილისი, 2008 წ., გვ. 17-18.

804 მიუხედავად იმისა, რომ ზოგად მიმოხილვაში მოყვანილი პრეცედენტული საქმეები სრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებს ეხება, ისინი შეიცავენ იმ ძირითად სტანდარტებს, რომლებიც არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართაც გამოიყენება.

805 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, „არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს".

კონვენციით დაცული ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლება, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს პირის ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა. კონვენციის სხვა ზოგიერთი მუხლისგან განსხვავებით, მე-3 მუხლი ჩამოყალიბებულია აბსოლუტური და შეუზღუდავი დებულებებით. მაგალითად, მე-8-11 მუხლების საპირისპიროდ, არ არის წარმოდგენილი მეორე პუნქტი, რომელიც ადგენს გარემოებებს, როდესაც ნებადართულია ნამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის განხორციელება.[806]

კონვენციის მე-3 მუხლის შეუზღუდავი დებულებები ასევე ნიშნავს, რომ კონვენციისა და საერთაშორისო სამართლის თანახმად, არ შეიძლება რაიმე გამართლება მოეძებნოს ქმედებებს, რომლებიც არღვევენ ამ მუხლს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ შეიძლება არსებობდეს რაიმე სახის ფაქტორები, რომლებიც შიდა კანონმდებლობის თანახმად, აღიქმება, როგორც აკრძალული ქცევის განხორციელების გამართლება, ან მსხვერპლის ქცევა, დამნაშავეზე ზეწოლა გამოძიების წინ წაწევის ან დანაშაულის აღკვეთის მიზნით ან ნებისმიერი გარეშე გარემოება თუ სხვა ფაქტორი. მე-3 მუხლში მოხსენიებული აბსოლუტური შეზღუდვა ასევე ნიშნავს, რომ მისგან გადახვევა დაუშვებელია საომარი მდგომარეობის დროსაც კი.[807]

ყველა ტიპის უხეში მოპყრობა მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში არ ექცევა. სტრასბურგის სასამართლომ თავიდანვე განმარტა, რომ არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს მინიმალურ ზღვარს იმისათვის, რომ მოხვდეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში. თუმცაღა, ასევე აღიარებულ იქნა, რომ ერთი მხრივ, უხეშ მოპყრობასა და, მეორე მხრივ, მე-3 მუხლის დარღვევას შორის გამავალი გამყოფი ზღვრის დადგენა შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ძნელი აღმოჩნდეს.[808]

მე-3 მუხლთან დაკავშირებულ ცნობილ საქმეში *Ireland v. the United Kingdom*[809] სასამართლომ განმარტა, რომ სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება შეფარდებითია: იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორებიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, ფიზიკური და სულიერი შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.[810] ხსენებული სიტყვები არაერთხელ იქნა გამეორებული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.[811] *Soering-ის* საქმეზე გამოტანილ განაჩენში, სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სისასტიკე „დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორებიცაა: მოპყრობისა თუ დასჯის

---

806 რეიდი ა., 2005, გვ. 51, 69, 70.

807 *იქვე.*

808 *McCallum v. the United Kingdom*, 1989 წლის 4 მაისის მოხსენება, სერია A, №183, გვ. 29.

809 *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვარი, სერია A №25.

810 *იქვე*, 162-ე ნაწილი.

811 სხვა მაგალითებთან ერთად იხილეთ *Ireland v. the United Kingdom* გვ. 65 და *Tekin v. Turkey*, 1998 წლის9 ივნისის განაჩენი, ECHR 1998-IV, 52-ე პუნქტი; *Keenan v. the United Kingdom*, 2001 წლის 3 აპრილის განაჩენი, მე-20 პუნქტი; *Valasinas v. Lithuania*, 2001 წლის 24 ივლისის განაჩენი, 120-ე პუნქტი; და განსაკუთრებით, წამებასთან დაკავშირებული საქმე *Labita v. Italy*, 2000 წლის 6 აპრილის განაჩენი, ECHR 2000-IV, 120-ე პუნქტი.

ხასიათი და კონტექსტი, მისი აღსრულების ხერხი და მეთოდი", ისევე როგორც ზემოხსენებული ფაქტორები.[812]

მე-3 მუხლში არსებული აკრძალვის სამი ფართო სფერო მიჩნეულ იქნა როგორც განსხვავებული, მაგრამ ამავდროულად ურთიერთდაკავშირებული. *Greek*-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად:

„აშკარაა, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მოპყრობას, რომელსაც ყველა ხსენებული აღწერა მიესადაგება, რადგან ყოველგვარი წამება უნდა იყოს არაადამიანური და დამამაცირებელი, ხოლო არაადამიანური მოპყრობა – დამამცირებელი".

წამებას, როგორც იურიდიულ ტერმინს, აქვს საკუთარი განცალკევებული სამართლებრივი მნიშვნელობა. სასამართლოს აზრით, ორივე ტერმინის – „წამების" და „არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის" – გამოყენებისას კონვენციის ავტორთა მიზანს წარმოადგენდა მათი ცალსახა გამიჯვნა.[813]

უფრო კონკრეტულად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა განსაკუთრებული სტიგმის მინიჭება განზრახ არაადამიანური მოპყრობის დროს, რომელიც იწვევს სერიოზულ და სასტიკ ტანჯვას.[814] სასამართლომ მიუთითა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1975 წლის 9 დეკემბრის № 3452 რეზოლუციის I მუხლზე, რომლის თანახმადაც:

„წამება წარმოადგენს სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამწვავებულ და განზრახ ფორმას".

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა ის ელემენტები, რომლებიც ახასიათებს მოპყრობას ან სასჯელს, როგორც წამებას, მას არ განუსაზღვრავს ზუსტად ეს ტერმინი. თუმცა სასამართლომ ნაწილობრივ მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საწინააღმდეგო კონვენციაში მოცემული განსაზღვრება.[815]

სასამართლომ განაცხადა, რომ წამებასა და ყველა სახის არაადამიანურ მოპყრობას შორის განსხვავება უნდა გაკეთებულიყო „მიყენებული ტანჯვის სხვადასხვაობის საფუძველზე". მიყენებული ტანჯვის სისასტიკე ან ინტენსიურობა შესაძლოა შეფასდეს ზემოხსენებულ ფაქტორებზე მითითებით:

- ხანგრძლივობა;
- ფიზიკური და სულიერი შედეგები;

---

812 *Soering v.the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივლისის განაჩენი, სერია A № 161, მე-100 პუნქტი.

813 *Dikme v. Turkey*, 2000 წლის 11 ივლისის განაჩენი, 93-ე პუნქტი.

814 *იქვე*, 167-ე პუნქტი.

815 ხსენებული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად: *„განსაზღვრება „წამება" ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს და ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია".*

- მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- აღსრულების ხასიათი და მეთოდი.

ხსენებული კრიტერიუმების სუბიექტური ელემენტები – მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა – გამოიყენება ცალკეული ქმედების ინტენსიურობის შეფასებისათვის. თუმცა შემამსუბუქებელი ძალა, რომ ასეთი ფარდობითი ფაქტორებია წარმოდგენილი, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა ქმედება წამებას. ქმედებები, რომლებიც ობიექტური ნიშნის თანახმად, აყენებს პირს ტკივილს საკმარისი სისასტიკით, ჩაითვლება წამებად, მიუხედავად იმისა, ეს პირი მდედრობითი სქესის წარმომადგენელია თუ მამრობითის, ძლიერი აგებულებისაა თუ არა. აღნიშნული სასამართლომ განმარტა *Selmounis*-ის[816] საქმეში, რომელშიც აღნიშნა, რომ ამ საქმეში განხორციელებული მოპყრობა არა მარტო ძალადობრივი ხასიათისა იყო, არამედ ის ნებისმიერი პირისათვის, მისი მდგომარეობის მიუხედავად, იქნებოდა შემზარავი და დამამცირებელი.[817]

სახელმწიფოთაშორის საქმეში, *Ireland v. the United Kingdom*, კომისიამ ერთხმად დაასკვნა, რომ ე. წ. 5 მეთოდის ერთობლივად გამოყენება ე.წ. „დეზორიენტაცია" თუ „მგრძნობელობის წართმევისაკენ მიმართული" მეთოდები წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობასა და წამებას, რაც არღვევდა მე-3 მუხლს. ეს ე.წ. 5 მეთოდი იყო:

- კედელთან დგომა: თავისუფლებააღკვეთილი პირების იძულება რამდენიმე საათის განმავლობაში ყოფილიყვნენ „სტრესულ მდგომარეობაში", რასაც ისინი, ვინც დაექვემდებარა ამგვარ ქმედებას, აღწერდნენ შემდეგნაირად: „კედელთან გამართული დგომა, ხელები თავს ზემოთ აწეული გამართულ მდგომარეობაში, მუხლებში გაჭიმული და ტერფებშებრუნებული, რაც აიძულებდა მათ ცერებზე დგომას და სხეულის მთელი სიმძიმე ფეხის თითებზე გადადიოდა";
- თავსაფარი: შავი ან მუქი ლურჯი ფერის ტომრის თავზე ჩამოცმა პატიმრებისთვის და, სულ მცირე, პირველ ხანებში ასეთ მდგომარეობაში დატოვება დაკითხვის მთელი პერიოდის განმავლობაში;
- ხმაური: დაკითხვის განმავლობაში პატიმართა ისეთ ოთახში მოთავსება, რომელშიც იყო განგრძობადი, ხმამაღალი, სისინისმაგვარი ხმა;
- ძილის აღკვეთა: დაკითხვის გამო პატიმრებისათვის ძილის აღკვეთა;
- საჭმლისა და სასმლის აღკვეთა: პატიმართა შემცირებულ დიეტაზე ყოფნა ცენტრში ყოფნისა და დაკითხვების განმავლობაში.

არასათანადო მოპყრობა, რომელიც არ წარმოადგენს წამებას, რადგან არ არის საკმარისად ინტენსიური ან არ გააჩნია მიზანი, კვალიფიცირებული იქნება როგორც არაადამიანური ან დამამცირებელი. ისევე როგორც მე-3 მუხლთან დაკავშირებული ყველა შეფასება, ხსენებულის შეფასებაც წარმოებს ფარდობითობის საფუძველზე.[818]

Greek-ის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში კომისიამ განაცხადა,

---

816 *Selmouni v. France* 1998 წლის 28 ივლისის განაჩენი, ECHR 1999-V.

817 *იქვე*, 103-ე პუნქტი.

818 სხვა მაგალითებთან ერთად იხ. საქმეზე *Tekin v. Turkey* 1998 წლის 9 იანვარს გამოტანილი განაჩენი, ECHR 1998-IV, 52-ე პუნქტი.

რომ „არაადამიანური მოპყრობის ცნება, სულ მცირე, მოიცავს ისეთ მოპყრობას, რომელიც განზრახ იწვევს ძლიერ სულიერ თუ ფიზიკურ ტანჯვას, რაც ცალკეულ გარემოებებში გაუმართლებელია".

სასამართლომ მოპყრობა „არაადამიანურად" მიიჩნია, რადგანაც, *inter alia*, იგი წინასწარ იყო ჩაფიქრებული და დაგეგმილი, ხორციელდებოდა ოთხი საათის განმავლობაში და გამოიწვია როგორც სხეულის რეალური დაზიანება, ასევე ინტენსიური ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. არაადამიანური მოპყრობის ბევრმა მაგალითმა თავი იჩინა პატიმრობის პერიოდში, რა დროსაც პატიმრები დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას, რომელიც სასტიკი ხასიათისა იყო, მაგრამ არა ისეთი ინტენსივობის, როგორიც მოითხოვება მოპყრობის წამებად კვალიფიცირებისათვის.

დამამცირებელია ქმედება, რომელიც, როგორც ამბობენ, წარმოშობს მსხვერპლში შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც შეუძლია მისი დამცირება და დაკნინება. განმარტების თანახმად, დამამცირებელია მოპყრობა, რომელიც არღვევს მსხვერპლის ფიზიკურ თუ სულიერ ხელშეუვალობას,[819] ან აიძულებს მსხვერპლს იმოქმედოს თავისი სურვილის ან სინდისის საპირისპიროდ.[820]

განხილვის დროს, არის თუ არა სასჯელი ან მოპყრობა „დამამცირებელი" მე-3 მუხლის მნიშვნელობით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, წარმოადგენს თუ არა სასჯელის ან მოპყრობის მიზანს შესაბამისი პირის დამცირება ან დაკნინება, ხოლო, რაც შეეხება შედეგებს, იქონია თუ არა მან უარყოფითი ზეგავლენა მის პიროვნებაზე იმ სახით, რომელიც არ შეესაბამება მე-3 მუხლს.[821] თუმცაღა ასეთი მიზნის არქონას არ შეუძლია გამორიცხოს მე-3 მუხლის დარღვევის დადგენა.

ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა მსხვერპლის ასაკი და სქესი, შეუძლიათ დიდი ზეგავლენა მოახდინონ იმის შეფასებისას, არის თუ არა მოპყრობა დამამცირებელი. ამის საპირისპიროდ, ანალიზი იმისა, მოპყრობა არაადამიანურია, თუ წამებას წარმოადგენს, უფრო სუბიექტურია. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შესაძლებელია საკმარისი აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ მსხვერპლი თვითონ გრძნობს თავს დამცირებულად, თუნდაც სხვის თვალში არ იყოს დამცირებული.

სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში[822] 15 წლის ბიჭს მიესაჯა სხეულებრივი სასჯელი, კერძოდ, სამი დარტყმა ტირიფის როზგით. განმცხადებელს უნდა ჩაეხადა შარვალი და ტრუსები, გადახრილიყო მაგიდაზე, რომლის მეორე მხრიდანაც მას ორი პოლიციელი დაიჭერდა, მესამე კი აღასრულებდა სასჯელს. ტირიფის როზგი ტყდებოდა პირველივე დარტყმაზე. განმცხადებლის მამამ ვეღარ შეძლო თავის გაკონტროლება და „გაიწია" ერთ-ერთ პოლიციელზე, ამიტომაც საჭირო გახდა მისი შეკავება. გაროზგვამ კანი გაუნითლა, მაგრამ არ გაუჭრა განმცხადებელს, რომელსაც

819 *Ireland v. theUnited Kingdom*, გვ 66, 167-ე პუნქტი.

820 *Greek*-ის საქმეზე არსებული კომისიის დასკვნა, IV თავი, გვ. 186.

821 საქმეზე *Ranninen v. Finland* 1997 წლის 16 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი, ECHR 1997-VIII, გვ. 28, 21, 22. 55-ე პუნქტი.

822 *Costello-Roberts v. the United Kingdom*, სერია A № 247–C,გვ. 59, 30-ე პუნქტი.

ტკივილები ჰქონდა ამის შემდგომ კვირა-ნახევრის განმავლობაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებული სასჯელი მოიცავდა შეურაცხყოფისა და დამცირების ელემენტს და მიაღწია იმ ზღვარს, რომელსაც გულისხმობს ცნება „დამამცირებელი სასჯელი".

სიტუაცია, რომლის დროსაც კონვენციის მე-3 მუხლი ყველაზე ხშირად ირღვევა, იქმნება თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მოპყრობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მე-3 მუხლით დაკისრებული ვალდებულებები ნათელი და ცალსახად შესაბამისია. ამიტომაც სწორედ პოლიციის, შეიარაღებული და უშიშროების ძალებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ქმედებებთან დაკავშირებით ხდება იმის გამოძიება, არღვევს თუ არა ხსენებული ქმედებები მე-3 მუხლს.

ის ადამიანები, რომლებსაც აღუკვეთეს თავისუფლება, რის გამოც იმყოფებიან ხელისუფლების ორგანოების სრული კონტროლის ქვეშ, არიან ყველაზე უსუსურები და დგანან საფრთხის წინაშე, რომ მათ წინააღმდეგ ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებენ. ამიტომაც, ხსენებული კონტროლის განხორციელება უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ გამოკვლევას კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.[823]

იმის შეფასებისას, განხორციელდა თუ არა თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობა, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, იქნა თუ არა საერთოდ გამოყენებული ფიზიკური ძალა მათ მიმართ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკულ მეთოდს წარმოადგენს ის, რომ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ ყოფილა ძალიან აუცილებელი და გამოწვეული თავისუფლებააღკვეთილი პირის ქცევით, პრინციპში არის მე-3 მუხლში მოცემული უფლების დარღვევა.[824] აღნიშნული გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მიზანს წარმოადგენს პირის ღირსებისა და ფიზიკური შეუვალობის დაცვა და ამიტომაც, ფიზიკური ძალის ნებისმიერი გამოყენება ამცირებს პირის ღირსებას.

ფიზიკური ძალის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი სამხილი იქნება დაზიანების ხილული ნიშნები ან შესამჩნევი ფსიქოლოგიური ტრავმა. თუკი დაზიანებები დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის პერიოდთან ან ფაქტთან და გამოწვეულია ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული ძალის შედეგად, მაშინ თავისუფლების აღკვეთის განმახორციელებელმა ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შეძლონ იმის დამტკიცება, რომ ეს გამოწვეული იყო თავისუფლებააღკვეთილი პირის ქცევით და გამოყენებულ იქნა მხოლოდ აუცილებელი ძალა. მტკიცების ტვირთი აწევთ თავისუფლების აღკვეთის განმახორციელებელ ხელისუფლების ორგანოებს, რათა წარმოადგინონ ჯეროვანი ახსნა-განმარტება, თუ საიდან გაჩნდა დაზიანებები. წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა შეფასდეს მათი სარწმუ-

---

823 *იქვე, გვ. 73.*

824 *Ribitsch v. Austria,* 1995 წლის 4 დეკემბრის განაჩენი, მოხსენებები განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე (1996ნ.), გვ. 26, 34-ე პუნქტი; *Tekin*-ის საქმე, გვ. 1517-18, 52-ე და 53-ე პუნქტები; და *Assenov and Others v. Bulgaria,* 1998 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი, 94-ე პუნქტი.

ნორბის მიხედვით, ხოლო გარემოებები – მე-3 მუხლთან შესაბამისობიდან გამომდინარე.[825]

თავისუფლების აღკვეთის პირობები ზოგჯერ შეიძლება წარმოადგენდეს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას. აღნიშნული სფერო ასევე ექვემდებარება საზოგადოებებს შორის მისაღები სტანდარტების განგრძობად ევოლუციას. წინა საქმეებში სასამართლო და ადამოქმედი კომისია თავს იკავებდნენ დაედგინათ, რომ თავისუფლების აღკვეთის პირობები არღვევდა მე-3 მუხლს. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომლებშიც აღიარებული იყო პატიმრობის საერთაშორისო ნორმების დარღვევა, მაგრამ არ დადგინდა კონვენციის დარღვევა.[826-827]

პატიმრობის პირობები მიუთითებს როგორც ზოგად გარემოზე, რომელშიც თავისუფლებააღკვეთილები იმყოფებიან, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების რეჟიმსა და კონკრეტულ პირობებზე, რომლებშიც იქ შესახლებული პირები იმყოფებიან. იმის შეფასებისას, შეესაბამება თუ არა კონვენციას გარემო ან პირობები, რომლებშიც თავისუფლებააღკვეთილი პირი იმყოფება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი მდგომარეობა – ასაკი და სქესი, საშიშროება, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს მისგან, ასევე ფაქტორი, ბრალდებულია იგი თუ მსჯავრდებული.

ბრალდებულები სარგებლობენ უდანაშაულობის პრეზუმფციით, რომელიც ეხება არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცედურას, არამედ ასევე იმ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც არეგულირებს ასეთი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ანალოგიურად, ზოგიერთ თავისუფლებააღკვეთილ პირს შესაძლოა ჰქონდეს სპეციალური მოთხოვნილება და აღნიშნულის აღმოუჩენლობა შესაძლოა წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას.

პატიმრობასთან დაკავშირებული განვითარებადი ნორმები მოითხოვს, რომ თავისუფლების აღკვეთის სისტემისათვის ჩვეული მიმდინარე მოპყრობის პრაქტიკის გადახედვა ხდებოდეს რეგულარულად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან. ამასთანავე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ კონკრეტული მოპყრობა, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა არ იყოს დამამცირებელი, ისეთი მეთოდით არ აღსრულდეს, რომ გამოიწვიოს დამამცირებელი მოპყრობა.

განმარტოებითი პატიმრობა ან განცალკევება ხშირად გამხდარა არაადამიანურ თუ დამამცირებელ პირობებთან დაკავშირებული საჩივრების

---

825 საქმეზე *Tomasi v. France*1992 წლის 27 იანვარს გამოტანილი განაჩენი, სერია A №241-A, გვ. 40-41, 108-ე–11-ე პუნქტები; საქმეზე *Ribitsch v. Austria*, 1995 წლის 4 დეკემბრის განაჩენი, მოხსენებები განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე (1996ნ.), გვ. 26, 34-ე პუნქტი; საქმეზე *Aksoy v. Turkey* 1996 წლის 18 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი, გვ. 17, 61-ე პუნქტი.

826 რეიდი ა., 2005, გვ. 79.

827 *იხ.* 1976 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, ნელინდეული 20; 1977 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება, DR 10; *იხ.* კომისიის 1982 წლის 16 დეკემბრის მოხსენება საქმეზე *Krocher and Moller v. Switzerland.* DR 34.

საფუძველი,[828] მაგრამ არც სასამართლოს და არც წამების პრევენციის კომიტეტს არ ჩაუთვლიათ განმარტოებითი პატიმრობა *per se* მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ამისა, გარკვეული სიფხიზლე უნდა იქნეს გამოჩენილი იმ პირების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან განმარტოებითი პატიმრობის მსგავს პირობებში, რა მიზეზითაც არ უნდა იქნეს ეს განხორციელებული. ასე მაგალითად, როდესაც ხდება განმარტოებითი პატიმრობის გაგრძელება ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირისათვის ან არასრულწლოვნისათვის მისი შეფარდება, შესაძლოა საქმე სხვაგვარად იყოს.[829]

წამების პრევენციის კომიტეტმა დაადგინა, რომ განმარტოებითი პატიმრობა შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში წარმოადგენდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[830] კონკრეტული ღონისძიებების სიმკაცრე, მისი ხანგრძლივობა, მიზანი, რომელსაც იგი ემსახურება, ნებისმიერი დამატებით დაწესებული პირობების საერთო შედეგები, ისევე როგორც პირის ფიზიკურ თუ სულიერ კეთილდღეობასთან დაკავშირებით გამოწვეული შედეგები, გადამწყვეტ როლს ითამაშებს იმის შეფასებისას, განმარტოებითი პატიმრობის კონკრეტული შემთხვევა ან განცალკევება წარმოადგენს თუ არა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.[831]

სხეულის (შიშველი) ჩხრეკა მეორე სახის მოპყრობაა, რომელსაც თავისუფლებააღკვეთილი პირები შესაძლოა დაექვემდებარონ, მაგრამ კონკრეტულ გარემოებებში ისიც შეიძლება წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას. სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, სხეულის (შიშველი) ჩხრეკა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა აუცილებელი იყოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების უსაფრთხოებისათვის ან არეულობისა თუ დანაშაულის აღკვეთისათვის, ის უნდა წარიმართოს შესაბამისი მეთოდით. მამრობითი სქესის თავისუფლებააღკვეთილი პირის იძულება, გაშიშვლდეს ქალი თანამშრომლის წინაშე და ამის შემდგომ შიშველი ხელით შეეხოს მის სასქესო ორგანოებსა და საკვებს, აშკარად წარმოადგენს თავისუფლებააღკვეთილი პირის უპატივცემულობას და, შედეგად, ამცირებს მის პიროვნულ ღირსებას. სასამართლომ დაადგინა, რომ რადგანაც აღნიშნულს უნდა წარმოეშვა შესაბამის პიროვნებაში ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდა, რომელსაც შეეძლო მისი დამცირება და დაკნინება, ჩხრეკა წარმოადგენდა დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.[832]

სხვა პრაქტიკა და მეთოდები, როგორიცაა თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის ხელბორკილების დადება ან სხვა შემბოჭავი თუ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შენობის გარეთ (ეზოში) გასეირნებისა თუ თავისუფლებააღკვეთილი პირის მონახულების უფლების ჩამორთმევა, ასევე უნდა დაექვემდებაროს ზედამხედველობას და გამოკვლევას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ განხორციელების მეთოდი არ იყოს უკანონო და არ წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას.

---

828 *იქვე.*

829 რეიდი, ა., 2005, გვ. 80.

830 წამების პრევენციის კომიტეტის მე-2 ზოგადი მოხსენება, 56-ე პუნქტი.

831 1973 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებები, კრებული 44; 1978 წლის 8 ივლისი, DR 14; და 1981 წლის 9 ივლისი.

832 *იხ.* საქმეზე *Valasinas v. Lithuania* 2001 წლის 24 ივლისს გამოტანილი განაჩენი.

პატიმრობის პირობები, როდესაც თავისუფლებააღკვეთილი პირები გადატვირთულ საკანში ცხოვრობდნენ და დაცული არ იყო სანიტარიული ნორმები, არ გააჩნდათ სათანადო რაოდენობის საწოლები და განთავსებული იყვნენ სხვადასხვა დაავადების მატარებელ თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ერთად, წარმოადგენდა დამამცირებელ მოპყრობას.[833]

ერთ-ერთი საქმის მიხედვით, თავისუფლებააღკვეთილ პირს, სულ მცირე, 2 თვის განმავლობაში უხდებოდა დღე-ღამის უმეტესი ნაწილის გატარება პრაქტიკულად თავის საწოლზე მიჯაჭვულს ისეთ საკანში, რომელსაც არ ჰქონდა ვენტილაცია და ფანჯრები და ზოგჯერ აუტანლად ცხელოდა. მას ასევე უხდებოდა ტუალეტის გამოყენება თანამესაკნის თანდასწრებით და ისიც, თავის მხრივ, ესწრებოდა თანამესაკნის მიერ ტუალეტით სარგებლობის პორცესს. სასამართლომ ჩათვალა, რომ თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში არსებული პირობები ამცირებდა თავისუფლებააღკვეთილის პიროვნულ ღირსებას და წარმოშობდა მასში ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც შეეძლო მისი დამცირება და დაკნინება, ასევე მისი ფიზიკური თუ მორალური შეუვალობის დარღვევა. უფრო მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ პირობების გაუმჯობესების მცდელობის გამოუმჟღავნებლობა, როდესაც არსებობდა პატიმრობის სტანდარტებთან დაკავშირებული საჩივრები, წარმოადგენდა თავისუფლებააღკვეთილი პირის უპატივცემლობას. ჯამში, სასამართლომ ჩათვალა, რომ თავისუფლების აღკვეთის განცალკევებულ ნაწილში განმცხადებლის პატიმრობის პირობები წარმოადგენდა დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.[834]

სხვა საქმეში თავისუფლებააღკვეთილი პირი მოთავსებულ იქნა გადატვირთულ და ანტისანიტარიულ საკანში, რომელშიც არ იყო საკმარისი საწოლები, იშვიათად მოდიოდა ცხელი წყალი, არ არსებობდა სუფთა ჰაერზე გასეირნების შესაძლებლობა, საკანი არ ნიავდებოდა და მოკლებული იყო ბუნებრივ განათებას. წამების პრევენციის კომიტეტის მოხსენებები ამყარებდა თავისუფლებააღკვეთილი პირის მტკიცებას, აცხადებდა რა, რომ ხსენებულ ადგილას თავისუფლების აღკვეთის დანესებულების საცხოვრებელი პირობები და პატიმრობის რეჟიმი სრულიად შეუსაბამო იყო ხუთ დღეზე მეტი ხნის პერიოდისათვის, თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის მოცულობითი ფართი არასაკმარისი იყო, ხოლო სანიტარიული პირობები – ყოველმხრივ მიუღებელი. სასამართლომ დაასკვნა, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირის პატიმრობის პირობები და არასაკმარისი რაოდენობის საწოლები, თავისუფლების აღკვეთის პერიოდის იმ შეუსაბამო ხანგრძლივობასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც იგი ამგვარ პირობებში იმყოფებოდა პატიმრობაში, წარმოადგენდა მე-3 მუხლის დარღვევას, კერძოდ კი, დამამცირებელ მოპყრობას.

აღნიშნული საქმეების შედეგები გვიჩვენებს, რომ ამ ეტაპზე მიუღებელია

---

833 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის" გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 311-339, საქმე *Kalashnikov v. Russian Federation.*

834 *იხ.* საქმეზე *Peers v. Greece*2001 წლის 19 აპრილს გამოტანილი განაჩენი.

თავისუფლების აღკვეთის ისეთი პირობები, რომლებიც არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან კონვენციის მე-3 მუხლი არ იძლევა ნებართვას, რომ მოხდეს კვალიფიკაცია, ახსნა-განმარტება იმ მიზნით, რომ არაადეკვატური პირობები, როგორებიცაა: გადატვირთულობა, ანტი-სანიტარია ან არასაკმარისი საწოლები, გამოწვეული ეკონომიკური ან სხვა თანმდევი ორგანიზაციული ან არსებული ფაქტორებით, ვერ გაამართლებს ზემოხსენებული ხარვეზების არსებობას.

წამების პრევენციის კომიტეტმა თავის ზოგად მოხსენებაში აგრეთვე აღნიშნა, რომ არასათანადო მოპყრობა შესაძლოა განხორციელებულ იქნეს მრავალი ფორმით, რომელთაგან უმეტესობა შესაძლოა არ იყოს განზრახ ჩადენილი, არამედ გამოწვეული იყოს ორგანიზაციული დეფექტით ან არა-ადეკვატური დაფინანსებით.[835]

სპეციფიკური სიტუაციები და პრაქტიკა, რომლებიც შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც დამამცირებელი, მე-3 მუხლის თანახმად, ცალკე აღებული თუ სხვა პირობებთან ერთად, შესაძლებელია იყოს გადატვირთულობა,[836] გარე სამყაროსთან კავშირის არქონა, ჰიგიენისა და ტუალეტის არაადეკვატური სტანდარტები, შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის ან ცალკეულ დაავადებათა პროფილაქტიკის არარსებობა.[837]

იმისათვის, რომ სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა დაადგინოს, საკმარისია დასაბუთდეს, მაგალითად, ხელისუფლების მხრიდან სათანადო საკვებით მომარაგების პასუხისმგებლობის შეუსრულებლობა. ერთ-ერთი ახალი საქმის – *მოისეიევსი ლატვიის წინააღმდეგ*[838] – მიხედვით, განმცხადებელს არ აძლევდნენ შესაბამის საკვებს და შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ პურის ნაჭრით, ხახვითა და გამხმარი თევზით იმ დღეებში, როდესაც იმართებოდა ეროვნულ დონეზე მისი სასამართლო პროცესები და ხდებოდა შესაბამისი ეტაპირება. ევროპის სასამართლომ ასეთი საკვები არასაკმარისად ჩათვალა, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასამართლო მოსმენები განმცხადებელზე გაძლიერებული ფსიქოლოგიური დაძაბულობის ეფექტს ახდენდა. სასამართლომ, კერძოდ, აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა წარადგინა საჩივარი, რიგის საოლქო სასამართლოს ტერი-

---

835 ნამების პრევენციის კომიტეტის მე-2 ზოგადი მოხსენება, 44-ე პუნქტი.

836 ნამების პრევენციის კომიტეტის მე-7 ზოგადი მოხსენება (1997წ.), მე-13 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ნამების პრევენციის კომიტეტი რამდენჯერმე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადატვირთულობის სახიფათო ზეგავლენამ პატიმრობის პირობები გადააქცია არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად“.

837 ნამების პრევენციის კომიტეტმა აღნიშნული გარემოება ხაზგასმით აღნიშნა თავისუფლებააღკვეთილი ქალებისათვის ჰიგიენის საჭიროების კუთხით. წამების პრევენციის კომიტეტის ზოგადიმოხსენების მე-10 პუნქტის თანახმად, „ქალებისათვის სპეციალური ჰიგიენის საჭიროება უნდა დაკმაყოფილდეს ადეკვატური გზით. მათ ხელი უნდა მიუნვდებოდეთ და პირად მფლობელობაში უნდა ჰქონდეთ სანიტარიული და დასაბანი საშუალებები . . . ასევე ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ჰიგიენური საშუალებებით, როგორებიცაა სანიტარიული პირსახოცები და ტამპონები. ხსენებული ნივთებით თავისუფლებააღკვეთილი ქალების უზრუნველყოფის განუხორციელებლობა შესაძლოა წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას“.

838 *Moysejevs v. Latvia*, განაცხადი №64846/01, 2006 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება.

ტორიაზე ყოფნის დროს მასა და სხვა განსასჯელებს საკვების რაოდენობა გაუზარდეს. ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ საკვების მიწოდებული რაოდენობა არასაკმარისი იყო. ასევე, როგორც სასამართლომ აღნიშნა, მთავრობამ არ უარყო განმცხადებლის საჩივარი იმის თაობაზე, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაბრუნებისას, საღამოს, რამდენჯერმე მას მხოლოდ პური მისცეს, მთლიანი სადილის ნაცვლად. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელს ხშირად ტანჯავდა შიმშილის გრძნობა სასამართლო მოსმენის დღეების დროს და ეს „არაადამიანური მოპყრობა" იყო.[839]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ საინტერესოა გავეცნოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას კონვენციის მე-3 მუხლის ირგვლივ, რომელიც არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებს ეხება. ამ მხრივ განხილული იქნება სამი მნიშვნელოვანი საქმე: *Guvec v. Turkey* და*T. v. The United Kingdom*.

11.2. საქმე გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec vs. Turkey)

განმცხადებელი იყო ბელგიაში მცხოვრები თურქეთის მოქალაქე,[840] დაბადებული 1980 წელს. საქმე ეხებოდა საჩივარს, რომლის მიხედვით, არასრულწლოვანი განმცხადებელი მოათავსეს სრულწლოვანთათვის გათვალისწინებულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც ხუთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა და რისი შედეგიც იყო მის მიერ თვითმკვლელობის განხორციელების არაერთი მცდელობა.

1995 წლის 30 სექტემბერს განმცხადებელი, რომელიც მითითებული დროისათვის იყო 15 წლის, დააკავეს ქურთების მუშათა პარტიის წევრობის ეჭვის ნიადაგზე. 1995 წლის 12 ოქტომბერს იგი წარუდგინეს სტამბოლის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს, სადაც მოსამართლემ გასცა ბრძანება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მისი გადაყვანის თაობაზე. 1995 წლის 27 ნოემბერს განსასჯელი დამნაშავედ ცნეს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში, რაც იმ დროისთვის სიკვდილით ისჯებოდა. 1997 წლის მაისში ბრალდება შეიცვალა და სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის საფუძველზე 2001 წლის მაისში განმცხადებელი უკანონო ორგანიზაციის წევრობაში ცნეს დამნაშავედ. აღნიშნულისთვის მას სასჯელის სახით დაეკისრა რვა წლითა და ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთა. 2002 წლის მაისში გამართულ საკასაციო სასამართლოს სხდომაზე განმცხადებლისათვის შეფარდებული სასჯელი მხარდაჭერილ იქნა და, შესაბამისად, ძალაში დარჩა. პოლიციაში, პროკურატურასა და სასამართლოში დაკითხვისა თუ ჩვენების მიცემის დროს განმცხადებლის ინტერესებს არ წარმოადგენდა ადვოკატი. სასამართლოს მიერ საქმის ხელახალი განხილვის დროს როგორც განმცხადებელი, ისე მისი ადვოკატი, არ დასწრებიან განხილვათა უმეტესობას.

2000 წლის აგვისტოში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ექიმმა

---

839 ბოხაშვილი ბ., 2009, გვ. 82, 83.

840 http://sim.law.uu.nl

შეადგინა ოქმი, რომლის მიხედვითაც, განმცხადებელს აღენიშნებოდა სერიოზული ფსიქიატრიული პრობლემები და 1999 წლის განმავლობაში ორჯერ სცადა თვითმკვლელობა. ექიმმა დაასკვნა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა განმცხადებელთან მოპყრობის მხრივ არ იყო სათანადო და მას ესაჭიროებოდა გადაყვანა სპეციალიზებულ საავადმყოფოში. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განმცხადებლის ყოფნის პერიოდში, ხელახალი სამედიცინო დასკვნა მომზადდა (2001 წლის აპრილი), რომელშიც აღინიშნა, რომ განმცხადებელმა მესამედ სცადა თვითმკვლელობა (1998 წლის სექტემბერი) და საავადმყოფოში ყოფნისას (2000 წლის ივნისიდან 2000 წლის ივლისამდე) უმკურნალეს „ძირითადი დეპრესიის" კუთხით. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ განმცხადებლისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური პრობლემები დაიწყო და გაუარესდა თავისუფლების აღკვეთის პერიოდში. დამატებით, განმცხადებელმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე აღნიშნა, რომ პოლიციის განყოფილებაში დაკავებულის სტატუსით ყოფნისას მის მიმართ იყენებდნენ ელექტროშოკს, ასხამდნენ დიდი წნევით წყლის ჭავლს და სცემდნენ ხელკეტების საშუალებით. განმცხადებელმა თურქეთი 2002 წელს დატოვა და ბელგიაში მიიღო ლტოლვილის სტატუსი.

განმცხადებელი, ეფუძნებოდა რა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს (არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა), ასაჩივრებდა მის განთავსებას სრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და მისი საქმის განხილვას სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიერ, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს ნაცვლად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთის მიზნით სრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის განკუთვნილ დაწესებულებაში განთავსება ეწინააღმდეგებოდა როგორც თურქეთის მოქმედ კანონმდებლობას, ასევე – იმ დროს ქვეყნის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს. მან დამატებით აღნიშნა, რომ 2001 წლის აპრილის სამედიცინო დასკვნის თანახმად, განმცხადებლის ფსიქოლოგიური პრობლემები დაიწყო და შემდეგ გაუარესდა თავისუფლების აღკვეთის პერიოდში.

განმცხადებელი მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო, როდესაც იგი ხუთი წლის ვადით განათავსეს სხვა სრულწლოვან პატიმრებთან ერთად. პირველი ექვს-ნახევარი თვის განმავლობაში მისთვის ხელმიუწვდომელი იყო სამართლებრივი დახმარების მიღება; არც ადეკვატური სამართლებრივი წარმომადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა მოხდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსების დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნულმა გარემოებებმა, შეჯერებულმა იმ ფაქტით, რომ 18 თვის განმავლობაში მას ადანაშაულებდნენ ქმედებაში, რომელიც სიკვდილით ისჯებოდა, მისთვის სრულიად გაურკვეველი სიტუაცია შექმნა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა აშკარად შეუწყო ხელი განმცხადებლის ფსიქოლოგიური პრობლემების წარმოშობას, რამაც,

თავის მხრივ, რამდენჯერმე თვითმკვლელობის მცდელობისკენ უბიძგა მას. რაც მთავარია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც პირდაპირ პასუხისმგებელი იყვნენ განმცხადებლის პრობლემებზე, აშკარად ვერ უზრუნველყვეს მისთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების ორგანიზება.

შესაბამისად, გაითვალისწინა რა განმცხადებლის ასაკი, სრულწლოვნებთან ერთად მისი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სათანადო სამედიცინო მომსახურების ორგანიზების უზრუნველყოფა მის ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით, დაბოლოს, შესაბამისი ზომების განუხორციელებლობა თვითმკვლელობის განმეორებითი მცდელობების აღსაკვეთად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეჭვგარეშე დაადგინა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, რითაც დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

11.3. საქმე ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (T. vs. The United Kingdom)

საქმის *T. v. The United Kingdom*,[841] *V. v. The United Kingdom* აპლიკანტებს, რომლებიც იყვნენ ბრიტანეთის მოქალაქეები, დაბადებულნი 1982 წელს, რომელთაც სასამართლოს სთხოვეს არ გაემჟღავნებინა მათი სახელები, 1993 წლის ნოემბერში ბრალად დაედოთ ორი წლის ბიჭის მოტაცება და მკვლელობა. დანაშაულის ჩადენის დღისთვის ისინი ათი წლის იყვნენ, ხოლო სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის დროს 11 წლის. სასამართლო საქმის განხილვა მოხდა საჯაროდ მეფის სასამართლოში და პრესისა და საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. ბრალდების შემდეგ აპლიკანტებს მიესაჯათ უვადო თავისუფლების აღკვეთა „მისი უდიდებულესობის დისკრეციის ფარგლებში". ინგლისის სამართლისა და პრაქტიკის მიხედვით, ბავშვებმა და ახალგაზრდა პირებმა, რომელთაც მიესჯებათ თავისუფლების აღკვეთა „მისი უდიდებულესობის დისკრეციის ფარგლებში", პირველად უნდა მოიხადონ შინაგან საქმეთა სამდივნოს მიერ დადგენილი „სატარიფო" პერიოდი, იმისათვის რომ დააკმაყოფილონ დასჯისა და პრევენციის მოთხოვნები. „სატარიფო" პერიოდის გასვლის შემდეგ თავისუფლებააღკვეთილი პირები უნდა გათავისუფლდნენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის შეხედულებით, ისინი საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. შინაგან საქმეთა სამდივნომ თითოეულ აპლიკანტს განუსაზღვრა თხუთმეტწლიანი „სატარიფო" პერიოდი. აღნიშნული გადაწყვეტილება ლორდთა პალატის მიერ გაუქმდა სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვისას 1997 წლის 12 ივნისს. იმ დღიდან არ დადგენილა ახალი „სატარიფო" პერიოდი.

აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ ასაკის გათვალისწინებით, მათი სასამართლოს საჯაროდ საქმისწარმოება მოზრდილთა მეფის სასამართლოში და მათთვის გამოტანილი განაჩენის დამსჯელობითი ხასიათი არღვევდა მათ უფლებას, არ დაქვემდებარებოდნენ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, როგორც ეს გარანტირებული იყო კონვენციის მე-3 მუხლით.

841 http://sim.law.uu.nl

ამასთან ისინი ჩიოდნენ, რომ მათ მე-6 მუხლის დარღვევით უარი ეთქვათ სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე. დამატებით, ისინი დაობდნენ, რომ სასჯელი, რომელიც მათ დაეკისრათ – „მისი უდიდებულესობის დისკრეციის ფარგლებში" თავისუფლების აღკვეთა – უტოლდებოდა მე-5 მუხლით გარანტირებული თავისუფლების უფლების დარღვევას და ის ფაქტი, რომ „ტარიფის" განსაზღვრაზე პასუხისმგებელი იყო მთავრობის მინისტრი და არა მოსამართლე, არღვევდა მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. დაბოლოს, ისინი მე-5(4) მუხლის საფუძველზე დაობდნენ, რომ ბოლო დღემდე არ ჰქონიათ საშუალება ესარგებლათ მათი დაკავების კანონიერების შესწავლის შესაძლებლობით სასამართლოს ისეთი უწყების მიერ, როგორიცაა პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისია.

მთავრობამ განაცხადა, რომ აპლიკანტების საჩივარი, რომელიც გულისხმობდა მათ ახალგაზრდულ ასაკს და ემოციური აფორიაქების დონეს, მათი საჯარო სასამართლოს გათანაბრებას არაადამიანურ და დამამცირებელ მოპრობასთან კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ და რომ მათ არ მიეცათ შესაძლებლობა სრულად გაეგოთ ან მონანილეობა მიეღოთ სასამართლო საქმისწარმოებაში მე-6 მუხლის დარღვევით, უნდა გამოცხადდეს მიუღებლად, ვინაიდან არ იყო ამონურული ადგილობრივი მექანიზმები, რადგან მათ არ აღუძრავთ არანაირი საჩივარი ან განაცხადი ადგილობრივი საქმისწარმოების განმავლობაში. თუმცა მთავრობამ ვერ შეძლო მიეთითებინა რომელიმე საქმის მაგალითი, რომელშიც ქმედუუნარო ბრალდებულმა, რომელსაც, ინგლისის სამართლის მიხედვით, არ გააჩნია დადგენილი მოთხოვნა/გასაჩივრების კომპეტენცია, მიაღწია სისხლის სამართალწარმოების შეჩერება/გადადებას იმ საფუძვლით, რომ მას არ შესწევდა უნარი სრულად მიეღო მონანილეობა სასამართლო პროცესში, ან მიეთითებინა იმ შემთხვევაზე, რომელშიც ბავშვმა, რომელსაც ბრალად ედებოდა მკვლელობა ან სხვა სერიოზული დანაშაული, მიაღწია საქმისწარმოების გადადებას, იმ საფუძვლით, რომ მეფის სასამართლოში საჯარო საქმისწარმოება მას ზიანს ან ტანჯვას მოუტანდა. შესაბამისად, სასამართლომ უარყო წინასწარი გასაჩივრება.

სასამართლომ, პირველ რიგში, განიხილა, თუ რამდენად უტოლდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, ათი წლის ასაკში ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებით, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას. მან ვერ დაადგინა, რომ არსებობდა ერთიანი ნათელი სტანდარტი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით. სახელმწიფოების უმეტესობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი უფრო მაღალი აქვს, ვიდრე ინგლისსა და უელსს, სხვა სახელმწიფოებს კი, როგორებიცაა: კვიპროსი, ირლანდია, ლიხტენშტეინი და შვეიცარია, ასეთი სახის პასუხისმგებლობა განსაზღვრული აქვთ უფრო ახალგაზრდა ასაკიდან; ასევე შეუძლებელია რაიმე სახის აშკარა ტენდენციის მტკიცება ისეთი შესაბამისი საერთაშორისო ტექსტებისა და ინსტრუმენტების შესწავლიდან, როგორიცაა, მაგალითად, გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვის უფლებებზე. ინგლისი და უელსი რომც ყოფილიყვნენ იმ მცირერიცხოვან

სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრული აქვთ დაბალი ასაკი, ათი წელი არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ ახალგაზრდულ ასაკად, რომელიც შეიძლება არაპროპორციული იყოს სხვა ევროპული სახელმწიფოების მიერ განსაზღვრულ პასუხისმგებლობის დადგომის ასაკთან. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება აპლიკანტებზე, თავის მხრივ, არ წარმოშობდა მე-3 მუხლის დარღვევას.

მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის მეორე ნაწილი ეხებოდა სასამართლო პროცესს, კერძოდ კი იმ ფაქტს, რომ სასამართლო საქმისწარმოება მიმდინარეობდა, დაახლოებით, სამი კვირის განმავლობაში საჯაროდ, მეფის სასამართლოში ფორმალობის თანხლებით. სასამართლომ ცნო, რომ საქმისწარმოება არ იყო მოტივირებული სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან აპლიკანტების დამცირების ან მათთვის ტანჯვის მიყენების განზრახვით; რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ზომები იქნა მიღებული იმისათვის, რომ მომხდარიყო მეფის სასამართლოს პროცესის მოდიფიცირება და სრულწლოვანთა სასამართლოს სიმკაცრე შეერბილებინათ, აპლიკანტების ახალგაზრდული ასაკის გათვალისწინებით. გარდა ამისა, არსებობდა ფსიქიატრიული მტკიცებულება, რომ ასეთ პროცესს, სავარაუდოდ, ექნებოდა ზიანის მომტანი შედეგი 11 წლის ბავშვებისთვის, თუმცა ნებისმიერი გამოკითხვა ორი წლის ბავშვის მკვლელობასთან დაკავშირებით, გაიმართებოდა ეს საჯაროდ, თუ დახურულად საქმისწარმოებისას, მეფის სასამართლოს ფორმალობებით, თუ არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ სასამართლოში არაფორმალურად, აპლიკანტებში გამოიწვევდა დანაშაულის, წვალების, ტანჯვისა და შიშის პროვოცირებას, მაშინ როცა პროცესის საჯარო ხასიათი გაამწვავებდა ამ გრძნობებს გარკვეულ დონემდე. სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ტანჯვა, რომელიც გამონვეული იყო სასამართლო პროცესის ამ კონკრეტული მახასიათებლებით, მნიშვნელოვნად სცილდებოდა იმ გარდაუვალ ზღვარს, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში დადგებოდა, ხელისუფლების მცდელობების მიუხედავად. დასკვნის სახით, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ დაადგინა, რომ აპლიკანტების სასამართლო პროცესმა დაარღვია მე-3 მუხლი.

ბიბლიოგრაფია

პირველი-მეხუთე თავების ბიბლიოგრაფია

არსოშვილი, გ./ მიქანაძე, გ./ შალიკაშვილი, მ., პრობაციის სამართალი. თბილისი, 2015.

ასათიანი მ., კულტურის სოციოლოგია: სალექციო კურსი სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრატურისათვის, თბილისი, 2006.

ბაძაღუა მ., ჯგუფური დანაშაული, თბილისი, 1998.

ბოხაშვილი ი./ ბენიძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, „სამართლის ჟურნალი" (თსუ), №2, თბილისი, 2009.

ბრეგვაძე, ლ., ანომიის თეორია კრიმინოლოგიასა და სამართლის სოციოლოგიაში: სოციალური ინტეგრაციისა და ნორმატიული რეგულირების პრობლემები. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები. რედ. გამყრელიძე, ო., (პროფ. თ. შავგულიძის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიათა კრებული). თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი 2006.

გაბიანი ა./ღვინეფაძე ლ., მოზარდთა შორის მავნე ჩვევების გავრცელების სამედიცინო-სოციალური საკითხები, ჟურნალი „სამართალი", №2, 2000, გვ. 43-48.

გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბილისი, 2002.

გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 2008ა.

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტზე http://www.parliament.ge/ge/law/8688/19791

გაეროს ბავშთა ფონდის (იუნისეფის) საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, 2007-2008.

გეგელაშვილი მ./ჯალიაშვილი თ., ბავშვთა და მოზარდთა ქცევის პრობლემები. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგები, თბილისი, 2005.

გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./ნიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია. თბილისი, 2012.

გვენეტაძე, ნ., საპროცესო შეთანხმება – საქართველოში კანონმდებლობის ანალიზი. სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში. სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული. ტურავა მ., (რედ.). სტატიათა კრებული. თბილისი, 2013.

გოგშელიძე რ. (რედ.), სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2008.

გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი, 1998.

დემეტრაშვილი ა./კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008.

დვალიძე, ირ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი, 2013.

ერემაძე, ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბილისი 2013.

ზეპრი, ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი. თბილისი, 2013. იხ.: http://www.ph-int.org

თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი, 2014.

თუმანიშვილი, გ., აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში. სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში. სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული. ტურავა მ., (რედ.). სტატიათა კრებული. თბილისი, 2013.

თუმანიშვილი, გ., დაზარალებული თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში. „სამართლის ჟურნალი" (თსუ), №2, თბილისი, 2009.

ინწკირველი ზ., არასრულწლოვანი ბრალდებულის ხასიათის თავისებურების, მოთხოვნილების და ინტერესის გათვალისწინება დაკითხვის პროცესში, ჟურნალი: „სამართალი", Nr. 4-5, 2000, გვ. 88–90.

კვირიკაშვილი ბ./ანდღულაძე თ., საქართველოში დანაშაულობის პროფილაქტიკისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევის კრიმინოლოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „ალმანახი„, 2000, №13.

კოდუა, ე., სოციოლოგია. II ნაკვეთი. თბილისი 1998.

კოდუა ე. და სხვ. (სარედ. ჯგუფი), სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი – ცნობარი, თბილისი, 2004.

კოპალეიშვილი, მ., იწვევს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის მოქმედება მშობლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. „სამართლის ჟურნალი" (თსუ), №1, თბილისი, 2013.

კუბლაშვილი, კ., ძირითადი უფლებები. იურიდიული სახელმძღვანელო. თბილისი, 2014.

ლალიაშვილი, თ., საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა და მისი აღმოფხვრის გზები. სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში. სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული. ტურავა მ., (რედ.). სტატიათა კრებული. თბილისი, 2013.

ლეკვეიშვილი მ. და ავტ. კოლ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბილისი, 2008.

მაკბრაიდი, ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართალი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალი. თბილისი, 2013.

მერდოკი, ჯ./ როშე, რ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება. სახელმძღვანელო პოლიციის ოფიცრებისა და სხვა სამართალდამცველი პირებისათვის. თბილისი, 2013.

მოსულიშვილი მ., არასრულწლოვანთა დანაშაულისა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „სამართალი", 2000, №4-5, გვ. 86.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანული კანონმდებლობის მიხედვით. მ. ლეკვეიშვილი/მ. შალიკაშვილი (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები. სტატიათა კრებული. თბილისი 2011.

ნაჭყებია გ./ დვალიძე ი. (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო, თბილისი, 2007.

ოსტერმილერი, ს./ სვენსონი, დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში. საბაზისო სახელმძღვანელო. თბილისი, 2014.

სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი. დანაშაული, თბილისი, 1997.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი „მართლმსაჯულება საქართველოში", 2009, 2008, 2007 წლის სტატისტიკა.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი, 2013. (მუხლი 14, 16 გოცირიძე, ე.; მუხლი 7, 39, იზორია, ლ. მუხლი 20, კობახიძე, ირ.)

ტურავა მ., სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013.

ტურავა, მ., ჰარმონიული კონვერგენცია საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესში და ქართული სისხლის სამართლის საპროცესო წესები. კორკელია, კ. (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. (სტატიათა კრებული) თბილისი, 2014. გვ. 94.

ტურავა, პ., საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტთან. კორკელია, კ. (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. (სტატიათა კრებული) თბილისი, 2014. გვ. 119.

ტულუში, თ./ბურჯანაძე, გ./მშვენიერაძე, გ. /გოცირიძე, გ. /მენაბდე, ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013.

უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 2006.

ფაფიაშვილი ლ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2008.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, თბილისი, 1983.

ქურხული ლ., ბავშვთა აგრესია, თბილისი, 2006.

ღლონტი გ. (რედ.), კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008.

შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., სასჯელაღსრულების სამართალი. თბილისი, 2014.

შალიკაშვილი, მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში. მ. ლეკვეიშვილი-85 საიუბილეო სტატიათა კრებული. თბილისი 2014.

შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი, 2013.

შალიკაშვილი მ./ჩიხლაძე, დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისი/ბერლინი, 2013.

შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი, 2012.

შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2011ა.

შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. თბილისი, 2011ბ.

შალიკაშვილი მ., კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი (საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში). „სამართლის ჟურნალი" (თსუ), №1-2, 2010. გვ. 197-210

შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში. ბერნი 2012.

შვაბე, იურ., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011.

შუშანაშვილი ა., იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ჩხარტიშვილი შ., სოციალური აღზრდის ფსიქოლოგია, თბილისი, 1954.

წიქარიშვილი კ., ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბილისი, 2002.

ხაინდრავა, ნ./ ბოხაშვილი, ბ./ ხიდაშელი, თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანალიზი. თბილისი, 2010.

ხერხეულიძე, ი., პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი). მ. ლეკვეიშვილი – 85. საიუბილეო სტატიათა კრებული. თბილისი 2014.

ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004.

ხუჭუა ნ., ასაკი, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება, ჟურნალი „ალმანახი" 1998, სისხლის სამართალი, I, გვ. 18.

ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. თბილისი, 2011.

ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში. თბილისი, 2007. http://unicef.ge/uploads/GEO–Assessment–Report.–GEO.pdf

Albrecht, P.-A., Kriminologie. Eine Grundlegung zum Strafrecht. 3. Auflage. München 2005.

Arnold, D. O., The sociologie of subcultur. Berkeley/Cal 1970.

Bandura, A., Aggression – eine sozial-lerntheoretische Analyse. Stuttgart 1979.

Bauer, G./Winkler von Mohrenfels, K., Sozializationsbedingungen jugendlicher Straftäter. Stuttgart 1985.

Belson, W.A., Television Violence and the Adolescent Boy. Westmead/Farnborough/ Hampshire 1978.

Bemmann, G., Täter –Opfer-Ausgleich im Strafrecht. In: Juristische Rundschau (JR) 6/2003. S. 227.

Berkowitz, L., et al., Film Violence and Subsequent Aggressive Tendencies. In: Pablic Opinion Quarterly. 1963, 27, pg. 217-229.

Bereswill, M./Greve, W. (Hrsg.), Forschungsthema Strafvollzug. Baden-Baden 2001.

Berger, S.M., Conditioning through Vicarious Instignation. In: Psychological Review 1962, 69, S. 105-456.

Becker, H., Outsiders, Studies in the Sociology of Deviance. New York 1963.

Butz, K., Die Verfassungsmässigkeit der Verhängung von Jugendstrafe. Hamburg 2003.

Cohen, A. K., Kriminelle Jugend. Zur Soziologische jugendlichen Bandwesens. Reinbek bei Hamburg 1961

Cohen, A. K. & Short, J. F. Jr., Research in Delinquent Subcultures. In: Journal of Social Issues 14, 1958. S. 20-37

Cornel, H. u.a., Resozialisirung. 3. Auflage. Baden-Baden 2009.

Cloward, R., Illegitime Mittel, Anomie und abweichendes Verhalten. In: Sack, F./ Konig, R. (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt am Main 1968. S. 314 – 338.

Clarke, J., Jugendkultur als Widerstand. Milieus, Rituale, Provokationen. Frankfurt am Main 1979.

Dessecker, A. (Hrsg.), Jugendarbeitslosigkeit und Kriminalität. Wiesbaden 2006.

Diemer, H./Schoreit, A. /Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar. 3. Auflage. Heidelberg 1999; 5. Auflage. Heidelberg 2008.

Diemer, H./Schatz, H. /Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar. 6. Auflage. München 2011.

Dölling, D. u.a., Der Täter-Opfer-Ausgleich in Deutschland. Mönchengladbach 1998.

Durkheim, E., Kriminalität als normales Phänomen. In: Sack, F./ Konig, R. (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt am Main 1968. S. 3-8.

Eisenberg, U., Kriminologie. 6. Auflage. München 2005.

Eisenberg, U., Jugendgerichtsgesetzkommentar. 11. Auflage 2006; 14. Auflage. München 2010.

Eron, L.D./ Huesmann, R.L., Fernsehen, Familie und Kultur. In: Empirische Medienpsychologie, Groebel, J./Winterhoff-Spurk (Hrsg.), München 1989. S. 151-167.

Feshbach, S., The Carthartic Effect: Research and Another View. In: Barek, R.K. / Balt, S.J., Mass Media and Violence. Vol. IX, Washington 1969.

Gold, M., Status Forces In Delinquent Boys. Michigan 1963.

Göppinger, H., Der Tater in seinen sozialen Bezugen. Ergebnisse aus der Tubinger Jungtäter-Vergleichsuntersuchung. Berlin 1983.

Göppinger, H., Kriminologie. 6. vollständig neu bearbeitete und erweiterte Auflage. München 2008; Kriminologie. 5. Auflage. München 1997.

Götting, B., Schadenswiedergutmachung im Strafverfahren. Münster 2004.

Geen, R., et al., Name-mediated Aggressive Cue Properties. In: Journal of Personality 1966, 34, pg. 456-465.

Gröpl, Ch./Windthorst, K./von Coelln, Ch., Grundgesetz. Studienkommentar. München 2013.

Haft, F./ Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), Handbuch Mediation. 2. Auflage. München 2009.

Haferkamp, H., Kriminalität ist Normal. Zur Gesellschaftlichen Produktion abweichendes Verhaltens. Stuttgart 1972.

Haverkamp, R., Elektronisch überwachter Hausarrestvollzug. Ein Zukunftsmodell für den Anstaltsvollzug? Freiburg i.Br. 2002.

Hestermann, Th., Verbrechensopfer – Leben nach der Tat. Reinbek bei Hamburg 1997.
Hellmer, J., Jugendkriminalität. 4. Auflage. Darmstadt 1978.
Hirschi, T., Causes of Delinquency. Berkeley 1969.
Huebner, P., Die Kultur der Sowjetunion an der Schwelle zur Marktwirtschaft: Schwierige Ausgangslage und neue Probleme. In: Bundesinstitut für ostwissenschaftliche und internationale Studien (BIOst) 29-1991.
Hurrelmann, K., Lebensphase Jugend: eine Einführung in die sozialwissenschaftliche Jugendforschung. 10. Auflage. Weinheim 2010.
Hudy, M., Elektronisch überwachter Hausarrest. Befunde zur Zielgruppenplanung und Probleme einer Implementation in das deutsche Sanktionensystem. Baden-Baden 1999.
Jung, L., „Wir habe begonnen umzudenken...": Michail Gorbatschows Reformkonzept fuer die UdSSR; Geschichete – Ideologie – Praxis – Perspektiven. Köln 1987.
Kaiser, G., Jugendrecht und Jugendkriminalität. Weinheim 1973.
Kaiser, G., Kriminologie. Heidelberg/Karlsruhe 1980.
Kaiser, G., Kriminologie. Eine Einführung in die Grundlagen. 7. neubearb. und ergän. Auflage. Heidelberg 1985; 10. Auflage. Heidelberg 1997.
Kaiser, G., Kriminologie: ein Lehrbuch. 3., völlig neubearb. u. erw. Auflage. Heidelberg 1996.
Kaiser, G./Schöch, H., Kriminologie – Jugendstrafrecht – Strafvollzug. 3. Auflage. München 1987
Kawamura-Reindl, G., Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Efrordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004.
Koehler, J., Die Zeit der Jungs. Zur Organisation von Gewalt und der Austragung von Konflikten in Georgien. Münster 2000.
Kunz, K.-L., Kriminologie: Eine Grundlegung. 2. vollst. überarbeitete Auflage. Wien 1998.
Krüger, H., Rückfallquote: rund 30% – Massenstatistische Beobachtungen der Rückfallkriminalität ausgesuchten Altersgruppen. In: Kriminalistik 1983. S. 326.
Kreuzer, A., u.a. (Hrsg.), Fuhlende und denkende Kriminalwissenschaften. Ehrengabe für Anne-Eva Brauneck. Mönchengladbach 1999.
Kuhn, A., u.a., „Tat-Sachen" als Konflikt. Schriftenreihe der DBH. Bonn 1989.
Laubenthal, K./Baier, H., Jugendstrafrecht. 1. Auflage. Heidelberg 2006.
Laubenthal, K., Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011.
Laubenthal, K./Baier, H./Nestler, N., Jugendstrafrecht. 3. Auflage. Heidelberg 2015.
Lamnek, S., Wieder den Schulenzwang. München 1985.
Lackner, K./Kühl, K., Strafgesetzbuch mit Erläuterungen. 25. Auflage. München 2004.
Lazarus, R.S., et al., The Principle of Shortcircuiting of Threat: Further Evidence. In: Journal of Personality 1965, 33, pg. 622-635.
Lemert, E., Social Pathology. New York 1951.
Levada, J., Die Sowjetmenschen. Berlin 1992.
Lempp, R., Eine Pathologie der psychischen Entwicklung. 3. Auflage. Bern 1975.
Lindenberg, M., Elektronisch überwachte Hausarrest auch in Deutschland. BewHi 1/1999.

Mattern, U., Zwischen Sensationsjournalismus und öffentlicher Verantwortung – Kriminalprävention als Aufgabe der Medien. In: Kury, H. (Hrsg.), Ist Straffälligkeit vermeidbar? Möglichkeit der Kriminalprävention. Bochum 1982. S. 296 – 355.

Mayer, M., Modellprojekt elektronische Fußfessel. Studien zur Erprobung einer umstrittenen Maßnahme. Freiburg i.Br. 2004.

Meier, B.-D., Kriminologie. 2. Auflage. München 2005; 3. Auflage. München 2007.

Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., Jugendstrafrecht. 2. Auflage. München 2007; 3. Auflage. München 2013.

Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R. (Hrsg), Jugendgerichtsgesetz. Handkommentar. 2. Auflage. Baden-Baden 2014.

Merton, R., Sozialstruktur und Anomie. In: Sack, F./ Konig, R. (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt am Main 1968. S. 283 – 313.

Mergen, A., Die Kriminologie. Eine systematische Darstellung. 3. Auflage. München 1995.

Miller, W. B., Die Kultur der Unterschicht als ein Entstehungsmilieu für Bandendelinquenz. In: Sack, F./ Konig, R. (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt am Main 1968. S. 339 – 359.

Mollenhauer, W., Zur Problematik langer Freiheitsstrafen vollzogen an jungen Gefangenen. In: MschrKrim 1961, S. 162.

Nedopil, N., Forensische Psychiatrie. 2. Auflage. Stuttgart 2000.

Neubacher, F., Kriminologie. 2. Auflage. Baden-Baden 2014.

Niesing, J., Die Bedeutung der Lerntheorien für die Kriminalätiologie, Verbrechensprävention und –sanktionirung. Münster 1996.

Nye, F. I., Family Relationships and Delinquent Behavior. Westport 1958.

Newburn, T., Criminology, London 2007.

Oberloskamp, H./ Brosch, D./ Brosey, D./ Grühn, C., Jugendstrafrechtliche Fälle für Studium und Praxis. 12., aktualisierte Auflage. Köln, 2011.

Ostendorf, H., Jugendstrafrecht. 7. Auflage. Kiel 2013; 8. Auflage. Kiel 2015.

Ostendorf, H., Jugendgerichtsgesetzkommentar. 8. Auflage. Baden-Baden 2009.

Opp, K.-D., Die „Alte" und die „Neue" Kriminalsoziologie. Eine kritische Analyse einige Thesen des labeling approach. In: Kriminologisches Journal (Krim. J.) 1. 1972. S. 32-52.

Opp, K.-D., Theorie sozialer Krisen: Apathie, Protest und kollektives Handeln. Hamburg 1978.

Paasch, E., Jugendkriminalität – ganzheitliche Ursachenanalyse und staatliche Reaktionsmöglichkeiten. In: Kriminalistik 2001. S. 373 – 375.

Peters, K., Grundprobleme der Kriminalpädagogik. Berlin 1960.

Quensel, S., Wie wird man kriminell? Verlaufsmodell einer fehlgeschlagenen Interaktion zwischen Delinquenten und Sanktionen. In: Kritische Justiz 1970. S. 375-382.

Reiss, A. J., Delinquency as the Failure of Personal and Social Controls. In: American Sociological Review, (16) 1951. (pg. 196 – 207)

Rüther, W., Abweichendes Verhalten und labeling approach. Berlin u.a. 1975.

Streng, F., Jugendstrafrecht. 2. Auflage. Heidelberg 2008.

Streng, F., Erziehungsstrafe von mehr als fünf Jahren? In: StV 1998. S. 336-340.

Steinbach, Ch., Pädagogische Psychologie. Stuttgart 2003.

Shalikashvili, M., „Diebe im Gesetz": Eine kriminelle Organisation im deutschen Jugendstrafvollzug? Die aus der ehemaligen UdSSR stammende kriminelle Organisation „Wor v Sakone" – „Dieb im Gesetz" und ihre subkulturelle Existenz unter russischsprachigen Gefangenen in einer deutschen Jugendstrafanstalt bei Hamburg. Berlin 2009.

Schaffstein, F./ Beulke, W., Jugendstrafrecht. 14. Auflage. Stuttgart 2005.

Schaffstein, F./ Beulke, W., Swaboda, S., Jugendstrafrecht. Eine systematische Darstellung. 15. Auflage. Stuttgart 2014.

Schäfers. B., Soziologie des Jugendalters. Opladen 1994. S. 83.

Schönke, A./Schröder, H., Strafgesetzbuch. Kommentar. 27. Auflage. München 2006.

Schöch, H., Ist Kriminalität Normal? Probleme und Ergebnisse der Dunkelfeldforschung. In: Kriminologische Gegenwartsfragen (KrimGegfr) 12 (1976). S. 211-228.

Schleicher, H., Jugend- und Familienrecht. Ein Studienbuch. 14. Auflage. München 2014.

Schneider, U., Körperliche Gewaltanwendung in der Familie. Berlin 1987.

Schneider, H.J., Kriminologie. Berlin/NewYork 1987.

Schneider, H.J., Die gegenwärtige Situation des Verbrechensopfers, Fortschritte und Probleme der Viktimologie-Forschung. In: ÖJZ (Österreichische Juristen-Zeitung) 1999. S. 121.

Schneider, H.J., Kriminologie für das 21. Jahrhundert. Münster 2001.

Schneider, K., Electronic Monitoring. Alternativer Strafvollzug oder Alternative zum Strafvollzug? Baden-Baden 2003.

Schwind, H.-D., Kriminologie. Eine praxisorientierte Einführung mit Beispielen. 18. Auflage. Heidelberg 2008; 20. Auflage 2010.

Schwendter, R., Theorie der Subkultur. 4. Auflage. Hamburg 1993

Tannenbaum, F., Crime and the Community. London 1938, 1. Edition. 1951, 2. Edition.

Tekles, H., Jugendhilfeplan der Stadt Passau: Teil I Sozialraumanalyse, Unterhaching im Oktober 1998.

Walter, M., Jugendkriminalität. 3. Auflage. Düsseldorf 2005.

Wetzels, P., u.a., Jugend und Gewalt. Baden-Baden 2001.

Wetzels, P. /Enzmann, D., Die Bedeutung der Zugehörigkeit zu devianten Cliquen und der Normen Gleichaltriger für die Erklärung jugendlichen Gewalthandelns. In: DVJJ-Journal 2/1999. S. 116-129.

Weber, M., Die Anwendung der Jugendstrafe. Rechtliche Grundlagen und gerichtliche Praxis. Frankfurt a.M. 1990.

Weber, J.P., Der elektronisch überwachte Hausarrest und seine versuchsweise Einführung in der Schweiz. Basel u.a. 2004.

Weschke, E. (Hrsg.), Jugenddelinquenz. Empirische Untersuchungen in Berlin. Berlin 1989.

Weidner, J., Anti-Aggresivitäts-Trening für Gewalttäter. Bonn 1997.

Winter, F. (Hrsg.), Der Täter-Opfer-Ausgleich und die Vision von einer „heilenden" Gerechtigkeit. Worpswede 2004.

Wittstamm, K., Elektronische Hausarrest? Zur Anwendbarkeit eines amerikanischen Sanktionsmodells in Deutschland. Baden-baden 1999.

არსოშვილი, გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2009

ბოხაშვილი ბ., „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისინნებული პოზიტიური ვალდებულებები – პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები", კ. კორკელიას რედაქციით გამოცემული „სტატიათა კრებული – ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები", თბილისი 2009.

კოილი, ე., პენიტენციარული სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციარული სისტემის თანამშრომლებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი 2007.

მიქანაძე, გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან დაკავშირებული თავისებურებანი, სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი 2009.

რეიდი ა., „ნამების აკრძალვა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება", თბილისი 2005

საძაგლიშვილი, შ., სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (3), სახელმძღვანელოში კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. თბილისი 2014

შალიკაშვილი, მ./ ჩიხლაძე, დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისი/ბერლინი 2013

„ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის", გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი 2007.

„ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული", გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი 2007.

გაერთიანებული ერების სახელშეკრულებო ორგანოთა დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი 2008.

„პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები – პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის", „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის" გამოცემა, თბილისი 2000.

განათლება სკანდინავიის ციხეებში – მუდმივი სწავლის პერსპექტივა, სკანდინავიის მინისტრთა საბჭოს გამოცემა, კოპენჰაგენი 2005.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში, სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ გამოცემა, თბილისი 2008.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ გამოცემა, თბილისი 2006

ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი 2005

«Уголовно-исполнительные кодексы», Донецкий Мемориал, Донецк 2004.

D. Van Zyl Smit/ Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011.

N. Padfield/ D Van Zyl Smit /F. Dünkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010.

F. Dünkel, Kommentierung #57 StGB, in U. Kindhauser, U. Neumann and H. Päffgen (eds.), Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch, Vol. 1 (3rd edn.), Baden-Baden: Nomos Verlag, 2010

R. Levy, Pardon and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France (2007) 36, Crime and Justice, pg. 551-590.

A.Coyle, A Human Rights Approach to Prison Management (2nd edn), International Centre for Prison Studies, Bell & Bain, Glasgow, 2009.

საერთაშორისო დოკუმენტები:

პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის 43/173 რეზოლუციით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, 1990 წელი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წევრი სახელმწიფოებისადმი პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(99)22 წევრი სახელმწიფოებისადმი ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის" ზრდის თაობაზე

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2008)11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესების შესახებ

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(92)16 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის საბჭოს პრობაციის წესების შესახებ

ვებ-მასალა:

Response of the Georgian Government to the Report of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) on its visit to Georgia from 19 to 23 November 2012, CPT/Inf (2013) 19, Attachment #9, at [http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-19-inf-eng.pdf]

General Comment NO. 10 (2007) Children's rights in juvenile justice, COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD Forty-fourth session Geneva, 15 January-2 February 2007, page 23-24, AT [http://www2.ohchr.org]

European Committee on Crime Problems (CDPC) – Council for Penological Cooperation (PC-CP) – Draft Commentary to the European Rules for Juvenile Offenders subject to sanctions or measures, 23 September 2008, at [https://wcd.coe.int/]

Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried out by the CPT from 16-29 March 2004 (CPT/Inf(2005)18, paragraph 73), [www.cpt.coe.int/]

ანგარიში გერმანიის მთავრობას CPT-ის მიერ გერმანიაში ვიზიტის თაობაზე 2005 წლის 20 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე [CPT/Inf (2007)18], [www.cpt.coe.int/]

The CPT Standards – `Substantive sections of the CPT's Reports~, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), CPT/Inf/E (2002) 1 – Rev. 2009, [www.cpt.coe.int/]

სარჩევი

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა V
შესავალი 1

თავი პირველი
არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები..... 3
1. არასრულწლოვანთა დანაშაულის აღრიცხვა 3
1.1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ბოლო წლების სტატისტიკა ... 4
1.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკის ანალიზი 6
1.2.1. მკვლელობების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი 6
1.2.2. ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულების ანალიზი..... 9
1.2.3. სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი..... 10
1.3. ლატენტური დანაშაული არასრულწლოვანთა შორის 10
2. არასრულწლოვნის გარდატეხის პერიოდი 12
3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება 15
4. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებანი..... 15
4.1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ნორმალურობა..... 16
4.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ყველა საზოგადოებაში გავრცელება 17
4.3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეპიზოდურობა 17
5. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია 19
6. არასრულწლოვანი სერიული დამნაშავის პროფილი..... 20
6.1. არასრულწლოვანი სერიული დამნაშავის ინდივიდუალური პროფილი..... 21
6.2. არასრულწლოვანი სერიული დამნაშავის სოციალური პროფილი 22
6.2.1. ოჯახი 22
6.2.2. სკოლა..... 25
6.2.3. თანატოლებთან ურთიერთობა..... 28
6.2.4. თავისუფალი დროის გატარება (კომპიუტერი, მასმედია) 29
6.2.5. ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ალკოჰოლურ სასმელებთან დამოკიდებულება 33
6.2.6. საზოგადოებრივი ღირებულებები და მოზარდთა დანაშაულობა.. 35

6.3. ქუჩის ბიჭები 37
6.3.1. „ქუჩის ბიჭების“ ფენომენი..... 37
6.3.2. „ქუჩის ბიჭების“ ცალკეული სახეები 39
6.3.3. „მობირუავეთა“ ქცევის წესები..... 39
6.3.4. კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნა და მნიშვნელობა 40
7. არასრულწლოვანთა დანაშაულის განმარტების კრიმინოლოგიური თეორიები..... 41
7.1. ანომიის თეორია 42
7.2. ეტიკეტირების თეორია 47
7.3. ქოენისა და მილერის სუბკულტურული თეორიები 50
7.4. სოციალური კონტროლის თეორია..... 55
7.5. დიფერენცირებული კავშირის თეორია 63
7.6. ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია..... 66
8. არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილება (პრევენცია).... 67

თავი მეორე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები 73
1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა..... 73
2. დისკრიმინაციის აკრძალვა..... 78
3. არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლება 78
4. თანაზომიერება 79
5. ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა..... 82
6. პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება 83
7. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობა 83
8. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა..... 84
9. არასრულწლოვანის ნასამართლობა 85
10. არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების დაცულობა 86
11. არასრულწლოვანისადმი ინდივიდუალური მიდგომა..... 87
12. არასრულწლოვანის საპროცესო უფლებები 88

თავი მესამე
არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია 90
1. განრიდება/მედიაცია როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი 90
2. განრიდება 93
2.1. განრიდების გადაწყვეტილება და მისი გამოყენების წინაპირობები 95
2.2. განრიდების ღონისძიებები 99
2.2.1. არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება 100
2.2.2. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება 101
2.2.3. არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება 102
2.2.4. მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება 104
2.2.5. არასრულწლოვნის მინდობით აღზრდა 105
2.3. განრიდების და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება 106
2.4. მედიაცია 107
2.4.1. მედიაცია, როგორც კონფლიქტის მოგვარების საშუალება 108
2.4.2. მედიაციის თეორიული საფუძვლები 109
ა) არასრულწლოვნისათვის აღმზრდელობითი ასპექტი 109
ბ) ვიქტიმოლოგიური/კრიმინოლოგიური ასპექტი 111
გ) დამნაშავე პირის სოციალიზაცია 111
2.4.3. მედიაციის კრიმინოლოგიური პირობები 112
ა) დაზარალებული ფიზიკური პირია 112
ბ) დანაშაულის აღიარება/მონანიება 112
გ) მონაწილეთა თავისუფალი ნება 113
2.4.4. მედიაციის მნიშვნელობა და კრიტიკა 114
2.4.5. მედიატორი 115

თავი მეოთხე
არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 119
1. არასრულწლოვნის ასაკი 119
2. კანონით დადგენილი სასჯელთა სახეები 125
2.1. არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი 125
2.2. გამოყენებულ სასჯელთა სტატისტიკა 127
2.3. ჯარიმა 128

2.4. შინაპატიმრობა/ელექტრონული ზედამხედველობა 134
2.5. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 140
2.6. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 141
2.7. თავისუფლების შეზღუდვა 146
2.8. თავისუფლების აღკვეთა 147
2.8.1. თავისუფლების აღკვეთის ჩათვლა პირობით მსჯავრად 148
2.8.2. თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის აუცილებელი პირობები 151
2.8.3. თავისუფლების აღკვეთის გამოყენების თავისებურება 161
2.9. უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა 166

თავი მეხუთე
არასრულწლოვანთა საპროცესო თავისებურებანი 171
1. არასრულწლოვანთა საქმისწარმოების სახელმწიფო სტრუქტურები 171
1.1. პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი არასრულწლოვანთა პროცესში 173
1.2. არასრულწლოვანთა მოსამართლე 176
1.3. არასრულწლოვანთა ადვოკატი 180
1.4. მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლისა და პროკურორის აუცილებლობა 181
2. არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების შეფარდება ... 182
2.1. არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემა 182
2.2. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ 183
2.3. პირადი თავდებობა 183
2.4. გირაო 184
2.5. პატიმრობა 185
3. არასრულწლოვანთა საქმისწარმოების თავისებურებანი 190
3.1. არასრულწლოვანთა საქმის დახურული განხილვა 190
3.2. არასრულწლოვნის საქმის გამოყოფა ერთობლივი საქმიდან 193
3.3. არასრულწლოვანი ბრალდებულის გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან 194
3.4. არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა 195
3.5. თარჯიმნის უფასოდ მომსახურებისა და საკონსულო დახმარების უფლება 196
3.6. არასრულწლოვნის დაკავება 197

3.7. არასრულწლოვნის გამოკითხვა და დაკითხვა 199
3.8. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა 201
4. არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებული 202
5. საპროცესო ნორმები არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-
რეაბილიტაციის ჭრილში 204

თავი მეექვსე
თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები 207
1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობაში
/თავისუფლების აღკვეთაში ყოფნის საკანონმდებლო რეგულირება 209
2. ურთიერთობა გარე სამყაროსთან 212
3. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია 218
4. პირობით ვადამდე გათავისუფლება 224
5. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში
ძალის გამოყენება 230
6. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების
პერსონალი 231

თავი მეშვიდე
არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება, პრობაცია და სასჯელის
მოხდის შემდეგ ზრუნვა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან
მიმართებით 236
1. არასაპატიმრო სასჯელთა სახის სამართლებრივი აქტების
აღსრულება 236
1.1. შინაპატიმრობის აღსრულება 237
1.2. საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება 238
1.3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება 239
1.4. თავისუფლების შეზღუდვის აღსრულება 242
2. პრობაციის სახის სამართლებრივი აქტების აღსრულება 245
2.1. პირობითი მსჯავრის აღსრულება 245
2.2. პირობით ვადამდე გათავისუფლების აღსრულება 246
3. სასჯელის აღსრულების შემდგომი თანადგომა 252

თავი მერვე
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირება 255
1. ზოგადი მიმოხილვა 255
2. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია 256
3. პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები 260
4. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები) 271
5. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები) 272
6. გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები) 273
7. ციხის ევროპული წესები 283
8. ევროპული წესები არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე 284
9. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის სტანდარტები 298
10. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(89)12 ციხეში განათლებასთან დაკავშირებით 305
11. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული ევროპული სასამართლო პრაქტიკა 307
11.1. ზოგადი ინფორმაცია მე-3 მუხლთან დაკავშირებით 307
11.2. საქმე გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec vs. Turkey) 317
11.3. საქმე ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (T. vs. The United Kingdom) 319
ბიბლიოგრაფია 322
სარჩევი 333

Inhaltsverzeichnis

Vorwort V
Einleitung 1

Kapitel I: Kriminologie der Jugendkriminalität 3
1. Statistik der Jugendkriminalität 3
1.1. Die Jugendkriminalität in den letzten Jahren 4
1.2. Analyse der Jugendkriminalität der letzten Jahre 6
1.2.1. Analyse der Statistik über Mord/Totschlag 6
1.2.2. Analyse der Statistik über Straftaten begangen von einer Gruppe 9
1.3. Dunkelfeldforschung der Jugendkriminalität 10
2. Pubertät und Kriminalität 12
3. Definition der Jugendkriminalität 15
4. Besonderheiten der Jugendkriminalität 15
4.1. Normalität der Jugendkriminalität 16
4.2. Episodenhaftigkeit der Jugendkriminalität 17
4.3. Ubiquität der Jugendkriminalität 17
5. Ursachen der Jugendkriminalität 19
6. Persönliches und soziales Bild eines kriminellen Jugendlichen 20
6.1. Persönliches Bild eines kriminellen Jugendlichen 21
6.2. Soziales Bild eines kriminellen Jugendlichen 22
6.2.1. Familie 22
6.2.2. Schule 25
6.2.3. Freundeskreis 28
6.2.4. Freizeitaktivitäten (TV, Computerspiele) 29
6.2.5. Drogen und Alkohol unter Jugendlichen 33
6.2.6. Gesellschaftliche Werte und Jugendkriminalität 35
6.3. Straßensubkultur von männlichen Jugendlichen – „quchis bichebi“ 37
7. Erklärung der Jugendkriminalität durch kriminologischen Theorien 41
7.1. Anomietheorie 42
7.2. Etikettierungstheorie 47
7.3. Subkulturtheorie von Cohen und Miller 50
7.4. Kontrolltheorien 55
7.5. Die Theorie der differentiellen Assoziation von Sutherland 63
7.6. Frustration-Aggressionstheorie 66
8. Prävention der Jugendkriminalität 67

Kapitel II: Prinzipien des georgischen Jugendstrafrechts 73
1. Prinzip des Kindeswohls 73
2. Prinzip des Verbotes von Diskriminierung 78
3. Prinzip der harmonischen Entwicklung von Jugendlichen 78
4. Prinzip der Verhältnismäßigkeit 79
5. Prinzip der milderen und alternativen Maßnahme 82
6. Prinzip der Haftvermeidung (Haft als Ultima Ratio) 83
7. Prinzip der Teilnahme von Jugendlichen in dem Strafverfahren 83
8. Prinzip der Beschleunigung 84
9. Prinzip der Tilgung der Vorstrafe 85
10. Prinzip des Schutzes von Persönlichkeitsrechten 86
11. Prinzip der Individualisierung 87
12. Prinzip der Einhaltung von prozessualen Rechten 88

Kapitel III: Diversion und Mediation im georgischen Jugendstrafrecht 90
1. Diversion/Mediation als Maßnahmen der Restorative Justice 90
2. Diversion 93
2.1. Voraussetzungen einer Diversion 95
2.2. Diversionsmaßnahmen 99
2.2.1. Schriftliche Mahnung 100
2.2.2. Maßnahme der Restorative Justice 101
2.2.3. Auflagen gegen den Jugendlichen 102
2.2.4. Schadenswiedergutmachung 104
2.2.5. Unterbringung in einer Familie 105
2.3. Vertrag der Diversion und Mediation 106
2.4. Mediation 107
2.4.1. Mediation als Restorative Justice 108
2.4.2. Theoretische Grundlagen der Mediation 109
a) Erziehung von Jugendlichen 109
b) Kriminologische / viktimologische Ansätze 111
c) Sozialisation von Jugendlichen 111
2.4.3. Kriminologische Voraussetzungen der Mediation 112
a) Opfer der Straftat ist eine Person 112
b) Geständnsi der Straftat 112
c) Willensfreiheit 113
2.4.4. Besonderheit und Kritik der Mediation 114
2.4.5. Mediator 115

Kapitel IV: Strafrechtliche Verantwortung von Jugendlichen 119
1. Alter eines Jugendlichen 119
2. Sanktionen im Jugendstrafrecht 125
2.1. Ziel der Sanktionen im Jugendstrafrecht.....125
2.2. Angewandte Strafarten in den letzten Jahren (Statistische Analyse) ...127
2.3. Geldstrafe 128
2.4. Hausarrest.....134
2.5. Entziehug von Rechten (z.B.: Arbeitserlaubnis).....140
2.6. Gemeinnützige Arbeit 141
2.7. Einschränkung der Freiheit 146
2.8. Freiheitsstrafe.....147
2.8.1. Strafaussetzung zur Bewährung 148
2.8.2. Voraussetzung der Freiheitsstrafe.....151
2.8.3. Besonderheit der Anwendung von Freiheitsstrafen gegen Jugendliche 161
2.9. Die Möglichkeit der Sanktionsmilderungen 166

Kapitel V: Jugendstrafverfahren 171
1. Staatliche Organe im Jugendstrafverfahren 171
1.1. Polizei, Untersuchungsbeamte, Staatsanwaltschaft im Jugendstrafverfahren.....173
1.2. Richter im Jugendstrafverfahren.....176
1.3. Strafverteidiger im Jugendstrafverfahren.....180
1.4. Jugendstaatsanwalt und Jugendrichter 181
2. Zwangsmaßnahmen gegen Jugendlichen.....182
2.1. Aufsicht durch Personen 182
2.2. Vereinbarungen, die sich auf den Aufenthaltort und Verhalten beziehen 183
2.3. Bürgschaft 183
2.4. Pfändung 184
2.5. Untersuchungshaft.....185
3. Besonderheit des Jugendstrafverfahrens.....190
3.1. Nichtöffentlichkeit der Verhandlung.....190
3.2. Trennung des Strafverfahrens gegen Jugendliche von denen gegen Erwachsene 193
3.3. Nichtteilnahme von Jugendlichen am Strafverfahren aus eigenem Schutz 194
3.4. Pflichtverteidigung 195
3.5. Dolmetscher und Hilfe durch Botschaft im Jugendstrafverfahren 196

3.6. Festnahme eines Jugendlichen 197
3.7. Vernehmung eines Jugendlichen 199
3.8. Jugendstrafverfahren vor Gericht 201
4. Jugendliche Zeugen oder Opfer im Jugendstrafverfahren 202
5. Einhaltung der Vorschriften im Jugendstrafverfahren und Erziehungsmöglichkeiten eines Jugendlichen 204

Kapitel VI: Jugendstrafvollzug 207
1. Gesetzliche Regelung für jugendliche Inssasen 209
2. Besuchsregelung 212
3. Erziehungsprogramme im Jugendstrafvollzug 218
4. Strafaussetzung zur Bewährung 224
5. Anwendung von Staatsgewalt im Jugendstrafvollzug 230
6. Bedienstete im Jugendstrafvollzug 231

Kapitel VII: Vollstreckung von Alternativmaßnahmen / Bewährung 236
1. Vollstreckung von Alternativmaßnahmen 236
1.1. Vollstreckung von Hausarrest 237
1.2. Vollstreckung von Entziehug von Rechten (z.B.: Arbeitserlaubnis) .. 238
1.3. Vollstreckung von gemeinnütziger Arbeit 239
1.4. Vollstreckung von freiheitsbeschränkenden Maßnahmen 242
2. Vollstreckung von Bewährungsmaßnahmen 245
2.1. Verhängung einer Jugendstrafe zur Bewährung 245
2.2. Vollstreckung der Bewährungsstrafe 246
3. Unterstützung von Jugendlichen nach einer Strafverbüßung 252

Kapitel VIII: Internationale Vorgaben im Jugendstrafrecht 255
1. Einleitung 255
2. UN-Kinderrechtskonvention 256
3. Mindeststandards der UN für Strafgefangene 260
4. Der Mindestgrundsätze der Vereinten Nationen für die Jugendgerichtsbarkeit (Beijing Grundsätze) 271
5. Der Richtlinien der Vereinten Nationen für die Prävention von Jugendkriminalität (Riad Richtlinien) 272
6. Der Regeln der Vereinten Nationen zum Schutz von Jugendlichen unter Freiheitsentzug (Havanna-Regeln) 273
7. Haftstandards der EU 283
8. Europäische Grundsätze für die von Sanktionen oder Maßnahmen betroffenen jugendlichen Straftäter/Straftäterinnen

Empfehlung Rec(2008)11 284
9. Standards von Europäisches Komitee zur Verhütung von Folter und unmenschlicher oder erniedrigender Behandlung oder Strafe (CPT).....298
10. Empfehlung Nr R (89) 12 über Weiterbildung im Strafvollzug 305
11. Der Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten (EMRK) Art. 3.....307
11.1. Allgemeine Vorschriften von Art. 3 EMRK 307
11.2. Guvec vs. Turkey.....317
11.3. T. vs. The United Kingdom 319

Literaturverzeichnis 322
Inhaltsverzeichnis 339